ISSN 0182—599 X

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# მნათობი

7

1988

# მნათობი

ყოველთვიური ლიტერატურულ-მხატვრული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი

წელიწადი 64-ე № 7 ივლისი, 1988 წ.

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ორგანო

# შ ი ნ ა ა რ ს ი

## პროზა, პოეზია

მარიკა ბარათაშვილი — ლექსები . . . . . . . . . . 3
ოთარ ჩხეიძე — გამოცხადებაი. რომანი. გაგრძელება . . . . . . . . . 6
ბესიკ ხარანაული — შუადღის წიგნიდან. ლექსები . . . . . . . . 49
თეიმურაზ ჯანგულაშვილი — ლექსები . . . . . . . . . 58
მარინა ხმალაძე — ლექსები . . . . . . . . 60
დავით ასკურავა — მსხვერპლი ძლუენისა გლახაკისა. მოთხრობა . . . . . 62
გრიგოლ ჯულუხიძე — ლექსები . . . . . . . . . 73
ირმა მეზურიშვილი — ლექსები . . . . . . . . . 75
ალუდა არაბული — ლექსები . . . . . . . . . 76
ნანული გოცვაძე — და იქმნა ერი. რომანი. გაგრძელება . . . . . . . 78

## კრიტიკა, პუბლიცისტიკა

აკაკი გაწერელია — მონოლოგი დიალოგიდან . . . . . . . . 112
გურამ კანკავა — „სიზმარეული მესხეთი ჩემი“ . . . . . . . 123
მიხეილ კეკელია — ვასამართლოთ სამართალი . . . . . . . . 128

## 60 ნოდარ დუმბაძე 60

ნუგზარ ვარდოსანიძე — ნოდარ დუმბაძის ახალგაზრდა გმირები . . . . . 133
ნოდარ მალაზონია — სასაცილო ამბავი . . . . . . . 139

## მეცნიერება

ვლ. ნორაკიძე — ქართული ეროვნული ხასიათის კვლევის პრობლემა ეთნიკურ ფსიქოლოგიაში . . . . . . . . . 141
ალ. ფოცხიშვილი — საიათნოვა — ლეგენდები და სინამდვილე . . . . .151

იხ. მეორე გვერდი

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა

შინაარსი (გაგრძელება)
ეროვნული ბიბლიოთეკა

## მოგონებები, ფაქტები

ლეო გაბუნია — ელინე ბებია . . . . . . . . . 162

## საზღვარგარეთის ლიტერატურა

ალბერ კამიუ — ნუშის ხეები. ფრანგულიდან თარგმნა გიორგი ეკიზაშვილმა . . 171

## წიგნების მიმოხილვა

ლია თაკვარელია — საყურადღებო გამოკვლევა . . . . . . . . 173

---

მთავარი რედაქტორი არჩილ სულაკაური

სარედაქციო კოლეგია:

გრ. აბაშიძე, ი. აბაშიძე, რ. ამაშუკელი, მ. ბერძენიშვილი, ალ. გომიაშვილი, გ. დოჩანაშვილი, კ. კალაძე, მ. ლასურია, მ. ლებანიძე, ე. მაღრაძე, ლ. მრელაშვილი, გ. ნატროშვილი, ს. პაიჭაძე (მთ. რედაქტორის მოადგილე), რ. პატარიძე, ჯ. ჩარკვიანი, ნ. წულეისკირი, ოთ. ჭილაძე, ბ. ხარანაული (პ/მგ. მდივანი), რ. ჯაფარიძე, გ. ჯიბლაძე.

---

# პროზა, პოეზია

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ცნობილ ქართველ დრამატურგს, პოეტსა და საზოგადო მოღვაწეს მარიკა ბარათაშვილს 80 წელი შეუსრულდა. ჟურნალ „მნათობის“ კოლექტივი და სარედაქციო კოლეგია ულოცავს ამ ღირსშესანიშნავ თარიღს და უსურვებს შემოქმედებით წარმატებებს.

მარიკა ბარათაშვილი

## ნატვრა

მსურს განვმარტოვდე საკუთარ
თავთან...
(დღე მქონდეს ლაღი და სამახსოვრო)
მოვიხმო სიტყვა, რითმების ნართად
და საოცარი ლექსი დავქსოვო!
თვალ-მარგალიტი ჩავაწნა პეშვით —
როგორც შეფერის ლექსის მაფიოზს,
რომ ჩემმა სატრფომ, სხვა ათას ფერში,
ჩემი ნაქსოვი გამოარჩიოს.

* * *

(თუ ის სხვა იყო?)

უფერულია ახლა ზღვისპირი,
ქვიშაც მხოლოდ ნაცრისფერი —
რაღაც უსახო.
მაშინ სხვა იყო...
არა, წარსულს კი არ მივტირი,
მხოლოდ ვეძახი, თუნდა ერთი წამით
მენახოს.
ეგება მითხრას, სად წაიღო
ის ბეჭდის თვლები, — აქ გაბნეული,
ათასფერადი.
და ისიც მითხრას,
ასეთი იყო ეს ზღვა, თუ ისიც
სხვაგვარ ელავდა?
ეს — მე ვიყავი დაჩოქილი, ვით
მლოცველი
ამ ზღვის წინაშე
და ვაგროვებდი თვალმარგალიტს
ფერად ქილაში,
თუ ის სხვა იყო?

## სიბერე

ჯერ მიანავლა კოცონი — მწველი,
მართლაც მეხანძრის საქმის გაგებით.
შემდეგ ასევე, გამოცდილ ხელით
შუბლზე დააგო ლიანდაგები.
ჩამოაფარა სახეს პირბადედ
ობობას ქსელი. ლაწვებს აფითრებს.
ფეხებს წაართვა შნო და სიმარდე,
ტანს სინარნარე და სინატიფე.
ო, ამ გრიმიორს — თვალს ვერ
შეასწრებ,
სხვა და სხვა ნიღაბს ისე გიფერებს,
რომ ბოლოს ქვეყნის ავანსცენაზე
გამოფრატუნდეს თავად სიბერე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## ვერავინ ბედავს

დრო ეტანება კალენდრის ფურცლებს—
მთლად გადაფარა შორს მოედანი...
ხარ გაძარცული და რაღას უცდი?
ეგებ საქვეყნოდ მოგეკლა თავი!
ვინ დაგიბრუნებს იმ ფურცლებს —
ფერადს!
მისდევ, მისტირი გაფრენილს...
ჩავლილს...
და მაინც, მაინც ვერავინ ბედავს
ასე გაძარცულს მოეკლას თავი.

## აკაცია

აკაცია დგას სარკმელთან
და ღიმილით მტევნებს მაწვდის —
სიმბოლოებს სინაზისა,
სიკეთის და
სილამაზის.

მაგრამ აქვე, ეს ეკლები...
მე მათს მზერას ველარ ვუძლებ!
ვგრძნობ იმ გვირგვინს — მოწამებრივს,
მოწამეთა მტკივან შუბლზე.

• • •

მესიზმრა, თითქოს წყალს პეშვით
ვსვამდი,
ვსვამდი და კიდევ ვთხოვდი ბუნებას,
რაღაც სხვა წყაროს, უცხოს თუ
ნამდვილს,
მწყურვალი სულის დასარწყულებლად.
უცებ, ნანატრი ჰანგი სიმღერის
მოულოდნელად ჩაერთო სიზმრებს...

და თითქოს სულიც ნარნარი რხევით,
უნაზეს ფრთებით წაიღო ცისკენ.

ვილაცამ ქუჩას გაუკრთო რული.
ვილაც მღეროდა ჩემს გულში ნადებს...
ღამე კი ხელით — ეფემერულით
აშრიალებდა სარკმლებზე ფარდებს.

• • •

„წუთისოფელმა თუ დაგვაცალა"? —
ნატვრა, იმედი, სულის წრიალი...
მაგრამ ვინ შეძლო, ვინ, ვინ დაცალა
ის... სურვილებით სავსე ფიალა?

კაცს არ უძლება თვალი და გული
იძენს და იხვეჭს, მაინც არ ჰყოფნის...
და ბოლოს... სამოსშემოძარცული
მიდის საზღვართან ყოფნა-არყოფნის.

ქარს გაათრებით ებრძოდა გუშინ —
ცამ რომ დაუშვა ცრემლების ნართი...
ახლა მდუღარედ იგლოვდა ნუში
ქართან ბრძოლაში დაკარგულ ქათიბს.

ხე ღამით იხსნის გულგრილის ნიღაბს
და როცა ბაღში ველარ ეტევა,
დაქანაობენ მესერის მიღმა
მთვარით ნახატი სილუეტები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## სურათი

ელვის სარტყელი მოირგო ზეცამ —
ხან აქ იალებს, ხან იქ იალებს.
ოთახს მოაწყდა განგაში ხეთა
და კარ-ფანჯარამ იწყო ჭრიალი.
ბოლოს დაუშვა ცამ მონეტები —
რაც კი გააჩნდა, რაც კი ემართა.
ქარი დამშვიდდა, უკლო შეტევას
და დირიჟორის ჯოხი შემართა.

მღერის ფლეიტა. აღარც მობეზრდა
ღამეს — არც ჩელო, ცნობისწარმტანი.
რა გატაცებით უკრავს ორკესტრი
და ახმაურებს წვიმა ტამტამებს!
გადაავიწყდათ ხეებს სიფრთხილე,
ცეკვავენ ვნებით და გატაცებით...
და როცა კარი გაალო დილამ,
გულწასულები დახვდა ნაძვები.

• • •

ზეცას აეწვა თვალები კვამლით.
და ვით ინება დღეთა გამრიგემ,
ჩამოაგზავნა სოფელზე ღამე
და ფერად სიზმრებს ჩამოარიგებს.

თან მოჰყავს ძილი — ცნობისწამლები.
ჩამოივლიან ოდა-სოროებს.
ფხიზლობენ მხოლოდ სოფლის მამლები
და ამზადებენ მაღალ სოლოებს...

## შური

ზღვა არის ისე მშვიდი და წყნარი...
მაგრამ ხვალისთვის ზღვაურს გვპირდება
„მოამბე".
ლამის მოვიკლა თავი,
მე რიღათ შევძლო ზღვის დამშვიდება!

ზღვა მოიტირებს, დაცხრება ისევ,
და ყმაწვილურად იწყებს გართობას.
მშურს: ერთხელ მაინც ავღელდე ისე,
რომ დავიბრუნო ახალგაზრდობა.

## ისე მივდივარ...

მიმოვიარე ფიქრით გზები და ტრამალები...
ვის ვერ მივხედე, ვისი მრჩება ქვეყნად ვალები,
ვის ვნატრულობდი, ვინ მეძახდა, ვინ მიმელოდა
ვის სჭირდებოდა ჩემი გული, საქართველოდან?
ო, რა ხანია ასე ვღელავ... რაც მსურს ვიხილო
ის ქართველები, პლასტუნკაა თუ საინგილო.
რაც მწვავს სახმილი... ვისთან მისვლაც ვეღარ მეღირსა,
ფერეიდანის, ტაო-კლარჯეთ თუ შავშეთისა.
...სისხლო ქართულო, სად არ მოჩქეფ, სად არ მეგულვი,
დარიგებული, თუ ვერაგად მიტაცებული...

მიმოვიარე ფიქრით გზები და ტრამალები
ისე მივდივარ, რომ მიმყვება თქვენი ვალები...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ოთარ ჩხეიძე

# გამოცხადება

## რომანი

აღარ უნდოდა, მაგრამ ვაი, რომ ემატებოდა და ემატებოდა, უბრალო რამითაც ემატებოდა: ასე მითხრესო, ბეგლარი ამბობდა, კაფეში არისო, კაფე მითხრეს, სახინკლეებში დაგეძებდიო, ლამის სახინკლე „თბილისამდის“ ვუწიეო, წრუპნიდა „ტარხუნასა“ და ამბობდა ისევე, ვითომდა რაო, არც არაფერიაო, ვითომ წამწამი ჩამოვარდნიაო. სხვა ვინმე სიცილით იტყოდა უთუოდა, ვინმე ეჭვითა, რა მოსვლიაო, — თუ არც გეცინება, არც გეფიქრება, რა ჯურის რამ გამოსულხარო, — ეს უკვე ლენტოს რისხვისა გახლდა, გრიხავდა ტუჩებსა, სიტყვები ესე მოსდგომოდა ენის წვერზედა. ეს კიდევ არაფერი, საქმე მაქვს შენთანაო, რაღა თქმა უნდა კოტეს ეუბნებოდა ბეგლარი, ოღონდ ისე ეუბნებოდა, ესენი უნდა გაგვეცალნონო. ოპერატორი არც ამას უსმენდა, არც გამცლელი იყო, ვიდრე მოზეიმენი არ მოჯარდებოდნენ მოპირდაპირე სადარბაზოსთანა, ლენტო გაეცლებოდა სხვა შემთხვევაშია, უზრდელობას მიუტევებდა დიდსულოვნადა, ვინც უნდა ყოფილიყო, მიუტევებდა, მიუტევებდა ამასაცა, ჰო ამასაცა, ოღონდ მაშინ არა, აღარავის აღარაფერს მიუტევებდა, წამოქოჩრებულიყო დაუთმობელი სული, წამოკორკოტებულიყო, ასე რო ჩასთუთქოდა ბოლოხანებშია. სახეზეც დაეტყო, გაგრეხილ ტუჩებზე, მოქუშულ წარბებზეც დაეტყო ალბათა, ბეგლარმა დასთმო, ჩაიჩოჩა კოტესკენა და წამოიწყო ჩურჩული საიდუმლო ხმითა, ხმითა ფრთხილითა, მოსარიდალითა. თუმცა აღარც ითქმოდა საიდუმლოდა, ხმა დაყრილიყო, ხმა გავარდნილიყო, გავარდნილიყო ორნაირადა, ორი ხმა შეჰბმოდა ერთიმეორესა, ერთს ჰო იქაც იმეორებდნენ, სახინკლე „თბილისშია“, მარტში გადმოიტანენ დეკემბრის ზეიმსაო, ოცდაერთი დეკემბრისაო, მეორეც უცებ მოვარდნილიყო, რის ზეიმსაო, რა ზეიმსაო, ბრძანება გამოვა, დაანგრევენ ფარაჯიანის ძეგლებსაო, დაანგრევენ ისევე მხურვალედა, რა მხურვალებითაც აუგიათო. ასევე ყოფილა, ასევე უვლია ისტორიას აღაბაბიდანა, ასევე მოჰყოლია გმობა გმობასა, უარყოფა უარყოფასა, უარყოფა თვით დიდებისაცა, ყალბი დიდებისაცა, ჭეშმარიტი დიდებისაცა, ამაზე აშლილან, ამაზე შესევიან ერთიმეორესა ან ერთნი შესევიან, უჟლეტიათ მეორენიო, უჟლეტიათ ულმობელადა. მაგალითი უამრავი ყოფილა, წარსულისად თქმული, ოდენ წარსულისა როდი ყოფილა, კაცთა ჟინი თუ კაცთა ვნება, მარადისის სათამაშო ყოფილა ანუ ყოფილა თუ არა ყოფილა,

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „მნათობი“, № 6.

კვლავაც აღძრულიყო ვნებაი იგი უარყოფილი და აეშალა წვრილი ვნებანი. იმავე ვნებას აჰყოლოდა ბეგლარიცა რაღა თქმა უნდა, ოღონდ ამჯერად განა დავობდა, ზეიმი იქნება თუ ნგრევა იქნებაო, — არა, მხოლოდ ამასა სთხოვდა კოტესა, ეგება გადაიღო თუ რა ამბავია მშრალ კუნძულზედა, ფარაჯიანის ძეგლთანა, რა თავყრილობაა ხალხისა, რა მოლოდინი, ეგება გადაიღო, გავუგზავნოთ, სადაც ჯერ არს, ეგება ყურადიღონ, ეგება გადასწყვიტონ ისე, ხალხს როგორცა სურს, თორემ ყველაფერი ხალხის ნებაა და თვით გადასწყვეტს ხალხი თავის ნებისადაო. ასე დაასკვნიდა ბეგლარი, ასე ესწავლებინათ, სჯეროდა ასე, იმეორებდა დარწმუნებითა, ანდაზადა თქმულა, ხალხი ქვევრია, რასაც ჩასძახებ, ამოგძახებს იმასვეო, ოღონდ ეს ანდაზა აღარ შეჰქონდათ კრებულებში ანდაზებისა, სამაგიეროდ ყველგანა სწერდნენ, ყველგან ამბობდნენ, იმეორებდნენ მოწიწებითა, როგორც ხალხსა სურს, ისე არის ყველაფერიო, — ჰოდა ვაუწყოთ ასე თვალსაჩინოთა, კინოფირი რო არის, ვაუწყოთ თუ როგორა სურს ხალხსაო.

გადავიღოთო, ბევრსაც აღარ დაფიქრებულა კოტეი, მოსკოვს ვიყავი იმ დღეებში, დაკრძალვა გადავიღე, ამასაც გადავიღებო. ოპერატორსც იქვე მიმართა, გადაიღეო, აქ ალბათ გვეშველება დღეს მაინცა, მერე იქ წადიო.

ბრძანება იქნებაო, იკითხა ოპერატორმა, ლამის ფსუტუნიც არ შეუწყვეტია, ისე იკითხა.

რა ბრძანებაო.

— რა ბრძანებაცაა, რითაც დავდივართ, რასაც ვასრულებთ.

— რანაირად იქნება?!

— მაშ მე არა ვარ იქ წამსვლელი.

— არა?!

— ჰო, არა!..

— რა გვარი ხარ, ბიჭო!

— ჯერ ერთი მე ბიჭი არა ვარ...

— რა გვარისა ხარმეთქი, რა გვარისა?!

— გვარი რა შუაშია?!

— გვარია შუაში, ყველაფერი ერთი გვარია...

ითქვა ისე, შეიბმებიან ალბათაო, იფიქრებდა ადამიანი, მაგრამ არაო, აღარ აჰყოლია ოპერატორი, შებრუნდა სკამზედა, ზურგი შეაქცია კვლავაც ფსუტუნითა, იმავე თუ მსგავსივე, სადანღაც გაგონილი სიმღერის ფსუტუნითა, სამაგიეროდ ბეგლარი აჰყვა ანუ ბეგლარმა აიყოლია, დაკრძალვა თუ გადაგილია, რატომ არ უჩვენებ, რატომ არ გამოიტან ეკრანებზეო, აი, ამით აიყოლია. კაი გვარიანი სადავო გახლდა, მაშ რაო, ბეგლარს ვერ გაეგო თუ რატომ არ გამოეტანათ, კოტეს ვერ აეხსნა, რო არაფერი ეკითხებოდა, ამის ნებისად არაფერი იყო, არაფერი, სულ უბრალო ფირიც აღარ იყო ამის ნებისადა, გადაიღებდა, ჩააბარებდა, მორჩა და გათავდა, კინოდოკუმენტალისტი რა არის, თვით ხელოვანი, დიდი ხელოვანიც აღარ იყო თავის ნებისადა და წესი ესე თვით იმან დასდო, იმასაც უწია, თვით იმაზედაც იძია შური. და დავობდნენ, ცხარობდნენ, აშვებულიყო კამათის ყიჟი, დიდიხანია ჩათუთქული, ჩანავლებული, აშვებულიყო თუ აეწყვიტა, აზრი აზრს შეჰბმოდა თუ აზრი უაზრობასა, გაგება გაგებასა თუ გაგება გაუგებრობასა, გონიერება გონიერებასა თუ გონიერება უგუნურებასა სულერთია, უკამათოდ აღარავის ეთანხმებოდნენ, აღარაფერს ეთანხმებოდნენ უკამათოდა. ახალგაზრდობამ დაიქადა, ეს ჩვენა ვართო, დაიქადა და იქადოდა, იქადოდა და ჰკიცხავდა მთლად უფროსებსაცა რაღა თქმა უნდა, სულ ოდნავ უფროსებსაცა, უფროსებსა ორიოდე წლითა, — ასედაც განსხვავებულიყვნენ კოტე და ბეგლარი, განსხვავებულიყვნენ ორიოდე წლითა. ორიოდე წლითვე გამოედო თავი ბეგლარსა, შეუპოვრობდა, დაუთმობლობდა, შიშს ახსენებდა წარამარადა, აბიაბრუებდა დაზაფრულთა შიშისაგანა. ცოტა ადვილადაც თუ ითქმოდა, ცოტათუ მოშვებულიყო შიში, მოშვებულიყო თუ არცთუ მართლა

მოშვებულიყო, ვინ გაიგებდა? — ვერც-თუ ვერავინა ჯერ ეგრე ადვილადა. რაც უნდა ყოფილიყო მშიშარას წოდება ყოველთვის გააცხარებდა კოტესა, ასე-თი ვაჟკაცი გახლდა, დიდად თავმომ-წონე გახლდა კოტე, ჰო გააცხარებდაო და ცხარობდა, ცხარობდა მხოლოდდა, რო აღუსრულებელი თუ გადაულახა-ვი რამ გახლდა მოთხოვნა ბეგლარისა, — გამოიტანე, უჩვენე, უჩვენე თუ ბი-ჭი ხარ, რაღას უცდი, შეხე, რა დღე-ები დაამდგარაო, — აღუსრულებელი, შეუძლებელი!.. უჩვენეო, ანაღვლე .. ახსნა უნდოდა, დამტკიცება უნდოდა და არცა არა ღვინო იყო სადმე, არცა სხვა რამ სასმელი, „ტარხუნაც" უკვე გამოლეოდათ. ცარიელ ჭიქებს მაინც აწვალებდნენ, ხელს უჭერდნენ, შეიტა-ცებდნენ, დასცემდნენ მაგიდასა, ალ-ბათ ხელში შემოეფშხვნებოდათ. ვიღას ახსოვდა ნაღველი ლენტოსი, დარდი ლენტოსი, ვიღას ახსოვდა ან ლენტო ვითომ ისეთი რა იყო, სხვა ვინ გადარ-ჩენილა, ვიღას სადარდებელზე არ გა-დაუვლიათ, როცა დაბნეულან, აშლი-ლან დაბნეულნი, აშლილან და შებმუ-ლან დაბნეულნიო, დაბნეულნი!

აქ მაინც მიჰხედეს ლენტოსა, მაინც მიჰხედეს, დაბნეულიყვნენ თუ ვერ და-ეთმოთ ერთმანეთისთვისა, სწორედაც რო ერთმანეთისთვისა, თორემ ისე, ვე-რაფერი გასავალი ექნებოდა იმათ სიტ-ყვასა იმა სატარხუნეს იქითა. იქაც არ ექნებოდა დიდი რამ გასავალი, მოწყე-ნით ეყუდა დახლის ქალიცა, ლაყლაყა ქალი, სხვა თუ არაფერი, ენაც არ გაე-გებოდა ამათი, თუმცა ჰო მიჰხედეს ლენტოსაო:

— აპარატს წაიღებ!.. — სიცხარეში მოსჭრა კოტემა, მაშინ მიჰხედეს.

— პასუხისმგებლობა მე მაკისრია...

— შეახსენა თუ კვლავაც ფსუტუნში ამოისროლა ოპერატორმა.

— ჩემს აპარატსა... — თითქოს იმის-თვის არც მიუგია, ლენტოს განუმარ-ტა, განუმარტა და მიაჩერდა მდუმარე-და, მიაჩერდა და იყო ასე, ყურს აღარ უგდებდა კვლავაც გახელებულ ბეგლა-რსა, აღარც ეპასუხებოდა, რადგან [illegible] ქმა უნდა, ან ის უაზრო კ[illegible] ან გამოაფხიზლა დაღვრემილმა სახემ ლენტოსი ან გაახსენდა, რაღაც გაახ-სენდა და უბის წიგნაკზე იტაცა ხელი, ფურცლა, ფურცლა, ჩხრიკა, ეძება, მი-აგნო მერე, ფრჩხილით გაუხაზა მისამა-რთი ლენტოსა, დაიმახსოვრე ან ამოი-წერე, მეხსიერება თუ გლალატობსო, ამიერიდან ამასთან ივლი, ენებსაც მივ-ხედოთ, ფიზიკა გეყოფა, ეგებ არც გე-ყოფა, მაინც ველარ გავჭიმავთ ფიზი-კასა, დრო აღარ იცდისო.

აღარც იცდიდა დრო ან როდის იც-დიდა?!

მარტი დამდგარიყო.

## VIII

„...მოიხსენიებდე, უკეთუ სადით და-ეცი, და შეინანე..."

მარტი დამდგარიყო, მარტი აღარ ეჭა-შნიკებოდა ლენტოსა, აღარცა აპრილი, აღარცა მაისი, ივნისს ელოდა და გა-ზაფხული აღარ ეჭაშნიკებოდა ლენტო-სა, ივნისში უნდა წარმდგარიყო გამო-ცდებზედა, უნდა გამოეცხო ატესტატი საშუალო სკოლისა, ამიტომ არ ეჭაშნი-კებოდა. აღარც აგვისტო მოსდიოდა თვალში, მაშინ უნდა მოწყობილიყო სადღაც საღამოს ფაკულტეტზეო თუ სადღაც დაუსწრებელ განყოფილება-ზეო, ამიტომაც აღარ მოსდიოდა თვა-ლში, ორი სასწაული უნდა მოეხდინა ერთბაშადა, ეხუმრები, — ორი სასწა-ული, გაწამებულიყო ბიჭი!.. მხოლოდ იმ ერთ წუთს აიხადა საწამებელი იგი, იმა ერთ წუთსა, აღარც რაი მსურს, რაცა ვარ ეგა ვარ, ეგევე ვიქნებიო, რო განაცხადა, იმა ერთ წუთსა, მერე ჰო მისამართი მიაჩეჩა კოტემა და წარ-ხდა წუთიცა იგი ანუ თუ შერჩა, იგილა შერჩა, ის ერთი წუთი მოსვენებისა. გამოება თუ აეთრევინა იმა მისამართ-სა, გორიჯვრის ბატკანივით აეთრევი-ნაო. მერედა კარიც რო მყისვე გაუ-ღეს? ჯერ თითიც არ დაეკარებინა ზა-რის ღილაკისთვისა, კარიც გაიღო, ზა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რიც დაირეკა ერთდროულადა, დაირეკა ისე, გაჩერებაც აღარ უნდოდა, ჩაირთო, გაიჭედა ღილაკი, რეკავდა გაბმითა, ზრიალებდა პატარა დერეფანი, ვიწრო დერეფანი, დერეფანი ერთოთახიანი ბინისა, ჰო ერთოთახიანი ბინისაო, დასურათხატებაც ესაა, პოეტური სახიერებაცა, უკეთესად არც გამოითქმის. თუმცა ჰო ზრიალებდა დერეფანიო, ლენტო ფრჩხილებით ჩაფრენოდა ღილაკსა, კარებში ილიმებოდა გულღია მასპინძელი, მოხდენილი ვაჟკაცი ილიმებოდა, ეტყობოდა, არცთუ გააკვირვებდა ახირება თავისი ზარისა. დაცხრა ზარიცა, კიდევაც შევიდნენ, კიდევაც ამოიჭედნენ იმა დერეფანშია, საჩქაროდ შეუგდო მარჯვენა კარი მასპინძელმა, წინაც ოდნავ შეღებულიყო კარი, ბავშვის ჭიჭყინი, თეფშის ჩხაკუნი, ქალის ფერაობა გამოისმოდა იმა კარიდანა, მისალები დარბაზიც რო გახლდა, საწოლიცა, ბავშვის ოთახიცა, სასტუმროცა, სასადილოცა (თუმცა ეს ჰო სამზარეულოს შეეთავსებინა), ბუდუარიცა, კაბინეტიცა. ოთახი უცებ იცვლიდა სახესა, ზღაპრულად იცვლიდა, როგორცა სჭირდებოდათ, ჩაუთქვამდნენ სარკესა ან თევზის ფხასა, საწოლი კაბინეტად გადიქცეოდა. იმ წუთს კაბინეტი უნდოდათ, გადაიქცა კაბინეტადა, თუმცა ლენტომ ვერცთუ შენიშნა თუ რას ჩაუთქვა მასპინძელმა, სარკესაო თუ თევზის ფხასაო ან რა უნდოდა, — კაბინეტი უნდოდა და შევიდა კაბინეტში: პატარა არაბული მაგიდა ჩაჭედილიყო კუთხეშია, ორი სკამი მისდგომოდა ერთი მხრიდანვე, ერთადერთი თავისუფალი მხრიდანა რაღა თქმა უნდა, ერთი ამისთვისა, ერთიც მასწავლებლისთვისა, არცრა დასჭირდებოდათ მეტი. ოღონდაც იცი, თავისუფალიო თუ გაიგონე, მთლად თავისუფლებასაც ნუ წარმოიდგენ, სკამები საწოლსაც მიჰბჯენოდა, ყალიბში უნდა გამოსულიყავი. ეს ისე ითქმის, თორემ აქ ამდენი როდი ესაქმებოდა ლენტოსა, გრამატიკა უნდა შეესწავლა, გრამატიკა სამი ენისა, რიგზე უნდა მდგარიყო, როგორც უნდა მდგარიყო, მეხსიერება უნდოდა გრამატიკასა, სხვა არაფერი, მეხსიერება, ჭკუა, გონება, სხვა არაფერი, თუ გაუჭირიდა ასედაცა, ამოჭედილსაცა, თუ არაო და ბრწყინვალე საუნივერსიტეტო დარბაზებიდანაც ამოდიან ისევე მშრალადა, როგორც ბატები მდინარიდანაო. შედარება ძველია, არც ისე ძველი, რაც არის, არის, მთავარი ისაა, არც დაფიქრებულა, ისე გამოიჭედა ლენტოი, მაშ რაო, ორნი ერთად ვერ დაეტეოდნენ ზღურბლზედა, სხვაგან ფეხი არ მოეკიდებოდა ან მარცვალიც არ ჩავარდებოდაო. ჰო ესა კმარა... ჰო ლენტოც უკვე გამოიჭედა, მასწავლებელი მაშინვე არ მიჰყვა, რაღაცა სთქვა, გავიდა, შებრუნდა, ისევ გავიდა, ისევ შებრუნდა საუბრითა, ლაპარაკითა, კითხვითა, პასუხებითა, თავისივე პასუხებითა, რამეთუ არას მიუგებდა ლენტოი, მობრუნებაც აღარ შეეძლო ლენტოსა, გამოჭედილიყო, მისცეცებოდა კედელსა, სურათს მისცეცებოდა კედელზედა, სამი სვანი ეხატა სურათზედა, სამი სვანი, სამი დიდი სვანი პატარა ტილოზედა, სამი პატარა კოშკიცა, სამი პატარა სვანური კოშკი, კოშკები გაცრეცილი, სვანები მუქი, მუქი ერთპირიანადა, წამოყრილი მუხლებითა, მუხლებზე ხელის მტევნებითა, ვეება მუხლებითა, ვეება ხელებითა, ვეება მხრებითა და, ღმერთო ჩემო, ვეებაზე ვეება კისრითა თვითეული, წვრილი, წვრილზე წვრილი თავითა თვითეული, ჩამოფხატული სვანური ქუდებითა, ვეება ჭრილებითა, თვალთა ჭრილებითა ჩამოფხატული ქუდების ქვეშა. ეს უბრალოდ მოდერნად ითქმოდა, მაგრამ ვიღაცას მოენათლა აბსტრაქციონიზმადა, ჰო აბსტრაქციონიზმად მოენათლა და დაეწყო დევნა ასეთთა სურათთა, ასეთთა მხატვართა. ბგერათა დაჯგუფება თუ არ მოსწონებოდა აბსტრაქციონიზმში, ფაქიზი სმენა თუ შეძრწუნებოდა, ქმნილიყო უკვე პირველთაგანადა და ეთქვა სიტყვა პირ-

ეროვნული

ველთაგანი, — აბსტრაქციონიზმი ამოვარდესო. ამოვარდესო და აღძრულიყვნენ ამომგდებნიცა, თვითონ წინ უძღვოდა, მთელი მსოფლიო ამოედო ფეხქვეშა, სადაც მოხვდებოდა აგინებდა აბსტრაქციონიზმსა, აგინებდა და აფურთხებდა, რაც მოსძულებოდა, აბსტრაქციონიზმი დაერქმია ყველაფრისთვისა, ყველაფერს აფურთხებდა, ყველას აგინებდა ძველი სლავური სიტყვებითა თუ ღვარძლიანობითა. ოღონდ რაც უნდა ყოფილიყო, მართლაც მთლად ქვეყნიერება რო ამოედო ფეხქვეშა, აქ მაინც ვერ მოხვდებოდა ვერასოდესა, ამა ვიწროსა, დაბალსა ყოველის მომცველსა თუ უნივერსალურ ბინაში მაინც ვერ მოხვდებოდა, თუმცა იმისივე გამოგონება გახლდა დაბალჭერიანი და ვიწრო ბინები და ეს ლოზუნგიც იმისი გახლდა, ვაშენოთ სწრაფად, იაფად და ლამაზადო, — იფ, თანაც რო ლამაზადო .. თუმცა და ოღონდ მალე გამრავლებულიყო ისე, იმნაირადა, ისე უეცრად გამრავლებულიყო, ველარ გასწვდებოდა, ველარ შემოივლიდა სათითაოდა, თუმცა ტრაბახობდა, სიარულის თუ მოგზაურობის ტრფიალი ვარო, ტრაბახობდა და ასრულებდა კიდევაცა, ბოლოც მოელო სიარულშია, მაგრამ ეს მერე, ჯერ კიდევ ბევრი ჰქონდა სადავიდარაბო და თავშისაცემი. თუმცა ჰო, შედგადიოდა მასწავლებელიო, ლაპარაკობდაო თუ იკითხავდა, თვითონვე მოადევნებდა პასუხსაცაო.

ჰო შედგადიოდაო, რაღაცასა ცდილობდა, შედეგიც მოჰყვა იმა მცდელობასა, ვაშლი შემოიტანა პატარა კალათითა, პატარა, პატარა, სასაცილო პატარა კალათითა, ჩამოდგა პატარავე მაგიდაზედა, რა ვუყოთ თუ საწერ მაგიდაზედა, მერე რაო, — ჩამოჯდა თვითონაცა ოღონდ მაგიდაზე არა, არცა სკამზე, საწოლზე ჩამოჯდა, ხელსახოცი გადაჰფინა სკამზედა, ისეც მოიმარჯვა, ნათალი დაეყარა ზედა. მოიმარჯვა, მოთავსდა, არაფერს წამოსდებია, არაფერი ახრიგინებულა, საოცრებად ითქმოდა იმა სივიწროვეშია, საცირკო ნომრად გამოდგებოდა. ლენტოს მაინც ვერ გააოცებდა, — კარგი რამ გჭირდეს, გიკვირდეს, ავი რა საკვირველიაო, რუსთაველს დაესწრო, თორემ ლენტოც ადვილად გამოიგონებდა. გაკვირვებით მაინც გაკვირვებულიყო, მასწავლებელი ეუცნაურებოდა, ასე შინაურული, ასე გულითადი მასწავლებელი. წარბს არ გაჰხსნიდა პროფესორის ასული, წამწამსაც არ დაახამხამებდა, დრო არ დავკარგოო, მოწაფე არ გამიცუღლუტდესო. ეს არ დაგიდევდა პედაგოგიკის საზუთხავებსა, თლიდა ვაშლსა და ლაპარაკობდა ენძელას თასზე, მარტი დამდგარიყო, ენძელას თასზე ლაპარაკობდა, აპრილი დადგებოდა, აალაპარაკებდა ჩემპიონატი, ლაპარაკსაც აღარ იკმარებდა, ერთად ივლიდნენ სტადიონზედა, იქ გაიზუთხავდა მორფოლოგიისა თუ სინტაქსის წესებსა. არა, ასეც არ იქნებოდა, ალბათ არაო, თუმცა ვინ უწყისო, ყოველშემთხვევაში სად ისაო და სად ესაო, ის საკანდიდატოდ ემზადებოდაო... ოჰო, მერე რა იცი, ეგებ ეს უკვე კანდიდატიცაა, მეტიცაა კანდიდატზედაო. აი, კონიაკსაც ახსენებს, ოღონდ არ ივარგებს გაკვეთილის წინაო, მერეო, გაკვეთილის მერეო, ილიმება სანდომიანადა. კარგი ვინმე სჩანს, კარგი, ამასთან შეიძლება რაღაცა ისწავლოს ადამიანმაო. ყველაფერი მასწავლებელია, იქ თუ ვერ ისწავლა, ვერაფერი თუ ვერ გამოიტანა ორბისის სკოლიდანა, მასწავლებლებს მოეკითხებათ, იმათი ცოდოა, იმათი ბრალი. მცირე დანაშაულსაც არ აპატიებდნენ, ყველა უწიოდა, ყველა უკიოდა, სწყევლიდნენ ქალები, აგინებდნენ თუ მუშტებით მიიწევდნენ მამაკაცები, ვიდრე თვითონაც არ გაიწია, სხვის დანაშაულსაც ამას მიაწერდნენ, მგელზე მგელი ეგონათ, მიესეოდნენ გამომწყვდეული მგელივითა, ფარეხში ან სადმე გამომწყვდეული მგელივითა. ერთხელ ეთერიც შეაშინა და მერე მორჩა, მოთავდა ყველაფერი, სწავლა-განათლებაცა, ლანძღვა-გინებაცა, სკოლაში წოწიალიცა, ორიანებიცა, გაკვეთილებიდან გამოძე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვებაცა, ყველაფერი მორჩა, ყველაფერი, — ან მეო და ან ეგაო, ასე განაცხადა მერი მასწავლებელმა, დედამა ეთერისა, მერი სავანელმა, განაცხადა გარდუვალი სიმტკიცითა და ასე მორჩა ყველაფერი, მორჩა, მოთავდა... მოთავდა და ყველაფეერი მასწავლებლის ბრალიაო, ორბისელი მასწავლებლებისა, ყველაფერი მასწავლებელიაო. მაგრამ იქაც რო დაამთავრეს ზოგზოგებმა, გზაც რო გაიკაფეს? თუნდაც ეთერი, ო, ეთერი იგი ბრწყინავდა ორბისის სკოლაშია, უნივერსიტეტშიც მაშინვე მოეწყო, ცოლ-ქმრობის ორი ფაკულტეტიც უკვე დაუმთავრებია, სამესამოდაც ამზადებენო. ეთერი!.. ნეტავი შეახვედრა!... თუმცა ო, არა, ახლა არა, ფული რო უჭყაოდა ჯიბეში, ნეტავი შეჰხვედროდა, — ეს ნატვრაც მოასწრო, ჯერაც რო არ დაწყებულიყო გაკვეთილი, მხოლოდ კალათი ამოეთავებინა მასწავლებელსა, თავისი წილი შეეჭამა რაღა თქმა უნდა, ლენტოსი დაეჭრა, მიემარჯვებინა პატარავე თეფშითა, კალათაში ნათალი ჩაეყარა, ნათალი ვაშლისაი ცხადია, ნეკით ათამაშებდა კალათასა, გასატანად ათამაშებდა, შეეყოვნებინა რომელიღაც გურულ ანეკდოტსა, მოათავებდა და გაიტანდა თუ ახალს არ წამოიწყებდა რაღა თქმა უნდა. გამრავლებულიყო ეს გურული ანეკდოტებიცა, მრავალფეროვანიც გამხდარიყო, რაჭველებისა თუ კახელების დაცინვასაც როდიღა კადრულობდა, — რაღა სათქმელია, რაღა მოსატანია, — დიდ ამბებში ჩარეულიყო, გასულიყო დიდ ასპარეზზედა, მისტანებოდა დიდთა და დიდთა, განდიდებულთა, აღმატებულთა. ანეკდოტები თუ მისტანებოდა, ქილიკობდა ესეცა, თან ზურგთუკან იცქირებოდა. კარგი რამ იყო, ვინ გაექცეოდა ასეთ მასწავლებელსა, ვინა, აბა, თქვი, — განა ლენტო გაექცეოდა? ხვანებს წამოეყარათ ვეება ხელები, თითქოს უნდა აიყვანონ ლენტოიო.

და უცებ კარებს რაღაცა მოაწყდა, რაღაცა თუ ვიღაცა მოაწყდა, ზრიალი დაიწყო იმა თხელმა, [illegible] თუ მუყაოს კარმა, ზრიალი დაიწყო თუ კანკალი აუვარდა, მიაწყდა, მოაწყდა, აამოიკვნესა და განუტევა სული. ბიჭი მოსწყდომოდა კარებსა, ცხენიანეტლიანად მოსწყდომოდა, ცხენიაანეტლიანადვე შემოვარდა შიგნითა ან რა შემოვარდა, გარდერობს მიასკდა პირდაპირა, ლამის შიგაც შეიჯირითა, — შეიჯირითებდა კიდევაცა, ისე მოსძახოდა ფაფარაყრილ მერანსა, ჰო შეიჯირითებდა კიდევაცა, აქედან მამას რო არ გადაეჭრა გზაი, იქიდან დედა რო არ სწვდომოდა საყელოშია: ერთად იყოჩაღეს, ერთადაც აკრიფეს და გაიტაცეს დერეფანშია. მერე იქ ატყდა ბღლვინვა თუ ჭიხვინი, კედლებსა ფხოჭნიდა ფრთაგაშლილი მერანი, ჭერი ჩამოექცია თავგანწირულ მხედარსა. მერე კარი გაიღო, გარეთ გასავლელი კარი, გარეთ გავარდა ჭიხვინიცა, თავგანწირული კივილიცა მხედარისა, მერე კიბეებიდან მოისმოდა გუგუნი თუ ზრიალი, მიწყნარდა იქაობაც, მიწყნარდა, მიყუჩდა იქაობაცა და აქაობაცა, მიყუჩდა ყველაფერი ანუ პატარა ბინა მიყუჩდა, მდუმარებამ დაისადგურა, დაისადგურა ალბათ სულ ცოტა, სულ მცირე ხნითა, მაგრამ თითქოსდა საუკუნედ მოეჩვენა ლენტოსა, ტანმაც როგორღაც ცუდად უაზრა, წამოიწია, წამოაგდო ამ მდუმარებამა, იმ ხმაურთან მოუნდა, იმ მიმწყდარ ხმაურთანა, აქ რო მიმწყდარიყო, ოღონდ სადღაც რო მიჭიხვინებდა; წამოიწია და აქ ატყდა ხმაური, ჯერ ვერცთუ იოლად წამოიწია, მერე სკამი გაჯიქდა, შექანდა მაგიდაცა, ეტყობოდა ვერც ადგებოდა, მაგიდას თუ არ ააყირავებდა, სკამსაც თუ არ მიაყოლებდა თანა. თუ მართლა ხმაური მონდომებოდა, ესეც ხმაურიიო, მაგრამ არაო, ხმაურმაც შეაკრთო აქა, დუმილმაც ჰო შეაკრთო და შეაკრთო თუ არ ითქმის, შეაშინაო, — ვაჟკაცად მოჰქონდა თავი, არ გამოტყდებოდა ან ვითომ რა იყო შესაშინარი, თუნდაც ჯუნგლები დარქმეოდა იმა ვეება შენობასა, პატარპატარა ბინების ჯუნგ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლები?.. ჰოდა რა იყო შესაშინარიო, როცა გაიპო მდუმარებაცა, გამოცხადდა ახალგაზრდა ქალი, დედაი იგი, ცოტახნის წინათ რო მოსდევდა ალტყინებულ მხედარსა, ხილაბანდი ჩამოსჩეჩოდა, ასწეოდა თმაცა, წინსაფარიც მოჰქცეოდა გვერდზედა, — ეს მაშინა როცა მოსდევდა ალტყინებულ მხედარსა, ხოლო აწ სხვა გახლდა, უხილაბანდოდა, უწინსაფროდაცა რაღა თქმა უნდა, თმაგადავარცხნილი, სახედაწმენდილი, დაწყნარებული, ზომიერი, სადადმოსილი, უზედმეტო და მოხდენილი სამოსელითა, უზედმეტო და მოხდენილი სიტყვა-პასუხითა, გამოცხადდა და მყისვე ჩამოჯდა აბრეშუმის, ყვავილწნულებიან პატარა სავარძელზედა, გარშემო ბზა რო შემოსდევდა გრეხილადა და ქალების ოთახებს რო ამშვენებდა ოციან წლებამდისა. მაშინ ლილილოსფერი ორხოვაც ეფინა სავარძლის წინა, აქაც ეფინა, თუმცა მომცროი, მონარჩენი თუ მონახევი. სასანთლეც იდგა იქვე როგორლაცა, სასანთლეი შვიდთავიანი, მოოქროვილი თუ ოქროს წყალში ამოვლებული, თაფლის სანთლებითა, მეტნაკლებად ჩამწვარი სანთლებითა. კვლავაც ზღაპრულ სარკეს ემოქმედნა თუ თევზის ფხასა, აგრეთვე ზღაპრულსა, ოქროს თევზისა, სულერთია, გარდაქმნილიყო ოთახი იგი ან არც გარდაქმნილიყო, სარკე მოეწონებინა კუდიანსა და დაენახვებინა ბუდუარი ლამაზი ქალისა, — ეეე, ეგ არის შენი ოსტატი, ჰი, ჰი, ჰი, ისემც დაგირჩება თავი, შენ მაგისგან რამე გამოიტანოო. უნებლიედაც მიდრიკა კისერი ლენტომა, მართლა ჰო არავინ დამქირქილებსო, არა, არავინა!.. ლაპარაკობდა მართლაც მასწავლებელი, — ის თურმე ართობდა, ვიდრე მოიცლიდა მასწავლებელი, ვიდრე გაისტუმრებდა მოუსვენარ მხედარსა, ალტყინებულ მხედარსა, მამასთან ერთადა რაღა თქმა უნდა, — ლაპარაკობდა ძალდაუტანებელი სასიამოვნო ხმითა, მკაფიოდა, სულმოთქმითა, კანთიელადა, ყოველი ბგერის ხატოვანების წამოჩენითა, იშვიათად რო სჩვევიათ თვით ენების მასწავლებლებსაცა. სცოდნოდა კოტესა თუ ვინ გამოერჩია ოსტატთაგანა, მხოლოდ შეგირდის არჩევანი აღარ გააჩნდა, ლენტო შერჩენოდა, არადანი შერჩენოდა, ეგ იყო და ეგა. რაც იყო, იყო, იჯდა არადანი, იჯდა თუ გამოჭედილიყო ცოტა ალეწილი, ცოტა დაზაფრული, ასე ნაწილნაწილადა, იჯდა და ისმენდა პირველ სიტყვებს ახალი ოსტატისა:

— უნდა გამოგიტყდეთ, — ამბობდა მასწავლებელი, — მიძნელდება თქვენთან მეცადინეობის დაწყება, ყველა დასაწყისი ძნელია, მითუფრო ჩემთვის ეს დასაწყისი. ჩვეულებრივ, მოწაფეები შინ არა მყოლია, არც პირობები მაქვს საამისოდა, არცა ხალისი, არცა დრო, ინსტიტუტში ძალიან დაგვტვირთეს, მაგრამ ეს არაფერი, არაფერი, კოტე ბავშვობის მეგობარია ჩემი მეუღლისა, ახლაც არ ეთმობათ ერთმანეთი, ძირს არ დავუშვებთ იმის თხოვნასა, გვთხოვა, შევასრულებთ ხალისითა და სიამოვნებითა, მთავარი სხვა არის, სხვა რამ მიძნელდება: ასწავლე უცებ, სწრაფად, სახელდახელოდაო, იმდენი ასწავლე, საექსტერნო გამოცდები დაიჭიროსო, ასე დამიბარა და სიძნელეც ეს არის. ასეთი სწავლა არ გამიგონია, ბევრი რამ გამიგონია ასეთი, მაგრამ სწავლა არ გამიგონია, ყოველშემთხვევაში მე არა მჯერა თუ რამე ისწავლება ამნაირადა. მე ერთი ვიცი, ენა უნდა ვასწავლო, ეს „სახელდახელო ჩასაბარებელი" გამოცანაა ჩემთვისა. თქვენ როგორ ფიქრობთ?

ვერაფერი მიუგო ლენტომა, რაღა თქმა უნდა ვერაფერი მიუგო.

— ბევრი ვიფიქრე, მაგრამ ეს გამოცანა მე ვერ ავხსენი, ჩემს მეუღლესაც გაუჭირდა, — განაგრძო ისევ მასწავლებელმა, — კოტესაც ბუნდოვნად წარმოუდგენია, მაგრამ იმისი მოვალეობა მაინც ადვილია, თხოვნაა მოვალეობა იმისი, ჩემი მოვალეობა რთული, შესრულებაა მოვალეობა ჩემი. მეგონა, თქვენ მაინც განმიმარტავდით, მაგრამ ასე სჩანს, თქვენც კოტესავით წარმო-

 

გიდგენიათ, — ოდნავ გაიღიმა, მასწავლებლის ღიმილითა რაღა თქმა უნდა, — თუმცა ეგება როგორმე ამიხსნათ, ან ეგება კოტემ დაგაბარათ რაიმე?

კვლავაც ვერ მიუგო ლენტომა, მხოლოდ თავი გაიქნია, არაფერი დაუბარებიაო, ნიშნად ამისა.

— ასე გადავწყვიტე და ჩემი მეუღლეც ამ აზრისაა, — ცხადია ისევ მასწავლებელმა განაგრძო თავისი, — დავიწყოთ ჩვეულებრივადა, როგორც მისწავლია, როგორც მისწავლებია, როგორც მიმაჩნია უმჯობესადა, თავიდან დავიწყოთ, მივყვეთ თანდათანობითა, რასაც მოვასწრებთ, ის იქნება, მერე თქვენ იცით, გამოიყენეთ როგორც გენებოთ თუ გამოგადგებათ. სხვა რა ვიღონო?.. დამეთანხმებით;

ვერ უპასუხა, ვერც დაიქნია თავი, ვერც გაიქნია საუაროდა, კისერი ჰოარ გასშეშებოდა? ამას მასწავლებელი არა ჰკითხავდა რაღა თქმა უნდა, სხვასა ჰკითხავდა, სხვა რამის გაგება მონდომებოდა, კმაროდა საუბარი წინასწარი, გაკვეთილი უნდა დაწყებულიყო და იმასა ჰკითხავდა თუ უცხო ენათაგან რომელი ესწავლა სკოლაშია. ამისი პასუხიც რო გაჭირდებოდა? არათუ იმიტომა, ვითომც ენა ჩავარდნოდეს ლენტოსაო, არათუ იმიტომა, ვითომც მართლაც გასშეშებოდეს კისერიო, არა ცხადია, მხოლოდ იმიტომა, თვითონ ჰოარ უსწავლია და არა, არც ის დახსომებია თუ რომელს ასწავლიდნენ ორბისის სკოლაშია, — არ დამახსოვრებია თუ მაშინვე არ გაეგებოდა სულერთია. მასწავლებლისთვისაც სულერთი გახლდა, ნათელი გახლდა, დიდადაც აღარ ჩასძიებია, ინგლისური იყოსო, ინგლისურით დაიწყო... ჩინურიმც ყოფილიყო, ეს უკვე ვეღარ მოიკრეფდა გულიყურსა, მორჩა, მოთავდა სურვილი სწავლისა, ქალის სურვილმა დაჰრია ხელი, იმა სურვილმა, იმა გზნებამა თუ დაბნეულებამა, რამაც დაიფრინა პროფესორის ასულისაგან. აქედანაც იგივე ეწერა, ამ წუთში თუ არა, გაკვეთილი მოთავდებოდა თუ არა, გაკვეთილი იგი, იგი პირველი იქ მაინც კარგახანს იარა, კარგახანსაც გაუძლო ამა ცდუნებასა, აქ ვერა, ვეღარ გაუძლებდა, იქ ელისო ეგულებოდა, კიდევ ჰქონდა იმედი ელისოსი, აქ დაჰკარგვოდა, — ვეღარ გაუძლებდა უელისოდა. რა დროს განუდგა, რა დროს უღალატა? ალბათ ღალატი სწორედაც ეს არის, სხვა ყველაფერი მოგონილიაო. ან ეგება ელისოც არ არის ბრალეული, გაუჭირდა და უსუსტა ნებისყოფამა, გაუჭირდა და აენთო სურვილი, გახელდა წყურვილი, ყველაფრის სურვილი, წყურვილი ყველაფრისა, თავმოყვარეობაც დაიშალა, ნებისყოფაცა, მადლიერების გრძნობაც მოესპო, წყალმა წაიღო პატიოსნებაცა, — ვინ იცის, ვინ უწყის, გასაკვირველი რა უნდა იყოს, როცა ბევრი გსურს და არაფერი გაგაჩნიაო, — ჰოდა ელისოც არ იქნება ბრალეულიო. რაც უნდა იყოს, ზოგ რამეს მაინც მოერეოდა ელისოს იმედითა, ამ ავარდნას მოერეოდა, მოერეოდა ამა სიმზაკვრესა, ყურს დაუგდებდა გულმოდგინედა, დაისწავლიდა ამ ჩინურსა თუ ინგლისურსა, ჯანდაბას, რაც იყო, დაისწავლიდა, რაღაცას მაინც დაისწავლიდა, რაღაცას მაინც გაუმეორებდა საექსტერნო კომისიასო. კოტეც ჰო ამას ჩასჩიჩინებდა, „რაღაცა“ გაიგე, „რაღაცის“ თქმა შეგეძლოს, სხვა მე ვიციო ,მაგრამ ვაი, რო სწორედ ეს „რაღაცა“ გამოკეტილიყო ცხრაკლიტულშია. გამოკეტილიყო და გამოკეტილიყო, ჯანდაბას ყველა „რაღაც-რაღაცები“, ინგლისურიც ჰო ჯანდაბას გაისტუმრა, ჩინურიცა, სხვაც მიჰყოლია, საექსტერნო კომისიაცა, საღამოს ფაკულტეტიცა, დაუსწრებელი განყოფილებაცა, თვით გამანშალებული დიპლომიცაო, სანაღვლებელი სხვა რამ გამხდარა, სხვა რამით დაჩაგრულა, სხვა რამით შეძრწუნებულა: კარი გაუღო წესიერმა ოჯახმა, ოჯახმა პატიოსანმა, უაუგომა, მინდობილმა, მისანდობარმა, სასიკეთოდ გაუღო კარი, გაუფინა ფიანდაზადა, ამან ფეხიც არ გაიწმინდა კარის დირესთანა, ტლაპოც არ დაჰყარა, თან შეიყოლა

ქუჩის ტლაპოცა, კუთხის ანგელოზსაც არ გაუსწორა თვალი, ეშმაკი ჩაიხუტა, თვალნი აუმღვრია თუ აუბა მაცდურმა. აი რა გამხდარა სანაღვლებელი, რას წაუღია გაგებაცა, მეხსიერებაცა, თვით თუთიყუშის უნარიცა, — ემუდარება, გაიმეორეო, ვერ იმეორებს. მაინც არა ჯავრობს მასწავლებელი, ილიმის შემწყალედა, ილიმის და ამართლებს, პირველად შეიძლება ასეც მოხდესო, მერე და მერე გაიმართებითო, ჰო ილიმის და უციალებს ჯვრისწერის ბეჭედი, თვალებიც უციალებს ნიშნად შეწყნარებისა, პირველი გაკვეთილის დამთავრების ნიშნადაცა.

IX

...„უკეთუ არა მღვიძარე იყო, მოვიდე შენ ზედა, ვითარცა მპარავი, და ვერ სცნა, რომელსა ჟამსა მოვიდე შენ ზედა...“

ესო ჰო ესაო და კიდევ სხვა მისამართი დაახვედრა კოტემა, იქ ბიოლოგიას გაგამეორებინებენო, დიახაც ასე — გაგამეორებინებენო, მართლაც გამეორება დაერქმეოდა თუ რაც იყო, აღარას დაგიდევდა, სატანჯველად თუ გადაქცეულიყო ლენტოსთვისა; არც აღარას დაგიდევდა, აღარც ეცალა, აჩქარებულიყო, აფოფინებულიყო, — რამდენიხანია მიეწვია გ...ს თეატრსა, რამდენიხანია მიათრევდა ერთ პიესასა, მიათრევდა უგემურადა, რის ჩანჩალითა, ვაინაჩრობითა, რეპეტიციებიდანვე უნდა მოხსნილიყო, არც მოხსნილიყო, ამიტომ მიათრევდა ვაივაგლახითა და აი უცებ შეხურებულიყვნენ სადღაც ვილაცანი, შეეხურებინათ თეატრიცა, შეეკეთებინათ ცეცხლი, ჩქარა პრემიერაო, შეეკეთებინა და აფოფინებულიყო კოტეცა, აფოფინებულიყო და აღარ ეცალა ლენტოსთვისა, კიდევ ახალი მისამართი ჰო მიასწავლა, აპარატიც ჰო მისცა, — სალაპარაკოდა თუ გულის გასახსნელად აღარ ეცალა. ჯერ მაინც რაო, ყველაფერი გარკვეულიყო, გარკვეულიყო კოტესთვისა, ეგონა, ლენტომაც გაარკვიაო. ისემც რა უთხარი!.. ის რაც იყო, იყო, ახლა ეს აპარატიც აჩქარდა, [illegible], დაილებდა, გადაიგდებდა ზურგზედა, დაბორიალებდა უაზროდა, რა ექნა, რა ელონა, ველარ გაეგნო; უაზროდ ჰო დაბორიალებდა, უაზროდაც შეჰყურებდა იმა ძეგლის გარშემო მოხროვილ ხალხსა, ხალხიც თუ უაზროდ მოხროვილიყო, ხალხიც თუ უაზროდ დაბორიალებდა, ან იდგა გუბედა, ტბორად იდგა, იდგა დუბელადა, როგორც ის წყალი, გარს რო მოჰხვეოდა იმა კუნძულსა, ოდესღაც მოჰხვეოდა, ახლა ნაკუნძულარსა და პარკსა. ამდენი ხალხი აღარც შეყრილიყო როდის აქეთია. რამდენიმე მოხუცი თუ დაჩლატუნებდა ხოლმე ან დიდედები დააგორებენ გორგოლაჭებსა და მშრალ საწოვარსა თუ რძიან საწოვარსა სჩრიდნენ გაჭირვეულებულ ჩვილებსა, რომელთა დედები ვინ იცის სად ირთმევდნენ სულსა, სადღაც სამსახურში თუ რაღაც მინამგვანში, ან იმიტომ, რო აუცილებლობას ვერსაით წასვლოდნენ, ან იმიტომ, რო ყველაფერი ერჩივნათ ბავშვის გაზრდასა, ასეც დატრიალებულიყო წუთისოფელი, ყველაფერი ერჩივნათ, ყველაფერი, ბავშვებთან ტრიალსა. ჰოდა ბერიკაცებიო, ჰოდა დიდედებიო, უთავშესაფარო თუ მალული წყვილებიცა, ჭადრები, ნაძვები, ვეება ბუჩქები ლაშქარს დაჰფარავდა, წყვილები რა იყო. ძეგლიც შთაინთქმოდა ატაცებულ ხეთა შორისა, ვეება მოედანი რო არ დაეგდოთ ძეგლის წინა, უდაბურ კუნძულს დაემგვანებოდა, გზები რო არ შემორტყმოდა გარსა, გზები ტრამვაისა, მანქანებისა, გარდაქმნილიყო გული ქალაქისა, ხალხმრავლიანი, საქმიანი, ხმაურიანი, გადანერგილიყო გული ქალაქისა, შორს გაჭრილიყო, გაჭიმულიყო დიდი ქალაქი, გაჭიმულიყო, გაწელილიყო, გულიც წაელოთ, გადაენერგათ. და იდგა ძეგლი მარტოდმარტოდა, თვალმოუკიდებლად იდგა და იდგა, მაღლა ახედვა არ უხერხდებოდათ დიდედებსა, არაფერი გაეგებოდათ გორგოლაჭებში ჩაფუთვნილ ბავშვებსა, ხოლო ბერიკაცებს გაზეთები ეჭირათ ხელში, — გაზეთებში სულ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ის ეხატა, ყოველდღე და ყოველ გაზეთში, ეხატა და ეწერა, ვიდრე რო ცოცხლობდა, გარდაიცვალა და დაივიწყეს გაზეთებმაცა, პირველყოვლისა იმათ დაივიწყეს, დაივიწყეს, დაივიწყეს. და უკვირდათ ბერიკაცებსა, შეჩვეულიყვნენ და ველარ გადაჩვეულიყვნენ. უკვირდათ. უკვირდათ. ძეგლებსაც შესჩვეოდნენ. ვინ უწყის თუ ძეგლებიც აღარ იქნებაო, ანთუ იქნება, როგორ იქნებაო, თუ ეს არ იქნება, ვინ იქნებაო და თუ ის იქნება, ეს რატომ არაო, ვისაც რო უკვე შესჩვეოდნენ, — შემომატებოდათ კითხვები, შემომატებოდნენ ბერიკაცები ბერიკაცებსა, შემომატებოდნენ სხვანიცა და სხვანიცა, არეულიყო ყველა ასაკი, არეულიყო, არეულიყო, კითხვებიც ეგრევე არეულიყო, კითხვებს კითხვები შესჭიდებოდა, პასუხი პასუხად ვერა ვარგოდა, აღარაფერი ჩაითვლებოდა პასუხადა, აბურდულიყო ისე კითხვანი. ასე გათქვეფილიყო აზრი, გონიერება გათქვეფილიყო და იდგა დუნდგო ძეგლის გარშემო, დუნდგო ერთფერი, ერთი სახისა ანუ ერთბაშად გაუსახურებული. არცა ცხელოდა, არცა ციოდა, არცსად წვიმაო, არცსად ქარიო, კარგი ამინდით დამდგარიყო მარტი, არაფერი შეაწუხებდა, ვერაფერი დაშლიდა ამა დუნდგოსა, უმოძრაოსა, უთავბოლოსა, ვერც ვერავინ დაშლიდა, არც არავინ უყრიდა თავსა, მაინც მოდიოდნენ, მოედინებოდნენ, სანაპირო იჭედებოდა, ხიდები ველარ იტევდა ხალხსა. ალბათ გადაიკეტებოდა გზები, თუმცა ჯერ არაო, მაინც მიხრიგინებდა ტრამვაიცა, მიგრიალებდა ავტომანქანებიცა, მართალია საყვირითა თუ ზარის წკრიალითა, მაინც გავიდოდა, გააღწევდა თვითეული მათგანი, ჯერ ყველა ეტყოდა, ხალხიც ეტყოდა, მანქანებიცა. ჯერ არავინ არაფერს განაგებდა, ჯერ ყველა მხოლოდ დაბნეულიყო, უწესრიგობა მერე მოჰყვებოდა, წესრიგის აღდგენას რო მოინდომებდნენ, მოქმედებაც მაშინ იქნებოდა, კინოც მაშინ გამოვიდოდა, შინაარსი მოქმედებას მოჰყვებოდა, დუნდგომ არ იცოდა შინაარსი. უაზროდაც ამიტომ, იდგა [illegible], თუ დაბორიალებდა, დაბორიალებდა ისევე უაზროდა, დაბორიალებდა, ოღონდ ირგვლივა, ნაპირ-ნაპირა, შიგ ვერ შეეღწია, თითქოს ვერც ვერავის შეეღწია შიგნით-შიგნითა, მოდიოდნენ თუ მიდიოდნენ, მხოლოდ ნაპირებს თუ შეეტყობოდა, ტბა იდგა ის უძრავი, შეკრული, ერთქმნილი, შენივთული. დუდუნიც ისმოდა, არცთუ მაღალი, არცთუ დაბალი, ერთობლივი და გაურკვეველი, რამეთუ ყველა თავისას იტყოდა, გამგონე არ იყო, მთქმელი არავინ იყო, ძეგლი თუ გახლდა თავმომყრელი, თქმა აღარ შეეძლო ძეგლსა, არცრა ამოსახოდა, გამომეტყველებაც არაფრისა ედო, არცა ტკივილისა, არცა სიხარულისა, არაფრისა, არარაისა. გარკვეულად ვერც წარმოედგინათ ეს ადამიანი, მოქანდაკენი გაჯიბრებულიყვნენ მხოლოდ იმით თუ ვინ უფრო დიდად გამოსჭრიდა, ვინ უფრო ვეებად აღმართავდა, უსაშველოდ დიდადა, უსაშველოდ ვეებადა. და იდგა დიდი, იდგა ვეება, უტკივილო, უსიხარულო, უსახური, გამოუთქმელი. რაღაცის გაღაღება მაინც შეიძლებოდა, ამ დუნდგოს გაღაღება მაინც შეიძლებოდა, ამ მოზღვავებული თუ მოტბავებული ხალხისა, ბოლოსდაბოლოს ამდენი აზრი მაინც მოიკრიბა ლენტომა, ოღონდ არცთუ აჩქარებულა, მოესწრებოდა, წამისა გახლდა, თუნდა წუთისა, მოესწრებოდა ადვილადა და კვლავაც თუ იდგა ან დაბორიალობდა, უაზროდ როდილა, უკვე ამ აზრით დაბორიალობდა. ალბათ თანდათან თვითეული თუ ყველა ასე მოიკრებდა აზრსა, ზოგი მეტსა, ზოგი ნაკლებსაცა, ყოველშემთხვევაში ვიღაცა შემოჰკრებდა, რაღაცა შემოჰკრებდა, ერთად ბლომად გამოვიდოდა, ერთადაც დაძრავდა, აიყოლიებდა, ძალად იქცეოდა დაძრული მორევი, დაიქუხებდა, რაღაცას დაიტანდა თუ ვერ დაიტანდა, ქუხილი მაინც გავარდებოდა, გავარდებოდაო, მაშ როგორაო, ხმა ჰო ჯერ ვერავის შეუბორკავსო. ეს ბევრისაო, დიდ ხმაზეც ითქმოდა, ხოლო ერთის ხმაც ძლიერად და-

ეჯახა ლენტოსა, ხმაი აღმომსკდარი მეტად მკვახედა, აღმომსკდარი ნაგუბარიდანა:

— გადაიღე, რაღას უდგახარ?!

ხმაც ეუცნაურა, მიხედვაც არ უნდოდა, მაინც მიხედა ცერადა, გვერდულადა, — ბეგლარი გახლდა რაღა თქმა უნდა, წამოგზნებული, ატანილი, ძლივს დაოკებული, აქენჩრილი ჯაგარა თმითა, ჭრელი, შავ-თეთრიანი ყელსახვევითა, ცალი ფოჩი რო ზურგზე გადაეგდო, ცალი გულზედა და აწვალებდა გულსდაფენილსა, წიწკნიდა, გლეჯდა, თითქოს წეწავდა ძარღვებს გულისაო.

— ოჰო, ეს მაკლდა, მბრძანებელი მაკლდა!.. — ჩაიცინა ლენტომა, ცივად ჩაიცინა, სიბრაზე დაჰფარა, ვერც დაჰფარა ცივი სიცილითა.

— უკვე გიბრძანეს!..

— და აქაცა ვარ...

— მერე რას უცდი?!

— მე ვიცი...

— ისეთი რა იცი?!

— ისეთი არაფერი...

— გადაღება ჰო იცი?!

— ჰმ!..

— ჰოდა გადაიღე!..

— რა გადავიღო?

— ხალხი!..

— გაქვავებული?!

მაინც წინ გადმოიგდო აპარატი ლენტომა, მაინც შემართა, როცა იქნებოდა ჰო უნდა დაეწყო, ჰოდა დაიწყო. მერე ის ფირები რო გაამჟღავნეს, ამოიკვეთა სახე მრავალნაირი, მოძრაობაც მრავალგვარი, თურმე არც ისე გაქვავებულიყო ხალხი, მხოლოდ მოლოდინით შეპყრობილიყო, მოეცვა მოლოდინსა, მოლოდინს აეტანა. სურვილსა ერთსა ერთნაირადაც როდი აეწყო, ზოგი ნაღვლიანად დალოდებოდა, ზოგი უნაღვლოდა, ზოგი ეშხიანადა, ზოგი უეშხოდა, ზოგი ატაცებულადა, ზოგი გულგრილადა, ზოგი იმედიანადა, ზოგი უიმედოდა, ზოგი დაღლილადა, ზოგი დაუღლელადა, ზოგი მხნედა, ზოგი გაბეზრებულადა, მრავალნაირადა, მრავალგვარადა, მეტნაკლებობაც გამოერჩია ობიექტივსა, მეტნაკლებობა მწუხარებისა თუ სხვა განცდისა, მოძრაობაც გამოერჩია, მოძრაობა ერთ ადგილასა, ბრუნვა, ტრიალი, ნელი, მძიმე, ოღონდ მაინც წადილი ძეგლთან მიახლოებისა, რაც შეიძლება მიახლოებისა, მერე ტრიალი ამა ძეგლთანა, თავგამოდება იქ სადმე ახლოს ფეხისმოსამაგრებლადა, ამაო ჯახირი, კვლავ გამოტაცება, ისევ წადილი დაუმცხრალი მიახლოვებისა, აცდენა სწორი დინებიდანა, სულაც გასხლეტა თუ კვლავაც მოხვედრა იმა დენაშია, ძეგლს რო შემოუვლიდა გარსა. ისიც გამოერჩია ობიექტივსა, ყვავილები თუ როგორ გადაჰქონდათ, — ვისაც მოეტანა, როდის მიაღწევდა ვინ იცის ისა, გადააწოდებდა, გადადიოდა თავზევითა, მიცურავდა, მისრიალებდა, დაიშლებოდა, შეიკონებოდა, კვლავ გაიფანტებოდა უხერხულად გამოწვდილ ხელებშია, გაიყოფდა ან გაიწეწებოდა, სანახევროდაც ეგება მიაღწევდა ძეგლამდისა თუ არა ამოიდებოდა ფეხქვეშა, რა ვუყოთ მერე, თავზევითაც მიაციმციმებდნენ, ფეხსაც დაადგამდნენ, ჩასრესდნენ უმოწყალოდა, რაიღა ფეხქვეშ მოექცეოდა. ვიღაცას მაინც არ დაენებებინა თავისი თაიგული, თვითონ შესდგომოდა გაუკაფავ გზასა, შესდგომოდა და ვერც შესდგომოდა, ხან იქით, მტკვრის მოაჯირისაკენ მისრესილიყო ხელებაწვდილი, თაიგულაწვდილი, ხან იქითა, მშრალხიდის ქვეშ ასავსავებდა ხელებსაცა, თაიგულსაცა, გაწვდილ ხელებსაც იგერიებდა, მიიწევდა თავგადაკლული, აწეწილი თმითა, სახითა, მთლად აწეწილი. ვიღაცას სურათი გაეძღოლებინა, ერთი უკვე მიეტანათ იქამდისა, — მისივე სურათი რაღა თქმა უნდა, — ძეგლის ლაჯებში გამოეჭედათ, მისივე ლაჯებში რაღა თქმა უნდა, სურათი იგი გენერალისიმუსობის დროისა; ვიღაცას სხვა გაეძღოლებინა, ცხრაასხუთისა თუ მესამე დასის ვითომდა უმცირესობის ხანისა, ცრუ ისტორიის ცრუ ხანისა, ანთუ ეშმაკი თუ გაარკვევს, ანთუ ვისაც ენებოს, იმან გაარკვიოს, ყოველშემთხვევაში სურათი

იმნაირი ყელსახვევითა. ბეგლარს რო გადაეგდო მხარზედა, ანთუ საიდანაც რო გადმოეღო ბეგლარსა; ჰო გაეძლოლებინაო, ოლონდ აქანავებდა ერთ ადგილასა, ნაბიჯი რო ველარ წაედგა წინა, რო არც არავის ანებებდა, თორემ ეტანებოდა იმდენი ხელი, ზედ რო სრიალით გადაივლიდა, ოლონდ რო ველარ გამოიჭედებოდა ლაჯებშია, მიეყუდებოდა მარჯვენასა თუ მარცხენა ტლოკზედა, რომელი მხრითაც მიატანდა იმა ტლოკზედა: იქით ალბათ სხვას მიადგამდნენ. პირველი ხუთწლედისა თუ კონსტიტუციის ყამინდელსა, მერე კიდევ სხვასა და კვლავაც სხვასა, მხრებზეც ჩამოჰკიდებდნენ, გულზედაცა, ადგილს ალარ დაუტოვებდნენ, შემოსავდნენ თავისსავე სურათებითა. ძნელი სათქმელია თუ რა უნდოდათ თუ რას გამოჰხატავდნენ, ძნელი სათქმელია, ძნელი ასახსნელი, როგორც კიდევ ბევრი სხვა რამე იმა დღეებისა, ოლონდ ეს მაინც, ეს სურათები, მოზღვავება ამ სურათებისა, ეგება ჩვეულებისაგანაც იყო, თავდაპირველად იძულებისა, მერე ჩვეულებად გარდაქმნილისა, საოქტომბრო თუ სამაისო ზეიმები, სხვა რამ ზეიმები, დიდი თუ მცირე, რო არ შეიძლებოდა გარეშე ამა სურათებისა, ოლონდ ესაა, ჩვევადა ქმნილიყო თუ რადაცა ქმნილიყო, მაშინ ყველა იმასა ნატრობდა, ეგება გადავრჩე, ეგება მე არ მომაჩეჩონო, — ახლა ალარავინ მიაჩეჩებდა, არავინ უბრძანებდა, არავინ აშინებდა, მაინც მოჰქონდათ, მოარბენინებდნენ, ძეგლამდის თუ ველარ უწევდნენ, ეგეც არაფერიო, აწოდებდნენ ხეებზე ახუნძლულ ბიჭებსა, ბაწარსაც მიაწვდიდნენ, მოხერხებულად ჩამოკიდეთო. ცდილობდნენ, ოლონდ კარგადაც ვერ უხერხდებოდათ, თუ ვერ დაჰკიდებდნენ, ბაწარს მაინც შემოარტყამდნენ, ისე მიაბამდნენ ხესა და ება ხეებზე გაბაწრული, ება მრავლადა, სხვადასხვა დროისა, სხვადასხვა ხნისა რალა თქმა უნდა, ოლონდ იგივე, გაბაწრულიც იგივენაირადა. ვინმე ხატის მონაც გამოეპქ-რა ობიექტივსა, თმაწვერგაჩეჩილი, კისერზე ჯაჭვ[illegible]შველა, — გარეჯის უდაბნოდან უნდა იყოსო, მაშინ ამბობდნენ, თუმცა ვინ უწყის თუ საიდან გადმოვარდნილიყო, თუმცა რაო, გადმოვარდნილიყო თუ შემოვარდნილიყო სულერთია, როგორლაც სასაცილო დამატებად გამოდიოდა მთელი ამ ამბისა, რამეთუ ალარავინ ალარაფერი იცოდა ხატის მონისა თუ დავით გარეჯის უდაბნოსი. არცა იყალთოისი თუ გელათისა, სხვა რამე იცოდა, იცოდა თუ სად რა ქარხანა შენდებოდა, სად რამდენი ჩაი მოეკრიფათ, ასეთ-ასეთები წვრილად იცოდა. ცოდნაც ეს არისო, პროგრესიცაო, სხვა ყველაფერი დანაშაულიაო. და ვთქვათ, სასწაული რამ მომხდარიყო, სული ჩაედგა იმა სურათებსა, გაბაწრულ სურათებსა, იმავესა ბრძანებდა მაინცა და უსათუოდა, იმავესა გარდაუვლადა, გაუტეხელადა, ბრძანებდა — ჩამოეხრჩოთ მონა ხატისა, მყისვე, იქავე, საჯაროდა, ასე თვალდათვალა. სხვაც ბევრი რამ გამოერჩია ობიექტივსა, თვითონვე, თავისთავადვე გამოერჩია, ლენტო ჩართავდა, დაატარებდა, სხვა არაფერი, ვერც ვერაფერს მოინიშნავდა წინასწარა, ვერც ერთ ადგილას დაერჭობოდა, ვერც გაჩერდებოდა, არც გააჩერებდნენ, დინება წაიღებდა, ათრევდა, აპროწიალებდა ან გაინაპირებდა თუ გასტყორცნიდა, მერე ისევ რო ჩაეთრია, რო ისევ წაელო ძეგლისკენა, წაელო და წამოელო, ნაფოტივითა, მორევში ჩაგდებული ნაფოტივითა. ეგრემც ყოფილიყო, როგორც უნდა ყოფილიყო, აპარატი თავისას იქმოდა, ამოჰქონდა და ამოჰქონდა სახეები, მოძრაობანი, განცდა ამოჰქონდა ცალკეული თუ ერთობლივი, ისიც შეეტყო, მოლოდინი ვით იშლებოდა, მოუთმენლობა ვით იზრდებოდა, ოლონდ ესაა, თვითონ ლენტოსვე როდი გამოუმჟღავნებია ის ფირები, არც გაუგია თუ როგორი რა გამოსულიყო. ერთხელაც რო გაინაპირეს თუ გასტყორცნეს უეცრადა, ვილაცა შეეხო იდაყვზედა, ბო-

[illegible] შეეხო, ბოდიშითვე ჰკითხა, სადახ ხარო.

— კინოსტუდიიდანა... — ცოტა არ იყოს შემცბარივით მიუგო ლენტომა, რომ მოაწრო და თვალი რო შეავლო თავიდან ბოლომდისა, წითელი კანტები შეამჩნია მარვალზედა. ისე, ჩვეულებრივ ემოსა უცნობსა, სამოქალაქოთ რო იტყვიან, ისე, იმგვარადა.

— დავალებითა...

— ჰო... აბა რაო!

— ვისი?

— რეჟისორისა...

— რომლისა?

— ჰმ, ჰმ, ჰმ!.. კოტე...

— ბლოელისა?

— ჰო...

— კეთილი და პატიოსანი, მომეცი!

ჰოდა ასეო, ლენტოს როდილა გამოუმჟღავნებია ის ფირებით, არც სინანული მოჰკიდებია თუ რად ჩამომართვესო, ანუ თუ მიმხვდარა, ჩამოართვეს თუ მოსთხოვეს წესისამებრა, იმ წუთს არ მიმხვდარა, მერედა მიხვდა, ბეგლარი რო მიაგდო ტალღამა საიდანღაცა, ბეგლარმა რო იკითხა, ვინ იყო თუ რა უნდოდო.

— ფირები... — უბრალოდ მიუგო ლენტომა. უბრალოდა, ალალგულადა.

— ფირები?!

— ფირები...

— მერე?!

— წაიღო...

— რაო?!!!!!!!...

— წაიღო...

— ვინ გითხრა, მიეციო?!

— ვინ მითხრა, არ მოსცეო?!

— რას ამბობ?!

— ვინ მითხრა?!

— აჯამი ხარ, ვიღაცა ხარ!..

ჰოდა მაშინღა მიხვდა თუ რამეს მიხვდაო, ოღონდ მაშინაც ბრაზი მოეკიდა, სიბრაზემ შთანთქა თუ რამეს მიხვდაო. ბრაზი მოჰკიდა ბეგლარის ნათქვამმა რაღა თქმა უნდა, აჯამი ხარო, ემწარა და პასუხიც მწარე უნდა მიეგო, მაგრამ ვერ იქნა, ვერ მოიგონა ისე უცებ, ტალღამაც წაიღო ერთი აქეთა, მეორე იქითა, წაიღო, გაიტაცა [illegible] თუ დაატრიალა, ვერც ხმ[illegible]ა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დასცდა თვალიცა, მერე როდისღა შეამჩნევდა, ისედაც დაბნეული ტალღები, ბინდიცა წვებოდა, ბინდიცა წვებოდა და ჭრელდებოდა ყველაფერი, ხეები, ტბორები ადამიანთა, გაბაწრული სურათები, ძეგლი ვეება, ჭრელდებოდა და ჭრელდებოდა, იძირებოდა სიჭრელეში, ინთებოდა შუქები ქალაქისა, ინთებოდა თუ ჩაღდებოდა რეკლამები უშნო, უხეირო, შორით შორს ინთებოდა, ჩაღდებოდა შორით-შორსა და იქამომდე ციმციმიღა აღწევდა. შუქი ველარა, ნათელი ველარა. იქავეც თუ ციმციმებდა მომცრო ნათურები, ციმციმებდა ოდენ თავისთვისა ან ისიც მხოლოდღა სიჭრელეს თუ მატებდა იქაობასა. კარგახანია ჩაექროთ დიდი ნათურები, შუქურები ჩაექროთ, ძეგლს რო აბრიალებდა შებინდებიდან განთიადამდე, ღამეს რო აქრობდა იმა მიდამოში, მარადიული შუქით რო ავსებდა ძეგლსა. იქითაც, ნარიყალაზეც, მარადიული დიდების რეკლამებიც ჩაექროთ ან სულაც აეყარათ, ყოველშემთხვევაში ალარაფერი გამოსცემდა მარადიულობისა თუ უკვდავების სხივებსა. თუმცა ეს რაო, ვერც ის მოიტანდა აქამდის ნათელსა, ამას თავისი შუქი უნდოდა, არ იყო შუქი, იყო სიჭრელე, მღვრიე, ლიბრი, უფროდაუფრო რო ლიბრდებოდა, უფროდაუფრო რო იმღვრეოდა და როგორღაც აერთბაშებდა თუ აერთიანებდა ყველასა, ყველაფერსა ადამიანებსა თუ ხეებსა, გაბაწრულ სურათებსა თუ ძეგლსა შთანთქმულსა თანდათანობითა, აჭრელებულსა თუ მღვრიეში შთანთქმულსა, შენობებსაცა, გაღმა სანაპიროსი, აივნებზე შეხუნძლული ადამიანებითა. მდინარესაც თავისივე ხიდიანადა. შეხუნძლული ხიდიანადა, ყველაფერსა, ყოველივესა, შლიდა სიჭრელე, მღვრიე სიჭრელე, შლიდა. აქარწყლებდა ცალკეულ სახეთა, აქარწყლებდა და აერთბაშებდა. ტბორიც უკვე მთლად ტბორსა ჰგავდა, ობიექტივიც ველარაფერს გამოარჩევ-

და, ტორტმანი მაინც არა წყდებოდა, აჩნდა ჩოჩქოლიცა, ავი თუ გამომწვევი სიტყვებიც გაისმა, მფრთხალი ოღონდაცა, თუმცა გაწიწმატებული, მფრთხალი მაინცა, მორიდებული, ოღონდაც რო მორიდებული, რო აკრძალულიყო ასეთი თავშეყრა, აკრძალულიყო და აქამდისაც დაისჯებოდა თუ ძეგლი იგი უკვე ძეგლი არ იქნებოდა თუ სიცოცხლე დასცალდებოდა აქამდისა, მაგრამ ამდენი ამათ აღარ გაეგებოდათ, გაგებით არაო, ოღონდ შიში მაინც თავისას იქმოდა, ტანში გამჯდარი, ჩანერგილი, გაღვივებული შიში. ის ისევ თავისას იქმოდა, ეს თავისასა, ეს აღტკინებული ანუ ძლივს გატვრენილი ყიჟინი იგივე ყვირილისა თუ ღრიალისა, სადიდებელი ღრიალისა. ჰოდა ტორტმანი არცა წყდებოდა, ტორტმანი იმა დიდებისა, შიშით შექმნილი დიდებისა თუ სიყვარულისა. საფრთხილო გახლდა ტორტმანი იგი, საშიშიც გახლდა იმა სიჭრელეში, იმა სილიბრეში, ღამე უფრო საშიში გახლდა, და სადღაც თუ ვიღაცამ ეს მაინც გადასწყვიტა, ჩაერთოთ დიდი შუქურები, იგივე შუქით მოეფინათ მშრალი კუნძული, ძეგლი იგი, იმდენი ხალხი შემოყრილი ძეგლის ირგვლივა. აღარც დაიტოვებოდა იმდენი ხალხი სიბნელეშია, თვით სინათლეშიც რო უჭირს, სინათლე, სიბნელე რაღანაირად დაიტოვებოდა?! და იელვა შუქმა, ერთბაშად იელვა, ერთბაშად აენთო, და თვალიც მოსჭრა ერთბაშადა, მოსჭრა თვალი მიციებული გათქვეფილ ძეგლსა, ერთბაშადაო, ერთბაშადაც გადაიარა და ძეგლიც აღიმართა ერთბაშადა, ძეგლი ჩაძირული, გათქვეფილი, გაქარწყლებული, აღიმართა თუ ამოცურდა, ეგებთუ ჩამოვიდა, ეგებთუ ზეიწევდა, ადიოდა, მაღლდებოდა, მაღლდებოდა ზეცადა. რა იყო ვინ უწყის, ვის როგორ მოეჩვენა, ვინ რა განიცადა იმ ერთ წუთშია, ვინ უწყის, ვინ იცის, ვინ გამოედევნოს, ოღონდ ესაა, ყიჟინი მოსკდა, ღრიალი მოსკდა საზღაურადა იმა განცდისა, იმა ლოდინისა, ღრიალი მოსკდა, ღრიალად მოსკდა ლოდინი იგი დაგუბებული, [illegible]ლთა ღრიალადა, გამარჯვებ[illegible] ღრიალადა, ერთბაშადაც მოსკდა რაღა თქმა უნდა...

და ბრიალებდა...

და მაღლდებოდა...

X

„...და არავინ დაჰხშას, გარნა გამღებელმან მან, და არავინ განაღოს დახშული იგი...“

მაღლდებოდა და მაღლდებოდა, მისცურავდა და მისცურავდა, — კისერი ეტკინა, ღრიალსაც თუ აჰყვა, ეს აღარ ახსოვდა, ოღონდ და მაინც ეფხაჭნებოდა გულის ფიცარი, ხიწვიც ამოსდევდა ამოსუნთქვისასა, ეგრე დაიხია უკანუკანა, ეგრე ეყუდა ხიდზედაცა, მერე ეგრედვე გადაირბინა ხიდი, ეგრედვე და მოზღვავებული სურვილითაცა, მოვარდნილი ნდომითა, არათუ შორეულისა თუ უცნაურისა, არა, კვლავაცა ნდომითა ელისოსი, — ეგრედვე მიაწყდა კარსა, ეგრედვე ასტეხა ზარი ელისოსი, ოღონდ ესაა, ეგრევეც არ ეწერა ახდომაი იმა სურვილსა თუ ნდომასა, ანთუ რა ამხდარა ეგრე ადვილადა, უეცრადა თუ ეგრე ჯიქურა; თუმცა რად არაო, იყო დრო, უცაბედვეც გაუღებდნენ ი კარსა, იყო და არა იყო რაო, — რა კარგად იწყება ქართული ზღაპარი, ვითარცა ყველაფერი ქართული, რა ხშირადაც წამომეშველება ხოლმე! მოთავებულიყო ეს ზღაპარიცა, მოთავებისა უნდა თქმულიყო: ჭირი იქა, ლხინი აქა, ქატო იქა, ფქვილი აქაო. ოღონდ და რაო, თავისას მაინც არ იშლიდა ლენტოი, ანთუ არ იშლიდა, ანთუ ასე გამოდიოდა, — გზა ვერ გაეგნო, დაბნეულიყო, დაბორიალებდა, ივლიდა თუ იფარფატებდა, მიუბრუნდებოდა იმავე კარსა, ანთუ ბედისწერა არ აშორებდა, კუდიანების დახლართული ბედისწერაი. რაც გამოდიოდა, გამოდიოდა, ბოლოსდაბოლოს კიდევ მაინც გაუღეს კარი, გაუღეს და — ელისომ გაუღო, გაუღო და — კარშივე გაიხიდა, გაიხიდა და — არ უნდოდა, შიგნით შეეშვა,

არც ის უნდოდა, იქა მდგარიყო, არ უნდოდა და — შესთხოვდა გაცლასა, მალე გაცლასა, სულ გაცლასა, შესთხოვდა და ემუდარებოდა, ეხვეწებოდა, დნებოდა ცრემლადა, ცრემლადა დნებოდა და იწმენდდა თვალთა, არაფერი გამოჰყოლოდა, თითებით იწმენდდა; მერე და რაო, ვითომც იმდენი არაფერიო, ილვრებოდა და დალვრილიყო, გაჯიქებულიყო ლენტოი, მიქელს უნდა მოვახსენოო, მწვანე ფერი ვერ მიშოვნია, ეგება სხვა ფერი აირჩიოსო. მაშინ იქიდან შემოდიო, ეზოდანაო, მიქელი ჰო იქითკენ არის, იქიდან უფრო მარჯვედააო. არაო, ასე ვარ დაჩვეულიო. რაც იყო, იყოო, იყო და მორჩა, უნდა გადაეჩვიოო. ვერა, ველარ გადავეჩვევიო. ნუ დამლუპავო, ეზოდანაო. აქედანაო, აქედანაო, ასე აიტეხა, გასტეზა ასედაცა, ანთუ ვერც გასტეხა, მხოლოდ იქ შეეჭრა, იქა, იმ ათნაირად დახლართულ სადარბაზოში, სხვა მოხატულობანი თუ მონაძერწი რო წარეხოცათ, მხოლოდ ამური რო გადარჩენილიყო, თავჩაჩეჩქვილი გადარჩეულიყო და თანაც, ჰო გახსოვს, — ჰა და ჰა, ლომის არის გადმოვარდესო; ჰოდა იქ შეეჭრა, იქ შეიჭრა და იქვე დადრკა, მაშინვე არა, რაღა თქმა უნდა, მერეღა დადრკა, ოღონდ მთავარი მაინც ეს არის, დადრკა, დავარდა, ვერას ეწია და მაინც დავარდა. ელისო გაეკრა პატარა თაღსა, ვიწრო თაღსა, — იქვე მოსჩანდა იმისი კარი, — გაეკრა ქალი, სუსტი ქალი, ცრემლიანი, ათრთოლებული, გაეკრა ისე, თითქოს ჯვარიაო, ჯვარი ცოცხალი, სახიერი, ჯვარი მღელვარი, ჯვარი უსასო, ჯვარი ძლიერი, მიკარებას რო ვერავინ შეჰბედავდა, ვერავინაო და ვერც ლენტომ შეჰბედა, ხელი ვერ შეახო, თუმცა განიწოდა, თუმცა მიეტანა, ოღონდ ვერ იქნა, ვერ შეეხო, რაღაცამ დათრგუნა, რაღაც ძალამა, უხილავმა და შეუცნობელმა, აიტანა და დასცა, დააგდო, დააზღერთა, ისე დააზღერთა, ჩაცურდა, ჩაჰყვა დაკბეჩილ საფეხურებს, მოზაიკისა, ჩაჰყვა და ჩარჩა ეგრე დამლილი თუ დალეწ[illegible]ლი დაკბეჩილი საფეხურ[illegible] ასე დარჩა და მოსწყდა ისიცა, ეგრევე ჩავარდა, ეგრევე ჩაიფუფქა, თითქოს ამოერთვა სულიცა, სხეულიცა, თითქოს აღარ იყო, აღარა, კაბაღა ეგდო თითქოს თაღის ქვეშა, ვიდრემდე ხმას ამოიღებდაო, ჰო ვიდრემდე, ოღონდ და მერეცა, ხმა რო ამოიღო, თითქოს ისევ კაბა გამოსცემსო, თითქოს იქ სიტყვები დაუმწყვდევიათ, პირი მოხევია და იპნევაო:

— რაღად დაბრუნდი?! — თითქოს ასეო, ასე იპნევაო.

— წავალ რა... — პასუხადაც ისე გაისმოდა, თითქოს იქით აპარატებია, კინოაპარატები, ისინია რო ხრიალებენ თუ ბუზღუნებენ თუ იბუტებიან თუ როგორც ამბობენ, ისინიაო, სხვა არაფერია, არავინაა და არაფერიო.

— რაღად დაბრუნდი?! — გაფუჭდა ყველაფერი, წახდა, სილამაზედ რაც წარმომესახა, შეიბღალა, რასაც სიყვარულს დავარქმევდი, დაიმსხვრა, გატაცება თუ თავდავიწყება რაც მეგონა, ყველაფერი გაფუჭდა, ყველაფერი დაიმსხვრა. მაშინ მერჩივნა, ამ შვიდიოდე თვის წინათა, ერთმანეთს რო დავშორდით, გული რო ჩამწყდა, კარგახანს რო ვერ მოვედი გონსა, მაშინ მერჩივნა, სიყვარული მეგონა დაკარგული და მხოლოდ დაკარგული სიყვარული მანაღვლებდა, სინანული მტანჯავდა, რო ვერ გავუფრთხილდი სიყვარულსა, მაინც ის მერჩივნა, რწმენა შემრჩენოდა სიყვარულისა, მჯეროდა მიყვარდა, მჯეროდა, ვუყვარდი და ვსულდგმულობდი მოგონებითა. მოგონება რაღად შემიბღალე, რად არ შემიბრალე, რაღად დაბრუნდი?!

— წავალ რა...

— რაღად დაბრუნდი, შენც ჰო ასეთი განცდით არ მოიტყუებდი თავსა?! შენ მხოლოდ გახელება მოგარბენინებდა ჩემსკენა... ის რაც არის, არის... სხვა რამ გახელებაცა, გახელება მარცხისა გამო, ცხოვრებისაგან ნაწვნევი სიმწრის გამო, მოგარბენინებდა დამცირებულსა, მხნეობა რო აღგედგინა ჩემი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მორევით. დამცირებითა ჩემითა, სიამაყე რო აღგედგინა. მერეღა მივხვდი, მივხვდი და მაინც ვიბრუებდი თავსა, ვიბრუებდი თუ ვიტყუებდი, რო ვიცოდი სიმარტოვე შენი და ვერ გამეწირე სიმარტოვისათვისა, ეს სიბრალული გამოდიოდა, მე სიყვარულამდის ამეზიდა სიბრალული. მაინც კარგი მეგონა, რად გამიშიშვლე, რად შემოფხრიწე თხელი საბურავი, ისედაც თხელი, ისედაც მქრქალი, რაღად დაბრუნდი?!

— წავალ და...

— რაღად დაბრუნდი?! ეგება არც იცი, ეგება ჩემმა ბედმა მოგაგდო, ჩემს დასასჯელად გამოგაბრუნა... ეგება იმიტომაც უნდა დავსჯილიყავი, უანგარო რო არა ყოფილა სიყვარული ჩემი? უნდა დავსჯილიყავი. მე შენით მინდოდა განთავისუფლება ჩემი ქმრისაგანა, ლამაზი განთავისუფლება მინდოდა, სიყვარულის მსხვერპლად მინდოდა თავი ჩემი, გული ჩემი, სული ჩემი, ამიტომაც თუ ვიტყუებდი თავსა, ამიტომაც ვიბრუებდი თავსა, მაგრამ არ იქნა, არ იქნა სიყვარული ანგარებითი, არ იქნა, არ შედგა თანხმობა იგი და სასჯელადაც ეს მეყოფა, შენი გულცივობა მეყოფა სასჯელადა, რაღად დაბრუნდი?!

— წავალ და...

— რაღად დაბრუნდი?! ახლა ზედმეტი ხარ, სულმთლად ზედმეტი. ზედმეტი ყველაფერი მომაბეზრებელი ყოფილა, საძულველი ყოფილა ზედმეტი ყველაფერი, რატომ აღმავსე სიძულვილითა, რატომ დაბრუნდი, რაღად დაბრუნდი?! — და აღიმართა ქალი, ქალი თუ კაბაო, კაბა ავიდა, ავიდა, გასწორდა, ოღონდ თითქოს ჩამოიმტვრევაო, ისევ ისე ჩაიმტვრევაო.

— წავალ, ჰო... — აიწია აპარატიცა, ავიდა, რა ვუყოთ თუ იქამდე ვერა, ქალი მაღლა იდგა, ეს საკმაოდ ჩახრიგინებულიყო.

— რა გეშველება, — ქალი დასძახოდა, დასძახოდა სიბრალულითა, — სიყვარული შენ არ იცი, მაცდური შენ არა ხარ, ფული შენ არა გაქვს, რა გეშველება?!

— წავალ ჰო...

ამოიხრიალა ვითომ ისევ აპარატმაო, წასვლითაც ვითომ აპარატი წასულიყო, ოღონდ წასულიყო, უნდა წასულიყო, კარი მოეკეტა სამუდამოდა, მოეკეტა დაჩეხილი სადარბაზოი, ნაშთი წარსულისა, მოეკეტა და უნდა წასულიყო, უნდა წასულიყო და წავიდა კიდეცა, აქედან წავიდა და იქით მოუარა, ეზოდან მოუარა, ის კარიც იცოდა, იქიდან მოუარა. მოუარა და ეწვია მიქელსა, მამასა ელისოსი რაღა თქმა უნდა. ახირებით როდი მოსულია, უნებურად დაჰყვა ისევ ელისოსა, კარი რო მიაყოლა ზურგთუკანა, ესეც დაატანა, ეგ შენი სალებავის ამბავი მაინც აცოდინე მამაჩემსაო, ჰო, დაატანა, დაატანა თავისებური, თითქოს თუ როგორღაც აჭრილი ღიმილითა; უნებურად დაჰყვა ნებასა და იმ აჭრილ ღიმილსაც მიუხვდა, მერეღა მიუხვდა, რაღა თქმა უნდა მერეღა მიუხვდა, კარი რო შეაღო ეზოს მხრიდანა: უმალვე ბეგლარი ეცა თვალშია, მაგიდას უჯდა მიქელისასა, უჯდა და მისჩერებოდა, უსმენდა თუ ედავებოდა, რაც იყო, იყო, ბეგლარი იყო, ბეგლარი გახლდა, იგივე ბეგლარი, დაძაბული, წამოგზნებული, მიტანებული, თითებგაფარჩხული, თითქოს ვიღაცას ყელში სწვდებაო, — ლენტოს არაო რაღა თქმა უნდა, არ გეგონოს თუ გაიფიქრე, მხოლოდ ერთი თვალი შეავლო, თითქოს იცნო, თითქოს არცაო, თითქოს გაიკვირვა, თითქოს არცაო, ისევ თავისას მისტანებოდა, სიტყვა თუ უნდა აერთმია მიქელისთვისა, უნდოდა ეთქვა და დრო ვერ მოეხელთა. იმას თუ უნდოდა, ამანა თქვა, შევიდა თუ არა თქვა, არ დააცადა არცა ერთსა თუ არცა მეორესა, — მწვანე ფერიო, ასეო, ისეო, თქვა ყველაფერი საამისოდა და ისიც დაურთო, მერე კიდევ გადავიღეო, იქაობა რო გაჩირაღდნდა, ამაღამ ვნახავ რა გამოვიდაო. თავილა დაუქნია ბეგლარმა, თითქოს ნიშნადა მიტევებისა, მოუცლელობის ნიშნადაცა თითქოსა, ჩართული იყო თუ ჩაეთრია მიქელსა. ამისთვის ელისოს მიჰქონდა ჩაი, —

ლენტოსთვისა, — იმათაც ედგათ ჩაის ჭიქები, გაცივებული ჩაის ჭიქები, აქაფქაფებული მიჰქონდა ამისთვისა. ცალი კუნჭულიც მოსცალა მაგიდისა, მცირედ აჰკეცა კალთა რუკისა, სკამიც მიუდგა, ჩაიცა ცხადია, თეფში ყველითა, პურითა, ძეხვის ნათალითა, ლიმონის ნაჭერითა, ამან მიუდგა და იმას გაახსენდა, — ლენტოსა, — მთელი დღე ნაყრი არ ჩასვლოდა პირშია, არც ჩაეფერხა, არც ნაყრი ჩასვლოდა, გაახსენდა თუ ტანმა უსუსტა, სულერთია, მოწყვეტით დაეშვა სკამზედა, ხელიც ჭიქას ეცა, იმა ცხელ ჭიქასა... აქ ითქმის, დაეწვაო, ანთუ გაუძლოო, ოღონდ სულერთია დაეწვაო თუ გაუძლოო, ჰო სულერთია, რადგან მთავარი სულ სხვა რამეა, მთავარი ისაა, მაშინღა მიხვდა, ელისო რო გაჰკარგოდა სამუდამოდა, სამუდამოდა, სამუდამოდა, შვიდი თვე ვითომ რა ყოფილიყო, რა ყოფილიყო შვიდი კვირაცა, წელიწადიც ისევ შვიდიო, საუკუნეცა, თუნდაც შვიდი საუკუნეო, სათვალავი რა ყოფილიყო, დაჰკარგოდა სამუდამოდა, მიხვდა და მაშინღა დარია ხელი სიმარტოვემა, სრული სიმწვავით დარია ხელი სიმარტოვემა და დაკარგულობამა, ხელი დარია და გაექცა ყველაფერი, გაუუცხოვდა ყველაფერი, ყველაფერი, ჩამოთვლა რაღ უნდა, თვითონ თუ ჩაიკარგა, იქვე იყო და ჩაიკარგა. ცნობით ეცნობოდა თვითეული თუ ყველაფერი, კიდევაც გამკვეთრდა, უფრო გამკვეთრდა საგნებიცა, ადამიანებიცა, ოღონდ დაშორდა ყველა, ყველაფერი დაშორდა, იჯდა და არც იჯდა, ეხებოდა და არც ეხებოდა, საგნები არ იმჩნევდა, ადამიანებიც არ იმჩნევდნენ ამის იქ ყოფნასა, გაფანტულიყო თუ გაქარწყლებულიყო თუ დაფარფატებდა ქერცლისოდენადა. აქამდის თურმე რა უჭირდა, რა სამდურავი ეთქმოდა თურმე, ესა ყოფილა, რაცა ყოფილა, ეს გადაკარგვა თუ გაქრობა სახიერისა სახიერებითა, სულიერისა სულიერებითა, ყოფნა და არყოფნა, არც სხვანი შენთვისა, არცა შენ სხვათათვისა, არც შენვე შენთვისა, ესა ყოფილა, რაცა ყოფილა: ა[illegible]ფილა, ეს სუსტი ქალი, გ[illegible]აძლებინებდა, აუტანელსაც ატანინებდა, ეს მიმზიდველი, ეს მომხიბლავი, თურმე როგორი, რა მომხიბლავი! რა გატაცებაც სცოდნია თურმე! სხვასა რგებოდა გატაცებაი იგი, ამიერიდან სხვასა რგებოდა, — შეჰყურებდა გატყორცნილ ხელებსა, დაძაბულსა და მორკალულ თითებსა, ჰადაჰა, აჰა ვინ ჩაუვარდეს, ვინ წაახრჩოსო, ოღონდ წაახრჩოსო, სულერთია თუ ვინ იქნებაო, ოღონდ წაახრჩოსო, ოღონდ წაახრჩოსო, — ელისოც იყოსო, იყოს და იყოსო, ოღონდ წაახრჩოსო, ოღონდ წაახრჩოსო, ესეც თითქოს და მისტანებიაო, თუნდაც წაახრჩოსო, ამან წაახრჩოსო, თუნდაც ფრჩხილებით გამოსჭრას ყელიო, — რა გატაცება სცოდნია თურმე! და რაღაც ემართება ლენტოსა, ადგება, დაჯდება, ადგება, დაჯდება, თქმა უნდა, მოქმედება უნდა, ვერც ვერასა იქმს, ადგება, დაჯდება, ადგება, დაჯდება, ნდომით სხვა უნდა, უნდა განაცხადოს, რო მიაქვს ბეჭედი, თანახმაა ქორწინებისა, ოღონდ მანამდე აიღებს და გასტყორცნის ამასა, კარი რად უნდა, ფანჯრიდან გასტყორცნის ამ ხელგაფარჩხულსა თუ თავგამოდებულ ვაჟბატონსა, ნდომით ეს უნდა და ადგება, დაჯდება, ადგება, დაჯდება, სხვა ვერაფერი მოუგვარებია, რაღაცა უკრავს თუ ვიღაცა ჩახძახის გვიანღააო, გვიანღააო. ელისო ისევ ჩაის მიირთმევს, ისევ აქაფქაფებულ ჩაისა, იმათაც ჩაის გამოუცვლის, ცივს გაიტანს, ცხელს შემოიტანს.

## XI

„და მესმა სხუაი ხმაი ზეცით, რომელიც იტყოდა: გამოვედით მისგან, ერო ჩემო, რაითა არა ეზიარნეთ ცოდვათა მისთა და წყლულებათა მისთაგან არა მიიღოთ.

„რამეთუ მისწუდეს ცოდვანი მისნი ცათამდე, და მოიხსენნა ღმერთმან უსჯულოებანი მისნი.

„მიაგეთ მას, ვითარცა-იგი მან მოგაგო, და შეკეცეთ ორკეცი იგი, ვითა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაც მან ქნა, და საქმეთა მისთაებრ ბარძიმსა შინა მისსა, რომელი გიწოდია, უწოდეთ მას ორკეცი.

„ვითარ იგი ადიდა თავი თვისი და განცოფნა, ესეზომად მიეცა მას ტანჯვაი და ტკივილი...“

ცხელი შემოიტანა, ოღონდ გაციება ეწერა, — ლენტოსას არა, მეორეც გამოსცალა ლენტომა, ქაფქაფი გამოსცალა, — მიქელისასა და ბეგლარისასა... მესმის მიზეზი ამ მოძრაობისაო, თვალებსა ქუტავდა, თავს არაცრაცებდა და ბუბუნებდა მიქელი, ერი ვერ გასძლებს უგმიროდაო, გმირი სწყურიან და აფორიაქებს ეს წყურვილი, ამას აჰყოლია, ამ მძლეთამძლესა და მოურევლისა, რო არ აჰყვეს, რო არც შეუძლიან, რო არ იქნება უამისოდა, ვერ იარსებებს უამისოდა. და არც იქნება არც არაფერი თუ არ იქნება ერი მრავალიო. გამიგონეო, ჯერ გამიგონეო, არ გეუბნები, ახლავე დამიჯერეო, არაო, ჯერ ოღონდ მომყევი გულისყურითა, მეტი არაფერი, ჯერ მეტი არაფერი მინდაო. ერს რო უგმიროდ არ შეუძლიან, დიდებული რამ არის, დიდებული წყაროა მოძრაობისა, მოქმედებისა, დაუმცხრალობისა, სწრაფვისა თუ ყოველივესი, სიცოცხლე რასაც დარქმევია ამ ჩვენი ჭკუითა, ჩვენი წარმოდგენითა თუ წარმოსახვითა, მაგრამ... მოიცა, წყნარადამეთქი, ჯერ ყური მიგდე, მაგრამამეთქი, მაგრამ რა მომხდარა, ჰა?! მოტყუებულა ერი, აი თუ რა მომხდარა, დიდი რამ მომხდარა, საბედისწერო რამ მომხდარა: ეგონა ჰყავდა გმირი თავისი, მძლეთამძლე გმირი, სწორუპოვარი, შეუდარებელი, ეგონა თურმე, თურმე ჰგონებია, მოტყუებულა თურმე, საბედისწერო რამ მომხდარამეთქი, ამიტომაც მითქვამს; მითქვამს და ვიტყვი, ეს კიდევ არაფერი სხვა რამე დაგვმართნია ამაზეც უარესი, რამეთუ თქმულა, ერთი უბედურება კაცს არ მოჰკლავსო, უბედურებაზე უბედურება გაგვმატებია: ერს აღარ ძალუძს დაიჯეროს, რო მოტყუებულა, აი კიდევ რა დაგვმატებია, აი თუ რაგვარად გამოჩარხულა ტრაგედია ჩვენი, ტრაგედია [illegible] იცამეთქი, არა, არ გეტყვი, ვერ გამიგებმეთქი, ასე ადვილადაც ეგება ვერ დამეთანხმომეთქი, ამნაირად გეტყვი, ჰოდა მოიცამეთქი, ადვილადაც ნუ გამაწყვეტინებმეთქი. დაღლილა ერი, დაღლილამეთქი, და აღარ ძალუძს თავისთვის მაინც რო გამოუტყდეს, გულში მაინც რო აღიაროს, ისიც არ ძალუძს, ისე დაღლილა, დაღლილა, ოღონდ გმირი მაინცა სწყურიან, უნდა გმირი, ქინიანად უნდა, უნდა ახირებულადა და იგივეს მოითხოვს, იგივესა, ვისითაც გაცურებულა, მოტყუებულა ვისითაცა, იგივესმეთქი, გესმის, ვისითაც გაცურებულა, ვისითაც მოტყუებულა ამდენიხანიამეთქი. მძიმე ყოფაა, მძიმე ყოფნაა, დაბნეულობაა საოცარი, თუმცა ეს სიტყვაც უბრალო გამოდის, ვერ გადასწვდება ჩვენსა ყოფასა თუ ჩვენსა ყოფნასა, ვერ გადმოსცემს აწინდელ ჟამსა. ტრაგედიაც უკვე გითხარი, ოღონდ ესეც მრავალგვარია, თვით ტრაგედია მრავალგვარია, ჩვენ დაგვმართნია განუსჯელობა, განუცდელობა ტრაგედიისა, — დაბნეულობაც ეგებ ეს არის? მოიცა, ამას ჩემთვის ვიკითხავ: დაბნეულობაც ეგებ ეს არის — განუცდელობა ტრაგედიისა? მაშინ ეგება ასეცა სჯობდეს, თუ განიცადა, გზა აღარ ექნება სასოწარკვეთის იქითა, — განუცდელობა ეგება სჯობდეს? თუმცა რას ვამბობ!.. ბოროტი ჰო არ შეიცვლება რომელი თვალითაც არ უნდა დააკვირდე, — მარჯვენათი დააკვირდები თუ მარცხენათი, მარჯვენას მოჭუტავ თუ მარცხენასა, არ შეიცვლება. რა სათქმელია, ბოროტი ბოროტია, ავი ავია, რომელი სჯობსო, რა გამოსარჩევია, რა საკითხავი. ჯერ ამას დაუფიქრდიო, ჩასწვდი ამასა, მერე მითხარი თუ რაც გენებოს, ისიც გახსოვდეს, ყველა სახელი სახელი რო არა ყოფილა, ყველა სახელი არც გმირი ყოფილა, ისიც გახსოვდესმეთქი. ცუდის სახელიც გამძლე ყოფილა, ოღონდ გასარჩევი მაინც არა ყოფილა, მხოლოდ კარგი სახელი გამხდარა გასარჩევი, მართლა კარგი და ყ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლბი კარგი ანუ სწორი და ბრუნდი ანუ თვალი პატიოსანი და თაღლითი ან სხვანაირი. ნაირნაირი, განა ასე დაპირისპირებული, არა, ვთქვათ კარგი, უკეთესი, ცოტა კარგი, პაწაწკინტელად კარგი, სულ კარგი და კარგი, როგორც გენებოს, მაინც, მაინც გამხდარა გასარჩევადა. კიდევაც გარჩეულა, გადარჩეულა, თავანკარიდა გადარჩენილა, სხვა დანარჩენი გადახვეტილა, გადაყრილა ბნელ ორმოებში ისტორიისა. ოლონდაც იოლადაც არ გადაყრილა, არ გადაყრილა უმტკივნეულოდა, ესეც დაიხსომე, ხოლო ამჯერად აბა გაიხსენე აღზევებული მამლუქი თუ იანიჩარი, რომელიც გინდა გაიხსენე, აბა გაიხსენე, გაიხსენე, აბა ჰა, მიეშველენით, გაიხსენეთ ერთი სახელი, თუნდაც ერთი, თუნდაც ბრუნდადა, დამახინჯებულადა, გაიხსენეთ, აბა წარმოსთქვით, თუნდაც ოდნავ მიმსგავსებულადა, მაინც ჩაგითვლით, აჰა, ჰა, ჰა, ჰა!... ვერ გაიხსენებ, თუმცა ყოფილა ბევრი დიდი სახელისა, ქვეყნიერებას რო აზანზარებდა ისეთი სახელისა, ჩვენი ყოფილა იმა აღზევებულ მამლუქთა შორისა, აღზევებულ თუ აღმატებულ იანიჩართა შორისაცა, ყოფილა და ფაფუ, აღარა ყოფილა, ამგვარიცა ყოფილა ბედი სახელისა, ჟამით აღმატებული, უჟამო სახელისა, ან ეგება ითქვას, გადახვეწილი სახელისაო, ჰა — გადახვეწილი სახელისაო, გადახვეწილისა, რადგან ერთია ოდენ ჭეშმარიტი, — გმირის ნიადაგი ერი ყოფილა, უეროდ გმირი არა ყოფილა, უეროდა სახელი არა ყოფილა, არც არაფერი ყოფილა უეროდა, არაფერი, არაფერი. მაცალე, მაცალე!.. დაბნეულობაცა სცოდნია ერსა, სიბნელეშიც ბევრჯერ ჩავარდნილა, ბრუნდი მართლად მოსჩვენებია, ავი კეთილადა, ბოლოს სინათლეზე მაინც გამოსულა, მართალი ბრუნდისაგან გამოურჩევია, კეთილი ავისაგანა, მაგრამ ადვილადაც როდი გამოსულა სინათლეზედა, არა, არ გამოსულა ადვილადა, ვერც ამ დაბნეულობიდან გამოაღწევს ადვილადა, ვერ გამოაღწევს უსისხლოდა, [illegible]ებს, აი თუ რა მალაპარაკებს. ჰოდა მაცალე, რახან მომიხსნია პირი, მაცალე ბოლომდისა. გმირის სახელი ჰო ბევრს გაუგდია, იქა ვარ ისევა, სანიადაგო სახელი მაინც სხვა ყოფილა, მომეტებული, მარადიული სახელი სხვა ყოფილა. აბა, დააკვირდი!.. გიორგი ბრწყინვალე არ მოგვკლებია, დემეტრე თავდადებული არ მოგვკლებია, ქეთევან წამებული არ მოგვკლებია, დააკვირდიმეთქი, წამებულიო, ბრწყინვალეო, თავდადებულიო, მეტი რაღა უნდა გმირულ სახელსა, აღარც იქნება აღმატება მეტი, მაგრამ მაინც წაამეტა დავით აღმაშენებელმა და ერეკლე მეორემა, ერეკლეზე მეტი ცოდვა ვის ადევს კისერზედა?! მაინც წაამეტა, დააკვირდიმეთქი, დააკვირდი. და იცი, რითი წაამეტა? თუმცა ჰო დავითისა უნდა ითქვას პირველყოვლისადა: აღმაშენებლობა რო დაიმკვიდრა, განათუ ოდენ ეკლესიებით დაიმკვიდრა სახელი ესე, — ეკლესიები რა მოსატანია, თუნდაც საოცარი, თუნდაც დიდებული ეკლესიები, სული გამოიხსნა, ქართული სული, გამოიხსნა და გადაარჩინა, გადაარჩინა და აღაშენა სული, სული აღაშენა, აი თუ რითი დაიმკვიდრა სახელი იგი სახელი გმირისა, ჭეშმარიტი გმირისა, გაანადგურა ხრწნილების ბუდე, ეგრედწოდებული საამირო თბილისისა, ავტონომია არაბული, სადით შეიბლალა ზნეობა ქართული, ენა ქართული, სული ქართული სადით ჩამოინგრა. ომი რა ყოფილა, თუნდაც მარცხიანი, თუნდაც საშინელი, თუნდაც ომები არაბებთანა, ომის ჭრილობები მოუშუშებია ერსა, სულის ჭრილობები ვერა და ვეღარა. და აჰკვეთა ხრწნილება საშინელი, გადაჰბუგა ბუდე ხრწნილებისაო. ესა დავითისამეთქი, სულმნათი დავითისა, მაინც სინანულისად რო უგალობნია. ერეკლეს სინანულისა რა მოგახსენოო, ერეკლეზე დიდი ცოდვა ვის დასდებია კისერზედა, დაჰკისრებია დავითისებურიცა, ამითი გამოხსნილია, ამითივე წარმატებულა. აბა!.. რაც მონგოლობას წავუხდენი-

ვართ, რაც სპარსობასა, თურქობასაც რაც წავუხდენივართ, ომებშიმეთქი, ერთადაც რო მოჰკრიბო არ შედგება იმდენი, რაც წაგვახდინა ახალციხურმა ავტონომიამა, ამა სამზაკვრომა, ამა ბუდემა ხრწნილებისა, აღარა არაბული ხრწნილებისა რაღა თქმა უნდა, უკვე თურქული ხრწნილებისა, ოლონდაც რაო, რა შეცვლილიყო, ხრწნილება იგივ ხრწნილებად ითქმოდა და ერეკლე ებრძოდა იმა ხრწნილებასა. დაუკვირდიმეთქი, დაუკვირდი, მოასწრებ, მომიგო, ჯერ დაუკვირდი, ერეკლე ებრძოდა ხრწნილების ბუდესა და სახელიც ამითი დაიგდო, ცოდვაც ამაში ამოიმალა, მხოლოდ ამითი, მხოლოდ ამაში, ის არას არგებდა, თავს ვერ გაიტანდა სპარსეთიდან თუ ინდოეთიდან ჩამოტანილი სახელითა, ვერც თავს გაიტანდა, ვერც დაჰფარავდა ცოდვასა დიდსაო; თუმცა ვერ გეტყვი, დაუწერია თუ არა იმასაცა გალობანი სინანულისანიო. გმირობა მაინც ასე მოუმკია, კარგად დაუკვირდიმეთქი, როგორ მოუმკია, როგორ გადაურჩენია სახელი, ამას დაუკვირდი და ის მომიგე, ის რაღას მოიმკის, ახალციხური ვისაც გაუკეთებია, ერთი ჰო ერთია და უბედურებაა, რამდენიმე ვისაც გაუკეთებია, რამდენიმე ახალციხური? მომიგე რაღა! აკი არ მაცდიდი სიტყვასა... ეგება ვერ გამიგე, ეგება მოფიქრება გინდა, დამიცდია, თუმცა მაინც განვაგრძობ ჩემსასა, მოულოდნელადაც ნუ ჩამომეჭრები, პასუხი ამოვა თავისთავადა. აჰა, ისტორიანი ჰო გამოგვივლია, აგერ აქა ვართ, გავყურებთ მთაწმინდასა, მთაწმინდიდანაც გადმოგვყურებენ, გადმოგვყურებენ ძვლების ყრიალითა, ცოდონი არიან, დაბნეულობა თუ გაგვიგრძელდა, ცოდონი არიან. რასა სჩადიხარო, შეშფოთდებიან ხოლმე, უგნურობისას თუ ვინმეს მიუსწრებენ, წინაპართა ძვლები გადაბრუნდებაო, შეშფოთდებიან ამნაირადა და ვინ უწყის თუ როგორ გადაბრუნებულა ძვლები მთაწმინდელთა, ჰაი დედასა, ვინ უწყის როგორა!.. აჰა ტაშირი, — დაატყაპუნა ხელი რუქასა, თანაც აიწია, აიწია ვაიჭ[illegible]ურხლების ხრჭიალითა, თ[illegible]ბალითა მთელი ტანისა, აიწია და ხელის ზურგი დაადო მოწყვეტითა, — აჰა ჰერეთი, აჰა ეგრისი, აჰა ქართლი გადახლეჩილი, მაშ რა იქნებოდა, გადაბრუნდებოდა ძვლები, იმიტომაც გადაბრუნდებოდა, ამისი განცდაც რო დაკარგულა, ტვინი დანთხეულა, სული დაწეწილა, აღრეულა თუ დაბნეულამეთქი. გამოერკვევა ღვთის მადლითა, გამოერკვევა და მერე თუ რას მიუზღავს ამის მომქმედსა; ის იქნება სწორი, ის იქნება მართალი. ახლა ბლავილი სხვა ტკივილისაა, აბა ტაშირი, აბა ჰერეთი, აბა ეგრისი, აბა ქართლი გადახლეჩილი!.. სხვა ტკივილისაა, სხვა გაუგებრობისა, განუსჯელობისა თუ განუცდელობისა, ანთუ დაბნეულობისამეთქი, დაბნეულობისა. სასახელოდ მოქმედი სხვაც ბევრი გვყოლია, თუნდაც თამარი, ლექსად ამბობენ და მართალიც არის: თამარ დედოფალი ვიყა, სახელი დიდი გავიგდეო, ზღვაში სამნები ჩავყარე, ხმელეთი ფეხქვეშ გავიგეო, ამდენი საქმის მომქმედმა ცხრა ადლი ტილო წავიღეო, მართალიც ყოფილა, კარგადაცა თქმულა, შორს გაუფენია ჩვენი ქვეყნის კალთები, თვითონვე გაუკეთებია ახალციხური ჩვენთა მტერთათვისა, სიმდიდრეც მოუხვეჭია, დიდებაცა, მაგრამ რაო, ქმნილა სიმბოლოდ ჩვენი ქვეყნის აყვავებისა, სიძლიერისა, სილამაზისა, სიკეთისა ყოველივესი, ყოველივესი, გმირის სახელი მაინც როდი შეუძენია, რამეთუ გმირობა გადარჩენა ყოფილა ერისა, ხოლო იმ ხანად არა გვჭირდარა გადასარჩენიო, მაშინ ვინ იტყოდა, აბა ტაშირი, აბა ჰერეთი, აბა ეგრისი, აბა ქართლიო, — შეძრწუნებულიყვნენ მაჰმადიანები, შეძრწუნებულიყო ერთმორწმუნე ბიზანტიაცა ან თუ თავს როგორმე გადაირჩენდა, გადაირჩენდა მხოლოდღა ჩვენითა. დამაცამეთქი, როცა გკითხე, მაშინ არ მომიგე, ახლა დამაცა, გავალ ბოლომდისა, მერე შენ იცი, თუ ძალო შემწევს დაგაჯერებ თუ არა და დრო

მაინც მიშველის, დრო განსწმენდს ყოველ ამღვრეულობასა, თვითონ აიმღვრევა, გარდასულს მაინც ჩამოაწმინდავებს, — აქ ისევ ჩამოჯდება ძლივძლივასა რაღა თქმა უნდა, ჩაცურდება მაგიდაზედა, რუქასაც დაითრევს, მიეშველებიან, რუქას მიეშველებიან, ის თვითონვე ჩაიტანს ტანსა. — ასე განსხვავებულა სახელიმეთქი, თვით კარგი სახელიც განსხვავებულა. უბრალო სისხლსაც შეუბღალავს განთქმული სახელი, გაცემა თუ ღალატიც ველარაფრით გამოსწორებულა. ნაპოლეონმა ერთხელ გასცა კორსიკელები, არ აპატიეს კორსიკელებმა, ალექსანდრემ ერთხელ დაარბია მაკედონელები, არა, არ მიუტევეს მაკედონელებმა, ახლა მოდი და წარმოიდგინე, ვისაც გაუცია თავისიანები, გაუცია, გაუფლეთია, ურბევია, უწოვებია ნახევარი საუკუნის განმავლობაში, ნახევარი საუკუნისა, ალბათ რო ურბევია დღენიადაგა, გამუდმებულადა, უმოწყალოდ რო ურბევია, გადაურჩება ერის რისხვასა?! ახლა არა რაღა თქმა უნდა, მერეღა, მერე ეს დაბნეულობა რო გამონელდება, მერედამეთქი, მანამდის იბლავლებს გაოგნებული, იბლავლებს დიდი სატკივარითა, ჯერ გაუგებარი სატკივარითა. ასე იბლავლებს და ეგონება გმირს არავის წავართმევინებთო ანდა ვინმეს შევაჩეჩებო. გმირი თუ რა ყოფილა ესაა და მიიქვამს, კიდევაც ვიტყვი, აჰაა მივდევ თანდათანობითა, ოღონდ დიდი რამ უცნაურობა გამოდის ეს შეჩეჩებაცა, ოღონდაც რო უცნაურობა გამოდის, ოღონდაცა. შეჩეჩებით ვერავის შეაჩეჩებ, ვერცა ბლავილითა, ვერცა ძალადობითა, ძალა სადღაა, მაგრამ სიტყვად მაინც მოიტანება, ვერავის შეაჩეჩებმეთქი, გმირი რო მხოლოდ თავისია. მხოლოდ საკუთარია, სხვისი გმირი სხვისი ყოფილა, სხვისი გმირი სხვისთვის გმირი აღარა ყოფილა. აბა მაშ რაო, ვინ უწყის ვილას ხელით არ უგლეჯიათ ნარიჩრომაელებსა, ვინ უწყის ვისთა თუ სადაურთა მოუტანიათ გამარჯვებანი, მაგრამ მხოლოდღა რომაელ სარდლებს მიჰგებებიან ტრიუმფითა, დაფნის გვირგვინით შეუმკიათ მხოლოდ თავიანთი. ბარბაროსი რქმევია ყველა დანარჩენსა, ჩვეულებრივსაცა, უძლიერესსაცა, ნაქირავები რქმევია, გაუსტუმრებიათ ქირითა, დიდად გამორჩენილი დიდი ქირითაც გაუსტუმრებიათ თუ ზურგში არ ჩაუცვიათ მახვილი. ასე ყოფილა, ასე ჰო ასე, მე რად მიბღვერი, ნუ, ნუ მიბღვერი, ჩემი ბრალი როდი ყოფილა, ყველაფერი უჩემოდა ყოფილა, გმირი რო ოდენ საკუთარია, მხოლოდ და ოდენ საკუთარია, ამიტომაც ასე ყოფილა. ბარკლაი-დე-ტოლსაც ჰო დიდი სახელი გაუგდია თავის დროზედა, ევროპა ამოუდია ფეხქვეშა, ოღონდ გმირის სახელი მაინც კუტუზოვს მოუხვეჭია, დააკვირდიმეთქი, დააკვირდი, აქ ისიცაა, გმირობა მხოლოდ განსაცდელის დროს რო გამოიკვეთება და ესეცა, აი ესეცა, თავისი რო თავისი ყოფილა, სხვისი სხვისიო, ნაქირავებს რო ქირა ეკუთვნის თუ ზურგში მახვილს გადაურჩა რაღა თქმა უნდა. ბოროდინოს გმირი რო ბოროდინოს გმირია, ისიც ამოაგდეს საფლავიდანა, ძვლები გადაჰყარეს, კუბო, ტყვიისა, დაჭრეს, დაფლითეს, გაიტაცეს, ეგება რო გადაადნეს და მუცელშიც ჩაისხეს, თანაც გადაჰყოლიან, უმადურება ისეთი ცოდვაა, გონებასაც რო დაუბნელებს ადამიანსა. დაუბნელებს, იმათი რო არ იყო, დაუბნელებს. და სიბნელეც ესაა, ესაა, ესაა, სხვა რაღა სიბნელე თქმულა?.. თქმულა თუ არაო, ნუ გეგონება თითქოს ესაოდა ძველი ამბავიაო, თითქოსდა ამა და ამ დროის ესა და ეს რო მოხდა, მას მერე შეიცვალა ყველაფერიო, ნუ გეგონება, ადვილადაც არაფერი იცვლება ამა ქვეყნადა, ყოველშემთხვევაში, ჩვენ რა ისტორიაც ვიცით კაცობრიობისა, არცრა შეცვლილა, არც პირი უჩანს შეცვლილებისა: ადამიანები სჭამენ ერთმანეთსა, ერები სჭამენ ერთმანეთსა, სჭამდნენ და სჭამენ, სჭამენ და შესჭამენ, ჰოდა ნუ გეგონებამეთქი, ყმაწვილკაცი სჩანხარ, ყმაწვილკაცურად ნუ გეგონებამეთქი;

უფროსები არ გაგიმხელენ ამნაირადა, არ გაგიმხელენ, რად გაგიმხელენ? ბედნიერი ხარ, ბედნიერზე ბედნიერიო, შთაგაგონებენ ამნაირადა, ძველია ესეცა, ძველზე ძველია, შთაგონებაც იარაღია ადამიანთა დამორჩილებისა, შთაგონება შიშისა, ბედნიერება არსად დაგეკარგოსო, ნუმც დაგკარგვია, დაე გეგონოს, სრულიად სხვა დროს რო მოესწარი, არნახულსა, გაუგონარსა, სამართლიანზე სამართლიანსა, დაე გეგონოს, ოღონდ ისიც არ დაივიწყო, ასევე ეგონათ ყოველთვისა, ასევე სწამდათ, მხოლოდ ესაა, სამარის კარამდის აღარავის მიჰყოლია რწმენა ამგვარი, არავისა, არავისა, არ დაივიწყომეთქი. ყველაფერსაც რო ჩამოვეხსნათ, აგერ არ გიდევს ცინცხალი მაგალითი, — აგერ აჰაა, რაღა არ მოუპოვა, რაღა არ მოუხვეჭა, მაგრამ იმხელა სახელს თუ შეუნარჩუნებენ, ბარკლაი-დე-ტოლისოდენა სახელსა, ძალიან მეეჭვება. მოიცა, გაზუთხულებს გამიმეორებ, ვიცი, არ მინდა, მე ჰო გაზუთხულს არ გეუბნები, ეჭვისას ვამბობ, დაეჭვდი შენცა, ცოტა დაეჭვდი, როგორ იქნება სხვანაირადა, აზრი დაშრება, დაიშრიტება, ეჭვის გარეშე დაიშრიტება, ჩაწყდება ეს ბლავილი, თავადაც ჩაწყდება თუ არ ჩაწყვიტეს, ჩაწყდება, გადაივლის, წავა ესეცა, ისევე წავა განიადაგებული გზითა. აბა მაშ რაო, ერთი კაცის ახირებად ნუ გეგონება, ნუ, ნუ გეგონება, დედამიწას ჰოარ უბრუნია ერთი კაცის ნებისადა, სამყაროს ჰოარ უბრუნია ერთი კაცის ნებისადა, კაცობრიობაც სამყარო გახლავს, ვერა, ვერ იბრუნებს ერთი კაცის ნებისადა, ნუ გეგონებამეთქი, თითქოსდა რაო, რახან ჩიბუხსა ბერტყავდა ამის თავზედაო, რახან ვერაფერი შეჰბედა ცოცხალსაო, მკვდარზედა იძია შურიო, ნუ გეგონებამეთქი, ნურც გადააგდებ ამა ნათქვამსა, ნუ გადააგდებ იოლადა, — გახუმრებულა განცდაი იგი ტრაგიკული რო გვიწოდებია, გამასხრებულა, ერთის სიმწარე მეორისთვის გამასხარებულა, დააკვირდიმეთქი, დააკვირდი! მოსწრებულს თუ ინებებ, აი, აჰაა, მასხარაც იცის [illegible]მო, ოღონდ რაო, ეს მხოლოდ სიტყვებია, ხოლო როლი ამისა მაინც სხვა ყოფილა, მკაცრი ყოფილა, მკაცრი მკაცრზედა, რაც გინდა უწოდე, გარდმოხსნა ყოფილა გარდუვალისა. ეს იმან გააკრა, გარდუვალობა გააკრა ჯვარზედა, ამან გარდმოხსნა, გარდუვალობა გარდმოხსნამეთქი, აი რა ყოფილა, ის არა, არა, აქაოდა ჩიბუხს აბერტყავდა თავზედაო, არა!.. მრავალღმერთობას ვეღარ უგვარნია, ვეღარ გამომდგარა სიმტკიცის საფუძვლადა, განიორწყლებულა ძველი რომი იმიტომ უფრო, რო აღრევია სათვალავი უამრავ ღმერთთა, განიორწყლებულა, დაშლილა, დაქვეითებულა, მერედა მოუთქვამს სული, რო გადაუყრია ის უამრავი, ცოტად თუ ბევრად მოუთქვამს სული, ერთი ღმერთი რო დაუსახავს, ერთადერთი რო დაუნახავს, ერთი, ერთადერთი რო უწამებია, ჰა?! მოიცა, უწამებია მეთქი, არა?! დიახაც, დიახაცა, უწამებია და უწამებია! დააკვირდიმეთქი, დააკვირდი თუ რა სცოდნია იძულებასა, აუცილებლობას თუ რა სცოდნია, თორემ ის რაო, თავზე აბერტყავდა ჩიბუხსაო, რაო, — არაფერი თუ აღარც მეჩიბუხე ყოფილა, ჩიბუხიც მიუგდიათ სადღაცა, არაფერიმეთქი, აღარც მოიგონებდა განცდილსა თუ გადატანილსა, არ მოიგონებდა სირცხვილგამოვლილი, მითუმეტეს რაო, თმა შეეტრუსებოდა თუ რაო. ესეც ვითომ ხუმრობად ითქვასა, ოღონდ ის, არა სახუმაროსა აღარ იქნება, ჯერ რა გასულა ამ ათვლიდანა, — ბევრი არაფერი, და ოთხი ღმერთი უკვე უშოვნიათ. ასე თუ იარეს, ასე თუ იმატეს, დაუგროვდებათ ასეულობითა ამ საუკუნის ბოლომდისაცა, ჯერ მხოლოდ რო ამ საუკუნისა, ასე თუ იარეს, ასე თუ იმატეს, ვერ წარმოიდგენ თუ რა მოჰხდება. რო იმატებენ, არც გაგიკვირდეს, ყველამ რო იცის რო მოკვდავია, მაინც უკვდაობას რო ეჭიდება, არც გაგიკვირდეს, — ჰო აფოფინდა კიდე ერთიცა აღმოსავლეთითა, მე ვარ და მეცა ვარო, — აფოფი-

ნდა და აფოფინდება კიდევ სხვაცა, ისევ იქითაცა და დასავლეთითაცა, აფოფინდა და აფოფინდებიან, ყველა გაიწევს ამა ახალ ოლიმპოსაკენა, ხოლო ოლიმპო თუ მხოლოდ ერთია, ფეხს ველარ მოიკიდებს ამდენი ღმერთი, ვერა, ველარა, ვერ მოხერხდება. რომი რო ვახსენე, იმპერიის მზის ჩასვლისასა, იქაც ეგრე გახლდა, ველარ დაეტია იმდენი ღმერთი და იუპიტერსაც ლილა გაუხუნდა. ანთუ რომი რაო, ანთუ სხვაც რაო, სიძულვილი რო ულმობელია და თუ აიშვა, ვერ დააკავებს ველარაფერი. სიძულვილი ულმობელია. და თუ უთუოდ უნდა ალაზევოს, თავისი ურჩევნია, ერთი და ერთადერთი; და ალუზევებიათ ერთი, ერთადერთი, ერთი და საკუთარი, სხვები გაუსტუმრებიათ, თავანთ გზაზედა, სადით რო მოსულან, იმავე გზაზედა, ეს აგერ ჩვენთვისვე უბოძებიათ... დამაცადემეთქი, დამაცადე!.. ამან იცოდა ეს ყველაფერი, იცოდა, იცოდა, ტყუილადა ჰგონიათ, რო არ იცოდაო, ქვისქვეშ არაფერი გამოეპარებოდა, არა, არა,არაფერი გამოეპარებოდა, ფანატიკოსიც ტყუილადა ჰგონიათ, ტყუილადა, ტყუილადა, სულ ტყუილადა, იცოდა, რო დაანგრევდნენ, რო აგებდა თავის ძეგლებსა, დიადსა და ზვიად მონუმენტებს რო აგებდა თავისასა რალა თქმა უნდა, იცოდა და მაინც აგებდა, აგებდა და აგებდა, სადაც მისწვდებოდა, აგებდა ყველგანა, ყველგანაც დაანგრევდნენ რალა თქმა უნდა, იცოდა, იცოდა და უფრო აგებდა, უფრო აგებდა და მაინც აგებდა, რადგან რო ნგრევა მოუტანდა უფრო მეტ სახელსა და, რაც მეტს დაანგრევდნენ, უფრო მეტს მოუტანდა, შეაზრიალებდა დედამიწასა, შეაზრიალებდა, იცოდა ,იცოდა, ყველაფერი იცოდა; იცოდა და ასედაც იქნება, აუხდება, როგორც რო იცოდა, დააქუცმაცებენ ძეგლთა ამისათა, სადმე ჩაჰყრიან საძირკველებადა, თუ ლითონია, გადაადნობენ, ჩამოასხამენ ციხის გისოსებადა. შენ თავი გაიქნიე, გაიქნიე, ნუ მერწმუნები, ნება შენია, დღეს ასე გაიქნიე, მეუარე ასე გულმოსულადა, ხვალ შენვე იხილავ, იხილავ [illegible] თვალითა, თუ როგორ დააყირავებენ ცადასულ ძეგლებსა, ანთუ ვერც იხილავ, ვერა ცხადია, დასანახად რო არაფერსა სჩადიან, მხოლოდ ამბობენ, ამბობენ, ამბობენ და სხვას ამბობენ და სხვასა სჩადიან, დააყირავებენ და დაახლერთებენ, დაანგრევენ, დააქუცმაცებენ, ნგრევა ყველას რო ეადვილება, გაიმეტებენ ისე ადვილადა, ზოგჯერ ნგრევა რო უფრო ძნელია, ეგება ვერც რო გაითვალისწინებენ, — არაფერია გასაკვირველი, ახლა ესაა, რო დაანგრევენ, ერთი მეორეზე უდიდესსა, ერთიმეორეზედ მეტად ლვთაებრივსა, ძნელად აგებულს ადვილად დაანგრევენ, ადვილადაც მოაყოლებენ ბევრსა თუ ცოტასა, ქვეშ მოაყოლებენ, რამდენიც მოჰყვება, დაუნდობლადა, შეუბრალებლადა ან სიბრალული რა მოსატანია, მოაყოლებენ შურისძიებითაო. შენ კარგი ყურით გაიგონეო, ის სიტყვები კაცთმოყვარეობისა, მონაგონი ყოფილაო, ის სიტყვები ადამიანის სიყვარულისა, მონაგონი ყოფილაო, სიძულვილი ამოჰფარებოდა გაკრიალებულ სიყვარულსაო, ამოჰფარებოდა და უცაბედაც ამოვარდებაო, ამოვარდება და გამძვინვარდება, გავარვარდება, ვითარცა ყოფილა თუ ვითარცა გადმოგვცემია ამბავი რკენისა, ღმერთთა რკენისა, უძველეს ღმერთთა რალა თქმა უნდა. როგორც გადმოგვცემენ ასე ყოფილა, ერთი დაუფლებია, ერთი ერთადერთი, ერთი ატყორცნილა თუ აუტყორცნიათ ერთი იგი მოძალადეთა, თავიანთი აუტყორცნიათ. მიმოუნგრევიათ პირამიდებიცა ან წაურთმევიათ სახელი სხვათა, ალარავინ უწყის თუ ვისი რქმევია, ვისად გარდაქმნილა, ვისი დაუნგრევიათ თუ აუგიათ ვისი, ვის უფრო დიადის სახელი გაუგდია, ვის მოუტაცნია სახელი ვისი, არავინ უწყის, არავინმეთქი. მხოლოდ ძლიერთა ძალადობა უწყის სოფელმან. მერედა რაო, წარმავალი ყოფილა ძლიერებაცა, წარმავალობას ნგრევა მოჰყოლია და მხო-

ლოდ ძლიერთა ძალადობა, მხოლოდღა ნგრევა უწყის სოფელმანო. შენ ის მართლა ბრძენიც ჰო გგონია, — გეგონოს, გეგონოს, მაგრამ სიბრძნესაც ჰო გააჩნია?.. შენც ნუ მედავები, ანთუ მედავე რამდენიც გენებოს, მე არ გედავები, მე ვამბობ და შენ მოისმინე, შენთვის განსაჯე და დროს დაელოდე, დროსა, დროსა, დროს დაელოდე, როცა დამიჯერებ, ჩემთვის სულერთია; ახლა ამას ვამბობ, სიბრძნესაც ჰო გააჩნიამეთქი, ანთუ რაც არის, ზოგჯერ ისაა, საკუთარ დიდებას რო შეეწირება, ისაა, ისაა და მეტი არაფერი, შენა გგონია, რო ქვეყანას აშენებსო, ის თურმე შიშობს, ვაი თუ რა მელის თუ რა მიმუხთლებს, რას ვუწამლო თუ რას მოვერიოო, ის თურმე შიშობს, თურმე, თურმე... იმდენი ძეგლი ეგებ არც აეგო, ისეთი შიში რო არა ჰქონოდა, ჰა?.. დასანგრევი აღარც იქნებოდა, ჩვენც ალბათ ასე არ დავიბნეოდით, ანთუ არც ასე გავილეწებოდით. დაბნევა არაფერი, არა, არაფერი, რო გავილეწეთ, მე იმას მოვთქვამ. რამდენი რამ გითხრა ასე ერთბაშადა, — რო გავილეწეთ, მე იმას მოვთქვამ, ყველაფერია ალბათ ნათქვამი. შიშისგან იყო, იმა შიშისგანა, რო გაიმეტებდნენ, როცა იქნებოდა, რო არ იყო იმათი და რო უნდა ყოფილიყო იმათი და რო უნდოდა და უნდოდა და უნდოდა, რო იმათი ყოფილიყო. უნდოდა და იყო სულითა, გულითა, საქმითა, არსებითა, სისხლითა, ხორცითა, რადგან რო ნდომით იძლევა ყოველი, მძაფრი ნდომითა, მწვავე ნდომითა, აუბორკავი ნდომითა, წყურვილითა აუბორკავითა, იძლევა, იძლევაო, განწირვითაცა თავისიანთა, ულმობელი განწირვითაცა, რახან რო გასწირავ, აღარც ეკუთვნი, რახან რო მოსპობ, აღარც იმათი ხარ. ჰა?.. არა, არა, არ გეკითხები. ვის უფრო ეამებოდა, ქართლი რო დამორჩილებულიყო, შაჰ-აბაზსა თუ... მაჟრიალებს, რაიმე მომაფარე, ელისო, რაიმე, მაჟრიალებს... თუ ალავერდიხან უნდილაძესა?.. რაღა დროს ეს არი?.. ან რა უდროესია?.. ანთუ რაც არის, ამოთავდა ეს მძვინვარე წლებისა, მოთავდა, შიში, მოთავდა სიკვდილითა, მაგრამ სიკვდილთან რო არ მოთავდა ყველაფერი, არა, არ მოთავდა, გაგვიმძვინვარდა თვით სიკვდილიცა, ღმერთო დიდებულო, — და ძრწოდეთ წარმართნოო, რამეთუ იტყვოდა წინასწარმეტყველი, ასევე გეტყვი, მაგრამ ვაი რო არ მერწმუნები ერთი ნათქვამითა, რადგან რო აქამდე გითხრეს მრავალი, მართალი სიცრუედ მოგაჩვენეს, სიცრუე აღგიმართეს სიმართლედა ანუ თვით აღგიმართა სახება თვისი, აღგიმართა სვეტიცხოვლადა, მზედ მოგივლინა, მზედამეთქი, ყოველივეს მასულდგმულებლადა, მზის დამხობას ვერ დაიჯერებ მხოლოდ სიტყვებითა. მაგრამ თვალები ჰო გასხია, ჰოდა კარგადაც გაახილე თვალი, გაახილე და აჰა, შეირყა იგი, შეძოძგინდა, შექანდა სვეტი იგი, სვეტიცხოველი, შექანდა ძეგლი, ძეგლი იგი უსასოო, შექანდა და კიდევაც დაემხობა, პირქვე დაემხობა და აღდგება რწმენაი ჭეშმარიტი, დაბნეულობა გამონელდება, გამოერკვევა ერი დაბნეული და ჭეშმარიტი რწმენაც ესა ყოფილა თუ გამოერკვევა ერი დაბნეულიო. ოღონდ გამიგეო, ჯერ გამიგე თუ რას გეუბნებიო, მეტი არაფერი მინდაო, ჰოდა გმირი ისა ყოფილამეთქი, ვისაც აუხსნია ერი, ვისაც დაუბამს, ის არა, არამეთქი, გმირი ამირანი ყოფილა, მჭედელი არა ყოფილა გმირი, გამიგემეთქი, გამიგონე და გამიგემეთქი, ამდენი მითქვამს, გეტყვი კიდევაცა, თუმცა ამაოა აწ ყველაფერიო, დამდგარა ჟამი გამოცხადებისაი, სისხლიანი გამოცხადებისაი რაღა თქმა უნდაო, სისხლიანი გამოფხიზლებისაო, დამდგარა ჟამი ბედისწერისა, გარდუვალისა დამდგარა ჟამი, მხოლოდ მერეღა თუ გამოჩნდების გმირი იგი, ვინც ერს განკურნავს ახალციხური სატკივარისაგანა, გმირიც ის იქნება, მხოლოდღა ისა, სხვა ყველა მაცდურის მოციქულიაო. ოღონდ ვაგლახ, რო ჯერ უცოდველთა რბევა მოგველის: მომლანდებია რბევა უცოდველთა, ვაგლახ და ვაიო. — ეს იყო და მიყუჩდა უეცრადა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

წავიდა, ჩაიკარგა, შთაინთქა, თითქოს გაქვავდაო ანთუ ფიტულად იქცა, სული ამოჰქარდა, გადაიკარგა, ანთუ ანგელოზებმა გაიტაცესო, დააცურებენ უსაზღვრო სივრცეში, ლაღობენ და ალოლებენო, ანთუ ეშმაკებმა გაწეწეს, გაპენტეს, ქვეშ ამოიგეს და დავლურს უვლიანო, სადღაც ქვესკნელშიო, ჯოჯოხეთშიო რაღა თქმა უნდა, რაც იყო, იყო, აქ აღარ იყო, აღარაფერი გაეგებოდა. ბეგლარმა რა იცოდა, ბეგლარმა დრო იხელთა, მიუშვა ხელები, ძლივს რო აკავებდა, მიუშვა და გაეშვნენ ხელებიცა, ავარდნენ, დავარდნენ, ერთმანეთს ეკვეთნენ, გადასჭრეს ერთმანეთი, მერე შეიხლართნენ, შეიკვრნენ ერთ მუშტადა, აქანდნენ, დაქანდნენ ურონსავითა, გაიყვნენ ისევა, ერთი გაიშალა ეგრე, ვითომ ასპარეზიაო, მეორე აცეკვდა ანუ აცეკვდნენ თითნი ხელის გულზედა, უცებ აიკეცნენ სხვანი, სალოკი დარჩა შუაგულზედა, დარჩა, დატრიალდა ბურღივითა, თითქოს გახვრეტა მოუნდომაო, ოღონდ დაეხსნა, მალე დაეხსნა, ავარდა, აჰყვა გაშლილ სილასა, მეორე ჰო იქით გაიშლებოდა რაღა თქმა უნდა, მიაწყდებოდა ერთიმეორესაცა, ტლაშუნს გადმოსცემდა ანთუ კენტადა, ანთუ ზედიზედა, ეს სულერთია, განმეორდებოდა ამნაირადვე, მერე ბლუჯადაც გავარდებოდა თითები, ისრების ბლუჯადა, ისართა ზუილსაც აიყოლებდა, ოღონდ მალევე აიკრიფებოდა ანთუ მოგვიანებითა, ანთუ დასამუშტავადა, ანთუ დასაბრტყელებლადა, სატევარივით დასაბრტყელებლადა, სატევრებივით საქნევადა. უარესადაც გარდაქმნილიყო, ველარას დააკლებდა იმა ქვადქმნილსა თუ სულამორთმეულსა, ვერთუ რას აუხსნიდა, ვერთუ რას დააჯერებდა, სამაგიეროდ ელისოს იპყრობდა, ასდევდა თვალნი ელისოსი, ალტაცებულნი, გაბრწყინებულნი, ძალის შეგრძნებით ალტაცებულნი, გაბრწყინებულნი ძლიერების ხილვითა; ასდევდა თვალნიო? — თვალნი რა თქმულა თუ აჰყოლოდა ერთიანადა, მთელის არსებით ალტყინებულიყო... ასეთი ელისო ახსოვდა ლენტოსა, ასეთი ელისო უნდოდა ლენტოსა, მაგრამ ამისთვის აღარ იყო, არა, აღარ იყო ამისთვისა, იმისთვის იყო, იმა შეშლილი თუ გაცოფებული ხელებისთვისა, იმა გზნებისთვისა, იმა დაუთმობლობისთვისა, მოდუნებისათვის არ იყო, არა.

აღართუ ვინმეს აგონდებოდა, ლენტოც თუ იქ გახლდა, არცთუ ვინმეს გაუგია თუ როდის გავიდა...

## XII

...და ვიხილე სხვაი მხეცი, აღმომავალი ქუეყანით, და აქუნდეს რქანი, მსგავსნი კრავისა, და ზრახვიდა, ვითარცა ვეშაპი...“

როცა იყო, გავიდა, რაც იყო, განიცადა, დაკარგვა განიცადა რაღაცა დიდისა, რაღაც აუნაზღაურებლისა, მიუსაფრობა განიცადა, ოღონდ ნუ მომკითხავ თუ ვით განიცადაო, ჰო ნუ მომკითხავმექი, რადგან ადვილია გამოხატვა ბედნიერის უბედურობისა, ხოლო უბედურის უბედურობა არც დაიხატვის ეგრე ადვილადა, არა, არ დაიხატვის; დაუზოგავადაც ნუ მომექცევი, ნუ აიხირებ, გაგიძნელდეს და გაგიძნელდესო, ნუ აიხირებ, სიძნელესაც ჰოარ მოვრიდებივარ, — სიძნელე რა ყოფილა, რა მოსატანია, ერთფეროვნებას მოვრიდებივარ, რადგან ახალი მარცხი, რადგან რო უბედურება ახალი არცთურას შესცვლის, არცრას მოაკლებს, არც მიუმატებს ცხოვრებასა თუ განცდას მარცხიანისასა, ჰო მარცხიანისასამეთქი, იგივე უბედოსი თუ უბედურისამეთქი, თუმცა ერიჰაა, ეს რაღა ითქვა, უბედურისაო! როდისაქეთია აღარა თქმულა, — „უბედურსაო?!“ და მწირსა უცებ გულს ელდა ეცა ამ სიტყვის თქმაზედო, ესეთი სიტყვა ჰო ჩივილია და ვით მოადგა იგი ენაზედო, — ვგონებ, მას შემდეგ აღარცა თქმულა, ამ ჩვენს დროში ჰო არა და არა, ვის მოადგებოდა იგი ენაზედა?!. ბედნიერების მეტი არაფერი ითქმოდა და ნუ შეგაშინებს თუ ესეც

გაისმა, ნუ შეგაშინებს: ველარ განუძლებს ქვეყანა ძველი განახლებისა გრიგალის ქროლვასო, — ველარ განუძლებს, წარმოსდგება ისევ ისევე უბედურება უბედურებადა და ისიც ითქმის სიხარულს თუ რაც მოგვანიჭებსო. ითქმის. ითქმისო. და ახლა მაინც საქმე იქამდის მაინც არ მისულა, უფსკრულში რო გადაჩეხილიყო ლენტოი, არც რო ფიქრად მოუვიდოდა ასეთი რამა, ვერც რო მიჰხვდებოდა, სხვა რო მის თვალწინ გადაჩეხილიყო, მარცხი თუ გასაჭირი, სიმუხთლე თუ სივერაგე, სიცრუე, სიცრუე გაუთავებელი, ეგონა ისე ჩვეულებრივი, ისე, ისე ჩვეულებრივი, უიმისოდ თუ როგორა ცხოვრობდნენ, ვერც მიჰხვდებოდა და ვერც ვერას გაიგებდა; ასე რო უფსკრულში არ გადაჩეხილა, რაც იყო გადიტანა, გაუძლო რაც იყო, ასდევდა ისევ შინაგან ხმასა, რო უნდა გასულიყო რო უნდა გაეტანა, თუ დაეცემოდა, რო უნდა ამდგარიყო, უსათუოდა, უსათუოდა, უსათუოდ რო უნდა ამდგარიყო, ამას ასდევდა, ამ რაღაც ძალასა, გამოუცნობსა, იდუმალსა, გაუტეხელსა; ასდევდა და მისდევდა, მისდევდა და მიიყვანდა იმა ახალ მასწავლებელთანაცა, იმა ახალი მისამართითა. მიიყვანდა.

იქით ისეთი ფორიაქი დახვდა, გაბოცდა, ველარ გაიგო თუ სად მოხვედრილიყო, მიგნებაც გაუჭირდა, იარა თითქოს რაღაც უცნაური ჯურღმულებითა, ძველი შენობის ჩახვეული დერეფნებითა, ალაგ ბნელი, ალაგ უეცრად ჩამონათებული დერეფნებითა, იარა და გულში რო გაივლო, ველარც გავაღწევ აქედანაო, სწორედ მაშინვე გადაეყარა იმა ფორიაქსა, ანთუ ერთად აქაქანებულ ოციოდე ახალგაზრდას გადაეყარა ერთბაშადა და მოულოდნელადა. სადღაც ჩაკარგულიყვნენ იმა ლაბირინთშია, გადამკედლილ დერეფანსავე თუ საკუჭნაოსმაგვარ გრძელსა და ბნელ ოთახში მოეყარათ თავი. ბნელი იმად ითქმის, შუქს თუ ჩააქრობდნენ, ერთი სარკმელი ვერას უშველიდა, თორემ იმჟამად შუქი აენთოთ, ბდღვიალებდა დღის ნათურები, ლაპლაპებდნენ, ახალგაზრდებიცა, ლაპლაპებდნენ [illegible] ლაპლაპებდნენ და ქაქანებდნენ, ერთადა, ერთბაშადა, თითქოს არავის არავისი გაეგებაო, ქაქანებდნენ და ბრუნავდნენ, ტრიალებდნენ, ჩასდევდნენ წაგრძელებულ მაგიდასა, ჩასდევდნენ და ასდევდნენ ან მიიკუნჭებოდნენ, ან გამოიშლებოდნენ, ან დაწყვილდებოდნენ, ან დაბორიალებდნენ თითოთითოდა, ვაჟებიც დაბორიალობდნენ, ქალიშვილებიცა, ვაჟებიცა ქაქანებდნენ, ქალიშვილებიცა, ოღონდ ესაა, მომეტებულიყვნენ ვაჟები, ხმა მაინც ქალიშვილებისა სჭარბობდა. ასე ერთბაშად ტოლებადაც ითქმოდნენ, განსხვავებაც შეემჩნეოდათ, უფროსები ლენტოსხნისანი გამოვიდოდნენ, უმცროსები ჰადაჰაო, იმწელიწადს თუ ამთავრებდნენ საშუალო სკოლასა, მაინც ერთბაშად ტოლსწორებადაც ითქმოდნენ, ტოლსწორებივითაც წაღერებოდნენ ერთიმეორესა, არცარას [illegible]დნენ ერთიმეორესა, არც არავის უკვირდა, არც არავინ შეწუხებულიყო. ტანით თუ სახით გამოირჩეოდნენ რაღა თქმა უნდა, თუმცა ლენტოს ვერ გამოერჩია, — ერთ ადგილას ჰო არა ჩერდებოდა არცერთი, ეს ახალმოსულიც ჰო არ შეუმჩნევია არავისა, — არა, არ შეუმჩნევია, იქ არც არავინ ამჩნევდა არავისა, ყველა თვითონვე ეჩრებოდა, ესეც უნდა ჩაჩრილიყო თუ რამე უნდოდა, ეკითხა თუ სად მოხვედრილიყო, ეკითხა თუ საით გაეკვლია გზაი, იმას იქითაც თუ იდო გზაი. ეკითხაო, ოღონდ ვისთვის ეკითხა თუ არც არავის ეცალა ამისთვისაო. თუმცა ჰო: მაგიდასთან ვიღაც მიმჯდარიყო, ერთი მაინც მიმჯდარიყო, ერთი მაინც არას ამბობდა, არც თავს არაცრაცებდა, არც მხრებს დააქანავებდა, არცა ხელებსა, მიმჯდარიყო, გატვრინულიყო, გრძელი მკლავები ჯვარედინად გადაეწყო რვეულებსა თუ ქაღალდების კონებზედა, ჩამოგრძელებულივე სახე დაეხარა გადაჯვარადინებულ მკლავებზედა, თმა გადაეხვეტნა, ძუასავით შეეკრა კეფაზედა დასაზის ძვლები

უფრო მკაფიოდ ამოსცვენოდა, ისედაც ამოზრდილი ძვლები. ხორცი თუ აკლდა რაღა თქმა უნდა, ანთუ ხორცი არცთუ ეხმარათ, როცა ძერწავდნენ იმა სახესა, კანი გადაეკრათ პირდაპირ ძვალზედა, არაფერი ამოევსოთ ხორცითა, არაფერი შეელამაზებინათ. თვალი მაინც არ მოერიდებოდა, თუმცა არ ითქმოდა შნოიანადა, არა, ცხადია, მხრებიც გასწეოდა განზედა, ისევე ძვლებამოჩრილი მხრები, კანჭებიცა მსხვილი მხოლოდ ძვლებისგან დასხვილებოდა, წამოვარდნოდა მუხლის კვირისტავებიცა, კაბაც ზევიდან გადაეჭირა, მუხლებზევიდან, — შნოიანად არ ითქმოდა და რა ვქნა?!. ჰო ეს მერე, კანჭები თუ კვირისტავები მერელა შენიშნა, ქალიშვილი რო ადგა, ლენტოსაკენ გამოემართა, შენიშნა თუ არცთუ შენიშნა, მხოლოდ ერთი აავლო თვალი, თვითონაც წაიწია, ვეტყვი, მეტყვის და გავეცლები აქაობასაო. ჰოდა ჰკითხა, ჰოდა მიუგო, ოღონდ გაცლით ვერ გაეცალა, იქ მისულიყო და რას გაეცლებოდა. ქალიშვილმა სიგარეტიცა სთხოვა. არ ვეწევიო, მოახსენა ლენტომა. ნაზიკო მქვიანო, მაინც დასძინა ქალიშვილმა. ბაგე აღარ გაუხსნია ლენტოსა. აღარც ნაზიკოს დაუყოვნებია, ისევ მიექცა თავის კონებსა, სიგარეტიც გამოარჩია, ასანთიცა, ლენტოსაც გაუწოდა სიგარეტი არ ვეწევიო, შეახსენა ლენტომა.

— არც გამაცილებთ?.. — თითქოს გაიკვირვა, თითქოსა სთხოვაო ნაზიკომა.

— შორს მიბრძანდებით?

— ჰა?! არა, აქვე, დერეფანში...

— სულერთია სად ვიდგომები.

— სკამები გავიტანოთ.

— არა, რატომაო... სულერთია...

ნაზიკომ მაინც გაიტანა სკამები, ჯერ გვერდიგვერდ დააწყო, მერე პირისპირა, ჩამოჯდა და მოიმარჯვა სიგარეტიცა ანუ ტუჩებში გაიჩხირა ცხადია, ოღონდ ასანთი ლენტოს გაუწოდა, წაიწია, გაემზადა მოსაკიდებლადა. ოღონდ ჰო, — იქ ჰო შესვლა არ გაუგიათ ლენტოსი, არც ეს გასვლა გაუგიათ, არცა ხრიგინი სკამებისა [illegible] ჰო შორს არ წასულან, ჰოდა [illegible]ამართი ეხვიათ გარსა, იგივე ქოთქოთი, იგივე ჭირვეული შეძახილები, ჭირვეული და ალმტაცი: „ეს იყო გენიოსი...“ „გენიოსი გენიოსებისა...“ „უდიდესი ფილოსოფოსი...“ „სტრატეგოსი სწორუპოვარი...“ „ნაპოლეონი ფელთფებელადაც არ გამოადგებოდა...“ „გარდაჰქმნა...“ „შეჰქმნა ახალი ფორმაცია...“ „იყო ჰუმანისტი უდიდესი...“ „ადამიანს კაპიტალი უწოდა...“ — ასეთი ალმტაცი, უფრო ალმტაცი, მოდავე იქ არავინ გახლდა, მაინც ჭირვეული გამოდიოდა, ერთმანეთისათვის რო უნდა წაეჭარბებინათ, იმიტომაც თუ გამოდიოდა ჭირვეული ან იმიტომაც, მოდავე რო იქ არავინ გახლდა, ხელშიც რო არ ჩაუვარდებოდათ არავინა, ვერც რო ხმას მიაწვდენდნენ ვერანაირადა, იმიტომაც თუ იჭაჭებოდნენ, ეგება როგორმე გავაგონოთო, ანთუ ვინ უწყის ვითომ რადაო, რად იჭაჭებოდნენ, — ეგება უფრო იმიტომაცა, სხვაგანაც ასევე რო იჭაჭებოდნენ: რალაც დამართნოდათ, სდუმდნენ, სდუმდნენ, სდუმდნენ და ტაშს უკრავდნენ, რო ისევ დადუმებულიყვნენ და რო ისევ დაეკრათ ტაში, და აი უცებ: იჭაჭებოდნენ, უცება, უცება, ეპიდემიამ რო იცის, ისე უცება, ფსიქიურმა ეპიდემიამა, შავი ჭირის ეპიდემიაც რო ვერ შეედრებოდა სისწრაფითა, ისე უცება. უცნაური რამ ყოფილიყო. რაცა ყოფილიყო, ნაზიკოს ალბათ ჯერ არ შეჰხვედროდა ან უკვე გაევლო ერთი საფეხური, — იჯდა გადაედო ფეხი ფეხზედა, აქანავებდა მუხლის კვირისტავსა, წამობურცულსა თუ წამოვარდნილ კვირისტავსა, წაემარჯვებინა სიგარეტი მოსაკიდებლადა.

— რად არ მომიკიდებთ?!

— როდის მითხარით?!

— ყველაფერს თქმა უნდა?!

— განა არ უნდა?!

— მიხვედრა რიღასია...

— მიხვედრაცაა და მიხვედრაცა.

— მიხვედრა ისაა, რაც სწორია.

— ყოველთვისა?.. მაშინ ვთქვათ

ჰო... პირველყოფილი... მეცნიერული...

— ალარა ხუმრობთ!..

— ალარა...

— რაც არის, მომიკიდეთ.

— მაგრამ უხერხულად ვუკიდებ, ეგება აგტრუსოთ.

— რისი თქმა გინდათ?

— აკი ახლა ყველა ხვდებაო!..

— მაინც რას ამბობთ?

— რაც მოგახსენეთ, უხერხულად ვუკიდებმეთქი.

ის მაინც წამოიწია თავპირიანსიგარეტიანადა, ამან მიაჩერა ასანთი. წყენა არ შესტყობია ქალიშვილსა, აანთო, გააბოლა, თვალიააყოლა ბოლსა, ააყოლა და ააყოლებდა, კარიდან ისევ ზათქი ზათქს დაერთვოდა, „ადამიანს კაპიტალი უწოდაო"... დაერევოდა ზვიადობითა, განუსჯელადაცა რალა თქმა უნდაო, თორემ თუ განსჯიდნენ, რა გამოვიდოდა, ანთუ უკვე რა გამოსულიყო, დახურდავებულიყო ადამიანი, დახარჯულიყო ერი, გაფლანგულიყო, ანთუ რაიმე გადარჩენილიყო, ასე გადამდნარი, ასე შენარევი სულითხორციანადა, — ჰო თუ განსჯიდნენ, ეს გამოსულიყო, თუ განსჯიდნენო, ოღონდ განმსჯელი ალარსად იყო, არათუ იმა ყმაწვილთა შორისა, ალარსად იყო, ალარც თუ სადა, დიდი ჭიაკოკონა დანთებულიყო, დიდიხანია დანთებულიყო, ჩამწვარიყო აზრი, ჩაფერფლილიყო, ჩაფერფლილიყო განსჯის უნარიცა. ოღონდ რაც უნდა იყოს, აქ ამისთვის როდი მოსულიყო ლენტორი, სულ სხვა რამისათვის მოსულიყო და სწორედაც გივლიაო დაარწმუნა ამა პოლში გამოხვეულმა ასულმა, დაარწმუნა და იცდიდა ესეცა ბოლის ნაძენძებშია, შემოუვლიდა ამასაცა ან წაჰკრავდა, წაეგლისებოდა, ზედ თვალებზე წაეგლისებოდა, ნესტოებში ჰო ჩაბუდებულიყო და ჩაბუდებულიყო. რაღაც მდარე თამბაქოსაგან თუ იქნებოდა, იმიტომაც თუ სთხოვდა, მომაწევინეო, უკეთესი თუ მონატრებოდა, მერედა რაო, გულიანად ექაჩებოდა ამასაცა, ებრალებოდა ძვლები მკერდისა, ადიოდა ბოლი საბერველიდან, ადიოდა და ადიოდა.

სადღაც ჩქამი გაისმა და თითქოს ბოლიც გაიყინაო, გაისმა და ჩაწყდა, ისევ ამოიზარდა, მერე დაიხლართა, იარა ეგრე დახლართულადა, იარა და იარა, ვიდრე კვლავაც ჩაიკარგებოდა თუ ზათქი დაჰფარავდა ახალგაზრდებისა, ბოლოს მაინც გამოიკვეთა, ჩქამიც გამოიკვეთა, მამაკაცისა, ასე შუახნის მამაკაცისა. შუათანად ითქმოდა სიმაღლითაცა, ხორციანობითაც შუათანადა, სიგამხდრე-სიმსუქნის შუათანადა რაღა თქმა უნდა. ჭკუისა რა გითხრა, ცოდნისა რაღა, ანთუ მარიფათისა რაღა მოგახსენო ასე უეცრადა, სად შუათანობასვე დაადასტურებდა, სადთუ მოჭარბებულობასა, გამოირკვევა თანდათანობითა, ოღონდ სამოსი მაინც სამოსი გახლდა, ერთი შეხედვითაც შეეტყობოდა, — ასცილებოდა შუათანობასა, მეტისმეტადაც ასცილებოდა, ხასხასებდა, სხივობდა, ბრწყინავდა, ანთუ კეწკეწებდა, ბუსუსი გადასდევდა სიახლისა თავითბოლომდისა, ბუსუსი სიახლისა, უბიწობისა, უმწიკვლობისა, გეგონებოდა, ეს არის საწყობშივე გადაუცვამს ყველაფერი ერთადაო, ერთბაშადაო, უცხოური საქონლის საწყობშიო რაღა თქმა უნდა. პორთფელიც ჰო ახლათ-ახალი ექნებოდა, — იქიდანვეო, დასძენდი ამასაცა, ოღონდაც რო არც ის პორთფელი ითქმოდა შუათანადა, ისე გაბერილიყო, არც ეს გავიდოდა შუათანობაშია, მოძრაობდა ისე, — პორთფელი ალარა, ის შუახნის, შუათანა სიმაღლისა თუ შუათანა სისქის კაცი, მოძრაობდა თუ მოქმედებდა ისე, იმგვარადა, შუათანობაში რო ალარ ჩამოერთმეოდა, არა, არა, რა სათქმელია, მოძრაობდა ფიცხლადა, სწრაფადა, ცხოველმყოფლადა, გასაოცრადა და მომხიბლავადა, დიახაც რო მომხიბლავადა, სახიდან გადაუმქრალი ღიმილითა, დამტკბარი, დათაფლული ღიმილითა, სიტყვაც დათაფლული ამოსდიოდა, გულთბილი, მხურვალე, უარიც მხურვალე, თანხმობაცა ცხადია, ყველაფერი, ყველაფერი

დათაფლული და თბილი, კეთილი, მისანდობელი. მისალმებითაც ამგვარივე იქნებოდა ცხადია, მოწიწებრივიცა, მკვირცხლიცა და მოწიწებრივიცა ერთდაიმავე დროსა, პირველივე შეკითხვითაცა, — დამაგვიანდა?! იმედია მომიტევებთ თუ დამაგვიანდაო. — თუმცა აქ ვითომ შიშიც აურეკლავდა მისანდობელსა თუ დატკბილულ სახესა, ოღონდ ნაზიკო დაამშვიდებდა მყისვე, — რასა ბრძანებთო. ზუსტი ხართ, ზუსტი, ჩვეულებისამებრო. აქ გამოცნაურებაც მოედევნებოდა, კოტესგან იქნებით, სასიამოვნოა. მოხარული ვარ, მოხარულიო, ოღონდ ერთ წუთს მომითმინეთო, მომიტევეთო, მომიტევეთო, იქ ახალგაზრდები მიწყნარდებოდნენ ამასობაში, ჯერ ჰო იმათთვის უნდა მიეხედნა, — უნდა მიეხედნა და მიჰხედავდა, ხელს ჩამოართმევდა ყველას სათითაოდა, სათითაოდაც მოიკითხავდა მშობლებიანადა ანთუ რომელიმეს მშობელთან დიდი რიგი იდგა მთხოვნელებისა, დაუბარებდა, ხვალ შევივლიო, დაუბარებდა სხვათაშორისა, ვითარცა წყალობასა, იმნაირადაც დაუბარებდა, სხვას კიდევ სხვა რამეს დაუბარებდა, ოცნი თუ ელოდნენ, ოციდან ორს მაინც დაუბარებდა, ანთუ სამსა, როგორც ენება, თვითონ იცოდა, ოღონდ უთუოდ სხვათაშორისა, უთუოდ, უთუოდ სხვათაშორისა, უთუოდ, უთუოდ ჩამტკბარი ღიმილითა, ჩამტკბარი, ჩამდინარი, ჩაბუებუებული ღიმილითა. მერელა დაიწყებოდა გაკვეთილი, გაკვეთილიც დაიწყებოდა ცხადია, ფიცხლადა, მკვირცხლადა, ჰაიჰარობითა: წამოიკრიფებოდა ქაღალდის კონები, მაგიდაზე რო ეწყო, ნაზიკოს რო ეწყო, ისეთივე კონები წამოიყრებოდა პორთფელიდანა, პატარა, პაწაწკინტელა, მინიატურული რვეულებიც გადმოჰყვებოდა, გამოიცლებოდა პორთფელი ცხადია, ოღონდ მაშინვე ალივსებოდა იმა კონებითა, უკვე წამოკრეფილი კონებითა, დაიკეტებოდა, ჩაიმართებოდა მარცხენა მუჭშია, მარჯვენა ზევით აიმართებოდა, აბა თქვენ იცით თუ როგორ მასახელებთო, გამარჯვებითო, გამარჯვებითო, გამარჯვებითო, დაატანდნენ დანარჩენნიცა და გავარდებოდა ის შუახნის, შუათანა სიმაღლისა, შუათანა სისქისა, ოღონდ უღრესი სიმკვირცხლის კაცი, სიკეთისას ჰო ნულარას იტყვი!.. დანარჩენი ნაზიკოს ებარა... ოღონდ მოიცა, იმჯერად ლენტო ელოდებოდა, ვერ გავარდებოდა ჩვეულებრივადა, წამით მაინც უნდა შეყოვნებულიყო, არც შეყოვნებულა წამზე მეტხანსა, — უხერხულად გამომივიდაო, დროზე ვერ გავარკვიე, თქვენ თურმე სიმწიფის ატესტატი გინდათ, ესენი უმაღლესისათვის ემზადებიანო, აბა რა გეშველებათო, ბოდიში მომხადეთ კოტესთანაო, მომიტევეთო, მომიტევეთო, ესეც დააგდო და ისელა გავარდა, თან გაიყოლა პეწენიკი, სიკეწკეწე თუ სიხასხასე, რაც მოიყოლა, თან გაიყოლა.

ჰო ის გავარდა თუ გაიყოლა, ხოლო ეს სახტად დარჩა, ეს სიმწიფის ატესტატის მონდომებული ყმაწვილკაცი, სახტად დარჩა, მარტოდაც დარჩა, ნაზიკოსაც რო აღარ ეცალა ამისთვისა, აღარც აღარავინა ქაქანებდა, ჩამწყდარიყო კამათი თუ ხმაური იგი, ჩაყუჩებულიყვნენ, ჩამსხდარიყვნენ, შემორიგებოდნენ იმა გრძელ მაგიდასა, აკინძული ფურცლებიც შემოეწყოთ, პაწაწკინტელა, მინიატურული რვეულებიცა, მოემარჯვებინათ საწერკალამიცა, გაფაციცებულიყვნენ, გამალებულიყვნენ, იწერდნენ, იწერდნენ გამალებითა, ფურცლებიდან იწერდნენ პაწაწკინტელა რვეულებშია, პაწაწკინტელა ასოებით იწერდნენ. ოღონდ ყველანიც როდიო, — არა, რამდენიმე გოგონა იწერდა, ორიოდე ყმაწვილიცა, სხვებს ყური დაეცქვიტათ, აცა თუ როდის ჩაილევა ის მკვირცხლი ნაბიჯები იმა ჩახვეულ დერეფნებშიო; ჩაილია და კიდევაც აიშალნენ, ყველანი არა, ყურდაცქვეტილნი აიშალნენ რაღა თქმა უნდა, ფურცლები დაახვიეს, პაწაწკინტელა რვეულებიც ჩაიტენეს ჯიბეებშია, ყელი გამოუწიეს ნაზიკოსა, ზოგი კიდევაც შემოეხვია, ოღონდ გაგვიშვიო, ოღონდ იმან არაფე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რი გაიგონო, ამას უსათუოდ გადავიწერთო, გოგოებს გადავაწერინებთო, ჩაწიკწიკებულს მოგირბეინებთ შემდეგისთვისაო, ოღონდაო, ოღონდ გაგვიშვით. ისიც იწერდა, თითქოს ყურსაც არ უგდებდაო, არც ეუარებოდა, არცა თანხმდებოდა, არცთუ უცდიდნენ თანხმობასა, ყელს გამოუწვდიდნენ და მირბოდნენ. შემოეხვეოდნენ და მირბოდნენ, თითებით კოცნას მიუგდებდნენ და მირბოდნენ, კართან მაინც შეყოვნდებოდნენ ერთი წამითა, კისერს მაინც წაიგრძელებდნენ გასვლამდისა, ემანდ, აქვე არ გველოდებოდესო, წაიგრძელებდნენ და მირბოდნენ, მიჰქროდნენ, მიჭუნტრუშობდნენ. მცირედნილა დარჩენ, მცირედნილა იწერდნენ გამალებითა თუ გაფაციცებითაო, მდუმარედაცა რალა თქმა უნდა, მხოლოდ ფურცელი თუ შეიშრიალებდა, მხოლოდ ღრმა ამოსუნთქვა თუ გაისმოდა დროდადროდა, ესეც ალბათ საჭირო თუ იყო, სულ მდუმარებაც არ ივარგებდა. ოღონდ რაც უნდა ყოფილიყო, მაინც სახტად დარჩენილიყო ლენტოი, ჯერ იმ ნათქვამისაგანა, მერე იმნაირი გაკვეთილისაგანა, ასეთს არაფერს არ შესწრებოდა, არც გაეგონა, არც იქა, ორბისშია, არც აქა, თბილისშია, სხვაგან არცთუ ევლო, არც გამოეკითხა, არც ექნებოდა გამოსაკითხი, — რა გეშველებაო, ასედაც დაუგდო იმა შუათანა კაცმა, ხანითა, სისქითა, სიმაღლითა, თორემ ისე ვინ უწყის რამსიმაღლე კაცმა, დაუგდო ასე შემბრალოდა, ნაღვლიანადა, გულისკანკალითა, დამტკბარი გულის კანკალითა, მტკბარი ღიმილითა და ცხადია აღარაფერი ეკითხებოდა იქა, აღარაფერი ესაქმებოდა იქა. მაინც სახტად დარჩენილიყო, მაინც ვერსაით გადაედგა ნაბიჯი. ისინი იწერდნენ სუნთქვაგაკმენდილნი, ლამის ჩამქრალნი უსუნთქველობითა, ხან ღრმა ამოსუნთქვით თუ მოიბრუნებდნენ სულსა, ეს არა, სულს არ მოიბრუნებდა, თითქოს სუნთქვაც აღარ უნდოდა. ისინი იწერდნენო, იწერდნენ და მოათავებდნენ, სათითაოდ მოათავებდნენ, სათითაოდაც გაიკრიფებოდნენ. ფურცლებს ნაზიკოს აუკლაკლავებდნენ და გაიკრიფებოდნენ, გაიყოლიებდნენ პაწაწკინტელა რვეულებსა, გაიყოლიებდნენ თუ რას უზამდნენ, ვერც შეამჩნევდა თვალი უცხოსი. უცხოსი. ნაზიკოს ცოტა შეაგვიანდებოდა, რადგან რო მეორე რვეულსაც ავსებდა იმა პაწაწკინტელა, იმა მინიატურულ რვეულსა, ავსებდა გაწაფული ხელითა, უსწრაფესი ხელითა, — არც იმდენად შეაგვიანდებოდა, გასწორდებოდა, ბოლო გოგონაც რო გამოემშვიდობებოდა, გასწორდებოდა და ისევე გადააჯვარედინებდა მკლავებსა აკოკლავებულ ფურცლებზედა, პირველ შემოსვლისას როგორადაც იხილა ლენტომა, ისევე გადააჯვარედინებდა, ისევე დაჰხრიდა ჩამოგრძელებულ სახესა, გარინდდებოდა იმნაირადვე, თითქოს ისევეც იქნებოდა მეორედ მოსვლამდისა, იმა შუათანა კაცის მეორედ მოსვლამდისა, ხნიერებით შუათანასი, სიმაღლითაც, სისქითაც, თორემ ისე ვინ უწყის თუ რამსიმაღლისა!.. ჰო თითქოს ისევეც იქნებოდაო, თქმით ითქმის ასე, ამნაირადაცა, თორემ ისევე ველარ გასძლებდა რაღა თქმა უნდა, მოიცალა და იტყოდა კიდევაცა:

— ვიცოდი, დაიცდიდით.

— მე არ მეგონა...

— მე მინდოდა და ასე იქნებოდა.

— ამდენი შეგიძლიანთ?..

— ასეა, ჰო ჰხედავთ!..

— საშიში ყოფილხართ!..

— რადა?..

— ვინ იცისთუ რას მოინდომებთ.

— ცუდსა?

— ჰო...

— არა... თქვენთვისაც გადავწერე, — და თითებიდან გამოაცურა ის პაწაწკინტელა, ის მინიატურული რვეული, გამოაჩინა, გამოაცურა უცნაური მოხერხებითა, გამოაჩინა და გააქრო, კვლავაც გამოაჩინა და გაუწოდა. ამანაც გაიწოდა ხელი უნებლიედა, განა თუ იცოდა თუ რად უნდოდა, არა, აწვდიდნენ და მიეტანა, მიეტანა, მაგრამ ვერ მისწვდა, გაჰქრა რვეული, ჩაიყლაპა,

ჩაიყლაპა და აჰყვა სიცილი ნაზიკოსი, გულიანი სიცილი აჰყვა, უცებ აჰყვა და უცებაც მიჰქრა. კიდევაც წამოიჭრა ქალიშვილი, თითქოს რაღაცა გაახსენდაო, აბგაში ჩაიწყო ყველაფერი, შინნაქსოვ აბგაშია, მოჩითულში პაწაწკინტელა ჯვრებითა და ვაზის კავებითა, მწვანე კავებითა, შავი ჯვრებითა, გამიძეხიო, ანიშნა ვაჟსა, შუქი ჩააქრო, კარი გადაჰკეტა, ხელი ჩაჰკიდა და გაიყოლა იმა ხვეულებში დერეფნებისა, ჩაბნელებული დერეფნებისა, ალაგ-ალაგ შუქიც რო დაჰკრავდა.

XIII

„...და აღმოასხა გუელმან მან პირისაგან თვისისა წყალი, ვითარცა მდინარე, შემდგომად დედაკაცისა მის, რაითამცა წარიღო დედაკაცი იგი მდინარემან მან...“

ჰო გაიყოლა და გავიდნენ, მშიანო, ჩაიცინა ნაზიკომა, გავიდნენ თუ არა ჰაერზედა, ჰაერმა თუ შეახსენა შიმშილი, მარტის ჰაერმა, გაზაფხულმა თბილისისამა. თუმცა ეს უფრო პოეტური გადმონაშთია, დიდი ქალაქი ასე უეცრად ვერ იგრძნობდა გაზაფხულსა რალა თქმა უნდა, მაგრამ მოშივნოდა ქალიშვილსა და ასე მეტად ლამაზად გამოდის: გაზაფხულიო და სხვა და სხვა... ოლონდ თუ რაო, ასე გამოდის თუ ისე გამოდისო, შარვლის უკანა ჯიბე მოისინჯა ლენტომა, — მარტი ჰო დამდგარიყო, ხელფასის ნახევარი ჰო აელო, დაიკოსათვის ჰო დაეტოვებინა ფული, თუმანი მაინც მოენარჩუნებინა შავი დღისთვისა, მოენარჩუნებინა თუ ჩაეკუნჭა, იქვე ეკუნჭა უკანა ჯიბეში, შეეძლო სადმე შეეპატიჟებინა ქალიშვილი, იაფფასიან კაფეში ცხადია, სხვაგან თუმანი რას გასწვდებოდა, ჯერ ახლა რა არის, მაშინ აბა რა იქნებოდა, ავტობუსში ჩაჯდომა თუ ათი შაური ღირდა, ცრუ გაზეთი — ოცი კაპიკი? თუმცა ეს უკვე ითქმოდა ალბათა, მერედა რაო, შეხსენებაც ურიგო არ იქნება, თუმანი რო მაინც თუმანია, მაინც იფხორება, იბლი[illegible] მოიამაყებს, ოლონდ მეტ[illegible]მცვად წარმოსთქვა ლენტომა, აგერ შევიდეთო, წარმოსთქვა მორცხვადა, მისდგომოდნენ მდარე კაფესა, ყოვლად მდარესა. უკადრისობა არ შესტყობია, ნაზიკოსა, შევარდა, შეიჯირითა, მოხერხებულად გაძვრა სივიწროვეში კეფათა და ზურგებს შორისა, ადგილიც იპოვნა ლენტოს მისვლამდისა, იმისთვისაც დაეპატრონა სკამსა. დასხდნენ ცხადია. ოფიციანტი ერთი ტრიალებდა, ყველა იმას მისძახოდა, ყველა სთხოვდა, ყველა აჩქარებდა, ყველა სადღაც მიეშურებოდა, ვინ უწყის როდის მოაწევდა ამათი ჯერი. მშიანო, მოუთმენლობდა ნაზიკოცა, მშიანო, იმეორებდა ზედიზედობითა, ეგრე გამოდიოდა, მართლაცა შიოდა, ეგრეც გამოდიოდა, ცოტა არ იყოს იპრანჭებოდა კიდევაცა. რაც გამოდიოდა თუ რაც არა, უნდა აეჩქარებინა ლენტოსაცა, იმას უფრო უნდა აეჩქარებინა, მარტო იმას უჯდა ქალიშვილი, მაგრამ არაო, ელოდა ვითომ დამშვიდებულადა, აჩქარებაც ჯიბესა სცოდნიაო, სიუხვეცაო და ჯიბემაც გასჭრა, ისევ ლენტოს ჯიბემა ცხადია, ოლონდ ჯიბემა აღრინდელმა და იცი მერე რანაირადა: დახლი მიატოვა თვით დახლიდარმა, გამოვლო ისე, თვალი არ მოუშორებია ლენტოსათვისა, ხელით მოიცილა ვინთუ დალოცვა სთხოვა, ვინთუ სხვა რაღაცა მოინდომა, ხელით მოიშორა, ზურგთუკან გაქნევითა, ლენტოს წინ დაერჭო და ჩააცივდა თვალებითა,— შენ ჰო ხიმშიასთან დადიოდიო, — შესძახა უეცრადა, შესძახა აღტაცებითა და, რო დაიდასტურა, ტაში შემოჰკრა, ვაჰ, რა ბიჭი იყავი, ვაჰ, რა ქარი გიქროდაო, დაიდასტურა და ციბრუტივით შემოტრიალდა, შემოტრიალდა და მიაყარა, მიაყარა და მიაყარა, რაც რამ გააჩნდა იაფფასიან კაფესა, რა საჭმელიო, რა სასმელიო, რაც რამ გააჩნდა. ნაზიკო დააცხრო იმავე წუთსა, არც არასა სწუნობდა, არც არას არჩევდა, ჭამდა და სვამდა, სვამდა რაც მოხვდებოდა, ლიმონათი იყო თუ მდარე არაყი, დატკბი-

ლული, შეფერადებული რაღაც გამოუცნობი ხილის წვენით. არც გაუგია თუ რას ედავებოდა ლენტოი, თუ რას ედავებოდა დახლიდარსა ცხადია, თუ რას უარობდა დახლიდარი, ცხადია დახლიდარი, მაშ ვინა, თუ რად იმეორებდა სინანულითა, ვაჰ, რა ბიჭი იყო, ვაჰ, რა ქარი უქროდაო, ან სხვები რაღას ეკითხებოდნენ დახლიდარსა, ან დახლიდარი რას მიუგებდა, ან იმათკენ რაღად იცქირებოდნენ ლამის ყველანი ანთუ ოფიციანტი თავს რად ევლებოდა ისე მოწიწებითა, თითქოს არც გაუგია, ჭამდა და სვამდა, ჭამე, ჭამეო, დროდადრო ლენტოსაც დააჩქარებდა, დალიე, დალიეო, დააძალებდა დროდადროდაცა, ოღონდ აღარ ეკითხებოდა, ჭამდა თუ სვამდა თანამესუფრეცა, არც ეკითხებოდა, სხვასაც არაფერს ეუბნებოდა, ვიდრე არ იჯერა გული, ვიდრე კარგად არ მოისუყა გული, მერე ის მდარე სასმელი მიიდგა ისედაც უკვე ალეწილმა და სინანულითა თუ გულდაწყვეტით ჩაიჩურჩულა:

— ლამაზი გოგოებიც გეყოლებოდა...

— რა გოგოები?..

— გოგოები!.. ქარი რო გიქროდა!..

ტუჩები მოპრუწა, წაისისინა ნაზიკომა, ეს არაფერი, ესისინა რამდენიც უნდოდა, დაიფარებოდა საერთო ხმაურითა, მაგრამ არაო, არ იკმარა ოდენ სისინი, ლაშები გაშალა, ვეება ლაშები, თოხები გადმოჰყარა, ვეება თოხები და გადაიკისკისა მჭახედა, მკვეთრადა, მოურიდებლადა. მაშინვე დაჰფარა მცირე დარბაზი იმა კისკისმა, დიდი არ გახლდა, დიდსაც დაჰფარავდა. მიყუჩდა დარბაზი, ყველა შემოტრიალდა, ანთუ თავები შემობრუნდა, გაკვირვებული მიაჩერდა იმათ მაგიდასა. შეწუხდა ლენტოი, მიწა გასკდომოდა, ერჩივნა, მაგრამ მიწა არ აპირებდა გასკდომასა, ეს რაო, რაოდენი უარესიც აეტანა, აიტანდა ამასაცა, ჰო შეწუხდამეთქი, ვერცთუ ვერაფერი ელონა, თავიდა ჩაჰკიდა, არ უნდოდა, არაფერი უნდოდა, არც ეს ყურადღება გაკ[illegible], არც ეს პატივისცემა, არც ეს მოგონებანი, არც ეს გოგო უნდოდა, ეს სულ არ უნდოდა, სულ არა, მაგრამ რაო, ერთად აჩეჩოდა ყველაფერი თუ უნებლიედ გამოხვეულიყო რაღაც ბადეში, თავს რო ველარ დააღწევდა ვერას დიდებითა. დახლიდარს თავისი „აზრები ჰქონდა“ რაღა თქმა უნდა, იმის თვალში თუ დაცემულიყო, ეს უკვე აღარ შეაწუხებდა ლენტოსა, გამოეთხოვა იმა ქარებსა, კარგახანია გამოეთხოვა, ოღონდ არც ეს უნდოდა, ამ ახალ ქარებში მოხვედრილიყო.

— სირცხვილია!.. — კბილებში გამოსცრა ლენტომა.

— ჰო... უცებ მომეკიდა, გადაივლის, ნუ გეშინიან.

— ნულარ დალევ.

— მოურთმევია, ეწყინება, ჰა... — აღმოსკდა ისევ კისკისითა, ოღონდ მხოლოდ ერთი აღმოსკდა, ტუჩებზე მიირტყა ხელი, მწვავედ მიირტყა, აღმოსკდა და მოსწყვიტა მყისვე, — ნუ გეშინიან, ნუ გეშინიან, გადაივლისმეთქი.

წავიდეთო, მაინცა სთხოვა ლენტომა.

არაო, გაჯიქდა ნაზიკოი.

— ნუ გეშინიანმეთქი, დამშვიდებულად განაგრძო ნაზიკომა, — ნურც ამისი გეშინიან, — თითები მოუცაცუნა სასმელსა, — ნურც იმისი, თითქოს აგეკიდები, ნუ გეშინიანმეთქი. მე იმ ვაჟბატონზე მომდის გული, იმისი შურისძიება მინდა, მეტი არაფერი, არაფერი.

— ვინ ვაჟბატონი?

— ვინც დაგითხოვა.

— დამითხოვა?!

— მაშ შეგიცოდა?! რა ვქნა, რა გეშველებაო, რო ათრთოლდა, ვითომ შეგიცოდა?! ძალიან ახალგაზრდა ხარ, სიმწიფის ატესტატიც არ მიგიღია, მაგრამ თუ უკვე გიქროდა ქარი... ჰა, ჰა, ჰა... — ისევ აღმოსკდა, ისევ უცებ მოიმუწა ტუჩები, სილაც გაიწნა, — ეს რა ავიჩემე?! მაინც როდის მოასწარი?

— მოეშვი!.. — გაწყრა ლენტოი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ჰო... მართალი ხარ. ოღონდ მაინც ნუთუ ვერ მიხვდი, თვალი შევავლო თუ არა, მაშინვე გაიგო თუ რა ავლადიდების პატრონიც იქნებოდი და მოგიშორა თავიდანა, ნუთუ ვერ მიხვდი?!

— ვთქვათ მივხვდი?..

— ჰოდა მე მინდა ვიძიო შური.

— ჩემი გულისთვისა?..

— ჩემი გულისთვისა...

— მე ვითომ როგორ გამოგადგები?

— აი თუ როგორა, — ისევ იმა პაწაწკინტელა, მინიატურულმა რვეულმა შეითამაშა ნაზიკოს თითებშია, — გამომართვი. ნუ შიშობ, გამომართვი, აჰა, ჰა!.. ადრინდელებსაც გადაგიწერ, გადაგიწერ დანარჩენებსაცა, სხვა შენ იცი, ყველა გაკვეთილს გადაგიწერ.

— მე რად მინდა, ან ვითომ რა შურისძიება გამოვა ამითა?!

— ვითომ რაიო, — გაკვირვება ამოესახა ნაზიკოსა, სასმელი მოსვა, ოდნავ მოსვა, კიდევ ოდნავა, მერე გადაჰკრა, თუ რამ ჩარჩენოდა ჭიქაშია, — აკი კაი ქარი გიქროდაო?! — ეჭვიანად იკითხა ნაზიკომა, აღარ გადაკისკისებულა, აღარც სილა გაუწნავს ტუჩებზედა, — რაღად მომჩერებიხარ ეგრე გულუბრყვილოდა?! ნუთუ ესეც ეშმაკობის გულუბრყვილობაა?! გულუბრყვილობით ეშმაკუნობა იმისიც მომბეზრდა.

— მეც ბევრი რამ მომბეზრდა, მართალს თუ ინებებ, შენც უკვე მომბეზრდი, ასე მგონია, მთელი საუკუნეა ზურგზე მკიდიხარ...

— ნწ, ნუ გეშინიანმეთქი, გითხარი. ოღონდ ეს მაინც მიპასუხე, ისეთი რა ქარი გიქროდა, ამ ეშმაკობასაც თუ ვერ მიმხვდარხარ ან თუ არ იცი, თუ არ იციმეთქი, — ისევ ჩამოართვა მიჩერებული მინიატურული რვეული, შეათამაშა, შეათამაშა, ამოისუნთქა და გააქრო უეცრადა, ვითომდა რაო, გადავყლაპეო.

— ცირკში მინახავს.

— ცხოვრებაც ცირკიაო.

— თეატრიაო.

— სულერთია, ცირკი და თეატრი ჰო, აღარც გაირჩევა ახლა!..—რვეული ისევ შეათამაშა, ისევ [illegible] — მაინც რა ქარი გიქროდამეთქი.

— ასეთი არაფერი. ერთ აკრძალულ საქმეში მოვხვდი ჩემს უნებურადა. მოვხვდი. გამოვეცალე.

— ფული ბევრი გქონდა?!

— უფროსსა ჰქონდა ბევრი.

— შენც ჰო გქონდა, იმდენი არა, მაგრამ ჰო გქონდა?! ფულმა გოგოებიც იცის, ლამაზი გოგოები, ჰო გყავდა ლამაზი გოგოები?.. ეგრე ნუ მიყურებ, სისულელით როდი მომდის, არა, ისე, მიხარიან, როცა ლამაზი გოგოები დასდევენ ლამაზ ბიჭებსა, მძულს მახინჯი გოგოები თუ აეკიდებიან ლამაზ ბიჭებსა, ძალიანა მძულს, ძალიანა... ჩემი ნუ გეშინიანმეთქი. ოღონდ დალიე, დალიე რა, ფხიზელი ისე კარგად ვერ გამიგებ, ცოტა დალიე, გეხვეწები, ცოტა დალიე!..

— აჰა!.. — დალია, დაიფშხალა მეტისმეტადა.

— მაშინ ალბათ კიდევაცა სვამდი?

— ჰო...

— ოღონდ ამას არა.

— ჰო...

— „გრემსა“, „ენისელსა“, „ვარციხესა“, „ძალიან ძველსა“...?

— ჰო...

— რა კარგია, მიყვარს კარგი ცხოვრება, მიყვარს და რა ვქნა!..

— ის არ იყო კარგი ცხოვრება...

— მე კარგი ცხოვრება მიყვარს. — თვალები მილულა ნაზიკომა, გაისუსა, გაიტვრინა, გაინაბა, — ცხოვრება რო ასეთი იყოს, თვალდახუჭული რო ცხოვრობდეს ხალხი, რა კარგი იქნება!.. მაგრამ უნდა გაახილო თვალი, უნდა გაახილო, ახ!.. — გაახილა და უამურადაც მიმოატარა თვალი: ისევ გამოჭედილი პატარა დარბაზი, დახლთანაც მიხროვილნი, მაგიდა ვისაც არ შეხვედრია, ისევ ყაყანი თუ ხმაური ერთობლივი, ბოლი პაპიროსისა, სუნი სასმელ-საჭმელისა, არცთუ მაინცდამაინც ხეირიანი სასმელ-საჭმელისა თუ დანაყრებულხარ,—ახ!.. სადღეგრძელოებიც კარგი გეცოდინებოდა...

— ჯერ ცხოვრება არ დამიმთავრებია.

— სიმწიფის მოწმობაც არ მიგიღია, ეს ჰო ვიცი, ოღონდ ძალიან მიყვარს კარგი სადღეგრძელოები, თვალხუჭულა ცხოვრებასა ჰგავს კარგი სადღეგრძელოები, იქაც ყველაფერი ლამაზია, ყველაფერი წარმოსახულია და ლამაზი, მიყვარს. რამე თქვი!..

— არ იქნება. კარგი ღვინო უნდა კარგ სადღეგრძელოსა.

— ჰო კარგი უნდა... მაგრამ მაინც ვიტყვი. სიმწიფის.. სიმწიფეს... სიმწიფის მოწმობას გაუმარჯოს. ცუდია? კარგია! ბევრი რამის აშენება შეიძლება ამ სადღეგრძელოზედა, მიდი, ააშენე, მიდი რა!.. კარგი ღვინო საიდან მოგართვა, კარგი სხვისია, მიდი, მიდი, ჰა!.. სიმწიფის მოწმობას გაუმარჯოსმეთქი. მე მაქვს, მე დიპლომი მინდა, მოწმობასა და დიპლომს გაუმარჯოს, ატესტატსა და დიპლომს გაუმარჯოს!.. რას მომჩერებიან?! ჩემზე მეტს თვითონა ყაყანებენ, წინ დაიხედონ ის ურჩევნიათ. გინდა, ვურჩევ, წინ დაიხედემეთქი, არა?.. კეთილი!.. ატესტატსა და დიპლომს გაუმარჯოს, მოწმობას გაუმარჯოს, ბეჭდიან ქაღალდს გაუმარჯოს, ქვას რო გაჰხეთქს. ისეთ ბეჭდიანსა.

— გაჰხეთქს?!

— ვისი როგორა... ჩემი გაჰხეთქს.

— დიპლომი რო დაგგვიანებია?

— დამგვიანებოდა გულუბრყვილოსა და უმფარველოსა, გაზუთხვაც რო არ შემიძლიან. გულუბრყვილო აღარ უნდა ვიყვე, აღარც მფარველი მესაჭიროება, აღარც ზუთხვის უნარი. ჰო გაჩვენე?.. რა უყავი, მოიტა, აჰა, უცქირე, უცქირე, უცქირემეთქი, რა იქნა? ფაფუ!.. აბა სად არის?! ფაფუ!.. ისე გადავწერ, ვერვინ მომდებს შარსა. აქამდის სხვა იყო, აქამდის ბევრჯერ შევცდი, გულუბრყვილობისა და შეცდომების მსხვერპლი ვარ აქამდისა. შენც ალბათ ასევე, ასე მგონია, ნათქვამიც არის, სული სულს ეძებსო... არა, არა, ნუ მოიჭმუხნები, რაც უნდა მოისმინო, შიში ნუ გექნება, ნუ, ნუ, ნუ გექნებამეთქი. გითხარი და გაგიმეორებ, ნუ გეშინიანმეთქი, ოღონდ რაც უნდა იყოს, მაინც უფრო მართალი მგონია, შენც მსხვერპლი ხარ გულუბრყვილობისა, ასე მგონია და რა ვქნა!.. დაე შენს სულს არ მოეძებნოს ჩემი, ნუ მოეძებნოს, ჯანდაბას სული, კეთილი სულიცა, ბოროტი სულიცა, ჯანდაბასმეთქი, ოღონდ მსხვერპლი რო ხარ გულუბრყვილობისა ,ამას ვერ უარჰყოფ და გინდაც უარჰყო, მე ვერ დამაჯერებ, ვერა, ვერ დამიჯერებ ვერაფრის დიდებითა და ტყუპის ცალებს თუ არა ვართ, დაძმანი თუ არა ვართ, რაღაცანი მაინც უნდა ვიყვნეთ ერთმანეთისა, — ჰა, ჰა, ჰა... არ გინდა, არა?! ნუ გინდა!.. მე მაინც მსხვერპლი ვარ გულუბრყვილობისა, გულუბრყვილობამ ჩამომარჩინა, ჩამომტოვა, შემიპყრო და აღარ მეშვება, არც მომეშვება თუ არ მოვიშორე დალისძალადა, თუ არ მოვიგლიჯე ძალისძალადა, არ მომეშვება, არ ჩამომეხსნება. გავჩუმდე? კეთილი!.. მართლაც მომეკიდა, თავბრუ მეხვევა!.. არაფერია, გამივლის, ვიტყვი და გამივლის, ნუ დამიშლი, აგერ რა ამბავია, ყველა ყაყანებს, ყველა გულს იქარვებს, ნუ დამიშლი, მეც მოვიქარვო გული, ნურც დამიშლი, ნურც შემომყურებ ეგრე გაწამებულივითა, ამდენი ხანია არ შემხვედრიხარ, საუკუნეები გასულა, არაფერი გვცოდნია ერთმანეთისა, ეს ერთხელ შემხვდი და ამიტანე როგორმე, ჩემზე უარესსაც აიტანდი ან აიტან უარესსაცა. გამივლის, გამივლის!.. გულუბრყვილობისას ვამბობდი არა, — გულუბრყვილოდაც მივადგებოდი უმაღლესის ფართოდ გაღებულ კარებსა რაღა თქმა უნდა, არ გაგიგონია განა: ფართოდ გაღებულა უმაღლესი სასწავლებლის კარები ბედნიერი ახალგაზრდობისთვისაო? გაუთავებლად გაგეგონება, გაუთავებელი მდინარებაც განახვება, მდინარება უმაღლესისკენა, მდინარება ბედნიერთა, აღტყინებულთა, იმედოვანთა. მეც ჰო ბედნიერი ახალგაზრდა მეგონა თავი, მეც ჰო ბედნიერად შევივლიდი ფართოდ გაღებულ კარებსა,—შევივლიდი და შევიარე, შე-

ეროვნული

ვიარე და გამოვვარდი ბურთივითა. არ მოგწონს განა, — ბურთივითაო: ბუც!.. — და გარეთა ხარ, ბუც!.. — და შიგა ხარ, ასეცააო და ისეცააო, გააჩნია თუ ვინ დაარტყაო, გააჩნია თუ როგორ დაარტყაო, მე გარეთ აღმოვჩნდი, ისე მომხვდა და ისეც აღმოვჩნდი. მერე იქაც აღმოვჩნდი, იქა, დღეს სადაც მიხილე, სადაც გამიცანი, ჰა, ჰა, ჰა... თითქოს გამიარა!.. გამივლის, გამივლის!.. ჰო უნდა მოვემზადებულიყავი ისევ და ისევ ფართოდ გაღებული კარებისთვისა? უნდა მოვემზადებულიყავი და იქაც აღმოვჩნდიმეთქი, აღმოვჩნდი იმა ვაჟბატონთანა, დღეს რო გაიცანი, ჰო მოგეწონა? რატომაც არა, ვითომ რაო, რას დაუწუნებ, — ვერც ვერაფერსა, გაიცნობ თუ არა მოიხიბლები. მაშინვე, იმწუთსავე მოიხიბლები ,ოღონდ ძალიანაც არ უნდა გაიცნო, ასე ჩემსავით აღარ უნდა გაიცნო... ოღონდ ეს ახლა, მაშინ მე მხოლოდ ოცნება გახლდი, მაშინ მე მხოლოდ უმაღლესი მელანდებოდა და მითხრეს თუ არა, აი კაცი, ვის ხელთაცაა ფართოდ გაღებული კარები უმაღლესისაო, თვალიც აღარ დამიხამხამებია, მყისვე ჩავბარდი ჩემის ოცნებებითა თუ მოლანდებებითა, სულითხორციანად მყისვე ჩავბარდი. და მერე რაო, — იმას მხოლოდ ფული უნდოდა, მხოლოდდა ფული, მეტი არაფერი, რომელი სულიო, რომელი ოცნებებიო, რა სათქმელია, რა მოსატანი, მხოლოდ ფული უნდოდა, დიდძალი ფული, მეტი არაფერიმეთქი, მერელა მივხვდი, მეორედაც რო ჩავვარდი, მესამედაც რო ჩავვარდი, ყველგან რო ჩავვარდი, ლამის ყველა ფაკულტეტზედა, ყველა განყოფილებაზედა, — ესაო, დღისაო, ესაო, საღამოსიო, ესაო დაუსწრებელიო, ესაო, ფილიალიო, არაფერს ვარჩევდი, არაფერს დაგიდევდი, ყველგან მივიწევდი, მივესწრაფოდი ყველა ფართოდ გაღებულ კარებსა და ბუც!.. — გარეთ გახლდი, და ბუც!.. — გარეთ გახლდი. კარები ისევ ფართოდ გაღებულიყო, კარები ისევ მიზიდავდა, ისევ მაბრუებდა, ცეცხლს მიკიდებდა. ჰო მერელა მივხვდი, მერელამეთქი, ყველა რო ეწყობოდა იმის მოწაფეთაგანა, ყველა რო ეწყობოდა ჩემს გარდაია, იმათზე უკეთ მე ვიწერდი, ვიხატავდი, ნახე, დააკვირდი, როგორი ხელი მაქვს, იმათზე უკეთ მე ვმალავდი თუ ვჩქმალავდი, მაინც მე წამასწრებდნენ, მაინც გამომაბურთავებდნენ წერებიდანვე, ზეპირიდანაცა, ზეპირს თუ მივაღწევდი, გამომაბურთავებდნენ, ჰო ბუც!.. და გარეთ ამოვყოფდი თავსა. მერელა მივხვდიმეთქი, გულუბრყვილობასაც მერელა შევეჭიდე. ახლა მე გაწაფული აბიტურიენტი გახლავარ, თუ გამოითვლიან თუ ვის რამდენი გამოცდა გაუვლია, ჩემპიონობა არ ამცდება, ჰა, ჰა, ჰა... ნუ გერიდება, ყველას თავისი დარდი აქვს, ყველა თავისას მოსთქვამს, ძალაც რო დავატანო, ყური მიგდემეთქი, არავინ მომიგდებს ყურსა, ნუ გერიდებამეთქი. ახლა ისიც ვიცი თუ რამდენი ასეთი სკოლა გააჩნია ჩვენს პატივცემულ რეპეტიტორსა, აქაცა, თბილისში, თბილისს გარეთაცა, რაიონებში, ჩამოივლის ასე ამნაირადა, ჩამოივლის და ჩამოარიგებს თემებსა; ერთგან წამოჰკრეფს, მეორეგან ჩამოარიგებს, ჩამოჰყვება, ჩამოათავებს და შემოუვლის ხელმეორედა, კიდევ ჩამოათავებს და კიდევ შემოუვლის, სულ ესაა, ჯაფაც ესაა, გარჯაც ესაა, სულ ესაამეთქი, აბიტურიენტები იწერენ, იწერენ ჟიჟმატა რვეულებშია, მერე აზღუდებში ჩაიჭედავენ, საცურაოებში გამოიჩრიან, გამოიძრობენ და გადიწერენ, მომზადებაც ესაა და ჩაბარებაცა, ესაა, ესაა და ესა, სხვაც არის ცხადია, ის სხვა არ გამაჩნდა და ვზივარ და ვზივარ იმის სკოლაშია, ვზივარ და ვზივარ... არ გიკვირს? არა?! თუ გიკვირს? გიკვირს?! რა უფრო გიკვირს, გაუთავებლად რო ვზივარ და ვზივარ თუ გაუთავებლად რო ვიწერ და იქ ველარ ვიწერ, სადაც საჭიროა, ჰა, რა უფრო გიკვირსმეთქი, არ მიპასუხებ? შენი ნებაა, მე ახლა შურისძიება მინდა და შენთვისაც უნდა ვიძიო შური, ამიტომაც როდი გეშვები, თორემ გაგეცლე-

ბოდი აქამდისინა, შენთვისაც უნდა ვიძიო შურიმეთქი, ხოლო გაუთავებლად იმიტომ ვიწერ, გამოცდების მოთავებისთანავე ნადგურდება ის ყიუმატა რვეულები, აი ეს რვეულები, ანგარიში სწორდება და რვეულები ნადგურდება, ახალი თაობა მოდის, ახალი სკოლები იმართება, დაიწყება ახალი შემოვლანი, ხელახლა იწყებენ სტაჟიანი აბიტურიენტებიცა, ყველაფერი თავიდან იწყება. პატივისცემასაც შეიძენენ სტაჟიანი აბიტურიენტები, ჰო ნახე როგორ მომებოდიშა, ჰო ნახე როგორ მერიდებიან ახალბედდები?.. შეიძლება გაამაყდე ადამიანი, რატომაც არაო!.. მაგრამ მთავარი მავიწყდება, შურისძიება მავიწყდება, ახლა მე უკვე რამდენიმე ასლს ვადგენ, რამდენიც დამჭირდება, ვადგენ იმდენსა, ვუცვლი სხვებსა, სხვას სხვა სკოლიბი აქვს, სხვას სხვა ჰყავ ჩემნაირი თანაშემწეები, ჰოდა ვუცვლი სხვასა და სხვებსა, ვუცვლით ერთმანეთსა, ერთგან ვემზადებით და ათნაირი გამორჩენა გვაქვს, მეც ასეთი გამორჩენა გამომიძებნია, მეცა და ჩემნაირთაცა, ვისაც ფულის გადახდა არ შეუძლიან, ვისაც მ· ინც ვერ ელევა პატივცემული რეპეტიტორი. ახლა მე ყველა საგანს ვამზადებ, სადაც მინდა შევალ, ველარ მომასწრებენ, ვერას მიპოვნიან. ის ჰო გაჩვენე? თუ გინდა კიდევაც გამჩხრიკე, ჰო მოდი, შემომისვი ხელი, მოდი, მოდი, ნუ გეშინიან, ვის უცქერი, ვისა აქვს შენი დარდიმეთქი, შემომისვი ხელი, შემომისვიმეთქი, ისე, ვითომდა შემნიშნე, ვითომდა უნდა მამხილო, მიპოვნო დამალული რვეული და გამომაძევო, ვითომდა შენა ხარ გამომცდელი, ჰა, ჰა, ჰა... არ გინდა გამომცდელი იყო? არ გინდა ნუ გინდა, ვერავინ ვერაფერს აღმოაჩენს, გრიალით გავივლი ყველა წერასა, ზეპირსაც გავივლი გრიალითა, არავის არაფერს გავაბედვინებ, ახლა უკვე ვიცი, ყველა თაგვია და კატად თუ მოაჩვენე თავი, გაიტან შენსასა, რასაც გინდა გაიტან, ავჩხავლდები და გავიტან ჩემსასა, ავჩხავლდები და მორჩა, კატა ვეგონები ყველასა, თაგვია და კატა ვეგონები, კატა ვეგონები და სამედიცინო ინსტიტუტში ამოვყოფ თავსა, ჰა, ჰა, ჰა,... სამედიცინო ინსტიტუტი, სამედიცინო, სამედიცინო!.. ღირდა ამდენ ლოდინადა, ღირდამეთქი. გინეკოლოგობა ამირჩევია, — გინეკოლოგ!.. ქირურგ!.. წინ დავილაგებ იმ შენს ლამაზ გოგონებსა, წინ დავილაგებ და გამოვაფცლეთ, ღირდა ლოდინადა, ღირდამეთქი. ოღონდ ეს მერე, ახლა შენთვისაც გადავიწერმეთქი, სხვა საგნებისასაც გიშოვნი, ატესტატისთვისაც გამოგადგება, უმაღლესში შესასვლელადაცა, იმას ეგონოს, ვითომც გაგისტუმრა, აქაოდა არაფერი გააჩნიაო, ეგონოს, ა!.. — და ენა წამოაგდო, ლამის ძირისძირამდის გადმოიგდო ენაი, — ეგონოსმეთქი. ჩემი შურისძიებაც ეს იქნება, შენი სიკეთეც აქედან გამოვა, სამაგიეროს არაფერსა გთხოვ, არ აგეკიდებიმეთქი, უკვე გითხარი, არც დაგამუნათებ, არა, არც დაგამუნათებ, თუ გინდა თვალსაც მოგარიდებ, ჰო მოგარიდებ თვალსა, ვითომცა მცნობიხარ, ვითომც არაო, თუ გინდამეთქი, თუ გინდა შენც სამედიცინო აირჩიე, აირჩიე რა, შენთვისაც ავჩხავლდები, აირჩიე, მეტი არაფერი გინდა, მერე ისე იყოს, როგორც გითხარი ,ვითომცა მცნობიხარ, ვითომც არაო. აჰა, დავამთავრე, კიდევაც გამიარა, მეტს აღარ დავლევ... ან ვითომ რად არაო?! შენ ისევ უარსა ხარ?! შენი ნებაა...

— წავიდეთ!.. — თითქოს შეევედრაო თუ მართლაც შეევედრა ლენტოი.

— მოიცა!.. — არ დასთმო ნაზიკომა, თვალები მოჭუტა და ჩაიღიღინა, „ჩამოასხი, ერთი კიდევ დავლიო..."—ჩაიღიღინა დაჭიქა წაუშვირა, ლენტომ არ დაუსხა, მერედა რაო, თვითონვე დაისხა, მოაყოლა სადღეგრძელოცა, — ჩვენს შეთქმულებას გაუმარჯოს, ჰა?! კარგი არ არის?! კარგია! შენ ამ სადღეგრძელოს ვერ იტყოდი, „ენისელითაც" ვერ იტყოდი, მოთავე მე ვარ შეთქმულებისა და მე უნდა მეთქვა, გაუმარჯოსმეთქი, გაუმარჯოს ჩვენს შეთქმულებას ლამაზლოყება მასწავლებლის წინაალმდე-

გა. ჰა! ჰა, ჰა, ჰა... — ჩაიცინა და გადაჰკრა სიცილში, ლამის სული შეუგუბდათ, სიცილი მაინც კვლავ მოადევნა, ცრემლიც მოადევნა და იმა ცრემლში, იმა სიცილში, ისიც აღმოთქვა, ახლა მაკოცე და წავიდეთო, თუ არ მაკოცებ, აგერ მოვიხმობ რომელიმე ახმახსა თუ რომელიმე ჯუჯასა, ჩემთვის ხულერთია, მოვიხმობ და შენს თვალწინ იმას წავუშვებ ტუჩებსაო. დავალება უხერხული გამოდიოდა, მუქარა უარესი, რა ექნა, არ იცოდა, იხლაკნებოდა თუ იმტვრეოდა ლენტოი, მაგიდასაც ეჯაჯგურებოდა, გასაქცევსაც ეძებდა, საშველი არ იყო, სასეიროდ გაიხდიდა თავსა, კიდევ უფრო სასეიროდა. ისევ ის არჩია, მივალ და ჰა, წავუგლასუნებ ლოყას ლოყაზეო, წამოვაგდებ და გავითრევ გარეთაო, მაინც ყველა თავისთვის გართულა, ჩვენ აღარავინ შემოგვცქერიაო, ასე არჩია, მაგრამ არ იქნა; არ გამოვიდა, — ასე ადვილადა, ამან თუ მართლა წაუგლასუნა ლოყა ლოყაზედა, იმან ყურებში ჩაავლო ხელი, თმაც მოიყოლა, ჩაბღუჯა თმიანყურებიანადა და ჩალოშნა მთვრალის ჟინიანობითა. სეირიც ეს იყო!.. ლენტოს არ ახსოვს თუ არ უნდა მოიგონოს თუ როგორ დააღწია თავი, სახე ეწვოდა, ენთო, ეწვოდა, ერთხანს ვერც-თუ ვერაფერსა ჰხედავდა, ამღვრეული თვალების გარდა.

იწვოდა და მიტოპავდა მღვრიეში.

XIV

„... და გიპყრიეს სახელი ჩემი და არა უარ-ჰყავ სარწმუნოებაი ჩემი დღეთა მათ ანტიპაის მოწამისა ჩემისა სარწმუნოისათა, რომელი-იგი მოიკლა თქვენ შორის, სად-იგი ეშმაკი მკვიდრ არს“.

მიტოპავდა და ვერც მიტოპავდა, მომატებულიყო ტბორი ხალხისა, ამღვრეულიყო, კიდევ უფრო ამღვრეულიყო ტბორი ხალხისა ორბელიანების კუნძულზედა; ძეგლის პირისპირ იდგა ტბორი, აღელვებული და გაურღვეველი, და ძეგლიც იდგა, ცივი, უთქმელი, უგრძნობელი და გაუგება[illegible] ყვითლად შეღებილი. სიყვითლე თუ იტყოდა რამესა. სახე თუ სხეული არაფერს იტყოდა. როგორ გამოეჭრათ ასეთნაირადა, ალბათ ახსნაც გაძნელდებოდა. იმ წუთს ჰო მაინც არავინა ფიქრობდა მოქანდაკის ხელოვნებაზე, სხვა რამესა ჰფიქრობდა თუ მართლა რამესა ფიქრობდა ხალხი ან არცა ფიქრობდა, ჰღელავდა ისე, აჰყოლოდა ერთიმეორესა. კვარცხლბეკზე ვიღაცანიც აბობღებულიყვნენ. ვიწროდ შემოეჭრათ კვარცხლბეკი, ფეხის მოკიდება გასჭირვებოდა, ხელიხელს ჩაევლოთ, თანაც ჩაბღუჯოდნენ ფარაჯის კალთებსა, მონუმენტის ფარაჯისაი რაღა თქმა უნდა, სხვაგან რო უკეთ გაემართათ იგივე მონუმენტები ,სხვა ქალაქებში, რო აეგოთ მთავარ მოედანზედა, ტრიბუნებიც რო შემოერტყათ, რო ჩალაგდებოდნენ ხელისუფალნი იმა ტრიბუნაზედა, ფართედა, ხალვათადა, ზეიმობის დროსა ცხადია, — ჰო მავიწყდებოდა, თანამდებობის რიგისადა რაღა თქმა უნდა, — ჩალაგდებოდნენ და უქნევდნენ ხელებსა, ფუნჩულასა, მდინარე ხალხსა. აქ არასოდეს დიოდა ხალხი, მთავარი მოედანი ეს ჰო არ იყო თბილისისაი, — არა, ცხადია, აგებითაც პირველად ეს ძეგლი აეგოთ, ტრიბუნა ჯერ არ მოჰგონებოდათ ,მერეღა გამართეს, სხვაგან გამართეს, ყველგან გამართეს, აქ აღარაო, — იდგა იგი პირველთაგანი, იდგა ისევე ვიწრო კვარცხლბეკითა და აბობღებულიყვნენ ვიღაც უჩინონი, ჩინოსანნი არა, აბობღებულიყვნენ და ორატორობდნენ ანუ ჯერ ერთი ორატორობდა, სხვები უცდიდნენ ანთუ უკვე მოეთავებინათ სათქმელი.

იმათ მოეთავებინათ თუ არ მოეთავებინათ, ამათ არ ესმოდათ არაფერი, — შუაგულზე და მენაპირეებზე ითქმის, — სიტყვები არ ესმოდათ, თორემ ხმა მოდიოდა ხრინწიანი, მოსჩანდა გაფაციცებით აქნეული ხელებიცა, რაღაც ისეთიცა, თითქოს ფეხს ეწეოდა და ვერც ეწეოდა ზევზევითა, პროტეზი თუ ჰქონდა; იქ ალბათ ესმოდა, იქვე, ძეგლთა-

ნვე პირსახე აბრუნებულ ხალხსა. ტაშსაც იქვე უკრავდნენ, იქვე შესძახოდნენ ვაშასა. ამიტომ უფრო მიიწევდნენ უკანანი, ეგონათ, რაღაცა გვეკარგებაო, მიიწევდნენ, გაგულისებულნი, ბრუნავდნენ, იკვროდნენ რგოლებადა, ჯაჭვებად იკვროდნენ, ჯაჭვები ჯაჭვებს ეხლართებოდა, თვითონვე იქცეოდა ჯაჭვებადა ხალხი, თვითონვე იბმოდა, იხლართებოდა თავისთავადა. წინ შეკრულიყვნენ, მტკიცედ შეკრულიყვნენ მოწინავენი, ჩაკირულიყვნენ თუ კლდეთა ქმნილიყვნენ, თუმცა ირღვეოდნენ ისინიცა, ნელა ირღვეოდნენ, უფრო ნელა თუ უფრო შეუმჩნევლადა, მაშინვე რო ჩაერთვოდნენ შემომატებულნი, ტაშს მიუსწრებდნენ, ტაშში ჩაერთვოდნენ, ვაშას მიუსწრებდნენ, ჩაერთვოდნენ მყისვე ვაშაშია, არცა კითხულობდნენ, რათაო თუ რისთვისაო, უკანა კითხულობდნენ, წინ აღარაო, და აწვებოდნენ უკანანი, და იხლართებოდა, იჯაჭვებოდა ხალხი. იცვლებოდა ორატორიცა, მოგუდული ხმა მოდიოდა, თითქოს გული ყელს მოეცოო. იმას წიგნი ეჭირა ხელში, ძეგლს მიუშვერდა იმა წიგნსა, იყალყებოდა, ეგება მივწვდე, ეგება ახლოს მივუტანოო, იყალყებოდა და ლამის არის ზღართანი მოეღო, ორი თუ სამი ხელი იჭერდა, მეორეთი რო ფარაჯას ეკიდნენ. არაფერი ესმოდა ძეგლსა, არაფერი აღბეჭდვოდა სახეზე, არაფერი, ო, არაფერი, ქვა ჰო ქვად ითქმის, ქვად ითქმოდა ისიცა, კერპად ითქმოდა, უძველეს კერპადა, მოქანდაკეები ოდეს არც იყვნენ, ლიტაო ქვას რო აღმართავდნენ ხოლმე. და არ ესმოდა არც რო ამასა, არც დაშორებით ესმოდათ არაფერი.

ორატორობა გადავარდნილიყო, აღარც თქმა იცოდნენ, აღარც გამოთქმაი. ორატორობაც გადავარდნილიყო და არც მოედანი ჰქონდათ ამხელაი ძველ ორატორებსა, ხალხიც არა, ამდენი არა, ერთბაშად ამდენს თავს ვერ მოუყრიდნენ, თორემ იქმოდნენ თუ რასაც ინდომებდნენ მეფეს დაამხობდნენ, დაიფრენდნენ მეფის საბჭოსა, რესპუბლიკას დაამყარებდნენ, ეჰა ვინ უწყის როდის აქეთია. ძველი რომისას არ მოგახსენებ, არც ათენისა, ძველისა, არც სხვა რამ ძველისა, ძველი თბილისისას მოგახსენებ რაღა თქმა უნდა, უძველესი მცხეთისასა, არცთუ ისე ძველი თბილისისაცა, ჰო არცთუ ისე ძველისამეთქი, სოლომონ მსაჯულის დროინდელისა: ერთბაშად ამდენს თავს ვერ მოუყრიდა, თორემ ვერა, ვერ მოერეოდა დავით ბატონიშვილი სოლომონ მსაჯულსა, ვერა, ვერ მოერეოდა; სალაყბოზე შეჰყრიდა ასიოდე კაცსა სოლომონი, ანთუ აქვე ყაბახზე შეჰყრიდა, ასიოდესა თუ ორასიოდესა, ვთქვათ, ათასიოდე იყოს, — არა, ბევრია, თავს ვერ მოუყრიდა ათასიოდესა, — რამდენსაც მოუყრიდა, ხმასაც გააწვდენდა, დავითმა უარჰყო მეფობაო, დავითმა დაჰლუპა საქართველოო, ხმასაც გააწვდენდა, დაარწმუნებდა კიდევაცა. ასე სჩვეოდათ ძველ ორატორებსა, მჭევრმეტყველებსა სჩვეოდათ ასე, დაარწმუნებდნენ, აიყოლიებდნენ დარწმუნებულთა. თუმცა ვერ შესძლო სოლომონ მსაჯულმა, აყოლიება ვერთუ მოასწრო, დავითმა აჯობა, დილეგში უბუცა თავი, მერე თვითონვე გააპარებინა დილეგიდანა, გადააყვანინა ლიხთიქითა და გააშვებინა თავის ანაბარადა, მეფე გინდა და ემანდე მეფე, სოლომონ მეფე იმერეთისაო. აქ ახლა დარწმუნება არავის უნდოდა, სიტყვა გაეგონათ, თუნდ ერთი სიტყვა, მკაფიოდა, კანთიელადა, აჰყვებოდნენ ტაშითა ,აჰყვებოდნენ ვაშათი, მეტიც არაფერი უნდოდათ, აჰყვებოდნენ და მოიოხებდნენ გულსა, მეტიც არაფერი უნდოდათ, ან ვერაფერი წარმოედგინათ მეტი, — ვადიდოთ ისევე, აქამდის როგორც ვადიდებდითო, მეტი არც იცოდნენ და ველარც ველარაფერს ველარ გაიგებდნენ, გაბრუებულიყვნენ, გაბრუებულიყვნენ და ახლა ოღონდ კიდევ გაეგონათ სახელი მისი ,მხოლოდ სახელი გაეგონათ, მეტი არც უნდოდათ, არა, არა, მეტი არც უნდოდათ. და ვინც გააწვდენდა იმა სახელსა ისე შორამდისაცა, მკაფიოდა, კანთიელადა, მართ-

ლაც განითქმოდა ორატორადა, გმირად განითქმოდა, თუნდ ერთი დღისა, თუნდა ათისა, ჰო ათისაო, გამოცხადებაშიც ათი დათქმულა: რაჲთა გამოიცადნეთ ათ დღეო, ანუ უკეთუ მთლიანად თუ ისურვებ, მეორე თავის მეათე ხანა ასე იკითხება: „ნუ გეშინის საქმეთაგან, რომელთა ეგულების მოწევნად შენ ზედა, რამეთუ აჰა ესერა ეგულების ეშმაკსა თქუენთაგან შთაგდებად საპყრობილესა, რაჲთა გამოიცადნეთ ათ დღე. იქმენ მორწმუნე ვიდრე სიკუდილამდე, და მოგცე შენ გჳრგჳნი იგი ცხოვრებისაჲ“.

მაგრამ არ ისმოდა და რაო, — წიგნს ისევ აფრიალებდა ორატორი იგი, ჭლიკებზე იწევდა, ცხვირში უსურსურებდა ძეგლსა, ისევე ეჭირათ ორატორი იგი, არ გადაიმზღვლესო, ეჭირა რამდენიმე ხელსა, რომელთაგან ერთი ბეგლარისად იცნო ვილაცამა, ანუ ბეგლარი იცნო იმათ შორისა, ვიწრო კვარცხლბეკზე აბობღილთა შორისა, იცნო და შესძახა, ბეგლარო, შესძახა. ვერც აქედან გააგონებდა რაღა თქმა უნდა, მხოლოდ ალტაცება ამოვარდნილიყო თავისთავადა, უნებლიედა, ალტაცებაც ამოვარდნილიყო და კიდევაც მიიწევდა, მიაპობდა თუ უნდოდა რო გაეპო ხალხი, უნდოდა და ვერ უხერხდებოდა, ვერ გაეღწია, სხვასაც ჰო ეს უნდოდა, — ყველას ეს უნდოდა და ყველა ბრუნავდა, ტრიალებდა, იხლართებოდა და როგორღაც უცნაურად მოინაცვლებდა ადგილსა, დრეიფობდა, ემორჩილებოდა აუხსნელ დინებასა, არცთუ სასურველსა, უფრო ხშირად რო მიზანსა შორდებოდა, უკუ დაიწევდა, განაპირდებოდა ან შიგ გულში ამოიჭედებოდა და იქვე ბრუნავდა იქვე დრეიფობდა პატარა წრეში, ვეღარ გავიდოდა ველარსაითა. მაშინ იქ გახლდა ის ამოძახილი, შიგ გულში იყო იმა დუნდგოსი, ლენტოსთან ახლოსა, ცოტა უკანა, მაინც ახლოსა, იმავე წრეში, გაუღწეველში. ლენტო ნაღვლობდა აქ სად მოვხვდიო, ძეგლის უკანიდან უნდა მომევლოო, რაღას უშველიდა, — დრეიფს უნდა მინებებოდა, როგორმე თუ განაპირდებოდა, როგორმე იქვე გაბოგინებულიყო, აღარ მინებებოდა უცნაურ დინებასა, ძლიერ დინებასა, ჯერ გაუგებარსა, ჯერ აუხსნელსა, თუმცა ახსნილსა დიდი ხანია, ოღონდა რაო, იმა წიგნებში ისერიგად ჰო არავის ჩაახედებდნენ. აქ მაინც ხმა ეცნო ლენტოსა, მიხედვით ვერაო, ვერ მიიხედა, კინოაპარატი რო გადაედო მხარზედა, ფოტოაპარატიც ჩამოეკიდა, ოღონდ ეს არაო, აქ ხელს არ უშლიდა, ის იყო, რაც იყო, კინოაპარატი, რო არც მიახედა და ვერც რო შებრუნდა, ხმაც რო დაშორდა თუ სულაც დაიკარგა, ანთუ ვინ უწყის აგერ აქვეა, ეს ბრმა დრეიფი შეაჯახებს, შეამსხვრევს ერთმანეთსო. შეჯახება იგვიანებდა, დაშორება უნდა ევარაუდნა, ხმა ისეთი იყო, ალტაცება ისე, იმნაირი, თავს დააღწევდა ამ ბრუნვა-ტრიალსა, უკვე ვინ იცის კვარცხლბეკთან იყო, ეტოტინებოდა, შესძახოდა ყინიანადა, ამიყვანეთო, ალბათ და მართლაო: ბეგლარი დახრილიყო, სხვაც დახრილიყო, ხელები ჩაეყარათ, დაძაბულიყვნენ. ის ორატორი აღარა სჩანდა, ალბათ უკვე ჩაეშვათ ძირსა იმა თავის წიგნიანადა, თავისსავე ჭლინკებიანადა. ჰოდა ჩაეყარათ ხელები, ჰოდა დაძაბულიყვნენ, ჰოდა აიტაცეს, — ოღონდ ეს რაო?! აქ ელისამ შესძახა, იქ აიტაცეს ნაზიკოი, უთუოდ ნაზიკოი, უთუოდა, ის ჰო მაღალი ბრძანდებოდა, ქალისათვის გამორჩევით მაღალი, აგერ აჰა, ლამის მხარდამხარ გასწორებოდა ბეგლარსა, ეს ჰო — საშუალო თუ დაბალი ლამისა, ბეგლარის გვერდით ცხადია დაბლად გამოჩნდებოდა, ნაზიკო აიტაცეს რაღა თქმა უნდა. ეს აქვე თუ იყო, უცნაურ დრეიფში, აუხსნელ დრეიფში.

აქვე თუ იყო, ეგება ერთადაც ჩაეხვია თუ ჩაეგრიხა ძლიერ მორევსა, მერე და რაო, გაპობილიყვნენ, გახლეჩილიყვნენ, ველარაფერი შეაერთებდა, ველარაფერი, ვითარცა ნაფოტებსა, წყალდიდობა რო ვერ შეაერთებდა, — მიიტანდა, მიაახლოვებდა, კიდევაც შეახლიდა, შეაჯახებდა, წაიღებდა მერე,

წაიტივტივებდა თუ გააქანებდა უსწრაფესადა. ერთსა აქეთა, მეორეს იქითა, თუმცა ორივეს გადასაკარგავადა. გადაკარგვამდე ჯერ ეგებ აქვე იყო, გათქვეფილიყო უამრავ სახეში, ლენტოს ველარ გამოერჩია, ფეხიც ველარ მოეკიდებინა ,ვერ მოემარჯვნა აპარატიცა, ვერ ამოეკრიფა სათითაოდა თუ ჯგუფჯგუფადა ის არეული თუ ამღვრეული სახეები, გათქვეფილი თუ ადღვებილი ერთმანეთშია, ვერ ამოეკრიფა; თუ ამოჰკრეფდა, გამოვიდოდა ცალკე ელისოცა, — იქვე თუ იყო რაღა თქმა უნდა — გამოვიდოდა ანთუ ისევე ალტაცებული ან კოპშეყრილი ფიქრიანადა, ეს ვიღა არის, ქალიშვილი ვიღა გამოტყვრა იმ ვაჟებს შორისო. ლენტო აუხსნიდა, ვითარცა უცხოსა, ანთუ ვითარცა დაკარგულ მეგობარსა, უცხოზე უფრო გაუცხოებულსა, აუხსნიდა თუ ვერც აუხსნიდა, რამეთუ რაო, აღარაფერი შერჩენოდა იმისაგანა, ნაზიკოსაგანა, აღარაფერი, გარდაღა ერთი სურვილის, აღარ შეჰხვედროდა აღარასოდესა, აღარასოდესა, ამას ვერ ეტყოდა, ვერ გაუმხელდა, სახელს თუ ეტყოდა, მხოლოდ სახელსა, ნაზიკოაო, იტყოდა ისე, ვითომ არც იცნობს, ვითომც მხოლოდ გაუგონიაო, მოახსენებდა, ვითარცა უცხოსა, უცხოზე უფრო გაუცხოებულსა, და მაშინვე წაიღებდა ლივლივი, დინება იგი აღრეული წაიღებდა აქეთ-იქითა, წაიღებდა დასაკარგადა, ანთუ უკვე დაკარგულიყვნენ, — დაკარგულობისგან უცხოობა რას გაუყვიაო. ხოლო ის იქ იდგა, ვიწრო კვარცხლბეკზედა, აწოწილი თუ გაწლიკული, აკანჭლებული, კისრწაკიწნული, იდგა თუ ლამის გადმოფრინდესო, ორივე ხელი ეგრე გაეშალა, მოსაწყვეტს იყო კლდის ქიმიდანა, იჭერდნენ, თორემ მოსაწყვეტს იყო, მაინც თითქოსდა გადმოფრინდებაო, — ხალხიც მზად იყო, ხელში აეყვანა, მზად იყვნენ წინანი, უკანანიცა, ეგება ჩვენსკენ გადმოფრინდესო, მზად იყვნენ ყველანი უფრო სუნთქვამოხშირებულნი, უფრო ღელვამომატებულნი, მზად იყვნენ და ბრუნავდნენ, ტრიალებდნენ, წინ მიიწევდნენ და იქვე ბრუნავდნენ, წინ მიიწევდნენ, გავარდებოდნენ საითღაც შორსა. ბრუნავდა მორევი, მორევზე მორევი, დუნდგო ბრუნავდა, დუნდგო ხალისა, ჯებირებს მიმწყდარი გადმოსახეთქადა.

ის თითქოს უნდა გადმოფრინდესო, ის თითქოს უნდა აიყვანონო, თითქოს ის უნდა გაიძღოლონო, ან გაჰყვნენ ეგრე ფრთას საით გაჰკრავს, საით ანიშნებს, გაჰყვნენ ეგრევე თავაღრენილნი, ფეხქვეშ მიწა რო აღარ ეგულებათ, თავაღრენილნი და აქარვებულნიო; მანამდის თითქოს ისევე მოზიდულა, თითქოს უნდა გადმოფრინდესო, ყივილით უნდა გადმოფრინდესო, არწივია თუ ზღაპრული ფასკუნჯი, რაც არის უნდა გადმოფრინდესო მძაფრი ყივილითა, შემბოჭავითა, მომრევითა, ერთობლივ მომრევითა აფორიაქებული თუ დაბნეული ხალხისა; ჰო ყივილითაო, მძაფრი ყივილითაო, რამეთუ სიტყვები არც ამისი ისმოდა, მერედა რაო, ამისი სიტყვებიც აღარ უნდოდა, სიტყვაც ის იყო, მოწოდებაცა, აზრიცა, რწმენაცა, ყოველი იგი ხან აწეული, თითქოს ცას გაჰხევსო, ხან ჩამდაბლებული ქვითინამდისა, ხან გრგვინვიანი, მუქარიანი, ხან მაწყევარი უმადურობისა, ხან დამცინავი, ხანაც უსასო, ხან ისევ მწვავე, წამქეზებელი, აღმგზნებელი, მალე ქვითინშივე განელებული, გულამოსკვნილის ქვითინშია, — მხოლოდ ეს წამითა, კვლავ ისევ ყივილი მოედებოდა ომახიანი, შორით შორამდის გააღწევდა ყივილი იგი, შეჰკრავდა ხალხსა, გააქვავებდა იქავ, იმავე მოედანზედაცა, მტკვრის ნაპირებზეცა, ხიდებზედაცა, დინებას შეჰკრავდა, ისევ წამითა, დააგუბებდა ისევ წამითა, ერთბაშად რო მოეზლვავებინა.

ჰოდა თითქოსდა აფრინდებაო, — ლენტოს ნაზიკო აღარც ეგონა, მომეჩვენაო, ასელა ფიქრობდა, აფრინდება და საით წავაო, ზეცას გაჰყურებდა, ეგება მოენიშნა, საით წავაო, ასე ბრუნავდა, ასე დიოდა, მიდრეიფობდა ამნაირადა, ანდა თვითონ როდი დიოდა,

დიოდა ძეგლი, დიოდა თუ ცურავდა, უკეთუ ბოინობდა ცაში, აეტანა იმა ფრთოსანსა, აეტაცნა ფრთებსა ძლიერსა, დააცურებდა ლაჟვარდშია, ამიტომ თუ იყოო, ხანთუ მარცხნივ მოექცეოდა ძეგლი იგი, ხანთუ მარჯვნივა, ხანაცთუ ისევ პირდაპირა, ანთუ ახლოსა, ანთუ უფრო დაშორებითა, — თვითონ თუ არც იძვროდა, ის თუ მისცურავდაო. ოღონდაც მერე საყვავილნარესა თუ დეკორირებულ ბუჩქებში აღმოჩნდა, ანთუ გადაქელილ ბუჩქებში აღმოჩნდა, გაიხლართა, ფეხი გამოედო, დაზიდა ფეხმა, ტანი წავიდა, თავი წავიდა, წავიდა მხრები აპარატებიანადა, აიხლიჩებოდა ბრბოი ამღვრეული, ბუჩქს გამოდებული ჩაემხობოდა, ბრბო გაჰყვებოდა თავის სადინარსა, გადაჰქელავდა და გაჰყვებოდა, გადაჰქელავდა ბუჩქებივითა. თვითონვე იმარჯვა, ხელი შეუშვა აპარატებსა, მხრებს დაეკიდა ვიღაცეებისასა, აეთრევინა იმავ დინებასა. აპარატებიც მხრებზე შემორჩა, მხრებზე სხვებისა რაღა თქმა უნდა, — აპარატები არაფერიო, ეგრეც გაუტანდნენ თუ მიაჩეჩებდნენ. მარჯვენა ფეხს თუ რა დამართნოდა, ეს იყო გასარკვევი, ტკივილი აუტყდა ნაღრძობისა თუ ჩახვლეწილისა. ჯერ ისევ ვითომ გასარკვევს იყო, ჯერ ისევ სხვების მხრებზე ეკიდა. შესცინეს იმათა, გადმოჰყარეს თოხა კბილები, საღი კბილები, ახალგაზრდული, ჰხედავო, უთხრეს ერთდროულადა, ჰხედავ ამ ჩვენს ნაზიკოსაო. ვინ ნაზიკოსაო, ლენტომ იკითხა, მართლა იკითხა, ცნობა არეოდა თუ ტკივილმა იძალა, ეს სულერთია, გრძელი მაგიდა მაინც მოეჩვენა, პატარა, პატარა, მინიატურული რვეულებიცა, აფრიალებული ვეება ფურცლებიცა, გამალებით რო იწერდნენ გოგონები, ისიც ცხადლივად წარმოესახა, ეს ბიჭებიცა, ყელს რო უწევდნენ, ახლა გაგვიშვი, შინ გადავიწეროთ, და აგერ, ეჰაა, აგერ ისიცა, კლდის ქიმს შემდგარი ასაფრენადა თუ აფრენილი, ეგრევ ძეგლიან-ცვარცხლბეკიანადა, ბეგლარიანადა, ფარნაოზიანადაცა, მართლაც თუ მართლაცა,—მეორე ხელი, ნაზიკო რო ეპყრა იმა ქიმზედა, ფარნაოზიანი ეგულა ლენტომა. ტკივილმა დაზიდა, სახე აუმღვრია, უარესად აუმღვრია ლენტოსა, თუმცა და რაო, ამითი მაინც არ გამოირჩეოდა არავისგანა. ყვირილი იგი ისევ თავზე დასტრიალებდა, აეტაცნა თუ ჩაეჩმუჩქნა, ჩაექელა გაზონებივითა.

მალე გამოერკვა თუ ის გაბრუება გადაიყარა, ეს მერე, დინებამ რო გარიყა თუ გაიტანეს იმა ყმაწვილებმა, გაიტანეს ძეგლის უკანა, გვარიანად დაშორებითა, გაიტანეს და მიიტანეს თავისსავე აპარატებიანადა. აქ აღარ ესმოდა ის გამთანგველი ყვირილი, ის ჩოჩქოლი თუ ბრუნვაი თავგზააბნევი, სწრაფი, ძალუმი, გადამდები იმავე წლების უძრავი სახეობის გროპისავითა, იქ მარტო დარჩა თავის ანაბრადა, ფეხის ტკივილიც აღარად მიუჩნდა, — კოჭი გადაეხვლიწა გამოდებულ ტოტსა, წინდა გაეტანა, შარვლის ტოტიცა, ჯანდაბას გაეტანა, აღარად მიუჩნდა, რახან მარტო დარჩა, რახან გადაუარა თავის ბუყუილმა, — თურმე უბყუოდა თავი, რახან თვალი გადაეწმინდა, თვალი ამღვრეული, — თურმე ამღვრეთდა თვალიცა, — აღარად მიუჩნდა კოჭი ჩახვლეწილი, დასწვდა ისევ აპარატებსა, ისევ მიეტანა იგივე დუნდოგსა, სადით გააღწია თუ გაიტანეს, ისევ მიეტანა ცოტა კვანჭილითა, ეგ არაფერი, გამივლისო, იმედოვნებდა. გაუარა თუ გადაავიწყდა ეგ არაფერი, ის მაინც ახსოვდა, აღარ მოხვედრილიყო მოედნის გულში, მორევის გულში აღარ ჩავარდნილიყო, ახსოვდა და უვლიდა ნაპირნაპირა, შემაღლებულ ადგილებს მიეტანებოდა, ძეგლთანაც თურმე მიისვლებოდა, ის წინ იყო თურმე, ის ჯგვლეთა და გვემაი, წინამოედანზე ძეგლისა, უკნით ხალვათადა დიოდა ხალხი, ოღონდ იმ ჯგვლეთაგამოვლილი ხალხი, ნაგვემი და გაწამებული. ჩხრიალებდა აპარატები ლენტოსი, ამოდიოდა სახეები მოღრეცილი, დაფუშხალული თუ დაფლეთილი, ხელებს ნუ იტყვი, რა ხელები ამოდიოდა, — დახლაკნილი თუ და-

ლეწილი, ძეგლთან ჯაჯგურიც გამოიყვეთა, ძალიან კარგად გამოიკვეთა, თითქოს დაედგა დიდებულ რეჟისორსა, დიდებულ ოპერატორს გადაეღო თითქოსაო, კომიკურიც გახლდა, ტრაგიკულისა არაფერს ვამბობ, კომიკურიო, აბა მაშ რაო: რაღაც მრუდე ხე აეყუდებინათ კვარცხლბეკზედა, ვინ ამაგრებდა თუ რა ამაგრებდა, ძნელი სათქმელია ან არცთუ არაფერი ამაგრებდა, ჰა და ჰა, გადმოსავარდნს იყო, მხოლოდ ესაა, მისტანებოდა მრავალი ხელი, მრავალი ლამობდა ზედ აბობღებასა, მოსდგომოდათ ყინი გამოჩენისა თუ მჭევრმეტყველებისა, მოსდგომოდათ და ვეღარ დაეთმინათ, აღარ აცდიდნენ ერთიმეორესა, ერთიმეორეზე გადადიოდნენ, ერთიმეორეს აცლიდნენ ხესა, იმ მრუდე ხესა, ისედაც მრუდესა, აცლიდნენ და ცვივოდნენ პანტაპუნტითა, — სასაცილო გამოდიოდა, სატირალისა არა ითქმისო, ფირზე მაინც უცნაურად გაძიხატა, სიცილს ვერავინ შეიკავებდა, გააცინებდათ ზოგი რამ სხვაცა, ოღონდ ის უკვე... თუმცა ჯერ რაო, ჯერ ხეს აცლიდნენ ერთიმეორესა. იმ მრუდე ხესა.

აცლიდნენ და მაინც მიიწევდნენ, თუმცა იქ უკვე ადგილი აღარ იყო, ვინც ასულიყო, ერთმანეთს ეკვროდა, არ გადავარდეო, ერთმანეთსაც ეკვროდნენ, ნაოჭებსაცა ფარაჯისა, იქ ჩამაგრება მოხერხდებოდა. ყივილით უკვე აღარავინა ჰყიოდა, არცთუ ბუხუნებდა, სულმოუთქმელადაც აღარავინ ამოიძახებდა, ერთიმეორეს შეჰბმოდენ პირშია, იქაცა, კვარცხლბეკზედაცა, მთელს იმა მადამოზედა, მოედანზე, ხეებზე, თუ ვინ შეხუნძულიყო, ხიდებზედაცა, თუ ვის ჯერ ვერ ჩამოეღწია ან გაეტანა იმა ბრუნვასა, გაღმა-გამოღმა ქუჩებზედაცა. ისმოდა გნიასი ერთობლივი, ყურის წამლები გუგუნი ისმოდა, ტყუილა ვინმე მოინდომებდა, რაიმე გაეგო, ტყუილა ვინმე მოინდომებდა, რაიმე შევასმინო ვინმესაო, ისე გუგუნებდა ერთობლივადა, ისელა დუღდა ერთობლივადა, ბრმა ვნებები აქაფებულიყო, [illegible]ნებულიყო რაღაცა ჩამქვდარი, რაღაც იგრძნობოდა მოულოდნელი, მართლაც ბრმაო, გაუთვალისწინებელი. ღონისძიება რაიმე უნდოდა, უსათუოდა, აუცილებლადა, რაიმეს უნდა შეეკრა ყველაი, შეეკრა იქვე, იქვე დაება, თორემ ვინ უწყის თუ დაიძროდა, საით წავიდოდა, საით გადაჰხეთქდა, რა მოჰყვებოდა? უარესი რა მოჰყვებოდა... თუმცა ჯერ რაო, იდგა გუგუნი ერთობლივი და დუღდა ხალხი, დუღდა და ლამის გადმოდიოდა. და უცებ ცოტა ჩაიწია იმა დუღილმა, ერთი აფეთქდა მომეტებულადა, კიჟინად იქცა აღტაცებისა, აფეთქდა ასე მომეტებულადა და ჩაიწია, ცოტა ჩაიწია, ეს მაშინაო, მიკროფონები რო აიტანეს კვარცხლბეკზედა, გადამცემები აჰკიდეს ხეებზე, ნაძვებსა თუ მაღალ ვერხვებზე, ლამპიონებზე სანაპიროსი, ხიდებისა, გაღმით-გამოღმაც რო გადააბეს და გაისმა სიტყვა პირველი, მკაფიოდ გაისმა, გამოკვეთილადა, სიტყვა რო ითქვა იგი პირველი, მაშინ აღმოხდა კიჟინა იგი კიჟინა იგი სიხარულისა, კიჟინი იგი ერთობლივი აღტაცებისა, ჩაცხრა დუღილი, ჩაიწია, თითქოს ჩაცხრაო.

ფირს გადაებეჭდა ის ჩამცხრალობაცა, ჩამცხრალობა ალერსულობისა, წამოცზნებაცა კმაყოფილებითა, წათამამებაცა, მაშ აბა რაო, — ეს მეორე გამარჯვება გამოდიოდა, მეორე დათმობა თუ რაღაც ისეთი, უამისობაც რო აღარ შეიძლებოდა, — პირველი ისა, რო აღადგინეს შუქურები ღამისა, მეორეც ესა, მეორე და ყოვლად აუცილებელი, რაღა დაუდგებოდათ წინა, — აღარაფერი, აღარაფერი, გაიტანდნენ, რასაც ითხოვდნენ, გაიტანდნენ რაღა თქმა უნდა, და განა რას ითხოვდნენ ისე უცნაურსა?.. არც არაფერსა რაღა თქმა უნდა: ერთი დღე დაეთმოთ ამისათვისა, წლიდან წლამდის რო ვისაც რო ეკუთვნოდა, ერთი დღე დაეთმოთ წელიწადშია, ერთი, ერთადერთი, საზეიმო-სამგლო-

ვიაროდა, როგორც რო დაერქმიათ და როგორც რო გამოეყოთ, ვისთვისაც რო ემეტებოდათ, გაემეტებინათ ამისთვისაცა, ერთი, ერთადერთი, სულ რო ამას ეკუთვნოდა და სულ რო ამას ეკუთვნოდნენ წლიდან წლამდისა, წლიდან წლამდისა. ამას მოითხოვდნენ, მეტს არაფერს, გააგონებდნენ მიკროფონებითა, გააგონებდნენ და გაიტანდნენ, ეს იმედი ალბექდილიყო, ალბექდილიყო რწმენა ძალისა, ხალხის ძალისა. მანამდის თითქოს სიტყვები იყო, ლიტონი სიტყვები, ხალხის ნებაო, ხალხის სურვილით, ყველაფერი ხალხისათვისაო, ხალხი ასეო, ხალხი ისეო, თურმე სიტყვები არა ყოფილაო, ლიტონი სიტყვებიო.

და ბრუნავდა იმედი, ბრუნავდა რწმენაი, ბრუნავდა, ტრიალებდა, ადიოდა, ზე ადიოდა, ადიოდა და ადიოდა.

და ალანთო სიტყვამ იმედი იგი, არა პირველმა რაღა თქმა უნდა, პირველი თქმულიყო დიდი ხანია, პირველი იყო სიტყვაო, — სიტყვა ყოფილიყო პირველი, არაფერი ყოფილიყო სიტყვამდისა, არაფერი.

(□გაგრძელება იქნება□)

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბესიკ ხარანაული

# შუადღის წიგნიდან

●

პატარა — ზმირად — უფრო მეტს ამბობს ხოლმე დიდზე, ვიდრე თვით დიდი. ნაწილები და ფრაგმენტები — ვთქვათ სხეულისა — ცალ-ცალკე უფრო აღნიშნავენ თავის თავსა და თვითმყოფობას, სილამაზეს, სიმახინჯეს, მათს ტკივილებს და სისალესაც, ვიდრე სხეულში რომ არიან ჩაშენებულნი. დამლილ სასახლის თლილი ქვები, ვილაცის ნებით ოდესღაც კედლის სიმტკიცეს რომ შეუწირია — რომელთა შორის თვალი მუდამ უკეთესს ეძებს — თავახსნილნი მიმოფანტულან.

ეს ნამსხვრევები, ნაწილები თუ ფრაგმენტები, მე აქ დავტოვე თავისუფალ წარმოსახვისთვის, რადგან ამათგან ზოგი არის დაუწერელი პოემიდან ამოვარდნილი, ზოგი ლექსამდე მიაღწევს და ზოგიც ვერ მივა და იქნება საზღაური იმ წამისა — კაცის თვალწინ სულ რომ ციმციმებს და სახელი რომ არა ჰქვია — ლექსამდე რაა.

მე ამ წიგნისთვის სხვა სახელი მსურდა დამერქმია —
რომელიც ჩემს დევნილობას გამოაჩენდა,
ცოდვილობას, ბრალეულობას...
აქ მე იმას ტანჯულ სულით მთელი წელი სულ სხვადასხვა ჭერქვეშა ვწერდი:
ნათხოვარში, ნაქირავებში,
ქალაქის ისეთ კიდეებში სადაც ადრე თვალითაც კი არ გამიხედავს.
მაგრამ მაინც ვერ გავბედე და ვერ დავარქვი:
რადგან თუმცა კაცს მიენიჭა იმისი ნება,
რომ ფურცელ-ფურცელ საკუთარი ცხოვრება ხარჯოს,
ჭმუჭნოს, ამსხვრიოს, უდიერად ქარს გაატანოს —
იმის უფლება არავის არ უბოძებია:
შენს წვალებას სახელი შენ მოუგონო.
გარდა ამისა წამკითხველი იფიქრებდა — ინანიებსო!
წამოდგებოდნენ მაშინ ჩემი მასწავლებლები და უამრავნი, იმის შემდეგ
რაც დავიბადე,
დამარწმუნებდნენ კვლავ საკუთარ დანაშაულში...
და ახლა, როცა ასე შმაგად მეჯავრება აძრული მტვერი —
დანაშაულის ბრალის დებით ვგრძნობ თუ როგორ დავუტანჯივართ:
რადგანაც მტვერი იმდენია და ისეთი მოუხელთები,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყველა ნაწილაკს თითოჯერაც რომ შეხედო და გაუჯავრდე,
ჭკუას გადახვალ.
დანაშაული თვით უმანკო ბავშვის კვალშია,
კაციც, როგორც კი გაიღვიძებს და თვალს გაახელს,
დამნაშავეა... თუნდაც ღამის სიზმრების გამო.
მაშ მოუსმინეთ ჩემს ნაბიჯებს და გულის ფეთქვას —
საფეხურებს ძირს დავუყევი.

●

და აი ვუახლოვდები ჩემს თავს სარკის წინ. სულ ახლოს... ახლოს.
პირისპირ ვდგებით ერთმანეთთან და ჩაშტერებით თვალს ვუსწორებთ —
როგორც მხეცები.
და შემდეგ — თითქოს წყალი ირხევა, იძვრება და ტალღებს შეარხევს—
ზურგს შევაქცევთ და გავშორდებით —
როგორც მხეცები,
რომლებმაც იგრძნეს, რომ თანაბარი ძალები აქვთ და ბრძოლა
არ ღირს.

●

მე ცოდვა სახლში არ შემიტანია.
ამიტომაც ჩემს შვილებსა და შვილიშვილებს
შეუძლიათ მშვიდად იძინონ.
იმათ სახლის კარს ჯვარს არავინ დაუსვამს ღამით.
რადგან ცოდვის დღეს ისახება სამაგიეროც
და თუკი გზაში დააგვიანდა —
თუკი ცოდვილსაც დაავიწყდა თავისი ცოდვა
და მისი ძვლებიც ხის ფესვებთან თუ ჩაიხლართა —
როცა არც ცოდვა ეხსომებათ, აღარ შემცოდე —
მაშინ ეწვევა.

●

ნასროლი ქვა რომ უკან მოგიტანო — არ მეკადრება!
ცოდვა ვარ, გესმის?!

არც დედას, არც ცოლს, არც შვილს, არც სამშობლოს —
მოხურული კარი რომ შევულო და თავიდან რომ შევლიმილო
და კერაზე უჩუმრად დავჯდე.

●

დევნილო,
რამდენიც არ უნდა მოყნოსო ჰაერი,
შენი სახლის არაა,
არც შენი ფანჯრების!

●

ძნელი საპოვნელი გახდა დედაჩემი.
მარტო ყოლის ბუჩქებში კი არა,
მაგიდასთანაც.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

●

ველოდებით ღამეს მე და დედაჩემი,
ველოდებით მთვარეს, ვარსკვლავებს...
მერე დილას, მზეს, გათენებას.

●

დაე, ნუ იცნობ შენ მამაშენს, დაე, არ იცნობდე შენ მამაშენს,
დაე, ნუ იფიქრებ,
რომ იმასაც რაღაც შეუძლია ამ ქვეყანაზე —
ისეთი, რასაც პატივსა სცემს შენი სისხლი ახალგაზრდული.
მე გუშინწინ ვნახე მამაშენი: სასტუმრო „ივერიის" ვესტიბიულში
სარკეს მიუახლოვდა,
შეისწორა თმები, პიჯაკი,
შინაურულად გაუღიმა ლიფტიორს და მაღლა წავიდა.
მე იმ სარკეში მხოლოდ ერთხელ შევასწარი მის სახეს თვალი
და იქ ვერ ამოვიკითხე მისი პატრონის ვინმესადმი კუთვნილება.
ის იყო თვითონ.

●

უცხო ბავშვს უნდა, რომ რაღაც გითხრას.
გიტრიალებს მინაჩამოწეულ მანქანაში მჯდარს და შემოგყურებს.
იგი სავსეა რაღაც დამალულით, საიდუმლოთი —
რომელიც თითქოს შეუძლია შემოგთავაზოს (გასაცვლელად... იქნებ საჩუქრად)
იქნებ ვისაც შენ ელოდები, იმაზეც კი იცის რამე?
ან შეიძლება იმის თქმა უნდა, რომ გააცურა შენი მდევრები?
ან შეიძლება რომელიღაც ხის ფუღუროში... ქვის ქვეშ ანდა
გაზეთების ჯიხურის გვერდით...
უცხო ბავშვს უნდა, რომ რაღაც გითხრას.
გიტრიალებს მინაჩამოწეულ მანქანაში მჯდარს და შემოგყურებს.
იმის ცხოვრებაშიც არის ასეთი წუთი და შენს ცხოვრებაშიც,
ეს ერთხელ ხდება, ერთადერთხელ,
რადგან სულ მალე ცნობისმოყვარე თვალები შენს თავს ავიწყებენ
და აი, უკვე სილაში თამაშობს, შორს, ბაღის კიდეში.

●

ბავშვის მოტყუება: რატომ?... რისთვის?... და როგორ იფარავს იმას სიწმინდე:

ის ბრუნდება
სახლში
უფრო ჩქარა
არც უნდა.
უფრო ჩქარა
იმის ნიშანი იქნება,
რომ ნამდვილად ატკინეს
გული.
ისინი იქ იცინიან
ამას კი
გზაზე სიმწრისაგან
ფეხები უშეშდება
და ათასი რამე უნდება,
რადგან იცის
რომ თვალებით
მიაცილებენ.
მამამისიც იქ არის.
მართალია
ღალატს არ აბრალებს,
მაგრამ იქ არის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ის ბრუნდება სახლში. ხელში რაღაც რომ ეჭირა, ბრაზით გადააგდო.
ნამდვილ ბავშვივით რომ ეჭირა, მიხვდა და გაუწყრა.
კიდევ ერთი ცვლილება:
ზედ თავის ლობეებთან ცნობისმოყვარე, მუცელგავსილ ლეკვს გულგრილად ჩაუვლის,
რომელსაც, გაწბილებით, ჰაერში უშეშდება შემართული კუდი
და ტანზე ყველა ადგილი შეერხევა, სადაც წესით ბავშვი უნდა მოფერებოდა.
ლეკვმა ბავშვს ბავშვობა ცოტა ხანს კიდევ სულგრძელად აცალა
და მერე პეპელასავით ლობე-ლობე ფართფატით გასწია.

თითქოს ბავშვობიდან გამოაგდეს და კარი მიუხურეს
და მან, გაძლებისთვის, რაღაც ახალი თვისება შეიძინა:
მომთმენი გამხდარა. გრძნობს, მომთმენი გამხდარა
და გულგატეხვასაც გრძნობს, — რომ არ ეთამაშება.
ბავშვები ხომ სულ თამაშობენ. იღლებიან, თამაშობენ, კვლავ იღლებიან სიზმრებში ტრიალებენ,
უკვირთ სინამდვილე, ისე ახლოს არიან იმ პირველ გაჩენასთან სულ ახალი ნაკადულივით...
რომელსაც ჯერაც ახსოვს ის წამი, როცა პირველად გამოიწვერა
ძველი, ჩამუქებული მყინვარის მატყლიდან.
გამოიძაბა, გამოცურდა და წამოვიდა იმ პირველ გზაზე,
რომელიც ბუნებას მისთვის ჰქონდა გამზადებული (მის უცოდინრად)
ეს კი ახლა, ამ გაზაფხულს დაბადებულა,
ეს გზაც პირველია, ხალისიანი, და ამავე დროს
მახესავით გატრუნულია.

●

ეს არის ის ბოლო შვილიშვილი, რომელიც ხელჩაკიდებული დაჰყავს პაპამისს.
დანარჩენები ისე გაიზარდნენ, რომ მხოლოდ შორით თვალის ჭერას საჭიროებენ.
ამის ხელი კი კოკორივით ფრთხილად უჭირავს თავის დიდ მუჭში.
სითბო დადის პაპაში და შვილიშვილში... აივლის, ჩაივლის...
მერე ესეც გაიზრდება და პაპის ხელი დარჩება ჰაერში.

●

ორი ქუჩის შესაყარ ადგილას, დიდჩრდილიანი ჭადრის შორიახლოს,
ვდგავართ მე და ციგნის ელამი გოგო და ერთმანეთს ჩუმად ვეპრანჭებით.
აქ ჩამოგვიშვა ჩვენ ბუნებამ — ჩვენს უკითხავად — უწყვეტელი ოქროს ძაფებით.
და ჩვენც აქ ვდგავართ, ამ ოთხკუთხად შემობარულ ჭადრის ტოტებქვეშ
და აქიდან ფეხს ვერ მოვიცვლით, რადგან ორივე ვიღაცას თუ რაღაცას ველით.
დრო კარგად გაგვყავს — ვგრძნობთ ორივე და გვსიამოვნებს,
რომ ჩვენი ლოდინი რაღაც უცნობი თამაშითაა შეზავებული.
ათი-თორმეტი წლის იქნება, მაგრამ თავის საყურ-ბეჭდებით,
ნასხვისარი მაღალქუსლა ფეხსაცმელით და ყელსაბამით
ქალობამდე — მიწვდენილია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მკერდი არა აქვს — ეტყობა ძალა აღარ ეყო, რომ შეელო[illegible]
ვერც ამოზიდა,

როგორც მაგის ტოლს მეც ვერაფრით ვერ ამომყავდა
ერთი ბეწვიც კი, ვერც ლოყაზე და ვერც ვერსად —
ჩემი ცდისა და ოცნების მიუხედავად.
და ჩვენც ვდგავართ და უჩუმრისად ვეპრანჭებით ერთიმეორეს,
მამა-შვილი ვართ ყველა წესით. მაგრამ ამ წუთას
სულ სხვა როლების შესრულება დაგვკისრებია —
ეს წუთები ჯადოსნური პაუზაა ჩვენს ცხოვრებაში,
დრო, რომელიც არასოდეს აღარ დადგება,
არ გაივლებს და გაქრება, რადგან იგი
შეუძლებელთა და განუხორციელებელთა სამყაროსია —
რომელიც დიდი არის, სწრაფი არის და უსაზღვროა —
სადაც ჩვენ ვართ ჩამოგზავნილნი უცვეთელი ოქროს ძაფებით —
ხანდახან კიბეც რომ გვგონია და იმედით შევყურებთ ხოლმე
და ამიტომაა, მოულოდნელ როლებზეც რომ უარს არ ვამბობთ.

●

მე ამ პატარა ლეკვის ყეფა კი არ მაშინებს —
მტრად რომ დამსახა, გამომენთო და ფეხებში რომ მებლანდება.
მაგის ამბავი კარგად ვიცი — სულ ადვილად შემიძლია დავიმეგობრო.
მე ის მაშინებს, თან სადღაც რომ გაიყურება —
იმ ნაგაზისა მეშინია, ეზოს სიღრმეში, ხის ჩრდილში რომ აგდია ალბათ
და ლეკვის ყეფას მილულული თვალებით ისმენს.
ისმენს იმის ხმას, იმის სიტყვებს, იმის ნაამბობს
და წვრილად იცის ყოველივე, რაც აქა ხდება.

●

ასე მეჯლისზე ან წვეულებაზე როდი მიდიან, ასე ბრუნდებიან.
ცოტა, სულ ცოტათი გადაცლილი ფერუმარილი. ცოტა, სულ ცოტათი
დაჭმუჭვნილი კაბა —
გულგატეხილს ტანზე სამოსი რომ აეყრება და იმის შიგნით
თითქოს მცირდება.
ცოტა, არც ისე ძალიან დაღლილი სხეული
და სული, სული — ნაფორიაქები,
რადგან ყველაფერმა მასზე გადაიარა.

რუსუდან დეიდაზე, დედაჩემზე, ს ო ფ ლ ი ს მ ა ს წ ა ვ ლ ე ბ ე ლ ზ ე,
რომელიც აქ ჩამოსული მწერლისათვის გამართულ ვახშამზე
უცებ გაიშალა, უცებ გაიფურჩქნა,
რათა მარტო მზესა და სოფლურ ღამეებს კი არა,
ა დ ა მ ი ა ნ ს ა ც დანახვებოდა
მთელი თავისი სულის, სხეულის სილამაზით.

და მერე, მთვარიან ღამით სახლში რომ ბრუნდება —
თითქოს გალახული, თითქოს დამცირებული,
რადგანაც იმისი ხანმოკლე აღგზნება
შეიძლება ვინმემ სხვა რამედ მონათლოს —
„ნახეთ, როგორ უკრავს თურმე, როგორა მღერის“!..

ეროვნული ბიბლიოთეკა

მძიმედ თავდახრილი,
რაღაცით (თავის თავით?) შეურაცხყოფილი,
მოხრილი და მხრებჩამოყრილი (ზურგიდანა ჩანს),
გაუცხოვებული თავის ტანთან, კაბასთან, თმებთან
და თითქოს სურვილით —
დარჩეს მარადიულ პროვინციელ ქალად.

მთელი საღამო ისე იყო ალტკინებული და ბედნიერი,
რომ წლები გავიდა და თავის თავს ის სიხარული ვერ აპატია —
რუსუდან დეიდამ, დედაჩემმა,
სოფლის მასწავლებელმა.

●

მოდი, ღრმად სადმე მიწაში ჩავძვრეთ,
სადაც დიდხანს შეგვეძლება უსაფრთხოდ ყოფნა.
ნუ დავიწყებთ სახლის შენებას —
გადაუხურავი დაგვრჩება.

●

ერთი ღმერთი და ერთიც კიდევ ადამიანი
ნუთუ ცოტაა იმისთვის, რომ გაიშალო!

●

პურის ნამცეცს ვინ აიღებს ლოდივით მძიმედ!
ყველაფერს თავის შესაფერი ძალა სჭირდება.

ძეყვარებულებს ძალა რომ არ ჰქონდეთ,
მაშინ მათ გიჟებივით ჰერას დაუწყებდნენ
ანდა გზაზე გადმოშვერილ ტოტებივით ჩამოამტვრევდნენ,
რადგან საწყლებს ტანსაცმელი ხომ არ აცვიათ!
და გულუბრყვილობაც ხომ უხვადა აქვთ,
რომ შიშვლები დაენახონ ქვეყნიერებას,
რომელიც მათ გიჟებივით ჰერას დაუწყებდა
ან გზაზე გადმოშვერილ ტოტებივით ჩამოამტვრევდა.

●

იცი, რა იცოდნენ იმათ — დიდებმა? — მოთმენა!.. მოთმენა...
გრძნობების მოთმენა.
განა შენ შესძლებ, რომ ტყიდან ფიჩხის გუდურა წამოიღო?
გზადაგზა დაგეშლება.
ამას კი, ამ მოხუცს, თავის მზეზენამყოფი ხელებით
ისე შეუკრავს უსწორმასწორო, დაგრეხილი ტოტების კონა,
როგორც ჯიუტ ბიჭის ქოჩორი.
გრძნობების მოთმენა.
ჩვენ ყოველთვის იმას ვცდილობთ, რომ გავექცეთ,
დავციცქნოთ და დავაქუცმაცოთ —
გავხადოთ იოლად მოსანელებელი და მოსათმენი.
ჩვენ მუდამ ვჩქარობთ, რომ მოვიცილოთ —
როგორც გზადაგზა ნერვიულად ვიხდით ტანსაცმელს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენ სწრაფები ვართ ჩვენს ჩვევებში — გრძნობებში დონ[illegible]
მოუთმენელნი, სულსწრაფები, სულმოკლეები.
შეყვარებულს ჩქარა უნდა შეყვარებული,
ავადმყოფს წამალი.
სინამდვილის გვეშინია და ტკივილი გვეჯავრება — თვალდასანახად,
ჩვენი ენერგია გაჭრილ თითსაც თუ ეყოფა სულის შესაბერად.

●

თიანეთი ჩემია. არავის არ დავუთმობ თიანეთს.
როცა წვიმა მოდის, მე უნდა ვიდგე აივანზე, მე უნდა ვუსმენდე,
რადგან მე მარტო იმ წუთებს როდი ვისმენ, არამედ წარსულსაც
და აქა-იქ გატეხილი კრამიტიდან ჩამოსული წვიმის წვეთები
ჩემს ბავშვობას გამახსენებენ
და სირბილს წვიმისათვის შესადგმელად გაწვდილი ჭურჭლით.
ზოგგან ბევრი ჩამოდის და ზოგანაც ცოტა... ზოგს ტაშტი უდგას,
ზოგს ქვაბი და ზოგსაც ქოთანი.
მაგრამ მერე... როცა წვიმა გადაივლიდა.
როგორი თბილი გუბეები იცოდა ხოლმე.
ტოპავ და ტოპავ და გგონია, რომ მარტო შენ გამოხვედი
სახლიდან გარეთ
და დარბიხარ თავდახრილი, თითო-თითოდ ყველა გუბეს გინდა შეეხო
და თავს რომ ასწევ, დაინახავ, რომ იქითაც ვიღაც მოტოპავს,
ერთი... მეორე...
შენდებიან წყლის წისქვილები, დაცურავენ ქაღალდის და მერქნის ნავები,
მავთულებზე მერცხლები სხედან.
უფროსებიც გამოჩნდებიან. ურუებენ წვიმის ღვარებს. კრუხ-წიწილიც
გამოიფრქვევა. ცხენსაც ორთქლი აუვა ზურგზე...
დრო სწრაფად გავა. ნახირიდან მოვლენ ძროხები.
მათი მოსვლა იმას ნიშნავს, რომ სულ ცოტაც და დაღამდება
და დედის ყველა შემოხედვა გაგახსენებს, რომ დროა უკვე გარდაისახო.

●

დღეში რამდენჯერ უნდა გადარჩნენ,
ეს გადამრბენი ქუჩის ძაღლები?
სიცოცხლის ისეთ საშინელ ინსტინქტს ამჟღავნებს ახლა
ეს შავი ხოჭო,
როცა უეცრად ანთებულ შუქზე —
აბაზანისკენ მიმავალ გზაზე —
შემოგეყრება თვალებმილულულს და უნებურად ბრძოლაში ჩაგრთავს,
რომ ძველებურად კი არ ორჭოფობ, არამედ გინდა
მახვილი ჩასცე,
არათუ ფლოსტი ფეხსაცმელი უცავე.
და შენ უბრალო მიჯნის მცველი კი აღარა ხარ,
ან შავი ხოჭოს უბირი მკვლელი,
არამედ სიცოცხლისა და ენერგიის წინ აღმდგარი საჭურისი ხარ,
ველურიც კი არ დაგერქმევა.

ყველა ცოცხალი გაურბის ცოცხალს,
ცოცხალის მკვლელს მოჰკლავს ცოცხალი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

●

ადამიანებს ყოველთვის რჩებათ ერთურთისგან ისეთი რაღაც,
საჩუქარი არაფრით რომ არ დაერქმევა:
სკამის სითბო თუ კალთის მტვერი, თუ ბეწვი თმისა
და კიდევ... კაცი ვერ გაიგებს რამდენი რამე —
უწვრილესი, უმცირესი და უჩინარი.

●

სარკე შეხტება ადამიანში ვეფხვად ან კურდღლად —
ის არასოდეს ჩვენ არ გვირეკლავს.

●

არა მარტო მატლიანი ტოტი შეერჩია კოდალას თითქოს,
არამედ ისეთიც, საიდანაც ყოველი მხრიდან გამოჩნდებოდა.

ყველა დიდი საქმე იწყება შეძახილით
და სამყაროსთან რაღაცნაირი შეხმიანებით.

●

ჩვენ რომ არა, ადამიანები,
ეს ცა და მიწა
მხეცებივით იქნებოდნენ ერთურთისთვის თვალმიპყრობილნი.
ტყე და ბალახი გადაჯდებოდა ველებზე და მთაგრეხილებზე
და იქნებოდა მოუშლელი ბრძოლა წყალსა და მიწას შორის.

●

მხოლოდ ადამიანებს აქვთ არაბუნებრივი პოზები.
არცერთი არწივი არ დატრიალებს ცაზე ა მ ა ყ ა დ,
ის საათის ისარივით ზუსტი არის და
უტყუარი.
ხოლო ადამიანი?
ბექობზეც რომ შეაყენო — უკვე არწივია —
(ოღონდ მაღლა... ოღონდ ზემოდან...).

●

იქ, ქვემოთ, თექვსმეტსართულიანის ბრტყელ სახურავზე,
ერთ ადგილას ნაწვიმარის გუბე დამდგარა,
ეტყობა, ვერ მიაღწია წყლის საგდებამდე,
ანდა რა ვიცი, შესაძლოა რომ ასედაც იყო საჭირო:
იმიტომ დარჩა, რომ მზემ, რომელიც უკვე ემზადება ღრუბლებს იქიდან,
თან წაიყვანოს.
მანამდის კი
იმ პატარა გუბეს ქარი არხევს, აქანავებს და არ ეთმობა,
თითქოს გუბე კი არა და — მანდილი იყოს
და პოეტური ცხოვრება ჰქონდეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

●

სახლში დაბრუნებული რომ დაინახავ შენს გუშინდელ ყავიან ჭიქას —
დილანდელს — საღამოთი, ღამისას — დილით,
რომელიც შენს თავთან ხელს ჩამოგართმევინებს,
ირონიულად — რაღა თქმა უნდა
და ფილოსოფიურადაც — შენ წარმოიდგინე
და ალერსითაც — ასე გასინჯე!
რადგან იგი არის ის წერტილი, სადაც შენს თავს შეუერთდები.
საქმესაც ასე უერთდებიან: გუშინდელს — ამ დილით,
მაგრამ შენში წრეშ
ამ ჭიქასთან მოგიყვანა მაინცდამაინც,
აქ მიდო თავი.

●

როცა შენ მოხვალ —
ხომ დიდი ხნის შემდეგ მოხვალ, თუკი მოხვედი.
მე ვიქნები მკვდარი ანდა — მოხუცებული,
რომელსაც უცებ გაღებული კარი შეაკრთობს,
ამ ცხოვრებიდან შემოსული შუქით, ხმაურით.
— დახურე კარი! — გეტყვი მე შენ,
— დახურე კარი!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თეიმურაზ ჯანგულაშვილი

# ხსოვნის რვეულიდან

ვისლიდან ოდერამდე. 1944-1945

## ნასოფლარი

გადარჩენილი ჭიშკრის თაღებთან
ჯვარზე გაკრული ქრისტეს სტატუა.
ძე რომ ქშინავს, ქარის ხმა თუა —
ისევ აღვივებს ნავლში ნაღვერდალს.

ჯვარზე ნაპერწკლის დახტის კალია,
აფრენა სწყურის ქარების ხიზანს.
გუშინ აქ იდგნენ სახლები ხისა,
დღეს ნახშირის და ნაცრის კალოა.

ცამ შექანა ღრუბლის საცერი —
საცერს დასცვივდა წვრილი წვეთები
და წვიმის ფეხქვეშ თავგამეტებით
შხივის ჯერ ისევ ცხელი ნაცარი.

არც ბელურები, არც ღამურები,
არც ძაღლის ყეფა, არც წყაროს
ფრთონა,
არც სადმე თივა, არც სადმე თონე...
მხოლოდ და მხოლოდ საკვამურები.

დგანან აგურის საკვამურები,
კუპრივით შავად ჩაყამულები,
დგანან და თვლემენ, როგორც ყანჩები,
შეჭრილ ფრთებით და შიშველ კანჭებით.

## კვირტების აფეთქება

აპრილს ვერ ვკადრო სიტყვა ულირსი,
თუმც ირგვლივ ისევ ბობოქრობს ომი.
ნალმთა და ჭურვთა ჭექა-ქუხილში
ხმა გავიგონე კვირტების სკდომის;
ამ ხმამ ჩაახშო სხვა ხმა ყოველი,
გული შემიძრა, აღარ დამინდო,
სული ამინთო,
ფერფლის მთოველი
ცა ამიმაღლა საკარგამინდოდ.

ვერა, ვერ ვკადრო სიტყვა ულირსი —
შებმული ომის მძიმე უღელში.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჭურვთა და ბომბთა ჭექა-ქუხილში
დადის აპრილი
ფაფარაყრილი.
დადის და თავის უუპირველეს
საქმეს აკეთებს მაინც აპრილი,
დააწყებინა სტვენა ფრინველებს,
გადაამწვანა შავი ნაპრალი.

— ჩემს გადარჩენას ვერ შეგპირდები,
უკანასკნელად გხვდები ეგებ,
მოდი, წამლეკე შენი ზვირთებით,
შენს ჭროლა წამწამს წამოვეგები.

და მე ამ ლექსთან დაგიწყვილდები,
რომ მკერდზე მტრედი შემოგაფრინო...
დედამიწაზე მხოლოდ კვირტების
აფეთქებებით გევლოს, აპრილო!

## გაუგზავნელი ბარათი

შენს თვალებს ვეღარ ვიხილავ განა?
მათს ნაცვლად ღამის წყვდიადს
ვკითხულობ.
ცაზე ვარსკვლავნიც აღარა ჩანან,
რომ ერთ მათგანად შენ დაგიგულო.
ტალახად იქცა მიწა აყალო
და ყინვის მინა გადიკრა კანად.
მე თმაგიშერო, თვალებმაყვალო,
ვაი თუ სამკალი დაგვირჩეს ყანა...

## ახალწლის ღამე

მოდგა ზამთარი,
მსუყე სითეთრით
წაშალა შავი ნასახლარები.
რომელ გზებზე რბის ახლა მზის ეტლი,
სად წკრიალებენ სხივთა ლარები...
ამომვსებია თოვლით სანგარი,
მომატებია სიმაღლე ბრუსტვერს.
სწორედ ამგვარი ზამთრის ამქარი
ქარი აბეზარ ბიჭივით უსტვენს.

ამსიგრძე ღამეს რა გაათენებს,
ჯაჭვს ვინ შეაბამს ყინვის ნაგაზებს...
ცა ღამის პეპლისხელა ფარტენებს
ჰფანტავს და მაბამს თოვლის ბაგაზე.
ფიფქი მადნება დამსკდარ ბაგეზე,
მკერდში ძალუმად ვიხუტებ კონდახს.
ცაო, წყვდიადის კალთა აქეცე!
ნეტავ, კახეთში რა ფერი გქონდა?

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მარინა ხმალაძე

## როგორ ტირიან ხეები ღამით

გაბეზრებული ამდენი წვიმით,
ხეები უხმოდ ტირიან ღამით,
როგორც ხმა, უცბად გამწყდარი სიმის,
ქარს მოაქვს უცხო ბგერათა ჩქამი
და წვიმის გრილი საფეხურებით
ჩამოდის ციდან სევდა და დაღლა.
შენი არავის არ ეყურება...
გინდა მთელი ხმით იკივლე ახლა.
მე ვუკრავ შოპენს,
და ჩემი სევდა
თავადვე მიკვირს და მეშორება;
კარგია;
როცა არავინ გხედავს,
როგორ უაზროდ ებრძვი ცხოვრებას,
როგორ ყოველდღე გაკლია ძილი,
და იშვიათად გწყალობს ფორტუნა,
და როგორ უმზერ ობლის ღიმილით
უკაცრიელი ქუჩის კონტურებს.
ღამეა...
როგორც პატარა გოგოს
ვეძახი ხეებს და ვეფერები,
— თქვენ თუ გინახავთ,
წვიმაში როგორ
იცრემლებიან ღამით ხეები.

* * *

ტყუილად ფიქრობ, ჩვეულებრივი
გექნება რწმენა და განრიდება,
ჩვეულებრივი ცრემლების მძივი
დაგეკიდება მარგალიტებად,
ჩვეულებრივად გირწევდა დედა,
ჩვეულებრივი გიხდება ძოწი,
ჩვეულებრივი გიღიმის მზე და
ჩვეულბერივი წვიმები გკოცნის,
ჩვეულებრივად გიხმობს და გძებნის,
დაუწერელი ლექსის ბწკარედი,
ტყუილად ფიქრობ, რომ ჩვეულებრივს
მე ქვეყნად ვინმეს შევიყვარებდი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## შეხვედრა ქარში

ქარი აწვალებს მაღალ ბარიკონს
და მოგონება მისდევს ჩვენებას,
უნდა ხვალიდან ყველამ გაიგოს
ჩემი დაღუპვა და შეჩვენება.
ცოტაა ახლა ხათრი და რიდი,
შენ უფრო დიდი გზები მიჩვენე,
ჩემი ცხოვრება იქნება მითი,
რომელსაც არვინ არ დაიჯერებს.
ქარია...
ქარი როდის მიწყდება,
ერთია, ქარად მაინც ფასობდე,
რა შუაშია თავდავიწყება,
თავი ყოველთვის უნდა გახსოვდეს.
ქარიც ამაყი ამორძალია,
მე რა მინახავს,
რა გადვიხადე,
რომ დაგთმო, მხოლოდ ასე ძალიან,
გაგიჟებამდის უნდა მიყვარდე.
ქარი აწვალებს მაღალ პარიკებს,
ქარი — უფალი და გამკითხავი,...
— ო, მაპატიეთ, მე ვერ გავიგე,
მგონი თქვენ ისევ რაღაც მითხარით!...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დავით ასკურავა

# მსხვერპლი ძლიერისა გლახაკისა

## მოთხრობა

დაუჯერებელის ხილვით ელდანაცემმა ვასომ კინაღამ კანჭები გადაისველა გაოგნებისაგან. სულ გადაავიწყდა ნამთვრალევს ამ ჭირხლიან ალიონზე გარეთ გამოსვლის მიზეზი. ჩაეჭიდა ყრუ სვეტს და დაკვირვებით გახედა გარე ბიძის სახლის საკვამურს. კვამლი დასტურ ამოდიოდა!

სიცივის მიუხედავად ცოტა ხანს კიდევ დაყო აივანზე და გამოჩხრეკით, გულდინჯად მოათვალიერა მიდამო.

ვასო ფლოსტების ტყაპტყუპით შებრუნდა ოთახში, სწრაფად ჩაიცვა სკამზე მიგდებული სვიტრი, მონახა საწოლ ქვეშ შეყრილი წინდები, ბუხართან მიწყობილი ტალახიანი ჩექმები, მოისხა პიჯაკი და წელანდებურად უკანა აივნით კი არა, წინიდან გავიდა და კიბეზე დაეშვა.

მავთულბადის ღობეში დატანებული ვიწრო კარი რომ გამოაღო, გააფაციცა ყურადღება, ხმაური რამ შევნიშნო იქნებაო, მაგრამ სახლში ჩამიჩუმი არ ისმოდა. ნესტორის უკაცრიელი სახლი და უსაყოლო ეზო-მიდამო სამარისებურ სიჩუმეს მოეცვა. ვასომ ფრთხილად დაიწყო სახლის შემოვლა. ქვედა სართულზე ჩვეულებრივ დაკეტილი დაუხვდა ყველა კარი და დარაბა. სარხეში გამავალი ჭიშკარიც შეამოწმა — დაკეტილი იყო. ახლა კიბეზე შედგა ფეხი, ფრთხილად აიარა საფეხურები და კიბის თავზე მომცრო ბაქანზე შეჩერდა. ბოლო სარკმლიდან გამოღწეული სინათლე ბლანტად ეფინებოდა აივნის იატაკსა და რიკულებს. ფეხის წვერებზე გაუყვა გრძელ აივანს. სუნთქვაშეკრულმა, როგორც იქნა, მიატანა ბოლო ფანჯრამდე. საკუთარი გულისცემა რომ შემოესმა, უკან გამობრუნებაც კი გადაწყვიტა, მაგრამ მოერია გულჯაბნობას, ცალი თვალით მაინც გაბედა და შეიჭყიტა სარკმლის კიდეში. სინათლე ბუხარში აგუზგუზებული ცეცხლისა იყო. ბუხრისწინ, მომცრო სავარძელში თვით ნესტორ ბიძია იჯდა.

ქურდული ჭვრეტით დარცხვენილსა და როგორღაც შებოჭილ ვასოს არასგზით არ სურდა იმის დაჯერება, რომ ბიძია ნესტორს ასე უბრალოდ, მომცრო სავარძელში მჯდომარეს, ძილმორეულსა და ნაღვლიანს ხედავდა ბუხრის წინ.

სანამ რამეს მოიფიქრებდა სარკმელს მოსცილდა და კიბის ბაქანზე მისვლამდე არც ამოუსუნთქავს. ახლა რიდი სთხოვდა ასეთ მოქცევას. რა თქმა უნდა, შეეძლო კარების გაღება, ოთახში შესვლა, მასპინძლისთვის დილის სალმის მიცემა, მოკითხვა, ერთი სიტყვით, როგორც არის მიჩნეული საერთოდ, მაგრამ ბიძია ნესტორთან?!

ნესტორისადმი კრძალვა პატარა ბიჭობაში ჩაენერგა ვასოს ყოველგვარი მითითების, ძალდატანებისა და სწავლების გარეშე. ბიჭი ხედავდა, რომ ამ გოროზი კაცის მიმართ უფროსები მეტისმეტად მოკრძალებულნი და მორიდებულნი იყვნენ. ბიძია ნესტორი რაღაცით აღემატებოდა თავის გვერდით მყოფთ. ხმაც კი რაღაცნაირი განსხვავებული ჰქონდა: არც მთლად მკაცრი და სიხაფით გამორჩეული, მაგრამ სმენისათვის მკვეთრი, ოდნავ მბრძანებლური და დამაჯერებელი, თუ დაჯერების მომთხოვნი. სიტყვები შერჩეული ჰქონდა, წინასწარ გადასინჯული და გადანახული. მოსაუბრეს ან პირდაპირ თვალებში შეჰყურებდა და ელეთმელეთს ჰგვრიდა ცეცხ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლოვანი მზერით, ან არა და ზედაც არ უყურებდა, თავისთვის იხედებოდა სადღაც.

ბიჭობაში ვასოს მოსწონდა გარე ბიძის ზვიადობა, ჯერხანად შიშსაც კი ჰგვრიდა მისი თვალების ელვა და სიტყვის მეხი. ამ თავისებური ბიჭის მიმართ ნესტორიც დაუშვებელ გამონაკლისს სჩადიოდა და ალერსიანი და ნაზი იყო მისადმი, ეოხუნჯებოდა კიდეც, ხანდახან წვრილ საჩუქრებსაც სთავაზობდა.

მიუხედავად გავლენიანი ბიძის კეთილგანწყობილებისა, ვასოს დიდი პრეტენზიები არ გააჩნდა. ერთხელაც არ შეუწუხებია საკუთარი კეთილდღეობის ამაღლებისათვის. იგი ცხოვრობდა ნესტორისაგან ერთხელ ნაბოძები დევიზით: „კაცმა უნდა იცხოვროს საკუთარი ძალებით, უნარისა და შესაძლებლობის კვალობაზე, თორემ თუ ცხოვრების მთელი გზა სხვების სათრევი და ხელით სატარებელი დარჩა, მისი არსებობა წყლის ნაყვაა და მეტი არაფერი".

კოლმეურნეობის ფერმის გამგეობა უპრიანი იყო მისთვის და მუშაობდა ვასო მიჩენილ ადგილზე. ციდან ვარსკვლავებს თუ არ წყვეტდა, არც საქმეს აფუჭებდა, მომდურავი და მომჩივანი არ ჰყავდა. რომც ჰყოლოდა და მოეხსნათ კიდეც, იგი ნესტორ ბიძიას არ შეაწუხებდა, რადგან ვასოს კარგად ახსოვდა, ერთხელ, ერთერთი ნათესავი ფაბრიკის დირექტორობიდან რომ მოხსნეს და ნესტორს ეახლა, რა პასუხით გააბრუნა უკან:

— კაცო, ფაბრიკის დირექტორობა მემკვიდრეობით კი არ გრგებია შენ, რაკი გაგათავისუფლეს, უნდა ვიფიქროთ, რომ ხელმძღვანელობას საქმისათვის ასე მიაჩნია უკეთესად. გამიგონია ამისათვის წუწუნი? კაცი კაცად უნდა დარჩეს ყოველგვარ ვითარებასა და გარემოებაში.

ამას იხსენებდა ლაფაროში მდგარი ვასო და იმ საქმეს ასრულებდა დილასისხამზე რომ წამოაგდო თბილი ლოგინიდან.

— რას უდგახარ, კაცო, მთელი საათი მანდ? — სარკმლიდან გადმოსძახა მეუღლემ.

ვასომ თავი ასწია, ტუჩებზე თითი მიიფარა და „სუ"-ო ასძახა ჩუმად.

— რა მოხდა, კაცო? — მოუთმენლობა დაეტყო თალიკოს.

— ბიძია ნესტორი ჩამოსულა! — სახის მანჭვით თქვა ვასომ.

— გადაგიმცირდეს გული, ფარსაგი რამე არ მეგონა?

— ფარსაგი უძახე შენ. მარტოდმარტო ჩამოსულა, წინა პატარა ოთახში ცეცხლი დაუნთია ბუხარში, ზის სავარძელი რომ აქვთ საქანელა, იმაში, ბუხრის წინ და მისჩერებია ცეცხლს...

— სულ მარტო როგორ ჩამოვიდოდა, იქნებ ნინო ბიცოლაც ახლავს, სტუმრადაც ეწვევა ჯერ.

— არა მგონია, ის კი არა ფეხითაა გმონი ჩამოსული.

— მართლა, კაცო? ხომ არ...

— ე მაგი ვიფიქრე მეც, ბიძია ნესტორის ამგვარი ჩამობრძანება...

ათიოდე წუთს კიდევ ილაპარაკეს, მთისას და ბარისას მოედვნენ, უამრავ სავარაუდო მოსაზრებას გაუსინჯეს კბილი და ვერასგზით ვერც ერთ ნაფიქრალ-ნააზრევს გუმანის თვალი რომ ვერ დაადგეს, თალიკომ ისაზრა:

— არაა ეგ ამბავი ჩვენი ჭკუა-გონების გასარიგებელი, მოვეშვათ ახლა მაგას და დავტრიალდეთ, საუზმის თადარიგზე ვიზრუნოთ.

ბარაქიანი და მსუყე ოჯახი ჰქონდა ვასოს: ღვინო ორ-სამნაირი, ქათამ-წიწილი მრავალი. სტუმრისთვის ინდაურს კი არა გოჭსაც არ დაიშურებდა, მით უმეტეს ბიძია ნესტორისათვის. ნაუცბათევის პირობაზე, ხელმწიფეს რომ არ დაეძრახებოდა, ისეთი სუფრა გაშალეს. თითონაც მოკოხტავდნენ. თალიკომ საგარეო კაბა ჩაიცვა, ვასიკომ ტალახიანი ჩექმები გამოიცვალა. ახლა მხოლოდ მისი მოპატიჟება იყო საჭირო, რაც ვასიკომ იტვირთა.

გარეთ უკვე თოვდა. ბამბის ქულა ფანტელები უხმაუროდ ქსოვდნენ ფუმფულა თეთრ სამოსს. ნესტორ ბიძიას სახლთან ნაფეხურები შენიშნა. კვალი კიბიდან ჩამოდიოდა, სახლს მარჯვნიდან უვლიდა და საჩეხისკენ მიემართებოდა. ამანაც დიდად განაცვიფრა ვასო. ბიძია ნესტორის ქვითკირის სახლი ქალაქის ყაიდაზე იყო მოწყობილი და მის პატრონს უბრალო რამეზე გარეთ გამოსვლა არც უნდა დასჭირვებოდა.

ვასომ რიგიანად ჩაფიქრებაც კი ვერ მოასწრო ამ ამბის გამო, რომ სახლის მოპირდაპირე კუთხიდან რბილ ჩექმებსა და ტყავის კურტაკში გამოწყობილი ბიძია ნესტორი გამოვიდა, თავზე გრძელბეწვიანი ქუდი ეხურა და მხარილლივ გადაგდებული ორლულიანი თოფი მოჰქონდა.

— ვასიკოს ვახლავარ, — ჩვეული რიხით დაიძახა ბიძია ნესტორმა, — მიხდება ხომ, ბიჭო! — თოფ-პატრონაჟი ჩამოათვალიერა.

გაოგნებულმა ვასიკომ ძლივს მოახერხა ადგილიდან დაძვრა და მიახლოვება. ხელი ჩამოართვა, მოიკითხა და ჩვეულებრივ უცბად დაემსგავსა ბიძია ნესტორს, გადაედო მისი ხალისი: პირველი ხარ მონადირეთა შორისო.

— იცის ბიჭმა, — რაღაცნაირი ქადილით თქვა ნესტორმა.

ვასო არც ცდილა ნათქვამის დედააზრში ჩაწვდომოდა, იცოდა, რომ ეს ალემატებოდა მის ძალას, სამაგიეროდ, სახლეულობა მოუკითხა, როგორ არიანო. არც ის გაჰკვირვებია, ამ შე-

კითხვაზე ნესტორმა ცალყბად რომ მიუგო, არა უშავთ-რა, ცხოვრობენო.

— აქ ხომ არ ბრძანდებიან? — ჰკითხა მაინც.

— მაგის ბიჭი ვარ, ვასიკო, დასასვენებლად წავიდე და ტვირთი თან ვატარო? — ფუყე გამოუვიდა ბატონ ნესტორს რიხი.

— რა ვიცი, რა? — წაილაპარაკა ვასიკომ და საუზმეზე მიპატიჟების სურვილის გამხელა დააპირა.

ბიძია ნესტორმა წარბი აზიდა, ცას ახედა და თქვა:

— ეს ერთი თხოვნა კი შემისრულა, ვასიკო ჩემო, ღმერთმა: თოვლს ვნატრობდი, ბიჭო, აქეთ რომ მოვდიოდი, დიდ თოვლს ან მთლად ულრუბლო მოსარკულ ცას და ნახე როგორ ბარდნის?!

ეხამუშა ვასოს ბიძია ნესტორის მიერ ღმერთის ხსენება, მაგრამ მასში კვლავ უცბად გაილვიძა მინიატურულმა ნესტორმა.

— აბა, რავა გაბედავდა, ნესტორ ბიძია, თქვენს გაწბილებას. ზამთარში კი არა და ზაფხულშიც რომ გეთხოვათ, მაშინაც უნდა გარჯილიყო.

— აგაშენა ღმერთმა, ბიჭო ვასიკონა, ფხიანი ენა გაქვს, შე შეჩვენებულო.

— არ გამოდის სხვაფრივ, ბიძია ნესტორ!

— კაი, კაი. — ნესტორმა ბეჭზე წაუთათუნა ხელი. — რას აკეთებ ახლა შენ?

— მე და თალიკომ რაღაც საუზმის მსგავსი...

— ვიცი მე თქვენი „რაღაც საუზმის მსგავსი“. თალიკოს უთხარი, ერთი ნაცრიანი კვერი გამომიცხოს შუა ცეცხლის ღადარში, კეჟერა ფხალის მწნილი თუ გაქვთ, ისიც ამოიღოს ცოტა, ერთი ნახევარი წველა ყველი, ბაბუაშენის ნაქონი დოქით ღვინო, უწამლო და უჯახირო ღვინო. გადაპრანჭული სასმისები არ დამანახო, იცოდე. სუფრა ჯარგვალში გამიშალე, მჭადი და ყველი არ დაჭრას, იცოდე, ქალმა, დატეხოს, ასე სჯობია. ჰოდა ვიქეიფოთ ერთი მამა-პაპურად.

ვასომ ყველაფერი აღუთქვა. ცოლს ბიძია ნესტორის სურვილი ამცნო და ოხვრით დასძინა:

— ვეჭვობ, ნეტავი ხომ არ... — ეშინოდა ეჭვების გამხელისა ვასოს, ერიდებოდა.

— მოგცლია შენც... — შეუძახა თალიკომ. — მობეზრდა, შე კაი კაცო, ხიზილალა და დოში, ოქრო და ბროლი, ამოუვიდა ყელში გახამებული ხელსახოცები. იყოს აი გაწყობილი სუფრა აქ, სამზადში კი მისი სურვილისამებრ გავაწყოთ ყველაფერი.

ხელსწრაფი დიასახლისი იყო თალიკო, სანაქებო ნახელავი იცოდა. ვასოც ჯარასავით დატრიალდა. ააგზნეს შუა ცეცხლი, დაცვივდა ნაკვერჩხალი, ჩააკრეს მჭადის კვერი, ამოიღეს თავნაქაფი ღვინო, დედო კავზე ჩამოკიდებულ ღორის ბეჭს ჩამოათალეს [illegible] და ჩააგდეს ქვაბში.

ბიბლიოთეკა

პეწიანად გაიშალა შუა ცეცხლის გასწვრივ ტაბლა. კეჟერა ფხლის და პამიდორის მწნილს წიწაკით უხვად შეზავებული ტყემლის საწებელი მიუდგეს, წინა დღის მიტოვებული ლობიო თიხის ქოთანში გადაიტანა თალიკომ და ღადარს მიუფიცხა, ხის კოვზს ურევდა შიგ. მერე კუპატი ჩამოხსნა, დაჭრა და დააწყო ტაფაზე.

— აი წელში გამოყვანილი ჰიქები მოუხდება აქაურობას. — თქვა ვასომ.

გამოხედა ხელსაქმით გართულმა თალიკომ, კიო, დაუდასტურა.

— ე, მიხედე ახლა აქაურობას და მოვიპატიჟებ ბიძია ნესტორს, — თქვა ვასომ და გარეთ გასვლა დააპირა, რომ მოძველებულ ბამბიანში ჩაცმული, თავზე მამისეულ ყაბალახმოხვეული ნესტორი მოადგა ზღურბლს.

— კაი გამარჯობა, ხალხო, თქვენი! — დაიძახა.

თალიკომ კინაღამ შეჰკივლა. ამგვარად მორთული ბიძია ნესტორი პირწავარდნილი ჰგავდა მამამისს, თხუთმეტიოდე წლის წინ გარდაცვლილ ალმასხანს, ხმაც იმ ცხონებულისა მისცემოდა, რიხიც, მიხრა-მოხრაც.

— გამარჯობათ, ბიძია ნესტორ, შემობრძანდით! — ძლივს გონს მოეგო და შემცბარსა და შეცბუნებულ ვასოს თვალები დაუბრიალა თალიკომ.

— ოქრო ქალი ხარ შენ, თალიკო, ბიძია, ოქრო. — ზღურბლს რომ გადმოაბიჯა და თალიკოს ხელი ჩამოართვა, მაშინ თქვა ნესტორმა. — ესეც გყავთ, ჯვარი გწერიათ. — სამზადის კუთხეში ასე თვენახევრის წაბლა ხბო იცოხნებოდა და სტუმრის ყურადღებაც იმან მიიპყრო.

ცოტა არ იყოს დაიბნენ მასპინძლები: ღმერთიო, ჯვარი გეწეროთო.

— აგაშენოთ ღმერთმა. — დაჯდა თუ არა, ბიძია ნესტორმა ცეცხლს მიუშვირა ხელები. — დაჯექი ვასიკო, რავა ფეხზე დგახარ, კაცო?!

— ამ ხბოს გავიყვან გარეთ. — ვასომ საქმე მოიმიზეზა, გარეთ უნდოდა გასვლა, იქნებ ცოტა გონს მოვიდეო, ფიქრობდა.

— ა ,მაგას ნუ იზამ, თუ კაცი ხარ, თორემ მაწყენინებ. — გულწრფელად შეწუხდა ნესტორ ბიძია.

სულ გამოთაყვანდა ვასო. რაც თავი ახსოვს, ბიძია ნესტორი სულ სხვა ხმით და ენით ლაპარაკობდა და აგერ რა სიტყვები სცოდნია, როგორ შინაურულად ლაპარაკობს.

— კარგი, ბატონო, იყოს, აბა, — წაილაპარაკა ვასიკომ.

— აი ეს მესმის, — ბიძია ნესტორმა ქვაბში ჩამდგარ ოხშივარს სული შეუბერა და შიგ ჩაიხედა, მერე სხვენისკენ გააყოლა მზერა, სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაც მთელი ბეჭი და ბარკლის ნაჭერი ეკიდა. რამდენი წლიანისაა? — იკითხა.

— სამწლიანის. — მიუგო ვასიკომ.

— ქატოთი ხომ არ გისუქებიათ, ვასიკო? არ ვარგა ქატოთი ნასუქი ღორი, რბილი ხორცი იცის.

— რა სათქმელია, წიწიბოზეა გაზრდილი. ტყეებში დაიარებიან ჩემი ღორები.

თალიკომ კვერი გამოიღო ლადრიდან, გარეთ გაიტანა, დაფერთხა, მერე მეუღლეს უხმო, წყალი დაასხმევინა — კვერს გადაავლო და ოხშივრიანი შემოდო ტაბლაზე.

— დავტეხოთ, თალიკო; ბიძია, დავტეხოთ! — აწრიალდა ნასიამოვნები ნესტორი. — ყველიც დავტეხოთ, ასეა გემრიელი. დაჭრა არ უხდება შინაურ ყველს და მჭადის კვერს. ასე იცოდა ცხონებულმა დედაჩემმა.

ვასომ ჭიქები შეავსო, თალიკომ ქვაბი ჩამოხსნა ოჯინჯალიდან, დანის წვერით ვარგისიანობა გაუსინჯა და რაკი დარწმუნდა ზომიერად იყო მოხარშული , ამოიღო და სუფრაზე დადო.

— დაჭრით თქვენ დაჭრით, ალბათ. — თქვა.

— კი, ბიძიკო, კი. აგაშენა ღმერთმა. — ხელები მოიფშვნიტა ნესტორმა.

— აბა, მაპატიეთ ახლა, პირველი გაკვეთილი რომ არ მქონდეს... — ეტყობოდა, ვასიკოზე ნაკლებ არც თალიკო განეცვიფრებინა ამ ღმერთისტოლა კაცის ასე ერთბაშად გაშინაურებას. უკუსვლით გავიდა სამზადიდან, ბავშვებს დაუძახა, ოდასახლში ელოდნენ ალბათ დედას.

ვასომ იგრძნო, რომ რაღაცნაირად გაუხარდა ნესტორს, მარტონი რომ რჩებოდნენ.

თალიკოს წასვლის შემდეგ დიდი დრო არ გასულა, გახურდა პურ-მარილი. ყურებს არ უჯერებდა ვასიკო. ბიძია ნესტორი ოქროპირად იქცა და სულაც არ იყო ეს სასმელის ბრალი. გულში ჩაწოლილი დღეების, თვეებისა და წლების განმავლობაში ნათმენი ერთბაშად ამოაბრუნა, ამოატრიალა, სამზეოზე გამოფინა სული და გული. „დიახს“ და „დიახს“ გაიძახოდა გაოგნებული ვასიკო. მაინც რა უბედურება დაატყდა თავს. ერთი საფიქრალისთვის ყური ვერ გაეხსნა წესიერად, რომ მეორე მოზვავდებოდა. მეორეს მესამე მოსდევდა, მესამეს — მეოთხე და თითქოს საოცრებათა უწყვეტი ჯაჭვი ყოფილიყოს, არ ელეოდა გამოცანები, რომელთა ახსნა ვერა და ვერ გამოენახა მოვლენათა სიმრავლით დაოსებულ მასპინძელს.

— მესმის მე ყველაფერი, რასაც ბრძანებთ, ბიძია ნესტორ, — შეთრთოლებული ხმით ჩაურთო ვასომ. — უფრო სწორად რომ ვთქვათ, მეყურება თქვენი ნათქვამი, მარა არ ვიცი, დავიჯერო თუ არა, რასაც ამბობთ. თუ ჩემი კაცობის და სინდისის შესამოწმებლად მეუბნები ყველაყა ამას, რათ გინდათ, რომ არ ვიცი?

— რას ამბობ, ბიძიკო, შენზე [illegible] გულწრფელობით მიუგო ნესტორმა. — ვის, ბიჭო, მე ნესტორ ახალაძეს ჩემი ბიძაშვილის შემოწმება მინდა და ისიც შენი, ვასიკონა? არ იფიქრო მაგი, თუ ღმერთი გწამს, არ შემაცვლევინო გული, შენ ყველაზე საიმედო კაცად მიმაჩნიხარ მე.

— არ ვიცი, ბიძია ნესტორ, არაფრის თქმა არ შემიძლია, დავდნი კაცი ამ დილას აქეთ ავდექი ცის იალონზე, გამოვედი გარეთ იმისათვის ე... და კვამლი დავინახე თქვენს საფუტარში.

— მომისმინე, ვასიკო ჩემო, — ტაბლის კიდეს ხელი ჩამოკრა ნესტორმა. — ჯერჯერობით ფხიზლები ვართ ჩვენ და გეტყვი ახლა, რაც მაწუხებს.

ნესტორს სახის გამომეტყველება უცებ გამოეცვალა და უწინდებურად გოროზი და შეუვალი გახდა. მოიმჩვარა ვასო და არაფრის შეცნობის სურვილი აღარ გამოუმჟღავნებია. მისთვის მთავარი და ერთადერთი პატივი ის იყო, რომ ბიძია ნესტორის პირისპირ იჯდა და სწორი და ტოლი იყო მისი.

— გამოხარი ხომ შენ მაგ ძვალი? — თეფშის კიდეზე დადებულ ძვალს საჩვენებელი თითი დაუმიზნა ნესტორმა...

— კი, ბატონო, ასეა. — თვალების ცეცებით უპასუხებს ვასო.

— ჰოდა, რის მაქნისია აწი მაგ ძვალი?

— კი, მასეა ბატონო, სწორს ბრძანებთ. — როგორც იქნა ამოღერღა ვასომ.

ნესტორი გაურკვევლად იქნევს თავს. არც დასტურს გამოხატავს მისი გამომეტყველება, არც უარყოფას, მონუსხულივით მისჩერებია ცეცხლს.

ჯიუტობდნენ ასხმარტალებული, აფორიაქებული, აწიოკებული ფიქრები ვასიკოსი. კანში ვერ ეტეოდნენ, ბორგავდნენ. უკვირდა და ჰოი რარიგად უკვირდა ვასოს რაის მხილველიც გახადა განგებამ. თვალს მაინც ვერ არიდებდა, მონუსხული მისჩერებოდა ბიძია ნესტორს. იმას კი თვლემა მოერია ამ დროს. ხედავს ვასიკო, რარიგად დაუგრძელდა ნესტორს პირისახე, მერე დაუმძიმდნენ ქუთუთოები და ორსამჯერ წაუჯიკავა კიდეც მოძალებულმა რულმა ჩანაკვერჩხლებული ლადარისკენ. შემკრთალმა ნესტორმა ჩამოვარდნილი ნიკაპი აიქნია, აზიდა დაშვებული ქუთუთოები, ფარული მზერა გააპარა ცეცხლისკენ. რას გამოხატავდა მისი ფაფუკი, სანდომიანად მოვლილი სახე? საით რბოდნენ იმისი ფიქრები? ვერა, ვერაფერი გაარკვია ვასიკომ და ყველა ადრე მიღებული დასკვნა თუ ვარაუდი უკან ჩააბრუნა.

— მომხსნეს, ვასიკო ჩემო, მე მომხსნეს. — ამოიგმინა ბიძია ნესტორმა და ღიმილი მოიშველია, სიმწრის ღიმილი რომ ჰქვია ის.—გამათავისუფლეს, გამომაპანღურეს და პენსიაზე

გამიშვეს. რაც გინდა, დაარქვი, ერთი ოხერია მაგი. ხვალ-ზეგ გაზეთებშიც დაწერენ ამას, მი-მიხვდი?

— დასტურ? ..— შეყოვნებით ამბობს ვასო.

— დასტურ, აბა გეხუმრები, ვასიკო ჩემო, მისროლეს სანაგვეზე გამოხრული ძვალივით, ისე... — ნესტორს ენამ უმტყუნა წამით, წა-იბორძიკა.

— ეჰ! — ამოიოხრა ვასომ და მუხლისთა-ვებზე ჩამოდებულ ქუდს დაარტყა ხელი. — ასეა, აბა?

— არ ხარ, ვასიკონა, შენ გულწრფელი. რა-ღაც სხვას ფიქრობ ახლა და ყასიდად ოხრავ. არა, წყენით რომ გეწყინა ჩემი წაქცევის ამ-ბავი, ამაში გეთანხმები. ვიცი მე, რარიგად გი-ყვარვარ შენ, ბაღნობაში რომ მბაძავდი და სალოცავ ხატად გყავდი, ისიც ვიცი, მაგრამ...

რა ქნას ახლა ვასიკომ? ადგეს და თქვას ის, რასაც ფიქრობს, სულ უბრალოდ, ნეს-ტორისავე სიტყვებით უთხრას: „კაი ხანი იყავი შენ იქ, ბოლოს და ბოლოს, დასასრული აქვს ყველაფერს, მართლაც და მემკვიდრეობით ხომ არ გრგებია ის ადგილი“ და სხვას რომ თავი დავანებოთ, „ხელმძღვანელები უკეთ არ ხედა-ვენ, რასაც აკეთებენ?“-ო, უთხრას ...მერე ივა-რგებს, ბატონო, ამგვარი პირამთქმელობა, დროა ახლა სამაგისო თუ ვითარება?..

— მე, ბიძია ნესტორ... — თვალები მოუწყ-ლიანდა ვასოს, მოჭარბებულმა გრძნობებმა წა-ართვეს სახსარი და დაუშრიტეს მეტყველება.

— ეჰ, არა უშავს, ვასიკონა, დაასხი, ჩემი ბიძიე, მაგ ღვინო, ვახსენოთ ღმერთი. ერთი ოხერი ყოფილა ყველაფერი. — ყურით მოთ-რეული რიხით თქვა ბიძია ნესტორმა.

ვასომ ყინწმოტეხილი დოქი აიღო და ჭიქას დაუმიზნა. დოქის ყელიდან რაკრაკით გადმო-დიოდა ალისფერი ღვინო. შუა ცეცხლი ტკა-ცუნებდა, ნაპერწკლებს ისროდა და იფერფ-ლებოდა. გარეთ კი თოვდა, თოვდა გულდაგულ და ბარაქიანად.

მისჩერებოდა გრძნეულივით ცეცხლის ალს ნესტორი, ესმოდა როგორ იღვრებოდა ჭიქებში ღვინო, მერე იმ სითხით იგრილებდა გულს და საამო თავდავიწყებაში ეშვებოდა ნება-ნება. ეს გამოუცდელი თვალისთვის, თორემ წუხანდელი გვემა და თრევა უწიოკებდა სულს. ებრძოდა თავს, არამც და არამც არ უნდოდა წამოსც-დენოდა სიტყვა რაედენა ნაოფიცრალზე. მკვდარი იყო ის სულძაღლი, მკვდარი იყო და ზმანებაში ამოხადა სული.

ოდნავ რომ შეთვრა, გულის აჩუყებისა და უარესი წამოცდენის შიშმა გაკენწლა. წამოუ-ძახა თავს, ეყო ძალა და მოერია მოზღვავე-ბულ განცდებს, დათრგუნა მაცდური სურ-ვილი, დაიოკა და საცავში ჩაამწყვდია ჭუჭ-რუტანაში გამოსაძვრენად აწრიალებული აზ-რები. წამიერი იყო ეს უხილავი ბრძოლა სა-კუთარ თავთან. დრო კი [illegible] ენერგია უფრო მეტი შე[illegible] წა-მში და შუბლზე ოფლის მსხვილმა წვეთებმა გამოჟონეს ნესტორს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— კარგია, — თქვა, — ცეცხლი, გაშლილი სუფრა, გარეთ თოვა და სიწყნარე. როგორღაც აყუჩებს შინაგან ხმაურსა და წუხილს.

— რა გვაქვს, ბიძია ნესტორ, სამწუხარო. თქვენი სახელი და ავტორიტეტი ათ კაცს ეყო-ფა საუკუნო სიცოცხლისათვის. — შესცინა ვასიკომ, არც ცრუობდა იგი, არც სტუმრის გუ-ლის მოსაგებად ამბობდა ამას. იცოდა ეს ნე-სტორმა, იცოდა და ამიტომაც იყო აქეთკენ რომ გამოსწია. არა და რა თამამით და ზე-რელე დამოკიდებულებით დაიმკვიდრა ამ ბი-ჭის გულში ჭეშმარიტი სიყვარული.

— იცოცხლე, ჩემო ბიძია, — მზერა მოუწყ-ლიანდა ნესტორს. — დავისვენებ ახლა მე ცოტას, შენც არ დაგაბრკოლებ, დილაა ჯერ კიდევ, საქონელს მიხედავ, მერე, ალბათ, საქ-მეზე წახვალ კოლმეურნეობაში.

— კოლმეურნეობაში არ მეჩქარება. ჩვენი ფერმა ახლა მზიანეთის ჭალაშია. ასე შემოვი-ღეთ ეს ორი წელია.

— ჯობია ვითომ იქ გამოზამთრება? — ეს ინერციით იკითხა ნესტორმა, ძველი წესისა და ჩვევის კარნახით და ღიმილიც მოეძალა სახე-ზე. ასეთ შეკითხვებს დარგის ხელმძღვანელებს აძლევდა ხოლმე. ისიც გაახსენდა, როგორი პა-თეთიკით უპასუხებდნენ ხოლმე ისინი, როგო-რმე მისი გულისა და აზრისთვის რომ მიეწვ-დინათ გადაწყვეტილების უპირატესობა.

— აბა, როგორ გითხრათ. — მწვანილს ღე-ჭავდა ვასიკო. — ექსპერიმენტის ხასიათი აქვს ჯერ.

— უჰ, კაცო, არ შეგვიკლეს ხელში ამ ექს-პერიმენტებმა. — ხალვათად გაიცინა ნესტო-რმა.

— მასპინძელსა მხიარულსაო, არა? — ეს გამოღებულ კარს იქით დაიძახა ვიღაცამ. — ვასიკოო!

ვასიკო წამოდგა და სტუმარს მიეგება.

ზღურბლთან მხარიღლივ თოფგადაკიდებუ-ლი, ორმოცდახუთიოდე წლის კაცი იდგა, ცეც-ხლისპირს მჯდომი უცხო რომ დაინახა ოდნავ შეცბა.

— ბოდიში, ბატონო, არ მეგონა, სტუმრები თუ გყავდათ. — დარცხვენით თქვა და მდა-ბლად დახარა თავი.

— მობრძანდი, ბიჭიკო, მობრძანდი. — მას-პინძელი დააბნია ბიჭიკოს შეჩქვიფებამ. — ბი-ძია ნესტორი მეწვია და ჩვენებურად, გლე-ხურად ინება სუფრის გაშლა.

— მოდი, კაცო, მოდი. — შინაურულად მიიპატიჟა სტუმარი ნესტორმა, — შემოგვიერ-თდი, ვზივართ აგერ მამაპაპურად.

ბიჭიკომ თოფი ჩამოიხსნა, კუთხეში მიაყუ-

და, ქუდი და ქურთუკი კედელზე ჩამოჰკიდა და მოკრძალებით მიუახლოვდა ნესტორს, ხელი ჩამოართვა.

— არაყი უნდა დალიო, ბიჭიკო, დაგვეწევი და გავყვეთ მერე. — მომცრო ჭიქაში არაყი ჩამოუსხა ვასიკომ სტუმარს.

ნესტორი დაკვირვებით ათვალიერებდა ქალაქელ, რაშერეულ ბიჭიკოს, მოსწონდა მისი უბოროტო გამოხედვა და ისიც, განსაკუთრებულ მოკრძალებას და პატივს რომ ამჟღავნებდა. თან იმის გამოცნობას ლამობდა, ვინ იყო ბიჭიკო, ვისი შთამომავალი. როგორღაც ეცნო წინ გაშვერილი წვრილი ნიკაპი და ზომაზე მეტად თხელი ცხვირი.

ჩაფიქრებამ სევდა მოჰგვარა ისევ. ეს მესამე კაციც უდროოდ არ შემოეხეტა? თავისი ფიქრი რომ არ გაეცა მუგუზლებს მოჰკიდა ხელი და დაუჩუჩხურა, დაცვენილ ნაპერწკლებს მიადევნა მზერა, მერე ხბომ დაიზმუვლა და იმას მიხედა.

— წაველი ახლა მე, თორემ მოკვდება ეს ხბო მშიერი. მართალია, ცხონება ერთისა მეორის წაწყმენდაა, მაგრამ ეს თვალხატულა ბოჩოლა ნამდვილად არ იმსახურებს ამგვარ ანგარიშგებას.

წამოდგა, ყაბალახი ჩამოიცვა თავზე, ბიჭიკოს ხელი ჩამოართვა და მაშინღა ჰკითხა:

— შენ გალაქტიონის შვილი ხარ, ხომ?

— შვილიშვილი, ბატონო, უფროსი ბიჭის, ტერენტისა ვარ მე.

— ჰოო, ისე ბაბუაშენს უფრო ჰგავხარ სახით.

ბიჭიკომ უხერხულად შეიქნია მხრები. მამამისი ოცდასამისა გარდაიცვალა სადღაც, კარპატებში, თითონ ორმოცს გადააცილა აგერ. ბაბუასაც ამიტომ ჰგავს ალბათ.

— აბა, კარგად იყავით, მიხედე ოჯახს, ვასიკო. — ჩვეულებისამებრ ბოლო დარიგება დააგდო ნესტორმა.

ჭიშკრამდე მიაცილეს სტუმარი, უცქირეს შემდეგ, როგორ ადიოდა დათოვლილ კიბეზე.

— ამის ასე შინაურულად ნახვას კი აღარ ვფიქრობდი. -- თქვა ბიჭიკომ. — რავა უცბად მიცნო, კაცო, მართლა ნათელმხილველი არ ყოფილა?

— ბოლოს ყველა შინაური ხდება, როგორც ჩანს. — არცთუ ორაზროვნად მიუგო ვასიკომ.

* * *

ნესტორი გაუხდელად მიწვა ლოგინზე.

კარგა ხნის შემდეგ მოაკითხა ვასიკომ, მერე ბიჭი გამოგზავნა, მაგრამ მამასაც და შვილსაც მშვიდად მიძინებული დაუხვდათ ნესტორი და ხელი არ შეუშალეს. ერთი კია, არ ეძინა ბატონ ნესტორს, იქნებ ეძინა კიდეც, მაგრამ ასე იოლად რას მიხვდება კაცი სხვის ძილს ან შფოთიან მიძინებას...

განაწყენებული და გულაჩუ... ნესტორი მშობლიურ კუთხეს ეწვ... მშობლიური მხარისა და ხალხის ხილვას ნუგეშისა და თანადგომის იმედი არ ახლდაო აქეთკენ გამომგზავრების სურვილს. მაგრამ წინასწარდასახული საამისო გეგმა-მონახაზი ნამდვილად არ გააჩნდა. ან კი კაცმა რომ თქვას მართლაც რატომ უნდა გავიკვირვოთ ცხოვრების უკუღმართი მდინარებისაგან გულაჩუყებული კაცი ნუგეშისა და თანაგრძნობის იმედით იმ ტყე-ღრესა და ორღობეებს ეწვიოს, რომლის ფონზეც იგრძნო პირველად ცხოველი ლტოლვა ყოველივე ადამიანურისადმი. იგი დარწმუნებული იყო, რომ გულის იარას მალამოდ მოეფინებოდა იმ ადგილების ხელახლად ხილვა, საიდანაც ამ ორმოცდაორი წლის წინათ წავიდა.

ახლა დაფიცებაც კი შეუძლია ნესტორს, რომ არ იყო მისი აკვიატების ბრალი წასვლა, ადამიანები სხვადასხვა ასაკში, მანამდეც ტოვებდნენ მამისეულ, დედისეულ, ბაბუასეულ და მავანთასეულ სახლს. ტოვებდნენ და მიდიოდნენ წინასწარ დასახული გეგმით, შთაგონებით, მიზნით, იმედით და სრულიად უმიზნოდაც კი.

ნესტორს, სიმართლე რომ ითქვას, წასვლის არავითარი სურვილი არ ჰქონდა. იგი შესანიშნავად გრძნობდა თავს მამისეულ სახლში. გამრებოდა ძროხა და თხები თიკნიანდებოდნენ, თავსაყარი თუ არა, საძლომად ყველაფერი ჰქონდათ შინ. ზამთარში ღორს კლავდნენ. თოფიც ჰქონდა ნესტორს ომში წასული უფროსი ძმის დანატოვარი, ცალლულიანი თოფი და დასდევდა ბიჭი კურდღლებს მშობლიური სოფლის ს... რებზე.

ასე რომ, შიმშილს დასტურ არ გაუგდია გზაზე.

სწავლით ვარსკვლავებს წყვეტდა და თვი... უსკდებოდაო, რომ ვთქვათ, მცდარი იქნება. მეშვიდე კლასამდე ორჯერ იჯდა თითო კლასში და ამიტომაც იყო ჩვიდმეტისამ რომ გასრულა არასრული საშუალო სკოლა.

რაც შეეხება ზოგად განათლებას, გაიხარიათ, ნესტორს რომ ბედმა გაუღიმა ამ მხრივ, ბარე ორი ვერ დაიკვეხნის ისეთს. დაიკვეხნის კი არა...

შეწრიალდა ნესტორი საწოლზე, ისევ გისწორა ბალიში, ამოიოხრა კვლავაც და ზრსულს გადაავლო სევდიანი თვალი.

ფაქტობრივად ასე იყო, ის საქმე რომ 'ეემთხვა სოფლის დაწყებითი სკოლის მასწავლებელთან...

— წახვიდე უნდა ახლა, შვილო, შენ აქედან, გზა უნდა ეძიო შენი და მომავალი. — უთხრა მამამისმა. ნესტორს კარგად ახსოვდა ის ოდნავ ამღერებული, ალმოსავლეთით შეფქლული ცისკიდით დაწყებული დილა: ნაჭერში

გამოკრული ერთი წველა ყველი, ნახევარი კეცი მჭადი და ათასი ფუთი იმედი...

გადაჭრით არც ეს იცოდა, რომელი ქალაქისკენ დაიჭერდა გეზს. ამის გადაწყვეტა ყოველთვის შეიძლებოდა, ჯერ რკინიგზაზე უნდა გასულიყო.

მამაზეციერი, ყველა გზასდამდგარ ჭაბუკს თუ არა, ასიდან ერთს მაინც გადააბერტყავს თავის იმედისმიმცემ და მადლიან კალთას. ან ეს იყო, ანდა ნესტორის დედის ლოცვა-კურთხევა ისმინა ღვთისმშობელმა და ალალბედზე მიმავალ ბიჭსაც წამოეწია გაღიმებული ბედი. უფრო სწორედ ნესტორს სახლიდან სამასიოდე მეტრიც არ ჰქონდა გავლილი, რომ ეზეკიას დაეწია. ეზეკია მისი მეზობელიც იყო და ნათესავიც. ნაზამთრი ვაშლი მიჰქონდა გასაყიდად და დიახაც გაუხარდა ტვირთის ზიდვაში მშველელი რომ მოევლინა. უქო და უდიდა ეზიკიამ დიდი ქალაქი, ლანძღა და ათრია ლაფში ორი ახლომდებარე მომცრო ქალაქი. რკინიგზაზე ჩასულთ ჯერ კიდევ გადაწყვეტილი არ ჰქონდათ, რომელი ქალაქი გახდებოდა ნესტორის მომავლის აკვანი. მაგრამ სადგურში გაირკვა, რომ პირველი, კერძოდ დიდი ქალაქი ხელმიუწვდომელი იყო ჭაბუკისათვის, რადგან მას ბილეთის საფასურზე სამი აბაზი და ორი შაური აკლდა. ეზიკიამ ამაოდ მოიჩხრიკა ჯიეები. მოგეხსენებათ, ბაზარში მიდიოდა ფულის საშოვნელად და, აბა, რა გასაკვირი იყო, ახვრეტილი შაურიანიც რომ აღარ აღმოაჩნდა. ისევ ის გაუზიარა, რაც თავზესაყრელად ქონდა: იმედიანი სიტყვები უთხრა და ხუთი ლი ნაცარა ვაშლი დაუსართა.

ეზეკიას რომ დასცილდა, ე მაშინ იგრძნო პრველად თავი ყარიბად და მიუსაფარად. ალბა, არასოდეს დაავიწყდება ის წუთი. სხვა ვეაფერი რომ ვერ მოიხერხა, ჭადრის დიდ ხეს მიეყრდნო ზურგით სადგურის უკან და ცრემლჩამდგარი თვალი გაადევნა ტვირთის ქვეშ მიკუნტულ მეზობელს.

— მიდიხარ, ბიჭო, შენე? — გადმოსძახა საღეჲავჭერცლილი ავტობუსის მძღოლის გამურულმა თანაშემწემ.

— მოვდივარ, ბატონო, აბა. — გაეპასუხა და ვტობუსის მორყეულ საფეხურზე შედგა ფეხი

„ბტონი კი არა პირდაუბანელი იყო, ვირისთავი ეჰ".

გულიმა და გაუღიმა ნესტორმა წარსულს, უკვე გარდასულსა და დროის დინებით საკმაოდ მეტად გამოხუნებულ ყოფილს. სამი აბაზის და ორი შაურის უქონლობამ გადამადგმევის სწორი ნაბიჯიო, — გაიცინა.

ოჯახთან განშორების ერთი წლის თავზე ომიც დამთავრდა. დამთავრდა კი არა, იმხელა საერთო სიხარული, ხალხის იმდაგვარი გულგახსნილობა არც ახსოვს ნესტორს. მომდევნო წელს მისი ომგადახდილი [illegible] მოვიდა და იღბლიანად დაქ[illegible]

იმხანად ნესტორს ამ ამბისათვის არც მიუქცევია დიდი ყურადღება, ბიჭს მაგრად ეჭირა ხელში ცხოვრების მიერ შემოთავაზებული ტარმოკლე კოვზი და ცეცხლზე შემდგარი ქვაბის ძირიდან იღებდა იმ უმცირედს, რაც მისთვის იყო განკუთვნილი. იცოდა, ასე არ გაგრძელდებოდა უსასრულოდ, რადგან მისი სოფლელი მეზობლის, რაჟდენა ნაოფიცრალის წიგნთსაცავში მრავალი წიგნი ჰქონდა წაკითხული ბედის ტრიალისა და მოვლენათა უსასრულო მონაცვლეობაზე, პროგრესის კანონზომიერებაზე და ეშმაკმა იცის, კიდევ რაზე არა.

ზაფხულში სოფლად ჩამოვიდნენ ძმის სიმამრი და ორიოდე სხვა კაცი კიდევ. მოეწონათ ენამოსწრებული, ნაკითხი (რაჟდენას დამსახურება იყო) ჭაბუკი... მოჰკიდეს ხელი და.. წავიდა ნესტორის ცხოვრება მაღლა აშვერილი კიბის საფეხურებზე ხან გულხარბად მიიწევდა წინ კიბეგამოტოვებით, ხანაც უსხლტებოდა ფეხი, მაგრამ ჩამოვარდნით არამც და არამც არ ჩამოვარდნილა. საამისო ფანდები და ილეთები გაგიხარიათ აითვისა. იმთავითვე ჩასწვდა არსებობისათვის ბრძოლის აუცილებლობას და ამ ომის იმგვარ ხლართებში გაიხედა, თვით ბევრისმნახველი რაჟდენა ნაოფიცრალიც გაკვირვებას იყო. თუმცა რაჟდენა კი არა ისეთი კეთილისმყოფელები შემოირეკა მისმა მეხსიერებამ, ეჰ... რაჟდენს ვერ ივიწყებდა. რას ჰქვია რაჟდენს ივიწყებდა? ახსოვდა კი არა დღე არ ჰქონდა ისეთი, მეფის არმიის ყოფილი პოლკოვნიკი არ დაენახა ფიქრში, ასევე ხედავდა სოფელსაც, მოუსიანტებდა გულზე იქაურობის ხილვა და მეტი რა ჩარა იყო, შემოითარეშებდა იქაურობას, ხამუშ-ხამუშ ცხადშიაც აინავარდებდა ხოლმე. მართალია, კვირაობით იქ დასარჩენად არ ეცალა, მაგრამ ისე...

სამაგიეროდ, სოფლიდან აკითხავდნენ ხშირად, აკითხავდნენ და რა მონატრებით, მოწადინებით, დავალებებით. ზოგს ველარც ცნობდა, რცხვენოდა კიდეც, რავა მემართება ასეთი რამეო. ერთ-ერთმა ასეთმა ნათესავმა, მისი შემწეობით კაი ლაზათიანად რომ გაიწალდა გზა, არ დაუვიწყა ამაგი. შეუკეთა და შეულამაზა მამისეული ეზო-მიდამო და ამ ხუთი წლის წინათ, კიდევ და კიდევ რომ ვერ მოიცალა ნესტორმა სოფელში ჩამოსასვლელად, კარ-მიდამოს სურათი და ახალი სახლის გასაღები ქალაქში ჩაუტანა.

სიამოვნებით დახედა ნესტორმა სურათს, მეტადრე მაღლარის თალარში ჩამჯდარმა ოროთახიანმა ოდა-სახლმა აუჩქროლა გული. ოდიდან ხელმარჯვნივ, ოდნავ წინ გამოწეული, კაი მოზრდილი ქვითკირის ფართოკიბიანი ორსართულიანი შენობა იდგა.

— ეს ვისია, კაცო? — ნესტორს ქვითკი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რის სახლის თაღოვანი აივნისაკენ გაექცა მზერა.

— თქვენია, ბატონო ნესტორ. ის ძველიც იმიტომ არ დავშალე, ვიცოდი, გესიამოვნებოდათ იმისი ხილვა, ოღონდ შევაკეთე და...

— ჭეშმარიტად, ჭეშმარიტად. — ეს ბრძანა მაშინ ნესტორმა.

ახლა კი ორიოდე წუთიც და გამოჩნდება მამისეული ეზო-მიდამო, ამ ბოლო დროს სიზმრად რომ ჰქონდა გადაქცეული. ისე რარიგად გამოიცვალა, კაცო, აქაურობა?! მთებსაც კი შეუცვლიათ იერი. ეს ეზეკიას ეზო უნდა იყოს, ეს დიდი ქვა ისევ დევს ბათლომეს ჭიშკარს იქით. სიმართლე რომ ითქვას, ამითი მიხვდა ეზო რომ ბათლომესია, თორემ არც ღობე, არც ეზო, არც სახლი არ არის წ ნანდელი, ბექობიც გადაუთხრიათ ჭიშკრის ახლოს. თეოფილესას ის მაღალი მსხალი უდგათ ისევ სახლის წინ, ცოტა კი შელანძღვია ხეს კენწერო, ტოტებიც შემეჩხრებია... აგერ იქ იყო, ეზეკიას რომ წამოეწია მაშინ! აღარ ახსოვს, სად და როგორ შეჭამა ის ხუთი ცალი ნაცარა ვაშლი. ერთი თუ მეხსიერება არ ღალატობს შოფრის გამურულ თანაშემწეს მისცა მაშინ, სხვა?.. ან სხვა რა ახსოვს ადამიანს ადრე შეჭმული და სიკეთით მონაგები.

არა, ის სურათი რომ არა, ვერასგზით ვერ იცნობდა თავის სახლ-კარს. თუმცა რაღა თავისი, ღმერთო დიდებულო!..

— ნუ აღრიალებ, თუ კაცი ხარ, მაგ საყვირს. აქ გააჩერე, ამ ჭიშკართან, ე, მასე. აიღე ახლა ბარგი, აიტანე აივანზე და გაბრუნდი მერე უკან. — უხალისოდ გააწყო საქმე ნესტორმა. — იმათ დაურეკე (ოჯახის წევრებს გულისხმობდა), რომ ჩახვალ, კარგად ვიმგზავრეთ-თქო. — ეს რომ თქვა, მანქანიდან ჩამოვიდა, ჭიშკარი გამოაღო და თვალმოჭუტულმა გახედა იქაურობას, მერე დიდ სახლს გვერდი აუქცია და ძველი ოდისაკენ გაემართა.

ზამთრის ჩვეულებრივი საღამო იყო, თოვისათვის მომზადებული. სადღაც ძაღლები ყეფდნენ, სხვაფრივ მყუდროება იგრძნობოდა ირგვლივ.

ამ ორმოციოდე წლის წინათ, გაზაფხულის იმ დილასისხამზეც ასე იდგა სვეტს ჩაფრენილი მამამისი ამ აივანზე და ეზოში მიმავალ ნესტორს აყოლებდა მზერას. ის ბილიკი, ადრე რომ ხელმარცხნივ გასდევდა ეზოს, ახალი სახლის გამო, მარჯვნივ მოექანებოდა დაღმართზე, შავი საფენით დაფარული. ეწყინა კი, ბეტონს და ასფალტს შეუჭამიათ აქაურობა.

ნესტორი გაოცებული მისჩერებოდა ღობის სარზე ჩამოცმულ ცხენის თავისქალას, თითქოს იხსენებდა, ვინ და როდის ჩამოჰკიდა ქარ-წვიმისა და მზისაგან გამოთეთრებული ეს ძვალი აქ. ერთბაშად, მთელი თავისი ცხოვრების განმავლობაში პირველად მოაგონდა, როგორ აიდგა ფეხი. სინდისთან სამართლიანი რომ დარჩენილიყო, დედის მონაყოლ[illegible]რო იყო ეს, ვინემ მეხსიერ[illegible]ლის მოგონება. ნესტორს თავისით გავლა რომ უცდია, წაბორძიკებულა მაშინ. დედა იქვე მდგარა და ბავშვისკენ გაწეულა, მამას შეუჩერებია, გაუშვი, თავისით ადგესო.

— ოფოფთხე და ათრიე წელი, — უყვებოდა დედა, ნესტორი ათი-თხუთმეტი წლის ჯიუტი და თავნება ბიჭი რომ დადგა შემდეგ, — ხან მუხლჩოქილა წამოდექი, ხან ხელებზე დაყრდნობილი, ოფლიც გამოგივიდა, არც ტიროდი, არც საშველად მოგიხმია არავინ, აცეცებდი თვალებს, კრუსუნებდი და ცდილობდი, როგორმე წამომდგარიყავი. ასეთი ჯახირით რომ არაფერი გამოგივიდა, დაათხილი მიფორთხდი სვეტთან (სწორედ ამ სვეტს ჩასჭიდებოდა ახლა. ნესტორმა გაშლილი მარჯვენა ორგზის მოუტყაპუნა ჩაშავებულ ხეს), ჩაავლე ხელები და წამოდექი კიდეც. მამაშენმა მაშინ თქვა, ეგ ისეთი კაცი დადგება, ჩვენს გვარში კი არა, თემშიც ბადალი არ ეყოლებაო.

მოგონებამ გაახალისა ნესტორი. ისიც კი გაახსენდა, ამ ამბავს რომ ყვებოდა დედა, მამა კმაყოფილებით უსმენდა და ბიჭს ათვალიერებდა წარბქვეშიდან. შინაურთაგან სხვებიც ხშირად იხსენებდნენ ამ ამბავს, უდრეკი და შეუპოვარი იყო ბავშვობიდანვე და აკი გაიმარჯვათ კიდეც, სამართლიანს ხდიდნენ მის წარმატებას...

— ისე რარიგად შემოვედი სოფელში, არავის რომ არ შევუნიშნივარო, — უცებ გაიკვირვა. მერე ისევ ის გაიხსენა ამ ოთხ ათეულზე მეტი წლის წინათ აქედან წასვლისასაც რომ არავის შეუნიშნავს. ორღობეში გასული ეზეკიას დაემგზავრა. ჰო, ასე იყო. მერე...

მერე თითქოს არაფერი მომხდარა, მთელი მისი ცხოვრება იმ წასვლისა და ამ დაბრუნების მეტს არაფერს შეიცავს თითქოს.

წამოწოლილია ახლა ნესტორი, არც შია, არც სწყურია, არც ხვატი აწუხებს და არც სცივა. „სამარეში თუა კაცი ასე ყველაფრისაგან მოსხლეტილი?“

ბევრი რამ განვლილს წარმოადგენს უკვე ნესტორისათვის. მგზავრობის შემდეგ ასე თუ ისე დაისვენა, დანაყრებულიც გვარიანად არის, არც იმის შიში აწუხებს, თითქოს არავის გაეგოს მისი სოფელში ჩამოსვლა და მარტოსულად იყოს გარიყული. მისი სახლიდან რაღაც ოციოდე ნაბიჯზე ვასიკოს ჯალაბობა ეგულება. ამ მანძილს კიდევ უფრო აახლოვებს თოვლის საფარი. გადაძახილიც უკეთ ისმის. საქმე საქმეზე რომ მიდგეს, ადგება ახლა, ადგება და გადავა ვასიკოსთან, ისე უბრალოდ, როგორც დილით გადავიდა. თუმცა...

„იყო ძიება, ლტოლვა, სწრაფვა, აღზევება, ხარკი სულიერის ხარჯზე. განა მართლა უღალატა ვინმეს? არავითარ შემთხვევაში, უბრა-

ეროვნული

ლოდ პირველობა სწყუროდა საქმეში, იქითკენ მიისწრაფოდა, გზაზე კი ეშმაკმა იცის რა არ ხდება, წინასწარგანუსაზღვრელად, უნებლიედ, შემთხვევით...“

„პირველად სინდისს რომ ვუღალატე მთელი ორი ღამე არ მეძინა. ცამეტის ვიყავი მაშინ. მერე ის მასწავლებელი, რა ერქვა, კაცო, ა?“

„მიყვარდა, მეგონა, მაშინ ის ქალი“.

რაღა ფასი აქვს ასეთ აღსარებას, ნესტორ. კი იცი ახლა შენ, გულწრფელი რომ არ ხარ. იმ უნამუსო ძალადობამ და უპასუხო შეწყვილებამ იყო საერთოდ რომ დაგაკარგვინა ქალის და საერთოდ ადამიანის პატივისცემა...

„მერე წინ მიმავალი თანამოძმისთვის სარმის დადება ისწავლე. უმასწავლებლოდ შეძელი ეს. ძალიანაც რომ ეცადო, რაჟდენა ნაოფიცრალს ვერ შეაწმენდ ბინძურ ხელებს. ერთხელ გაბზარულ სინდისში იმხელა ხვრელი გაგიჩნდა, შემდეგ თავით ფეხებიანად ძვრებოდი შიგ, ისე რომ პიწკს არ გაიკარებდი ძრომისას სხვათა შესამჩნევს და დასანახს“.

ხომ გავარკვიეთ, რა რამდენს ფასობს და ვინ ვინ არის. იქნებ დაძინება სჯობდეს ყველაფერს. „სიკვდილიო“, — ერთ ლანდზე იფიქრა და შიშმა ჰკიტა თვალები.

წამოდგა, ჩემოდანი მოიძია და დასაძინებელი აბები მოჩხრიკა. წამოსვლის წინ კაი ბლომად ჩაუდო ცოლმა. მაგრამ აბების და მეუღლის გახსენებამ ისევ საფიქრალად დააყენა გრძელსა და ძნელად სავალ გზაზე.

— არ გძინავს, ბიძია ნესტორ?

— შემოდი, კაცო, რა დროს ძილია? — კი არ დაიძახა, შეჰყვირა ნესტორმა.

მთლად დათოვლილი ვასიკო ფეხებს იბერტყავდა ზღურბლთან, ქუდით თოვლს იწმენდდა მხრებიდან.

— მეტრს ასცილდა უკვე, რაა ნეტა, წარღვნა ხომ არ იწყება, ასე უსაშველოდ რომ მოსკდა?

— ზამთარში თოვა რავა გიკვირს, ვასიკო?

— ნამეტანია, ბიძია ნესტორ. ორმოცს ქე ვასრულებ აგერ და ჯერ არაფერს მოვსწრებივარ ასეთს.

— იცის ჩვენში ასე, ოც-ოცდაათ წელიწადში ერთხელ. ბუნებრივი ამბავია. — ავტორიტეტული, ბეჭედდასმული და დაჯერების მოთხოვნით იყო ნათქვამი.

— ბიჭები ჩამოვიდნენ, სახლებს ვთოვლავთ, თქვენი ძველი სახლიც გადმოვთოვლეთ.

— ამას არ დასჭირდება, ჩხოტიო სახურავი აქვს. — აშკარად ესიამოვნა დამაჯერებელი ნათქვამი, ეს „ჩხოტიო“ საიდან გამომიტყვრა მაინცო, გაუხარდა.

— წავალ, აბა, სალამოს გადმობრძანდით, თუ არ შეწუხდებით.

— კაცო, აქ დამიძახე ბიჭებს. თქვენი გამასპინძლება კი შემიძლია. [illegible]ზე გიჭირავს თვალი.

— საშური საქმეა, ნესტორ ბიძია, ამაღამ რომ განუწყვეტლივ ითოვებს, ცხადია მაგი და დაგვენგრევა სახლები.

— პირუტყვი რავა გყავთ, თუ იცი, ჰალაში? — თავადაც გაუკვირდა შეკითხვა.

— მიხედავენ ალბათ, ვინაა ახლა ამბის მომტანი, შეწყდა მიმოსვლა, ტრაქტორითაც ვერ გავიდნენ წელან გზაზე.

— ვიღონოთ უნდა რაღაც. — უცბად შეაფასა მდგომარეობა.

— აჰ, ნუ შეწუხდებით, მივხედავთ თვითონ! — უცერემონიოდ თქვა ვასიკომ, — დაისვენეთ საღამომდე, ვახშმად კი აუცილებლად გადმობრძანდით, ბიძია ნესტორ, თუ არ შეწუხდებით.

— იყოს შენებურად. — გარეთ გამოჰყვა ნესტორი.

მართლაც რომ შეუსვენებლად ბარდნიდა.

— ვასიკო! — სიტყვა დაადევნა კიბეზე ჩამავალს.

— გისმენთ, — უცებ შეცბა ვასიკო, ის ადრინდელი არ განმეორდესო.

— რაჟდენა ნაოფიცრალის სახლი უპატრონოდაა ხომ?

— ეჰ, — გადუგორდა ვასოს გულიდან ლოდი. — რაჟდენა უშვილძიროდ გადაგებულის კი არა, ექვსშვილიანი ოჯახებია უპატრონოდ მიტოვებული ჩვენში.

— მიმიხედეთ, თუ ჩემი ხათრი გაქვთ იმ სახლს. — ვედრებით თქვა ნესტორმა.

„ვერაფერი გამიგია დღეს ამ კაცის, ვერაფერი“, — თავი გაიქნია ვასიკომ და აღუთქვა, ისე იქნება, როგორც ბრძანეთო.

ნესტორი კმაყოფილი შებრუნდა შინ, ბუხარს შეშა შეუმატა და სავარძელში ჩაეშვა. ის კი სწყინდა, ვასიკომ საქმეს რომ აარიდა, მაგრამ ამისთანას შეეგუა? კარგა ხანი იჯდა ნეტარებით გატრუებული, დაეხსნა თითქოს ფიქრი, ნელ-ნელა, გადაეშვა ძილქუში თბილ დინებაში.

ხო ისე აღგზნებული და აფორიაქებული იყო, მაგრამ ჯანსაღად იძინა, არც ზმანება, არც ჩვენება და სასულეთში ბორიალი, თანაბრად ფშვინავდა და დრო და დრო, თუკი ვინმე დაუკვირდებოდა, ღიმილიც კი დასთამაშებდა ნაპატივებ, სათუთად მოვლილ სახეზე. სამი აბი წამალი ვითომ მალულად რომ გადასანსლა, ჩინებულად აკეთებდა გასაკეთებელს.

— მასპინძელო!

— მობრძანდით! — უცბად გამოერკვა, ცქვიტად წამოდგა და სტუმარს მიეგება.

— უჰ, კარები აღარ იღება, მოიცა გადავთოლავ აივანს. — მოისმა გარედან. ვასიკო იყო, ნიჩაბით გადახვეტა კარზე მიყრილი თოვლი.

— აი ზამთარი — სივრცეს გახედა ნესტორმა.

— მეტრნახევარზე ავიდა უკვე.

— კარგი, კაცო?!

— მეტიც იქნება ახლა, ერთი საათის წინ გავზომეთ ანდრიას ეზოში.

— იქცევა ქვეყანა?

— რა დააქცევს, ქვეყანა ხალხია, იმფერი თოვლი რავა მოვა, ხალხი დაიხოცოს. ხე თუ მოთხარა და სახლი წააქცია, კაცის სული დარჩეს და ყველაფერს ეშველება.

— გიშველოს ღმერთმა.

„რაღაც უნდა მოვუხერხო თავს, აგი ღმერთი რაღას ამიჩემებია?!"

— ე, გამობრძანდით ახლა გარეთ, — კარი გამოაღო ვასიკომ. — ჰო, ასე შილიფად ნუ გამოხვალ, ნესტორ ბიძია, მართალია, ძაან არც ცივა, მაგრამ...

— კი, კაცო, აგერ.. — ქურქი ჩამოხსნა საკიდიდან, ისე ბიჭურად მოიგდო მხარზე, დარდიმანდულად, ბეწვის ქუდიც დაიხურა. — იცი შენ, რა დიდი საკითხი გადავწყვიტე?

— რავა იქნება თქვენგან გადაუწყვეტელი საკითხი, ბიძია ნესტორ? — ათას საწურში რომ გაატარო, ქვანქ სიყალბეს ვერ წააწყდები ვასოს ნათქვამში, — რა იყო მაინც?

— სიგარეტი არ მომიწევია, ბიჭო, რაც ჩვენს მიწაზე დავდგი ფეხი. მახრჩობდა კი.

ვასიკო ხის ნიჩბით ხვეტავდა აივნიდან თოვლს. ნიჩბის ხმაურში ვერ გაიგონა ალბათ ნესტორის ნათქვამი, აღუნიშვნელი დატოვა. არც ნესტორს მიუქცევია ამისთვის ყურადღება, იგი უზომოდ გაეხარებინა აბუქებული თოვლის, ტოტებდახრილი ხეების და თეთრსაბურველგადაფარებული მიდამოს ხილვას. პირველყოფილი თავდავიწყება თუ რაღაც ამდაგვარი დაეუფლა წამიერ.

— თქვენს სახლში კი ბრძანდებით, მაგრამ სტუმარი ხართ მაინც, მარტო ჩემი კი არა — ყველასი. შემჭამეს წელან ბიჭებმა, ჩხუბი კინაღამ მოუვიდათ. არა მე გადავიპატიჟებ და არა მეო. — ლაპარაკობდა ვასიკო. ეტყობოდა, სახურავის გადმომთოვლავებს უხვად უმასპინძლდებოდნენ მეზობლები.

— კარგი, კაცო?!

„არ უნდა გამკვირვებოდა, მერე რა, რომ სასურველი ვარ. ასე არ უნდა იყოს თუ?

— კი, დიდის სულს გეფიცები, მაგრამ ვის დავუთმობ, ნესტორ ბიძია, თქვენს თავს, სისხლი და ხორცი ჩვენ ვართ ამ სოფელში ერთმანეთის.

— ეჰ, ვასიკო ჩემო, რაში გარგია მერე ჩემი ნათესაობა? — ჰმუნვით თქვა ნესტორმა.

— სარგებელით მზომელი კაცი შორს ვერ წავა, მოგეხსენებათ. თქვენ რომ ჩემი ხართ, ესაა ყველაზე დიდი სარგებელი. დეპუტატობა დაგიტოვეს?

ეროვნული ბიბლიოთეკა

„რა უეცარი და ელდისმომგვრელი იყო ეს შეკითხვა. რას არ აბედიებს სასმელი კაცს. ამის შემკითხავი იყო ვასიკო ვითომ, დაულევლად?! უნდა მოსპოს კაცმა ალკოჰოლის სახსენებელი, ამოშანთოს უნდა. თოფი გამოეტანა მაგ შეჩვენებულს ახლა და ეღლიზა ამ უმსგავსი ფიქრებით ნაწამებ თავში, არ ჯობდა?"

— თუმცა რაღა შესაკითხი მაგია, დაგიტოვებდნენ, აბა, რას იქმდნენ?

— მაგი კი არა, ერთი კაი სამყოფი ადგილიც ქე შემაძლიეს, ვასიკო ჩემო, მაგრამ... დავისვენებ ცოტას ჯერ, აგერ მამა-პაპურად მოვითქვამ სულს, ხალხში გავივლი და...

— სწორია, აბა 'რავა, მართლა და მართლა ხარი ხომ არ არის ადამიანი, დეისვენოთ უნდა პატარა. ამ თოვლის აღების თუ მოვესწარით, რა ჯობს აქ ყოფნას, სამოთხეა პირდაპირ.

— ჰოდა ასე მაქვს გადაწყვეტილი.

— კეთილი, ბატონო. — ეს საქმის გასრულების ნიშნად უფრო იყო ნათქვამი, ვინემ ნესტორის პასუხად. — ერთ თხუთმეტ-ოც წუთში გეახლებით.

— რად მინდა, კაცო, ხლება, ვერ მოვაგნებ თუ? — იტკიცა ნესტორმა. ის შინაური კაცი იყო უკვე, შინაური და ახლობელი, მოყვასი მოყვასისა, გამკითხავი, გამგები. — გავიპარსავ აგერ, ჰოდა, რაკი შენ გინდა, იმ დეპუტატის ნიშანსაც ქე დავიბნევ და ვარსკვლავსაც დავიკიდებ.

— აბა, რავა, ნესტორ ბიძია, ვარსკვლავი ვარდენეს ციცასაც ქე უბნევია, მარა იმ ვარსკვლავსა და შენს ვარსკვლავს შორის რამხელა განსხვავებაა, მაგი არ ვიცი გგონია? გელოდებით, აბა.

მადლობა გადაუხადა ნესტორმა, ტანსაცმლის კარადას მიაპყრო თვალი. კარგად უნდა ჩაიცვას, ვასიკოს რომ მოეწონება და მეზობლებსაც ისე.

პირველი ბიძგის შეგრძნებისას ნესტორი სარკესთან იდგა, არა სულის სარკესთან, რომელიც იმ ერთი დღე-ღამის განმავლობაში თითქმის ნამსხვრევებად აქცია, არამედ ჩვეულებრივ სარკესთან, რომელიც თანამედროვე ავეჯით გაწყობილ საძილე ოთახში იდგა, კაკლის ხის ჩარჩოში, აქეთ-იქიდან ამოჩუქურთმებული წყვილი ანგელოზით. ბიძგი უმნიშვნელო იყო, სუსტი და ნესტორს არც მიუქცევია ყურადღება. უბრალო წაბორძიკებად ჩათვალა.

სწრაფად დატრიალდა, თავისი სხეულისა და მიმოხრის კაცისათვის შეუფერებლად ცმუკავდა. ფაციფუცი და ვითომ განგაში ერთ-ერთი შენაძენი იყო ნესტორისათვის.

გაპარსული, გამოწყობილი ერთხელ კიდევ მიეზომა სარკეს.

ისევ მოიგუნება სავარძელში ჩაჯდომა, მაგრამ სძლია ცდუნებას, ახლა საზოგადოება სჭირდებოდა მის ალტყინებას, აუდიტორია სწყუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

როდა, მსმენელი და ტაშის დამკვრელი მონატრებოდა. იქ, ვასიკოსთან თქმა არ უნდა, მოიკლავდა წყურვილს. თვალი სარკისკენ გაექცა ისევ და შენიშნა: სხვა შარვალი ეცვა, არა კოსტიუმისა და „ეს ჰალსტუხიც კიდევ“... — უცბად შეიხსნა, ვარდისფერი მონახა და გამოიცვალა, ახლა შარვალიც გაიხადა, დაწუნებული, კარადა გამოაღო და... მეორე ბიძგმაც უწია. ბიძგი კი არა, ეს იყო ცით მოვარდნილი რისხვა. ჯერ გატყდა რაღაც დიდი (ალბათ, დედო კავი), მერე ორ-სამჯერ უფრო მომცრო დაიმსხვრა რაღაც და ჩამოწვა კედელ-თავანი. ჩამოწვა და ჩამობნელდა ერთბაშად.

— რავა მთლად ფუყე და ფუღურო აუშენებია ეს ხუხულა შობელძაღლს! — ესღა თქვა ბატონმა ნესტორმა, რომ თავში (უფრო სწორედ მხარზე) დაეცა რაღაც უსაშველოდ მძიმე და აუტანელმა ტკივილმა გონება წაართვა.

ალსასრული, ისიც ასე ტრაგიკული, სულის შემძვრელია და დაწვრილებითი გადმოცემით არ შევაწუხებთ მკითხველს.

როგორც დაკვირვებული თვალით მაცქერალი მეზობლები ასკვნიდნენ, სიკვდილის წინ ბევრი არ უწვალია ნესტორს. იგი სარკის ნამსხვრევებში იწვა, ღიად დარჩენილი თვალები ზესკნელისთვის მიებჯინა.

მიახლოებით ორ საათს იჯახირა ხალხმა, სანამ ნესტორის ძვირფას ნეშტს გამოსტაცებდნენ ნანგრევებს. ვასიკო თავს იკლავდა, მინდოდა, გადამეთოვლა მაგისი სახლი, მაგრამ არ დამიჯერა, რაცდენა ნაოფიცრალის სახლს მიმიხედეთ, ათმაგად მადლიერი დაგრჩებითო.

— ასე არ იყო მთელი მისი ცხოვრება, სხვათა და სხვათა ზრუნვას გადაეგო ცხონებული. — კარგად ვერც კი გაიგეს, ვინ თქვა ეს იმ საერთო არეულობაში.

მსგავსი და უკეთესი სიტყვები მერეც ბევრი ითქვა ნესტორის მიმართ, როცა მისი ცხედარი მამისეულ სახლში დაასვენეს და ღამეს უთევდნენ დიდთოვლობითა და უამინდობით შეჭირვებული მეზობლები.

დღე და ღამე ძნელი გასარჩევი გამხდარიყო. ცვიოდა და ცვიოდა ციდან ფთილა-ფთილა ფანტელები. ექვს დღე ღამეს ითოვა შეუწყვეტლივ. უზომო თოვლმა სოფელს ყოველგვარი კავშირი გაუწყვიტა გარე სამყაროსთან. ერთადერთი, მოწინავე მწველავის — დარიკო სეფერთელაძისათვის აქტივის კრებაზე ნაჩუქარი რადიომიმღები აღმოჩნდა სადი ელემენტებით და იმით იგებდნენ დღე და ღამის მონაცვლეობისა და საერთოდ ქვეყნის ამბავს. მეშვიდე დღეს სხვა ახალ ცნობებთან ერთად სწორედ იმ საეჭვოდ მოჩხრიალე რადიომიმღებმა ვასიკოს სახლის ქვედა სართულში შეკრებილ მეზობლებს ამცნო ნესტორ ახალაძის თანამდებობიდან განთავისუფლების და დამსახურებულ პენსიაზე გასვლის ამბავი.

— რეიზა გოუშვეს ნეტა ჯერ პენსიაზე?

— ასაკი თავისას შობა, ბიძია, მოუწია დრო.

— არ იყო მაგი საპენსიო.

— დაკლებული ჰქონდა ხნეი, თვარა...

— კიდევ კარგი, რომ ვერ მოესწრო უბედური.

„რომ შემძლებოდა და რამეფრად ხმა მიმეწვდინა მთავრობისათვის, იქნებ აღარც „გაეშვათ“ პენსიაში“. — მწარე საფიქრალს შებმოდა ვასიკო. „ან რა ჯანაბაა, ამ საწყალობლისთვის რომ მოიცალა ცამ და მიწამ, რავა დეიქცა ქვეყანა“.

დაქცევით არა და ზარალი მართლა დიდი იყო სოფელში, თოვლის სიმაღლემ სამ მეტრს აცილა ეზოებში, რამაც უამრავი თავსატეხი გაუჩინა თეთრ ალყაში მოქცეულ ხალხს.

გაჭიანურდა თვით მიცვალებულის გაპატიოსნებაც, ყოველგვარ წესსა და რიგს გადასცდა დაკრძალვის ვადები.

მეცხრე დღის თავზე მირიანმა იმარჯვა ისევ (უფროსი იყო, უხუცესი), თოვლში დავმარხოთ ჯერჯერობით, — განაცხადა.

იტკიცა ვასიკომ, რავა, თოვლში დავამარხოთ ბიძაჩემი? მართალია, დამსახურებულ პენსიაზე კი გაუშვეს, მაგრამ თოვლში შესაჩურთავად რავა გავიმეტებო.

— დროებითო, ბატონო! — თქვეს სხვებმა (უმრავლესობამ) და იქმნა ისე, როგორც ითქვა. ნესტორის ეზოს ჭიშკართან (სადღა ჩანდა ჭიშკარი!), ოდნავ მარცხნივ, გვირაბი გათხარეს თოვლქვეშ, გათხარეს და მოტკეპნეს თოვლი. მერე ცოცხის წვერით წყალი ასხურეს გვერდებსა და კამარაზე გვირაბის თაღოვან ჭერს. ყინავდა უკვე და წყალნაპკურები თოვლი გაქვავდა. ჰოდა, ალბათ ნაშუადღევს (სოფელში, როგორც აღვნიშნეთ დროის შეგრძნება დაკარგული ჰქონდათ), სახელდახელო ფიცრულ ჭურჭელში ჩასვენებული საპატიო ცხედარი შეასვენეს თოვლის აკლდამაში, თოვლით ამოქოლეს შესასვლელი, გამობრუნდნენ შემდეგ უკან და შევიდნენ ვასიკოს სახლის ქვედა სართულის დარბაზში, სადაც გრძელი სუფრა იყო გაშლილი.

ჭირის სუფრის თავკაცობა მირიანს მიანდვეს, რომელმაც შემდეგი სიტყვებით გახსნა სამგლოვიარო ცერემონიალი:

— არ იყო განსვენებული ცუდი კაცი, ბევრს გაუმართა ხელი, ბევრი კაი აკეთა და ნაადრევად კი, მაგრამ დაადგა სამუდამო გზას. შეუნდოს, გაანათლოს!

დანარჩენებმა უხმოდ დალიეს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გრიგოლ ჯულუხიძე

## ხომ შეიძლება...

დორო ჩემს სურათსაც
შემოინახავს,
ოდნავ დაღლილს და
ოდნავ დაღვრემილს.
არც სხვაზე მეტი
თავული მინახავს,
არც სხვაზე ცოტა
მისვამს ნაღველი.
სიტყვა ვერ ვუთხარ
ჩემს ტოლს ბინდიანს
თვალდასიდგმელი და შესაშური,
მხოლოდ ორადორ

ლექსად მინდია
ჩემი ვაჟი და
ჩემი ასული.

რომ არ ავსებდეს
ქართველს ქართველი,
სიკვდილი
უფრო შემაშინებდა...
რაც მე ვერ ვუთხარ
მამულს სათქმელი,
ხომ შეიძლება
უთხრან შვილებმა!

## ნაბიჯი როგორ ავუწყო ზამთარს?

მარტო ვარ ახლა
ფიქრთან და თავთან
და კარზე
ქარის
კაკუნი მესმის...
ნაბიჯი როგორ ავუწყო ზამთარს,
ყინულში
როგორ გავიდგა ფესვი?

შეჩვევა უნდა
მეტადრე ახლა,
ამ სიმარტოვეს
და ზამთრის სისინს...
სექტემბრის ჭრელი სიმწვანეც ახმა,
ფანტელთა
თეთრი შრიალი ისმის.

ასე ყოფილა ცხოვრება დღემდე.
სხვებივით
როგორ დავმშვიდდე ბედით?
რა ვქნა,
სიკვდილშიც სიცოცხლეს ვეძებ,
ვიპოვი,
თუ კი ინებებს ღმერთი.

ამ ახირებით
დიდ ღამეს ვზვერავ,
მაქეზებს
ჩემი ლექსი და სიტყვა...
თითო დღით
თქვენში მაცოცხლეთ ყველამ,
ვისაც სიცოცხლე ჩემსავით გიყვართ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საწუთრო ფურცლავს ცხოვრების
დავთარს
და კარზე
ქარის
კაკუნი მესმის...
ნაბიჯი
როგორ ავუწყო ზამთარს,
ყინულში
როგორ გავიდგა ფესვი?

## ნასოფლარები

ამ მწვერვალს
თურმე,
ენთო ტაძარი,
ამ ხრიოკს
თურმე
ერქვა მუხნარი...
ნატაძრალებო,
ნამუხნარებო,
რა გულსაკლავად დგახართ მწუხარნი.
ამ დაბას
თურმე
ერქვა ქართული,
ამ მიწას
თურმე
ერქვა მამული...
როგორ გადიქცა
შაქრად მარილი,
თაფლივით ტკბილი და საამური?

იქნებ იკმარო
დრომა,
იქნება.
მომავალს შენსას არ დაუფარო
ასე ულმობლად
როგორ დაგამხო
იმმა უცეცხლომ
და უყუმბარომ?

როგორ გამუნჯებს
ეგ გულმშვიდობა,
როგორ გაყრუებს
უცხო ყაყანი,
იქნებ უსმინო,
რას გაჰკივიან
ძვლები მიწიდან ამონაყარნი.

ამ კუთხეს
თურმე
ერქვა სახელი,
იდგა სახლი და
ჰქონდა ჭიშკარი,
ასე უსახლოდ
და უჭიშკროდ,
ჩემო ჯილაგო, სით იჩქარი?

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## ირმა მებურიშვილი

* * *

მიდის სითეთრე და ბაღები რძისფრად ყვავიან,
ცამყარის შერწყმა საოცარი სანახავია,
ხეთა რტოების უნაზესი, მკრთალი ხლართები,
ზეცისკენ თოვლის ბილიკებით გავემართები,
თოვლს სულ ცოტა ხნით დააჩნდება ნატერფალები,
მერე გაქრება... ვით, გაქრება ჩემი წვალება.

## თოვლი თბილისში

ნაზამთრალ მზისგან თვალშენავლები
შავად ათრთოლდნენ თოვლზე ალვები,
სულ მენატრება, მაინც გვიან თოვს,
მერე უთბილეს ნათლად კიანთობს,

სული მჩატდება და სპეტაკდება,
თოვლის შრიალი მესმის ტაქტებად,
ცა მოიღრუბლა, რა უნიათოდ,
თოვლი კი ისევ, ისევ კიანთობს.

* * *

ხილვის ნათლიერ სისპეტაკეში
ისევ შენ გზედავ მე უნებურად,
ჩემი სიზმრები შენზე დაგეშილ
მწევრებსა ჰგვანან, შენ კი მეფურად
ძლიერი ხარ და კიდევ: კეთილი,
(საოცარია სიზმრის წამი ხომ?)

როგორც ღრუბელი გადაფლეთილი
ისევ გაბაცდი, მე კი წამილო
სიცხადის სევდამ და სიაშარე
უფრო მაშინებს მე წუთისოფლის,
და გზა შენამდე ისევ შორია,
მაგრამ მე ჩემი სიზმრებიც მყოფნის.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ალუდა არაბული

## ტოლხას ციკლიდან

• • •

ტოლხამ თქვა — წვრილად გავსინჯე
ამ სოფლის ავანჩავანი,
მიწამყარს პირი ვუნახე,
ზეცას ვუნახე თავანი.
ვთიბე და ვთიბე სათიბი
ყანა ვმკევ ნათავთავარი.
როცა მეგონა გავიგე
გასაგებელი მთავარი,
მაშინ შევხედე, გავშტერდი,
გამებნა ფიქრის სრავალი —
თურმე ძლივს გამომეარა
მცირეოდენი სავალი,
ჯერ კიდევ გაუგებელი
დარჩენილიყო მრავალი.
ცხრაკეცი თურმე ყოფილა
კაცთა თავგადასავალი,
მათი ბუნება უღრანი,
ბნელი, უვალი წყვდიადი,
უნაპირო და უძირო,
მზვაობარი და ზვიადი,
გაუტანელი, თავმოთნე
და ქვემძრომელი ფრიადი.
ესეა თურმე სოფელი
ორპირი, ორსახოვანი,
ცალკე თხანი და ცხვარანი,
და ცალკე მგლების ხროვანი...
ყანა ვმკევ, ვთიბე სათიბი,
სიტყვა ვთქვი ნათავთავარი:
ჯერ სიკვდილია, სიცოცხლე
სიკვდილის მერე მთავარი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

* * *

ტოლხამ თქვა ერთხელ.
და ნათქვამი
ეს გახლავთ მისი:
შეხედავ დიაცს.
წარმტაცი ჩანს შენსაზე სხვისი.
გახედავ ყანას.
უკეთესი
სხვისაა უფრო.
ზეცაც სხვის თავზე
ნათელია.
შენს თავზე — ქუფრი.
სხვას ყველა ძმად ჰყავს.
შენ კი თითქოს სუყველა გმტერობს.
შენს გარდა ყველა.
გეჩვენება
ლაჩარსა ჰფერობს.
უნებებია
კაცთა მოდგმის
შემოქმედს ასე —
გეგონოს სხვისი
თავთუხები შენსაზე სავსე.
არც ეშველება
ქვეყანაზე ამ ამბავს რამე,
სანამ არსებობს
გული ხარბი და მოარამე.
და სანამ ტვინი
ჯოჯოხეთის
საქვაბეს მოჰგავს.
ამოსაფრქვევი
სანამ ტვინში ლავები ბორგავს.
ბევრჯერ მოტეხილს
კაცი კვლავაც
მოიტეხს კისერს...
მაგრამ რაც ხდება,
ყველაფერი მოხდება ისევ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნანული ბოცვაძე

# და იქმნა ერი

რომანი

წიგნი პირველი

კარი მეორე

## გარიგება

მცირე ამალით ეახლა ეგრისის მრისხანე ქალბატონი აზონს. სწორივით მიეგება იბერიის დამპყრობელი მისკენ წამოსულ ქალს, წამოდგა, თავი დაუკრა და თაყვანისცემა არ დაანება.

— საბერძნეთში გაზრდილი ვარ და არ მავიწყდება, თუ როგორ უნდა შევხვდე ღირსებით თანატოლს! — უთხრა და ტახტისკენ წამოუძღვა.

შეიფერა ეგრისის ქალბატონმა მიღება და ღირსეულად ჩაბრძანდა სავარძელში. ჯანმრთელობა მოიკითხა მეფის და მისი სახლობის, თვითონაც მადლობა მოახსენა მასზე და მის ქალიშვილზე ზრუნვისათვის, საჩუქრებისთვის, რომელიც ამ ორი კვირის წინ გაუგზავნა აზონმა. შესჩივლა, რაც ქუჯი გარდაიცვალა, მუშა-ხელიც შემცირდა, მონები გამექცნენ და შემოსავალმა იკლოო, მაინც მოგართვი ძღვენი, მცხეთაში გავგზავნე პურისა და თაფლის საპალნეები, ხოლო ცხენებიდა ხარები აქ გაახელიო... შემოდგომაზე ჩემს მამულში დაწურულ ღვინოსაც გიწილადებო. ოღონდ ესაა, შენი საქალებოსთვის გამოსადეგი ქალიშვილები ვერ გაახლე, აღარ არიან ეგრისში ლამაზი გოგოებიო...

მადლობა უთხრა აზონმა და საყვედურიც ჰკადრა:

— ადრე გადაკარგე ქუჯი. ჩემთვის რომ მისი გამგზავრების ნება არ გეთხოვა, ან მე უფრო ნაკლებად გაფასებდე, ვიდრე გაფასებ და შენი თხოვნა არ შემესმინა, იბერიაში იქნებოდა ახლა შენი შვილი და...

— არა, სასიკვდილოდ არ მემეტება მაინც!.. — გაასავსავა ხელი ეგრისის ქალბატონმა.

— მოსისხლეს სახელი დამიგდეს იბერებმა. ცუდი განზრახვა არ მამოძრავებდა ამ ხალხის მიმართ არასოდეს, მაინც ვერ მოვიგე მათი გული. ჩემს კარზე უნდა გამოგეშვა თავიდანვე ქუჯი. გავწვრთნიდი და მეგობრად გადავიქცევდი. ჩემს შემდეგ იბერებს კიდეც ეყოლებოდათ ქართლოსიანი კაცი, მეფედ. გვარის სიძველით და სიმდიდრით ეგრისი ტოლს არ უდებდა მცხეთას არასდროს. ასე არ არის?

— მამამისმა, ჩემმა გარდაცვლილმა მეუღლემ, ინება ფაზისში გაზრდილიყო ქუჯი. იბერიელი სწავლული მიუჩინა მასწავლებლად და გადამიკარგა შვიდი წელი. როცა დაბრუნდა, შენი ღვთაებრივი ტახტი მცხეთაში იდგა უკვე, ხოლო მამამისი სამარეზე დარ-

---

გაგრძელება. იხ. „მნათობი", № 6.

დისგან ჩამომდნარიყო. ჩემი სიტყვა არც ერთმა არ შეისმინა. სიკვდილის წინ თვალიც არ დაახუჭინა ეგრისის მთავარმა, რადგან მოღალატედ მთვლიდა და ქუჯისთან დალია სული. ...მერეც ვერ გადმოვიყვანე ჩემს ქვეყანაში ბიჭი. ამიხირდა, მონები უნდა დავითხოვო, მოსამსახურეთა და საქურუმოთა შემოსავალიც გვეყოფა, რადგან სანამ ქვეყანას აზონისგან არ დავიხსნი, არც ცოლს შევირთავ და არც დას გავათხოვებო... კიდეც აგიმხედრდა ამ შვიდი წლის წინ და შენი მოწყალე გული რომ არა, არც იქნებოდა ახლა ცოცხალი...

— მკაცრად უნდა დამესაჯა, მარჯვენა უნდა მომეკვეთა ან თვალი დამეშთო, — მართლაც დანანებით წარმოსთქვა აზონმა.

— მაშინ ვიფიქრე, დრო გავა და მიხვდება ჩემი შვილი, რომ იბერიაში აზონის მეფობა ღვთის განაჩენია და მასთან ურჩობა კი არა, მეგობრობაა საჭირო, მაგრამ მოვტყუვდი... ამ ხუთი თვის წინ შემომითვალა ათენიდან, — გავიგე, აზონისთვის ჩემი დის მითხოვება განგიზრახავს, თუ მაგას მოიმოქმედებ, აზონთან ერთად მოგიწევს ეგრისისა და იბერიის დატოვებაო.

აზონი შეირხა.

— ღალატს და ორპირობას მწამებს. განა მასზე ნაკლებად მაწუხებს სამთავროს ბედი? ლამის სიცოცხლის ფასად დამიჯდა ეგრისის სიმტკიცის შენარჩუნება. განა საფლავში წავიღებ სიმდიდრეს და დოვლათს? ეგრისი კვლავ უნდა აღორძინდეს, ამ მიზნისთვის ყველა გზა მართებულად და მისაღებად მიმაჩნია. ამიტომაც გავხდი შენი ერთგული და შენთან დამოყვრებაც განვიზრახე.

— მიყვარს პირდაპირი ხალხი. სიმართლის თქმისთვის პატივს გცემ და გაფასებ... ახლა, როცა ახალგაზრდობა ორივემ გავაცილეთ, გეტყვი, რომ საკუთარი თავისა მიკვირს, რად არ შეგირთე ცოლად?!.. იბერიის დედოფლობას შენზე უკეთ ვინ შეიფერებდა, ან კი რომელი მტერი [illegible]და, როცა ჩემს ძლიერებას [illegible]კობა და შემართება დაემატებოდა? — დაიმანჭა აზონი.

— იბერები არ მაპატიებდნენ ამ ნაბიჯს. — დინჯად მიუგო ქალბატონმა, — ასეც არ იყოს, ჩვენი შვილების ქორწინებითაც გაორმაგდება ორთავეს ძალა. ასე, უფრო ლამაზიცაა. ბრწყინვალე საფარველი თვალს ჭრის და მკლავს აღუნებს.

აზონი ყურადღებით უსმენდა ამ ამპარტავან ქალბატონს და იმის გამოცნობას ლამობდა, თუ რა იმალებოდა ეგრისის ახლანდელი მბრძანებლის დაფარული სიტყვების უკან...

* * *

ნადირობიდან მობრუნებული კილიკე დედის სანახავად გაეშურა, თან თავისი იბერიელი მეგობარი, ლენე, გაიყოლა... შეუძლოდ გამხდარიყო აზონის პირმშვენიერი ცოლი, ექიმები დასტრიალებდნენ თავს. თავისი ერთა მკერდში ჩაიკრა და მარტო დარჩენა ისურვა შვილთან.

— არ მომწონს იბერიის მთებში შენი სანადიროდ ხეტიალი. — სიყვარულით შეხვდა კილიკეს.

— აზონმა მიბრძანა ვხლებოდი. — გაიმართლა თავი კილიკემ.

— რით ვერ ისწავლე, რომ მას დიდი მეფე უწოდო? კილიკეს გაეცინა.

— არაფერს შეჰმატებს ჩემი სიტყვა, ხოლო სიმართლეს არ გამოხატავს.

დედოფალმა ეჭვით მიმოიხედა.

— დაუნდობელია აზონი, ბევრჯერ მითქვამს შენთვის, არ გაპატიებს მის აუგად ხსენებას.

— არ მითხოვია მისთვის სამეფო, არც მსურს მეფობა, და თუ დამითხოვს, დიდად არც შევწუხდები... — კვლავ გაიცინა აზონის მემკვიდრემ.

—ნუთუ მართალს ამბობ და დედის წინაშე გულგახსნილი ხარ?

— ნადირობას განა სიზარმაცის გამო გავურბივარ, გულს მირევს სისხლი და ჩემს მიერ მოკლული ნადირი-

საც კი მეშინია, არა თუ კაცის. მამაჩემის სიახლოვესაც იმიტომ ვუფრთხი, რომ სისხლის სუნი მცემს მისგან...

დედოფალმა ტუჩზე მიიდო ხელი უხებურად.

— ხმადაბლა ილაპარაკე! — ანიშნა შვილს.

— განა ცუდად ვცხოვრობდით არიან-პონტოში? განა გვაკლდა დიდება და ბრწყინვალება? უზრუნველი და ბედნიერი ვიყავი, ზურგიდან დამიზნებული ისრისა არ მეშინოდა. ყველა ლამაზი ასული ჩემს სიახლოვეს და სიყვარულს ნატრობდა, აქ კი... მეფობაზე მეტად ის მიხაროდა, რომ გამეგონა: იბერიაში ლამაზი ქალები არიანო. მეხუთე თვეა დავმკვიდრდი და ერთიც ვერ ვნახე მოსაწონი. ბებერი, შაოსანი ქალების ქვეყანა ყოფილა იბერია.

— მამაშენის შიშით სილამაზეც დაჰკარგეს ალბათ, ისე როგორც მე.

კილიკემ დედას ხელი გადახვია და ჩაფიქრდა.

— მიკვირს რასაც ამბობ. მთელი ჩემი ბავშვობის დროს აზონის გამოგზავნილი ნადავლით ვცხოვრობდით, ოქრო არ გვაკლდა და სასახლეები, უპირველეს ქალბატონად იწოდებოდი... ამ ათი წლის წინ, უკვე იბერიის მეფედ განმტკიცებულმა გაგიხსენა და შენი შვილი მემკვიდრედ გამოაცხადა... გვისტუმრა და ფეხქვეშ გაგეგო, დედოფლად წარმადგინა თავის სამეფო კარზე... უკან გაბრუნება მოინდომე და დიდი, ამალა გაგაყოლა, პატივი დაგდო, თვით მიგაცილა საზღვრამდე... ნუთუ არ კმარა ეს ყოველივე, რომ ქალი მამაკაცზე შეყვარებული და მისი მადლიერი იყოს?

— ძლიერ მცირეა, თუ პატივის სანაცვლოდ სიყვარულში პირველობა წაგართვეს. აზონმა კი, ეს დანაშაული ჩაიდინა, მხოლოდ ნამდვილმა ქალმა იცის, რომ ამის პატიება არ შეიძლება. ახლა შენს თავსაც მართმევს. იმიტომაც ვამბობ დაუნდობელია-მეთქი.

— გინდა გავიქცეთ, გავცილდეთ იბერიას? — შეეცოდა კილიკეს დედა.

— კაცს მხოლოდ ერთხელ ეძლევა ხელთ ბედის გასაღები, მაგრამ სულელი ვერ მოარგებს მას ბედნიერების კარებს...

— ეგრისში ყოფნა და იმ კლდესავით მიუკარებელი ქალის დამოყვრება შიშის ზარსა მცემს. უთხარი აზონს, რომ არ ვივარგებ მბრძანებლად...

— და, მეფობა სულქანის უდღეურ ბიჭს უნდა აჩუქო არა? — უცებ აფეთქდა დედოფალი. კილიკემ ხმა გაჰკმინდა. დედის მრისხანებისა უფრო ეშინოდა, ვიდრე იბერიაში მეფობის.

— რასაც აქ ვამბობთ საიდუმლოა. დრომდე მიჰყვები მამაშენის, დიდი მეფის აზონის ბრძანებას, ეგრისის უფროსობასაც იტვირთებ და ერთცოლიანობასაც შეეჩვევი, მცირე ხნით... ეგრისის ქალბატონსაც დაუჯერებ ხოლო მერე, როცა მამაშენი გადადგება ან...

— მოკვდება? — ვერ მოითმინა კილიკემ.

— შენისთანა მოყვარული შვილი უნდა ინატროს მამამ! — გაიცინა დედოფალმა და გულზე მოეშვა შვილს.

— თავი შეაყვარე კოლხებს, მტრად ნუ გადაიკიდებ აზონივით. მეტი არაფერი გევალება. დანარჩენს თვითონ მივხედავ... ვინძლო დიდი ქვეყნის მეფედ გიხილო...

— მერე, საქალებო?

— მე თუ მკითხავ, ერთად თავშეყრილი ქალების მოქიშპეობით ნასულდგმულევი სიყვარული, ულიმღამო და საცოდავია... დროა, ნამდვილი ცხოვრებით იცხოვრო და ნამდვილი გრძნობის ძირ-ტკბილი გაიგო. თავად დავითხოვ შენს საქალებოს.

— ყველას? — ელდა ეცა კილიკეს.

— რომელიც გინდა ამოირჩიე და დაგიტოვებ! — დაუთმო დედამ...

ხუთი წუთი ფიქრობდა კილიკე, რომელი ამოერჩია თავის ლამაზებს შორის და ბოლოს მხრები აიჩეჩა, რადგან გამორჩევის მიზეზს მოჰკითხავდა დედა და ვერ უპასუხებდა.

— ასეც ვიცოდი. — გაეღიმა დედოფალს და თავზე გადაუსვა ხელი.

— ყველაზე ლამაზ იბერიელ ქალს შევიყვარებ! — გამოაცხადა ბოლოს კილიკემ.

— ის შეიყვარე, ვინც ცოლად გერგო და ვინც ეგრისის მმართველობას მოგიტანს.

— არა. ხარკთამკრები დაბრუნდნენ ამ დილით. ლენემ სთქვა, თუ სადმე ლამაზი ქალია, იმათ არ გამოეპარებათ, რადგან ამ საქმეში დახელოვნებულები არიან და ისე იქცევიან, რომ იბერები ქალიშვილებს არ უმალავენო...

დედოფალმა შეათვალიერა ფეხზე წამომდგარი შვილი, რომელსაც დედის სიმშვენიერე და მამის ავხორცობა დაჰყოლოდა...

— ერთი თვეც რომ მოვშორდე, მეც ამომიღებს გულიდან. უნდა ვთხოვო აზონს, ნება დამრთოს შვილთან ერთად ვიცხოვრო ეგრისში, მაშინ უფრო იოლი იქნება ჩემი ოცნების ასრულებაცო. — გაიფიქრა.

* * *

მწვადი შიშხინებდა და ღვინით სავსე ჯამები ხელიდან ხელში გადადიოდა. მამაკაცების აწყვეტილი მხიარულება, უკვე ყურისწამღებ ყაყანში გადაზრდილიყო.

კილიკე ვაჟკაცურად იტანდა ამ ღრიანცელს, თუმცა კი არც ღვინოს მიირთმევდა და არც შემწვარი ხორცის სუნი სიამოვნებდა.

სამაგიეროდ, მისი იბერიელი მეგობარი ლენე იყო ფრიად მოლხენილი და სუფრასაც იგი მეთაურობდა, თუმცა ასაკით უმცროსი იყო შეკრებილებთან შედარებით.

კუხთა მთავრის უმცროსი ვაჟი ლენე, მთავარმა ქურუმმა სპიანდრემ მოუყვანა აზონს — ჩემი ცოლის ძმაა და მინდა შენს სასახლეში გაიზარდოს, წესი და რიგი ისწავლოსო. მაშინ ლენე შვიდი წლისა იქნებოდა. აზონმა იცოდა, რომ სპიანდრემ ბიჭის სასახლეში მოყვანით კუხთა სამთავროს დაპატრონებაში მოქიშპე ჩამოიცილა.

აზონი სპიანდრეს ენდობოდა და თანაუგრძნობდა კიდეც. [illegible] უშრობდნენ სისხლს იბერიელებს და მისგან მთავარ ქურუმსაც [illegible] სპიანდრესაც. ერთგული კი გამოდგა სპიანდრე, მაგრამ ჭკუა და ეშმაკობა აკლდა, ამიტომაც აზონის სატრფო იყო და, რადგან მტრად ვერ ივარგებდა, მოყვარედ მიიღო იბერიის მპყრობელმა.

მშვენიერი ჭაბუკი დადგა ლენე, კარგი მოცეკვავე და მონადირე, ქალთამოყვარული და ენამოსწრებული. აზონთანაც თამამად იქცეოდა, ხოლო როცა კილიკე ჩამოვიდა, დაუახლოვდა და ახლა განუყრელად თან ახლდა მემკვიდრეს. კილიკემაც შეიყვარა ლენე და ყველაზე სანუკვარ ფიქრებს გულღიად ანდობდა. ამას წინათ დაპირდა, თუ იბერიის ყველაზე ლამაზ ქალიშვილს მაპოვნინებ და მომაყვანინებ, ჩემს საქალებოში შესვლის უფლებას მოგცემ და რამდენსაც აირჩევ, იმდენ ქალს გაჩუქებო.

— რად მინდა შენი გაბახებული ქალებიო, — გაეცინა ლენეს, — თავადაც არ მაკლია სიყვარული, რადგან აზონის სასახლეში თუ სიკვდილს გადაურჩები, პირდაპირ ქალის მკლავებში ამოჰყოფ თავსო. ხოლო, რადგან იბერიის ქალების სილამაზეში ეჭვი გეპარება, ისეთ ქალს გაპოვნინებ, გიჟივით დარბოდე მის ხელმეორედ სახილველადო.

მაშინ გადაწყვიტა ხარკთამკრეფებთან ექეიფებინა კილიკე, რათა მემკვიდრეს თავისი ყურით მოესმინა მათი ნათქვამი.

ეგრისიდან ჩამოსულმა ბევრი ილაპარაკა კილიკეს საცოლის მშვენიერებაზე, მაგრამ ჭაბუკის გულს თრთოლვა არ შეპარვია, ქალი მისად მიაჩნდა და იმასაც ფიქრობდა, ჩემი გულის მოსაგებად აქებს ეგრისელ ქალს ეს კაციო.

ბევრზე ითქვა. ბევრის თვალ-წარბი, კენარი ტანი, ბაგეკბილი შეაქეს... კილიკე საუბარში ჩაება და აღტკინებული ისმენდა მონათხრობს. ყველას ნახვა უნდოდა, ყველგან წასვლას ისწრაფ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვოდა, ფული, ალზევებას ჰპირდებოდა, ვინც საუკეთესოს ამოარჩევინებდა.

დიდხანს გასტანა ქეიფმა...

ლენემ კიდევ ერთხელ დალოცა აზონი და მისი მემკვიდრე და ის იყო უნდა დამშვიდობებოდნენ, თავი ასწია მთიელების [illegible] ნახევრადსპარსმა, ხნიერმა კაცმა და ლენეს მიუბრუნდა:

— ანათი თუ გაგიგონია ოდესმე?...

— გამიგონია. სპეიანდრე ამასწინებზეც სიტყვას მეფეს, რა გახდა იმ ერთი ქალისა და მისი ქმრის მთიდან ჩამოყვანა და მოკვლინებით.

— ის კაცი ვარ, სამარას სასახლის მგოსანი... ხოლო ანათი... მთავარი მნათობის საქურუმოს მსახური იყო, ცისკარს ეცილებოდა სილამაზეში. ძლიერ სურდა მისი ხელში ჩაგდება შენს სიძეს, მაგრამ გაექცა ქალი და მთებში გადახიზნულ ვაჟს გაჰყვა ცოლად, ამ ჩვიდმეტიოდე წლის წინ...

— ბრძნულად განსაჯა აზონმა, ერთი ქალისთვის მთიელების გადაკიდება არ ღირდა... — სთქვა ლენემ.

— მერედა, რა თავში ვიხლი ჩვიდმეტი წლის წინ გათხოვილ ანათას, თუნდაც ცისკარზე უმჯობესი იყოს! — გაბრაზდა კილიკე

ახლა იმათი სახლიდან თექვსმეტიოდე წლის ჯეირანი გამოდის... მიწის და ცის მადლია შეერთებული მის არსებაში. მზის ღიმილს ჰგავს მისი შემოხედვა, ნისლისგან დარხეულ ლერწამს მისი მიმოხვრა, ცა იხედება მის თვალთაგან, ვარდი ვერ ბედავს მის ბაგეთა ფერს შეეჯიბროს, მარმარილოს სიმკვრივე შეესის მიწის სურნელით გაჟღენთილ მის ტანს, ისარივით გაჭიმულია მისი წარბები, წამწამთა ჯარი ნებივრად ფოფინებს ხავერდ ლაწვებზე, სიცილი რაკრაკს მიუგავს, ლაპარაკი ფოთლების ჩურჩული... მიწა ელერსება ფეხისგულებზე, მთები ცარაჯად უდგანან მის სიწმინდეს... არსად არ არის უფრო ლამაზი ქალიშვილი, ვიდრე მთიელ ვაჟკაცთა სათაყვანებელი, ლამზირაა, ოღონდ ვერ იხილავთ თქვენ ლამზირას, ჩემს გარეშე... — დაასრულა სიტყვა და ისევ დასდო [illegible] ნახევრადსპარსმა.

კილიკე პირველი სიტყვიდანვე ლამზირას ტყვე გახდა და რადგან, ცხოვრების მიზანი იპოვა, გამხიარულდა კიდეც. ახლოს მიეჭრა მოხუცს, გვერდით მიუჯდა, ჯიბეებიდან ოქროსა და ვერცხლის ფული ამოჰყარა, ხუთ ამდენს კიდევ მოგცემო, დაჰპირდა.

ისევ ასწია თავი ნახევრადსპარსმა.

— მხოლოდ დაგანახვებ, რადგან მინდა იწამო, რომ მხოლოდ იბერიაში იზრდება ყველაზე ლამაზი და სურნელოვანი ყვავილი... ანათაც ასეთი ყვავილი იყო... იგი მოწყვიტეს... ხოლო ლამზირა... ო... ლამზირა უნდა იყოს. მისი მოწყვეტა არ შეიძლება... იგი მშვენიერებაა... ღვთაების ნიჭით გაბრწყინებული მშვენიერება. მე დაგანახვებთ ლამზირას, მხოლოდ დაგანახვებთ, წაგიყვანთ და დაგანახვებთ... ოღონდ...

ლენემ თვალი ჩაუკრა კილიკეს და ნახევრადსპარსს უთხრა: მეტი არც არაფერია საჭირო. მთავარია კილიკე დარწმუნდეს, რომ იბერებს სხვაზე ნაკლები ქალიშვილები არა გვყავს. ახლა დაისვენე, ეს ფული წაიღე, ხვალ გავაგრძელოთ საუბარი.

იმ ღამის მერე საქალოებისკენ არც გაუხედავს აზონის მემკვიდრეს. მისი ფიქრი მხოლოდ ერთს, — ლამზირას დასტრიალებდა.

მეორე დღეს სანადიროდ წასვლა გამოსთხოვა მამას და მანაც ლენესთან ერთად, გულმშვიდად გაისტუმრა ვაჟი.

* * *

სამი დღის ნამგზავრები, გვარიანად დაღლილები და არაქათგამოცლილები მიადგნენ მთის წვერს, ლენე და კილიკე.

მემკვიდრის ლოყებმა ვარდისფერი ბრწყინვალება დაჰკარგეს, მაგრამ დაღლას არ იმჩნევდა, არ აცლიდა ლენეს დასვენებას, — ლამზირას უნახავად გა-

ტარებული საათები, საუკუნეებად მეჩვენებათ, — ეუბნებოდა.

გზაში დაარიგა ლენემ, როცა მთიდან თოკს გადავკიდებ და ქვევით დავეშვები, თავიც არ წამოწიო სამალავიდან, ვინძლო არავინ შეგეყაროს. განთიადამდე დამელოდე. მთიელებში ერთი მეგობარი მყავს, — აზონის კაცი. იმან უნდა გვისტუმროს, სოფელში შეგვიყვანოს. სხვანაირად ხევში ძეხორციელი ვერ შეაღწევსო.

თოკი მიაბა და სწრაფად მოევლო წვერს. სწრაფადვე დაეშვა თავქვე. მცირე ხნის მერე თვალით მოზომა სიმაღლე, თოკი წელიდან მოიხსნა და ავაზასავით ისკუპა სიბნელეში. დაეცა და იგრძნო, როგორ შებოჭეს რვალივით მაგარმა მკლავებმა.

— რომელი ხარ? — ჩურჩულით იკითხა.

— ლენე, შენა? — წამოაყენა ფეხზე დამხვდურმა და შესცინა. — რომ არ გელოდით?

— საქმემ მოიტანა და მოვედი, მარტო მორიგეობ?

მთიელმა არაფერი უპასუხა.

— პირქუშის ნახვა მინდა, ისეთი ნადავლი მოვგვარე, ანტიოქოსიც არ იტყვის უარს მის მიღებაზე.

— თვითონ აზონი მოგიყვანია და ესაა! — დაიჩურჩულა მთიელმა.

— პირქუშთან წავიდეთ, თუ ჯერ მე გაჩვენებ, ვინ ჩაიგდე ხელში.

— იმ მთის წვერზეა. სულგაკმენდილი იქნება, ჩემს გამოჩენამდე თავსაც არ წამოჰყოფს სამალავიდან. სხვაც მაქვს სათქმელი ხევის თავკაცისთვის, უნდა ვნახო აუცილებლად.

— გაჩვენებ. წყალთან ჩავიდეთ და იქნება თავადაც გაგყვე. — მიუგო მთიელმა და დაწინაურდა.

— ბერა, შემჩნეული მაქვს დიდად გაფასებს პირქუში, მიშუამდგომლე, დამტოვოს მთაში, აქ უფრო გამოგადგებით. თანაც რა ვაჟკაცის საქმეა ენის მიტან-მოტანა? — დაადევნა სიტყვა ლენემ.

ბერა შეჩერდა.

—ახლა თვითეული იქ უნდა ვიყოთ, სადაც საქმე მოითხოვს, და ის უნდა ვაკეთოთ, რასაც ქვეყნის საჭიროება გვიკარნახებს.

ლენემ ხმა გაიკმინდა, ბერას განიერ ზურგს გახედა და გაიფიქრა: — ძლიერ რომ არ მიყვარდეს და მის ვაჟკაცობას არ ვაფასებდე, არც ვაპატიებდი ამდენ თავხედობას ბერას. — მერე რა რომ თავისუფალია, ძლიერია და ნადირობაშიც ბადალი არ ჰყავს. მაინც არა აქვს უფლება კუხთა მომავალ ერისმთავარს თავხედურად ელაპარაკოს და ჭკუა დაარიგოს...

წინ მიმავალმა თითქოს იგრძნო მომყოლის ფიქრი, წყალთან დაელოდა, გვერდში ამოუდგა, ციმციმ აიტაცა ხელში, და სანამ საკმაოდ ტანსრული ლენე გაფართხალებას მოასწრებდა, მეორე ნაპირზე დასვა სიცილით.

— დამძიმებულხარ, ეტყობა გვარიანად გკვებავს აზონი, გაძლიერებს, რათა კარგად გამოუთხარო ძირი...

— იცოცხლე, საჭმელი არ მაკლია, — აბა, ცხოვრება აზონსა აქვს მოწყობილი, ჭამს, სვამს, ნადირობს და მერე მხოლოდ იმაზე ფიქრობს, რომელ ლამაზმანთან ინებივროს.

— კარგ მონადირედ უხმობენ პონტოელს. — უცებ დადინჯდა ბერა.

— საუცხოო მონადირეა, ბევრჯერ ვხლებივარ, ბევრჯერვე მქონია შემთხვევა უჩუმრად მომეკლა, მიკრძალავს პირქუში, — თვითნებურად ნაბიჯი არ უნდა გადადგაო, — მუდამ ამას მეუბნება...

— მართალსაც ამბობს. დიდი ჯარი ემსახურება მომხვდურს, ალზევებული იბერებიც მის მხარეზე არიან. ჯერჯერობით. აზონის სანაცვლოს მეორე დღესვე დასვამენ ტახტზე, ხოლო ქვეყანა კვლავ დამონებული დარჩება.

— მცხეთაში ხმა გავრცელდა, ფარნავაზი ცოცხალიაო, — ხმას დაუწია ლენემ.

ბერა მოტრიალდა:

— ხმა გაიწყვიტე. — კბილებში გამოსცრა მტკიცედ, — ერთხელ გითქ-

ვამს და მეორედ არ გაიმეორო ეს სისულელე. აზონის ყურამდე მიაღწევს ეს ჭორი და აწიოკებს ქვეყანას.

— ვერავინ მასწავლის, რა უნდა ვთქვა და რა არა. — გაცხარდა ლენე, — ხომ არ გავიწყდება, რომ შენი ტოლი არა ვარ! თავს რომ გიყადრით შეთქმულებს და ხელის ბიჭივით გემსახურებით, ჩემზე აღმატებულად ხომ არ მოგაქვთ თავი? არა მგონია, თვითეულზე ნაკლებ სამსახურს ვუწევდე ქვეყანას.

შეწუხდა ბერა.

— იმად ავღელდი, რომ ყველას გვეშინია ეს ტყუილი, რომელიც ჩვენმა მტრებმა გაავრცელეს, აზონს არ მისწვდეს და ჯერ კიდევ მოუმზადებლებს, მასთან ბრძოლა არ მოგვიწიოს. ნუ გეწყინება. მუდამ მახსოვს, რომ ჩემზე აღმატებული ხარ და არც არასოდეს დავივიწყებ შენს სამსახურს. ხვალ, თუ დარჩები, სანადიროდ წაგიყვან თერგის იწროებში, სასმელიც წავიღოთ და ერთი ჩვენებურად მოვულხინოთ ნანადირევს. აზონი საქალებოს ამბებიც მიამბე... ხელმოცარული არ ჩანხარ ქალებში...

ლენეს გაეღიმა. სიბრაზის გატანა არ ეხერხებოდა მის კეთილ გულს...

ორი საათის სავალის მერე, ბერამ ლენე ჩამოიტოვა და პირქუშის სადგომისკენ წავიდა. სამჯერ გაბმულად დაუსტვინა და დაელოდა. ღამის სიბნელეს გოლიათი გამოეყო.

— ფარნავაზ, შენა? — დაიჩურჩულა. — შემოდი, ცუდი ხომ არაფერი მოხდა მთაში. რად დააგდე სადარაჯო? თუმცა კი ბევრჯერ ვუთხარი ადონს, არ არის-მეთქი ლამაზი, უბრალო მთიელივით სადარაჯოზე იდგე მეფე.

— საჭიროა და აუცილებელიც. ლენე გადმოვიდა ბარიდან, ამბობს ნადავლითა ვარ მოსული პირქუშთანო, არ მითხრა ვინ ჰყავს მოყვანილი. არც ჩავეძიე. სხვა საქმეც მაქვსო — ამბობს. დაძაბულობას ვატყობ კუხთა მომავალ ერისმთავარს, ხომ არ დავტოვოთ მთაში. სელევკთანაც შეიძლება მისი წაყვანა, ქვეყნისთვის გამოსადეგი კაცი დადგება მისგან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ვიფიქროთ მაგაზეც. ლენე მოიყვანე, შენ კი მეორე მხრიდან მოუარე გომურს, იქ წამოწექი და დაისვენე.

ფარნავაზმა ლენე პირქუშს წარუდგინა, დაემშვიდობა და დასტოვა გომური.

* * *

სტუმრები ხევის ცნობილ აქიმს მიუყვანა ბერამ. — საპატიო ხალხია და შესაფერისად მიიღეო, — სთხოვა. აქიმმა მგზავრები მოასვენა, პურ-ღვინო მიაღებინა და მერე, ცალკე საძილე გამოუყო, მეორე სართულზე.

გახარებული იყო კილიკე. მადლობას უხდიდა ლენეს, როგორ ოსტატურად მოაწყვე საქმე, ხარკთამკრეფავის ავადობა რომ მოიგონე და მე მის დროებით შემცვლელად წარმადგინე, ახლა არც მეშინია მთიელებმა მამაჩემის ცოდვა არ მომკითხონო. — გულარხეინად წამოწვა ტახტზე და მკვდარივით ჩაეძინა.

ლენემ ვერ მოისვენა და აივანზე გავიდა. უგუნებოდ იყო. პირქუშმა ისევ სასახლეში დაბრუნება უბრძანა და მის იმედს, — თუ კილიკეს მივუყვან შეთქმულებს, მათ გამარჯვებას წინ აღარაფერი დაუდგება და მეც აზონთან შეხვედრა მეტად აღარ მომიწევსო, — წყალი გადაასხა.

ამჯერად კილიკე უვნებლად უნდა მიიყვანოს აზონთან და მერე ისე უნდა მოაწყოს საქმე, რომ ყველას მკვდარი, კლდეზე გადაჩეხილი ეგონოს თავად ლენე. ყველაფერში ნახევრადსპარსი დაგეხმარება და იგი მიიტანს სასახლეში შენი სიკვდილის ამბავსო, — უთხრა პირქუშმა. — არ ეთანხმება ხევის თავკაცს, მაგრამ ვერაფერს ამბობს. ცხადია, ლამზირას უნახავად ფეხს არ მოიცვლის აქედან კილიკე, ხოლო თუ ქალი მოეწონა, მამას სთხოვს დახმარებას და მაშინაც ხომ გარდუვალია შებრძოლება? ხომ არ გასწირავენ მთიელები ლამზირას? არა! არ გასწი-

რავენ. მაშინ, რატომ დაავალეს ნახევრადსპარსს მისი ქება კილიკესთან?

სიმართლეს არ მიმხელს პირქუში. ბერას რომ ჰკითხო, — შენს სიცოცხლეს უფრთხილდება, რადგან შენი ვაჟკაცობა კიდევ დასჭირდება ქვეყანასო. — მართალს ამბობს ბერა. ბერა არასოდეს იკადრებს ტყუილს, არც ჩემს თავს დააჩაგვრინებს არავის. არ დავივიწყებ მის მეგობრობას. კუხეთის საერისმთავროში უპირველეს კაცად გავხდი, თუ ისურვა აქაურობის მიტოვება...

წავალ მცხეთაში. სადაც ამდენი ხანი გავძელი, ეს ათი დღე რა ბედენაა...

კარგად გათენებული არც იყო, კილიკემ შეანჯღრია გამეტებით, — ადექი, წყაროსთან წავიდეთ, ექიმმა მითხრა, მთიელ ქალებს მხოლოდ წყაროსთან თუ იხილავს აქ ჩამოსულიო.

ლენეს არ ეთმობოდა დილის ძილი, არ მოეშვა კილიკე.

აქიმის ნასწავლ გზას დაადგნენ და უჩუმრად მივიდნენ პატარა ბორცვთან. მათ თვალწინ ფერდობზე შეფენილი სოფელი გამოჩნდა, ქვის დაბალი სახლებით, საქონლის სადგომებით და რიყის ქვითვე შემოზღუდული ეზოებით... მოშორებით მომცრო, კოშკისებური სალოცავი მოსჩანდა, ხოლო წყარო აქვე იყო, ბორცვის ძირში. უხმაუროდ გაილო ჭიშკრები და მხარზე კოკაშემოდგმული მთიელი ქალები გამოჩნდნენ. ერთმანეთს ესალმებოდნენ, ექილიკებოდნენ, წყაროსთან პირველობას იჩემებდნენ.

ლენეს თავადაც არ ენახა ლამზირა და ცდილობდა თავშეყრილებში მთიელთა მზეთუნახავი გამოერჩია. ახალგაზრდები მცირენი იყვნენ, არც თუ გონჯები, მაგრამ არც ერთი არ ბრწყინავდა სილამაზით.

კილიკემ მხარი წაჰკრა და ლენემ ფერდობზე ჩამომავალი სამი ქალი დალანდა. ნელა მოუყვებოდნენ გზას. დაწინაურებულს და მის უკან მიმავალს კოკები მოემარჯვებინათ, ხოლო სულ უკანა ხელცარიელი მოდიოდა, ეტყობოდა უჭირდა დალმა[illegible]ა-ჭერა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოუახლოვდნენ წყაროს, უფროსმა სალამი უძღვნა დამხვდურებს. თავი დახარეს მის დანახვაზე, უკან მიდგნენ, კოკა ჩამოართვეს. არ ინდომა ურიგოდ წასვლა... ერთერთ ხანშიშესულს თავად მიეახლა და კაბის კალთაზე ემთხვია.

— აი, როგორი ყოფილა ანათა. — გაიფიქრა ლენემ და მის მომყოლ ორ ქალიშვილში ლამზირას გამორჩევას შეეცადა. გაუჭირდა, ერთმანეთზე ლამაზები იყვნენ ორივენი.

— ანათა, რად ვერ გახადე შენს დისშვილს სპარსული კაბა, ხომ არ გგონია ჩვენებური ნაქარგი რომ არ აცვია, დაცული გყავს მთიელი ვაჟკაცების თვალისგან? — ხმამაღლა გასძახა ტანდაბალმა, ჩასუქებულმა ქალმა ანათას.

უცნაური, წყაროს ნაკადულივით თავანკარა სიცილი დაეფინა მიდამოს.

— აკი გუშინღამ ძლივს გამოვგლიჯეთ გამტაცებლებს ხელიდან. ხევსურ ბასას გულში ამოუჭრია ანოს სახე და სამასი ცხვარი მოგვირეკა კარებთან — კისკისებდა ლამზირა.

ლენემ გარკვევით გაიგონა, როგორ ამოიგმინა კილიკემ და შეეცოდა აზონის მემკვიდრე. კილიკესთანა კაცისთვის რომ არ იყო შექმნილი ლამზირას სილამაზე, იმ წამსვე იგრძნო, როგორც კი მისი სიცილი გაიგონა.

ქალები წავიდ-წამოვიდნენ და ლენე კილიკესკენ მიბრუნდა. ახლაღა გაიაზრა, რომ ლამზირას ცქერით გაბრუებულს, არც შეუმჩნევია, ჩქამი რომ არ ისმოდა აზონის მემკვიდრისგან.

სანთელივით გაფითრებული კილიკე თრთოდა და შავი თვალებიდან დაგორებულ ცრემლს უხმოდ იწმენდდა. ბევრი ევედრა, ემუდარა. ვერ იქნა და ვერ მოაცილა გორაკს. თვალმოუშორებლად გაჰყურებდა გზას, რომლითაც ლამზირა წავიდა. გულსაკლავად ტიროდა.

მხოლოდ აქიმმა მოახერხა კილიკეს

დამშვიდება. წამალი მისცა და დაა-ძინა.

— ხვალ გაემგზავრებიან შენი სტუ-მრებიო, — მითხრა ბერამ, — ხმადაბ-ლა ჩაულაპარაკა მასპინძელმა. — გა-ახსენე ლენეს პირქუშის დანაბარები, ისიც შეახსენე — როგორმე დროებით ჩამოსცილდეს აზონის მემკვიდრეს, მა-ნამდე კი იმით შეაშინოს ჭაბუკი, რომ თუ იგი მამას გააგებინებს ქალის სამყო-ფელს, თვით მეფე ინდომებს ლამზირას ცოლობასო.

მეორე დილით მორჩილად გაჰყვა მცხეთაში ლენეს კილიკე. მორჩილადვე მოისმინა მისი სიტყვა და დაჰპირდა: — არავის გავუმხელ თქვენი ღვთაების რჩეული ქალის სამყოფელს, რადგან იგი მხოლოდ ჩემთვის მინდაო. არც არა-ვის დახმარება დამჭირდება, ვეცდები, ძალად არ მოვწყვიტო დედოფალი თა-ვის სამეფოსო.

გაუკვირდა ლენეს კილიკეს არსებაში მომხდარი ცვლილება, მაგრამ არაფე-რი უთხრა. რაღაც ვაჟკაცურიც რომ ჰქონია აზონის მემკვიდრეს, აქამდე არც შეუმჩნევია.

საღამოს ტანსაცმელგამოცვლილებმა და ფერმიხდილებმა მცხეთის სასახლის ეზოში შეაგელვეს ცხენები.

* * *

— ძლიერ მიჭირს აქაურობის და-ტოვება. — ფიქრი გაწყვიტა ფარნა-ვაზმა.

— მალე გაირბენს წელიწადი! — გა-ეპასუხა არმაზი.

— არ მიტაცებს ანტიოქოსის კარის ბრწყინვალება, უქმად ყოფნაც გამი-ჭირდება.

— უქმად არ გამყოფებს, საქმეს არ გამოგილევს ადონი, უკვე სამი დღეა შენს სამოქმედო გეგმას ჩაჰკირკიტებს.

— ვიცი, რასაც დამავალებს. არც ძველი სალოცავების ხილვა და განდ-გომილებთან საუბარი მიზიდავს. მიმა-ჩნია, რომ მოქმედების დროს მიღებუ-ლი გამოცდილება უფრო საჭიროა, მკვდარი აზრების კენკვა ფილოსოფოს-თა საქმეა და არა მეფისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— შენი სათაყვანო ალექსანდრე დი-დად აფასებდა სიბრძნეს და ბარბაროს-თა რელიგიასაც სწავლობდა გამოწვლი-ლვით.

— სამოქმედოდ ესაჭიროებოდა ეს ყოველივე... მე კი ჯერ აქ, იბერიაში მაქვს საბრძოლველი, ხოლო ჩემი ქვე-ყნის ისტორიის უცოდინარობას ვერა-ვინ დამწამებს...

— ნუ ცხარობ, — დაამშვიდა არმა-ზმა, — მახსოვს, ასევე კამათობდი ფი-ნიკიელთა ისტორიისა და შუმერთა სი-ბრძნის შესწავლა რომ დაგვაწყებინა ადონმა, მერე ისე გაგიტაცა იბერთა და შუმერთა რელიგიაში ერთიანი ხაზის ძიებამ, არაფერი გახსოვდა მის მეტი... კარგად გიცნობ, იქედან დაბრუნებულს ანტიოქოსის სამხედრო ხელოვნებაც ათვისებული და განსჯილი გექნება.

გაეცინა ფარნავაზს.

— ვოცნებობ იმ დროზე, როცა იბე-რია თავისუფალი და ძლიერი იქნება...

— და, მისი მეფის ბრწყინვალე კა-რზე მხოლოდ ქართლოსიანთა ენა იბა-ტონებს, — გაუღიმა არმაზმა. — მა-ღალი ღვთაების რჩეული ენა...

— და, იბერთა ისტორია ჩაიწერება დიდი კოლხის მიერ გამოძერწილი ულა-მაზესი ანბანით.

— როცა იქნება ძმათა სიყვარული და არა კვლა...

— დადგება კი ეს დრო? — უცებ მოიწყინა ფარნავაზმა.

— შენ უნდა შექმნა იგი, ქვეყანას-თან ერთად! — მტკიცედ მიუგო არმა-ზმა, — არც ისე შორსაა ბრძოლის და-წყების დღე.

— ნეტა რას გვიქადის განგება, რა საიდუმლოს ფარავს ბედისწერის ღვთა-ება ჩვენგან?! ილოცე ქვეყნისთვის არ-მაზ, ასე მეჩვენება, ღვთაების რჩეული ხარ!..

არმაზმა მოხედა მეგობარს...

— მინდოდა მეკითხა და ვერ კი გკი-თხე, ნუთუ მხოლოდ მთიელთა რწმე-ნის გასაძლიერებლად გადმოსძახე ქვე-

ყანას ჩემი სახელი, როცა დიდი ხევისბერი დაკრძალე კლდის წვერზე?!

არმაზმა გაუღიმა და არაფერი უპასუხა...

— ასეც ვიცოდი, ჩემი გამხნევება გსურდათ შენ და ადონს!

სივრცეს გაუშტერა თვალი.

— გამარჯვებაში ეჭვი გვეპარება? — მოუბრუნდა უცებ არმაზი ფარნავაზს.

— არა! იბერები ვერასოდეს დიდხანს ვერ ეგუებოდნენ დამპყრობლებს და აჯანყებულები მუდამ იმარჯვებდნენ მტერზე, ხოლო ისტორია არ ტყუის, რადგან მასში ხალხის თვისებაა გამჟღავნებული. იბერთა თვისება თავისუფლებაა. ოღონდ როდის მოხდება ეს?

— გსურს, რომ შენ ედგე სათავეში ამ გამარჯვებას. ასე არ არის?

— დიახაც, მე მსურს! სიკვდილისთვისაც მზად ვარ, ოღონდ კი აზონის სისხლი ვნახო დანთხეული ამ მიწაზე!

— დაინთხევა კიდეც! — მტკიცედ სთქვა არმაზმა. — მაშინ კი, მიმავალმა თაობებმა მართლაც მიჩურჩულა შენი სახელი და კიდეც გადმოვძახე მთებს. ტყუილად გვწამებ ცილს მე და ადონს!

ფარნავაზი მკერდით აეფარა ძმადნაფიცს ზურგიდან, თითქოს ქარისგან მისი დაცვა სურდა.

არმაზს ცრემლით აევსო თვალი. იგი კარგად გრძნობდა, რომ ტკივილით, ტანჯვით და სისხლით იქნებოდა გაპოხიერებული ფარნავაზის სავალი გზა, იცოდა; ადამიანური ცოდვების ტვირთი მძიმედ დააწვებოდა მეგობრის მხრებს, სინდისს, ცხოვრებას. უკანდახევის, დათმობის, საკუთარი ბედნიერების საშუალებას არ მისცემდა იბერიის ხვალინდელი, მშფოთვარე დღე... იცოდა, განდიდდებოდა იგი, როგორც ქვეყნის მეთაური, მაგრამ დაითრგუნებოდა მისი მაძიებელი სული: ყოველდღიური საზრუნავით, უპირველესი კაცის მძიმე ხვედრით, სხვათა წინამძღოლობისთვის საჭირო მიუდგომლობით და ზოგჯერ დაუნდობლობითაც.

— მწამს, რომ დიდი ბრძოლის დროს ერთად იქნება მთელი ქვეყანა [illegible] მუშტად შეიკვრება, ის[illegible] ველთვის. — დაიჩურჩულა ფარნავაზმა. — ადონი ისევ ჩაუღრმავდა სიბრძნის წიგნს. ალბათ კვლავ შეამოწმა ჩემი ბედის ვარსკვლავის გზა. არ კი მითხრა, რა აუწყეს ღვთაებებმა. ასე მეჩვენება, ზეციურ ნიშანს ელოდება ჩვენი მოძღვარი.

— იქნება ზეციური ნიშანიც. ოღონდ ვერავინ იხილავს იმას, შენს გარდა...

ფარნავაზს გაეღიმა...

— როდის იქნება ეს?

არმაზმა მხრები აიჩეჩა.

— ვიცი, ჩემი თქმა არ გჭირდება, მაგრამ მაინც გეტყვი, რომ ადონს მიხედე, ჩემი არყოფნის დროს, ნუ დაეკარგები შენებურად, უცნაურად მოტყდა და მობერდა ამ ბოლო დროს. მას შემდეგ, რაც იმ უცხო კაცს სადღაც გაჰყვა, ჩაფიქრებული დაიარება, თითქოს რაღაცას მიმალავს, საიდუმლოს ინახავს ჩემგან.

— შენ არ გეხება ის საიდუმლო, მე მეხება.

ფარნავაზმა ხელი შემოხვია არმაზს.

— ვგრძნობ, რომ მე მეხება! — გაიმეორა არმაზმა.

— ცუდი ხომ არაფერია?

არმაზმა მხრები აიჩეჩა.

— განგების ნება და ღვთის სამართალი გარდუვალია!

— შენ ჩემს გვერდით იქნები მუდამ! შენც და ადონიც!

— ასეც იქნება! — დაამშვიდა არმაზმა მეგობარი და სასახლისაკენ წაიყოლია.

ბანზე გადმომდგარი ადონი კარგა ხანია შეჰყურებდა თავის გაზრდილებს და მაღალ ღვთაებებს მადლს სწირავდა, მათი აღზრდა რომ დაავალა.

* * *

ქუჯი ძლიერ გაბრაზებული ჩანდა.

— კახთა მთავართან არაფერმა გასჭრა, აზონის დატყვევებული კაცების გაშვებაზე არ დამთანხმდა, საერისთაო ფეხზე დააყენა და იბერიის მპყრობელ-

თან შებმას აპირებსო, — მოახსენეს ადონს.

— დაამარცხებს აზონი! — წარბები შეჰკრა პირქუშმა.

— უაზროდ დაიღვრება სისხლი! — გაცხარდა ფარნავაზი...

— რას იტყვი ადონ? ხომ არ შევერთებოდით აჯანყებულებს?

— მრავალჯერ მითქვამს, რომ აჩქარება ავნებს საქმეს. რით ვერ გაიგეთ, რომ არ შეიძლება აზონთან ბრძოლა დიდი მფარველისა და მხარდამჭერის გარეშე.

— მაშ გავაულეტინოთ პონტოელს კახნი? არ აპატიებს აზონი თავისი კაცების შეპყრობას და ხარკის მიუცემლობას, ჯარს მიუსევს და გაანადგურებს მხარეს, — სთქვა ტანჩიამ, — ხოლო მერე, როცა ბრძოლას დავიწყებთ, მაინც მცირერიცხოვანნი ვიქნებით, აღარ იქნებიან ჩვენს გვერდით კახნი...

— შეუმჩნევიათ ჩვენს ბიჭებს აზონის მემკვიდრე. მდინარემდე მოსულა ამქარად. — გამოაცხადა ფარნავაზმა.

— მარტო იყო?

— მარტო ყოფილა, ცხვარს აძოვებდა თურმე. ჩვენებური სამოსი სცმია და ისე გამოიყურებოდა, თუ არ იცნობდი ვერც გაარჩევდი მეცხვარისგანო.

— რად არ მოიტაცეს მერე? ჩემს საყარაულო მხარეს რომ ყოფილიყო, გეყოლებოდათ ახლა გაკოჭილი. — გულზე დაირტყა ხელი ტანჩიამ. — გავიწყდება, რომ ლენე და მისი გამზრდელი აზონის კარზე არიან და, რომ მათ მოიტყუეს კილიკე მთებში, ხოლო ლენე კუხთა მთავარია და ქვეყნისთვის საჭირო კაცი! — წარბი შეჰყარა ფარნავაზმა.

— გადავჩეხოთ სადმე კილიკე, ეს ხომაა მაინც ადვილი?

— სანამ ფარნავაზი არ გაემგზავრება, არავინ ახლოს ხელი აზონის მემკვიდრეს. კახთა ერისმთავარს ის მაინც უნდა შევასმინოთ, რომ აზონის კაცები გაუშვას. დავპირდეთ, თუ ასე მოიქცევა, კახელებს მოვატაცინებთ კილიკესთქო. არა მგონია, მემკვიდრის დასახსნელად აზონი გადასახეროვნული ბიბლიოთეკალიის. — თქვა პირქუშმა.

— კილიკეს მთაში შემოტყუების აზრი მე მეკუთვნოდა და მახსოვს კიდეც, დამპირდით მისი ბედის გადაწყვეტას შენ მოგანდობთო. მემკვიდრე უნდა მოკვდეს, რათა აზონის ბინძური ხელი დამოკლდეს ეგრისში. არც ეგრისს ჰყავს მცირერიცხოვანი ლაშქარი, ისიც საჭირო იქნება ბრძოლის დროს.

— ქუჯის ეცოდინება სად დაიდგა საბრძოლო კარავი კახთა ერისმთავარმა, — თითქოს არც მოესმინოს ქუჯის სიტყვები, ისე დინჯად იკითხა ადონმა.

— მდინარის იწროებში. ძნელი გზის გადავლა მოუწევს აზონს, იქამდე.

— იქვე იძინებს, ალბათ, აჯანყებულთა კაცი?!

თავი გააქნია ქუჯიმ.

— სპასალარი მიაცილებს ხოლმე ღამის სადგომში. ბათენას მეტმა, არავინ იცის მისი საძინებელი ადგილი.

ადონმა ტანჩიას შეხედა. ისიც მიუხვდა დაფარულ სათქმელს.

— ჩემი ბიჭები ჯიხვს ეპარებიან კლდეზე უჩუმრად, თუ გადაწყვეტ ხუთი დღის შემდეგ აქ გეყოლება კახთა ბატონი. — გაეცინა ტანჩიას.

— შესძლებს კი ბათენა ლაშქრის დაშლას? მოიმოქმედებს რასაც შევუთვლით?

— ვიცნობ ბათენას. მტრად მეკიდებოდა სამარას დროს... კარგი ვაჟკაცია... რაც საერთო მტერი გაგვიჩნდა, დაივიწყა ჩემთან ქიშპობა... — სთქვა პირქუშმა.

— არ უჯერებს კახთა ბატონი ბათენას, — ცხოვრების გზა მიმოკლდება და აზონთან უბრძოლველად ვერ წავალ საიქიოსო, — დაუჩემებია. — ვერაფერი გავაწყვე მასთანო, — შემომჩივლა, — ოღონდ ესაა საკითხავი, დაგთანხმდება კი თავისი ახალი პატრონის მოტაცებაზე ბათენა?

— ბათენასთან ჩემი სახელით მიდი და უბრძანე, რომ ლაშქარი დაითხოვოს, სიმშვიდე ჩამოაგდოს და გადასა-

ხადი გაატანოს აზონის კაცებს. — ბრძანა ადონმა.

— როგორც ვხედავთ, საპატიო სტუმრის მისალებად მზადებას უნდა შევუდგეთ, მთიელნო! — შესცინა პირქუშმა ხევის კაცებს.

* * *

სანადიროდ წასული ლენე სასახლეში არ მობრუნებულა.

კილიკემ მეგობარი მოიკითხა და შეშფოთდა.

— არავის გაყოლა არ ისურვა. დათვის ბუნაგი მეგულება და მინდა თავი გამოვცადოო ისიც კი გვითხრა, მეფის მეტმა, ამ სასახლეში, არავინ იცის ნადირობის წესები, სხვები ნადირს დამიფრთხობთო. შენი მეგობრობის ხათრით მოვუთმინე ლენეს. — თავი დაუხარა აზონის მონადირეთუხუცესმა.

ერთი კვირის მერე თვითონ მეფემ მოისაკლისა ლენე და დაიწყეს კიდეც მისი ძებნა, ხოლო როცა მისი დაფლეთილი სამოსი ნახეს სისხლით მორწყულ მიწაზე, დაასკვნეს: დაუფლეთია ნადირს ჭაბუკიო და გვამის ძებნას შეუდგნენ, უგულოდ. არავის ენაღვლებოდა კუხთა ურიცხვი მთავარი, კილიკეს მეტს.

კილიკემ თავის ოთახში ტახტზე მიაფინა მეგობრის დახეული სამოსი და განმარტოვდა, აღარც ნახვა ინდომა ვინმესი და საჭმელზედაც უარი თქვა. ჩამოხმა, აჩრდილად იქცა. ძლიერ შეშფოთდა დედამისი. ქალი გრძნობდა, რომ მარტო ლენეს დაკარგვის გამო არ განმარტოვებულა მისი ერთა.

ვერ შეაღწია შვილის სულში დედამ, ვერ გაიგო მისი მწუხარების მიზეზი. ბოლოს მკითხავი მოიწვია, მასთან ჩაიკეტა და გრძნეულებაში დაუწყო ძებნა საშველს.

აზონს აუწყა მემკვიდრის ამბავი ცოლმა. გაეცინა მამას.

— შეყვარებული ხომ არ არის შენი ვაჟიო? — აქეთ შეეკითხა ცოლს.

ქალმა მხრები აიჩეჩა.. —

— ასე იქნება. ლენე რომ ცოცხალი იყოს იგი გვეტყოდა ეროვნული ბიბლიოთეკა მაინც წამოვალ და ვინახულებ. იქნებ ჩემთან გახსნას გული. იმასაც ვეტყვი, რომ არ შეჰფერის სამეფო კაცს დიაცივით უჭმელ-უსმელობა. — სთქვა აზონმა.

მაგრამ ისიც კი შეაფიქრიანა მემკვიდრის ნახვამ. მაინც დასძლია შეშფოთება და ღიმილით უთხრა: — გადაპარსული რომ გქონდეს თავი, განდეგილისგან ვერ გაგარჩევდა კაცი. თუ ავადა ხარ, რატომ წამალს არ იღებ?! თუ გულზე დარდი შემოგაწვა, რატომ არ ცდილობ გართობითა და ნადირობით გაჰფანტო?! ხოლო თუ მართლა მეგობრის დაკარგვამ გამოგთიშა ცხოვრებიდან, ცუდად გცოდნია გარდაცვლილის პატივისცემა, შესაწირი მიუსხი გაის და იგი გაგიხსნის გულს. ისიც უნდა გითხრა, რომ მაინცდამაინც არ მომწონდა იბერიელი ლენე რომ გაიხადე უახლოეს ადამიანად.

კილიკე ფეხზე წამოუდგა მეფეს, მკერდამდე დახარა თავი

— უთხარი შენს მამას, რით გიშველოს, რით დაგეხმაროს? — შეევედრა დედა.

— ამაოდ სწუხს დედაჩემი, — მიმართა აზონს კილიკემ, — მომბეზრდა ყველაფერი და განმარტოება მომწყურდა, თანაც საფიქრალი გამიჩნდა ერთი.

— ნუთუ ვერ მოვუვლი შვილის საფიქრალს? — გაუღიმა აზონმა.

— ვერ შევირთავ ეგრისის მთავრის ქალიშვილს, ვერ შევძლებ ეგრისში უფროსობას.

აზონმა წარბი შეჰყარა.

— ნუ გაბრაზდები, ვიდრე მომისმენდე...

— არც მოგისმენ, სანამ მაგ აზრს არ განდევნი შენი გონებიდან. ეგრისთან დამოყვრება შენთვისაა საჭირო.. რით ვერ შეისმინე... დაარიგე შენს შვილს ჭკუა. ნუ მეურჩება, თვით ჩემს თავს არ ვაპატიებ ურჩობას, არათუ სხვას! — პირი იბრუნა.

გაიფიქრა: კილიკე უფრო იმიტომ გა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოვარჩიე სხვა შვილებიდან. ლამაზი და წამოსადეგი რომ იყო, შევცდი. მის სისხლში ჩემი ძლიერი ჯიშის ყვილი არ მესმის, ქალივით მშიშარა და ფრთხალია.

— მომისმინე, მამა! — განწირული ხმით შეჰღაღადა კილიკემ, — შევირთავ ეგრისელ ქალიშვილს, ოღონდ რამდენიმე თვით სამშობლოში გამიშვი...

აზონის რისხვა დაცხრა, შვილისკენ მობრუნდა.

— მინდა გამზრდელი მოვინახულო, ჩვენს იქაურ კერპებს შესაწირი მივართვა, მეგობრებთან ვილხინო და ვინადირო...

— წადი და იახლე ვინც გსურს, თვით დედოფალიც...

— დედაჩემის კალთიდან მინდა თავი დავიხსნა სწორედ.

ემწარა ეს სიტყვები დედას, ცრემლით ევსო ლამაზი თვალები.

— ძლივს შენგან კაცური სიტყვა გავიგონე. წასვლის დრო დათქვი და იმდენ ოქროს მოგცემ, რამდენიც ჩემი შვილის ნებივრობას და ტრისტარებას დაამშვენებს! — გაიღიმა აზონმა...

გვიან ღამით დედასთან განმარტოვდა კილიკე, რადგან მის წინაშე თავს დამნაშავედ გრძნობდა და აუწყა, რა ცეცხლიც ენთო მის გულში. თავისი განზრახვაც გაანდო, მაგრამ არ კი უთხრა, თუ ვინ იყო ის ქალი, რომლის გამოც ერთადერთმა შვილმა მასზე გადაგებული დედისგან განშორება ინდომა. იცოდა კილიკემ, დედა ამ საქმეში დაეხმარებოდა და არც შემცდარა. აზონის ცოლმა, რაკი შვილის საიდუმლო გაიგო, გაიხარა, იფიქრა, კილიკე სურვილის ასრულების მერე, ძველებურად გამგონე და დამყოლი იქნება და, კიდეც მოსძებნა მის გასაყოლად საჭირო კაცები.

ერთი კვირის თავზე ორი პონტოელი ეწვია კილიკეს სასახლეში და მომდევნო საღამოს კიდეც გაემგზავრა მათთან ერთად აზონის მემკვიდრე.

* * *

ანტიოქიაში ფარნ[illegible]ბის დღეს დიდხანს ტიროდა ანო. — უშენოდ აქ როგორ უნდა გავძლო, რად არ მიგყევარ თან. ან თუ გამგზავრებას აპირებდით ყველანი, რად არ გამოყოლეთ დედაჩემს, რა უნდა გავაკეთო ამ მთებში უთქვენოდ.

— თავად ისურვე აქ ცხოვრება! თუ მართლაც მოგეწყინება უჩვენოდ, დედასთან წასვლის არავინ დაგიშლის. ისე კი, მინდოდა აღონი არ დაგეტოვებინა, იქნებ დასჭირდეს ამბის წამღები სანდო ადამიანი. ზაბუაჩვენთან... — ამშვიდებდა ფარნავაზი. — ბოლოს შეეხუმრა: — ეგრისის მთავარი, ქუჯი, თვალს არ გაცილებს, ლამის ატიროდეს შენთან ერთად ვაყკაცი. თუ მე არ გებრალები, იგი მაინც შეიბრალე, გულდამძიმებულს ნუ გაუშვებ უცხო ქვეყანაში!

ანო წამოწითლდა და მართლაც შესწყვიტა ტირილი:

— არ იდარდო ჩემზე, ქალის საქმე ტირილია, წავიტირე და გავჩერდი, ეგრისელმა კი თავის დაზე იფიქროს, შენს დას შესაბრალისი არაფერი სჭირს! — წარბი შეჰყარა, — ვფიქრობ, ტყუილად აბრალებ მას ჩემს მოწონებასაც. — ბოლოს დაუმატა: — მთელი ღამე არ ეძინა ლამზირას, ის მაინც რატომ არ მიგყავთ? ტირის, ალბათ არმაზის დატოვება ეძნელება!

— დედასთან გაყრა არ უჭირს? არა უშავს, სიყვარულს სიმორე ამტკიცებს. დაშორება — დაცილებას როდი ნიშნავს. მაინც რად მიაწერე, ასე გულდაგულ, ლამზირა არმაზს?

— შენ ასე მითხარი და!..

— ახლა სადღაა ლამზირა? — გულზე მოეშვა ფარნავაზს.

— დილიდან არ ჩანს, იქნებ არმაზთანაა!..

— არმაზი ჭიშკართან მელოდება. ის და ვაჟიკა მთელი დღე არ მომცილებია გვერდიდან...

— წამოსვლაც სურს და დარჩენაც ერთსადაიმავე დროს, რაღაც სხვა უჭირს *ანათას ქალს! — ჩაფიქრდა ანო.*

— არმაზს ეცოდინება სად არის ლამზირა, ასე მგონია მეგობართან გამოუმშვიდობებლად არ წამოვა ანტიოქიაში ქალი.

— მართალი ხარ. მარტო არმაზს კი არა, სოფელს კარდაკარ დაივლიდა, დაემშვიდობებოდა. იქნებ იმიტომაც არ სწუხან ანათა და ვაჩე. ისინი ხომ ჩემზე უკეთ იცნობენ თავიანთი ქალის ხასიათს. საცაა გამოჩნდება ალბათ. მშობლებს სადღა წაუვა, ან მე როგორ დამტოვებს გულნატკენს.

* * *

არმაზი ხევისკენ დაეშვა სირბილით. გული მოსდიოდა საკუთარ თავზე; რად ვერ ვიფიქრე, რომ ჩვენს ამორჩეულ ადგილზე დამელოდებოდა ლამზირა, რად მეგონა, ჩემს უნახავად წავიდოდა უცხო ქვეყანაშიო.

ამაოდ ეძებდა, ამაოდ ეძახდა. არ ჩანდა მინდვრის დედოფალი... ბოლოს, თავისი წინანდელი თავშესაფრისკენ გაეშურა. დანგრეული დახვდა იქაურობა.

გული ეტკინა ადამიანებზე. ვის რას უშლიდა ჩემი ქოხიო, — გაიფიქრა და წამით ჩამოჯდა. ლამზირას გაწყვეტილ გულსაკიდს მოჰკრა თვალი, დაწვდა და უცებ მიხვდა, რომ აქაური კაცის ხელი არ ერია ამ ქოხის დანგრევაში. ყვავილთა ველზე ლამზირას დახეული ჩიქილაც შენიშნა... გული ავმა წინათგრძნობამ შეუბოჭა...

წამოდგა. წელმოწყვეტილი გაემართა სოფლისკენ.

ანათა შემოხვდა შეშფოთებული. მხრები აიჩეჩა არმაზმა. ვერ უთხრა ანათას, რასაც ფიქრობდა...

* * *

გამგზავრების დღეს უხალისოდ შეხვდნენ წამსვლელები. არმაზი და ადონი სოფლის ბოლომდე მიჰყვნენ ფარნავაზს, ქუჯის და ვაჩეს.

* * *

ფარნავაზი მეგობრებისგან მოშორებით ჩამოჯდა და მთის კალთაზე მოთამაშე პატარა ჩანჩქერს [illegible] მზის შუქზე წყალი ათასფერ [illegible] იშლებოდა, თამაშობდა, ცეკვავდა, მერე ერთ ზოლად შეერთებული კისრისტეხით ეხეთქებოდა უზარმაზარ თეთრ ქვას, რათა ისევ დაშლილიყო სხივებად, ისევ შეკრებილიყო გამჭვირვალე, ნათელ ზოლად და ბოლოს წვრილი კენჭებით მოფენილ საგუბარში ნაბრძოლი და დაღლილი, ძალაგამოცლილი ჩაშვებულიყო. ზანტად, მდორედ მიედინებოდა ფარნავაზის ფეხქვეშ მთის ამაყი მდინარის მთავარი ძარღვი. უცნაური გრძნობა იპყრობდა ჭაბუკს.

— მრავალი წყალი შეერევა სავალ გზაზე, მრავალი ნაკადული და მომცრო მდინარე. ზოგი მღვრიე და უწმინდური, ზოგიც ბობოქარი შეუერთდება ამ ნაკადულს, ზოგი მორჩილად გაჰყვება თან, ზოგიც სავალი გზიდან გადახვევას მოსთხოვს, ზოგთან მეგობრობა მოუწევს, ზოგთან ბრძოლა და ჭიდილი, რათა ერთხელ ამორჩეულ გზას არ უღალატოს და ზღვამდე მიიტანოს თავი... გადიდდება, ატორტმანდება და დაქანცული შეუერთდება თავის უარმყოფელი ზღვის ტალღებს... რით არ ჰგავს კაცის ყოფა მდინარისას? კაცისთვისაც მთავარი ის საარსებო ძარღვია სწორედ, რომელსაც მისი სიცოცხლე სიკვდილთან მიჰყავს. თუ ის სუფთა და ანკარაა, ძლიერი და გამარჯვების მოტრფიალეა ამ მდინარის სათავესავით, კაციც სძლევს თავის სავალ გზაზე შეხვედრილ სიავეს და იმ ძარღვს შეურყვნელად მიიტანს სიკვდილის სამეფომდე, ხოლო თუ სუსტია მთავარი ძარღვი...

ფიქრებიდან ქუჯიმ გამოიყვანა, გვერდით მოჯდომოდა ეგრისის მთავარი.

— ფიქრებს შეუპყრიხარ, მეფეო! — გაუღიმა მთავარმა. ჩრდილი გადაეკრა შუბლზე ფარნავაზს. ქუჯისგანაც კი არ მოითმენდა თავის სათაყვანო მიზანზე ხუმრობას. თავი მოაბრუნა და დაინახა მოწიწებით და სიყვარულით უცქერდა ქუჯი.

— მხოლოდ მეფე და ქვეყნის პატ-

რონი დამყურებს ასე თავისი მიწის ყოველ მტკაველს და მასზე დაცემული წყლის ყოველ წვეთს ესათუთება, ვინძლო მაცოცხლებელ წამლად შეერგოს მიწასო. უნდილსაც რომ შეეხედნა ახლა შენთვის, ისიც კი მიხვდებოდა, რომ მბრძანებლად ხარ დაბადებული!

— თუ ჩემი ხალხის უპირველეს შვილთაგან და ჩემი ახლობლებისგან ასეთი დათაფლული სიტყვები უნდა ვისმინო, უინტერესო ყოფილა მაშინ მეფობა. — პირფეროობად თუ მოეჩვენა ეგრისის მთავრის სიტყვები.

ახლა ქუჯის მოეღრუბლა სახე.

— მოსმენა დიახაც მოგიწევს და კიდეც უნდა მოისმინო. მაგრამ მეფის ვალია, — გულწრფელობა მლიქვნელობაში არ აერიოს და მტერი მოყვრისგან შეუცდომლად გამოარჩიოს...

გაუღიმა ფარნავაზმა უფროს მეგობარს, — მე თუ მკითხავ, არც სიფიცხეა საუკეთესო სამკაული ვაჟკაცისათვის,—უთხრა და ცეცხლთან მიმჯდარ ვაჩეს გახედა.

— რაც წამოვედით, ხმა არ გაუღია· ვაჩეს. თუ ღონემ სოანეთამდე არ დაგვაწია ლამზირას ამბავი, ვაჩეს უკან გავუშვებ.

— მელექსეს ჰგონია, რომ შორეულ გზაზე წამოსვლას მოერიდა მისი ქალი და დაიმალა. — ჩაილაპარაკა ეგრისის მთავარმა.

— იტყოდა ლამზირა, წამოსვლა რომ არ ნდომოდა.

— იქნებ სწორად ფიქრობს მამა?! ხშირად მშობელი საიდუმლო გრძნობით ხვდება შვილის დაფარულ ნამოქმედარის აზრს.

— თუ მე არა, არმაზს მაინც არ დაუმალავდა ლამზირა თავის ნაფიქრალს, დიდი მეგობრები არიან... — სევდა შეეპარა ხმაში ფარნავაზს.

— არაამქვეყნიური მშვენიერება ახლავს ვაჩეს და ანათას ქალს, ავაზაკსაც რომ განაიარაღებს, ისეთი ამაღლებული სრულყოფილება. ამიტომაც ცუდს არ მიგრძნობს გული. — სთქვა ქუჯიმ.

ფარნავაზი მიხვდა, რომ დასამშვიდებლად უთხრა ეს სიტყვები ეგრისის მთავარმა და მადლიერებით აევსო გული მის მიმართ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— რაც შეეხება უკან დაბრუნებას, არც გაიგონო ეს აზრი ვაჩეს... ხომ გახსოვს, როგორ შორს დაიჭირა ადონის სიტყვა, თუ გსურს ტანჩიას გავაყოლებ ფარნავაზს, გულდამძიმებულმა როგორ უნდა იარო შორეულ გზაზეო. — გააგრძელა ქუჯიმ სათქმელი.

— ტანჩიას წამოსვლა მთაში მითქმა-მოთქმას გამოიწვევდა, რადგან მის ოჯახში კი არა, ვაჩესთან და ანათასთან გავიზარდე. ამიტომ ჩემი და ვაჩეს ერთად სპარსეთში გადასვლა, როგორც ხმა დავაგდეთ, უფრო დამაჯერებელი იყო. იციან: მელექსეს ბევრი მეგობარი ჰყავს დედაჩემის სამშობლოში. — უპასუხა ფარნავაზმა.

— მოკლედ, შვილობილს გამოჰყვა, რადგან საჭიროდ მიიჩნია. — ყველაფერში გარკვეულობა უყვარდა ეგრისის მთავარს.

— ის საქმე, რასაც სამარა და დუდე შეეწირა, და, რომელსაც ვაჩე მთელი ცხოვრება ერთგულად ემსახურება, უპირველესია მისთვის. მართლაც მამასავით ულალატო ეს დალოცვილი. — სიყვარულით გახედა მელექსეს ფარნავაზმა.

— მიყვარს სანდო ხალხთან ურთიერთობა. შენი სიტყვების მერე ვაჩეს ბრმად მივენდობი. — გაუხარდა ქუჯის.

— გგონია, რომ ადონი შეცდებოდა კაცის გამოცნობაში?

— ორის აზრი მაინც უფრო სანდოა. თუ ამ აზრს სამარას და დუდეს ნდობაც ემატება, სულ უკეთესი. ნუ გიკვირს, ძალღურმა ყოფამ და უცხო ქვეყნებში ხეტიალმა ეჭვიანი რომ გამხადა.

—ეჭვიანი კი არა, ფრთხილი. — გაუცინა ფარნავაზმა.

— ორივე ჩემმა ცხოვრებამ მოიტანა, როგორც გითხარი, — სთქვა ქუ-

ჯიმ, მწარედ გაიღიმა და მინდორზე გაშლილი სუფრისკენ წაუძღვა ფარნავაზს.

უყურებდა მის წინ მიმავალის გაჭაღარავებულ თმებს იბერიის ტახტის ახალგაზრდა მემკვიდრე და როგორც მრავალჯერ, ახლაც უკვირდა ეგრისის მთავრის დიდებული უბრალოება, ადამიანის სულთან უსწრაფესად დამეგობრების უნარი, მისი ახალგაზრდული შემართება და ჭაბუკური გატაცება ყოველი საქმით, რაც კი კეთილად მიაჩნდა.

— ეს ღამე აქ უნდა გავათენოთ, — განაცხადა ნავახშმევს ფარნავაზმა და ქუჯის გადახედა, — ცხენებიც დაისვენებენ და ჩვენც როდი გვაწყენს აქაური სუფთა ჰაერი და სიმშვიდე.

არაფერი უთხრა ქუჯიმ, თუმცა კი ადონისგან დაბარებული ჰქონდა: ეცადეთ ღამე სანდო კაცის სახლში გაათიო, ცის ქვეშ ნუ დარჩებით, რადგან უთვალავი ავაზაკი დაძრწის გზებზე გამდიდრებაზე დახარბებულიო. მხოლოდ ეს თხოვა ძილის წინ ფარნავაზს: — ვიცი, განთიადისას სანადიროდ წახვალ და ეცადე, დილამდე დაბრუნდე, რათა გზა დროულად გავაგრძელოთო...

* * *

მდინარის სათავეს ასცდა და გულდაგულ შეუდგა მთის წვერისკენ მიმავალ ბილიკს. მარდად მიდიოდა. გრძელი ნაბიჯით ზომავდა მიწას, ამ მთის იქითა გადასახედის ხილვა უფრო ეწადა, ვიდრე ნადირობა... არწივის თვალი გადაავლო მთის ძირში ჩაკარგულ სიმწვანეს, ხეობაში თოვლის გუნდასავით ჩაკიდებულ ნისლს ჩააცქერდა და მკლავების გაშლა, გაფრენა და ამ დიდებული სივრცის დაუფლება მოუნდა.

სიცილი შემოესმა უცაბედად ავლენილი და მოწყვეტილი. ყური მიუგდო. მომეჩვენაო, — დაასკვნა მალე. თავქვე დაუყვა გზას, ორბი შენიშნა მთის წვერისკენ მიმქროლავი, მშვილდი მოზიდა...

ისევ შემოესმა სიცილი... მიმოიხედა და ორმოციოდე ნაბიჯის სიშორეზე მთის ფერდობზე შემდგარი ქალი დაინახა. უმალ მხარზე გადაიკიდა მშვილდი და დააკვირდა. — უთუოდ ნადირობის ქალღმერთი გამომეცხადაო, — გაიფიქრა, როცა დარწმუნდა, რომ ძლიერ ლამაზი იყო ეს თითქმის შიშველი, ვერცხლისფერთმიანი არსება. ქალმა ხელი გამოუშვირა და მეორე ხელით ხეობის სიღრმისკენ მიუთითა. ფეხს აუჩქარა. მიუახლოვდა კიდეც და უცებ დაუსხლტა ქალი, გაუჩინარდა ხეთა შორის. თავქვე დაუყვა ფერდობს, მითითებულ გზას დაადგა მონუსხულივით. ისევ გამოჩნდა ირიბად დაცემულ მზის სხივებში გახვეული ვერცხლისფერი თმები და თითქმის შიშველი ტანი. ჯეირანივით ლამაზი და ძლიერი ფეხები მიწას კი არ ეხებოდა, ეთამაშებოდა თითქოს. მიჰყვა ფარნავაზი ამ უცნაურ ჩვენებას და იმასაც მიხვდა, რომ ვერა ძალა ვერ მოაცილებდა მისი ნაკვალევიდან, სანამ საწადელს არ მიაღწევდა. არც შეუმჩნევია, როგორ ჩაილია მის წინ ტყის სიმწვანე, როგორ გამოჩნდა ყვავილები მომცრო გორაკზე, როგორ ჩათავდა გორაკიც და როგორ აღმოჩნდა ტრიალ მინდორზე. შეჩერდა. ხედავს — ელოდება ქალი: შეთქმულივით უღიმის. სუნთქვა შეეკრა. თვალი შეავლო მერცხლისფრთასავით გაშლილ წარბებს და ვარდისფერ მკერდს ვერ მოსწყვიტა მზერა. მკლავი გაშალა, რათა შემთხვევით ნაპოვნ ამ საუნჯეს დაუფლებოდა და ექვსი კაცი ჩაეჭიდა მის გაშლილ ხელებს. გაძალიანდა. სანამ მეშვიდემ ფეხები არ დაუჭირა, ვერ დასვეს მიწაზე. მერე მსხვილი თოკი შემოახვიეს ტანზე.

თვალს არ აცილებდა მიმტყუებელს და ქალზე კი არა, საკუთარ თავზე ბრაზდებოდა.

რაღაც უთხრა ქალმა ავაზაკებს ფარნავაზისთვის გაუგებარ ენაზე და თავაწეული გაეშურა მოშორებით მდგარი მოხუცისკენ. მოხუცმა ხელით ანიშნა — წამოიყვანეთო და თვითონაც ქალს აედევნა... როცა მიხვდა, რომ ავაზა-

კებს ვერაფერს გააგებინებდა და წინააღმდეგობაც შეიძლებოდა სიცოცხლის ფასად დასჯდომოდა, დამორჩილდა და გაჰყვა დაბალი ტანის, კეფაზე დედაკაცივით თმაშეკრულ კაცს, რომელსაც მასზე შემოხვეული თოკის ბოლო წელზე მოება. დანარჩენებიც მიჰყვნენ. ბევრნი იყვნენ. „მაინც როგორ უბრალოდ და უბრძოლველად ჩაუვარდი ხელში ამ მტაცებლებსო" — გაიფიქრა გულამღვრეულმა და თვალით მოზომა მანძილი ფერდობის ძირამდე.

მოხუცი ამოდგა გვერდით.

— შენს სიცოცხლეს არაფერი დაემუქრება თუ ჭკუით მოიქცევი და შენს მხლებლებს უბრძანებ გამოსასყიდი მოასხან ჩვენს ბელადთან.. — უთხრა ბერძნულად.

ფარნავაზმა მხრები აიჩეჩა, ვითომც სადა მყავს მხლებლებიო.

— მაგაზე ნუ სწუხარ. შენი შემოტყუება იყო საქმე, თორემ შენი მხლებლები თავიანთი ფეხით გვეახლებიან. უკვე გავგზავნეთ ჩვენი კაცები.

ცოტა ხნის შემდეგ მართლაც გამოჩნდნენ ქუჯი და ვაჩე.

— ჩვენი ბელადი .თქვენი ბატონის გამოსასყიდლად ერთ ფერდობ ცხვარსა და ორმოცდაათ ძროხას ითხოვს. ხოლო ეს ახალგაზრდა თქვენი ბელადი რომ არის, ჩემმა ქალიშვილმა გვითხრა. ირე კი არასოდეს შემცდარა ასეთ საქმეში. — მიუბრუნდა ქუჯის მოხუცი. — როცა პირობას ასრულებთ, ამ ახალგაზრდასაც გავათავისუფლებთ და ხეობათა იწროებში თქვენს სვლას არ შევაჩერებთ. ჩვენი ბელადის სიტყვა გაუტეხელია.

ქუჯიმ ტუჩი მოიკვნიტა.

— ძლიერ საშური საქმე რომ არ გვქონდეს, თქვენი მოთხოვნის ასრულებას წინ არაფერი დაუდგება, — წამოიწყო და ფერდობს მოავლო თვალი. შებმას აზრი არ ჰქონდა. — შეგვიძლია ოქრო გადაგიხადოთ.

— ამ მთებში ცხვარ-ძროხა ოქროზე მეტად ფასობს — გაიცინა, ჩაშავებული კბილები გამოაჩინა მოხუცმა, — ასეც არ იყოს, ეს საქონელი ჩემი ქალიშვილის მზითევად გამოდგება. ჩვენი ბელადი, — გაიშვირა ხელი უსაშველოდ მაღალი, მელოტი კაცისკენ, — — სწორედ ამდენ ცხვარ-ძროხას ითხოვს ირეში.

მელოტმა კეხიან ცხვირზე ხელი ჩამოისვა, ბილწად გაიცინა და ქალიშვილს წელზე შემოხვია ხელი. ირე ცივად გაეცალა.

— ჩვენი ბელადი ამბობს, რომ ერთ კვირაზე მეტს ვერ მოიცდის... თუ დანაპირები დროზე არ შეასრულეთ, თქვენი ბატონის თავს აზონს გაუგზავნის. ახლა შეგიძლიათ თქვენს ბატონს დაელაპარაკოთ.

მოხუცი უსაშველოდ მაღალ კაცს მიუახლოვდა.

ქუჯის სურდა ვაჩე გაეგზავნა აღონთან, თავად კი ფარნავაზთან დარჩენილიყო.

— კარგად თუ ივლი, ერთი კვირის თავზე მოასწრებ კიდეც ჩამობრუნებას. თვითონ გადაწყვეტს აღონი როგორ გაუსწორდნენ მთიელები ფარნავაზის გამტაცებლებს.

— შენი დარჩენა ეჭვში ჩააგდებს ავაზაკებს. ვაჩეს აედევნებიან და მთიელების გადმოსვლაც არ დარჩებათ შეუმჩნეველი. შებმას ვერ გაბედავენ. ხოლო ერთი კაცის თავის მოკვეთას მაინც მოასწრებენ გაქცევამდე. — მწარედ გაეღიმა ფარნავაზს.

— მაშ დაგტოვოთ და წავიდეთ? — ვაჩეს კაცის ფერი არ ედო.

— თუ დიდი მიზნის ასრულება მიწერია, კიდეც დავიხსნი თავს. აღონისგან ბევრჯერ გამიგონია: განგება დახსნისა და დაღუპვის გზებს უჩუმრად ხლართავს ერთმანეთში, ერთი გზა წალმა მიდის, მეორე — უკუღმა. ბედნიერი მალე გამოარჩევს და წაღმას აუყვება, განწირული კი... მაინც ვფიქრობ, მთლად განწირული არ უნდა ვყავდე განგებას. — თვალი ირესკენ გააპარა. — წადით და გადასასვლელთან დამელოდეთ.

— ერთ კვირაში გამოსასყიდი თქვე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნთან იქნება. — გასძახა უსაშველოდ მაღალ მელოტს. — უბრძანე ტანზე ბაწარი ამხსნან. ვხედავ, რომ ბევრნი ხართ და გაქცევას აზრი არა აქვს.

შუადღისას წვიმა მოვიდა და ავაზაკებმა სახელდახელო კარვებს მიაშურეს. ხელ-ფეხდაბორკილი ფარნავაზი მოხუცმა და მისმა ქალიშვილმა შემოიყვანეს თავიანთ სადგომში.

— შენ იმის ტყვე ხარ და იგია მოველი თვალყური გადევნოს. გონიერი კაცი ამაოდ არ შეაკლავს თავს ავაზაკებს, მთელ გზაზე თავისი ხალხი ჰყავს დაყენებული მელოტს. — სთქვა მოხუცმა, ცხვრის ტყავზე გაიშხლართა და დაიძინა.

იმი ღამე თვალი არ მოუხუჭავს ქალიშვილს, არც ხმა ამოუღია და არც მოსცილებია თავის ტყვეს.

მესამე დილით მაღალი შემოიზლაზნა კარავში. ქალიშვილს მიუჯდა გვერდით, ბილწად გაიცინა და რაღაც ჩასჩურჩულა ყურში.

იმეს სისხლმა აასხა სახეზე და სილა გაუწნა მელოტს. მელოტმა კეხიან ცხვირზე ხელი ჩამოისვა და ნელა წამოიმართა, ამღვრეული თვალები ფარნავაზს მიაპყრო.

— მეუბნება, მამაშენს მოვკლავ ეს კაცი რომ გააპაროო. — გადაუთარგმნა მელოტის ნათქვამი ფარნავაზს. — შენ კი გიბრძანებს მის მოსვლამდე ადგილიდან არ გაინძრე და მე არ დამელაპარაკოო... ამბობს, იცის დიდი კაცი რომ ხარ და მთიელები შენში არაფერს დაიშურებენ. გირჩევს ჭკუით იყო, სიცოცხლეს გაუფრთხილდე და არც მთიელები გადაჰკიდო ტყუილ-უბრალოდ.

მელოტი გავიდა.

— მამაჩემი გაიყოლა. კარგახანია ვუდარაჯებთ ოვსეთის უფლისწულს, იგი უნდა შემომეტყუებია ტყეში. ოვსებთან თავისი ანგარიში აქვს მელოტს. შემეშალა... უფლისწული სწორედ შენნაირი წარმომედგინა. მელოტმა სთქვა მთიელიაო, ხოლო მთიელთა გადაკიდება არ სურს. ამიტომაც გამოსასყიდს დასჯერდა და დროც მოვიდა [illegible] იმემ დამტვრეული ბერძნულით.

— სხვებისგან რაღას ითხოვს?

— ოვსებს მაგის ძმა ჰყავთ ტყვედ ჩაგდებული, მისი გამოხსნა უნდა, სამოსახლოსაც ითხოვს, ამბობს მომწყინდა წანწალი, ერთ ადგილზე უნდა დავავდეო. მამას და მე ძლიერ გვეჯავრებიან ავაზაკები, მაგრამ თავს ზევით ძალა არ არის. ათი წლის წინ მოგვიტაცეს. გამოსასყიდი რომ ვერ მიიღეს, ჩემი ხათრით მამაჩემიც ცოცხალი დატოვეს, ხოლო მე სიცოცხლეს გამომაცხადა. ორჯერ გავიქეცით და შეგვიპყრეს.

— ჩემი ხალხი [illegible]

— თქვა ფარნავაზმა.

— მამას მოძიკლავს [illegible] თავი გაიქნია იმემ.

— თუ არ მოიტანეს გამოსასყიდი?

— მამაჩემმა უნდა [illegible] მამა კი კეთილია. ძლიერ [illegible]

— შენ?

— რომ მცოდნოდა, უფლისწული არ იყავი, არც შემოგიტყუებდი. მამა ამბობს, ტყუილად [illegible] კისერზეო — ცრემლით [illegible] თვალები.

— გაქცევაც რომ შევიძლო, უშენოდ არ წავალ, ამათ ხელში არ დაგტოვებ. მამაშენიც გავიყოლოთ. [illegible] არ გეხატება გულზე მელოტის ცოლობა.

— მამას მოძიკლავს. მას მეტი ქვეყანაზე არაფერი გამაჩნია. [illegible] ძალით გაიქნია თავი იმემ.

შუაღამისას ვიღაც შეეხო ხელზე. თვალი გაახილა. ვაჩე და უცნობი კაცი წამოსდგომოდნენ თავზე. ხელ-ფეხი გაუხსნეს. ფარნავაზმა იმე მოსძებნა თვალით. ქალიშვილი არსად იყო.

— მამამისს მელოტი მოუკლავს, მის დამქაშებს კი მოხუცისთვის მოუღიათ ბოლო. უმეთაუროდ დარჩენილებს ერთმანეთთან დაუწყიათ ანგარიშსწორება. ეს კაცი ჩემი ძველი ნაცნობია, მისთვის სიკეთე გამიკეთებია და ამ დღეში რომ მიხილა, გადაწყვიტა დაგვხმარებოდა. უკეთეს დროს ვერ ვიპოვით. შენი მცველები იმემ დააძინა, ღვინო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მე ბანგი ჩაუყარა. უჩვენოდაც აპირებდა შენს დახმარებას. ახლა მამამისს დასტირის...

ღამის სიბნელეს უჩუმრად შეუერთდნენ და განთიადამდე უბრად იარეს. გადასასვლელთან ქუჯი ელოდებოდათ.

სწრაფად გადაევლო ცხენს ფარნავაზი, მოიხედა. დაინახა, ირე უმზერდა, ულიმოდა და ტიროდა ერთდროულად. თვალი მოსწყვიტა ფარნავაზმა ქალიშვილს და კვალში ჩაუდგა მხლებლებს. ერთხელ კიდევ მოუნდა ირეს დანახვა. თავი მოაბრუნა. ისევ ისე იდგა მთის ჯეირანი, ტირილიან-ღიმილიანი, გზასაც ულოცავდა და თავისკენაც იხმობდა თითქოს.

მოაბრუნა ცხენი. ქალიშვილისკენ გასწია. ხელებგაშლილი წამოვიდა მის შესახვედრად ირე. აიტაცა. ცხენზე შემოისვა წელზე შემოხვია მარცხენა, ირეს ცრემლებმა დაუნამეს მკერდი.

მალევე წამოეწია ქუჯის და ვაჩეს.

* * *

ყველას გასაკვირად სამეფო თათბირი აზონმა დასასვენებელ სასახლეში ბრძანა. ხმები დადიოდა, მეფემ მცხეთიდან ასე მოშორებით იმიტომ ინება თავისი ხალხის შეკრება, რომ პონტოდან მოელის სტუმრებს, მათ კი არ აკადრა ზამთრის პირზე გაფუჭებული გზით მოგზაურობა და თვითონ წაიწია მათ შესახვედრადო. უკვე რამდენიმე დღეა გამოუდმებული სამზადისია ლიხის მთისპირა სასახლეში. თავმოსაწონი და ძვირფასი ნივთებიც კი გადმოაზიდინა მონებს მცხეთიდან აზონმა. სათათბირო დარბაზში ახალი სავარძლები დაადგმევინა და თავისი სამეფო ტახტის უკან ამაღლებული ლოჯიები მოაწყო სტუმრებისთვის.

სპასალარს უბრძანა, საზეიმოდ გამოწყობილი რჩეული ჯარი, რომელშიც მხოლოდ პონტოელი და ბერძენი მეომრები შედიოდნენ, თათბირის დღისთვის, კლდეკარის მისადგომებთან გაეწყო ლაგებინა. ხართამკრეფებს გზისპირა სახლების გალამაზება, [illegible] ყურისგდება დაავალა.

სტუმრების მოსვლას იბერთა მოსავლის დღესასწაულისთვის ვარაუდობდა, ამიტომაც გასცა ოქრო და ვერცხლი, როგორც სურთ და როგორც წესი მოითხოვს, ისე აღნიშნონ ქართლოსიანებმა ვაზისა და ცხოველთა მფარველი ღვთაების დღესასწაული. მთავრებსა და ერისთავებს წინასწარ მოეთათბირა.

— ხალხი იმ დღეებში არ გაანაწყენოთ, პატივი ეცით, ხოლო ვისი საბრძანებელიც უკეთ დაუხვდება სტუმრებს, იმას ჩემი სიყვარული არ მოაკლდება და დანახარჯის ამოღებაშიც მივეხმარებიო.

ყველაფერი ისე მოეწყო, როგორც დამპყრობელი ვარაუდობდა და კიდეც განცვიფრდნენ მითრიდატესგან წარმოგზავნილი კაცები. სამოთხისდარი ცხოვრება დაუმკვიდრებია აზონს ამ უძველეს მიწაზეო. სადღესასწაულოდ გამოწყობილი იბერები და უფლისციხელები გულღიად ესალმებოდნენ სტუმრებს, ყვავილების თაიგულებს უფენდნენ ფეხქვეშ და ყოველი სოფლისა თუ ქალაქის დასაწყისში საჩუქრებით უვსებდნენ ურმებს...

სასახლის მისასვლელთან გზის ორივე მხარეს ჩამწკრივებულიყო სასახლის ჯარი. ლაპლაპებდნენ შუბები, ბერძნული მუზარადები, ფრიალებდნენ სამთავროთა დროშები, ისმოდა შეძახილი და მისალმება ბერძნულ, სპარსულ და ქართლოსიანთა ენაზე...

ჭიშკართან სპასალარი შემოხვდა მითრიდატეს უპირველეს ვაზირს და ეტლიდან გადმოსვლაში შეაშველა ხელი.

ერისმთავრები და ვაზირები დანარჩენ ეტლებთან და ურმებთან გაჩნდნენ, რათა საპატიო სტუმრები სამეფო სასტუმროსკენ წაებრძანებინათ.

ყველა ჩამოსულს თავისი პირადი მასპინძელი ჰყავდა მიჩენილი, რომელსაც გამგზავრებამდე სტუმრის კვება, მოსვენება, გართობა და დასაჩუქრება ევალებოდა.

აზონის შიკრიკები განუწყვეტლივ ამო-

წმებდნენ, თუ როგორ სრულდებოდა მისი მითითებანი და ყოველ საღამოს მოახსენებდნენ ხოლმე მბრძანებელს დღის შედეგს.

არც სპიანდრეს ჰქონდა ნაკლები საქმე. მას წლევანდელი სათათბიროსთვის იბერიაში ახალი სარწმუნოების შემოღება უნდა მოეხსენებინა. ბარე ათი კაცი, სხვადასხვა რწმენის მცოდნე და მეცნიერი, უკვე სამი თვეა ცდილობს ერთმანეთს ისე შეუთანხმოს უძველესი ხალხების ცოდნა, რომ იბერიაში მცხოვრებმა ყველა ხალხმა და ტომმა, მასში თავისთვის სასიკეთო და მისაღები რწმენა დაინახოს. აზონი თვითონ ხელმძღვანელობდა ახალი რწმენის შემოღებას.

ამ მისატყუარის აზრი აზონს სპიანდრემ ჩააგონა, როცა გულდაწყვეტილი შესჩიოდა მეფეს იბერიელთა სიბრიყვეზე, რომლებმაც დაივიწყეს ყველაზე უძველესი და კაცთათვის გასაგები ადრეკილას დღესასწაული. იმდენად მოსწონებია ეს წესი სპიანდრეს, როცა შემთხვევით მთის ორი მივარდნილი სოფლის ზეიმს დასწრებია, რომ თავისი ქურუმებისთვის გამოუკითხავს, რომელ ძველ რწმენაში ადიდებენ ასე თამამად სიცოცხლის ნერგსო. მათაც მოუხსენებიათ ბერძნული დიონისესა და ინდური შივას შესახებ. ისიც უთქვამთ, ინდური რელიგიის მიხედვით სიყვარულის წესი ტაძარში სრულდება და ღმერთის სადიდებელ საქმედ მიიჩნევაო. წამოვიდა სპიანდრე მეფესთან. — თუ გინდა ხალხი სამუდამო მორჩილებაში გყავდეს, მიეცი უფლება ისე ილოცოს, რომ შენ ვნება არ მოგაყენოსო... აღვადგინოთ ადრეკილას ძველი წესი და ქალსა და კაცს ღვთაებრივად დავუკანონოთ ერთმანეთთან კავშირის შეუზღუდველობაო — უთქვამს.

გაუკვირდა აზონს, სპიანდრეს ვით მოუვიდა თავში ასეთი ჰკვიანური აზრიო და ნება დართო — ნელ-ნელა აღადგინე იბერიელთა მივიწყებული დღესასწაულიო — და თვითონაც იმაზე დაფიქრდა, დრო ხომ არ დადგა ერთიანი რწმენა შემოვიდო [illegible]... დაფიქრება, გადაწყვეტ[illegible]თა მოწვევა ერთი იყო

სპიანდრემ ადრეკილას კერპის დღესასწაული მთვარის ეტლის სვლას დაუკავშირა და მნათობის ავსებისა და დაცხრომის დღეებს დაამთხვია. ასე რომ, ერთ თვეში ორჯერ იმართებოდა სიყვარულის ღვთაებრივი წესი იბერიის უძველეს ტაძარში.

თანდათან იმატა საკერპო ზეიმის მონაწილეთა რიცხვმა და ამ ბოლო დროს ტაძრის განიერი ეზო ძლივს იტევდა მორწმუნეებს. განსაკუთრებით ახალგაზრდები მოეძალნენ სალოცავს.

იცინოდა სპიანდრე, მაინც რამდენი წარმოსადეგი და ჯანმრთელი ახალგაზრდა ყოფილა სამეფოში, ახლა ისინი საშიშნი არ არიან, რადგან კვირიდანკვირამდე მხოლოდ ადრეკილაში მონაწილეობაზე ოცნებობენო...

სათათბიროში გამოსვლის და სიტყვის თქმისა მაინც ეშინოდა სპიანდრეს, — ერისმთავართა, ბერძენ ასისთავთა და ქურუმთა შორის ბევრი მტერი მყავს და პირში არ ჩამჩარონ სიტყვაო...

სამეფო სათათბიროს დაწყების წინ ეგრისის ქალბატონთან განმარტოვდა აზონი.

— როცა შენი სასახლის უსინდისო გამგებელზე ილაპარაკებ, ისე არ გამოგივიდეს, თითქოს ყველა პონტოელს ეხებოდეს შენი ნათქვამი... უნდა აღნიშნო, რომ უმეტესნი ჩემს ხელქვეითთაგან პატიოსანი, ქვეყნისმოყვარული და ერთგულია, ხოლო თუ მათ შორის უკეთური გამოერია მეფე არ დაინდობს, თუნდაც მისი მიწა-წყლის კაცი იყოს-თქო. მერე კი ჩემს მიუდგომლობაზე და იბერიის ბედნიერებისთვის ზრუნვაზე შეგიძლია ორიოდე სიტყვა სთქვა, ნუ გადააჭარბებ ჩემს ქებაშიც. იფიქრებენ, დანათესავება სურს და იმიტომაც აქებს მომეტებულადო. — მოძღვრავდა აზონი ეგრისის ქალბატონს.

ბოლომისგან გული უსკდებოდა ქალს

და თავის საფიქრალსაც არ ივიწყებდა:
— ის გაზულუქებული კილიკეც არ ჩანს, არც არავინ იცის მისი გზა-კვალი... დედამისი კი ამტკიცებს: დროს გასატარებლად და ნათესავების მოსანახულებლად გაისტუმრა ჩემი ვაჟი აზონმაო, მაგრამ სულელ დედაკაცსავით ვენდო და დავუჯერო. ბევრს არაფერს გააგებინებდა თავის პირველ ცოლს აზონი. ვაი, თუ გადაიფიქრა მეფემ მემკვიდრედ ჩემი სასიძოს დანიშვნა? ხომ არ აუმღვრია ტვინი მწითურმა? უნდა ვუბრძანო კილიკეს დედას, სისრულეში მოიყვანოს ჩვენი განზრახვა:
— მოწამლოს მეფის უმრწემსი ვაჟი... ამბობენ, უფრო და უფრო მეტ დროს ატარებს თავის ახალგაზრდა ცოლთან აზონი, ბიჭიც გამორჩეულად უყვარსო...

* * *

სათათბიროდ შეკრებილი საზოგადოება მისთვის გამოყოფილ ადგილებზე მოთავსდა დიდ დარბაზში. გაცისა და გაის სალოცავების მთავარმა ქურუმმა დალოცა სტუმარ-მასპინძელი, მეფესა და მის ოჯახს დღეგრძელობა უსურვა და დინჯად გაგორდა თავისი სავარძლისკენ.

აზონმა ამღვრეული, წინა დღის ნამთვრალევი თვალები მიაპყრო დარბაზს და ტახტიდან წამოიწია...

— მე, იბერიის მეფე და მბრძანებელი, აზონ პონტოელი, ფეხზე ვდგები ჩემი სამეფოს საპატიო სტუმრების წინაშე და მადლობას მოვახსენებ მითრიდატეს, მცირე აზიის უძლიერეს გამგებელს, თავისი პირველი ვაზირის გამოგზავნისთვის...

თათბირი ორ დღეს გაგრძელდა. მის მონაწილეთათვის ყველაფერი, რაც ამ დარბაზში უნდა თქმულიყო, წინასწარვე იყო ცნობილი, ამიტომაც გულგრილად უსმენდნენ ორატორებს და ცდილობდნენ თვალებზე მომდგარი რული როგორმე დაეძლიათ, რათა მეფის მსტოვრებს არ შეემჩნიათ.

აზონი ფრიად კმაყოფილი დარჩა, თუმცა კი ორი დღე ტყუილად ალაპარაკა მოთათბირენი. ეს თათბირი კი მხოლოდ იმისთვის სჭირდებოდა იბერიის მპყრობელს, რომ ქვეყნისთვის პონტოსა და მისი სამეფო კარის ერთიანობა და მეგობრობა ეჩვენებინა. აგრეთვე ხალხი დაეჯერებინა თავის უძლეველობასა და იბერთა მიმართ კეთილგანწყობაში, თავის სიმტკიცესა და მიუდგომლობაში.

ხალხის მოტყუება მაინც ვერ შესძლო აზონმა, რადგან ხალხმა იმაზე მეტიც იცოდა, ვიდრე მეფე თავის უახლოეს ვაზირებს უმხელდა ხოლმე გულახდილობის დროს. და არც ის ავიწყდებოდა ხალხს, თუ რამდენი სისხლისა და ოფლის ფასი ჯდებოდა თვითეული ასეთი ფუყე შეკრება და ვითომც იბერიის კეთილდღეობისთვის საჭირო ზეიმები... ოღონდ კი არ ამჟღავნებდა თავის გრძნობებს, დროს ელოდა.

* * *

სარაპანისის მეციხოვნეებმა არმაზი და ვაჟიკა შეიპყრეს და ციხის უფროს წარუდგინეს.

— ბერები ვართ, მთვარის ღვთაების შეწირულები, ჩვენი უძველესი სალოცავის სანახავად მივდივართ არიან პონტოსა და მცირე არმენიის საზღვარზე რომ დგასო, — ბრძნულად მოახსენა არმაზმა ლოყებღაჟღაჟა კოლხს.

— იბერიიდან გამოქცეული ყოველი ახალგაზრდა ბერად და ღვთაების შეწირულად აცხადებს თავს... ჩვენ კი თქვენს მეფეს, აზონს, დავპირდით, გამოქცეულებს უკან დაგიბრუნებთ, საზღვარზე არ გავატარებთ-თქო. კეთილ მეზობლობას ერთი-ორი კაცის გულისთვის ვერ მოვშლით. მე თუ მკითხავთ, იბერიელებს ცალ-ცალკე სირბილი არ გარგებთ. ამბობენ, მათმა უცხოელმა მეფემ ხალხი საბოლოოდ დაიმორჩილა და მემკვიდრეც ჩამოიყვანა, რათა მისი გვარის დიდება და სახელი არ მოშალოს იბერიაშიო... თქვენ კი დაეხეტებით თითო-თითოდ. უკეთეს მბრძანებელს

ექებთ, რათა თავი შეაფაროთ და კარგად იცხოვროთ, ასე არ არის?

— არც კოლხებს დაგმართათ უკეთესი დღე ბერძნების სიყვარულმა და მათ ყაიდაზე ცხოვრების მოწყობამ, — ვერ მოითმინა ვაჟიკამ.

— ბიჭოს, ეს რა პირდაპირი კაცი ყოფილა, — დასცინა ლოყებღაჟღაჟამ ვაჟიკას, — ე მასეთი ლაპარაკისთვის მოსალოდნელია, შენი ლამაზი თავი ჯერ მიწაზე გააგორონ და მერე ენით ჩამოკიდონ ხის ტოტზე...

— მე იმის თქმა მსურდა, რომ სხვისი გაკიცხვა ადვილია უფრო, ვიდრე საკუთარი ნაკლის დანახვა! — არ დაიხია უკან ვაჟიკამ.

— ვითომც რა გვაკლია კოლხებს ისეთი... ხომ არ გგონია უმეფობა, მეფიანობაზე ცუდი რამ იყოს, თანაც ვინ დაგვიშლის, როცა მოგვინდება მაშინ დავსვათ მეფე ტახტზე? ჯერ ვაცალოთ, ბატონო, მოიღევს აკის ვაჟი ბერძნების სიყვარულს და თუ ისეთი ვაჟკაცი დადგა, როგორიც იბერიელთა სჯულიერი სამეფო კაცია, ხომ კარგი, თუ არა და... ვიქნებით ასე ერთ ხანს. არც მთავრები გვპატრონობენ მეფეზე უარესად, ისე, კარგად თუ დავფიქრდებით, მეფეც კი გვყავს. ხომ არ გავიწყდებათ, აკი ცოცხალი რომ არის და ავადობის მიუხედავად, მეფედ ითვლება?

— სჯულიერი სამეფო კაცი როდის გვყავს იბერებს? — სწრაფად შეეკითხა არმაზი.

— კილიკეზე ვამბობ, ჩემო ბატონო. აზონს რომ ჰკითხო, მთელი ქვეყნის ხალხი პონტოური ანუ უძველესი ქართლოსიანური რწმენით და ღვთაებების იმედით არსებობს.

— აზონის აზრი, ახლა რომ ბრძანე, უფრო ბოდვასა ჰგავს, ვიდრე ჭკვიანურად განსჯილს, — წყნარად უპასუხა არმაზმა, — ხოლო ჩვენ კაცთა ცოდვებთან არცა გვაქვს საქმე, რადგან უმაღლესი ღვთაების სამსახური არ გვაძლევს ამის ნებას...

ლოყებღაჟღაჟა კოლხი დაფიქრდა.

— ვხედავ, ურიგო ხ[illegible] უნდა იყოთ, თუ ღვთაების წ[illegible]-მდე მოდით, მეც არ შეგიშლით ხელს მის სამსახურში. ან რა უფლება მაქვს მორწმუნენი სალოცავამდე არ მივუშვა... ოღონდ, გირჩევთ მარტო არ იაროთ, რომელიმე ქარავანს აეკიდეთ და გაჰყევით... ბერის ტანსაცმელი სულაც ვერ გიფარავთ ეჭვიანი თვალისაგან. განსაკუთრებით ამაზე ვამბობ, — მიუთითა ვაჟიკაზე — ეს ღამე აქ გაათიეთ. ხვალ დილით ერთი ბაქტრიელი დიდებული მიემგზავრება დიდი ამალით და იმას შეუერთდით.

* * *

— მართალი გვითხრა იმ კოლხმა, — არ ისვენებდა ვაჟიკა, — ჯერ იყო და ბერას ნამდვილი ვინაობა დაუმალეთ აზონის მოძულე მთიელებს, მერე ეს სულელური მოგზაურობა მოიგონა ადონმა და მამაჩემმაც აუბა მხარი... ერთი წელი უცხო ქვეყანაში, უცხო მეფის კარზე ტყუილად უნდა გავატაროთ... საკვირველია სწორედ, აზონს მაინც რატომ შეუთვალეს, შენ მხოლოდ საშენი მასალა მოგვაწოდე და დარიალთან ციხეს ჩვენ აგიშენებთო... მუდამ მეგონა ქვეყნის დამცველად და მეომრად მზრდიდა პირქუში, მაგრამ, როგორც ვხედავ, თვითონაც არ ჩქარობს ბრძოლას. როცა სოფელში ამოსული კილიკე ხელთ გვყავდა, არ მომაკვლევინეთ ძაღლისშვილი. იქნებ მაშინ მაინც დაწყებულიყო ბრძოლა და საშველიც დასდგომოდა ამ ქვეყანას. ვეფერეთ კილიკეს, თავზე ბეწვი არ შევურხიეთ და ლამზირაც მოგვტაცა. ტყუილად აბრალებენ მთიელები დიდოელებს ლამზირას გატაცებას. ვფიქრობ, სულ ტყუილად გაისარჯა იქ წასვლით ანათა. შეუთანხმდა თავის პინძურ მამას კილიკე და მოიტაცა კიდეც ქალი. ალბათ, სადმე პონტოელებთან ჰყავს გადამალული...

— მოტაცება რად დასჭირდებოდა, მოსთხოვდა მეფე ლამზირას თავს მთიელებს და, თუ ისინი დაუკავებდნენ,

მაშინ სხვა ძალით აასრულებდა თავის ბრძანებას აზონი, — მძიმედ გაეპასუხა არმაზი.

— ვერც შენი გამიგია რაიმე. ამ ერთი თვის წინ ბერა იმას მიმტკიცებდა, ქალს მგონი არმაზი უყვარს და მე და შენ ხელი არ უნდა შევუშალოთ მეგობარსო. შენ კი ისე გულგარეთ ლაპარაკობ ლამზირაზე, თითქოს კი არ მოგტაცეს, თავად მოატაცებინე იგი ავაზაკებს...

— გაჩუმდი! — დაუყვირა არმაზმა, რადგან ძლიერ ემწარა ნათქვამი.

ვაჟიკამ ენა ჩაიგდო და მეორე დილამდე არ ამოუღია ხმა, სამაგიეროდ ფიქრებმა დაღალეს.

თავის გუნებაში მაინც არ ეთანხმებოდა არც მამას, არც ადონს, არც არმაზს და არც ბერას, რომელიც თურმე მცხეთის ტახტის კანონიერი მემკვიდრე ყოფილა. ფიქრობდა და ვერ მიმხვდარიყო. ახლა, როცა სამეფო კაციც ჰყავდათ იბერებს, წინ რაღა ედგა ბრძოლის დაწყებას და აზონის დამარცხებას?

ისიც უკვირდა ძლიერ, რა გულით მიდიოდა არმაზი პონტოს ქართლოსიანულ სალოცავში განმარტოებულ ბერთან შესახვედრად, რაღაც წიგნისთვის, როცა ლამზირას გზა-კვალი არ იცოდა? მივალთ პონტოში და მე თავად ვიპოვი ლამზირასო, — დაიიმედა ბოლოს თავი, რადგან დარწმუნებული იყო, რომ კილიკემ გაიტაცა ქალი და პონტოში, მამა-პაპეულ სახლში ჰყავდა გამომწყვდეული. დავტოვებ არმაზს გაუდაბნოებულთან, დე, ილაპარაკოს, რადგან ყველაფერზე მეტად ლაპარაკი უყვარს, ხოლო მე, თუ ბერა ჩამოსული დამხვდა, იმას ვთხოვ ერთი-ორი დღით გამიშვას ქალიშვილის საძებნელად. უარს არ მეტყვის. ბერა ათჯერ მეფე რომ გახდეს, ძველ მეგობრობას მაინც არ დაივიწყებს.

— განდეგილიდან დაბრუნებული გულდასმით შევამოწმებ, არის თუ არა პონტოში ლამზირა. არც თუ უსაფუძვლოა შენი ეჭვი; — გაესაუბრა ვაჟიკას არმაზი, როცა პონტოს [illegible] ქალაქში კაბირაში შევიდნენ, შვებით ამოისუნთქა პირქუშის ვაჟმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

* * *

მთვარის სამლოცველო ქალაქიდან საკმაოდ მოშორებული იყო და მეორე დღემდე ვერც გამყოლი იპოვეს არმაზმა და ვაჟიკამ, რომლებიც თავს კოლხებად ასაღებდნენ და ვერც მარტო გაბედეს გამგზავრება, რადგან გზა ტყეში გადიოდა. ტყე კი ავაზაკების საფარ ადგილად იყო ქცეული.

შუადღისას ერთმა შუახნის კაცმა და მისმა ვაჟმა წაიყვანეს ისინი საკუთარი ურმით. გაკვირვებული იყო პონტოელი მეგზური, იმ სალოცავში ახლა არავინაა ერთი გამოყრუებული განდეგილის მეტი, ხოლო თქვენისთანა ახალგაზრდებსა და ჯან-ღონით სავსე ადამიანებს რა საერთო უნდა ჰქონდეს მასთანო. უცნაური ხალხი ხართ კოლხები, სიმდიდრე თქვენ არ გაკლიათ და მშვიდი ცხოვრება, მაინც რაღაცას ეძებთ და ვერ ისვენებთ, დადიხართ და დადიხართ. თქვენს გარდა კიდევ ხუთი კოლხი უნდა ჩამოვიდეს სალოცავში. მე უნდა წავიყვანო ისინიც ბერიკაცთან. როცა ეს მითხრეს, მაშინ ვიფიქრე, ალბათ სიმდიდრე აქვს განდეგილს გამოტაცებული, ან იქ, სამშობლოში გადამალული, და მის წასაღებად ან სამალავის გასაგებად მოდიან-მეთქი. ვკითხე კიდეც მოხუცს, თუ შესანახი გაქვს რაიმე, მე მომაბარე, იმ კაცებთან არ გაგცემ, მერე კი რამდენიც გინდა იმდენი მაჩუქე-მეთქი... მოვკლავდი? რას ამბობ. ღვთაების ერთგულ კაცზე ხელის აღმართვა როგორ იქნება, თანაც უწყინარი და მშვიდი მოხუცია, ვის რას უშავებს. არის თავისთვის და წერს. ჰოდა, მაშინ, ეს რომ ვუთხარი, მიპასუხა: მთელი ჩემი სიმდიდრე ეს წიგნია, და იგი მე არ მეკუთვნის. ისინი კი მოდიან, რათა თავიანთი სიმდიდრე ჩაიბარონო. მაშინ ვიფიქრე, გადამცდარა-მეთქი ბერიკაცი ჭკუიდან. აბა, იმას როგორ დავიჯერებ, რომ თქვენ

და კიდევ ის ხუთი კოლხი, მხოლოდ წიგნისთვის გამოივლიდით ამოდენა გზას?

მთელი გზა არ გაუჩერებია ენა პონტოელ გამყოლს და არ გაუხელია თვალი მის ვაჟს, ასე იყო მაშინაც, როცა ურემი დააყენეს და გამყოლმა პატარა ბილიკზე მიუთითა, ამას გაჰყევით და ტაძრის კართან მიგიყვანთო.

როცა ფულის მიცემა გადაწყვიტა ვაჟიკამ, მხოლოდ მაშინ გამოიხედა ბიჭმა, — იბერიული და კოლხური არ იყოს ფული, ხომ იცი, რაც დრო გადის, სულ უფრო ჭირს მათი გამოყენებაო, — გააფრთხილა მამა. ხოლო, როცა დარწმუნდა, ბერძნული ვერცხლი ჩაუთვალეს, ისევ დახუჭა თვალი...

* * *

ბილიკი ტაძრის შესასვლელ კართან დამთავრდა. კარი ღია იყო. ტაძრის გრძლად გაჭრილი სარკმლიდან გადმოღვრილი სხივის ქვეშ ქვის საწერი მაგიდა იდგა, მასთან მიმჯდარიყო თეთრწვერა მოხუცი.

ჩამოსულების მოსვლა არ გაუგია, გულმშვიდად განაგრძობდა თავის საქმეს. ვაჟიკამ ვერ მოითმინა და ჩაახველა. დინჯად მოაბრუნა თავი მოხუცმა, სალოცავის მრუმე სინათლეზე ეტყობა კარგა ხანს ვერ გაარჩია მოსულები. ბოლოს, მათში პონტოელები რომ ვერ შეიცნო, წამოდგა და თვითონაც გამოეშურა შესაგებებლად.

— ქართლოსიანები ხართ? — იკითხა გაბზარული, გაბმული ხმით.

— მე მთიელი ვარ, ეს კი იბერი, — უპასუხა ვაჟიკამ. მოხუცი ყურადღებით შეჰყურებდა ხან არმაზს და ხან ვაჟიკას.

— ოცდაათი წელია ჩემი მხრიდან არავინ მწვევია, ერთხელ ვიყავი ფაზისში, წიგნისთვის მასალები მჭირდებოდა და იქ, ამ თხუთმეტიოდე წლის წინ შევხვდი ერთ ჩემს ნათესავს, თავის მასწავლებელთან იყო ჩამოსული. როცა გაიგო, რომელ წიგნს ვწერდი, დამპირდა, იბერიის მეფე თავად გეახლება მის წასაღებადო. მაშინ მომეჩვენა, იგი სამარაზე ან [illegible]ზე ლაპარაკობდა, რადგან მხოლოდ მცხეთის სასახლის შთამომავალს ეკუთვნის მეფობა იბერიაში... თქვენგან არც ერთი არ უნდა იყოთ სამეფო კაცი...

— მართალი ხარ, — გაიცინა ვაჟიკამ, — არც ერთი სამეფოდ არ ვემზადებით, მაგრამ როგორ მიხვდი, რომ ასე იყო? ისეთი დრო დადგა მხლებლებითა და სამეფო ტანისამოსით ვერ გესტუმრებოდა იბერიის სჯულიერი ტახტის მემკვიდრე. ან შეიძლება, ისიც არ იცი, პონტოელ აზონს რომ უპყრია ქვეყანა?

— ვიცი. სხვაც ბევრი ვიცი დღევანდელი ამბავი... ახლა ის მითხარით, რით შემიძლია გემსახუროთ?

ვაჟიკამ მხრები აიჩეჩა, მან მართლაც არ იცოდა, რისთვის მოვიდნენ ამ უდაბურ ადგილას ის და არმაზი.

— რატომ ხმას არ იღებ?.. თუმცა კი შენი თვალები ლაპარაკობენ, მაგრამ ვაი, თუ მეჩვენება და შენც არაფრად მიგაჩნია ჩემი ამდენი ხნის შრომა, შენი მეგობარივით? ორი კაციდან ორივე თუ უარგყოფს, ეს ძალზე ბევრია. — მიუბრუნდა არმაზს.

— სამიდან ორი სულაც არ არის ბევრი. მთავარია მესამემ არ უარგყოს.

გაკვირვებული დარჩა მოხუცი ამ პასუხით.

— სანამ შენი თავი გახლავს და მისი გჯერა, ერთი ყოველთვისაა შენს მხარეზე! — ახსნა არმაზმა...

— ჭკვიანი ჩანხარ. შენ რისთვისღა მოდი?

— უპირველესად შენს სანახავად, და თუ ნებას დამრთავ, შენთან დავრჩე რამდენიმე თვით... მერე კი, თუ იბერიის მომავალი მეფე ინებებს და მანდობს შენს ნაშრომს, წავიღებ ჩემს გამზრდელთან, რომელიც თავად გაგიცვნია ფაზისში და რომელიც შენი სისხლის კაცია, როგორც თვითონ მითხრა.

მოხუცმა გაშტერებულ ვაჟიკას გაუცინა და თავისი ასაკისათვის შეუფერებელი სიმსუბუქით გავიდა ტაძრი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დან. — საჭმელს და საძინებელს მოგიმზადებთო, — დაუბარა სტუმრებს.

— ესეც ახალი ამბავი. მართლა თუ აპირებ ამ გამოყრუებულის გვერდით დარჩენას? აკი ლამზირას მოვძებნიო? მართლაც ვერაფერი გამიგია შენი! — გაბრაზდა ვაჟიკა.

— როგორც გითხარი, ისე მოვიქცევი. ისიც სწორია, რომ ერთხანს აქ უნდა დავრჩე. — უპასუხა არმაზმა მშვიდად, როცა სალოცავი მოათვალიერა და სამფეხა სკამზე ჩამოჯდა.

* * *

გვიან ღამემდე საუბრობდნენ მოხუცი განდეგილი და არმაზი. მარტო ამ კაცის სიბრძნემ კი არ გააკვირვა არმაზი, არამედ იმანაც, რომ დღევანდელი იბერიის მდგომარეობა ასე ზედმიწევნით იცოდა. უხაროდა მოხუცს, გამიხსენეს იბერებმა და ჩემი სისხლი და ხორცის ნახვა მაღირსესო. თავისი ვინაობაც გაუმხილა არმაზს. სამარას ბიძა ვარ, დიდი ადონის უმცროსი ძმა. როცა ჩემმა ძმამ არ მომასვენა გინდა თუ არა მთავარ ქურუმად უნდა გაკურთხოო, მცხეთა დავტოვე და აქ გადმოვიხვეწე. მჯეროდა, საქვეყნო ორომტრიალში ჩემს საქმეს ვერ გავაკეთებდი.

— ვიცი, ადონის, ჩემი მასწავლებლის ბაბუის ძმა რომ ხარ. — თქვა არმაზმა.

მოხუცმა მხარზე დაადო ხელი.

— უმცროს ადონში მცხეთის მთავართა სისხლი და სული ტრიალებს, ამიტომაც გახდომია ქვეყანას პატრონად და ღირსეულადაც აუწევია უჩინარი თავკაცის მძიმე ტვირთი... შენ როგორ ფიქრობ, გამოდგება კი ფარნავაზი მისი საქმის გამგრძელებლად?

— თავად მიხვდები. ალმატებულიც კია მასთან შედარებით, ქვეყნის მბრძანებლის თვისებებით.

— მაკვირვებ ჭაბუკო! შენი აზრთა წყობა ჩიხში მამწყვდევს თითქოს. რას გულისხმობ ალმატებულებაში?

— ძალას, რომელიც ერთ არსებაში ვერ დაეტევა ვერასოდეს, რომელსაც მხოლოდ ფიქრში, ცოდნის შეძენაში და წყნარ ცხოვრებაში, მორჭმულად ყოფნაში ვერ გახარჯავს მისი პატრონი. ძალას, რომელიც მოქმედებას, ბრძოლას, გმირობას, გამარჯვებას, ხალხის დამორჩილებას, გაყოლიებას და ბოლოს მუდამ ახალ დიად მიზანს საჭიროებს დასაძლევად...

— სიბრძნეც არ უნდა აკლდეს ასეთ კაცს. ძლიერ საშიშია ბობოქარი, გაუხარჯავი ძალა უგუნურისთვის.

— მის სიბრძნეშიც დარწმუნდები, როცა მასთან ისაუბრებ... ნახავ, რომ მისი გონება მუდამ ახლის ძიებაშია და ყოველგვარ მოსაწონს უმალ ითვისებს...

მოხუცი ერთხანს ჩაფიქრებული იყო და ჩიფჩიფებდა. თავის თავს ესაუბრებოდა. არ გაკვირვებია არმაზს, თავისთავთან ლაპარაკს მარტოობამ დააჩვია ალბათ განდეგილიო, — დაასკვნა და უჩუმრად გაეცალა, დასაძინებლად წავიდა.

* * *

უკვე ათი დღე გავიდა, რაც არმაზი და ვაჟიკა ფარნავაზის გამოჩენას ელიან. დღეები მოსაწყენი და უჩვეულოდ გრძელი ეჩვენებათ, განსაკუთრებით ვაჟიკა ვერ პოულობს ადგილს, უკვე ორჯერ იყო კაბირაში, იქნებ მართლაც არ მატყუებს გუმანი და ლამზირას კვალს მივაკვლიოო, მაგრამ ორივეჯერ ხელმოცარული დაბრუნდა იქიდან.

ერთ წვიმიან საღამოს ცეცხლი გააჩაღეს და მოხუცს სთხოვა არმაზმა, — დროა შენს წიგნზე ვისაუბროთ, ფარნავაზმა შეიძლება სხვა გზა აირჩია სამგზავროდ, და თუ ასე მოხდა, მე ვაჟიკასთან ერთად მომიწევს დაბრუნება, შენთან დარჩენას ვერ შევძლებო...

მოხუცმა ორი უზარმაზარი შეკვრა გამოიტანა თავისი სენაკიდან და უხალისოდ დადო მაგიდაზე... სარკმელთან ხის კიბის თავზე მოქცეული ვაჟიკა სარკმლის მინაზე ცხვირით იყო მიკრული და დაჟინებით აცქერდებოდა ტაძ-

რისკენ მომავალ გზას. უკვე მეოთხე დღე იყო, რაც ეს სათვალთვალო ამოირჩემა და ასე, კიბეზე ატარებდა მთელ დროს.

— მოდიან! — დაიყვირა უცებ და ძლივს შეიკავა თავი, რომ არ ჩამოვარდნილიყო.

— რა გაყვირებს, თუ მოვიდნენ, ჩვენც აქ დავხვდებით! — წყნარად უსაყვედურა მოხუცმა და ათრთოლებული ხელები უხერხულად ჩამოისვა სამოსზე.

არმაზი კარებთან გაჩნდა...

— შემეშალა! — დანანებით გამოაცხადა ცოტა ხნის შემდეგ ვაუიკამ, — ხუთი კაცია და ერთი ქალი. — ბერას ქალი არ ახლდა, არც ხუთნი იყვნენ...

— ხუთნი იქნებიან, ოღონდ ქალი?!

— ხუთ კაცს რომ ერთი ქალი ახლდეს, რა გასაკვირია, — მტკიცედ წარმოსთქვა მოხუცმა და არმაზს მიუბრუნდა, — გაეგებე! ვგრძნობ, ფარნავაზი ჩამოვიდა ჩემს სანახავად.

— ლამზირას არ ჰგავს, — კვლავ დანანებით წარმოსთქვა ვაუიკამ და კიბეზე დაეშვა. — ნამდვილად ბერაა, უკუნ ღამეშიც ათას კაცში გამოვიცნობდი, უფრო შორიდანაც, ქალმა და იმ ორმა ზედმეტმა კაცმა დამაბნია.

გულღია, კეთილი ღიმილი ეფინა ფარნავაზს სახეზე. კარებთან შეგებებულ ვაუიკას ძველებურად, ძმასავით გადაეხვია და როცა პირქუშის ვაჟმა მის წინ მუხლის მოყრა მოინდომა, ბეჭებში დაავლო ხელი, წამოაყენა, აკოცა და უთხრა:

— თუ მეგობრებიც დამკარგავენ და თავიანთ სწორად არ მიგულებენ, რა თავში ვიხლი მეფობას. არასოდეს არ დაიჩოქო არავის წინ! ვაჟკაცი მუხლს მხოლოდ ღვთაებას და მის მოციქულს უნდა უყრიდეს, სწორედ ისეთს, როგორიც ეს ჩვენი სასახელო ნათესავია. — დაამთავრა სიტყვა და თვითონ მოუყარა მუხლი მოხუცს, გახუნებული მოსასხამის კალთაზე აკოცა...

განდეგილმა ბებრული ცრემლით დაუნამა წაბლისფერი თმები და ძლივს დამშვიდდა აღელვებული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ბევრს ვფიქრობდი შენზე და ალბათ ამიტომაც შემიყვარდი შეხვედრამდე, — უთხრა, — შენ უნდა შესძლო ჩვენი გვარის უძველესი ოცნების განხორციელება, მხოლოდ შენღა დარჩი მის იმედად.

როცა მოხუცისა და ფარნავაზის შეხვედრის პირველი წუთები გავიდა, ვაუიკა ლენეს და ვაჩეს გადაეხვია, ქუჯის და სოანეთის მთავრის ვაჟს თავი დაუკრა და თვალი ვერ მოაცილა მათ მხლებელ ქალიშვილს, რომელიც მასზე არანაკლებ გაკვირვებული იყო ამ უკაცრიელ ადგილზე ფარნავაზის ახლობლების ხილვით.

— ქალი იბერიელი არ ჩანს, არც პონტოელი და არც ბერძენი... კავკასიანელთაგანია ალბათ, ეტყობა, ენაც არ ესმის ჩვენი, საიდან მოგყავთ? — იკითხა მოხუცმა, როცა ნახევრადშიშველ ირეს შეავლო თვალი. — კარგი იქნებოდა შეგემოსათ.

— მაგან მომთაბარეთა ტყვეობისგან დაიხსნა ფარნავაზი, ისიც ვერ შეელია მხსნელს, — გაეღიმა ქუჯის.

— საკვირველი ის იქნებოდა, რომ შეელეოდა, ისე კი ურიგო როდი იყო მეორეც წამოგეყვანა, თუ ასეთები იყვნენ, — ვერ მოითმინა ვაუიკამ.

ფარნავაზს გულიანად გაეცინა.

— თქვენ იცინით და ჩვენს გაჭირვებას არ კითხულობთ, — ღიმილით მიუბრუნდა არმაზს და ვაუიკას ვაჩე, — ჯერ იყო და სულ შიშველს, ძლივს მივაფარეთ ეს ნაჭერი.. მერე, სოანი ბიჭები მთავრის სახლს დაეხსნენ, ნადირობის ქალღმერთად მიიღეს და მის ნახვას ითხოვდნენ. მოკლედ, ძლივს დავიხსენით. კაბირაში მეგზური პონტოელი გადაგვეკიდა, ეს ქალი ისე ლამაზია, მაცდურის მოციქულს ჰგავს და წმინდა ადგილას მისი მიყვანის უფლებას ჩემს თავს ვერ მივცემო... გაგვიორკეცა გასამრჯელო და ჯიბეებიც გვარიანად დაგვიცარიელა...

— არც ფარნავაზს ადგას კარგი დღე,

— გაიცინა ქუჯიმ — ქალი გვერდიდან არ სცილდება, ეტყობა ძლიერ შეუყვარდა თავისი მომტაცებელი. დღეში ასჯერ მაინც ეკიდება კისერზე.

— არც ფარნავაზია გულგრილი მის მიმართ. — გაეღიმა ვაჩეს.

ირე მოხუცს მოკრძალებით მისჩერებოდა და რაღაცის თქმას აპირებდა.

განდეგილი მიუახლოვდა და იქ მყოფთათვის გაუგებარ ენებზე გაესაუბრა ქალიშვილს.

— გამოქცეულს მდევრები ხომ არ მოგდევენ?

— არა!... — მიუგო ირემ.

— იცი, რომ ეს კაცი, რომელსაც გამოჰყოლიხარ, დიდი ქვეყნის უპირველესი მბრძანებელია?

— მეჯოგეც რომ იყოს, ბედმა მისი მორჩილება და თაყვანისცემა მარგუნა... ამიტომაც არავის გავაკარებ, რათა არ მომიკლან... მისი სიკვდილი ხომ ჩემი სიკვდილიცაა...

ვახშმად დამსხდრები უსიტყვოდ ჭამდნენ...

— რატომ არაფერს მეუბნები ლამზირაზე, ან ამ ღვთის კაცთან რატომ არ დამახვედრე ანათა და ჩემი ქალიშვილი? — იკითხა ვაჩემ.

— ანათამ ლამზირას თხოვნა შეისმინა. თანაც ადონმაც უთხრა, ქალების წასვლა საჭირო აღარ არისო, — უპასუხა არმაზმა და თვალი ვერ გაუსწორა ვაჩეს.

ვაჟიკამ ხმაურით გადაყლაპა ლუკმა...

* * *

დაძინების წინ, როცა ფარნავაზი და არმაზი განმარტოვდნენ, არმაზმა მეგობარს უამბო, თუ რა ილონეს მთიელებმა ლამზირას საპოვნელად, და რომ ამათ გამოდგა ყოველი ცდა. ფარნავაზს გუნება გაუფუჭდა და მთელი ღამე სალოცავის ეზოში მოსიარულემ გაათენა.

წასვლის წინა დღეს ფარნავაზი, არმაზი, ქუჯი და ვაჩე განმარტოვდნენ განდეგილთან, ხოლო ვაჟიკამ ირეს გართობა და გახალისება მოინდომა. ირე ამ უცხო ჭაბუკთან თავს თავისუფლად გრძნობდა, ხოლო ვაჟიკას ქართველი მეფის საკუთრებად მიაჩნდა და კერპსავით მოკრძალებულად ექცეოდა. გადაწყვიტეს, არმაზი წაიღებდა იბერიაში განდეგილის მრავალი წლის ნაშრომს, ქართლოსიანთა ისტორიის ორ წიგნს.

* * *

დიდხანს ტიროდა ფარნავაზის მკერდზე თავმიდებული მოხუცი განდეგილი, მერე თითიდან ბეჭედი წაიძრო და ნეკზე წამოაცვა. — ეს ჩემი უკანასკნელი საგვარეულო ნივთიც შენთან იყოსო...

მოხუცთან საუბრის მერე ირეც გამოიცვალა, სოანეთიდან წამოღებული ტანსაცმელიც ჩაიცვა და უფრო მოკრძალებულადაც ეჭირა თავი... უკვე აღარ ეშინოდათ ვაჩეს და ქუჯის მისი ანტიოქოსის კარზე წარდგინება. პირიქით, ფიქრობდნენ, ფარნავაზი ამ ქალთან ერთად უფრო დიდებული სახილველი იქნებაო...

მთელი სამი დღე მიწაზე გართხმული ავედრებდა განდეგილი ფარნავაზის ბედს უმაღლეს ღვთაებას და აინუნშიც არ აგდებდა არმაზის თხოვნას, პური და წყალი მაინც მიიღე, შიმშილი მოგკლავსო.

მცირე არმენიის აღმოსავლეთით, პონტოს სახელმწიფოს საზღვართან ქართლოსიანთა უძველესი სოფლის ბოლოში, ბორცვზე წამოსკუპულ პატარა, ჩამონგრეულ ციხეს უცხო სტუმრები ეწვივნენ.

ციხეს შეკედლებული მოხუცი ქალი, რომელსაც სოფელი ავი სულების მოციქულს ეძახდა, შეშინებული შემოჰხვდა ცხენოსნებს, რადგან ისინი მის დასასჯელად მოსული ქურუმები ეგონა და უმალ იმის მტკიცებას მოჰყვა მუხლზედაცემული, რომ წლევანდელ წარღვნასა და მოსავლის დაღუპვაში წილი არ ედო.

— თუ დაგვეხმარები, კიდეც გადაგარჩენთ იმ სასჯელისგან, რომელსაც იმ-

სახურებ! — მრისხანედ შესძახა ქალს ერთ-ერთმა მხედარმა და, რათა სიტყვისთვის მეტი დამაჯერებლობა მიეცა, მათრახი გადაუტყლაშუნა მიწას.

მეორე მხედარი სასწრაფოდ ჩამოქვეითდა და მოსასხამში გახვეული ტვირთი ჩამოართვა ცხენზე მჯდომარე ლამაზი სახის ჭაბუკს. ჭაბუკმა სასოწარკვეთილი მზერა მიაპყრო ციხის ჩამონგრეულ კედლებს და უკმაყოფილოდ წაიბურტყუნა რაღაც, სანამ ცხენიდან გადმოხდებოდა.

— ნუ ნაღვლობ კილიკე, შენს დროებით სამყოფელს დღის ბოლომდე ისე მოგირთავ, რომ თვით მითრიდატეს მოეწონოს თავის საქალებოდ. — გაეხუმრა ტვირთისკენ დახრილ ჭაბუკს მათრახიანი.

როცა მოსასხამი გადასწიეს და ჩალისფერი თმა მთვარის შუქივით დაიღვარა მიწაზე, შაოსანმა დედაკაცმა შეჰკივლა და შეშინებული შევარდა ციხეში.

კილიკე თვალებგაფართოებული დაჰყურებდა ლამზირას და ბედნიერების ღიმილს ვერ ჰფარავდა.

— როგორც ვხედავ, მაგას ცქერა კი არა, შველა უნდა, გულწასული ყოფილა, — შეანჯღრია კილიკე მაღალმა მეგზურმა. ეტყობა კილიკე მისი ნათქვამის აზრს ვერ ჩასწვდა და ამიტომაც არ შეუცვლია ნირი. მაღალმა გვერდზე გადააფურთხა და — წყალიო — დაიღრიალა.

მათრახიანი ციხეში შევარდა, ძლივს მოძებნა დედაკაცი, ძლივს შეასმინა, რომ მიწაზე მწოლარე ხორციელი ადამიანი იყო და არა ღვთაება, და წყლის მოტანა უბრძანა.

კილიკემ დოქმომარჯვებული დალაი ლამზირასთან ახლოს არ მიუშვა.

— მაგასაც დაასხი, იქნებ საამქვეყნო შეისმინოს რაიმე! — გამოსცრა მაღალმა, კილიკეზე მიუთითა და გვერდზე გადგა.

დალაიმ უმალ შეასრულა მეგობრის სიტყვა.

— ეს ქალი მიხედავს ავადმყოფს, შენ კი აქეთ მოდექი, ხე[illegible]ო, — უთხრა გაწუწულ კ[illegible]ალმა და ძალით წამოაყენა ფეხზე...

შაოსანი ლამზირასკენ დაიხარა და რაღაც დაილაპარაკა. ლამზირამ უმალ გაახილა თვალი, ერთხანს დედაკაცის სახეს მიაჩერდა, მერე ერთი სიტყვა წარმოსთქვა და კვლავ დაჰკარგა გონი.

— ჩვენს უძველეს ღვთაებას მოუხმო მშველელად, — თქვა დედაკაცმა... — ნუ სწუხართ, როცა დიდი დედის შვილები მზე და მთვარე, ერთმანეთს დაუმშვიდობებლად შეხვდებიან, არმაზიც გზიდან გადმოუხვევს! დაეხმარება ქალიშვილს და დააბრუნებს სოფელში. დიახაც, არმაზი ჰქვია იმ ღვთაებას, ღამეც რომ სინათლე ახლავს.

— რაღაც არ გამიგონია ასეთი ღვთაება ჰყავდეთ ქართლოსიანებს. — ჩაილაპარაკა მაღალმა სპარსმა, როცა სადგომის კარი გამოაღო. — ცოტა ხანში სოფლიდან ნოხებსა და ბეწვს ამოიტანენ, მანამდე ყველაფერი დაასუფთავე და მოაწესრიგე. თუ იმ ქალსა და ჭაბუკს კარგად მოემსახურები და ენასაც კბილს დააჭერ, შეიძლება ბედსაც ეწიო და ამ მზეთუნახავის პირისფარეშობასაც გამოჰკრა ხელი.

ქალმა მორჩილად დახარა თავი.

— სოფელი მაინც არ მოისვენებს... მოინდომებს ღვთაების რჩეულის ნახვას. თუ შეიტყეს, რომ აქ არის, მის თავს ამ ჭაბუკს არ დაანებებენ. ეს სოფელი არმაზის წილხვედრია ოდითგანვე. — მიუგო ცოტახნის მერე.

— რა ხალხი ცხოვრობს აქ?

— ახლა პონტოელები არიან, წინათ ქართლოსიანები ყოფილან, უფრო წინათ...

— კარგი, გეყოფა სულელური ლაპარაკი. მე და ის კაცი ვუდარაჯებთ ამ ციხეს, რიგ-რიგობით. შენ კი, რასაც გეტყვი, ის უნდა გააკეთო... დარწმუნებული ხარ, რომ გამოიღვიძებს გოგო?

— ისევე, როგორც შენ აქ დგეხარ და გული გეთანაღრება, ნეტავ ამ საქმეში არ გავრეულიყავითო, — გაიცინა დედაკაცმა და დიდი კბილები გამოა-

ჩინა. მალალს შიშისგან გასცრა — მართლაც ალქაჯი არ იყოს ეს დასაწყევლიო. მაინც შეეკითხა, რა საქმეზე ამბობო.

— ქალი მოტაცებული რომ არ გყავდეთ, სოფლიდან მოშორებით ბინას არ დაიდებდით. მართალ კაცს სოფლისა არ ეშინია. ვისიც არ უნდა იყოს ის ჭაბუკი, მაინც ვერ შესძლებს ამ მშვენიერების მონადირებას, ხოლო უარყოფილი — უმისოდ სიცოცხლეს. შენი და იმ მათრახიანი კაცის ბედიც მძინარე ქალიშვილის ხელშია...

მალალი სპარსი გუნებაწამხდარი გაეცალა დედაკაცს. ფერდობზე შედგა და გზას გახედა, იქნებ სოფელში გაგზავნილი დალაი გამოჩნდეს, ერთი ნორმალური დამლაპარაკებელი მაინც მეყოლებაო.

საწოლთან დაჩოქილი კილიკე სულმოუთქმელად ელოდა, როდის გაახელდა თვალს ლამზირა.

ყველაფერი ისე მოეწყო, როგორც დალაიმ და მალალმა სპარსმა თქვეს.

სურსათ-სანოვაგე ,ნოხები და ბეწვი, ძვირფასი ფარდაგები და ქსოვილი, შავი თიხის აბაზანა იმავე საღამოს ამოიტანეს ურმით... ნელსაცხებლები, ვერცხლის გულსაკიდები, ლალისთვლიანი ქამარი და სხვა მრავალი ფუფუნების ნივთიც ამოზიდა დალაიმ, შუაღამისას... მხოლოდ ეს იყო, არ შესრულდა დედაკაცის სიტყვა: — არ იღვიძებდა ლამზირა.

მალალი სპარსი შაოსანს ეცა. — მართლა ავი სულების მოციქული ყოფილხარ. მითხარი, რატომ არ იღვიძებს ქალიო.

— თუ ერთი კვირის თავზე არ გაიღვიძა, ერთ თვეს იძინებს, თუ ერთ თვეში არა, — სამ თვეს, ხოლო თუ სამ თვეში არა, მომავალ ამ დრომდე არ გაახელს თვალს. — მშვიდად მიუგო დედაკაცმა. — მე კი ვერაფრით შემაშინებ, რადგან დასაკარგი არაფერი მაქვს. თუ დამიჯერებთ, მაინც გეტყვით, რომ ქალს თქვენი დახმარება არ სჭირდება, ის ჭაბუკი კი დაარწმუნეთ, იშვიათად

მოინახულოს მზეთუნახავი... რადგან მშვენიერება ყველა მოკვდავს როდი ინდობს, განსაკუთრებით ცოდვილიანს...

* * *

ფარნავაზის წასვლის მერე განდეგილი ლოგინად ჩავარდა და უცებ გაილია. არმაზი გრძნობდა, რომ მოხუცის ამქვეყნიური ცხოვრება მთავრდებოდა და წამით არ შორდებოდა მის საწოლს.

— დღეს ჩემი სულის განტევების დღეაო, — გამოაცხადა განდეგილმა ერთ დღეს, შეშფოთებულ არმაზს მრავალი დარიგება მისცა, თავისი უკანასკნელი სურვილიც აუწყა და კარგა ხანს ხმა არ ამოუღია. თვალგაშტერებით გაჰყურებდა ჩამავალ მზეს, ხოლო როცა მეწამული დისკო ჩავიდა, მომაკვდავი უკანასკნელად ალაპარაკდა:

— მაინც უძლურია ადამიანის აზრი შემოქმედის სიდიადის გასაგებად. უბრალოდ, ვერ წვდება იგი უმაღლესის მრავალფეროვნებასა და სრულყოფილებას...

— მაშ ფუჭი ყოფილა ყოველი...

— გიყვარდეს თავი შენი და ეძიე მასში უმაღლესი სიკეთის თესლი, შეიმეცნე და ამაღლდი ჭეშმარიტებამდე, რომელიც შენშია ღვთაებისგან ბოძებული, ემსახურე და ეცადე, შენშივე წარმოქმნილი ბოროტებისგან განარიდო და დაიცვა იგი. თუ ყველაფერ ამას შესძლებ, უარყოფ კიდეც საკუთარ თავს და სხვისთვის მაგალითად გადაიქცევი, სხვას გაუადვილებ ჭეშმარიტებისკენ მიმავალ რთულ გზას... ამ დროს ფუჭი როდია კაცის მცდელობა... უეჭველად იგრძნობს იგი თავისი არსებობის გამართლებას და ამაღლდება კიდეც უმაღლესის შეგრძნებამდე.

— და, არა შემეცნებამდე?

— უმაღლესი ღვთაება კაცთ როდი ანდობს თავის საქმეს, — გაეღიმა განდეგილს. — ადამიანი თავისი ცხოვრებით შემოქმედის ნების აღმსრულებელი უნდა იყოს მხოლოდ და კაცთათვის საჭირო სიბრძნის მაძიებელიც და მიმკვლეველიც. ამ წიგნში ვეცადე ყოვე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლივე ეს მეთქვა და მეჩვენებინა ქართლოსიანთა მაგალითზე. მტკიცედ მწამს, რომ ხალხიც, თავისი ცხოვრების წესით, თავისთავში უნდა ეძიებდეს ღვთაებისგან ბოძებულ სიკეთის მარცვალს და მუდამ მისი გამრავლების მეცადინეობაში იყოს. ამ მხრივ საამაყოა ქართლოსიანთა ისტორია.

— ქურუთმა უძველეს ცოდნაში აღნიშნულია, რომ ჩვენ ამ მიწაზე უცხო ადგილიდან ვართ თითქოს გადმოსახლებულნი.

— ჩვენს მიწაზე, სიცოცხლის თესლის გაღივებასთან ერთად, ამირანი კავკასიონს მიაჯაჭვა უმაღლესმა ღვთაებამ, როგორც ცოდნა, როგორც აზრი და ღვთიური მინიშნება იმისა, რომ რაგინდ დიდი სატანჯველიც არ უნდა მიეგოს ამ მიწის მკვიდრს, იგი ვერასოდეს გასცილდება თავისი ადგილის დედას. სიყვარულის ტკბილ-მწარე სატანჯველი მას ამ მიწაზე დაცემული სიცოცხლის თესლის თაყვანისცემამდე მიიყვანს... მუდამ ტანჯვით ეყვარება საკუთარი მიწა და ეცდება მასთან ერთად განიკითხებოდეს...

განდეგილმა თვალები დახუჭა და არმაზმა იგრძნო, რომ იგი ნელნელა შორდებოდა კაცთა სამყოფელს.

— სანამ წავალ, ერთსაც გეტყვი. გახსოვდეს, ისტორია მომავლის ამბებსაც ჰყვება. მასში უდიდესი ღვთაებრივი კანონზომიერებაა მინიშნებული... შენ თვალწინ აღორძინდება იბერია, მისი განახლებისა და წინსვლის გზაზე სიკეთის სხივად უნდა დაიღვაროს თითოეული მისი შვილი. სისასტიკეს ლმობიერება დაახვედრე, უმეცრებას გონიერების შუქი მოჰფინე, ცოდვილს შენი სული შეაშველე და მოაშორე ბოროტების ჩრდილი, ჭეშმარიტების დარაჯად უშიშრად დადექ და უმთავრესი მიზნისთვის დასთმე სიცოცხლე, რადგან იგი სიკვდილთან ღირსეულად შესახვედრი გზაა მხოლოდ და სხვა არაფერი...

არმაზს უკვე აღარ ესმოდა განდეგილის ხმა.

— ემსახურე იბერიას შენი სიკვდილითაც, რათა ხალხის [illegible]თებული მარადიულად იხსენებოდე... უმაღლესი ღვთაების რჩეულს მზე და მთვარე გიცავს... — აი კიდევ, რის თქმა სურდა მოხუცს არმაზისთვის და ვეღარ უთხრა...

* * *

ფარნავაზის ჩამოსვლამ თითქოს გამოაცოცხლა ვაჟიშვილის სიკვდილით დამწუხრებული სელევკი. ჩამოსვლის მეორე დღეს სტუმრების პატივსაცემად დარბაზობა მოაწყო და სამეფოს ღირსეული ადამიანები გააცნო ფარნავაზს. შემდეგ სასახლის ეზოში აღმართულ სასტუმროში მიუჩინა ბინა. ხუთი მონა, მზარეული, ცხენებისა და ბინის მომვლელი ქალები თავს დასტრიალებდნენ სტუმრებს. განსაკუთრებით შეიყვარეს ფარნავაზი, სიუხვისა და თავმდაბლობისათვის. ხოლო ერთი ფერადკანიანი ახალგაზრდა კაცი ისე მიეკედლა ქაბუკს, რომ მთელი დღე ლანდივით არ სცილდებოდა. ენაწყლიანი და გონიერი მოსაუბრე გამოდგა ეგვიპტელი. ჩამოსვლიდან ერთი კვირის მერე სთხოვა ფარნავაზს, როცა შენს ქვეყანაში წახვალ, თან წამიყვანე. მონად თუ მიწერია სიკვდილი, ბარემ შენისთანა ვაჟკაცს ვემსახუროო. ფარნავაზიც დაჰპირდა, ვეცდები შენი თხოვნა ავასრულო, ხოლო როცა ჩემად დაგიგულებ, გაგანთავისუფლებ, მერე გინდ თან წამომყევი და გინდ სამშობლოში წადიო. სულ მცირე ხანში სელევკის სასახლის ყველა წვრილმანი იცოდნენ იბერიიდან ჩამოსულებმა. მეტილა წინასწარ აცნობდა ფარნავაზს ყველა ადამიანს, რომელთანაც კი მას შეხვედრა მოელოდა, ხოლო, როცა გუნებაზე დაიგულებდა, ათას ჭორსა და მართალს უყვებოდა გაუთავებლად.

სიცილით ეტყოდა ფარნავაზი: ეს ამბები არ მაინტერესებს, თუ ჩემი გართობა გსურს, შენს სამშობლოზე მელაპარაკე, ამით ჩემს გულსაც ასიამოვნებ და გონებასაცო.

— ამას იმიტომ გეუბნები, რომ აქ ჩამოსული არა ერთი და ორი ახალგაზრდა გახლართულა სასახლის სასიყვარულო ქსელში და ზოგს თავიც ვერ დაუღწევია მერე ჭორებისგან, შერცხვენილა და ისე წასულა აქედან. შენისთანა ვაჟკაცს ბევრი ქალი დაადგამს თვალს, ხოლო სელევკის სასახლის ქალები არა მარტო თამამები არიან, არამედ გულღვარძლიანებიც. წყენას არ ივიწყებენ და შურისძიების არავითარ ხერხს არ ერიდებიანო.

ერთ დილით, როცა ნელსაცხებლებით უზელდა სხეულს, საუბარს სელევკის ვაჟის ამბავი მოაყოლა: უშიშარი და კარგი მეომარია, შესანიშნავი მოჯირითე და ბადრონს მტყორცნელი, დიდოსტატი მონადირე და მეცნიერების მოყვარული, მაგრამ დაუნდობელი და თვითნათქვამაა... ირგვლივ მყოფ ადამიანთა დამცირება და მასხრად აგდება მისთვის ყველაზე სასიამოვნო გასართობია, ხოლო თუ ქალი მოეწონა, თვით მამამისის რჩეულიც რომ იყოს, უკან არ დაიხევს, სანამ სურვილს არ აისრულებს. მისი სასახლე მუდამ სავსეა ჰეტერებითა და მსოფლიოს დიდ ბაზრებზე შეძენილი ლამაზი ქალებით... მისი წრესგადასული დროსტარება და ნადიმი თვით დიონისეს მოჰგვრიდა სირცხვილის ოფლსო.

— მამამისს სურს, რომ პართიელებთან ბრძოლაში გავჰყვე მომავალ მეფეს ანტიოქიისას.

— კარგია, რომ თქვენი წესის მიხედვით ქალები არ დაჰყავთ ვაჟკაცებს ომში.

— რატომ ამბობ?

— ყური მოვკარი, ირე დაუნახავს სასახლის ეზოში მოსეირნე...

— მოსწონებია?

— ვით შეიძლება მნახველს არ მოეწონოს ასეთი მშვენიერება... ძლიერ საპატიო სტუმარს რომ არ ახლდეს, წინ ვერაფერი დამიდგებოდაო, — უთქვამს. მაინც უცდია საჩუქრებით მოეხიბლა ქალი.

გაახსენდა უცებ ფარნავაზს, ტირილით რომ ეხვეწებოდა [illegible] დეთ ამ ქვეყანას, შენახ[illegible] წავიდეთო...

დაფიქრდა ფარნავაზი, სელევკის მემკვიდრესთან, ანტიოქიის მომავალ მეფესთან წაკიდება და დაუბრება ფიქრშიაც კი დაუშვებლად მიიჩნია, რადგან პირადი განაწყენებით იბერიის დახსნის საქმეს ზიანს ვერ მიაყენებდა. არა და, თუ მართლაც ძლიერ მოეწონა ირე მამის ნებიერ მემკვიდრეს? და თუ არ მოერიდა იბერიის ჯერ კიდევ უგვირგვინო მეფეს? ან კი, ვით შეიძლება ჩემს ვაჟკაცობას ჩირქი მოვცხო და, როგორც კაცს შეეფერება, ისე არ დავიფარო ჩემზე მონდობილი ქალი? გულგრილიც რომ ვიყო მის მიმართ, მაინც ვერ დავუთმობ ჩემსას სხვას...

— ისიც უთქვამს თურმე სელევკის მემკვიდრეს, რომ ფარნავაზს უნდა ვთხოვო ქალი, იქნებ რაიმე დიდი გასამრჯელოს სანაცვლოდ დამითმოს, რადგან ცოლი ხომ არ არის მისი, მხოლოდ ჰეტერააო...

— ვინა სთქვა, რომ ცოლი არ არის? — სწრაფად იკითხა ფარნავაზმა და გაუხარდა, რომ მდგომარეობიდან გამოსავალი იპოვა.

— არავის უთქვამს, რომ ირე შენი ქვეყნის დედოფალია! — გაიოცა მეტილამ.

— დედოფალი ჰქვია მეფის ცოლს, ხოლო მე ჯერ კიდევ მეფე არა ვარ... მხოლოდ კოლხი უფლისწული ვარ. ხომ ხედავ, ყველაფერი იცი ამ სასახლეში და ჩემი და ირეს ცოლ-ქმრობა კი მხედველობიდან გამოგრჩენია.

ისე გაიხარა მეტილამ, გეგონებოდათ, თავისი სატრფო დაიხსნა სელევკის კლანჭებიდანო.

— შეუძლოდ იყო ამდენ ხანს და იმიტომაც ვერ წარვუდგინე ანტიოქიის მეფეს ირე, ხოლო როცა მე და უმცროსი სელევკი, ბრძოლიდან გამარჯვებულები დავბრუნდებით, მაშინ მივიყვან მეფესთან ჩემს ცოლს და დავალოცვინებ.

იცოდა ფარნავაზმა, რომ მეტილა ორ საათში მოჰფენდა ამ ამბავს სასახლეს...

* * *

ქუჯი შეშფოთებული იყო. აზონის ხალხი სწვევია სელევკს დიდი საჩუქრებით და თხოვნით: მცირე არმენიის მიმდებარე იბერიული მიწები მითრიდატემ წაგვართვა, ხოლო მასზე განაწყენებულმა აზონმა სელევკის მიმართ დანაშაული იგრძნო და თავისი ადრინდელი ურჩობის მონანიება მოისურვაო.

— სელევკს ზვიადად მიუღია სტუმრები, მაგრამ მასპინძლობის წესის შესრულება მაინც უნებებია და სამი დღის მერე დარბაზობა დაუნიშნავს მათ პატივსაცემად. შემოგვითვალა — ბოდიშს გიხდი, რომ სასახლეში ვერ მოგიწვევო, მონადირეთუხუცესი გაახლა. სანადიროდ ინებებს, ალბათ, წასვლას ერთი კვირით ტახტის მემკვიდრე. ეს იმიტომ შემოვთვალე, რომ ჩემი ძე მიდის გარეული ტახების გასაწყვეტადო.

— გაიძვერაა აზონი, მიხვდა, რომ მარტო მითრიდატეზე მინდობა დიდ ხეირს არ დააყრის და ორი კურდღლის დაჭერა მოინდომა. — დაფიქრდა ფარნავაზი. — მაინც რით აპირებს განაწყენებული ანტიოქოსის შემორიგებას, აკი ხუთი წელია გზები გადაუკეტა ანტიოქიიდან მომავალ ქარავნებს? ნუთუ უღალატებს მითრიდატეს? არა მგონია!

— აზონისგან ყველაფერია მოსალოდნელი. ოღონდ კი სიმდიდრე და იბერიის ტახტი შეინარჩუნოს და სატანას მიჰყიდის სულს. — უპასუხა ქუჯიმ. — მე ის მაწუხებს, ხომ არ გაიგო შენს შესახებ რაიმე იბერიის მპყრობელმა. ძლიერ გავრცელდა მცხეთის დიდი მთავრის მემკვიდრეზე ხმები იბერიაში. სიფრთხილე სრულიად დავკარგეთ ამ ბოლო დროს.

— დარწმუნებული რომ არ იყოს ჩემს სიკვდილში, აგრე მშვიდად ვერ იქნებოდა პონტოელი, ხოლო ხმებს არ დაუჯერებს. აკი უთქვამს კიდეც, — იბერებს ჰგონიათ ფარნავაზი ცოცხალია და ელოდებიან, როდის ინებებს მათ გათავისუფლებას; ამას ვინც ფიქრობს, მე უგუნური ვგონივარ, ხოლო ასეთ ფიქრს თვით ჩემს თავს ვერ ვაპატიებ, ეს სახელი არასოდეს გამიგონია იბერიდანო. ვინც ნამდვილად იცის ჩემი ვინაობა, აზონს არ მოახსენებს სიმართლეს, ხოლო ეჭვის გამოთქმას თვით პონტოელი არ აპატიებს არავის. რაც შეეხება უმცროს სელევკთან ერთად ნადირობას, სასიამოვნოც კია ჩემთვის. უთხარი ვაჩეს, გაემზადოს.

— მგონი რაღაცას ეჭვობს ლამზირას გამო ვაჩე. ხასიათი გამოეცვალა, მუდამ ჩაფიქრებული და ნაღვლიანია. ხომ არ გაგვეშვა იბერიაში.

— მეც მაწუხებს ლამზირას ბედი. ხანდახან ვფიქრობ კიდეც, მამაზე უკეთ ვინ მოსძებნიდა ქალიშვილს... იქნებ ჯობდეს მისი გაშვება? თანაც აღონთან წიგნის გაგზავნაა საჭირო, ანტიოქიის დიდი ქურუმი იხმობს თავისთან. ამასთან, ვფიქრობ, სელევკთან იბერიის საქმეებზე პირდაპირი ლაპარაკია უკვე საჭირო. ამაში კი აღონს ვერც ერთი ვერ შევედრებით. მივწერ, არმაზიც გამოიყოლოს.

— ლამზირა?

— თუ აქამდე არ უპოვნიათ, აღარც იქნება ცოცხალი, ან მონადაა გაყიდული.

— ამ ორიდან რომელი უმჯობესია, ვერც მიხვდება კაცი.

— სიკვდილი სჯობს მონობას. თუ მართლა უკუღმაა დაბრუნებული ქალწულის ბედი, უკეთესია გაეცალოს არმაზი იბერიას, აქაური სალოცავების ხილვამ და ბაბილონელთა ცოდნის გაცნობამ შეიძლება გაუქარვოს კიდეც დარდი.

— რაც შეეხება ასურასტანის ციხეებს, ძველს და ახალს, ვაჟიკაზე გულითადი შემსწავლელი, ვეჭვობ, სხვაც ჰყოლოდეს ოდესმე. — გაიცინა ქუჯიმ. — ფინიკიელთა მიერ აგებულ ძველ ციხეს უტრიალებს ეს რამდენიმე დღეა, ქონგურების და სათვალთვალო კოშკის აგებულება მოსწონს, იძახის, იბერიის ციხეებს სწორედ ასეთი სათვალთვალოები სჭირდებათო, საცხოვრისი უცნაურნახატებიანი და ხაზებიანი პაპირუსებით აავსო... ერთი აქაური ქალბა-

ტონი გადაეკიდა, დღეში სამჯერ მაინც აგზავნის თავის მონას ვაჟიკას ამბის გასაგებად და სანადიმოდ ეპატიება.

— არ მცალიაო, — უთვლის იმ მშვენიერ ქალს და რიცხვების ანგარიშით იწყალებს თვალებს. ვაჩე ამბობს, თუ ასე გაგრძელდა, გამოგვეცლება ბიჭი ხელიდან, რამე უნდა ვუშველოთო, — კვლავ გაიცინა ქუჯიმ.

— ტყუილად კი არ ამბობდა ადონი, ვაჟიკას სულში ხუროთმოძღვარს სძინავსო. არსად წასვლა არ დაუშალო, თუ შორს მოინდომა რაიმე ნაგებობის სანახავად გამგზავრება, მონა გააყოლე, მე კი ქურუმს ვთხოვ, მშენებლობის აქაურ დიდოსტატებთან წარადგინოს ვაჟიკა... მერე საბერძნეთშიც გავგზავნი... და, მივანდობ კიდეც მცხეთის ქალაქის აღდგენას.

— მე კი არ მჯეროდა ამ მთიელი ჭაბუკის ნიჭისა და ადონს შევკადრე კიდეც ჩემი აზრი. მითხრა, — მართალია, სამხედრო ცოდნა დიდი აქვს, მაგრამ მხედართმთავარი მაინც ვერ გახდება, რადგან შეიპყრობს შენების ჟინი და ამ ჟინს ყველაფერს ანაცვალებს; მაშინ ძლიერ გამოადგება სამხედრო ცოდნა, რადგან უმეტესად ციხეების შენება და ქალაქთა გამაგრება დაგვჭირდება მომავალშიო... კიდევ ერთხელ დავრწმუნდი ადონის სიბრძნეში, დიახაც სჭირდება გათავისუფლებულ ქვეყანას მისი მიწის მკვიდრი მაშენებელი კაცი. არც სოანეთის მთავრის შვილს გამოაგზავნიდა სასეირნოდ. მხოლოდ შენს დასამშვენებლად!

— ამ ოციოდე წლის წინ, როცა ადონის თვალწინ მთავრის უფროსი ვაჟი მოუკლავთ, უბედური მამისთვის პირობა მიუციათ ადონსა და აშთანს, შენს უმცროს ვაჟს დავამარცხებინებთ აზონსო. მაშინ დადე ოთხი წლისა ყოფილა. ბევრი უცდია მთავარს, მაგრამ ვაჟში მებრძოლის ფხა ვერ შეუმჩნევია და გულნაკლულს შემოუთვლია ადონისთვის — მებრძოლად არ გამოდგება, მაგრამ მეურნედ უკეთეს ვერ ინატრებს კაცი. თუ ქვეყანას კარგი მეურნე სჭირდება, დადე იმსახურე[illegible]მიწას ჩაჰკირკიტებს და [illegible]ჩაქმე, რომ მოსავალიც ერთი-ორად გაიზარდა ჩვენთან მისი წყალობითო. წავიდა ადონი. გაიცნო დადე და ოთხი თვე დავრჩით მაშინ სოანეთში. იშვიათად თუ ნახავ კაცს, რომელმაც დადეზე უკეთ იცოდეს მცენარისა და ცხოველის ენა ,მათი ცხოვრების წესი და მოვლა-პატრონობა. როცა ადონისა და ახალგაზრდა მთავრის საუბრებს ვესწრებოდი, მივხვდი, რომ იბერიის ბუნებაზე ბევრი არაფერი მცოდნია... იმ ოთხ თვეში მრავალი უცხოური წიგნი გააცნო ადონმა თავის ახალ მოწაფეს, ბევრიც დაუტოვა... დადემ უკვე დაიწყო მდინარეთაშუა ადგილების შესწავლა, ქვეყანა მარტო ადამიანები, სასახლეები და ციხეები როდია. იგი ხეში, ქვაში და პირუტყვშიც ავლენს თავის სახეს! — თქვა ფარნავაზმა და დაუმატა: — ამბობენ, პართიის დალაშქვრა უმცროსი სელევკის გასართობად მოიგონა მეფემ, რათა ტახტის მოდავე შვილს სამამაცო საქმე გამოუჩინოსო.

— სამეფო საბჭოზე, მოგახსენებს სპასალარი ჯარის განლაგებას და ბრძოლის წესს. ალბათ ათასისთავად დაგნიშნავს და ერთი მხრის დაცვას დაგავალებს.

— შენ კი ბრძოლის ბედის წარმართვას. პირველად ხომ არ იბრძვი სელევკის სპასალარის მხარდამხარ, — გაეღიმა ფარნავაზს, — ხოლო ჩემზე არ ინაღვლო და არც გამორჩეულად დამეხმარო. იმასაც კი მოგთხოვ, ძნელი უბანი ამომირჩიო სამოქმედოდ.

— იმ ხნის მანძილზე, რაც მე და შენ სელევკის კარზე მოგვიწევს ცხოვრება, ბარე ხუთ ბრძოლას მაინც მოიგონებს ასურასტანის მბრძანებელი. გარდა ამისა, რომ დაპყრობილი ქვეყნების დასათრგუნავად მუდამ საომარი მზადყოფნა მართებს, მეზობელი სახელმწიფოებიც და მცირე მომთაბარე ტომებიც ედავებიან. არც ქვეყანაში აქვს სიმშვიდე. ასე რომ, იბერიული ხმლის ძალასა და შენს მხედართმთავრულ ნიჭს კარგად

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოცდი აქაურ ბრძოლებში... აჩქარება არც მაგაში გმართებს.

— ჩემი თავისთვის თავად რომ არ მიმეხედნა და მთა რომ არ წამომშველებოდა, გამზრდიდით შენ და ადონი ქალიშვილივით ნაზსა და უმწეოს. — გაეცინა ფარნავაზს.

— იმიტომაც ვერ გაგზარდეთ მუხასავით ძლიერი, ავაზასავით მარდი და შევარდენივით უშიშარი!... — შესცინა ქუჯიმ. — ოღონდ ირეს ცოლად დასმას არ გირჩევ! — შეაპარა წყნარად.

— მაშ, უმცროს სელევკის შევარცხვენინო ჩემი ვაჟკაცობა? რა დაშავდება, რომ ეს სიცრუე სიმართლედ წარმოვაჩინოთ?

— რომ გაიგონ, არა მარტო უმცროსი, უფროსი სელევკიც განგვირისხდება. — დინჯად უპასუხა ქუჯიმ. — ჩემს ყმაწვილკაცობაში ერთი უბრალო მეთევზის ქალიშვილი შემიყვარდა შუქია. ცოლადაც დავისვი და გავანაწყენე ჩემი მშობლები, დედაჩემმა მას მერე ვერ მოიბრუნა ჩემზე გული. ხოლო ერთ დღეს ცოლი და ჩემი ერთი წლის ვაჟი გაუჩინარდნენ. ამათ გამოდგა ჩემი მცდელობა, ვერ მივაკვლიე მათ კვალს. შუქიაზე გულდარდენილმა დიდხანს ვერ მოვიბრუნე გული ქალებზე და დღემდე უშვილძიროდ დავეხეტები. გვიან მივხვდი, რომ მართალი იყო შუქ[illegible]-წევდა იგი ცხოვრების მეგზურობას. ვერ შესძლებდა დედოფლობას ეგრისში. დავცილდებოდით მაინც ერთმანეთს, არც ჩემი მშობლები იწამებდნენ მთავრის მემკვიდრედ შუქიას ვაჟს. ჩემმა და დედაჩემის ქიშპობამ ეგრისი გაანადგურა. ჩემი შეცდომა მძიმე გამოდგა მაინც, თუმც სამეფო კაცი არა ვარ. ხოლო შენი ყოველი ნაბიჯი ქვეყნის სასარგებლოდ უნდა გადაიდგას. არა მარტო მეფე სჭირდება ღირსეული იბერიას, არამედ დედოფალიც. ნუ დაუშლი ქალთა გულის მონადირეს, თავისი ოსტატობა სცადოს ირესთან, ნუ გაანაწყენებ ასურასტანის ხვალინდელ' მეფეს.

— ხანდახან მეჩვენება, რომ ჩემს მოამაგეებს — შენ, ადონს, პირქუშს, ანათას და ვაჩეს გავიწყდებათ, რომ მეც ჩვეულებრივი კაცი ვარ და ჩვეულებრივი კაცური ბედნიერებაც მსურს...

— შენც უნდა დაივიწყო, რომ ჩვეულებრივი კაცი ხარ. უნდა დაივიწყო, როგორც დაივიწყეს შენმა მასწავლებელმა ადონმა, ტიმოზმა, დიდმა ადონმა, იმ განდეგილმა, მიწაზე განრთხმული რომ დასტოვე, და როგორც არმაზმა, მრავალჯერ. — თვით ფარნავაზი ვერ უსწორებდა თვალს ეგრისის მთავარს ხანდახან.

□გაგრძელება იქნება□

# კრიტიკა, პუბლიცისტიკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

აკაკი გაწერელია

## მონოლოგი დიალოგიდან

ქართველ მწერალთა ერთ ნაწილს მივმართეთ შეკითხვებით, ვთხოვეთ, გამოეთქვათ თავიანთი აზრი ლიტერატურისა და კულტურის, აგრეთვე ცხოვრებასთან მათი მიმართების შესახებ. ვფიქრობთ, მწერალთა მიერ გაცემული პასუხები საგულისხმო და საინტერესო იქნება მკითხველთა ფართო აუდიტორიისათვის, მათ შორის, იმ ახალგაზრდა ლიტერატორებისა და მწერლებისათვისაც, რომელნიც ეს-ესაა გამოდიან ლიტერატურულ ასპარეზზე...

რადგან ქართველი მწერლებისათვის ჩვენს მიერ დასმული შეკითხვები თვით პასუხებიდანვეა თვალსაჩინო, გადავწყვიტეთ პასუხების გაერთიანება და მათი ცალკეული მონოლოგების ფორმით წარმოდგენა.

ამჯერად გთავაზობთ ცნობილი ქართველი მწერლისა და მეცნიერის აკაკი გაწერელიას „მონოლოგს“.

1. ჭეშმარიტი შემოქმედისა და საერთოდ მწერლობის დანიშნულება სინამდვილიდან მიღებულ შთაბეჭდილებათა და ემოციათა მხატვრული სახით ადამიანებისადმი უკანვე დაბრუნებაა. ეს შთაბეჭდილებანი და შეგრძნებანი მკითხველისათვის მოულოდნელი, ორგანული და სამუდამოდ დასახსომებელი უნდა აღმოჩნდნენ. ყოველივე ამის გარანტიას კი მწერლის სულიერი სისავსე და მისი სტილური სრულყოფილობა განაპირობებს, რაც ძალიან იშვიათია.

2. ეჭვი იმის შესახებ, თითქოს ჩვენი ხალხი თავისი ცხოვრებით ცხოვრობს, ხოლო მწერლობა — საკუთარი ცხოვრებით, ვფიქრობთ, შეიძლება სადავო აღმოჩნდეს, თუმცა ჩვენ ამ ეჭვს ნაწილობრივ ვიზიარებთ. რაც შეეხება საზოგადოდ ცნობილ, დოსტოევსკის შესანიშნავ ფორმულას იმაზე, რომ „სამყაროს სილამაზე იხსნის“, ამჟამად, ტექნიკური რევოლუციების ეპოქაში, იგი შეიძლება მარტოოდენ მიმზიდველ გამოთქმად ჟღერდეს. სილამაზისადმი ადამიანების საზოგადოდ ტლანქი ან მეტნაკლებად უტილიტარისტული დამოკიდებულება ჰქონდათ და აქვთ, რადგან ზოგად ესთეტიკური თვალსაზრისით სილამაზე იშვიათია და მისი ღირსეული და ზუსტი დაფასება ადამიანთა უმრავლესობისათვის მიუწვდომელია.

3. ჩვენი ლიტერატურა, თუ მისი საუკეთესო წარმომადგენლების მიხედვით ვიმსჯელებთ, თანამედროვეა. სანამ პროტექციონიზმი არ მოისპობა, მწერლობაში რეალურ გარდაქმნაზე ლაპარაკი უქმია. რაც შეეხება ახალგაზრდობის მხრივ ჩვენი ლიტერატურისადმი ერთგვარ „გაცივებას“ და მეტწილად „უცხოური“ მწერლობით დაინტერესებას“, ეს ფაქტი არ გვიკვირს. საქმე ისაა, რომ ქართველი ახალგაზრდობის საუკეთესო ნაწილი ასე თუ ისე ფლობს ევროპულ ენებს (ინგლისურს, ფრანგულს, გერმანულს...) და ორიგინალებში ეცნობა საზღვარგარეთული ლიტერატურის შედევრებს. ამ მხრივ რუსული ენის როლიც დიდია, იგი ადვილად ამყარებს ჩვენი მკითხველის კონტაქტს ევროპული თუ აღმოსავლური მწერლობის თვალსაჩინო ნიმუშებთან: მაგ. მკითხველმა დიდი ხანია, რუსულად მიიღო თომას მანის ათტომეული, მისივე ტრილოგია „იოსები და მისი ძმები“ (ორ წიგნად), ჰერმან ჰესეს და მუზილის ქმნილებანი, ანგლოსაქსური ქვეყნებისა და ლათინური ამერიკის მწერალთა ძირითადი ნაწარმოებნი. არა ერთი მათგანი ქართულადაც არის თარგმნილი.

4. ქართული ლიტერატურის განვითარებას ოპტიმისტურად ვუყურებ, ნიჭიერება ან გენიალობა არაა რომელიმე ერის საკუთრება თუ

პრივილეგია. თუმცა აქვე დავძენ ვ. როზანოვის სიტყვებს: «при всякой гениальности ум все таки не мешает». ქართულ პროზას და ლექსს ემოციურ სიმდიდრესთან ერთად უნდა ამშვენებდეს ავტორის ინტელექტუალური სიღრმე, რაც დიდად სასურველია ჩვენს დროში.

5. არც ერთი თაობისაგან სასწაულს არ ველი. რუსთაველი სასწაულია, მაგრამ ანალოგიური ავტორის განმეორებას საუკუნეები სჭირდება. სხვა ხალხების ,მწერლობაშიც ასეა. ჩვენ არც ის ვიცით, როგორი მიმართულებით წარიმართება პოეტური პროცესი მომავალში.

6. მართალია, რომ „დასავლეთში ბევრს" ლაპარაკობენ და წერენ „ხელოვნების კრიზისზე", „განსაკუთრებით კი „პოეზიის სიკვდილზე". მეკითხებით, თუ რამ გამოიწვია „პოეზიისადმი მკითხველთა გაუცხოება?" უმთავრესი მიზეზი ისაა, რომ ჩვენში და სხვაგანაც ბევრი იწერება და იბეჭდება, ბევრის წერა კი იოლია და მას ნამდვილ ხელოვნებასთან კავშირი არა აქვს. ქართული ლირიკის მწვერვალია ნიკ. ბარათაშვილის მცირერიცხოვანი ლირიკა, ასევეა პუშკინისა და ლერმონტოვის შემდეგ — ტიუტჩევის პოეტური მემკვიდრეობა რუსულ მწერლობაში. „პოეზიის სიკვდილად" არ უნდა მივიჩნიოთ შედევრების ნაკლებობა. შედევრი დიადი სულიერი და გონებრივი სამყაროს მფლობელი შემოქმედისაგან მომდინარეობს, ისიც ძალზე იშვიათად. ლექსების კონვეირული სისწრაფით თხზვა კი პოეზიას არ ჰქმნის.

ლიტერატურის ყველა ჟანრში „ბევრის" იოლად წერა ხშირი, მაგრამ წარმავალი მოვლენაა. ასეთ რასმეს ტოლსტოი სამართლიანად უწოდებდა „აზრის პროსტიტუციას".

საერთოდ კი ჩვენი ეროვნული სული ისევე ვერ შეიგუებს „პოეზიის სიკვდილს", როგორც ვერ შეიგუებს იგი შეუდარებელი ქართული ხალხური სიმღერების გადაგვარებას. ხელოვანთა სახლში ჩვენ ვესწრებოდით დაუვიწყარ ჰამლეტ გონაშვილის შემოქმედებითს საღამოს. კონცერტის დასასრულს დარბაზში წამოდგა საარბრიუკენის თეატრის რეჟისორი-გერმანელი და განაცხადა, რომ გონაშვილის სიმღერები იოჰან სებასტიან ბახის ფუგებს და ქორალებს მაგონებსო.

ხელოვნებასა და ლიტერატურაში სრულყოფილი რამ საერთოდ იშვიათია, მათ უნდა დავუცადოთ.

რაც შეეხება დასავლეთის მწერლობაში „პოეზიის სიკვდილს", უნდა ვთქვა: დიდი და სავალდებულო პოეტები დიდი ხანია, იქ არ ჩანან, მაგრამ XX საუკუნის ევროპულ პოეზიას ამშვენებს პოლ ვალერის უნივერსალური ჭკუა და ტალანტი, ვფიქრობ (და არა მარტო მე), რომ ერთ საუკუნეს თუნდაც მისი სახელი ეყოფა. თვით თარგმანში პ. [illegible] წაკითხვა უმალვე დაარწმუნებს [illegible] შეხედულების სისწორეში (რასაკვირველია, „მასობრივი ლიტერატურის" მკითხველისათვის ვალერის სახელი მუდამ უცნობი დარჩება).

7. დიახ, ფლობერის ესთეტიზმს შეეფერებოდა მისი ცნობილი ფორმულა („სპილოს ძვლის კოშკში" ტალანტის მუდმივი ბინადრობის შესახებ, მაგრამ ვინც დღეს ამ გზას დაადგება, უეჭველად მივიღებთ ახალ „მადამ ბოვარი"-ს ან „წმინდა ანტონის ცდუნება"-ს? მიუხედავად იმისა, რომ მწერლობის ეთიკური და საზოგადოებრივი გავლენა ადამიანებზე ხშირად კოლოსალურია, ჩვენ მაინც ნაკლებად გვჯერა, რომ მწერლის ჩარევა „ერისათვის განსაკუთრებით კრიტიკულ, ექსტრემალურ სიტუაციებში" ყოველთვის სასურველ ნაყოფს გამოიღებს. მსოფლიო მწერლობის ისტორიიდან მსგავსი მაგალითების დასახელება მე არ შემიძლია (ვოლტერი და ზოლა — გამონაკლისებია). მაგ. ბატონყმობის გადავარდნას რუსეთში ხელი შეუწყო მწერლობამ, მაგრამ ეს აქტი ძალიან გვიან განახორციელა თვითონ მონარქიამ. ეგებ ეკატერინე II-მ დაუჯერა დენი დიდროს ბატონყმობის მოსპობის საკითხებში? რუსეთის პირველი რევოლუციისაგან გამოწვეული რეპრესიები არ შეუწყვეტია უდიდესი მწერლის შემაზრზენ პროტესტს „არ შემიძლია გაჩუმება". არც ერთ შესანიშნავ ლექსს არ შეუძლია სიტყვისაგან დაზარალებული ვაზის გადარჩენა, ასეთ სიტუაციაში გარითმული პროკლამაციები გლეხებისათვის სანუგეშოს არაფერს შეიცავენ.

„კრიტიკულ და ექსტრემალურ სიტუაციებში" ხალხს შველის სახელმწიფო და პარტია და არა მწერალი ან მწერლობა. გავიხსენოთ ნაპოლეონის მიერ გოეთესათვის ნათქვამი (მოაქვს თავის მემუარებში ტალეირანს): „რასაც მოირა (ბედისწერა) ასრულებდა ადამიანების მიმართ ანტიკურ ტრაგედიაში, ამჟამად მას ენაცვლება პოლიტიკაო".

თანამედროვე ადამიანურ კომედიაში მწერალი-ავტორი დიდად არ განსხვავდება თავისავე ნაწარმოების მაყურებლისაგან. პოლიტიკური რეფორმატორის როლი მწერლის მისია არაა.

8. საკუთარ თავზე წერა ძალიან მიჭირს, რადგან მე „ლიტერატურულ გენერლებში" არ ვწერივარ. მწერლის თუ ლიტერატურის ადგილს კი მშობლიურ მწერლობაში დროის ფილტრაციის ულმობელი კანონი განსაზღვრავს. მიამიტურ სუბიექტივიზმს, უწინარეს ყოვლისა, საკუთარ თავზე წინასწარ შემუშავებული შეხედულება ამჟღავნებს. ასეთ ანომალიებს დიდად უწყობს ხელს სხვადასხვა საშუალებებით თუ ნაცნობ-მოყვრობით შეძენილი აკადემიური ტიტულები, ადამიანი იჯერებს თავის „გან-

საკუთრებულობას“ და გარედან მაყურებლისათვის კომიკურ ფიგურად გამოიყურება (სამაგიეროდ დიდი ჭამაგირები და „უზრუნველყოფილი სიბერე“ — გარანტირებულია). პოზა, ამპარტავნობა, ქედმაღლობა და ნარცისიზმი საკუთარი „განსაკუთრებულობის“ პროვინციული შეგნების თანმხლები თვისებებია, გულისამრევი თვისებები!!!

9. რომელიმე ჟურნალ-გაზეთის გადაშლის უმალ ვეძებ კარგ ლექსს. მიზიდავს ნიჭიერად დაწერილი ლექსი-მონოლოგი ან ლექსი-ფრაგმენტი, ხანდისხან მაინც რომ მომაგონებს ბარათაშვილის მონოლოგს ან ტიუტჩევისა თუ ახმატოვას ლექს-ფრაგმენტს.

ავტორის სახელსა და გვარს ჩემთვის არავითარი მნიშვნელობა არა აქვს.

10. კარგად მესმის თქვენი გასაჭირი: „ჟურნალის გვერდების შევსება ნიჭიერი, საინტერესო, ორიგინალური ნაწარმოებებით“ ალბათ ძალიან გიძნელდებათ. მხატვრული „პროდუქციის“ მოძალების პირობებშიაც კი ძნელია საინტერესო და ორიგინალური ქმნილების შერჩევა. მიზეზი ერთია: შემოქმედება არაა აბსტრაცირებული ავტორისაგან, რომლის ნაწარმოების სისუსტე თვით ავტორის პრიმიტიულ სულიერ ორგანიზაციაში უნდა ვეძიოთ. მწერლობა ბედისწერაა. ამ შეგნების გარეშე არც ერთ ტალანტს ღირებული რამ ლიტერატურაში არასოდეს არაფერი შეუქმნია. ამასთან იგი ხანგრძლივი და დამქანცავი შრომის შედეგად გვევლინება. „ანა კარენინას“ ავტორი ხშირად იმეორებდა ამ აზრს და თვითონაც შესაბამისად შრომობდა.

11. უცხოელი ავტორები, რომელთაც სულ უკანასკნელ ხანებში დიდი შთაბეჭდილებანი დასტოვეს ჩემზე, არიან: ახლახან გარდაცვლილი ფრანგი მწერალი ქალი მარგერიტ იურსენარი (რომანები „ადრიანეს მოგონებანი“, „ფილოსოფიური ქვა“...), აგრეთვე გარდაცვლილი ამერიკელი თ. უაილდერი („მარტის იდეები“, „მეფე ლუდოვიკო წმინდანის ხიდი“...) და ინგლისელი უილიამ გოლდინგი (ნობელის პრემიის ლაურეატი, რუსულად თარგმნილია მისი „შპილი“, „ბუზების მბრძანებელი“ და „საგანგებო ელჩი“). ევროპა კიდევ უმტკიცებს ჩრდილოეთ ამერიკის შტატებსა და ლათინურ ამერიკას, რომ სტერნის, თეკერეის, სტენდალისა და ბალზაკის ქვეყნების ინტელექტუალური შესაძლებლობანი დღესაც ამოუწურავია. მარტო თომას მანის გახსენებაც კმარა.

ახალგაზრდობას ვურჩევ ზემოთ დასახელებულ ქმნილებათა გულდასმით გადაკითხვას, ტოლსტოის პროზასთან ერთად (გოლსუორსი: „ტოლსტოი დიდი ხანია ჩემთვის შექსპირის გვერდით დგას“). „კაზაკები“ და „ჰაჯი მურატი“ 4-ჯერ ან 5-ჯერ მაინც უნდა გადაიკითხოთ.

ასევე მუდმივი თანამგზავრი უნდა იყოს ყველასათვის სერვანტესის „დონ კიხოტი“.

რაც შეეხება უკანასკნელ ხანებში ქართულად წაკითხულ კრიტიკულ წერილებს, ცალკე უნდა გამოვყო აკაკი ბაქრაძის სტატიები, თამაზ წივწივაძის ბოლო წერილები, არჩილ გოგელიას სტატია გერონტი ქიქოძეზე, მაკა ჯოხაძისა და თემურ ქორიძის ესეები. შეგვიძლია კიდევ რამდენიმე ავტორის დასახელება, მაგრამ ამჯერად ეს სია ვიკმაროთ.

12. უფროსი თაობის ქართველ მწერალთაგან ჩემი საყვარელი ავტორია დავით კლდიაშვილი, უფროსი მეგობრების ნაწერებიდან ზოგი კარგა რამ დავიხსომე მიხ. ჯავახიშვილისა და კ. გამსახურდიას პროზიდან. ცალკე მოთხრობებს შორის მომწონს ს. კლდიაშვილის „ხალდე“ და ნ. დუმბაძის „ხაზარულა“... დანარჩენს ამჟამად ვერ ვიგონებ, თუმცა არა ერთი შესანიშნავი მოთხრობა და ნოველა დაბეჭდილა ქართულად, მაგ. გ. გეგეშიძის მოთხრობები.

რაც შეეხება ჩემს „გამდიდრებას“ რომელიმე უფროსი თუ უახლესი მწერლის შემოქმედებით, ამ კითხვაზე გიპასუხებთ: მე ძალიან ადრე გამამდიდრეს ევროპისა და რუსეთის დიდმა მწერლებმა, მაგრამ მათზე არა ნაკლებ — თეოლოგებმა, ფილოსოფოსებმა (მორალისტებმა და სტოიკოსებმა), პოეტებმა და მუსიკოსებმა.

თანამედროვე მწერლობას დიდი შერჩევით ვკითხულობ, სამსახური და გადაუდებელი სამუშაოები საშუალებას არ მაძლევენ აქტიურ მკითხველად ჩავთვალო ჩემი თავი. ერთ კარგ წიგნს, თუნდაც მცირე მოცულობისას, შეუძლია ნაწილობრივ მაინც გააქარწყლოს ჩემი სკეპსისი. თვითონაც მინდა ერთი კარგი წიგნი მაინც დავტოვო.

13. ზემოთაც აღვნიშნე, რომ საკუთარ ნაწერებზე საუბარი ძალიან მიჭირს-მეთქი. არც ერთ ჟანრში არა ვარ ხელხვავიანი, თუმცა ჩემი ხანგრძლივი ცხოვრების მანძილზე საკმაოდ დამიგროვდა საკუთარი ნაწერების ტომები (უმთავრესად ფილოლოგიასა და ესეისტიკაში, ნაკლებ — ბელეტრისტიკაში). კერძოდ მოთხრობა, ფოლკნერისა არ იყოს, პოეზიის შემდეგ სიტყვიერი ხელოვნების უმაღლესი ფორმაა. მე არ ვიცი, მაქვს თუ არა უფლება ამ დარგში რომელიმე ჩემს ნაწარმოებზე მივუთითო. ეგებ „ბოსკოს შეგირდი“, „ნაზარის უკანასკნელი ლოცვა“ ან „ფაიდას გამოცხადება“ („ცისკარი“, 1988, № 8) ღირდეს წასაკითხად? ყოველი ავტორი, თუ ის დიდი ტალანტი არაა, მუდამ ბრმაა საკუთარი თხზულების შეფასებისას. აქვე უნდა დავუმატო, რომ ჩემს მხატვრულ ნაწერებში ვვარაუდობ ზოგიერთ სხვა ნოველასაც („ამზათი“ „შამილი“-ს introductio-ს და სხვებს, რომელთა არაერთი ნიმუში მაქვს გამოქვეყნე-

ბული. არ ვიცი, მატყუებს თუ არა ჩემი თავი. ჩემი მოღვაწეობისადმი თავაგდებული დამოკიდებულება მწყინს, მაგრამ ეს ხომ ყველა ჩვენგანის ბუნებრივი ადამიანური თვისებაა. დაუმსახურებელი კომპლიმენტი კი არავის არ უნდა მოსწონდეს.

14. მე არ ვარ განებივრებული პირუთვნელი და ობიექტური კრიტიკის მხრივ, უამრავი თავდასხმები კი (სმერდიაკოვები არასოდეს გამოილევიან მწერლობაში!) კარგად მახსოვს. დიდი დრო წაართვა წმინდა ფილოლოგიურმა პოლემიკამ, კერძოდ, ვერსიფიკაციის საკითხებზე, პეტრე იბერიელის ვინაობის გარშემო დავამ, ვინმე „ზაქარია ქართლელის“ ფიქციური პიროვნების გაქარწყლებამ და არეოპაგიტიკის საკითხებმა. მე მათ ამიერიდან კიდევ დავუბრუნდები, ამ საკითხებში არსებული ქაოსის მოგვარება კი ახალმა თაობამაც იკისროს. ოღონდ კარგი იქნება, თუ კერძოდ ფსევდო-დიონისეს პრობლემის კვლევისას წინასწარ გაიცნობდნენ ლოსკის, ჟილსონის, რენე როკის და სხვა დიდი თეოლოგების შრომებს (ფსევდო-დიონისე თეოლოგი და მისტიკოსი იყო და არა ფილოსოფოსი-ნეოპლატონიკოსი)...

ქართული მწერლობა, ქართული კულტურა საზოგადოდ, სამუდამოდ უნდა განთავისუფლდეს ყოველგვარი (მათ შორის — ოფიციალური) პროტექციონიზმისაგან, ვიმეორებ — ა ბ ს ო ლ უ ტ უ რ ა დ უნდა განთავისუფლდეს! უამისოდ არაფერი სიკეთე ჩვენს ჰუმანიტარულ დარგებში არასოდეს დაისადგურებს.

ვინ უნდა იკისროს ეს როლი? — ახალი თაობის კრიტიკოსებმა.

ვიგონებ ერთ ფაქტს: როცა 1909 წელს ტოლსტოის შეეკითხნენ ამერიკელი კორესპონდენტები — რატომ მხატვრულ ნაწარმოებს არ წერთო, მან უპასუხა — დიდ ხანია მზად მაქვს ერთი მოთხრობა „ჰაჯი მურატი“-ო. მეორე კითხვაზე — რატომ არ აქვეყნებთო, მწერალმა უპასუხა: არ მინდა წავიკითხო მასზე დაწერილი კრიტიკული წერილებიო. და ამას აცხადებდა... გენიალური მოთხრობის ავტორი!

პარტიკულარიზმი, ძმა-ბიჭობა, საეჭვო ერუდიციით კოკეტობა, — ბევრი ჩვენი კრიტიკოსის და ზოგი „ფილოსოფოსის“ საერთო ნაკლოვანებაა.

პირადად ჩვენ იმდენად თავისუფალი ვართ პროტექციონიზმის ქოლგისაგან, რომ ზოგჯერ ჩემს დასახელებასაც კი ერიდებიან პრესაში. ამის გამო გული არ მომდის.

დავუმატებ, რომ ჩვენი დაკვირვებით კარგ ნარკვევებს მწერლებზე თვითონ მწერლები სწერენ. ამას წინათ ღრმა კმაყოფილება ვიგრძენი გოგოლზე ვ. ნაბოკოვის ნაწილობრივ პარადოქსული გამოკვლევის წაკითხვის შემდეგ (იგი ითარგმნა ინგლისურიდან და დაიბეჭდა ჟ. „ნოვი მირში“ შარშან); კარგი შთაბეჭდილება დასტოვა ვ. კავერინის [illegible] „[illegible]ური ტინიანოვი. ცხოვრება და [illegible]“ ([illegible] 1987 წ. ჟ. „ზვეზდა“-ში), მ. ჩუდაკოვას მონოგრაფიებმა მიხეილ ბულგაკოვზე... ჩინებულია აკ. გაწერელიას მოგონება ტიციან ტაბიძეზე და მისივე „ტოლსტოის მხატვრული მეთოდის შესავალი“.

15. ინტერვიუს ამ პარაგრაფში თქვენ კარგად გაქვთ შენიშნული: მართლაც და არ ყოფილა შემთხვევა, რომ უფროსი თაობის მწერლებს რაიმე სერიოზული გამოკვლევა ან წერილი გამოექვეყნებინათ ერთმანეთზე (საიუბილეო მილოცვები, რა თქმა უნდა, მხედველობაში მისაღები არაა). 30-იან და 40-იან წლებში მხოლოდ „ცისფერყანწელები“ მეგობრობდნენ და აქებდნენ ერთმანეთს (ვიდრე ალ. არსენიშვილსა და პაოლო იაშვილს არ გადაიბირებდნენ დასახელებული ჯგუფის „შიგნიდან ამფეთქებელნი“!). პირადად ჩვენ არც ერთ ქართველ პოეტზე არ დაგვიწერია ნეგატიური რამ, დადებითი კი — არა ერთხელ (მაგ. ტ. ტაბიძეზე). 1938 წელს ვიყავით მთავარი მომხსენებელი გ. ტაბიძის შემოქმედების 30 წლის თავისადმი მიძღვნილ საღამოზე (ესაა ჩვენი წერილი „გალაკტიონ ტაბიძე“, რომელიც იმავე წელს დაიბეჭდა ჟ. „მნათობში“), გ. ტაბიძის გარდაცვალების წლის თავზე კი გამოვაქვეყნეთ მოგონება „ლერწამი და გობელენი“ გაზეთ „ლიტ. საქართველოში“, რომელიც არაერთგზის გადაიბეჭდა ჩვენს წიგნებში და სხვადასხვა კრებულებში. ამჟამად გამოვიდა I ტომი გ. ტაბიძის ნაწერებისა (რედ. პოეტი ვახტანგ ჯავახაძე). I ტომი სწორედ ჩვენი მოგონებით იხსნება (აქვე აღვნიშნავ, რომ ამ მოგონებას სიყვარულით გამოეხმაურა გრ. რობაქიძე წერილში „გ. ტაბიძე და მისი ქებათა-ქება ნიკორწმინდას“).

არაა დასამალი, რომ ძველი თაობა არ იჩენდა დიდ გულისყურს ერთმანეთისადმი, მათი პირადი ურთიერთობაც არ იყო გაუბზარავი, არც ერთხელ არ მინახავს მაგ. გ. ტაბიძე სტუმრად მ. ჯავახიშვილთან, კ. ჭიჭინაძესთან ან კ. გამსახურდიასთან, რომელიმე ამათგანი კი — მ. ჯავახიშვილთან. ისინი დაუსრულებლად ედავებოდნენ ერთმანეთს (ბევრს ახსოვს მაგალითად მ. ჯავახიშვილისა და კ. გამსახურდიას დავა „არსენა მარაბდელის“ გარჩევაზე, რუსთაველის საკონცერტო დარბაზში. მომხსენებელი იყო პროფ. ს. ხუნდაძე).

ერთხანს აიშალნენ კ. ჭიჭინაძე და კ. გამსახურდიაც დანტეს „ღვთაებრივი კომედიის“ თარგმანთან დაკავშირებით, ს. ჩიქოვანი და კ. ჭიჭინაძე — „იგორის ლაშქრობის“ ინდივიდუალური თარგმანების გამო და ა. შ. ძველი თაობის მწერალთა შორის დავის, პოლემიკის და ცხარი თავდასხმების მაგალითებს რა ჩა-

მოთვლის. ამ მხრივ ძალიან აქტიურობდა დ. შენგელაიაც.

მაგრამ ყველა ეს უტყუარი შემთხვევა იმდენად ცუდი მოსაგონარი არაა, რამდენადაც თავზარდამცემი ფაქტი... გ. ტაბიძის გადმოხტომა საავადმყოფოს IV სართულიდან!

ახეთი შედეგი მოაქვს ვინმეს ხელოვნურ დაწინაურებას და ბნელი უფლებებით მის აღჭურვას, რასაც წინათ ფესვები კარგად ჰქონდა გადგმული და რაც ნაწილობრივ დღესაც გრძელდება.

გვაგონდება გოეთეს სიტყვები:

«В литературе мы часто встречаем случай, когда ненависть замещает гении и когда незначительные таланты кажутся крупными выступая в качестве органа определенных партий. Точно так же и в жизни мы находим очень много людей, не обладающих достаточным характером, чтобы остаться одиноким: примыкая к какой-либо партии, они чувствуют себя сильнее и изобретают значительную фигуру». (Иоган Петер Эккерман. Разговоры с Гете. М., 1934, с. 593).

16. საიუბილეო დღეებში დაწერილი სტატიებიდან მხოლოდ თითო-ოროლა თუა საყურადღებო, პანეგირიკები დღეს არავის შეეფერება.

17. მეგობრის კრიტიკული, კეთილმოსურნე წერილი, თუნდაც ცოტა გადაჭარბებული — ლიტერატურული დანაშაული არაა. დანაშაულია — კასტური კრიტიკა, გაზვიადებული და საერთოდ მეტიჩრული. ასეთი კრიტიკა, შინ „დაგეგმილი", ქართულად, რუსულად თუ უცხოურ ენაზე დაწერილი, წარმავალი და უნაყოფოა. მისდამი არავითარ პიეტიზმს არ ვგრძნობ.

ქართველი მწერლისათვის უწინარეს ყოვლისა ქართველი მკითხველის აზრი უნდა იყოს საყურადღებო.

18. მაღალხარისხოვანი მხატვრული ლიტერატურა თავისთავად ემსახურება სინამდვილის ყოველგვარ დადებით „ტენდენციებს" და „მოვლენებს". კონიუქტურულ „მწერლობას" ხელოვნებასთან საერთო არაფერი აქვს. „ვეფხისტყაოსნის" გეოგრაფიული გარემოც კი არაა ქართული, მაგრამ რუსთაველის პოემა უდიდესი ეროვნული ეპოსია. ყოველდღიურ მოვლენებზე რეაგირება, რაგინდ მნიშვნელოვანი არ იყოს ეს მოვლენები, ჟურნალისტიკის საპატიო ამოცანაა.

ამასთან, მწერალი კი არ უნდა მიდიოდეს ხალხთან — არამედ იგი უნდა იზიდავდეს ხალხს თავისი მხატვრული აზროვნების სიღრმით, დიდი ინტელექტუალური და ემოციური ვიბრაციით.

19. ყველაზე გამამხნევებელი იქნებოდა ახალგაზრდობის დადებითი აზრი ჩვენს მუშაობაზე პოეტიკაში, ესთეტიკაში და პროზაში, მაგრამ ვარ კი ასეთი გამხნევების ღირსი?

20. მრავალი თემა არსებობს, მაგრამ თემა კი არ არის მთავარი მწერლობაში, არამედ თემის მხატვრულად დამუშავების ხარისხი. ნიჭიერი შემოქმედი თვითონ შეამჩნევს საკუთარი თემის ორიგინალობასა თუ ორდინარულობას. პირადად ჩვენ არავითარ პატივს არ ვცემთ მწერალს, რომელიც სიტყვას დიდი პატივისცემით არ ეპყრობა და გაცვეთილი სიტყვებით ავსებს თაბახებს. იმ ნაწარმოების თემაა კარგი, რომელიც შეუძლებელია არ დაწერილიყო.

21. ჩემი თანატოლი საყვარელი მწერლებიდან თითქმის არც ერთი არაა ცოცხალი. ისინი ძალიან მიყვარდნენ და ჩემი გული თანდათან გადაიქცა მათ მეორე სასაფლაოდ.

22. ინტერვიუს ამ პარაგრაფში დასმული კითხვაც ძალზე დამაფიქრებელია, მე მასზე დამაჯერებელი პასუხის გაცემა არ შემიძლია. ყოველშემთხვევაში, „ნებისმიერი ნაწარმოების კრიტიკა", უწინარეს ყოვლისა, მოითხოვს აბსოლუტურად ჯანსაღ ლიტერატურულ ატმოსფეროს, რომელიც ჩვენში არ არსებობს და არ ვიცი ოდესმე კი იარსებებს? დღეს ადვილად შეიძლება შესანიშნავი და არატრაფარეტული ნაწარმოები განქიქების საგნად აქციონ ანუ დუმილით შეხვდნენ, ხოლო ფსევდომხატვრულ პროზას ან ლექსს — გუნდრუკი უკმიონ. გულწრფელობა საშიშ თვისებად იქცა, ხოლო სიფრთხილე და მომგებიანი „შორსმჭვრეტელობა" — ჭკუის ნიშნად!

23. სამწუხაროდ, მე ან თავს მესხმიან ან შეგნებულად სდუმან. გამამხნევებელი კრიტიკა იშვიათად მომისმენია, თუმცა დუმილი და იგნორაცია, რასაც დიდი ხანია მიჩვეული ვარ, კრიტიკის თავისებური ფორმაა. ჩვენ პროტექციონიზმის არავითარი ქოლგა არ გვიფარავს და ამით ძალზე კმაყოფილი ვარ. ალბათ უბრალო წახალისების ღირსიც არა ვარ, დევნისა და თავაგდებული დამოკიდებულებისა — კი.

25. დასაბუთებული კრიტიკა მეხმარება, დაუსაბუთებელი კი — მალიზიანებს, ჩემთვის არც პასკვილებია უცხო და მათ ავტორებს სულიერად ლატაკ არსებებად ვთვლი. უფრო დიდ დამნაშავეებს, ვფიქრობ, შესაფერისად გავუსწორდე.

25. ჩემთვის იდეალური მოდელი კრიტიკისა არის პოლ ვალერის წერილები მალარმეზე, ბოდლერზე, ფრანგ მხატვრებზე, აგრეთვე მისი შეუდარებელი „ლეონარდო და ვინჩის სისტემის შესავალი" (ყველა ის რუსულადაა თარგმნილი, ზოგი მათგანი ქართულადაც და ბრწყინვალედ).

26 და 27. ჩემი მუდმივი თემები (სიკვდილამდე!) არის „შამილი" (I ტომის დამთავრება) და ვრცელი „მემუარების" წიგნი, ამიტომ არც

ეროვნული ბიბლიოთეკა

სხვა თემებს ვებლაუჭები და არც ვჩქარობ. მე იმ ადამიანებს ვეკუთვნი, რომელნიც ამთავრებენ ცხოვრებას და რომლებისთვისაც ყველა არსებითი კითხვა — გადაწყვეტილია!! წინ რომ 20 წელიწადი მედოს, მაშინ აზრი ექნებოდა იმ თემების ჩამოთვლას, რომლებზედაც რახმე დავწერდი (ზოგი დაწყებული მქონდა, მაგრამ გავანადგურე).

28. (1) მწერლისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს მატერიალურ-ეკონომიურ მდგომარეობას. ღმერთი ყველას როდი აჯილდოვებს ვაჟა-ფშაველას ნიჭიერებით, რათა ნახევრად მშიერმწყურვალმა შედევრები შექმნას მიწურ ქოხში. დიდად მომწონს უმრავლესობისათვის მიუღწეველი მოთხოვნა გუსტავ ფლობერისა: „უნდა იცხოვრო ფრანგ ბურჟუასავით და უნდა იაზროვნო სოკრატესავითო“. მაგრამ ამ მიზნით ქრთამი არ უნდა აიღო, რადგან მექრთამე ზნეობრივი ლეშია მაშინაც, როცა მას აკადემიკოსს ეძახიან.

ის, რაც ზოგიერთისათვის მომგებიანი და რეალური „ფიზიკაა“, ჩემთვის იგი „მეტაფიზიკაა“. ივანე ჯავახიშვილის სტუდენტყოფილი ვარ და მისი სახის გამომსახველი მედალიონით დაჯილდოებული, ამიტომაც ჩემი მატერიალური სიღარიბე თვითონვე მომწონს.

28. (2). ფილოლოგიური გამოკვლევების წერისას მუდამ რაციონალისტი ვიყავი, სხვა ჟანრში — ნაწილობრივი სომნამბულიზმით შეპყრობილი, მაგ. „ნაზარის უკანასკნელი ლოცვის“ ან „ფადიას გამოცხადების“ წერისას, მაგრამ ასეთი ფსიქოლოგიური ვითარება წერის პროცესში წარმავალია, რადგან ყველა ჟანრში თუნდაც მარტოოდენ სტილის დახვეწა მოითხოვს ცნობიერი ძალების ღრმა დაძაბვას.

29. მხოლოდ და მხოლოდ შინაგანი მოთხოვნილება მაიძულებს, ხელი მოვკიდო კალამს ან ვინმე თუ მაიძულებს ვისმეზე მოგონება ან სტატია დავწერო. იდეალური მდგომარეობა ჩემთვის წერა კი არაა, არამედ ფიქრი და დუმილი.

30. მე არასოდეს ვყოფილვარ პროდუქტიული და პოპულარული მწერალი. მხოლოდ „ფაუსტის“ ავტორი ან მისი მსგავსი გიგანტები არ ავიწყდებათ ლიტერატურაში, „პოსტ მორტემ-ნიჰილ“ — სიკვდილის შემდეგ — არარაობა! ზედმეტი არ იქნება თუ ხანდისხან ძველ აღთქმაშიაც ჩავიხედავთ და „ეკლესიასტეს“ წავიკითხავთ.

31. ასეთი წიგნი, რომელიც ღრმად გამოხატავდეს ჩემს შინაგან სამყაროს ან ჩემი ხალხის სულს — *მე არ დამიწერია, ასეთი დიდი ნიჭით ღმერთს არ დავუჯილდოებივარ.* არ მიიღოთ აქ და ზემოთ თქმული ყალბ თვითგვემად. ჩემი განათლება არ საჭიროებს შახსეი-ვახსეის. სხვისი და საკუთარი თავის ფასი კარგად ვიცი.

32. ამ კითხვაზე გიპასუხებთ პოლ ვალერის სიტყვებით, რომლითაც თავის უახლოეს მეგობარს მიმართა: „ნუ მიწოდებ მწერალს, მე მხოლოდ ერთი მოწყენილი ვაჟბატონი ვარ!“

34. ჩემი ბავშვობის მოგონებებს ვეხები ვრცელ „მემუარებში“, რომელსაც ალბათ სიკვდილის წინ დავამთავრებ.

34. პირველი წიგნები, რომელიც მე ძალიან ადრე (11-12 წლისამ) წავიკითხე იყო პ. ირეთელის მიერ თარგმნილი „აღდგომა“ ტოლსტოისა, სოფიო ურბანოვსკაიას „თავადის ქალი“, პონომარიოვის „მოსისხლე ბელადი“, ვინმე იოსელიანის (?) მიერ პროზად მოყოლილი შინაარსები შექსპირის მთავარი ქმნილებებისა და რამდენიმე სხვა. „აღდგომა“ უთვალავჯერ მაქვს წაკითხული და მისი მეორე, ახალი თარგმანი (ეკუთვნის ზ. მაჭავარიანს) ჩემი რედაქციითა და ვრცელი წინასიტყვაობით დაიბეჭდა (პირველი საბჭოთა გამოცემა). ასევე, ჩემი რედაქციითა და ვრცელი წინასიტყვაობით დაიბეჭდა „ომი და მშვიდობის“ I ტომის ქართული თარგმანის პირველი გამოცემა (ილია აგლაძის თარგმანი) და დოსტოევსკის „დანაშაული და სასჯელი“.

35. ვფიქრობ, კარგად ვიცნობ ძველ და ახალ ქართულ ლიტერატურას და ჩემი წვლილი მაქვს შეტანილი ამ პერიოდის მწერალთა შესწავლაში (გამოკვლევები რუსთაველზე, ნარკვევი გურამიშვილზე, მონოგრაფიები ნ. ბარათაშვილის, გრ. ორბელიანის, ვაჟა-ფშაველას შესახებ და სხვ.). გამოცემული მაქვს გ. ორბელიანის ეპისტოლარული მემკვიდრეობის ორი ტომი (1936-37 წწ.), მისივე მხატვრული მემკვიდრეობის სრული ტექსტები (ჯ. ჭუმბურიძესთან ერთად), ი. ლოლაშვილთან ერთად — ნ. ბარათაშვილის ნაწერების აკადემიური გამოცემა და სხვ. 1977-1982 წლებში დაიბეჭდა ჩემი „რჩეული წერილების“ 8 ტომი (4 წიგნად) და „მოთხრობები და ნოველები“. მის ღირსებებზე მე არაფრის თქმა არ შემიძლია.

36. ზემოთ მოგახსენეთ, რომ კარგი ლიტერატურული ატმოსფერო ჩვენში არ არსებობს, ჩემი სიცოცხლის დარჩენილ წლებში რაიმეს გამოსწორებას არ ველი, პირიქით.

37. ამჟამად მეცნიერებისა და ხელოვნების სხვადასხვა წარმომადგენლებთან თითქმის არაფერი მაკავშირებს. მეგობრული ურთიერთობა მაქვს მეტწილად ჩემი სამსახურის ხალხთან.

38. მხოლოდ რუსული და უცხოური ლიტერატურის შედევრებს ვკითხულობ, ამასთან ერთად ვეცნობი დასავლეთის ფილოსოფიის *სხვადასხვა მიმდინარეობათა წარმომადგენლებს,* რომელთა შორის მწერლებიც ბევრია (მაგ. ეგზისტენციალისტები: ჟან-პოლ სარტრი, ალბერ კამიუ, მიგელ დე უნამუნო და სხვ.).

ფილოსოფიის ისტორიით დაინტერესა პროფ. მ. გოგიბერიძის „ფილოსოფიის ისტორიის“ I ტომმა, რომლის პირველი გამოცემა ჩემს მიერ არის სტილისტურად რედაქტირებული.

ბევრი მიკითხავს თეოლოგიური ლიტერატურა, რუსთაველთან და საერთოდ ძველი ქართული ლიტერატურული ძეგლების კარგად გაცნობის მიზნით.

39. არ შემიძლია მოვიგონო მომენტი, რომ ჩემი რომელიმე ძველი ნაწერი ხელმეორედ წამეკითხოს. მე მხოლოდ ჩემს ახალ ნაწარმოებს ვკითხულობ კორექტურაში რამდენჯერმე, სტამბაში მის გაგზავნამდე.

დაბეჭდილი ნაწარმოები ავტორს უკვე აღარ ეკუთვნის, ის დამოუკიდებლად ცოცხლობს ან მკვდარია.

40. კვალიფიციური მკითხველის აზრს ჩემი რომელიმე წიგნის შესახებ ნაკლებად ვიცნობ. ახალს თუ რასმე ვბეჭდავ, წინასწარ ვღელავ. საშინლად განვიცდი, თუ მასში კორექტურულ შეცდომებს ვნახულობ. ლინოტიპს ჩემს დემონად ვთვლი.

41. ნაწარმოებს, რომელიც სავსებით დამაკმაყოფილებს, ალბათ ვერასოდეს დავწერ. უდიადეს ქმნილებათა წვდომამ, რითაც დამაჯილდოვა განგებამ, დიდი ხანია გამათავისუფლა ნარციზმისა და თვითკმაყოფილების გრძნობისაგან. ვინც სხვაგვარად ფიქრობს — ბედნიერი, მაგრამ ავადმყოფი ხალხია.

42. გარდა სამსახურეობრივი საათებისა (და აგრეთვე თუ სადმე არა ვარ წასასვლელი, ვთქვათ, პანაშვიდებზე, რადგან კინოსა და თეატრისათვის ვერ ვიცლი) — ყოველდღე ვმუშაობ შინ, საღამოს 18 საათიდან ღამის 2 საათამდე. ახალგაზრდობისას კი ძალიან ხშირად გათენებამდე ვუჯექი მაგიდას.

კითხვა უფრო მიყვარს, ვიდრე წერა.

43. არც ერთი წუთითაც არ მივარაუდებია ჩემი თავი ისეთ მეცნიერებსა და მით უფრო მწერლებს შორის, რომლებითაც აღტაცებული ვარ. ჩემს აღტაცებას კი უმთავრესად მსოფლიო ღირებულების მხატვრული ქმნილებანი იწვევენ. ვფიქრობ, თქვენც ყველა ასე ფიქრობთ.

44. „მემუარების“ წერისას მეადვილება ფაქტების ზუსტი გახსენება, მეხსიერება არ მღალატობს. რაც შეეხება „შამილს“, ათეული წლების მანძილზე იმდენი მასალა დამიგროვდა, რომ ამ გმირის ეპოქისა და მოღვაწეთა ბიოგრაფიის თვითეულ დეტალს პლასტიკური სიცხადით წარმოვიდგენ ხოლმე.

შემოქმედების პროცესი აღტაცებას (და კმაყოფილებას საერთოდ) აბსოლუტურად გამორიცხავს, რადგან ამ პროცესს, სხვა რომ არა იყოს, დიდი შრომა ახლავს თან.

45. რისამე გამოქვეყნებამდე, იშვიათად, მაგრამ სიამოვნებით წავაკითხებ ხოლმე ჩემს ნაწერს იმათ, ვის გემოვნებასაც ვენდობი, და ყველა მათ საქმიან შენიშვნას უყოყმანოდ და მადლიერებით ვღებულობ.

კერძოდ, ენის სტიქია ისეთი რთულია, რომ სადმე უნებლიედ „კალამი არ გადაგიბრუნდეს“ — შეუძლებელია. აქვე დავუმატებ — ჩემთვის სტილური სიახლე (რომელიც ორიგინალობისა და ბანალობის საზღვარზე მდებარეობს) უფრო მეტს ნიშნავს, ვიდრე ყოველწუთას პედანტურად „გრამატიკული სისწორის“ დაცვა ან მასზე ზრუნვა. მე „გრამატიკის გარეშე ვარსებობ“ და ეს ერთადერთი თვისება მანათესავებს... ზოგიერთ ჭეშმარიტ ლიტერატორთან.

46. ავტორზე უკეთ მწერლის შემოქმედების ხარისხის დადგენა პროფესიონალ მკითხველს შეუძლია. ხდება ასეც: ნაწარმოებს ივიწყებენ, მაგრამ გაივლის ხანი და იგი ცოცხლდება ან ახალ ჟღერას იძენს. წინასწარი მარჩიელობა ძნელია, თუ ვის და როგორ ნაწარმოებს ხვდება წილად იგი. ყოველშემთხვევაში — გრაფომანები მათს რიცხვში არ იგულისხმებიან. მომავალი მკითხველის გულის მოსყიდვა არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება. სიბერე ან კვდომა მარტო ამჟამად „მოხერხებულ“ ავტორებზე ვრცელდება. გენიოსებს იგი არ ეხება.

დიდი ტალანტი საზოგადოდ მომავალში, ე. ი. „დიდ დროში“ ცოცხლობს! (მ. ბახტინი).

47. წმინდა ავტობიოგრაფიული ნაწარმოები არასოდეს დამიწერია, რადგან ბიოგრაფიის გარეგნული ფაქტებით მდიდარი არა ვარ: რაიმე მნიშვნელოვანი პოსტი მე არასოდეს მრგებია, მოპასანის ერთი პერსონაჟი (რომანში „ლამაზი მეგობარი“) ამბობს „ჩემი სიმდიდრე მარტოოდენ ჩემი რითმა არისო“. მე არ ვიცი, რა გამაჩნია ისეთი, რომელიც ჩემს არსებობას განსაკუთრებულ მნიშვნელობას მიანიჭებდა. მაგ. ვის შეუძლია გამოთქვას მსგავსი რამ რუსთაველის ღვთაებრივი ტაეპისა (იგი ხალხური არაა):

„ბინდის გვარია სოფელი, უფრო და უფრო ბინდდების“.

როგორი გრანდიოზული სახელი ამშვენებს ქართულ პოეზიას!

48. ვფიქრობ, რომ საკუთარ სტილს ვფლობ, რადგან არავის ვბაძავ. ლაკონურობისადმი მისწრაფება კი მასწავლა დიდმა საბამ, აგრეთვე რუსმა მწერალმა ისააკ ბაბელმა, რომელსაც შესანიშნავ მხატვრად ვთვლი, თუმცა კარგად მომეხსენება, რომ მათს რიცხვში მოსახსენებელი არა ვარ.

მიუხედავად ამისა, სტილის მხრივ, მგონი, არავისა ვგავარ, თანაც ჩემი ნაწერებიდან სტილისტურად თითქმის უნაკლოდ ვთვლი ეტი-

უდს „ათენაიდა-ევდოკია“. ხანდახან ვფიქრობ, რომ მე ვაჯობე შარლ დილს, რომელსაც იმავე თემაზე აქვს დაწერილი ნოველა-ეტიუდი (წიგნში „ბიზანტიური პორტრეტები“). არ ვიცი, შეიძლება, ეს შეხედულება ჩემს მიერ მთელი არსებით საძულველი ავტორეკლამის უ ი შ ვ ი ა თ ე ს ი გამოვლინებაა.

49. თანამედროვე ქართული მწერლობის მთავარი ღირსება ზოგი მათგანის უდავო ნიჭიერებასა და მასალის ზედმიწევნით ცოდნაში მდგომარეობს. მთავარ საფრთხეს კი, ჩვენი აზრით, ყოფის წვრილმანებისადმი ნატურალისტური ინტერესი წარმოადგენს. ნიჭიერი მწერალი ასეთ რასმე გაურბის (პრუსტის ან ჯოისისადმი მიბაძვა არავის მისცემს ხეირს).

50. მე კარგად არ ვიცნობ იმ სინამდვილეს, რომელიც ჩემს მომდევნო თაობას გაუხდია კვლევის თუ ასახვის საგნად. ხანდაზმულებს ხელს უშლით ახალი ყველაფრის კურსში იყვნენ და საგულისხმო მოსაზრებანი გამოთქვან.

51. ჭეშმარიტი მწერლისათვის ყოველდღიური სამსახური უეჭველი დაბრკოლებაა. მენატრება ძველი სოფელი თავისი ცხოვრების მყუდრო რიტმით, სადაც შესაძლებელი იქნებოდა ყოველდღიურად, დროის გარკვეულ მონაკვეთში, მაგიდასთან ჯდომა და ლიტერატურული მუშაობა. „სიცოცხლე ხანმოკლეა, ხელოვნება კი ხანგრძლივი“. მაგრამ ვის მოუსწრია ყველა განზრახვის სისრულეში მოყვანა?

52. ზემოთ უკვე დაგისახელეთ ორი წიგნი, რომლებზედაც ვმუშაობ და არ ვიცი, რომელს როდის დავამთავრებ. რაც შეეხება „იმედებს“, მინდა აქ ქართული ანდაზა მოვიგონო: „კაცი ბჭობდა, ღმერთი იცინოდაო“.

53. წერა ყველა პერიოდში ძნელია. ყოველ შემთხვევაში, „ოპტიმისტები ცუდად წერენ“ (პ. ვალერი).

54. შემოქმედებითს პროცესში „შინაარსს“ თავისი ფორმა მოაქვს, თუმცა ასეთი დუალისტური დაყოფის წინააღმდეგი ვარ. ყოველ შემთხვევაში, თქვენი დაკვირვება მომწონს.

55. თანამედროვე ქართულ რომანზე იმდენი დაიწერა და იწერება (უმთავრესად ქართულად და რუსულად), რომ ჩემი შეხედულება შეიძლება ძალზე ტრივიალური აღმოჩნდეს. ამასთან, უკვე მოგახსენეთ, რომ ყველაფერს თვალს ვერ ვადევნებ. მეტწილად ნაჩუქარ წიგნებს ვკითხულობ.

56. ჭეშმარიტად ინტელიგენტს იშვიათად ვხვდები, ლოთსა და ყიამყრალს კი — ბევრს. ჯენტლმენობა, სიტყვის პატივისცემა — დაკარგულ თვისებებად მეჩვენება, თითქოს მართლდება გამოთქმა „კაცი კაცისთვის მგელიაო“. ამგვარი ვითარების ჟამს ზრდილი და თავდაჭერილი ადამიანის გამოჩენა (რა პროფესიასაც უნდა ეკუთვნოდეს იგი) — უკვე ნამდვილი ინტელიგენტის აღმოჩენის ბადალია.

57. ინტელიგენტია ის, ვინც [illegible] იდეალებს ფლობს და თავისი ხალხის საუკეთესო თვისებებს ანსახიერებს. ინტელიგენტს ზოგჯერ ჩაცმულობით და ელემენტარული თავაზიანობის კულტურის გამომჟღავნების დროსაც იცნობთ.

ინტელიგენტი, უწინარეს ყოვლისა, ტოლერანტია. ასეთი იყო ჩემი მასწავლებელი უნივერსიტეტში — გრიგოლ ფილიმონის ძე წერეთელი!

58. მწერლის იდეალი ჩემთვის იყო, არის და იქნება — ლევ ტოლსტოი, ე. ი. მხატვარი, რომლის მსგავსი, ვფიქრობ, არასოდეს განმეორდება. XX საუკუნიდან ასეთ იდეალად მიმაჩნია — პოეტი პოლ. ვალერი (რომ არ ვდარდობდე — ორიგინალში მას ვერ ვკითხულობ).

59. ურბანიზაცია საერთოდ ანტაგონისტურია მხატვრული შემოქმედებისადმი. აკი პოლისური ანუ ქალაქური საბერძნეთის წარმოქმნამ (VII ს. ძვ. წ.) სამუდამოდ გააქარწყლა ჰომეროსის ღ ვ თ ა ე ბ რ ი ვ ი მ ი ა მ ი ტ ო ბ ა. „სულიერ ურბანიზაციას“ კი შეიძლება დავუპირისპიროთ, მაგალითად, ფრანგი სკეპტიკოსის მიშელ მონტენის „ესსების“ ხშირად გადაკითხვა. აქციეთ ეს წიგნი თქვენი ცხოვრების ერთერთ თანამგზავრად, ბევრს მოიგებთ.

60 .წინასწარ მოფიქრებული გეგმით. გარდა პოლემიკური სტატიებისა, არაფერი დამიწერია. „სტიქიურად“ კი იშვიათად თუ რაიმე ღირებული იქმნება (განსაკუთრებით პროზაში); კარგი ნაწარმოები, თქვენივე გამოთქმით, „შემოქმედებით პროცესში კონსტრუირდება“. შეიძლება წარმოვიდგინოთ ფაუსტის „პროექტი“ ან მისი „სტიქიური“ დაბადება (იგი ხომ 60 წელიწადი იქმნებოდა)? რა თქმა უნდა, ხდებოდა, თუმცა იშვიათად, პირიქითაც. მაგ. მარტენ დიუ გარს „ტიბოს ოჯახის“ წერისას თავისი პერსონაჟების მოქმედებისა და გენეალოგიის მთელი კართოტეკა ჰქონდა წინასწარ შედგენილი. შეიძლება დაგვესახელებინა სხვა მაგალითებიც: ზოლას „რუგონ მაკარები“, ფოლკნერის სამი დიდი რომანის გეოგრაფიული გარემო და ა. შ. მაგრამ ამ უკანასკნელის „ხმაური და მძვინვარება“ ან „შუქი აგვისტოში“ პირადად მე უფრო სრულყოფილ ქმნილებებად მიმაჩნია, ვიდრე მისი ცნობილი ტრილოგია.

61. არც ერთ მწერალს მკითხველი არ აღუზრდია, როგორც ეთიკური კატეგორია. ც უ დ ი მკითხველის ინტერესის დასაკმაყოფილებლად კი ბევრ ც უ დ ს მწერალს უხამსი და ც უ დ ი ხშირად დაუწერია.

62. „მკითხველთან შეხვედრებს“ გავურბივარ. მკითხველების მასა უსახოა, ამასთან — ბევრი მათგანი შენიღბული და უნიადაგო

პრეტენზიებითაა აღსავსე. რომელ ჩემს „შედევრზე“ ვესაუბრო მათ?

63. ლიტერატურის „იდეალური მკითხველი“ ისევდაისევ ლიტერატორთა შორის თუ მოიძებნება. მაგრამ სხვისი მიღწევით გახარებული მკითხველის ან მწერლის პოვნა მომაკვდინებლად ძნელია. მაგრამ ასეთ „მწერალს“, უწინარეს ყოვლისა, თვითონ უჭირს.

64. კინოსურათებს ხშირად მოწაფეობის ჟამს ვუცქეროდი. აღტაცებული ვიყავი ლია დე პუტის, ემილ იანინგსის, კონრატ ვეიდტის და განსაკუთრებით გენიალური ჩარლი ჩაპლინისა და უფრო გვიან ჟან გაბენის ფილმებით. ამჟამად ინტერესით ვადევნებ თვალს ქართულ ფილმებს ტელევიზიის მეშვეობით.

ლიტერატურული პრაქტიკითაც ვარ მცირეოდნად დაკავშირებული ქართულ კინოსთან. ჩემი რედაქციით ორჯერ (1938 და 56 წ.) დაიბეჭდა მე-16 ს.-ის პირველი ნახევრის ანონიმური ესპანური ე. წ. „ნოველა პიკარესკა“ — „ლაზარილიო ტორმესელის ცხოვრება“ (პ. უმიკაშვილის თარგმანი), გამოტოვებული თავები ამ წიგნისა ჩემს მიერ, არის თარგმნილი. „ლაზარეს“ სახელწოდებით ქართული ფილმი დაიდგა პატივც. ქართლოს ხოტივარის მიერ, რომლის მამა (ლევან ხოტივარი) ჩემი მეგობარი იყო და რომლის შვილიშვილი, ახალგაზრდა რეჟისორი ლევან თუთბერიძე კინოში ამჟამად დგამს ჩემს მოთხრობას „ნაზარის უკანასკნელი ლოცვა“. ძალიან მინდა იგი კარგი ფილმი გამოვიდეს, უწინარეს ყოვლისა, თვითონ რეჟისორის მხატვრული რეპუტაციის ასამაღლებლად და მისი მომავალი წარმატებების საწინდრად.

რაც შეეხება ჩემს სიყვარულს ფერწერისა და მუსიკისადმი, უნდა მოგახსენოთ შემდეგი:

1970 წელს ლუვრში მე დიდხანს გაოგნებული ვიდექი ლეონარდო და ვინჩის „ჯოკონდას“ წინ. მაშინ იგი მინაში არ იყო ჩასმული და სტენდალისა არ იყოს, თითქოს მეც ვგრძნობდი მონა ლიზას ნერვის ცემას ყვრიმალთან, თავი რომ დავანებოთ მის გრძნეულ ღიმილს, განუმეორებელ ნისლოვანებას ანუ stumato-ს რომ გამოსცემს. ძალიან ადრე კი (40-იან წლებში) დაწერილი მაქვს ნარკვევი „ლეონარდო და ვინჩი და სულხან-საბა ორბელიანი. ერთი იგავ-არაკის გენეზისისათვის“ (იხ. ჩვენი „რჩ. ნაწ“, ტ. I, 1962).

და ვინჩი მიუწვდომელია.

მუსიკა კი თითქმის ჭაბუკობიდანვე იყო ჩემი გატაცების საგანი, თუმცა როიალზე ნოტის აღება არ შემიძლია და არც რომელიმე პარტიტურისა გამეგება რამე. ჩემი ულრმესი გატაცების საგანია ი. ს. ბახი, განსაკუთრებით მისი განთქმული „საზეიმო მესა — H-mol, ქორალები, კანტატები, „ვნებანი“ (მათეს ...ნები), „კარგად ტემპერირებული კლავირის“ (პირველი პრელუდია და პირველი ფუგა) და, ბოლოს მისი უკანასკნელი ნაწარმოები — ფუგების ციკლი („ფუგენკუნსტ“ — „ფუგის ხელოვნება“). მასში მართლაც გადმოცემულია „ზამთრის ღამის სიმშვიდე“, როგორც ახასიათებს ამ ქმნილებას კომპოზიტორის ბიოგრაფი შპიტა და რაც ეგზომ მოსწონს ბახის შემოქმედების ყველაზე შესანიშნავ მკვლევარს — ალბერტ შვაიცერს.

როგორც ყველას, მეც მათრობს მოცარტი და ბეთჰოვენი (განსაკუთრებით, ბახის დარად, ამ უკანასკნელს გრანდიოზული „საზეიმო მესა“ (1828), სონატები და განსაკუთრებით „აპასიონატა“, შუბერტი (განუსაზღვრელ სიამოვნებას მანიჭებს მისი „მერვე სიმფონია“), შოპენი და ჩაიკოვსკის მე-5 სიმფონიის მეორე ნაწილი „ანდანტე კანტაბილე“; გუსტავ მალერის ზოგი სიმფონია, დე ბიუსი... ოპერებიდან მიყვარს „კარმენი“, „აბესალომ და ეთერი“ და „პიკის ქალი“.

როგორც ხედავთ, მუსიკაში დილეტანტის რეპერტუარი, მგონი არც ისე ღარიბია და როდესაც წავიკითხე ტოლსტოის ვაჟის ს. ლ. ტოლსტოის მოგონებაში, რომ მამამისს განსაკუთრებით ხიბლავდა თურმე ბახის „კარგად ტემპირებული კლავირის“ პირველი პრელუდია (იხ. კრებული „ტოლსტოი თანამედროვეთა მოგონებებში“, I, 1960, გვ. 215, რუსულად), გახარებული დავრჩი: რაც იასნაია პოლიანას დიად მკვიდრს სრულიად გაცნობიერებულად მოსწონდა (თვითონ უკრავდა როიალზე), მე იგი ინსტინქტით მაინც მიგრძვნია. მოვიგონოთ აგრეთვე გოეთეს გატაცება ბახის მუსიკით. მოკლედ: თურმე შეიძლება პროფესიონალი მუსიკოსი ან მსმენელი არ იყო და ზოგჯერ ვირტუოზს არ ჩამოუვარდებოდე ხელოვნების ამ დარგისადმი სიყვარულში (და მისი სიღიადის გაგების მხრივაც, ეს კარგად გვიჩვენა როლან როლანმა თავის შესანიშნავ ეტიუდში „სტენდალი და მუსიკა“).

ქანდაკებიდან მე ბევრი შედევრი არ მინახავს. სამაგიეროდ მოხიბლული ვარ ეგვიპტელი ტუტმოსის მიერ შექმნილი ნეფერტიტას ქანდაკებით, რომლის დუბლიაჟი წიგნების კარადიდან ყოველდღე გადმომცქერის. ჩემთვის იგი ისევე განუმეორებელია, როგორც და ვინჩის „ჯოკონდა“

65. მე იშვიათად ვუბრუნდები წაკითხულ მწერლებს, ხოლო ჩემი საყვარელი ავტორები (ქართულ, რუსულ და უცხოურ ლიტერატურიდან) საგანგებოდ მაქვს შესწავლილი, ე. ი. არა ერთხელ წაკითხული და გაანალიზებული მდიდარი სპეციალური ლიტერატურის

დახმარებითაც. ჩემს 4-გვერდიან სტატიას „სტენდალი“ (1941) საფუძვლად უდევს ამ მწერლის 14 ტომის („ვრემიას“ აკად. გამოცემა) გულდასმით შესწავლა. სტენდალი ჩემი საყვარელი ავტორია.

უკანასკნელი 25 წლის მანძილზე სისტემატურად ისევ ტოლსტოის პროზას და მასზე არსებულ მდიდარ ლიტერატურას ვკითხულობ. იგივე შემიძლია ვთქვა ნეტარ ავგუსტინეზე და მის ნაწერებზე (ეს უკანასკნელი ჩემი ერთერთი კერპია). უცხოელ და რუს ავტორებზე ჩემი ნარკვევები უმთავრესად თავმოყრილია წიგნში „წიგნები და ავტორები“ (1941).

66. მეცნიერთა და მწერალთა უმრავლესობა ხშირად იმეორებს (ზოგჯერ გაუცნობიერებლად) თავისივე მოტივებს, გამოთქმებს, მეტაფორებსა და სიმბოლოებს. ყოველივე ამის კლასიკური მაგალითია ჩვენი დიდი ვაჟა. და რამე აკლდება ამით მის შემოქმედებას?:

67. ჩემი ესეების, პორტრეტებისა და მოგონებათა უკანასკნელი ციკლი (25 თაბახი) იბეჭდება გამომც. „საბჭოთა საქართველოში“, რომლის ხელმძღვანელობის (გ. ფანჯიკიძე) მადლიერი ვარ. ამით ვამთავრებ ჩემს მუშაობას საერთოდ ლიტერატურის ისტორიასა და ესეისტიკაში. თუ სიკვდილმა ადრე არ გადამიჭრა გზა, მხოლოდ იმ ორ წიგნზე ვიმუშავებ, რომლებზედაც ზემოთ მოგახსენეთ. გამოცემულ ტომებსა და უკანასკნელ წიგნში მკითხველი თვითონ ამოიკითხავს იმ ესთეტიკურ სისტემას, რომლის ცალკე, თეორიულ ჩამოყალიბებაზე არ მიზრუნია. ჩემი თეორიულ-მხატვრული აზროვნების კონდენსირებად მიმაჩნია „ფაიდას გამოცხადება“. ამიტომაც ალბათ იგი ადვილი წასაკითხი არ იქნება.

68. ჩემს პირველ სერიოზულ ნაწერებად ვთვლი ორ ნარკვევს — „პლატონ იოსელიანი“ და „გოეთე ქართულ ლიტერატურაში“ (1932 წ.) ორივე ჩემი სტუდენტობის წლებში მაქვს დაწერილი და ამდენად — მგონი ცუდად არა. რა თქმა უნდა, მათი შედარება ჩემს უკანასკნელ გამოკვლევებთან, მაგალითად, ავგუსტინეს შესახებ — შეუძლებელია. ამიერიდან კი დასახელებულ ჟანრში რისამე გაკეთებას არ ვაპირებ.

69. თემებს შემოქმედი ყოველ სფეროდან იღებს, სხვა საკითხია — საგანგებოდ რომელი სფეროდან — უშუალოდ სინამდვილიდან თუ ისტორიიდან. მთავარი ისაა, რომ ნაწარმოების ძირითადი ბირთვი რეალისტური უნდა იყოს ან რეალურის ილუზიაზე დაფუძნებული.

70. რამდენიმე წელიწადი ვსწავლობდი ინგლისურს. ახევე გერმანულ ლიცეუმში, რომელიც ყაზბეგის ქუჩაზე იყო მოთავსებული. სპეციალურ ლიტერატურას ამჟამად ლექსიკონის დახმარებით ვეცნობი, ვიხმარებ მეგობრებსაც.

აქვე უნდა ვთქვა: მაგ. რუსულმა ბევრმა ჩემზე უკეთ იცის, მაგრამ განა ბევრს ესმის ისე კარგად ტიუტჩევი, როგორც მე? ფრიად მეეჭვება.

პოლიგლოტობა ხშირად ხელსაც კი უშლის მწერალს (ვაჟა პოლიგლოტი არ ყოფილა). რუსულ მწერლობაში მხოლოდ ორ მწერალს არ ეტყობოდა, რომ ისინი პოლიგლოტები იყვნენ — ტოლსტოის, რომელმაც 18 ენა იცოდა და ჩერნიშევსკის, რომელიც 14 ენას ფლობდა.

უწინარეს ყოვლისა, აუცილებელია მშობლიური ენის ცოდნა და მისი გამოყენება საკუთარი სტილის გამოსამუშავებლად. სხვაგვარად „ქართულის კარგი ცოდნა“ — აბსტრაქციაა და ამ სფეროში ტრაბახი — პროვინციალობაა.

71. არავითარი სურვილი არა მაქვს რაიმე ვთარგმნო, თუმცა 1941 წელს ჯოისის სიკვდილს შევეგებე მისი ერთი ნოველის თარგმანით (გვიან, 1948 წელს დაიბეჭდა „მნათობში“, ხოლო 1944 წელს გადაიბეჭდა ჩემს წიგნში „კრებული“). ჩვენში საკმაოდ კვალიფიციური მთარგმნელების თაობა მოვიდა, არასპეციალისტები ამ სფეროში ზედმეტი ხალხი ვართ. გარდა ამისა, მთარგმნელობა მოწოდებაცაა.

ზოგი ჩემი ნაწერებიდან თარგმნილია რუსულ, ფრანგულ და ინგლისურ ენებზე. მკითხველს ზუსტ ცნობას ვაწვდი და არ ვატყუებ, ამიტომ მათს ჩამოთვლას ზედმეტად ვთვლი.

72. ჩვენი ახალგაზრდობისაგან ბევრს მოველი, განსაკუთრებით პოეზიაში, რადგან ქართული ლექსი თავისთავად ვერ ითმენს სუროგატს. კონკრეტულად არავის დასახელება არ შემიძლია.

73. ცხადია „უწიგნური მწერლობა“ — ნონსენსია, აგრეთვე — „უწიგნური მწერალი“, შეიძლება ერთი წუთით წარმოვიდგინოთ, მაგ. „უწიგნური“ ანატოლ ფრანსი? და მრავალი, მრავალი სხვა.

„უწიგნური კრიტიკა“ მთლად შეურაცხმყოფელია. „წიგნიერი მწერლობა“ კი, ცხადია, „ლიტერატურშჩინაში არ უნდა ავურიოთ“. ესენი სხვადასხვა კატეგორიებია. შენიღბულ მიმბაძველობას ვთვლი მხოლოდ „წიგნიურ მწერლობად“.

74. მე მოწმე ვიყავი ასეთი შემთხვევისა: როცა ვ. მაიაკოვსკის შეეკითხნენ რუსთაველის საკონცერტო ტრიბუნაზე მისი დგომისა და დეკლამაციის დამთავრების პროცესში — „ვინ წაიკითხავს თქვენს ლექსებს 100 წლის შემდეგო“, პოეტმა უპასუხა: „ერთად შემოვიაროთ ეს ქვეყანა ასი წლის შემდეგ და თქვენი შეკითხვა შევამოწმოთო“. მას მგონი უფლება

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჰქონდა ამგვარი პასუხისა, ჩემს წინაშე კი ეს კითხვა არ დგას — მე ოპტიმისტი არა ვარ.

კაცობრიობას ეყოფა უკვდავი გენიოსები — ისინი საკმაოდაა, ჰომეროსიდან მოყოლებული დღემდე. იგივე ითქმის მეცნიერებზედაც.

75. სტუდენტობის პერიოდიდან მე საგანგებოდ ვსწავლობ და ვკითხულობ ძველი და ახალი აღთქმის წიგნებს, თითქმის ყველა ევროპულ ენაზე მისი რამდენიმე გამოცემა მაქვს. ბიბლია ჩემი სამაგიდო წიგნია. უმისოდ მსოფლიო ლიტერატურისა და ხელოვნების საკითხებში ფეხს ვერ გადადგამ. ამისგან დამოუკიდებლადაც იგი გრანდიოზული მხატვრული ძეგლია.

76. ჩემი იდეალური მწერლები ზემო პარაგრაფების პასუხის გაცემისას უკვე ჩამოვთვალე.

77. წარსულის არც ერთ ეპოქაში არ ვისურვებდი ცხოვრებას, რადგან კაცობრიობის ისტორიაში ადამიანური სისულელეები და ტირანია სჭარბობდნენ კეთილშობილებასა და კაცთმოყვარეობას. ვფიქრობ, რომ ყველანი უნდა დავეთანხმოთ ალბერტ აინშტაინს, რომელიც იდეალურ არსებებად რაცხდა ქრისტეს, მოსე სჯულმდებელს, სოკრატესა და მაჰატმა განდის — არც ერთს მათგანს ფულის ქისა არ ჰყვარებიაო.

78. რაც შეეხება გამომცემლობებსა და ჟურნალ-გაზეთებს, მათი გეზისა და მიმართულების შესახებ საუბარი მე არ შემფერის. ვისურვებდი მხოლოდ ერთს: თუ ახალი რამ კარგი დაიწერება, მალე იპოვოს გზა მკითხველისაკენ და გეგმათა ქრონოლოგიურმა ჩარჩოებმა მას ხელი არ შეუშალოს.

79. მისასალმებელია, რომ ჟ. „მნათობი" დიდ ადგილს უთმობს (თითქმის ყოველ №-ში) ძველი ქართული მწერლობისა და ისტორიის საკითხებს. კარგი იქნება თუ ჟურნალის თაბახთა რაოდენობას გაზრდით.

ნუ გაგიკვირდებათ, თუ თქვენი ჟურნალის ყოველი ნომერი თვალის დახამხამების უმალ არ იყიდება კიოსკებში. არ დაივიწყოთ, რომ წიგნის ან ჟურნალის კითხვის კულტურა გლობალური მასშტაბით დაეცა. ნურც ის გაგიკვირდებათ, რომ ჩვენში ზოგიერთი ისეთი მწერალია პოპულარული, რომლის ენა და სტილი („მხატვრულ" მხარეს საერთოდ ნუ იკითხავთ!) „დაბმულ ძაღლს აწყვეტინებს". კიდევ კარგი, რომ მათ სახელებს თქვენს ჟურნალებში არ ვაწყდები. კარგად წარმომიდგენია — რამდენი გრაფომანის ან შემთხვევითი „ლიტერატორის" მოგერიება გიხდებათ.

80. კაცობრიობას არასოდეს გამოუტანია გონივრული დასკვნები წარსული შეცდომებისაგან (ჩინგის-ხანების, თემურ-ლენგების, „პრანჭვია ჯვაროსნების", ნაპოლეონებისა, ბისმარკთა თუ ჰიტლერთა ომებისაგან). ახლა ცივილიზაციის არსებობის საკითხიც დადგა. ჩემი პოლიტიკური პროგნოზი თქვენ შეიძლება სასაცილოდაც არ გეყოთ, რადგან ასეთი პროგნოზის უფლება კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელისა და ამერიკის პრეზიდენტის პრეროგატივაა.

ერთადერთი ჩემი სურვილია: შვილიშვილებმაც წაიკითხონ რუსთაველი და გატაცებით მოუსმინონ ბეთჰოვენის მუსიკას; არავის არა აქვს უფლება წაართვან მათ სიცოცხლე და სიხარული, რომელსაც ხელოვნება ანიჭებს ადამიანს.

ესაუბრა კრიტიკოსი აკაკი მინდიაშვილი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გურამ კანკავა

# „სიზმარეული მესხეთი ჩემი“

ერი კაცობრიობის ერთი ნაწილია, მისი მიწა-წყალი კაცობრიობის კუთვნილი, მშვიდობითა და ღირსებით მოსახმარი ტერიტორიის ერთი დასრულებული ნაწილია. ერმა იცის, რომ ეს მიწა-წყალი მისია: ბედმა და ისტორიამ მას მიაკუთვნა, ჩააბარა. იცის ეს და უფრთხილდება კიდეც მას — უვლის, იცავს, აუმჯობესებს, რადგან უნდა, რომ მისი სამეურნეო და სულიერი ცხოვრება ასახავდეს და ამართლებდეს მის ისტორიულ არსებობას, მის საკაცობრიო დანიშნულებას. თუკი მრავალსაუკუნოვანი არქიტექტურული ნაგებობებით — ეკლესიებით, ციხე-სიმაგრეებით, საერო შენობებით — ერი საკუთარ შიდასახეს წარმოგვიდგენს, საკუთარ სულს აგებს და აღმართავს, თანამედროვე საირიგაციო და ენერგეტიკული ნაგებობებით, მრავალწლიანი სასოფლო-სამეურნეო კულტურებით ამდიდრებს და აცხოველებს თავისი ისტორიული ცხოვრების დინამიკას, ავლენს საკუთარ ეროვნულ ნებასა და ენერგიას.

სამშობლოს ბუნებას რაც შეეხება, იგი არაა მხოლოდ ბუნება — იგი მამა-პაპათა სისხლითა და ოფლით სახეცვლილი ბუნებაა, რომელიც თავისი მშვენიერი სიჭარბით მარტო ხალხის ხასიათზე კი არ ახდენს უშუალო ზეგავლენას, მას წინაპართა დიდი თუ მცირე მოღვაწეობის ხსოვნა ანიჭებს სიწმინდეს და მოდარაჯე თვალივით თავს ადგას. სამშობლოს საუკეთესო შვილებისთვის სამშობლო მეტია, ვიდრე პატარა ოჯახი, უახლოესი ნათესაობა, საცხოვრებელი უბანი, ცალკეული სოფელი თუ ქალაქი... სამშობლო მთელი ის მიწა-წყალია, რომელიც მის მკვიდრს ერთადერთობის, უფერული ერთიანობიდან თავდაღწევის თანდაყოლილი ღირსების გრძნობას, ისტორიულად წარუხოცელ სახეს ანიჭებს. სამშობლოს ქონების აზრი ჩვენს წინაპრებს იმაში დაუნახავთ, რომ მტრისთვის მისი დათმობა არა მარტო უსახლკაროდ დარჩენის განცდას ედარებოდა, არამედ ზნეობრივ გაარარაებას; ამიტომ მისთვის თავგანწირვით უბრძოლიათ და დედა-სამშობლოს სახება ხალხის ცნობიერებაში, მიწა-წყალთან ერთად, ათასეული წლების მანძილზე ამეტყველებულ ამ ერის დედა ენას, მისი სიმღერების გაწუმეორებელ მრავალსახოვნებას და ეპიურ უსაზღვრობას შეხორცებია...

სამშობლოს ნებისმიერ კუთხეში კაცი პატრონია, მასპინძელია, და არა მდგმური თუ სტუმარივით მოსული მომხმარებელი; მაგრამ იგი, ამავე დროს — პასუხისმგებელიცაა: კაცობრიობის ამ კუთხეში მომხდარი სიკეთე მისი სიკეთეა, სირცხვილი — მისი სირცხვილია, ქართული მიწის კულტივირება, ბაღ-ვენახის ჩაყრა მისი ზეიმია და გაშენებულის მოთხრა და გახმობა კი — მისი წახდენა და მარცხია...

ამ მაღალი შეგნებითაა გამსჭვალული ცნობილი ქართველი პოეტის, მამია ვარშანიძის პუბლიცისტური ლირიკის კრებული „სიზმარეული მესხეთი ჩემი“, რომელიც გამომცემლობა „საბჭოთა აჭარამ“ მიაწოდა მკითხველს. ავტორის მიერვე წამძღვარებულ მცირე ანოტაციაში ვკითხულობთ: „მესხეთი... ჩემი საყვარელი, მრავალტანჯული მხარე. როცა მშობლიური ისტორიის კითხვას დავეტანე, ჭაბუკი ვიყავი და მაშინ შევიცან, რა იყო მესხეთი, ვინ იყვნენ მესხები. სულ ვოცნებობდი მის ნახვას. როცა პირველად ვნახე, ვკოცნიდი მის გულმკერდს ისე, ვით დედას მონატრებული შვილი.

ვინ იცის, რამდენჯერ გამივლია მესხეთის მიწაზე და მიფიქრია მის აწმყოსა და მომავალზე. ცრემლებიც კი დამდენია, როცა ვნახე მისი ნასოფლარები, ნასახლარები“.

დღეს, ავტორისავე სიტყვით, რომ ვთქვათ, მესხეთის „ალორძინების ზარი რეკავს“ და პოეტიც თავის გულმხურვალედ დაწერილ სტრიქონებს ამ მხარის აღზევების დიად განთიადს უძღვნის. უძღვნის, მაგრამ არა მხოლოდ როგორც პოეტური შთაგონების საგანს, ხან სევდის, ხან მამაცური შემართებისა და ხან იმედის გრძნობის აღმძვრელს; არამედ უძღვნის,

პირველ ყოვლისა, როგორც პრობლემას, უმწვავეს საკითხს, რომელიც ყოველი ჩვენგანის წინაშე დგას და რომლის გადაწყვეტაშიც წვლილის შეტანა, შეძლებისდაგვარად, ყოველი ჩვენგანის ვალია. რაღა თქმა უნდა, იგი ეხება ამ პრობლემის გადაწყვეტის იმ არსებით ფორმებსა და საბედისწერო ხასიათის ღონისძიებებსაც, რომელთაც პარტია და მთავრობა ახორციელებენ დღეს და რომელთა მხარის აბმაც ყოველი ქართველისთვის წმინდათაწმინდა საქმეა.

მამია ვარშანიძის პოეტური კრებულის ძალმოსილება ამ აქტუალურობაშია, პრობლემის მნიშვნელოვანების გრძნობაში, მის თვალსაჩინო კონკრეტულობაში, პრობლემის ზოგადმხატვრული გააზრების სიფართოვეშია ამ არც თუ დიდი კრებულის ერთი (მაგრამ არა ერთადერთი) ღირსება. ამიტომ საჭიროა მის ცალკეულ მხარეებს მეტ-ნაკლებად დეტალურად შევეხოთ.

ყველამ ვიცით, რომ სამხრეთ საქართველოსთანა ხანგრძლივი და მძიმე ტრაგედია დედამიწაზე ცოტა ქვეყანას თუ ახსოვს. თურქებმა, როცა მათი იმპერია თავისი ძლიერების ზენიტში იმყოფებოდა, შესძლეს ამ მხარის დაკავება და მისთვის მამაპაპური სარწმუნოების დაკარგვინება, რაც, იმ დროის კვალობაზე, თითქოს, მის საქართველოსაგან მოწყვეტას ნიშნავდა სულიერად და ადამიანური შეგნებით. მესხეთის პოლიტიკური განცალკევება დანარჩენი საქართველოსაგან (რაც ფეოდალური გათიშულობის გარეშე ვერასოდეს მოხდებოდა) და მისი სარწმუნოებრივი დაპირისპირება სამშობლოს დანარჩენი ნაწილისადმი დაახლოებით ერთდროულად მოხდა. მაგრამ ამ ფაქტს ამ დიდებული მხარის დენაციონალიზაცია არ გამოუწვევია. ხალხი ისევ ქართველებად რჩებოდა. რატომ? იმიტომ, რომ ისტორიული მეხსიერება, გაორებული მდგომარეობის უკმარობის განცდა, სისხლის ძახილი, მშობლიური სული და კულტურული ერთობა (მატერიალური კულტურით დაწყებული და სულიერი კულტურის უმაღლესი პროდუქტით — ენით დამთავრებული) იმდენად ძლიერი იყო, რომ პოლიტიკასა და რელიგიაზე უფრო შემძლე აღმოჩნდა. ამიტომ, როცა ამიერკავკასიაში პოლიტიკურ სარბიელზე ახალი ძალა — თვითმპყრობელური რუსეთი გამოვიდა და გასული საუკუნის ოცდაათიანი წლების დამლევისათვის მესხეთის დიდი ნაწილი კვლავ საქართველოსთან ერთი ბედით შეკრული აღმოჩნდა, მესხეთის მაჰმადიანმა ქართველმა მოსახლეობამ ეროვნება სარწმუნოებაზე წინ დააყენა და მოისურვა ქრისტიანი გამხდარიყო, რათა მოეცილებინა ეს ერთადერთი ნიშანი, რომელიც მას დანარჩენი ქართველებისაგან ასხვავებდა. ცნობილია მესხი ფეოდალების მიმართვა ამის თაობაზე ახალი ადმინისტრაციისადმი. მაგრამ ამ ადმინისტრაციამ, როგორც ცნობილია, [illegible] ხალხის ბუნებრივი სურვილი [illegible]. მას სრულებით არ ეწადა უცხო (ქართველი) ერის გაძლიერება მის მიწა-წყალზე, ამიტომ ისტორიულად უფლებამოსილი, ანუ მკვიდრი ერთმორწმუნე ქვეშევრდომების ყოლას ისტორიულად არაუფლებამოსილი, „თურქებად" ჩათვლილი ქვეშევრდომების ყოლა არჩია. მესხ განმცხადებლებს უარი ეთქვა. აი, აქ იწყება ის საშინელება (და, მე მგონი, სირცხვილიც), როცა ოფიციალური ზედაწოლისა და თურქეთის ემისართა მტრული პროპაგანდის აყოლით მოსახლეობის კარგა მნიშვნელოვანმა ნაწილმა ზურგი აქცია მამა-პაპათა მიწა-წყალს და უცხო ქვეყნის გზას დაადგა. მუხაჯირობამ უდიდესი ზარალი მიაყენა მესხეთს. მრავალი სოფელი დაცარიელდა, თავისუფალი ადგილი კი უცხო ელემენტმა შეავსო ადმინისტრაციის აქტიური თანხმობითა და ხელმძღვანელობით. მართალია, მესხეთის მოსახლეობის ერთი ნაწილი ძნელბედობის საუკუნეებშიც ეროვნულ იერს არ შეელია და ქრისტიანებად დარჩა. ისიც მართალია, რომ მაჰმადიანური მოსახლეობის ძალიან დიდმა ნაწილმა მუხაჯირობაზე უარი თქვა და სამშობლოში დარჩა. მაგრამ ეს მაჰმადიანი მოსახლეობა, რომელიც ამ მხარეში უმრავლესობას შეადგენდა, ზნეობრივად უფრო და უფრო მძიმე მდგომარეობაში ექცეოდა ახალი ადმინისტრაციის ხელში, რომელმაც ისიც კი არ ინება, რომ ამ ადამიანთათვის ამ მიწა-წყლის კანონიერი მფლობელის სახელი — „ქართველი" — გაემეტებინა. ზედაწოლა უფრო და უფრო უბიძგებდა ამ მოსახლეობას არაქართული მაჰმადიანური სამყაროსკენ, უფრო და უფრო აღრმავებდა რელიგიით შექმნილ ბზარს სხვადასხვა აღმსარებლობის ქართველებს შორის და ისტორიული მასშტაბის ახალ ტრაგედიებს ამზადებდა.

რა თქმა უნდა, მესხეთიდან მოსახლეობის გასვლა XIX საუკუნეში არ დაწყებულა. სისხლისმღვრელი ომები და შიშიანობა მანამდისაც იწვევდა ამ მხარიდან მოსახლეობის ლტოლვის გამუდმებულ პროცესს. უკიდურესი სამხრეთიდან ხალხი გადადიოდა სამშობლოს სიღრმეში: ქართლში, იმერეთში, გურიასა და აჭარაში. ამ ორი უკანასკნელის დღევანდელი მოსახლეობა ადგილობრივ მკვიდრებთან ერთად ქედს გადაღმიდან გადმოსულმა ლტოლვილებმა შეადგინეს.

ქართველი ერის ეს ტრაგედია კარგადაა აღწერილი და შესწავლილი ისტორიკოსების მიერ. რად ღირს თუნდაც ამ ბოლო ხანს გამოქვეყნებული პროფ. შოთა ლომსაძის შესანიშნავი გამოკვლევები ამ საკითხზე. მაგრამ ამავე თემას პოეტის ხელის შეხება კიდევ უფრო აცხოველებს და კიდევ უფრო გულთან ახლო მისატანს ხდის. სწორედ პოეტური ხატოვანება, ეროვნული ტკივილის ემოციური აქცე-

ნტები, პოეტური განწყობილების გადამდები ხასიათი ქმნის იმ საერთო ფსიქოლოგიურ ამინდს, რომელიც უბიძგებს ყოველ რიგით მოქალაქეს, შეძლებისდაგვარად, ამ ეროვნული სატკივარის გაზიარება და მისი შემსუბუქება სცადოს.

გულწრფელი და უეშმაკოა ამ ძნელბედითი ისტორიისა და მისი მძიმე შედეგების მხატვრული გარდატეხა პატრიოტი პოეტის განცდაში: ავტორი ამ ნაოხარი მხარის ერთ-ერთ მცირერიცხოვან ქართულ სოფელთაგანს, კოთელიას ესტუმრა, სადაც გზად შემოყრილ გოგონას, მაიკო ყავრელიშვილს უბამს საუბარს:

და მე გკითხე: კიდევ თუა აქ სოფელი ჩვენებური,
ქართულ კოხტა აივნებით, ჩუქურთმებით მშვენებული,
მიპასუხე: კი, არისო... დიდება, ვინც ააშენა,
დანარჩენი, დანარჩენი, ვაჰმე, როგორ გადაშენდა!
იქ სოფელი კრწანისია, თანდათან რომ მიილია,
თითქოს სადღაც გლოვა ისმის, და ჩემს გულში ტკივილია,
აკვნებს რატომ არ ვამრავლებთ, ამდენ საფლავს როცა ვითხრით,
რად ვნებდებით სალათას ძილს, ქედს მოუხრელს რატომ ვიხრით?

წიგნში „სიზმარეული მესხეთი ჩემი“ აღძრული მწვავე პრობლემის სათავეს დღეს, რა თქმა უნდა, ცოცხალი ადამიანები წარმოადგენენ, მხოლოდ და მხოლოდ ადამიანები, მათი მრავლობა და ზრდა. პოეტი ამ ნაოხარ მხარეს, პირველ ყოვლისა, ამგვარი მოწოდებით მიმართავს:

როგორ მინდა, ყველა ქოხში აკვნები რომ ირწეოდეს,
ჩვენი სულის აღზევება ამ მთიდანაც იწყებოდეს...
აღმიზევდი, გამიმართლდი, ჩემო მესხეთ-ჯავახეთო!

ვინ არის ამ ეროვნული მასშტაბის, მღელვარე ისტორიული ამოცანის მტვირთველი და გადამჭრელი? არა მხოლოდ ადგილობრივ დარჩენილი ქართველი დედები. ამ ეროვნული ამოცანის შესრულებაში კეთილსაიმედო, მეწინავე დამხმარენი არიან საქართველოს სხვა კუთხეთა წარმომადგენლები, ყველაზე მეტად — აჭარის განაყარი ოჯახები, რომლებიც ფუძის მოუშლელად გადმოდიან გოდერძის უღელტეხილზე, რათა მიწა-წყლის ძახილს ერთგული შრომითა და გარჯით გამოეხმაურონ. ისინი ამ კუთხეულ და სისხლნადენ მიწაზე ს[illegible]თა აქაურ მადლიან ბუნებას გა[illegible] რუსაც იგი თვითონ ხალისით აძლევს გამრჯესა და მზრუნველ ხელს, აქაურ მინდორ-ველებს ტკბილი და ათასწლობით ჩვეული ქართული შრომის სიმღერის ჰანგი მოჰფინონ, ჩვენი ოჯახის წმინდათაწმინდა ტრადიცია დაამკვიდრონ ღირსეული ვაჟები და ქალიშვილები აღზარდონ..

ამიტომ ლექსში „ზმანება“ პოეტი მამია ვარშანიძე ქართლის დედას, ვითარცა ილია ჭავჭავაძისეული აჩრდილის მემკვიდრეს, ქართული მიწის მოვლის რწმენას გამოათქმევინებს და მის მკვიდრთ მისი ერთგული პატრონობის ვალს მოაგონებს:

ის აჭარას ეტყვის: „მო, დასახლდი მესხეთს,
ეპატრონე მარჯვედ ნასოფლარებს, ვერანთ,
ათესვინე მადლი დიდ ნამარ შენს ხელს,
ჯაფითა და სიბრძნით ამაღლდები, მჯერა...

მაგრამ პოეტის ინტერესი ახალდაწყებული დიდი საქმისადმი ამ ზოგადი პოეტური მოწოდებით არ იფარგლება. იგი კარგად იცნობს მესხეთში მოსულ ახალმოსახლეს — აჭარელ გლეხს, და მისი დიდი სიყვარულიც აქვს. მან იცის, რომ ამ გლეხკაცის მიერ არჩეულ გზას სიძნელეც ახლავს, სირთულეც და გასაჭირიც, იცის, რომ ახალ ადგილას მოსვლამ საკუთარი ეთნოგრაფიული თავისებურება არ უნდა დააკარგვინოს, რომ მამაპაპური კერის მიტოვებამ მას ოდითგანვე გამომუშავებული ზნე და ადათი არ უნდა დაავიწყოს, რომ ფუძიდან აყრამ ოჯახის ტრადიციული სიწმინდის სიყვარული არ უნდა გაუნელოს. სტრიქონები, რომლებშიც ეს ძვირფასი დარიგებაა გამოთქმული, იმ წრფელი გრძნობითაა გამსჭვალული, რომლისთვისაც „რიტუალის“ ხასიათის მიცემა შეუძლებელია:

მიხვდი, მიხვდი ვინცა ხარ, ისე უქცევ კილოკავს,
ბედს მესხეთის მიწაზე ანგელოზი გილოკავს.
შემხვედრიხარ ზამლეთში, ღორჯომში ან ჭვანაში,
თითქოს სული დატოვე შენს ნაჯაფარ ჭალაში.
არა, რა გაქვს სადარდო, უკან არ მოიხედო,
უსაყვარლეს ჩვენს მესხეთს დღეს შენც უნდა მიხედო.
გყავდეს შვილი თორმეტი, დაარწიე აკვნები,

და დაანთე სანთლები, — უკუნში
გზის გამკვლევი.
სიბრძნე ჰკითხე ბერიკაცს, შენ რომ
შეხვდი გოდერძთან,
არც კი გაგიჭირდება მერე სხვისთვის
ბოძებაც.
ერთ რჩევას მეც გიტოვებ, ჩვენც ხომ
ვართ საჭირონი:
სალამური გქონდეს და გქონდეს შენი
ჭიბონიც.
შენი ლექსიც შენ გქონდეს, არ მიაგდო
ჩონგური,
არასოდეს ნამუსის ყოფილიყო ორგული.
შენი გოგო ნიავსაც უბეს არ აკარებდეს,
— შემობრძანდი, სტუმარო! — სულ
გეწეროს კარებზე.

ეს ეროვნული მასშტაბის თემა განსაზღვრავს კრებულის სახეს. იგი ავტორს საკმაო მრავალფეროვნებით აქვს დამუშავებული, რითაც, უთუოდ, მკითხველის მხრივ ჭეშმარიტ თანაგანცდასა და მოწონებას იმსახურებს. მაგრამ ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ზემოაღნიშნული პრობლემურობა ქმნის კრებულის ერთადერთ ტონალობას: მასში ვხვდებით ჩვენი ყურისა და გულისათვის უკვე დიდი ხნის ნაცნობ ჰანგებსაც, რაც ქართული (და არა მხოლოდ ქართული) პატრიოტული ლირიკისთვის ნიშანდობლივი ყოფილა და იქნება მუდამ. კრებულში წინა პლანზეა წამოწეული ისტორიული დროის განცდა, რომელიც მხატვრული ლირებულების დონეზეა აყვანილი. ბუნებრივია, რომ მისი განსახოვნებისა და გამოთქმის უპირველეს მატერიალურ საშუალებას ძველი ტოპონიმები შეადგენენ, ძველი საკულტო და საფორტიფიკაციო ნაშთების გახსენება წარმოადგენენ, სადაც წარმოებდა სწორედ ჩვენი ძველი, დაძაბულობით აღსავსე ისტორიული ცხოვრება. დროის ამგვარ კოლორიტს შეიცავს წარსულიდან შემორჩენილი განუმეორებელი არქიტექტურული ძეგლების — „ლოდების" — ხშირი რემინისცენციები არა მხოლოდ იმიტომ, რომ ეს ჟამის სვლისაგან დაზარალებული და მტრებისგან ნგრეული ნაგებობები განსაკუთრებული სილამაზით გამოირჩევიან, არამედ უფრო იმიტომ, რომ ამ „ლოდების" წარსულში ჩვენი გამორჩეული წარსულიც იკითხება, ისინი ქართული ისტორიის „უტყვი მოწამენი" კი არ არიან, არამედ ამ ისტორიის ხასიათის გადმომცემნი, მძაფრი ნოსტალგიის აღმძვრელნი ამ წარსულისადმი:

ვარძიის კედლებს ვით შევახო თითები
ჩემი...

თუკი არქიტექტურაში ხალხის სულია გამომზეურებული, მაშინ, უდავოდ, გასაგებია პოეტის მოსიყვარულე და მოლაციცე დამოკიდებულება ძველი ეკლესიებისა და ციხე-დარბაზებისადმი. მას სურს საკუთარ გრძნობებს აღემატოს მათდამი დამოკიდებულების გამოსახვაში. მაგრამ რეალურ ძეგლებთან ერთად პოეტს თვალწინ უდგას იქ გადახდილ წარსულ ბრძოლათა სურათებიც (საქართველო ძირეულად არსებობდა, როდესაც შეეძლო ებრძოლა თავისი ხელშეუხებლობისთვის — გვიხსნის ავტორი), თამარ მეფის წმინდა სახეც, შოთა რუსთაველიც, — იმ მხარის ძველი მკვიდრი, — თავისი უკვდავი პოემით.

ცოცხლადაა გარდატეხილი ისტორიის განცდა ლექსში „იამზე": განცდის ასპარეზად ქცეულა თანამედროვე პატარა გოგონას სული, მისი უშუალო და უმანკო გრძნობები. ეს განცდა ამ ლექსში მთელი ძალით ფეთქავს, მაგრამ ამჯერად არა მარტო ავტორის ცნობიერებაში, არამედ ლექსის პერსონაჟის — ზარზმელი პატარა გოგოს ულრმეს არსებაში. ეს ბავშვიც ლოდებს ეფერება, ისევე როგორც ხანდაზმული პოეტი და მასაც ცრემლი უბინდავს მზერას. ეს ბავშვიც გრძნობს უფროსთა საწუხარს, ამგვარი გრძნობები, ავტორის რწმენით, თანდაყოლილია. ბავშვი, ავტორის ფიქრით, რომელსაც ასეთი ღრმა გრძნობა და განვითარებული შეგნება აქვს, მხოლოდ დიდი ისტორიული ცხოვრების მემკვიდრე შეიძლება იყოს და თავისი სიტყვის თქმას ღირსეულად შეძლებს, როცა ეს საჭირო გახდება.

თავის კეთილშობილურ თემას პოეტი მრავალი მხრიდან უდგება, მრავალი ვარიაციით ამუშავებს და როგორც იტყვიან, მკითხველის გულისკენ გზას თითქმის ყოველთვის პოულობს. ამ ვარიაციების ჩამოთვლა აქ, ალბათ, ზედმეტიც იქნება — უმჯობესია, მკითხველმა თვითონ კრებულს მიმართოს. ორიოდე სიტყვა ავტორის სალექსო მრავალფეროვნებაზე გვინდა ვთქვათ.

კრებულის ღირსებაა მისი ვერსიფიკაციული მრავალგვარობა — არა ნებსითი ანდა უნებური, არამედ თვით სათქმელის მაღალი მნიშვნელობის ხასიათიდან გამომდინარე. ერთი მხრივ, აქ ყველაზე მსუბუქი, სასიმღეროდ მომართული ლექსის ნიმუშს ვხედავთ, მეორე მხრივ, საფიქრელის აღმძვრელი, მძიმე, ნაღვლით დატვირთული ტონალობაც გვხვდება, რომელიც ან გულში დიდი ხნიდან ჩაგუბებული, დამდგარი გრძნობის გამომხატველია, ან ნებისყოფის სიმტკიცისა თუ ბრძოლის პათოსისა.

გავმაგრდეთ მეტად, დიდი ნება არის
თავდები,
გავმტკიცდეთ სულით, საშიშია ყველა
ნაპრალი...

იგივე ტევადი საზომი და მრავლისმთქმელი ტონალობა ავტორს თავისი კრებულის მთავარი თემისათვის — ეროვნული სატკივრიდან იმედზე გადასვლისათვის, მარცხის შემდეგ გამარჯვებისკენ მოწოდებისათვის — მიუძღვნია. როგორ აღმოჩნდა ეს შესაძლებელი, განმარტებას არ საჭიროებს: საკმარისია თქმა იმისა, რომ ეს სიხარულის თემაც, თავისთავად, მაჟორულია და მაღალი ჟღერადობისაა; ისტორიული ტკივილის განკურნების სიხარულს ისევე ისტორიული სიდიადის მოლოდინი უნდა მოსდევდეს. თუ დავაკვირდებით ერთსა და იმავე ტონალობაში მოქცეულ განწყობილებათა ცვლას შემდეგ სტროფში, შევნიშნავთ, რომ ავტორს აქ სურს განსჭვრიტოს ჩვენი ისტორიული მომავლის სურათიც:

ბევრგან დარჩა ნასოფლარი, ო, ის გზები
წაიშალა,
და მე სევდა, ჭირის სევდა შემომაკვდა
ქარიშხალად.

ახლა, ახლა რა ხმებია, ქვეყნის მოსურნეთა და
მოყვარეებს — სიხარული, მტრებს დაედოს
გულზე ლოდი.

ცალკე უნდა აღინიშნოს, რომ ამ ლირიკულ ტონალობათაგან განსხვავებით, კრებულისთვის „სიზმარეული მესხეთი ჩემი“ არც სიუჟეტური ლექსია უცხო. ბალადაში „აშული“, რომლის ტრადიციული ალეგორიული პლანი ხატოვანი სიცხადითაა შესრულებული, ავტორი მოგვითხრობს ვინმე ჭალარა ფაშას წინაშე მიყვანილი ქართველი მელექსის ამბავს, რომელმაც თავის სიმღერაში მამულიშვილურ სიმართლეს არ უღალატა და მისი გაუტეხელი სულის ხოტბისათვის ხმლებით აიკუწა.

ჩვენი რწმენაა, ავტორის მაღალი მოქალაქეობრივი პათოსი, მისი მამულიშვილური სწრაფვები და ოცნებები მკვიდრ, რეალურ საფუძველზეა დამყარებული.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მიხეილ კეკელია

# ვასამართლოთ სამართალი

სოციალისტური კანონიერების არსს, ყოველმხრივ თავისუფალი ადამიანის ნების გარანტირებულად დაცვა წარმოადგენს, რაც თავის გამოხატულებას დემოკრატიითა და საჯაროობით განპირობებულ საქმიანობაში უნდა პოულობდეს. ეს მრავალგზის ითქვა კიდეც მაღალი ტრიბუნიდან. ითქვა, რომ დადგა დრო ახალ კანონმდებლობათა შემუშავებისა. განაცხადში ჩადებულია ის შინაარსი, რომ ახალი ვითარების კვალობაზე ბევრი მნიშვნელოვანი სამართლებრივი ინსტიტუტი საჭიროებს სრულყოფას. ასეთ ვითარებაში კანონმდებლობის განსაწმენდელ ბარიერთან უპირატესად მეცნიერულ თუ პრაქტიკულ უბანზე მომუშავე იურისტებიც უნდა დადგნენ.

თითქმის არ არსებობს სამართლებრივი ინსტიტუტი, რომელთან დაკავშირებითაც თავიანთი მოსაზრებანი არ გამოეთქვათ საბჭოთა სამართალმცოდნეთ, მაგრამ ვერ ნახავთ მათ კრიტიკულ დამოკიდებულებას აშკარად უვარგის კანონმდებლობის მიმართაც კი.

კანონმდებლობის გამტარებელნი — უმაღლესი ეშელონისანი თუ შედარებით რიგითები, ამბიციურობით, შიშით, ანაგრებით თუ წაყრუებით, წლების განმავლობაში პროფესიონალური თავმოყვარეობის უგულებელყოფით წარმართავდნენ თავიანთ საქმიანობას.

აი, რამ განაპირობა ის აუნაზღაურებელი, როგორც სულიერი, ისე მატერიალური ზარალი, რაც საბჭოთა ადამიანებმა იწვნიეს და დამანგრეველ გავლენას ახდენდა როგორც ინდივიდთა ხასიათის ისე სოციალისტური ცხოვრების წესის ამოსავალი პრინციპების ფორმირებაზე.

სამწუხაროდ, დღემდე ვერ გავხდით გაბედულნი მოქმედი კანონის შეფასებისა და ცხოვრებაში გატარების ხელშემშლელ გარემოებებზე, არადა დოსტაქრის ულმობელობას მოითხოვს უვარგისი საკანონმდებლო ნორმის ამპუტირება.

ამ პატარა წერილში, ჩვენ მიზნად დავისახეთ ათეული წლობით ნაფიქრ-განცდილის მხოლოდ ერთი წყება საკითხებზე შევაჩეროთ მკითხველის ყურადღება.

უპირველესად იმით მინდა დავიწყო, რომ გარდაქმნამ თავისი სიტყვა უნდა თქვას ახალი კანონების შემუშავებისა და ძველი, მოქმედი კანონების ახლებური თვალით გადასინჯვის საქმეში.

ახალმა კანონშემოქმედმა ამოსავლად უნდა გაიხადოს ის ღრმა და მრავალფეროვანი სოციალური მასალის მონაცემები, რაც წლობით დაგროვებული როგორც მოსაწონის ისე დასაგმობის სახით.

ცივი გონებით უნდა მოხდეს კანონის სულში წვდომა და განსჯა ყველა მისი საჭირო კომპონენტის სოციალურ, კლასობრივ, ეთნიკურ და ჰუმანურ ღირებულებათა გათვალისწინებით. უნდა გამოვიცნოთ კანონმდებლის მიერ შემუშავებული ცალკეული ნორმები ამდიდრებენ თუ არა ჩვენს წარმოდგენებს სოციალისტური ცხოვრების წესზე, უკეთესი მომავლის მშენებელ ადამიანზე.

მოკავშირე რესპუბლიკათა კონსტიტუციების, როგორც ძირითადი კანონებისა და მისგან გამომდინარე მოკავშირე რესპუბლიკათა კანონმდებლობა, ვერ ჰგუობს სამართლის ნორმების კალკირებას. ამა თუ იმ ერის ფსიქიკური წყობა, ისტორია, კულტურა ეკონომიკური და სოციალური ხასიათის სპეციფიკა იმთავითვე გვკარნახობდა მოკავშირე რესპუბლიკათა კანონმდებლობის განვითარებას. ვიდრე არსებობს განსხვავება ეროვნებათა შორის, რასაც ეროვნული ენები და ტრადიციები ქმნიან უპირატესად, მანამდე საკმაო რაოდენობით უნდა გვქონდეს შენარჩუნებული ამა თუ იმ კანონში ეროვნულით გათვალისწინებული ნიუანსები. ამდენად ერთი რესპუბლიკისათვის ვარგისი კანონი რამდენადმე მაინც ვერ მოერგება სხვა ერის ვითარებას. სავსებით იდენტურობამდე როგორც ერები არ დასულან ჩვენში, ისე არ დაიყვანება კანონმდებლობაც. აღნიშნულის გათვალისწინების გრეშე შეცდომებისგანაც ვერ ვიქნებით დაზღვეულნი. მოვიტანთ ერთ მაგალითს. ამას-

წინათ გაზეთმა „იზვესტიამ“ გვაუწყა, რომ გენერალურმა პროკურორმა მოისმინა რა ალკოჰოლიზმის წინააღმდეგ სამი უწყების, საქართველოს სს რესპუბლიკის პროკურატურის, შინაგან საქმეთა სამინისტროსა და ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მიერ გაწეული მუშაობა, მისი შედეგები (როგორც დადებითი) განზოგადების მიზნით უნდა გავრცელდეს მთელ სსრ კავშირში. ასეთი განაცხადში სტრიქონებს შორისაც ვერ ამოიკითხავ, რომ რესპუბლიკაში ალკოჰოლიზმის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში არსებულ ვითარებას მინისტრების დამსახურებას კი არა, ეროვნულ ჩვეულებებსა და ტრადიციებს უნდა ვუმადლოდეთ, ვუმადლოდეთ უნდა საზოგადოების დამოკიდებულებას ალკოჰოლურ სასმელებისადმი, რაც საუკუნეებით ყალიბდებოდა ვაზის კულტურის ქვეყანაში და თაობიდან თაობას გადაეცემოდა. აი ვინ შექმნა შემკავებელი ძალა ალკოჰოლიზმის განვითარებისათვის ჩვენს რესპუბლიკაში. თქმულიდან გამომდინარე მორალი ასეთია: ალკოჰოლიზმის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში როგორც საზოგადოებას ისე კანონმდებლებსაც სხვადასხვა რესპუბლიკებში განსხვავებული გზები გააჩნია.

და არა მხოლოდ კანონმდებლობაში, ეროვნული სპეციფიკის გათვალისწინების საკითხს საყოველთაოდ აყენებს დღის წესრიგში ცხოვრება. უფრო მეტიც, სოციალიზმის არაკეთილმოსურნენიც აქ ეძებენ სათავისო მასალას, რაც სამართლიანად აღნიშნა მ. გორბაჩოვმა თებერვლის პლენუმზე.

დროა შეუნიღბავად ითქვას იმის შესახებ, რომ კანონშემოქმედებაში ხავსებით უგულებელყოფილია ეროვნული მოტივები, ეს ითქმის როგორც საკავშირო ისე რესპუბლიკის კანონებზე, ეს მაშინ, როცა ყველა კანონი აუცილებლად უნდა ატარებდეს რომელიმე ხალხის მეტნაკლებად მისაღებ ნებას, რათა უკეთ ემსახუროს მას. უნდა დავძლიოთ კანონმდებლობის უნიფიკაციის დაჩქარების მცდარი წარმოდგენა (მე ვიტყოდი „ნიველირომანია“ კანონმდებლობაში). ვიმეორებთ — ვიდრე არსებობენ მოკავშირე რესპუბლიკები თავიანთი უმაღლესი საკანონმდებლო აქტებით (კონსტიტუციებით), მოუთმენელია მათი ცალკეული კანონები არ გამოირჩეოდნენ სპეციფიკით, რასაც ამა თუ იმ ერის თავისებურება, მისი ფსიქიკური წყობა, ისტორია და კულტურა კარნახობს. კონსტიტუციური უფლების დაცვასთანაა დაკავშირებული ეროვნული ნორმაშემოქმედებითი მუშაობის ჯანსაღ რელსებზე შეყენება. ამ ამოსავალი პრინციპის დაუცველობა რიგ რეგიონებსა და ეროვნების ხალხში უკეთუ კანონის სული არ ეგუება და ანგარიშს არ უწევს ერის დადებით ჩვეულებებს და ტრადიციებს, მას თავის „მეს“ არ მიუსადაგებს ადამიანი და მიზნად არ გაიხდის მის დაცვა-დაფასებას, თავიდანვე ნერგავს კანონისადმი უნდობლობა-უპატივცემულობას. კიდევ უფრო მეტი ითქმის იმ კანონზე, რომელიც აშკარად ეწინააღმდეგება ეროვნულ ჩვეულებებსა და ტრადიციებს ,ასე იქნება მანამდე, ვიდრე ცალკეული ერები იარსებებენ. ახალი კანონი კიდევ უფრო უნდა იქნას გამდიდრებული მაღალი ჰუმანური, ინტერნაციონალური იდეებით და პრინციპებით. კანონისათვის შესაძლებლობის ფარგლებში გასაგებად არის თქმული, ინტერნაციონალიზმი არ ნიშნავს კოსმოპოლიტიზმს ისე, როგორც ნაციონალიზმი არ უარყოფს საკუთარი ერის სიყვარულს. შოვინიზმის გამოვლენად უნდა ჩაითვალოს და დაუყოვნებლივ დაიგმოს ოდნავი ცდა, რომელიმე ეროვნული ინსტიტუტის (ენის, კულტურის, ჩვეულებების, ტრადიციის) ჰეგემონიზაცია.

უფრო მეტიც, უნდა გამდიდრდეს კანონი იმ მოწინავე იდეებით და პრინციპებითაც, რაც მსოფლიო ხალხებს შეუქმნიათ დღემდე. უნდა ვიწამოთ, რომ არსებობს სამართლებრივი კულტურა, რომლის ელემენტები ყველა ფორმაციებსა და ქვეყნის ცხოვრებაში შეიძლება მოიპოვებოდეს მეტ-ნაკლებად. რა თქმა უნდა. სულ სხვა ეტაპია სოციალისტური სამართალი და სოციალისტური სამართლიანობა.

ახალ კანონში უნდა იკვეთებოდეს სამომავლო პერსპექტივა, მაგრამ იგი არ უნდა იყოს ფანტასტიკური ხასიათისა.

კანონი არ უნდა ეთიშებოდეს ცხოვრებას, რომელიმე ფენისათვის რაიმე უპირატესობის მინიჭება (რომელსაც ვერ ნახავ ჩვენს კანონში), დაუშვებელია და თუ ასეთ უფლებას იტაცებს ვინმე, მაშინ მათი მოქმედება არაფრით არ განსხვავდება კანონით დასჯადაც გამოცხადებულ ყაჩაღობისაგანაც კი.

კანონის მიერ დადგენილი ყველა სიკეთის შესრულება მკაცრად გარანტირებული უნდა იყოს გარანტიის მოშლას აუცილებლად უნდა მოჰყვეს დამრღვევის პასუხისმგებლობა და დაზარალებულისათვის დაუყოვნებლივ მთელი ზარალის ანაზღაურება. ნიმუშად ყველაზე უბრალო ცხოვრებისეული მაგალითი მოვიტანოთ: ავტობუსის გაჩერებაზე აღმართულ ფირნიშზე აღნიშნულია, რომ ბოლო ავტობუსი ჩამოივლის 24 საათზე, აეროპორტზე მიმავალი მგზავრი დგას და ელოდება. ავტობუსი არ ჩანს, ამასობაში თვითმფრინავი გაფრინდა. ავტობუსების კანტორამ სათანადო დოკუმენტთა წარდგენით დაუყოვნებლივ უნდა აუნაზღაუროს მგზავრს მიყენებული ზარალი (თვითმფრინავის ბილეთის ღირებულება, დგილზე ჩაუსვლელობით განცდილი ზარალი და ა. შ.), ეს ძნელი აღსასრულებელია — იტყვის ასეთ დემოკრატიულ ურთიერთპასუხისმგებლობას მიუჩვეველი მოქალაქე. სინამდვილეში კი ეს გარანტირე-

ბული უფლების დაცვის ელემენტარული მოთხოვნაა. მაშ, მოქალაქის მოტყუება და აბუჩად აგდება უნდა გავამართლოთ?

შეუწყნარებელი უნდა იქნეს თანამდებობის პირის ყოველგვარი უკანონო მოქმედება, რომელიც ამოფარებულია „სახელმწიფო ინტერესების“ დაცვას, ფაქტიურად კი ვნებას აყენებს ცალკეულ პირთ. ხომ კარგადაა ცნობილი, რომ ასეთი რამ ძალიან ხშირად სავარძლის შენარჩუნებასთანაა დაკავშირებული. ამდენად საჭიროა აღნიშნულისათვის გაიზარდოს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა. ცივილიზირებულმა მსოფლიომ პატივი სცა პრინციპს — კანონის წინაშე ყველა თანასწორია. რაც უფრო დიდი თანამდებობა უჭირავს პირს, პროპორციულად იზრდება პასუხისმგებლობაც. დროა ჩვენშიაც თანამდებობის პირის მიერ საზოგადო საქმის განზრახ თუ გულგრილობით სათანადოდ შეუსრულებლობა, რამაც ზიანი მიაყენა ქვეყანას მკაცრად და რეალურად უნდა ითვალისწინებდეს პასუხისმგებლობის დაკისრების შესაძლებლობას.

ნურვის ჰგონია, რომ ამ პრინციპის განხორციელება ხელს შეუშლის თანამდებობის პირთა ნორმალურ მუშაობას. არა! პირიქით, გაზრდის პასუხისმგებლობას, და მაშინ მართლაც ჭეშმარიტების შემცველი იქნება დეფინიცია — „თანამდებობა ტვირთია. პასუხისმგებლობაა“.

ახლა ვერ შეხვდებით პიროვნებას, რომ თანამდებობაზე დასმისას თქვას — „ვერ შევძლებო“, თუმცა ზოგჯერ კარგად გრძნობს თავის უმწეობას, მაგრამ თავს იიმედებს მავანთა და მავანთა მაგალითით — „მერე რა, თუ ვერ ვიმუშავებ ისე როგორც რიგია, ვის აგებინეს ამისათვის პასუხი, მით უფრო, რომ ბრალი იმას მიუძღვის ვინაც დამნიშნა. დიდი დიდი სხვაგან გადამიყვანონ, რაც მთავარია ნომენკლატურულ თანამდებობაზე (სადაც ერთი თანამდებობიდან მეორეში გადაყვანაა წესად დანერგილი) მოხვედრილი ვარ“.

კანონმდებელმა კიდევ და კიდევ უნდა შეზღუდოს მის მიერ მოსაწესრიგებელი სამართლებრივი ურთიერთობათა სფერო. მეტი და მეტი სადაო საკითხების გადაწყვეტა უნდა მიენდოს საზოგადოებას, მშრომელთა კრებებს, ამხანაგურ სასამართლოებს, სოფლის ავტორიტეტულ კაცთა სამსჯავროს და ა. შ. ვინც ფიქრობს რომ ხელისუფლების ორგანოების დარად საზოგადოება ვერ განსჯის და ადგილი დაურჩება უკანონობას ძალიან ცდება! აღნიშნული საფუძველს იძლევა დასკვნისათვის: ამა თუ იმ ხასიათის დარღვევას იწყნარებს საზოგადოება და კანონის მოთხოვნისამებრ არ რეაგირებს მასზედ, მაშინ ასეთმა კანონმა არსებობა უნდა შეწყვიტოს. ასეთი რამ სამართალზე საზოგადოების კონტროლის საშუალებადაც უნდა იქნას მიჩნეული.

უფრო უნდა გაითვალისწინოს კანონმდებელმა სასჯელმოხდილთა საკითხები, ამ გზით მოწმდება როგორც სასჯელთა ეფექტურობა, ისე ზოგადი ხასიათის ხარვეზები და შეცდომები, რაც ამ მიმართულებით გაგვაჩნია. ერთი წუთითაც არ უნდა იქნას დავიწყებული, რომ სასჯელმოხდილი ადამიანები, სრულფასოვანი მოქალაქენი არიან, რომლებიც გუშინდელობამდე მთელ ხალხთან ერთად აშენებდნენ საოცნებო მომავალს. ნიადაგ უნდა გვახსოვდეს ისიც, რომ ეჭვის ქვეშ დაყენება მათი სანდოობისა იმ მოტივით, რომ პატიმრობაში ნამყოფნი არიან მათ სამოქალაქო სიკვდილს ნიშნავს, რომლისაგანაც თავის დაღწევას ზოგჯერ სასისხლხორცო რისკის ფასად ახორციელებენ ისინი, ჩადიან უფრო დიდ დანაშაულებრივ ქმედობებს, ვიდრე თავდაპირველად იყვნენ გასამართლებულნი.

კანონმდებელმა მეტი უნდა იფიქროს იმისათვის, რათა მრავალეროვან სახელმწიფოში ხელთ გვქონდეს კანონთა მთელი მწყობრი და შეულამაზებელი სისტემა, რომელიც მომეტებულად იცავს პატარა ერთა ინტერესებს. ანტიეროვნული უმცირესი გამოხდომაც კი, არ უნდა დარჩეს რეაგირების გარეშე.

საკითხისადმი ასე მიდგომა ერთ-ერთი საშუალებაა ერთა ძმობაში ბევრ შეუსაბამისობის მოსპობისა. უნდა ვიწამოთ, რომ არის ერთი უმთავრესი საშიშროება, რომელიც მოჭარბებულად იწვევს ეროვნული გრძნობების აბობქრებას — ეს შოვინიზმია, სწორედ ის აღძრავს უმეტესად ნაციონალისტურ გრძნობებს.

კანონმდებელმა უნდა იფიქროს იმაზედაც, რომ ჩვენში მიღებული წესით, საკანონმდებლო კომისიები, სადაც უნდა ფუნქციონირებდნენ ისინი, ძირითადად არაკომპეტენტურ პირთაგან არიან დაკომპლექტებულნი. ფაქტიურად კი კულისებში იურისტები წყვეტენ საქმეებს. ყველა ხასიათის კანონის შემუშავებაში იურისტებს გარდა გაბედულად უნდა მოუხმოთ სოციოლოგებს, ეკონომისტებს, მწერლებს, ფსიქოლოგებს, პედაგოგებს და რაც მეტად ყურადსაღებია განსხვავებულ ეროვნებათა წარმომადგენლებს. ისინი აქტიურად უნდა ებმებოდნენ სხვადასხვა ხასიათის სამუშაოების შესრულებაში ჯერ კიდევ, მაშინ, როცა ისახება კონტურები და იბადება კანონთა პროექტები.

კანონმდებლობის გარდაქმნის საქმეში მეორე სახის უმნიშვნელოვანეს სამუშაოებს, როგორც ითქვა, ძველი, უკვე არსებული კანონების ახალი თვალით გადასინჯვა წარმოადგენს. ამ ხასიათის სამუშაოთა შესრულებისას უნდა ვეცადოთ, რომ კანონში არ იყოს უმოქმედო, ან როგორც იურისტები ეძახიან, ისეთი მკვდარი ნორმები, რომლებიც მხოლოდ კანონმდებლის თავმოსაწონად ფიგურირებენ. თქმულის დასადასტურებლად ჩვენ ორ ნორმაზე მიუთი-

თებთ სამოქალაქო სამართლიდან: ყველა რესპუბლიკის სამოქალაქო სამართლის კოდექსი ითვალისწინებს პრესის მუშაკთა პასუხისმგებლობას, ვისმეს მიმართ გამაწბილებელი ხმების გავრცელებისათვის (საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 7 მუხლი).

როგორც ვიცით ასეთი პროცესი არა მარტო საქართველოში, არამედ სსრ კავშირშიც არ შემდგარა. იგი მკვდარ ნორმად იქცა, დაუყოვნებლივ უნდა მიენიჭოს ამ ნორმას სიცოცხლისუნარიანობა ან არადა დატოვოს კოდექსი.

მეორე მაგალითი სისხლის სამართლიდან: საყოველთაოდაა ცნობილი რომ მიზეზთა და მიზეზთა გამო, ისე როგორც ყველა საზოგადოებაში (ადამიანთა გაჩენის დასაბამიდან), ჩვენშიც აქვს ადგილი თვითმკვლელობას, რაც ზოგჯერ ცალკეულ პირთა უკანონო, უხეში, უსულგულო დამოკიდებულებითაცაა განპირობებული. ზოგჯერაც სოციალური ხასიათით, რასაც სამწუხაროდ ჩვენში ჯერ კიდევ აქვს ადგილი.

მოგვეპოვება ნორმა (საქართველოს სსრ სისხ. სამ. კოდ. 109 მუხლი), რომელშიც ჩაწერილია „დამნაშავისაგან მატერიალურად, სამსახურებრივად ან სხვაგვარად დამოკიდებული პირის თვითმკვლელობამდე ან თვითმკვლელობის ცდამდე მიყვანა, დაზარალებულისადმი სასტიკი მოპყრობით, ან მისი პირადი ღირსების სისტემატურად დამცირებით“... როგორც ჩანს, ყველა თვითმკვლელობა ვერ თავსდება კანონმდებლობის განსჯდობაში, რაც მიზეზია იმისა, რომ ძალიან ხშირად პირის თვითმკვლელობამდე მიმყვანი დაუსჯელი რჩება. ასეთ ვითარებათა გამო უიშვიათესია (ან უფრო სწორი იქნება ითქვას, რომ თითქმის არ არსებობს შემთხვევა), თვითმკვლელობამდე მიყვანისათვის ვინმე მიცემულიყოს სისხლის სამართლის პასუხისგებაში. კანონის სავალდებულო მოთხოვნის საფუძველზე ყოველთვის აღიძვრება საქმე თვითმკვლელობის ფაქტთან დაკავშირებით, მაგრამ იმ მოტივით, რომ იგი ჩაიდინა შეურაცხადმა (ძირითადად სულით ავადმყოფმა) წარმოებით ისპობა.

საკუთარი სიცოცხლის, ამ უმაღლესი და უპირველესი ღირებულების, საკუთარი ხელით მომსპობი ადამიანი, რასაც იგი ჩადის დასაგმობ მიზეზებით განპირობებულ სულიერ დეპრესიაში, პროტესტის, ან ათასგვარი უკანონო მოქმედებათა დაწოლის გამო, სცილდება ერთი პიროვნების ინტერესების დაცვას და საზოგადოებრივ სატკივრად უნდა იქცეს. ამდენად მისი მიჩქმალვა ოდითგანვე დანერგილი მავნე წარმოდგენის გამო, რომ საბჭოთა სოციალისტური სინამდვილე არ იძლევა საბაბს (თვითმკვლელობის მიზეზს), დაგმობილი უნდა იქნეს. ამ საკითხის მიკიბულ-მოკიბულად ახსნის საქმეში, სისხლის სამართლის სპეციალისტ-მეცნიერებსაც მიუძღვით ბრალი. ყოველ შემთხვევაში, ყოვლად გაუმართლებელია რომ არ ვიმაღლებთ ხმას ასეთი უსამართლო მოქმედებით დამცირებულ და თავმოყვარეობა შელახულ მოქალაქეთა ინტერესების დასაცავად.

აბა თვითმკვლელობის გამართლება ღმერთმაც გვაცილოს, მაგრამ რამ მიიყვანა კაცი ამ ნაბიჯის გადადგმამდე ამის მიჩქმალვა რა ადამიანობაა: აქვე უნდა ითქვას, ისიც, რომ ისტორიულადაც, მძიმე, შეუწყნარებელი დანაშაულის ჩამდენიც თვითმკვლელობით ამთავრებდა სიცოცხლეს, რომლის გავლენაც თავისებური იყო საზოგადოებაზე.

კანონმდებელმა მეტად უნდა იფიქროს კანონის ჰუმანიზაციაზე. მკაცრი სასჯელები, ვითარებით განსაზღვრული დანაშაულის მიჩუმათების გზა ზოგჯერ და ყოველთვის როდი წარმოადგენს მოსალოდნელი ბოროტი მოქმედების თავიდან აცილების ეფექტურ საშუალებას, მით უფრო ცივილიზირებულ სამყაროში. მძიმე სასჯელი, მით უფრო სიცოცხლეზე ხელყოფა (დახვრეტა) ხომ რამდენადმე მაინც სახელმწიფოს მიერ განხორციელებულ შურისძიებას წარმოადგენს, ოღონდ საჯარო ხასიათისას, რაც მოჭარბებულად ატარებს სამაგიეროს მიზღვევის ნიშნებს, ეს კი შეუთავსებელია სოციალიზმის პრინციპებთან, როგორც იტყვიან „სამწუხაროა, როცა ხერხემალი მხოლოდ ჯვარზე სწორდება“.

აუცილებლად უნდა ავიღოთ კურსი საერთოდაც სასჯელთა ჰუმანიზაციისაკენ, უტყუარი მაგალითები დაგვიგროვდა როცა მკაცრი სასჯელებით ვერ ვაღწევთ მიზანს.

აბა რა უნდა იყოს იმაზე ამაზრზენი როცა პრაქტიკაში ბატონდება პრინციპი „თუ მკაცრად დასჯი არაფერს გეტყვიან, ხოლო თუ მსუბუქად თავად დაგსჯიან“... და ეწირება ცალკეულ ადამიანთა, ოჯახთა, და მთელი საზოგადოების სასიცოცხლო ინტერესები — უსულგულო ბოროტ თანამდებობის პირთა სავარძელთა შენარჩუნების ბოროტ მისწრაფებას. საკითხისადმი ასე მიდგომა განპირობებულია ხანგრძლივი დროით დამკვიდრებული ისეთი პრაქტიკით, რომ საკავშირო კანონი კიდევ უფრო „მკაცრად“ და „მძიმედ“ გაატარონ ჩვენში, პირდაპირ უნდა ითქვას: ასეთი წარმოდგენისა და პრაქტიკულად ამგვარი მოთხოვნით ცხოვრებაში გამტარებელი თანამდებობის პირნი ეროვნულ რისხვას უნდა იმსახურებდნენ. ისტორიულ-ტრადიციული თვალსაზრისითაც (მხედველობაში მაქვს ძველი ქართული სამართალი). ნიადაგ უნდა ვებრძოლოთ კანონის თვითნებურად გამკაცრებას და არამც და არამც არ უნდა განვავრცოთ იგი.

კანონის ზუსტად დაცვა უპირველესად კანონისვე ავტორიტეტს განსაზღვრავს. ვისაც ეს არ შეუგნია იგი იმ მოსაზრებაზე დგას, რომ

თითქოს სხვა გზით ვერ ხერხდება „წესრიგის დამყარება". თუ მართლა ასეა, მაშინ გამოდის, რომ ჩვენი საზოგადოების არსებობისათვის ყველაზე უფრო საშიშს ჩვენივე კანონების დაუმახინჯებლად გატარება წარმოადგენს. საბჭოთა კანონის არსის ასე გაგება არავის არ ეპატიება, მით უფრო თანამდებობის პირთ, რომელთაც ნიადაგ უნდა ახსოვდეთ, რომ „ვინც კანონს მუდამ ფეხზე იკიდებს, იშვიათად რომ მაგრად იდგეს ფეხზე".

საბჭოთა კანონმდებლობის და, რაც მთავარია, კონსტიტუციური უფლების უგულებელყოფად უნდა მივიჩნიოთ ისეთი შეზღუდვის გამართლება, როგორიცაა სამკურნალოდ და ცოდნის დაუფლების მიზნით საქართველოს რესპუბლიკის გარეთ გასვლის აკრძალვა. ასეთი მოთხოვნის პრაქტიკულად გამტარებელნი ივიწყებენ მედლის მეორე მხარეს, ვისმეს რომ აზრად მოუვიდეს საქართველოში ჩამოსულთ ნაცვალგების პრინციპით ვუთხრათ უარი — ნუ ისარგებლებენ რესპუბლიკაში არსებულ სიკეთით. განა ეს მოსაწონი იქნება?

ეჭვის თვალით ცქერას მოითხოვს სასჯელთა მოხდის ადგილების ამჟამად არსებული სისტემის გამართლების საკითხი. აქ ნამდვილად რეფორმაა ჩასატერებელი, იგი არა მარტო უვარგისი, არამედ მავნეცაა.

ყველა მოქმედი კანონი სათანადო კომენტირებითურთ ფართო საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს, ნიადაგ უნდა ვაუწყებდეთ საზოგადოებრიობას ეროვნული ბიბლიოთეკა დამაფიქრებელ ფაქტებზე, რასაც კანონთა უხეშად დარღვევა იწვევს, ანდა შეიძლება მოწონება დაიმსახუროს ისეთმა ფაქტმა, როცა სახელმწიფო აკეთებს უაღრესად ჰუმანურ განაცხადს, ამნისტიის სახით, რომლის სიკეთე ყველა საბჭოთა ადამიანს ერთნაირად ეხება, ქვეყნდება კი მხოლოდ რუსულ ენაზე, „იზვესტიაში". დრო დადგა და მაღალ ტრიბუნებიდანაც ისმის იმის შესახებ, რომ ყველასათვის ხელმისაწვდომი გავხადოთ დანაშაულის სტატისტიკა.

უკანონობის წინააღმდეგ უკომპრომისო ბრძოლა, უსამართლობა — ამორალურის შენდობა-დაუშვებლობასაც გულისხმობს.

ამ მხრივ, მწარე გაკვეთილის მაგალითად, დიდხანს უნდა შევინარჩუნოთ 80-იან წლებიდან ფეხმოკიდებული „ზემოდან მოთხოვნით" პიროვნების გადაქელვა, რაც გამოიხატებოდა, როგორც სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემით, ისე ყველა ადამიანური ღირსებაზე ხელყოფა სულიერი ტრამვის მიყენებით.

ამ გზით განადგურებულთა რეაბილიტაცია დღის წესრიგში აყენებს საკითხს იმათი საამკარაოზე გამოყვანისას, რომლებმაც ასეთი მოქმედება ჩაიდინა იმისათვის, რომ „სხვა გზა არ ჰქონდათ". არც ერთ შემთხვევაში არ შეიძლება შევეგუოთ ასეთ მოსაზრებას, ამის გაფიქრებაც კი შეურაცხყოფაა უკანონობის მსხვერპლთა ნათელი ხსოვნისა. აქ სამართლიანობამ უნდა იზეიმოს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნუგზარ ვარდოსანიძე

# ნოდარ დუმბაძის ახალგაზრდა გმირები

ნოდარ დუმბაძის რომანში „მზიანი ღამე“ ახალგაზრდა გმირმა სოფლიდან ქალაქში გადმოინაცვლა. აქ იხატება კოლორიტული ქალაქი, თავისი რიტმითა და კოლორიტით, თავისი უნივერსიტეტით, სტუდენტებითა და პროფესორ-მასწავლებლებით, კიროვის ბაღით, სახაშეთი და ოქროპეტას დუქნით, ღამის დარაჯებითა და მეეზოვეებით...

„მზიანი ღამე“ უნივერსიტეტის საგაზაფხულო სესიების ციებ-ცხელების აღწერით იწყება. მწერალი ჩვეული ოსტატობით, ლაღი და მსუბუქი იუმორით გვიხატავს იმ კომიკურ თუ კურიოზულ სიტუაციებს, რომლებშიც სტუდენტები სესიების დროს არც თუ ისე იშვიათად ხვდებიან ხოლმე. სწორედ გამოცდების ორომტრიალში ვეცნობით რომანის მთავარ გმირს, თემო ბარამიძეს, რომლის ფანტაზია ამოუწურავია, სტუდენტ გოგონას, რომელიც „გადამწიფებული ნესვივით გადაყვილთებულიყო“, გურამს, რომელმაც ბილეთის აღებისთანავე „შავნაბადაზე შესაწირავად აყვანილ მოზვერივით მომაპყრო სევდიანი თვალები“... სესიების გადმოცემის მსუბუქ იუმორს ცვლის დედასთან შეხვედრის დრამატიზმით აღსავსე სცენა და საუბარი ართავაზასთან. საერთოდ, ნოდარ დუმბაძე, ამ რომანში მაღალოსტატურად და ეფექტურად იყენებს იუმორის, ირონიისა და დრამატიზმის ურთიერთმონაცვლეობისა და ურთიერთშერწყმის მხატვრულ ხერხს.

„მზიან ღამეში“ ჩვენი თანამედროვე ახალგაზრდების, მათი საზოგადოებრივი ყოფის, შინაგანი განცდების, ეჭვების, იმედების, ცხოვრებასთან დამოკიდებულების, კმაყოფილებისა თუ უკმაყოფილების შესახებ გვესაუბრება მწერალი, მძაფრად, გულწრფელად და უშუალოდ გვიმხელს თავის დაკვირვებებს, რომლებიც ხან სიხარულითა და სიხალისით აღავსებს, ხან კი მძიმე განცდებსა და სულიერ ტკივილს იწვევს მკითხველში...

თემურ ბარამიძე უპატრონოდ გაზრდილი ახალგაზრდაა. ის 37 წელს რეპრესირებული მშობლების შვილია, ცხოვრების ოცი წლის მანძილზე სიმწარეც გამოსცადა და შიმშილიც. შეიგრძნო სიყვარულისა და მეგობრობის ფასი. 12 წლის განმავლობაში მშობლების ზრუნვას მოწყვეტილს, აჩრდილივით დასდევდა საშინელი საფრთხე, საფრთხე გაბოროტებისა და გზასაცდენისა...

თემურს სახლში მეზობლებით გარშემორტყმული შუახნის, ჭაღარა, საოცრად დაღლილი, გამხდარი ქალი დახვდა. ეს ქალი დედაა მისი. მწერალი იშვიათი მხატვრული დრამატიზმით აგვიწერს 12 წლის უნახავი დედაშვილის ამაღელვებელი შეხვედრის სურათს.

რომანში უაღრესად საინტერესო მხატვრული სახეა ღამის დარაჯი ართავაზა. მწერალმა ართავაზას სახეში უდიდესი ადამიანური სითბოთი გამოხატა და გვიჩვენა, რომ ადამიანი ადამიანისათვის მგელი არ არის, რომ კაცი კაცითაა, ადამიანი ადამიანის ბურჯი და ნუგეშია. ართავაზა კუკიის სასაფლაოზე მიდის დედის საფლავის სანახავად. თემურიც დედასთან მიდის. ართავაზას სიტყვებმა, მისმა საუბარმა მიიყვანა თემო დედასთან, შეაცნობინა იგი, ათქმევინა „დედა“, ის სიტყვა, რომლის წარმოთქმაც ასე უმძიმდა თემოს.

თემო გადასახლებიდან დაბრუნებულ ჭაღარა ქალს „დედას“ პირველად თავის დაბადების დღეზე უწოდებს. ამით მწერალი თემოს მეორედ დაბადებას, მისი კონტაქტის აღდგენას გვიჩვენებს გარესამყაროსთან. მაინცდამაინც თემოს დაბადების დღეს რატომ ხდება შვილსა და დედას შორის არსებული ერთგვარი ბარიერის გადალახვა? სიმბოლურია ისიც, რომ დედა და სტალინი (ტრაგედიის მიზეზი და მისი მსხვერპლი — შედეგი) ერთ დღეს კვდებიან. ამით სრულდება დროის ერთი მონაკვეთი და ყოველივე ეს უკვე წარსულად, ისტორიად იქ-

ცევა. ნაწარმოებში შვილის გაუცხოების დაძლევა უმწვავეს ტრაგიზმამდე მაღლდება და დიდი მხატვრული ძალით გადმოიცემა...

მწერალი სხვადასხვა სიტუაციაში აყენებს თავის ახალგაზრდა გმირს, მრავალ განსაცდელს განაცდევინებს მას და აი, თემური საბოლოოდ ცხოვრების ყველაზე დიდი გამოცდის წინ — სიკეთისა და ბოროტების არჩევანის წინაშე დგება. სწორედ აქ გამოჩნდება მისი ხასიათის ძირითადი თვისება — სიკეთით დაუპირისპირდეს ბოროტებას!

აბიბო თოდრია, ძველი ჩეკისტი, თემურ ბარამიძის მეზობელია. მისი „წყალობით" დაშორდა 12 წლით დედას. თავისი დაუნდობლობა და გულქვაობა აბიბომ თავერას მიმართაც ცხადყო, მისი პატარა ბუნება თემურის დაბეზღებაშიც გამოჩნდა. შეიძლება ითქვას, თემურ ბარამიძეს რაც კი უსიამოვნება და ტკივილი განუცდია ცხოვრებაში, თითქმის ყველაფერი აბიბოდან გამომდინარეობს. მაგრამ თემური შორს არის შურისძიებისაგან, მეტიც, იგი აბიბოს გარდუვალი სიკვდილისაგან გადაარჩენს. თემურის ამგვარმა მოქმედებამ მხატვრულ ლიტერატურულ კრიტიკაში აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია. ერთნი ამართლებდნენ გმირის საქციელს, მეორენი კი მიამიტობად და გაუმართლებლად მიიჩნევდნენ...

„ნოდარ დუმბაძის რომანის მთავარი სათქმელი „მზიან ღამეში" ის უბრალო ჭეშმარიტებაა, რომ „ადამიანი ადამიანითაა ძლიერი". (გ. გვერდწითელი). ადამიანი ადამიანითაა ძლიერი და თემურმაც მომაკვდავი აბიბოს მიმართ გამოიჩინა სწორედ თანაზიარობის ის ადამიანური გრძნობა, ის გულშემატკივრობა, ადამიანური თანადგომა, რაც მწერლის ყველაზე ძლიერ პოზიციად მიგვაჩნია. თემური რომ არ დახმარებოდა მომაკვდავ აბიბოს, მაშინ იგიც აბიბოს გაუტოლდებოდა, გულცივი და ავი სულის ადამიანის დონეზე დაეშვებოდა. „ეს მე ვარ სიკვდილი თავზე რომ ვადგავარ და მე მოვკლავ მას, რომ თავისი სიკვდილით არ მოკვდეს და ეს უნდა იცოდეს აბიბომ. მე ხელები მიკანკალებდა, პირი გამშრალი მქონდა, ათასი ური მირტყამდა საფეთქლებში და მეძახდა მომკალი, ეს შენ ხარ მისი სიკვდილი და ეს უნდა იცოდეს მან. — აბიბო! — ვთქვი მე ისეთი გამოცვლილი ხმით, თვითონვე შემეშინდა. აბიბომ თვალები გაახილა და უაზროდ შემომხედა. ეს მე ვარ, აბიბო, — ვუთხარი მე, — მიშველე, — მთხოვა მან" (ნ. დუმბაძე). თემურ ბარამიძეშიც ეს ადამიანურობა იმარჯვებს — — შურის, ბოროტების, შურისძიების გრძნობას სიკეთე, ადამიანური თანაგანცდის გრძნობა ამარცხებს. და ბოლოს აბიბო ტირის, — ეს დამარცხებული ბოროტებისა და გამარჯვებული სიკეთის ცრემლებია.

რომანის ამ პასაჟებზე განსაკუთრებით იმიტომ გავამახვილეთ ყურადღება, რომ აქ მკვეთრად მოჩანს ნ. დუმბაძის ჰუმანისტური კონცეფცია: მას სწამს, რომ ბოროტება მხოლოდ სიკეთით შეიძლება ამოიძირკვოს.

ახალგაზრდა გმირი, რომლის შეგნება ჯერ კიდევ არ მომწიფებულა, არ ჩამოყალიბებულა, ცდილობს საზოგადოებაში პიროვნების ადგილისა და დანიშნულების, ცხოვრების აზრისა და არსებობის გამართლების გაცნობიერებას. ბედნიერია ადამიანი, რომელიც სძლევს გულგრილობას და სიკეთისა და მომავლის რწმენას ინარჩუნებს. ნ. დუმბაძის შემოქმედება აქტიურად ილაშქრებს გულგრილობის, როგორც საშინელი სენის, როგორც გამოუსწორებელი შეცდომებისა და დანაშაულის მიზეზის წინააღმდეგ და რწმენისა და სიკეთისაკენ მოგვიწოდებს.

ციხიდან გამოქცეული რამაზ კორსაველი, მეტსახელად თავერა, თანასკოლელ თემურთან მიდის და დახმარებას სთხოვს. თემურს სწამს, რომ თავერას აღარ სურს ქურდის სახელით ცხოვრება; სწავლა, მუშაობა, წესიერად ცხოვრება სწადია. თემურიც ეხმარება თავერას. და სწორედ ადამიანურ თანადგომასა და ჰუმანურობაშია მისი ზნეობრივი ძალა.

თემურ ბარამიძე გულწრფელი სიკეთით აღსავსე ახალგაზრდაა. მისთვის გაუგებარია, რომელ სხვა ვალდებულებაზე შეიძლება ლაპარაკი, როდესაც საკითხი ადამიანის გადარჩენას ეხება. გავიხსენოთ რექტორის სიტყვები აბიბოს მოქმედებასთან დაკავშირებით, როდესაც აბიბომ თემური უნივერსიტეტში დაასმინა: „იგი (აბიბო—ნ. ვ.) ვალდებული იყო". რექტორის ამ სიტყვებში თემურმა სიცივე და გულგრილობა ამოიკითხა. საბედნიეროდ, იგი შეცდა რექტორის შეფასებაში. გარეგნულად გულქვა, ცივი და მკაცრი რექტორი შინაგანად კეთილი, მზრუნველი, თბილი ადამიანი აღმოჩნდა. სწორედ მისი უშუალო დახმარებით თავერას ციხიდან ვადაზე ადრე ათავისუფლებენ...

ნ. დუმბაძე ღრმად წვდება ადამიანის სულის ლაბირინთებს, ამხელს და წარმოსახავს ცხოვრებისეულ მოვლენებს, მძაფრად უპირისპირებს სიცოცხლის მზესა და ღამეს. ამით იგი ხელს უწყობს ახალგაზრდა გმირის ზნეობრივ ამაღლებას, მისი ეთიკის დადგენას, მისი თვალთახედვის სიკეთისადმი, სიყვარულისადმი მიპყრობას. თემო ბარამიძე კაფეში ხვდება დურსუნს — სკეპტიკურ, უიმედო პიროვნებას, ადამიანს, რომლის ცხოვრების გზა შავი ლაქებითაა აღსავსე. დურსუნს ჰყავდა ლამაზი ცოლი და ბავშვები. ჰქონდა კარგი სამსახური და არ იყო კაცი მასზე ბედნიერი, ათი წლის განმავლობაში, მაგრამ შემდეგ... მოვიდა თეთრი გემი და ყველაფერი თან წაიღო, წაიღო სიყვარული, მეგობრობა, სიცოცხლე და მისთვის ცხოვრებამაც აზრი დაკარგა. დურსუნი სიკვდილს (დაე-

ძებს. მაგრამ თურმე სიკვდილიც კი გემს გაჰყვა, რადგან აღარ არსებობს ამქვეყნად არაფერი, რისთვისაც სიკვდილი ეღირებოდა. დღეს კი დურსუნი ზის კაფეში და „ყავაზე მკითხაობს"... თემური განცვიფრებულია დურსუნის უიმედობით. მას სწამს, რომ ადამიანს ყოველგვარ გარემოში შეუძლია და უნდა დარჩეს კიდეც ადამიანად, ღმერთისა და მომავლის მორწმუნე ადამიანად (გავიხსენოთ მათი დიალოგი).

თემურის მოძრავი, ნათელი ბუნებისათვის, მისი სიყვარულისა და სიკეთის მრწამსისათვის უცხო და მიუღებელია დურსუნის სკეპსისით, უიმედობით აღსავსე აღსარება, სწორედ ამიტომ იწვევს მასში დურსუნი ზიზღსა და სიძულვილს. დურსუნის სახემ კიდევ უფრო გამოკვეთა თემურის პიროვნება, მთავარი პერსონაჟის იდეური დანიშნულება.

თემურ ბარამიძის ძლიერი, მტკიცე ხასიათი, მისი ზნეობრივი კრედო მისსავე კონკრეტულ მოქმედებასა თუ დიალოგშია გახსნილი და გადმოცემული. გმირის ყოველი სიტყვა სიყვარულისა და სიკეთის ხატია.

ახალგაზრდა კაცის ცხოვრებაში გამორჩეული, განსაკუთრებული ადგილი უჭირავს სიყვარულს. თემურს უყვარს გულიკო, თანაკურსელი ჰკვიანი გოგონა, რომელიც ცხოვრობს ლოტკინზე. მას აქვს დიდი ბაღი, სადაც ზაფხულობით თემური და გურამი მეცადინეობენ. მაგრამ გულიკო მშვიდად, წყნარად და თანდათან წავიდა თემურის ცხოვრებიდან. და აი მოულოდნელად, უეცრად მოვიდა ძლიერი, მარადიული სიყვარული. თემურიმ ლია შეიყვარა. ჩვენ ვხვდებით, რომ მათი სიყვარული ურღვევი და საბოლოოა.

რომანში „მზიანი ღამე" შესანიშნავადაა გადმოცემული გარდატეხის, წინააღმდეგობის, თაობათა შორის გაუგებრობისა თუ დაპირისპირების ატმოსფერო. ყოველივე ეს ნათლად ჩანს თემურისა და დედის დამოკიდებულებაში, მათ დიალოგებში. ერთმანეთს უპირისპირდება დაშინებული, საზოგადოებრივი ქარტეხილებითა თუ გაუგებრობით უსამართლოდ დაჩაგრული დედის თაობა და გაბედული, თამამი თაობა — თემურის სახით. „შენ ყველაფრის გეშინია, არაფრის არ გჯერა, ყველაფერზე არას და არ ვიცის ამბობ"... ანდა: „შენ ჩემი ყველაფერი გიკვირს, ის, რაც მე კარგი მგონია, შენ არ მოგწონს, რაც მახარებს, შენ იმის გეშინია, სულ ეჭვის თვალით უყურებ". ან: „ნუ იტყვი შვილო, — რატომ დედა, რადიომ თუ თქვა, ალბათ მთელმა მსოფლიომ იცის.

— შენ ნუ იტყვი, შვილო, რადიომ თქვას, შენ მაინც ნუ იტყვი, თუ დედა გიყვარს".

მრავლისმთქმელია თეიმურაზის გულწრფელი აღსარება: „მე მინდოდა მივმხვდარიყავი, რას განიცდიდა, რა აწუხებდა, რა სტკიოდა, რისი ეშინოდა, ან რას სტიროდა. დღემდე მაგრამ ვერ მივხვდი და, ალბათ, ჩემს სიცოცხლეში ვერასოდეს მივხვდები და ვერ ავხსნი იმ სათნოებით სავსე, პატარა, შეშინებული, შეძრწუნებული, ჭაღარა ქალის ცრემლების მიზეზს".

თაობათა ამ ერთგვარ წინააღმდეგობას თითქოს განმუხტავს დედა და შვილს ასე მიმართავს: „შენ შენი გზა გაქვს და შენი გზით უნდა იარო, შვილო". ამის მიუხედავად, რომანში საინტერესოდ, დამაჯერებლადაა გადმოცემული დედაშვილური სიყვარული. როგორც გურამ გვერდწითელი ამბობს, „მწერალმა რომანის მთელ მანძილზე არა მარტო დაგვანახა ეს დიდი დედაშვილური სიყვარული, არა მარტო განგვაცდევინა ეს სიყვარული, არამედ ღმერთადაც კი აქცია იგი და ჩვეულებრივ ყოფით საუბარში ართავაზასთან და გურამთან თუ ლირიულ აღსარებებში თითქოს თავისი ახალი რელიგიის ახალი საგალობლებიც კი შექმნა".

დედის სახე განუყოფელია მზისგან. მზე — სიკეთის, სიმართლის, სიყვარულის, ღმერთის სიმბოლოა (ხატია). იგი ეხმარება თემურს ცხოვრებაში, მისი სიმხურვალით აღსავსე ებრძვის მარტოობას, ბოროტებას. მაგრამ არის მეორე, სხვაგვარი მზეც: „მზე სასწაულია, მაგრამ შენ არ გინახავს ნამდვილი მზე... მზით დამწვარი, უსაზღვრო ტრამალი... მზით დამწვარი ქვა, მიწა, ხე, ქვიშა, გამხმარი ტვინი? არის წუთები ცხოვრებაში, როდესაც მზე გეზიზღება და უცქერი მზის ჩასვლას მხოლოდ იმიტომ, რომ იგი ჩადის, და გიხარია მისი ჩასვლა, რათა ხელმეორედ აღარ ამოვიდეს, ასეთი ულმობელი როგორიც გუშინ".

მწერალმა შესძლო, ჩასწვდომოდა ახალგაზრდა გმირის სულის სიღრმეს, ორგანულად შეერწყა წარსული და სინამდვილე: წარსული ასოციაციურ მოგონებებშია წარმოდგენილი. ისინი თითქოს იმ ძველი ფილმის ნაწყვეტებია, რომლებიც მარჯვე ხელმა ჩაამონტაჟა ფილმში თანამედროვე ცხოვრებაზე. წარსულში გადასვლით მწერალი გვიჩვენებს, როგორ იწყებოდა გმირთა ხასიათში ზნეობრივი ფორმირების პროცესი. გავიხსენოთ ირონიით აღწერილი მერვეკლასელი ბავშვების წარმოდგენა „ბერლინის აღება" და პიესით გამოწვეული მშობელთა უკმაყოფილება. ანდა ქურთი მეეზოვე მამედა, რომლითაც ბავშვებს აშინებენ, სინამდვილეში კი საოცრად კეთილი და მოსიყვარულე პიროვნებაა (აქვე დავუმატებთ, რომ ისევე როგორც სხვა რომანებში, აქაც სიუჟეტისათვის აუცილებელ ატრიბუტს წარმოადგენენ საოცრად თბილი და მზრუნველი სომეხი და ქურთი პერსონაჟები).

რომანს „მზიანი ღამე" არ გააჩნია ის მწყობრი სიუჟეტური ქარგა, რომელსაც რაიმე დამოუკიდებელი პრობლემატური თუ იდეურმხატვრული ფუნქცია ექნებოდა, ის ჯაჭვი,

რომლის მთლიანობასაც სიუჟეტი ჰქვია. რომანში გადმოცემული ამბავი მიჰყვება ახალგაზრდა კაცის, თემურ ბარამიძის თავგადასავალს, მის სულიერ მოძრაობას, მის განცდებს. მწერლისათვის არსებითია ადამიანებთან კავშირის, ურთიერთდამოკიდებულების ჩვენება, რომელიც ხასიათის ზნეობრივ არსს აშიშვლებს. ნ. დუმბაძე დიდ ყურადღებას აქცევს სიტუაციებს, რომელთაც ახალგაზრდა გმირის ფორმირებაზე იმოქმედეს. ყოველდღიურობის ჩვენებით მწერალი ახერხებს, გადმოსცეს ახალგაზრდა ადამიანის ჩამოყალიბების პროცესი. თემურ ბარამიძე მაღალი ზნეობის გმირია. თემურის პიროვნების უმთავრესი ღირსება — ერთგულება სიკეთისა და სამართლიანობის იდეისადმი, ადამიანებთან ურთიერთობაში გამოიხატება.

ნოდარ დუმბაძის ყველა რომანში მთხრობლად და მთავარ გმირად გულლია, ბუნებით კეთილი და მხიარული, ენამახვილი ჭაბუკი გვევლინება (მისი პროტოტიპი თვითონ ავტორია). სხვანაირად რომ ვთქვათ, ნ. დუმბაძის რომანებში ბევრი რამ ავტობიოგრაფიულია.

ზურიკელა და სოსოია, თემურ ბარამიძე და ავთო ჯაყელი, ზაზა ნაკაშიძე და ბაჩანა რამიშვილი ერთმანეთს ჰგვანან, მაგრამ ერთფეროვანნი როდი არიან. მათ სულ სხვადასხვა დროს და სხვადასხვა გარემოში უხდებათ ცხოვრება: სოსოია სოფლის სკოლის მოსწავლეა სამამულო ომის წლებში, ზურიკო სოფლიდან თბილისში სასწავლებლად ჩამოდის და სტუდენტი ხდება, თემურიც სტუდენტია, — ავთო კი სტუდენტის ბილეთის მაძიებელი, შემდეგ — საბჭოთა არმიელია, მესაზღვრეა... იცვლება ცხოვრება და იცვლება გმირიც...

ნ. დუმბაძე ადამიანის მრავალნაირი სულიერი მოძრაობის ორიგინალურად ამსახველი მწერალია, მას საკუთარი თვალთახედვა აქვს, — მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი და სისხლხორცეული. ნ. დუმბაძის ყოველი ნაწარმოები ათასნაირ ფიქრსა და აზრს აღძრავს. მწერლის მთელ შემოქმედებას მისივე შინაგანი ბუნების სხივი დასდევს თავიდან ბოლომდე. მწერლის ზნეობრივი კრედოს თანახმად არ არსებობს ადამიანი, რომელსაც დადებითი არაფერი არ ჰქონდეს. მწერალი ცდილობს, ადამიანის სწორედ ეს დადებითი მხარეები წარმოაჩინოს, ისეთი კუთხით გვიჩვენოს თავისი გმირი, რომ მოგვეწონოს და შეგვიყვარდეს იგი. ამიტომ არის რომ ნ. დუმბაძის არც ერთი პერსონაჟისადმი მკითხველი ზიზღს არ გრძნობს. კრიტიკოსი ლ. ანინსკი წერდა: „სამი რომანით ნ. დუმბაძემ ამოწურა ბავშვობისა და ჭაბუკობის სულიერი გამოცდილება. ის ამაში, ცხადია, ტიპიური სამოციანელია, თავისი ბედის ალმსარებელი: მოგაგონებთ, რომ მწერლებმა, რომლებმაც ქართულ პროზაში შეადგინეს ე. წ. ახალი ტალღა, უარი თქვეს თემის დამუშავების პრინციპებზე და წინ წამოსწიეს შინაგანი [illegible] პრინციპი. მხოლოდ პირადი, უშუალო გამოცდილება, მხოლოდ ის, რაც თვითონ გამოსცადა, მხოლოდ ის, რამაც შენს „მეში“ გაიარა“. მაგრამ სამოციანი წლების დასასრულს „სულის პორტრეტიდან“ ადამიანთა მოდგმის წარმომადგენლის სიმძიმის ცენტრმა გადანაცვლება დაიწყო ობიექტური რეალობის მხარეს, ადამიანის მოდგმის სოციალურ-ფსიქოლოგიური განსაზღვრულობისაკენ. სამოციანი წლების ალმსარებლობითი პროზისათვის ამ საკითხის რეალიზაცია ხდებოდა ასეთი ფორმით: აიტანს კი იდეალისტი და მეოცნებე მისი ილუზიებისაგან გვარიანად დაშორებულ მკაცრ სინამდვილესთან შეჯახებას? ნ. დუმბაძემ პრობლემა მისთვის ჩვეული იუმორისტული მანერით ჩამოაყალიბა: „მრავალი განსაცდელი მოუმზადა ღმერთმა კაცს, ჩემო ძვირფასო ავთანდილ, — დაიწყო ბიძია ვანიჩკამ, — ჩემთვის ცნობილია ორი მათგანი: არმია და ციხე“. ორი პუნქტის მიხედვით გადაწყვიტა ნოდარ დუმბაძემ. გამოეცადა თავისი გმირი ორ თავის ახალ რომანში: ერთ მათგანში „ნუ გეშინია, დედა!“ — არმიის, მეორეში — „თეთრი ბაირაღები“ — ციხის პირობებში.

რომანში „ნუ გეშინია, დედა“ განხორციელებულია უაღრესად ჭრელი ფაბულური მასალის იშვიათი იდეურ-თემატური ერთიანობა, რამდენიმე თვის კალენდარული ჩარჩო თავისთავში იტევს რომანული დროის ნახევარ საუკუნეზე მეტს — ავთანდილის ბაბუა ისიდორეს — აქტიური რევოლუციური ქმედებით და თვით ავთანდილის შეტაკებებით იდეურ მოწინააღმდეგეებთან. სასაზღვრო და იდეოლოგიური პარალელები რომანში სრულიადაც არ არის შემთხვევითი. რომანი „საზღვარზეა“, სახელმწიფოს საზღვარზე, ტერიტორიულ გასაყარსა და საზღვარზე ადამიანთა გულებში. აი რატომ არის, რომ ძმაკაცები დადუნას ლიტერატურული სალონიდან წარმოგვიდგებიან არა უბრალოდ პიყონებად, არამედ იდეურ მოწინააღმდეგებად, რომელთა წინააღმდეგ იბრძვის, და არ შეიძლება არ იბრძოდეს ავთანდილი; ამიტომაც შეუძლებელია ლ. ანინსკის აზრის გაზიარება, როცა იგი წერს: „არ ვიცი, ეს ნამდვილად კეთილი კაცია ახვეული თვალებით, თუ გადაჭარბებულად მახვილად მხატვრული სიმართლის მოყვარული, წინასწარ დარწმუნებული საკუთარ უსუსურობაში და დამცირების უყოყმანოდ ამტანი“. არავითარი დამცირება აქ არ შეიძლება დავინახოთ. მწვავე შეტაკებაში მიღებული ჭრილობა ვერავითარ შემთხვევაში ვერ დაამცირებს კაცს, თუ ის სიმართლისათვის იბრძვის. მერე რა თუ ძალა ამჟერად მოწინააღმდეგის მხარეზეა. „ნუ გეშინია, დედას“ მთავარმა გმირმა კიდევ ბევ-

რი რამ უნდა ისწავლოს, შეითვისოს ცხოვრება საკუთარი გამოცდილებით. ავთანდილი კეთილ, ფაქიზ პიროვნებად დარჩა, მაგრამ ყველა წინამორბედთან — ზურიკელასთან, სოსოიასთან, თეიმურაზთან შედარებით ბევრად გაიზარდა როგორც ადამიანი. ამ მიმართულებით მწერალმა მძაფრად შეიგრძნო თავისი რომანის ქაბუკი გმირი, და ღრმად გაიცნობიერა ამ პერსონაჟის ცხოვრების კიდევ ერთი მხარე, — მისი სავალდებულო-სამხედრო სამსახური არმიაში.

ზნეობრივი იდეალის ძიება თავისებური კუთხითაა გადმოცემული ნაწარმოებში. მისთვის სპეციფიკურია ალტერნატივა — ადამიანის მორალურ-ზნეობრივი სახის ჩამოყალიბებაში, მის ადამიანურობაში გადამწყვეტი არ არის ცალკეული უარყოფითი მხარეები, ზოგიერთი ნაკლი, ზადოვანება. მთავარია, მასში საერთოდ და პრინციპულად იდოს ის ხელუხლებელი და მოუხელთებელი ოქროს ზოდი, რასაც ადამიანი ჰქვია. ეს საწყისი მთავარ გმირს, ავთანდილ ჯაყელს საბოლოოდ საზოგადოებისათვის სასარგებლო პიროვნებად აყალიბებს. „ნუ გეშინია, დედა!“ — წარმოთქვამს ნ. დუმბაძის გმირი, ჩემი უარყოფითი მხარეები საშიში არაა, ისინი ვერ გადასძლევენ ჩემში არსებულ ზნეობრივ სტატუსსა და ცხოვრების ფათერაკებს, მორალისა და ანტიმორალის სცილასა და ქარიბდას მშვიდობიანად დავუსხლტები და ნამდვილ ადამიანად მოვევლინები ქვეყანას...

სახელმწიფო საზღვრის იქით, მდინარის გაღმა, თურქეთის მხარეზე, იქაური მასწავლებლის ეზოში დიდ ლოდზე ხშირად ზის მასწავლებლის ახალგაზრდა, ლამაზი მეუღლე და ჭოგრიტით ჩვენს მხარეზე იყურება. საზღვრის საბჭოთა მხარის საგუშაგოზე საბჭოთა მესაზღვრეებს შორის არის ავთანდილ ჯაყელიც. ძალიან უბრალოდ, მაგრამ შთამაგონებელი ძალით იმართება იმ ორ ახალგაზრდა დაშორიშორებულ გულთა შორის „საბაერო“ თუ „სივრცული“ დიალოგი. მათ, რასაკვირველია, ვერც ერთმანეთის სიტყვები ესმით და ვერც ერთმანეთის სახის გამომეტყველებას ხედავენ. მაინც საოცრად ღრმაა მათი ფიქრების გაცვლა-გამოცვლა. უბრალო და მარტივია მათი ნავარაუდევი სიტყვა-პასუხი, მაგრამ ღრმაა ამ სიტყვა-პასუხის აზრისმიერი და გრძნობისმიერი სიღრმე. აბა, დავუკვირდეთ, რა შორს იტყორცნება ამ ღრმაადამიანური ეპიზოდის აზრი — წარსულშიც, დღევანდელობაშიც, მომავალშიც...

რაღაც განსაკუთრებული ადამიანური სიღრმეა ამ მოჩვენებითსა და მოგონილ დიალოგში. არ უნდა დავივიწყოთ, რომ იგი ვითომც გამართულია სახელმწიფო საზღვრის გაღმა-გამოღმა, საზღვრისა, სადაც არამც თუ უცნობ ადამიანთა ერთმანეთთან შეხმიანება, არამედ ყოველი სულდგმულის გაჭაჭანებაც კი [illegible], მაგრამ დიდი სიმართლე სწ[illegible] ადამიანთა წმინდა ადამიანურმა აზრებმა, ფიქრებმა, განცდებმა არავითარი საზღვრები არ იცის...

„ათ წელს ვატარებდი გულით „თეთრი ბაირაღების“ ჩანაფიქრს — ხან ასე ვუტრიალე, ხან ისე, მაგრამ ვერ იქნა და ვერ დავიწყე... ალბათ დღემდე ასე ვიწვალებდი, რომ არ გამხსენებოდა ნოეს კიდობანი და მისი ბინადარნი: წმინდანნი და უწმინდურნი“ — ეს სიტყვები ნოდარ დუმბაძეს ეკუთვნის. „თეთრი ბაირაღებიც“ სიკეთის, ზნეობისა და მორალის სფეროში ტრიალებს, აქაც ძირითადი საკითხი ახალგაზრდა კაცის სულიერი ჩამოყალიბება გახლავთ. ეს ნაწარმოები, შეიძლება ითქვას, ყველაზე მწვავე სოციალური ნაწარმოებია. მიუხედავად გარეგნული, აქტუალური პასაჟებისა, ვფიქრობთ, ნ. დუმბაძის მთავარი ხაზი იგივე დარჩა — ნამდვილი, ადამიანური ადამიანის ძიება. აქაც იმავე კონკრეტულ ხერხებს იყენებს მწერალი — ერთმანეთს უპირისპირებს შეცდომით დაპატიმრებულ, სპეტაკ პირებს და ციხის საკნებში ჩამწყვდეულ გარეწრებს. მათი მოქმედების, საუბრების ვითარებაში საშუალება ეძლევა ავტორს სხვადასხვა კუთხით აჩვენოს კეთილი, ჰუმანური და ზნეობრივი გმირის სულის წახნაგები. მკითხველიც ხედავს: ეს წახნაგები ყოველი შემობრუნებისას მაღალი ზნეობრივი შუქით ბრწყინავენ. ნ. დუმბაძე მკაცრად უდგება „ძე შეცდომილთა“ — კომბინატორების, მუქთახორების, ქურდების, პარაზიტების განკითხვას. მაგრამ იგი არ დასცინის დავარდნილს, არ ასამარებს დაცემულს, დამარცხებულსაც და გამარჯვებულსაც საკეთილო საქმეში თანამდგომად გამოუჩნდება, რადგან მტკიცედ სწამს: „ყველას სული მოითხოვს გამოწვდილ ხელს... უბედურიც, ბედნიერიც, პატიოსანიც, უპატიოსნოც“... ამ რომანში გაცილებით მეტია შენდობის, პატიების რექვიემი; დამკვიდრების პათოსი უფრო ძლიერია, ვიდრე გაკიცხვისა. ნ. დუმბაძეს ღრმად სწამს, ფიქრობს, რომ ვერავითარი სასჯელი ისე ვერ დაამძიმებს მომკვდავის სულს, როგორც განაჩენი, თვითონ რომ გამოუტანა საკუთარ თავს. ამას გვიჩვენებს ავტორი ისიდორეს დრამის გათამაშებისას, როცა იმპროვიზებული სასამართლოს შემდეგ სულიერად განადგურებული ისიდორე თვითმკვლელობამდე მიდის. მწერალს მომხდარი ბოროტებანი კი არ მიაჩნია მთავარ საშიშროებად, არამედ ერის დამღუპველად მათი ძირები წარმოუდგება. იგი ეძიებს კიდეც ამ ფესვებს. ეს კი უფრო მნიშვნელოვანია, რადგან თუ გსურს, სიმართლე დაადგინო, სათავესაც და წყაროს უნდა მიაკვლიო. ამის გამოა, რომ „თეთრი ბაირაღების“ მიხედვით, კაცისმკვლელი, ქურდი, კომბინატო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რი კი არ არის საშიში, არამედ ის ფესვები, რაც ამ მოვლენებს იწვევს.

ზაზა ნაკაშიძეს, მართალია, უმართებულოდ, მაგრამ ვითარების გარეგნულად საკმაოდ ხელჩასავლები სურათის საფუძველზე და გულგრილი, ასოკირკიტა, ბიუროკრატი გამომძიებლის წყალობით ბრალად ედება კაცის მოკვლა...

ზაზა ნაკაშიძემ მიიღო ცხოვრების მწარე გაკვეთილი, რამდენადმე არატიპიური და შემთხვევითი, მაგრამ მაინც ერთობ მწვავე და მნიშვნელოვანი გაკვეთილი! ამ გაკვეთილმა საოცრად გაუმახვილა აზრი, გაუძლიერა წარმოსახვის თუ ფანტაზიის უნარი, გაუმძაფრა უდანაშაულო „დამნაშავის" განცდა და შინაგანი მღელვარება ღრმა ჰუმანისტურ სულისკვეთებად და მხურვალე ადამიანურ გულისხმიერებად დაკრისტალდა. რომელ შეპირვებულ, „უმართებულოდ ბრალდებულს" არ უნატრია და არ უოცნებია გარდაქმნილიყო ისეთ ძალად, ისეთ არსებად, ისეთ პიროვნებად, ვინც შეძლებდა საკუთარი სიმართლის ერთობ ჩახლართული ვითარებიდან გამოხსნას... ზოგჯერ, შესაძლოა, ცხოვრებაშიც ხდება ამგვარი რამ... და მით უმეტეს ფანტაზიას ხელოვნებაში სრული უფლება აქვს მსგავსი ნატვრა, მისწრაფება თუ ოცნება ადამიანისა მხატვრულ რეალობად, ხელოვნების ხორცშესხმულ ფაქტად აქციოს. მხატვრულად სავსებით დამაჯერებელი და გონებამახვილურია, რომ ზაზა ნაკაშიძის უდანაშაულობის დასადგენად, მისი სიმართლის გამოსახსნელად საქმეში მისივე გაძლიერებული ორეული ერევა.

უდანაშაულო ადამიანის ციხეში მოხვედრა მხოლოდ სამწუხარო გამონაკლისია, პატიმართა უმეტესობა კი სამართლიან სასჯელს იმსახურებს მართლმსაჯულებისაგან. მაგრამ მართლმსაჯულებასთან ერთად არსებობს აგრეთვე სინდისისა და საზოგადოებრივი აზრის სამსჯავრო, რომლებიც ციხის კედლებშიც მოქმედებს და ზოგჯერ უფრო მკაცრია, ვიდრე მართლმსაჯულება. ამ მხრივ ძალზე დამახასიათებელია რომანის ორი ეპიზოდი. პირველი, როცა პატიმრები საკანშივე სასტიკად უსწორდებიან გამცემლიძეს, რომელმაც მეგობრის ცოლი შეურაცხყო; და მეორე, როცა პატიმრები გაითამაშებენ ისიდორე სალარიძის (რომელსაც სიძე შემოაკვდა) გასამართლების სცენას და „პროკურორი" ლიმონა მის სიკვდილით დასჯას მოითხოვს. სახელმწიფო კანონმდებლობა ასეთ შემთხვევაში სასჯელის უმაღლეს ზომას არ ითვალისწინებს, მაგრამ ლიმონა უფრო მკაცრია:

„მე იმდენად წინააღმდეგი ვარ ყოველგვარი სისხლიანი ძალადობისა და იმდენად დიდ დანაშაულად და ცოდვად მიმაჩნია ადამიანის მიერ ადამიანის მოკვდინება, მისთვის ღვთის მიერ მონიჭებული და ნაბოძარი სიცოცხლიდან თუნდაც ერთი მზიანი დღის წართმევა, რომ ჩემთვის მხოლოდ ერთი არჩევანია და სხვა არჩევანი არ არსებობს... მოვითხოვ: სამართალში მიცემული სალარიძე მიჩნეულ იქნას დამნაშავედ და მიესაჯოს საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 104 მუხლით გათვალისწინებული სასჯელის უმაღლესი ზომა — დახვრეტა"...

ჩვენ ვეთანხმებით იმ კრიტიკოსთა აზრს, რომლებიც აღნიშნავენ, რომ ლიმონას მსჯელობას აკლია ლოგიკურობა. თუკი ადამიანის მიერ ადამიანის მოკვდინება დიდ დანაშაულად მიაჩნია, როგორღა მოითხოვს მოხუცი კაცის სიკვდილით დასჯას, რომელსაც მკვლელობა განზრახ არ ჩაუდენია? მაგრამ ვერ გავიზიარებთ კრიტიკაში გამოთქმულ აზრს, თითქოს ზედმეტი იყოს სცენა სამრეცხაოში. საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ ახალგაზრდა გმირის წუთიერი შეხვედრა და სიახლოვე ქალთან ნ. დუმბაძის სხვა რომანებისთვისაც ნიშანდობლივია (გავიხსენოთ „მზიანი ღამე", „მარადისობის კანონი"). ასევე საოცრად ჰგვანან ციხისა („თეთრი ბაირაღები") და საავადმყოფოს („მარადისობის კანონი") ექთნები, — „პაციენტებს" ისინი საოცრად ლამაზ, სათნო, მზრუნველ ადამიანებად ესახებათ...

კრიტიკაში დიდი კამათი გამოიწვია თეთრი ბაირაღის მნიშვნელობის ახსნამ.

ალბათ, ამასთან დაკავშირებით, ყველაზე სარწმუნო თვით მწერლის სიტყვები იქნება: „დასაბამიდან ყველა დროშა თეთრი იყო, თეთრი, სპეტაკი, შემდეგ შეიღება იგი სხვადასხვა ფერად: ჩალისფრად, შინდისფრად, წითლად, შავად, ყვითლად, ლურჯად, ნარინჯისფრად, ან უბრალოდ გაჭუჭყიანდა და მიწისფერი გახდა. თეთრი უკეთილშობილესი ფერია დედამიწაზე, თეთრი ბაირაღი უკეთილშობილესი ფერის ბაირაღია. იგი თავიდან, თავისი სისპეტაკით მშვიდობას, სიყვარულს, ძმობასა და სათნოებას გამოხატავდა. შემდეგ ვიღაც ვიგინდარა ადამიანებმა იგი უძლურების, მონობისა და მორჩილების სიმბოლოდ აქციეს, ოცი საუკუნე იქით და ოცი საუკუნე აქეთ თეთრი დროშები თავისას მოითხოვენ და მოელიან, თეთრი დროშები თეთრი თოვლიანი მწვერვალების მსგავსად სამყაროს თავზე უნდა იყვნენ აღმართულნი. ერთი დიდი თეთრი ბაირაღი უნდა ფრიალებდეს ამაყად ჯომოლუნგმაზე, ნიშნად უსაზღვრო სათნოებისა, სიკეთისა და სიყვარულისა, ერთი თეთრი დროშა, ვეებერთელა თეთრი ბაირაღი" („თეთრი ბაირაღები", ჟურნალ „მნათობი", 1978, № 1). და რაოდენ სიმბოლურია, რომ განთავისუფლებულ ზაზა ნაკაშიძეს ხელში სწორედ თეთრი ბაირაღი უჭირავს — სიკეთის, სათნოების და სიყვარულის სიმბოლო!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

**ნოდარ მალაზონია**

# სასაცილო ამბავი

„ძვირფასო მკითხველო, ერთად ერთი, რაშიც მე იცხადით შეტანა მინდა: ნუ იჩქარებთ, ჩემში იუმორისტი დაინახოთ“.

ნ. დუმბაძე.

1967 წლის თებერვალში გვარიანად ციოდა მოსკოვში.

ნოდარ დუმბაძის „ამალაში“ ათი თუ თორმეტი ვიყავით შინაურ-გარეულიანად. სუყველანი სასტუმრო „სოვეტსკაიაში“ მოგვათავსეს, ნოდარი და ნანული ერთად, დანარჩენი — ცალ-ცალკე.

საღამო ხანი იყო, როცა სასტუმროში დავბრუნდი. გამოვედი თუ არა ლიფტიდან, მორიგეს გასაღები გამოვართვი და ჩემი ოთახისაკენ გავეშურე.

— ნოდარ ვლადიმერის ძევ! გეთაყვა შეგიძლიათ ერთი წუთით მობრუნდეთ? მე დამავიწყდა, რომ თქვენთვის მეთქვა... — გამომძახა მორიგემ.

მოულოდნელად ახლა უკვე დარბაზის შუაგულიდან, სადაც მძიმე დიდი სავარძლები ალაგია, ისევ გავიგონე ჩემი სახელი და მამის სახელი. ხმა საკმაოდ პანიკური იყო.

— ნოდარ ვლადიმერის ძევ! მადლობა ღმერთს. როცა მივიხედე, დავინახე როგორ მორბოდა ჩემსკენ სახეგაბადრული რუსი გოგონა. მე შევჩერდი და მორიგეს ხელით ვანიშნე, ახლავე გეახლები-მეთქი. — ნოდარ ვლადიმერის ძევ, შემიბრალეთ, დილის აქეთია გეძებთ.

გამეცინა, რადგან იმწამსვე მივხვდი თუ რაში იყო საქმე.

— თქვენ გეცინებათ, არა? მე კი ლამის ჭკუაზე შევიშალე. — ქოთქოთით მოიჭრა ჩემთან ახალგაზრდა ქალი და გახარებულმა ხელი გამომიწოდა.

— გამარჯობათ, ნოდარ ვლადიმერის ძევ, მე მქვია სვეტლანა მაქსიმოვნა, მე მოსკოვის ახალგაზრდული გაზეთის კორესპონდენტი ვარ. — მე ხელი ჩამოვართვი კორესპონდენტს.

— მე აუცილებლად ორ საათსა და... — მან კედლის საათს შეხედა, — უფრო ზუსტად ცხრამეტ საათზე და არც ერთი წუთით გვიან, უნდა ჩავაბარო მასალა თქვენს შესახებ, თორემ. — შემდეგ მან ორთავე ხელი ყელზე მიიდო და დაუმატა: — ხომ მიხვდით?...

— კი მაგრამ თქვენ შეგეშალათ, — ვუთხარი მე და ისევ გამეცინა.

— შესაძლებელია, მაგრამ მე ხომ მაინც გიპოვეთ, ასე რომ შანსი ისევ არის...

— არა მგონია. — ვპასუხობ მე და გულიანად ვიცინი.

— ნოდარ ვლადიმერის ძევ, — დაისაწყლა გოგონამ თავი. — ნუთუ უარს მეტყვით? — ჩვენ ისე ცოტა რამ ვიცით თქვენს შესახებ... (თუ მე მახსოვრობა არ მღალატობს, მაშინ ჯერ კიდევ არ იყო თარგმნილი და გამოცემული რუსულად „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“ და „მე ვხედავ მზეს“, რისთვისაც ნოდარ დუმბაძეს „ლენინური კომკავშირის პრემია“ მიენიჭა, ნიკოლოზ ოსტროვსკისთან და სხვა გამოჩენილ საბჭოთა ხელოვნების ოსტატებთან ერთად).

— თქვენ უკვე დამარწმუნეთ მაგაში. — სიცილით ვუპასუხე მე.

— არა, არც ასეა საქმე, ცოტა რამ ვიცით და რაც ვიცით, ისიც საკმარისია იმისათვის, რომ აგრე გვიყვარდეთ თქვენ. — შემდეგ დააყოვნა და მერე უფრო საწყლად მითხრა. — იქნებ მიმიპატიჟოთ? — და იქვე სავარძლებისაკენ გაიხედა, მერე ხელჩანთა გახსნა და იქიდან რვეული და საწერკალამი ამოიღო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ვინაა, ბიჭო, მაი რუსის გოგო, ნოდარ? — ნოდარ დუმბაძის ხმა შემომესმა უცებ, რომელიც ის-ის იყო ლიფტიდან გამოსული-ყო (კი არ გამოვიდა, გამობრაგუნდა თავისი ახალი „ბათინკებით“).

ძალიან გამეხარდა. ადვილი შესაძლებელი იყო, ნოდარი შუაღამემდე არ გამოჩენილიყო.

— აი ისიც! — აღტაცებულმა წამოვიძახე. — სვეტლანა მაქსიმოვნა, ნამდვილი ნოდარ ვლადიმერის ძე დუმბაძე! — ხელი ჩვენკენ მომავალი ნოდარისაკენ გავიშვირე.

— გამარჯობათ საყვარელო! — თქვა გაბარდღალებულმა ნოდარმა და ხელი გაუწოდა გოგონას, რომელიც დაბნეული შემოგვცქეროდა ხან მე და ხან ნოდარს. იგი ცდილობდა გარკვეულიყო, თუ ვინ იყო კიდევ ეს ახალი „ნოდარ ვლადიმერის ძე“ — გამარჯობათ! — ისევ შეახსენა გაწვდილი ხელი ნოდარმა. სვეტლანამ გაუბედავად ჩამოართვა ხელი ნოდარს.

— და თუ თქვენ მე ამ კრეტინში შეგეშალეთ. — სიცილით თქვა ნოდარმა ისე, რომ ხელი არ გაუშვია გოგონასათვის. — შემიძლია მხოლოდ ვუთანაგრძნო თქვენს მომავალ უდღეურ ჟურნალისტურ კარიერას.

ყველას გულიანად გაგვეცინა. — წამო, შენთან შევიდეთ, — მითხრა ნოდარმა. ჩემთან არეულია ოთახი.

— ნოდარ ვლადიმერის ძევ?! აი სასწაული. — ახლა დუმბაძეს მიაფართქალდა გოგონა. — აი თურმე როგორი ყოფილხართ თქვენ.

მანამ მე მორიგესთან მივბრუნდი (მორიგემ მიმითითა, რომ როცა ოთახიდან გავდივარ, ფანჯარა არ უნდა დავტოვო ღია) და შემდეგ სტუმრებს ჩემს ოთახში შევიპატიჟებდი, გოგონა გაუჩერებლად სხაპასხუპით ლაპარაკობდა: „ოხ, რა კარგია! ახლა თქვენ სასაცილო ამბებს მომიყვებით, არა? ნოდარ ვლადიმერის ძევ! იცით, რას გემუდარებით, რაც კარგია, მხოლოდ მე რომ მითხრათ, თორემ ხვალ, როცა ჯილდოს გადმოგცემენ და ყველანი შემოგესევიან და მერე შევიტყობ, რომ მათ უფრო საინტერესო რამ უამბეთ, იცით, მეწყინება, მე არაფრად ჩამაგდო-მეთქი. რაც არ უნდა იყოს, მე ხომ ყველაზე ადრე გიპოვეთ, არა? იქნებ უკვე დამასწრეს სხვებმა? მე ყველაფერი მაინტერესებს. სამი სვეტი მაქვს თქვენთვის მოცემული. იცით, რა ბევრია ეს? ზოგი რამ თქვენზე ვიცით, მაგრამ ეს [illegible] საჭიროა სასაცილოც ალბათ, არა?...

ნოდარმა გოგონა მაგიდასთან დასვა, თვითონ იქვე სავარძელში ჩაეშვა და პაპიროსს მოუკიდა. მაგრამ იგი უკვე აღარ იყო ისეთი, როგორც წეღან. ისე მოიწყინა, გეგონებოდათ, რაც იქ ხდება, მას არ ეხება, ან საერთოდ არც კი ესმისო.

ეს არც სვეტლანას გამოეპარა.

უცებ ყველაფერი გაცივდა და გაიყინა ირგვლივ.

— ჩავალ, რაღაცას ამოვიტან.' — სიჩუმის დასარღვევად საფიროზე უფრო ხმამაღლა ვთქვი მე.

ნოდარმა ვერც ეს გაიგონა.

დაახლოებით ნახევარ საათში რესტორნიდან ლიმონათით, ერთი ბოთლი შამპანურით, ხილითა და შოკოლადებით სავსე პარკით დატვირთულმა ნელა შევაღე კარები, ყველაფერი იქვე იატაკზე დავაწყე და ფრთხილად მოვიხურე. შუა კარი, როგორც წასვლის დროს გამოვიხურე, ისევ ისე დამხვდა.

მოულოდნელად უცნაურმა აზრმა გამიელვა თავში. მომეჩვენა, რომ იქით ოთახში ალარავინაა. ყური მივუგდე, მაგრამ ამაოდ. კარებთან ახლოს მივედი და ახლა უფრო დავძაბე ყურადღება. ვიღაც ქვითინებს, თუ მეჩვენება?!. ტირის?!. საოცარია! კარების გაღებას ვერ ვბედავ. ვდგავარ.

— მოდი, ძამა, მოდი! მესმის ნოდარის მშვიდი ხმა. კარები ფრთხილად შევაღე და ოთახში თავი შევყავი. მძიმედ დამიქნია ხელი ნოდარმა.

შევედი. გოგონას სახეზე თეთრი ცხვირსახოცი ორივე ხელით აეფარებინა და გულამოსკვნილი ტირის.

ნოდარი ისევ სავარძელში ზის პაპიროსს აბოლებს და თითქოს უაზროდ ფანჯრისკენ იცქირება.

ცოტა ხანს ხმა ვერ ამოვიღე, მერე უშნოდ ვიხუმრე:

— გალახე? — ნოდარმა პასუხი დამიგვიანა, შემდეგ წყნარად თქვა:

— არა, ჩემი ბავშვობის ამბავი მოვუყევი.

როცა ოთახიდან გამოვედი, გოგონა ისევ გულიანად ქვითინებდა.

მეორე დღეს ამაოდ ვეძებე გაზეთში სვეტლანას ინტერვიუ.

# მეცნიერება

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვლ. ნორაკიძე

# ქართული ეროვნული ხასიათის კვლევის პრობლემა ეთნიკურ ფსიქოლოგიაში

ეროვნული ხასიათის საკითხებზე ეთნიკურ ფსიქოლოგიაში არსებული ლიტერატურული ანალიზის შედეგად გამოირკვა, რომ მკვლევარები ეროვნულ ხასიათში გულისხმობენ პიროვნების შედარებით გამძლე — სტაბილურ მახასიათებლებს, რომლებიც მოდალურია ერის ზრდადამთავრებული წევრებისათვის.

ეროვნული ხასიათის კვლევის დროს ძირითადად შემდეგ პრობლემებს გამოყოფენ: 1. ეროვნულ ხასიათსა და მოდალურ პიროვნებას შორის მიმართება; 2. თეორიული პრობლემები მოდალური პიროვნების აღწერაში (რა მიდგომით, მეთოდებით უნდა იქნეს იგი დახასიათებული), 3. სოციალურ-კულტურული სისტემების გავლენა მოდალური პიროვნების ფორმირებაზე; 4. მოდალური პიროვნების გავლენა სოციალური სისტემების ფუნქციობაზე. (6, 7, 9).

მკვლევარები ხაზს უსვამენ, რომ ამ პრობლემის გადაწყვეტა შეუძლია პიროვნების ისეთ თეორიას, რომელიც პიროვნებას განიხილავს როგორც მთლიანობას, კონცეფციას, რომელსაც ძალუძს გააერთიანოს პიროვნების ცალკეული მახასიათებლები, აღწეროს მოდალური პიროვნება გარკვეული ანალიტიკური სქემის მიხედვით. ეს სქემა უნდა გულისხმობდეს შედარებით მყარ დისპოზიციებს, რომლებიც განაპირობებენ პიროვნების აქტივობას. გასაგებს გახდიან სოციალ-კულტურულ ზეგავლენებს პიროვნების ფორმირებაზე, აგრეთვე მოდალური პიროვნების გავლენას საზოგადოებაზე. ამგვარი საკითხების გადაჭრის პრეტენზია აქვს ფსიქოანალიზის, სწავლის, ნეობიჰევიორისტულ, ე. წ. ჰოლისტურ თეორიებს და სხვ.

აღნიშნული პრობლემის კვლევა ყველა ამ თეორიის საფუძველზე ძირითადად სამი მიმართულებით წარიმართა. თვითეულ მიმართულებას პრეტენზია აქვს წვდეს ერის მოდალური პიროვნების ბუნებას და ამის საშუალებით დაადგინოს ეროვნული ხასიათის ძირითადი ნიშნები.

1. ერის სოციალურ ჯგუფებში შემავალი ცალკეული ინდივიდების, როგორც ამ ჯგუფებისათვის სპეციფიკური მოდალური ხასიათის ფსიქოლოგიური მეთოდებით შესწავლა; 2. ერის მიერ შექმნილი კულტურის ფენომენების (ხელოვნება, რელიგია, ენა, ფოლკლორი და სხვ) შესწავლა იმდაგვარად, რომ ამ ფენომენების დახასიათების გზით შესაძლებელი გახდეს მოდალური პიროვნების შესახებ მსჯელობა (როგორაა ასახული მოდალურ პიროვნებაში ეროვნული ხასიათი); 3. ბავშვის აღზრდის სისტემების ანალიზი — ბავშვობის წლებში ჩასახული ხასიათის თვისებების, როგორც მოდალური პიროვნების შემეცნების კრიტერიუმის შესწავლა.

პირველი მიმართულებისათვის დამახასიათებელია ეთნიკურ ჯგუფებში მოდალური პიროვნების პროდუქციული ტესტებით კვლევა და ამ გზით მიღებული შედეგების ურთიერთ შედარება. ამ მეთოდით მოდალური პიროვნების კვლევა მეტად ფართოა და მრავალრიცხოვანი. განსაკუთრებით ამგვარ გამოკვლევებში გამოყენებულია კლინიკური საუბრის მეთოდი, დაკვირვება და სხვ. შესწავლილია მრავალი ეთნიკური ჯგუფის მოდალური პიროვნება, მაგალითად, ამერიკელების, იაპონელების, ჩინელების და ა. შ. განსაკუთრებული ყურადღება მიპყრობილია განვითარებადი ქვეყნების მოდალური პიროვნების ჯვარედინ კვლევაზე. გარდა ზემოაღნიშნულისა, გამოკვლევებში გამოყენებული იყო პროექციული ტექნიკის სხვა სახეებიც — მაგ., დაუმთავრებელი წინადადებების მეთოდი, ბავშვია თამაშზე დაკვირვება, ადამიანის ბიოგრაფიის, პირადი ცხოვრების ისტორიის ინტერპრეტაციის გზები, ფართოდ იყო გამოყენებული სიზმრის

ფსიქოლოგიური ინტერპრეტაცია, რომლის საფუძველზე მიღებული მასალა, მკვლევართა აზრით, იძლევა ინფორმაციას პიროვნების ცხოვრების პირობების, შეხედულებების, დამოკიდებულებების, გათავისებული ღირებულებების შესახებ: ამგვარი მასალის ინტერპრეტაციის საფუძველზე შეიძლება ვიმსჯელოთ პიროვნების არაცნობიერი და ცნობიერი სურვილების შესახებ, მის გონიერებაზე, და გარემოსთან შეგუების იმ მეთოდებზე, რომლითაც სარგებლობს პიროვნება და სხვა სახის სტრუქტურულ-დინამიკურ მახასიათებლებზე. ამ მეთოდების სისტემატური გამოყენების შედეგები მოცემულია მერეის და მორგანის ნაშრომებში.

კვლევითი მუშაობის პროცედურა, რომელიც გამოყენებულია მოდალური პიროვნების შესასწავლად, დაახლოებით შემდეგნაირია: მკვლევარი, პირველ რიგში, ცდილობს შეისწავლოს ცალკეული ცდისპირების პიროვნებები, წვდეს თვითეული მათგანის პიროვნების მნიშვნელოვან მახასიათებლებს. ამისათვის იგი იყენებს პიროვნების ზოგადი თეორიიდან მომდინარე ინტერპრეტაციის პრინციპებს. ამ გზით გამოყოფს საერთო, ზოგად ან ნაკლებად ხშირ მოდალურ მახასიათებლებს და ნიმუშებს, აღებულს ინდივიდუალური შემთხვევების მთლიანი სერიის განხილვიდან. იგი ჩვეულებრივ არ იყენებს რაიმე სტატისტიკურ პროცედურას, თუნდაც ისეთ მარტივს, როგორიცაა სხვადასხვა მახასიათებლების გამოვლენის სიხშირის დათვლა ცალცალკე ან სინდრომების მიხედვით. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, იგი არაა დამუშავებული სტატისტიკურად ინდივიდუალური მონაცემების განაწილების გათვალისწინების საფუძველზე. მოდალური პიროვნება უფრო არის მკვლევარის ჰიპოთეზი — ინდივიდების ძირითადი მნიშვნელობის თვისებათა ინტერპრეტაციის შედეგად მიღებული კონსტრუქტი. ზოგი ავტორი აღნიშნავს, რომ ამგვარ მიდგომას ახლავს მეთოდოლოგიური უკმარისობა, როგორც ცალკეულ ინდივიდთა შეფასებაში, ისე მოდალური პიროვნების სტრუქტურის დადგენაში. მხოლოდ თვისობრივი ნიმუშების ტერმინების ანალიზი აძნელებს იმის განსაზღვრას თუ რა ხარისხით უახლოვდებიან ჯგუფის ცალკეული წევრები მოდალურ ტიპს. აუცილებელია განვსაზღვროთ არა მხოლოდ ის, რაც მოდალურია, არამედ აგრეთვე — ინდივიდუალური ვარიაბილების ხარისხი და ნაირსახეობებიც. სანამ ეს არ გაკეთდება, ეროვნული ხასიათის ცნების გამომუშავებაში ვერ ავცდებით თვისებების ერთგვაროვნობის გაზვიადებასა და ყალბი ჰომოგენურობის ტენდენციას.

მოდალური პიროვნების კვლევაში მეორე მთავარი მეთოდია ე. წ. „კოლექტიური ფენომენის" ანალიზი (ხელოვნების ნაწარმოებები, პოლიტიკური ქცევა, რელიგიური [illegible] სისტემები, ტრადიციები და რიტუალები, მასობრივი პროპაგანდის საშუალებები და სხვ.). ეს მეთოდი შემოტანილი იყო ფსიქოანალიტიკურ მოაზროვნე კლინიცისტების მიერ, რომლებიც იყენებდნენ ეთნოგრაფიულ მასალებს, შექრებილს ანთროპოლოგიის საკითხების შესწავლისას. არსებობს გამოკვლევები, რომლებშიაც ამგვარი მასალების ანალიზი იძლევა საფუძველს ვიმსჯელოთ პიროვნების გარემოსთან დამოკიდებულებების მეთოდების, ჩვეულებების, წესების შესახებ. მაგალითად, ახეთია ამერიკული და გერმანული კინოფილმების ანალიზის შედეგები, რელიგიის, მითების, რიტუალების მრავალრიცხოვანი ფსიქოანალიტიკური კვლევები, კერძოდ, ფროიდის, ფრომის, კარდინერის, რეიკის, რობეიმისა და სხვათა ნაშრომები. მაკლელანდი იკვლევს ბავშვების საკითხავ წიგნებს, რომლებიც ასახავენ მიღწევის მოთხოვნილებებს და სხვა მოტივებს, რომელთაც მნიშვნელობა აქვთ ბავშვის აღზრდაში, მისი პიროვნების ჩამოყალიბებაში. არიან ავტორები, რომლებიც იძლევიან გერმანული ენის თვისებების ეთნიკურ ასპექტში ფსიქოლოგიურ ანალიზს, აგრეთვე, არკვევენ ლიტერატურაში მოცემული მხატვრული პერსონაჟების მოდალურ პიროვნებებთან მიმართებას. მითითებულია, რომ ის მასალები, რომლებიც გამოყენებულია ეროვნული ხასიათის შესასწავლად, მხოლოდ ნაწილობრივ შეესაბამება იმ მახასიათებლებს, რაც თანამედროვე მოდალური პიროვნებისათვის არის ნიშნეული: მითებს ან რელიგიურ დოქტრინებს მცირე მნიშვნელობა აქვთ თანამედროვე უბრალო ადამიანებისათვის. ამ საკითხის გასარკვევად გამოყენებული კინოფილმები, პოპულარული ლიტერატურა, როგორც დოკუმენტები, უფრო ასახავენ მათი შემქმნელი ელიტას პიროვნებებს, ვიდრე მომხმარებელი საზოგადოების წევრების მოდალურ პიროვნებებს. ამგვარი დოკუმენტები უთუოდ ღირებულია ეროვნული ხასიათის შესასწავლად, თუ კი ისინი განხილულნი იქნებიან არსებულ საზოგადოებაში მცხოვრები მოდალური პიროვნების კვლევის შედეგებთან მიმართებაში.

მესამე მეთოდი, რომელიც გამოყენებულია ეროვნული ხასიათის შესწავლისას, რომელსაც ამჟამად დიდ თეორიულ მნიშვნელობას აკუთვნებენ, არის ბავშვის აღზრდის სისტემის, კერძოდ, ოჯახის გარემოს ანალიზი. აღნიშნულია, რომ ამ მეთოდს მაშინ ეძლევა დიდი მნიშვნელობა თუ კი, ბავშვის აღზრდის სისტემების კვლევასთან ერთად, შესწავლილი იქნება თვითონ ბავშვის პიროვნება, მისი განვითარების სხვადასხვა დონეზე, რაც ჯერჯერობით განხორციელებული არ არის.

ამ მეთოდით კვლევის პროცედურა დაახლოებით შემდეგია: მკვლევარი ცდილობს შეისწავლოს — რას აკეთებს მშობელი ბავშვის აღზ-

რდის პროცესში, კერძოდ, აღწერენ კვების, ძუძუდან მოშორების წესებს და დროს, ტუალეტის გამოყენების ჩვევებს, ხხვადასხვა მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას, აკრძალვებს, დაჯილდოვებებს, დასჯის ფორმებს და ა. შ. მკვლევარი, ბავშვის აღზრდის სისტემის აღწერის საფუძველზე, ინდივიდუალური ბავშვის პიროვნების განვითარების ცოდნის გაუთვალისწინებლად, ქმნის ჰიპოთეზას მოდალური პიროვნების მახასიათებლების შესახებ. ამასთან ერთად, ზოგიერთი მკვლევარი დამატებით ცდილობს მოზრდილი პიროვნების მოდალური ხასიათის სტრუქტურის ფორმირების პროცესის შესწავლას ეთნოგრაფიული და სხვა მასალების ანალიზის მეშვეობით, რაც ავსებს ცოდნას ბავშვის აღზრდის ტრადიციის შესახებ. ეთნიკური ფსიქოლოგი იკვლევს აღზრდის სისტემას — რა ფსიქოლოგიური ეფექტი აქვს მშობელი — ბავშვის ურთიერთობებს ბავშვის პიროვნების ჩამოყალიბებაზე, ამავე დროს, სწავლობს იმავე წრის მოზრდილის თვისებებს, რაც შეიძლება აღმოცენებული იყოს შესაბამისი კულტურის ნიადაგზე და პასუხობდეს კითხვაზე: პიროვნების რა სახის მახასიათებლებია ახასიათებს? ბასიათებლები არის სახიერად მახასიათებლები — 

ბავშვის სახის სიმძლავრეში.

სპეციალურ ლიტერატურაში აღნიშნულია ამგვარი კვლევების დიდი ნაკლიც. ნათქვამია, რომ კვლევის ეს გზა ემყარება მოსაზრებას თითქოს ბავშვობაში შეძენილი ყველა თვისება ინდუქციური მსჯელობით შეიძლება განვაზოგადოთ და გადავიტანოთ მოზრდილებში, ჩავთვალოთ მოზრდილის თვისებად. ამ გზით მიღებული დასკვნები მოითხოვენ შემოწმებას. ამჟამად ისინი მოკლებული არიან სრულ დამაჯერებლობას.

თანამედროვე ეთნიკურ ფსიქოლოგიაში ბავშვის აღზრდის სისტემების კვლევის შედეგები უმთავრესად გამოყენებულია მოზრდილის მოდალური პიროვნების შესახებ ცნობების შესავსებად, რაც მიღებულია მოდალური პიროვნების კვლევის სხვა მეთოდებითაც. ასეთი კვლევის უნაყოფობა, ზუსტი დასკვნების მიღების თვალსაზრისით, თავს იჩენს რასობრივად და კლასობრივად განსხვავებული საზოგადოების შესწავლის პროცესში. გამოირკვა, რომ სოციალური კლასის ცვლადი, ბავშვის აღზრდის პროცედურების მხრივ, დიდ განსხვავებას იძლევა შეერთებული შტატების მოსახლეობაში, როგორც ამას ხაზს უსვამენ მკვლევარები, მეტად მცირეა ისეთი მაჩვენებლები, რომლებიც ერთნაირად ახასიათებდეს დაბალ, საშუალო და მაღალი კლასების ბავშვებს, მათი სოციალიზაციის პროცესში. ეს განსხვავება დიდია ქცევის იმ სფეროებში, რომლებსაც საშუალო კლასის საზოგადოება განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს და აკონტროლებს (აგრესია, სქესობრივი რეაქციები, საკუთრების უფლებები და სხვ.). ამრიგად, საკვლევი მოსახლეობის შინაგანი დიფერენციაცია მეტად ართულებს ეროვნული ხასიათის კვლევას. ამ მოვლენის უგულებელყოფის გარეშე მეცნიერულად მნიშვნელოვანი პასუხების დადგენა ძნელდება (6,7).

მკვლევარები მიუთითებენ, რომ პიროვნება და კულტურა იმდენადაა ურთიერთში ჩაქსოვილი, რომ ძნელია მათ შორის ფორმალური განსხვავებულობის დადგენა: „პიროვნება", „კულტურა", „სოციალური სტრუქტურა" არის სამი აბსტრაქტი, რომლებიც მიღებულია ერთიდაიგივე ფენომენთა რიგიდან, სახელდობრ, ადამიანის ქცევიდან და გამოცდილებიდან ხაზგასმულია, რომ მომავალში აუცილებელია თვითეული მათგანის ცალცალკე კვლევა და მათი ძირითადი ნიშნების ურთიერთმიმართების დადგენა.

ზემოაღნიშნული საკითხების კვლევის პროცესში ძირითადი სიძნელე გაჩნდა სწორედ მოდალური პიროვნებისა და კულტურის ურთიერთმიმართების განსაზღვრებასა და გაზომვის მეთოდების ძიებაში. კრიტიკულად იქნა განხილული ის გარემოება, რომ ხშირად მოდალური პიროვნების კვლევათა უმრავლესობა არ ემყარება უშუალოდ ზრდადასრულებული პიროვნების თვისებების შესწავლას, მოდალური პიროვნების მახასიათებლები გამოყვანილია ბავშვის აღზრდის წესების, ბავშვისა და მოზრდილის ქცევის ანალიზიდან, რომლებიც თავს იჩენენ პიროვნების სოციალური როლის შესრულებაში, ან კიდევ მოცემული მოსახლეობის „კოლექტიური" ქცევების ანალიზიდან. აღნიშნულია, რომ ხასიათის განსაზღვრა რომელიმე მათგანის ტერმინებში, უბრალოდ კულტურის ან სოციალური სტრუქტურის ერთი ელემენტის მეორესთან დაკავშირებას წარმოადგენს. აქ მოცემულია კულტურის ინტეგრაციის კვლევა და არა პიროვნებისა და კულტურის შესაბამისობა. მოდალური პიროვნების მახასიათებლები მიეწერება კულტურას, არა ცალკეული პიროვნებების დამოუკიდებელი კვლევის საფუძველზე, არამედ იმის მიხედვით თუ რას უნდა მოელოდეს ადამიანი სოციალურ-კულტურულ სფეროში მოქმედი მოდალური პიროვნებისაგან. მაგალითად: ერთ-ერთი მკვლევარი აცხადებს, რომ ამერიკულ ოჯახში უმცროს ვაჟიშვილს სჯერა, რომ უფლება აქვს მოიქცეს უპასუხისმგებლოდ, რადგანაც იგი დარწმუნებულია მისი უფროსი ძმა მუდამ გამოიყვანს მას გასაჭირიდან; ზუსტად ასე ხდება ამერიკის კონგრესშიც, „უფროსი ძმა" სენატი უფრო პასუხისმგებელია მის პოლიტიკურ მოქმედებაში, ვიდრე „უმცროსი ძმა" — წარმომადგენელთა პალატა. მოცემული ანალოგია შეიძლება საინტერესო იყოს, მაგრამ მეცნიერული სიზუსტისათვის აუცილებელია ამ ორი ფაქტის არსებობისა და ურთიერთ მიმართების მეცნიერული კვლევით შემოწმება. თუ დავუშვებთ, რომ ამერიკულ ოჯახში უმცროსი ძმის ქცევის ნიმუში ზუსტადაა მიგნებული, არ არსებობს იმის დადასტურება,

რომ ნამდვილად ხენატი უფრო პასუხისმგებელია, ვიდრე წარმომადგენელთა პალატა. აქ მოცემულია ინდივიდუალური მახასიათებლების ზეგავლენა, დაუსაბუთებელი პროექცია საზოგადოების პოლიტიკურ ინსტიტუტებზე. იმისათვის, რომ დავადასტუროთ ჭეშმარიტი ურთიერთობები მოდალურ პიროვნებასა და კულტურას შორის, უნდა გავზომოთ ცალ-ცალკე დასაკავშირებელი ელემენტები; აუცილებელია მოდალური პიროვნების თავისებურების შესახებ ცნობები მიღებულ იქნას ინდივიდების შესწავლიდან და არა კულტურის ინსტიტუტების სტრუქტურიდან.

მეორე პრობლემა ეხება იმ მიზეზობრივ კავშირებს, რომლებიც არსებობს მოდალურ პიროვნებასა და სოციალურ-კულტურულ მოვლენებს შორის. კარდინერი, ზეიმი მიზეზობრივ კავშირებს პოულობენ ეროს ძირითად ხასიათსა და კულტურის თემებს შორის, კერძოდ, რელიგიის, ფოლკლორის, ჯადოქრობის, პოლიტიკური წყობისა და სხვა სფეროში. ახეთი ურთიერთობა ასახულია იმ მაგალითში, რომელიც ზემოთ იყო მოტანილი. მსგავსი მიზეზობრივი კავშირი დადასტურებულია ლაბარეს გამოკვლევაში ჩინელებზე. იგი ამტკიცებს, რომ ბავშვობაში ჩინელის ორალური სტადიის (ფროიდის მიხედვით) ჰარმონიულად მიმდინარეობდა, ადრეული განვითარების პერიოდში კონფლიქტების უქონლობა, განაპირობებს ჩინელების ხალ აზროვნებას და პრაქტიკულობას, მათ პოლიტიკურ ფილოსოფიას, ჩინეთის ისტორიაში აგრესიული ომების წარმოების არარსებობას. (6,7).

უნდა ვიგულისხმოთ, რომ მოდალური პიროვნების ცნებას მნიშვნელობა აქვს იმის გამოსარკვევად, — რა სახის ახალი კულტურის ფორმები შეიქმნა კულტურის შეცვლის სიტუაციაში, ქცევის რა ფორმები სტერეოტიპულად განმტკიცდა და ჩამოყალიბდა საზოგადოებაში, რა კავშირი აქვს მას პიროვნებასთან. საჭიროა ემპირიული მასალებით ჩვენება — რა სახის ფაქტორები, პიროვნული თუ სოციალურ-კულტურული მოვლენები, ხელს უწყობენ ან ხელს უშლიან სოციალურ ცვლილებას. ეროვნული ხასიათის შესახებ არსებულ ლიტერატურაში ჩვენ ხშირად ვპოულობთ პიროვნების ქცევის მეთოდებსა და ერში არსებული მართვის წესების-ულებრივი ნორმის ნიმუშებს შორის იზომორფიზმის დაშვებას; მოკლედ, მკვლევრები ზოგჯერ თავიანთ მსჯელობაში იყენებენ ანალოგიურ მეთოდს, რაც ნაკლებად სანდოა; ამ სახის კვლევებმა გამოიწვია მძაფრი კრიტიკა. გაკრიტიკებულ იქნა მკვლევართა ტენდენცია აღწერონ კულტურის ნიმუში და სოციალური სტრუქტურა, როგორც შედარებით ლიმიტირებული, ერთმოდალური ფენომენი, რომ არსებობს „ინვარიანტული" პროფილები, რომლებიც შეიძლება გამოვიყენოთ ნებისმიერი კულტურის შესასწავლად. ერთმოდალური პიროვნების სტრუქტურისა და კულტურის — სოციალური სტრუქტურის გამარტივებული მიმართების აღწერას ხშირად მივყავართ პიროვნებასა და სოციალ-კულტურულ სისტემებს შორის შესაბამისობის არარეალურ დასკვნებამდე.

კვლევის შედეგებიდან დასტურდება, რომ მოდალური პიროვნების ცნება არსებითად ნაყოფიერია ეროვნული ხასიათის პრობლემის გადასაჭრელად; მაგრამ მოდალური პიროვნების როლის შესწავლა რეალურ ცხოვრებასთან მიმართებაში, შეიძლება ითქვას, დასაწყის სტადიაშია. ამ მნიშვნელოვანი პრობლემის ანალიზი მოითხოვს მოდალური პიროვნების ტენდენციების, ხასიათის თვისებების მრავალმხრივ შესწავლას, აგრეთვე კულტურული ნორმების კომპლექსურ კვლევას, მათი შინაგანი სტრუქტურული ბუნების მოდალურ პიროვნებასთან ურთიერთობის ანალიზს. თუ კი მოდალური პიროვნების ხასიათი და სოციალურ-კულტურული მოვლენები სრულად იქნებიან შესწავლილი და აღწერილი, მაშინ შესაძლებელი გახდება გავიგოთ მოდალური პიროვნების ხასიათი როგორ მოქმედებს სოციალურ მოვლენებზე და პირიქუ — მოდალურ პიროვნებაზე რა გავლენას ახდენს სოციალური ხასიათი.

ამრიგად, ამ მიმოხილვიდან ჩანს, რომ ეროვნული ხასიათის კვლევაში უთუოდ გამოყენებული უნდა იქნას მოდალური პიროვნების ცნება. ამ ცნების გამოყენების გზით, პირველ რიგში, მეცნიერული მეთოდებით უნდა დასაბუთდეს ეროვნული ხასიათი რა სახით იჩენს თავს ერის ცხოვრებაში — სოციალურ ურთიერთობაში, შემოქმედებით აქტივობაში. რამდენად განაპირობებს იგი მის ქმედით ძალას. ცნობილია, რომ ყოველ ადამიანს აქვს ხასიათი, რაც განსაზღვრავს მისი ინდივიდუალობის უნიკალობას. ხასიათი ასახავს პიროვნების შინაგან წყობას, სტრუქტურას, რომელიც ინდივიდის, როგორც სოციალური არსების, განმასხვავებელ თვისებათა ერთიანობას წარმოადგენს. ამ შინაგან წყობაში წამყვანი როლი ნებულობას ეკუთვნის; ხასიათის თვისებებიდან გარკვევით მომდინარეობს პიროვნებისათვის დამახასიათებელი სპეციფიკური საქციელი. ადამიანის ხასიათის ცოდნა ნიშნავს მისი არსებითი მხარეების ცოდნას, რომლისგან გარკვეული ლოგიკით, შინაგანი თანამიმდევრობით ვლინდება მისი საქციელი — საკუთარ თავთან, სხვა ადამიანებთან, ობიექტურ ღირებულებებთან დამოკიდებულება. თუ იცი პიროვნების ხასიათი, მაშინ იცი, როგორ მოიქცევა იგი ცხოვრების სხვადასხვა პირობებში. რაც მთავარია, პიროვნების ხასიათი, გარკვეული ფაქტორების ზეგავლენით ჩამოყალიბების შემდეგ, ზრდადასრულებულ ადამიანში ინარჩუნებს შედარებით სტაბილობას, მიუხედავად ხასიათის მთელი რიგი ნიშნების ცვლილებებისა, პიროვნებაში

მისი ძირითადი ბირთვი უცვლელია, რაც ნათლად იჩენს თავს პიროვნების „მე"-ს იდენტიფიკაციის აქტში (1. 2).

ზემოთ თქმულის ანალოგიით ეროვნული ხასიათი უნდა გულისხმობდეს ხასიათის თვისებების ისეთ ერთობლიობას, რომელიც, მიუხედავად ერის ცხოვრებაში მისი ისტორიის მანძილზე მომხდარი თავგადასავლებისა — ეროვნული ენერგიის გამოვლენის ხელისშემწყობი თუ შემაფერხებელი პირობებისა, სოციალური ფორმაციების ცვლილებისა, ინარჩუნებს გარკვეული სახის სტაბილობას; ხანგრძლივი ისტორიის პროცესში, მისი კულტურის განვითარების მსვლელობაში შემუშავებული სულიერი წყობა-ხასიათის ძირითადი ბირთვი შენარჩუნებულია. ეროვნულმა ხასიათმა თავი უნდა იჩინოს ერის კულტურაში შეზრდილ ადამიანებში, რომლებიც თავიანთი ხასიათის წყობით ასახავენ თანამედროვე კულტურის სულს, ასრულებენ კულტურის მიერ დაკისრებულ როლებს, ამავე დროს, ინარჩუნებენ უნიკალურ ინდივიდუალობას. ასეთ ინდივიდუალობაში ასახულია ერის კულტურაში განმტკიცებული სოციალური ხასიათი, რაც მას შესაძლებლობას აძლევს შეეგუოს არსებული კულტურის მოთხოვნებს, მოახდინოს თავისი ქცევის რეგულაცია სოციალური ნორმების მიხედვით; ამავე დროს, მას როგორც უნიკალურ ინდივიდუალობას, თავისი ერის კულტურის ფარგლებში, გააჩნია საკუთარი „მე"-თვითცნობიერების, იდენტიფიკაციის, თავისთავის შეფასების უნარი, გააჩნია „მე-ს კონცეფცია, რომლებშიც მოსჩანს პიროვნების დამოკიდებულება ერის კულტურასთან, მისი აქტივობა, პროგრესული როლი ერის კულტურის განვითარებაში. „ადამიანის ნიშანდობლივი თვისება, რაც მას ყოველ სულდგმულისგან განასხვავებს, მისი მეტაფიზიკური და ფიზიკური ბუნება კი არაა. არამედ მისი საქმიანობა. ე. ი. ადამიანურ მოღვაწეობათა სისტემა, რომელიც ადამიანის სფეროს წარმოქმნის: ენა, მითოსი, რელიგია, ხელოვნება, მეცნიერება და ისტორია ამ სფეროს ცალკეული უბნებია, რომლებიც ერთი მთლიანი შეკრული სისტემის სახით არსებობს (ე. კასირერი (8). მაგალითად, ქართველი ერის კულტურა გულისხმობს არა მხოლოდ ზოგადად, საერთოდ მსოფლიოში ყველა ერისთვის დამახასიათებელი კულტურის კომპონენტებს, არამედ სპეციფიკურ, ხანგრძლივ ისტორიულ წარსულში შემუშავებულ მთელ რიგ თავისებურებებს — უნიკალურ ეროვნულ თვისებებს, რომლებიც მკვეთრადაა ასახული ეროვნულ ხასიათში — ზნე-ჩვეულებებში, ადამიანთა ურთიერთდამოკიდებულებებში (მეგობრობა, ძმადნაფიცობა, მიჯნურობა, ოჯახური დამოკიდებულებები და სხვა). ეს დამოკიდებულებები, მეტნაკლებად იცვლება ერის კულტურის განვითარების პროცესში, მაგრამ, მიუხედავად ცვლილებისა, იგი გარკვეულ კვალს ამჩნევს ერის ცალკეული წევრის ხასიათზე, ქმნის მისი საზოგადოებრივი დამოკიდებულების სტილს; პიროვნებაში მუშავდება შედარებით უცვლელი ფსიქიკური წყობა, სტრუქტურა, რომელიც პიროვნების ძირითად თვისებათა ერთობლიობის — ხასიათის სახით ყალიბდება.

ოლპორტის თქმით, პიროვნების ფორმირების პროცესში წამყვანი ფაქტორია — 1. მთლიანი კულტურის სისტემა, რომელიც შეიცავს ტრადიციებს, ღირებულებებს და 2. სოციალური სისტემა — ადამიანთა ურთიერთობა-ღირებულებების განხორციელებაში (მაგალითად კულტურაა რელიგია, ეკლესია კი სოციალური ურთიერთობაა, იგი ასახავს ეკლესიასა და მრევლს შორის სოციალურ დამოკიდებულებებს); ამ ორ სისტემასთან დაკავშირებულია 3. მესამე სისტემა — პიროვნება, როგორც ზოგად და უნიკალურ თვისებათა კომპლექსი, რომელსაც მეობა გააჩნია. ხშირად ხდება ამ სამივე სისტემის გადაკვანძვა. ხშირად კულტურის მნიშვნელობა არაა მონოლითური, იგი შერჩევითია, შერჩევა დამოკიდებულია პიროვნების ძირითად სტრუქტურაზე. ეს გავლენა განსხვავებულად აირეკლება ერთი ერის განსხვავებულ კლასებში, პროფესიებში, მაგრამ ყველგან, ყველა ვარიანტში, კულტურა, როგორც გარემო, ვერ ახდენს პიროვნების როგორც ინდივიდუალობის მოსპობას, უფრო ხშირად სიტუაციის ზემოქმედებები ერთიანობაშია პიროვნების შინაგან სისტემასთან (8).

რამდენად ძლიერიც არ უნდა იყოს სიტუაციის, კერძოდ, კულტურის გავლენა პიროვნებაზე, ეს უკანასკნელი ძირითადად ინარჩუნებს თავის უნიკალურ „მე"-ს. პიროვნება არაა მხოლოდ კულტურის პროდუქტი. იგი კომპლექსური სისტემაა — კულტურისა და პიროვნების შინაგანი ტენდენციების ერთიანობა (მთლიანობა), რომელიც ფიქსირებული განწყობების სისტემების თავისებური ორგანიზაციის სახითაა მოცემული.

ჩვენ აქ ხაზი გვინდა გავუსვათ იმას, რომ პიროვნება და კულტურა — მჭიდრო ურთიერთობაშია ერთმანეთთან. ამავე დროს პიროვნება ინარჩუნებს გარკვეულ ავტონომიას კულტურაში, მასში ასახულია კულტურის ნიმუშები, მაგრამ, მასთან ერთად, მას გააჩნია საკუთარი ინდივიდუალობის შენარჩუნების ძალა, სწორედ ისეთი ფენომენია, რომელშიც ასახულია ერის ხასიათის შედარებით სტაბილური წყობა, და, ამავე დროს, მისი სუბიექტური დამოკიდებულება კულტურისადმი, რომელიც შეიძლება იყოს კონსერვატიული, ან პროგრესული — ხელის შემშლელი ან ხელის შემწყობი ერის კულტურის განვითარებისათვის. მოდალური პიროვნების ცნების ეროვნული ხასიათის შესასწავლად მხოლოდ მაშინ ექნება ღირებულება, თუ თავიდანვე ამ ცნებაში ვიგულისხმებთ აქტიურ,

შემოქმედ სუბიექტს, რომელსაც გააჩნია საკუთარი პოზიცია (განწყობა) გარე სამყაროსადმი, ამ უკანასკნელით განპირობებულია დამოკიდებულება კულტურისადმი. ამგვარად გაგებული მოდალური პიროვნების ბუნება შესწავლილი უნდა იქნეს მრავალმხრივად, განსხვავებული მიდგომით; ყველა სახის მიდგომა მიმართული უნდა იყოს იმის საჩვენებლად, თუ რამდენად რეალურია მოდალური პიროვნება, რომელშიც ასახულია ეროვნული ხასიათი. თუ არსებობს ეროვნული ხასიათი, პირველ რიგში, იგი მკვეთრად უნდა იყოს ასახული ერის მიერ შექმნილ მხატვრულ ლიტერატურაში; ხელოვნების ნიმუშებში, რადგანაც ხელოვნების ნაწარმოებებში ასახული გმირები — პერსონაჟები ძირითადში წარმოადგენენ ხელოვანის პიროვნების შინაგანი სამყაროს, ხასიათის წყობის, კულტურასთან მისი ადაპტაციის თუ კონფლიქტის, საერთოდ, კულტურასთან მისი დამოკიდებულების, პოზიციის (განწყობის) პროექციას. მხატვრული ნაწარმოებების ავტორების და მისი პერსონაჟების ფსიქოლოგიურმა ანალიზმა, გარკვეული მეთოდით ინტერპრეტაციამ შუქი უნდა მოჰფინოს მოდალური პიროვნების თავისებურებას ისტორიის სხვადასხვა პერიოდებში.

ეროვნული ხასიათი თავს იჩენს ისეთ ადამიანში, რომელსაც გააჩნია დამოუკიდებელი მოქმედების, დამოუკიდებელი გადაწყვეტილების გამოტანის შესაძლებლობა. ასეთი ადამიანი ნათლადაა ასახული მხატვრულ ნაწარმოებებში, ერის ისტორიაში, კერძოდ, საქართველოს ისტორიაში — „ქართლის ცხოვრებაში" (მემატიანეთა გადმოცემებში) და ქართველ ისტორიკოსთა გამოკვლევებში. მაგრამ ამ შრომებში, გასაგები მიზეზით, თითქმის არ ჩანს ხალხის წარმომადგენლები, ე. წ. დაბალი კლასის მოდალური პიროვნებები, მაგრამ ხალხის ხასიათის ამსახველი მოდალური პიროვნება ნათლადაა მოცემული მის მიერ შექმნილ ფოლკლორში, მითოლოგიაში (ხალხური პოეზია, ზღაპრები, თქმულებები), მუსიკაში, საერთოდ, ექსპრესიული ხელოვნების სახეებში (ცეკვა სპორტი, აგრეთვე, —ზნე-ჩვეულებები), რელიგიაში და სხვ. ყოველივე ზემოთ თქმული უშთავრესად ეხება ერის მიერ წარსულში, ისტორიის სიღრმეში შექმნილ კულტურის ფენომენებს, რომლებშიც ჩაქსოვილია ეროვნული ხასიათი, ეროვნული ხასიათის გამოვლენის სხვადასხვა სფეროების ფსიქოლოგიურმა ანალიზმა უნდა მოგვცეს შესაძლებლობა ვწვდეთ ქართულ მოდალურ პიროვნების ბუნებას.

ამრიგად, ერის მხატვრული შემოქმედება, ისტორიის წყაროები, ხალხური შემოქმედება — მითოლოგია, პოეზია, ზღაპრები, მუსიკა, ცეკვა, ზნე-ჩვეულებები, რიტუალები, რელიგია არის ულეველი წყარო, რომელშიც შეიძლება ამოვიკითხოთ ეროვნული ხასიათი. მაგრამ აქვე ხაზი უნდა გაესვას იმ გა[illegible] ოვნული ხასიათი, რომელიც [illegible] ის ისტორიის მსვლელობაში და რომელიც თავს იჩენს მოდალურ პიროვნებაში, შესწავლილ უნდა იქნეს ჩვენი თანამედროვე საზოგადოების, თანამედროვე კულტურის წარმომადგენლების მოდალური პიროვნების თავისებურებებთან მიმართებაში, ე. ი. მეცნიერული მეთოდებით დადგენილი უნდა იქნეს თანამედროვე ქართველი მოდალური პიროვნების ქარაქტეროლოგიური თავისებურებანი. ამით ნათელი გახდება კულტურის ისტორიის სხვადასხვა სფეროში დადასტურებული მოდალური ხასიათის ურთიერთმიმართება — მათი მსგავსება და განსხვავება, გარდა ამისა, შესაძლებელი იქნება გამოვლინდეს ისეთი ზოგადი სტაბილურ თვისებათა სისტემა, ხასიათის წყობა, რომელიც ერის შემოქმედებითი ძალის ყველა სფეროში იჩენს თავს, აგრეთვე, ეს უკანასკნელი რამდენად არის მოცემული თანამედროვე კულტურაში მოქმედ ადამიანებში.

ასეთი კვლევის ჩატარება მოითხოვს ისეთი მეთოდის გამოყენებას, რომლითაც პრინციპულად შესაძლებელია პიროვნების დისპოზიციურად მოცემული თვისებების დადგენა. ადამიანის მოღვაწეობის ყველა დარგში ამ დისპოზიციების გამოვლენის ანალიზი და ურთიერთთან შედარება, ე. ი. ისეთი მეთოდის გამოყენება, რომელიც თანაბრად ადექვატურია კულტურის ყველა სფეროში (ლიტერატურა, ისტორია, ფოლკლორი და სხვა) გამოვლენილი ხასიათის თვისებების შესასწავლად; საჭიროა საკითხის ისეთი მიდგომით კვლევა, რომ შესაძლებელი გახდეს ერის შემოქმედების სხვადასხვა სფეროში განსახიერებული მოდალური პიროვნების თვისებების დადგენა და, მათი ურთიერთშედარების გზით, ზოგადი და სპეციფიკური თვისებების გამოყოფა; მათი სტაბილურობის დასასაბუთებლად თანამედროვე კულტურაში მოქმედი მოდალური პიროვნების კვლევა — ერის კულტურის სხვადასხვა სფეროს ანალიზის ნიადაგზე პოსტულირებული ძირითადი ხასიათის ნიშნების თანამედროვე მოდალური პიროვნების ხასიათში ძიება. ამ მიზნისათვის აუცილებელია კომპლექსური მეთოდის გამოყენება, რომელიც იკვლევს პიროვნების, როგორც ქცევის სუბიექტის (განწყობის), ძირითად თვისებებს, ე. ი. პიროვნების ისეთ ფუნდამენტურ ფორმალურ-დისპოზიციურ თვისებებს, რომელიც შედარებით სტაბილურია ერის კულტურის განვითარების პროცესში.

როგორც აღვნიშნეთ, ხასიათი გამოხატავს პიროვნების იმ თავისებურებებს, რომელნიც გარკვეულ დაღს ასვამენ პიროვნების საქციელს, მის დამოკიდებულებას, როგორც საკუთარ თავთან, ისე გარე სამყაროსთან. იგი ასახავს პიროვნების შინაგან წყობას, ხაზს უსვამს პირო-

ვნების, როგორც მთლიანობის რაგვარობას, ამ მთლიანობის გამოვლენას ქცევაში — გარემოსთან დამოკიდებულებაში. პიროვნების, როგორც მთლიანობითი სტრუქტურის, დახასიათებლად იგი უნდა განვიხილოთ სამი თვალსაზრისით: 1. იმ მიზნების, მისწრაფებების თვალსაზრისით, რომელთა მიმართ განწყობილია პიროვნება (პიროვნების ძირითადი ღირებულებები, „მე"-ს კონცეფცია და პიროვნების ის თვისებები, რომლებიც ღირებულებების, როგორც ფიქსირებული განწყობების რეალიზაციისათვისაა აუცილებელი. 2. როგორია ადამიანი ნებელობის დინამიკის მიხედვით (სოციალური რეგულაციისა და თვითრეგულაციის ასპექტში), როგორი სახის ემოციური დისპოზიციის ფონზე მიმდინარეობს ადამიანის ნებელობის მიზნებისათვის მოღვაწეობა (თვითდარწმუნებულობა, დაურწმუნებლობა, ოპტიმიზმი, პესიმიზმი და სხვა), იმპულსურია პიროვნება, თუ თავისთავს დაუფლებული. 3. როგორია პიროვნება მთლიანობის, სტრუქტურის მიხედვით — რა ურთიერთობაშია პიროვნების მრწამსი, ბუნებრივ მიდრეკილებად ქცეული მიზნები, იდეალები, ნებელობის მიზნებთან, მოვალეობასთან, მისი პრეტენზიის დონესთან — როგორია ხასიათის ძირითად თვისებებს (ღირებულებები, „მე"-ს კონცეფცია, თვითმართვის უნარი, იმპულსურობა, მოვალეობის დონეზე მოქმედება — თავისთავთან და სხვა ადამიანებთან დამოკიდებულების მაჩვენებელი თვისებები და სხვ.) შორის მიმართება, მათი ორგანიზაცია, ინტეგრირებულია, ჰარმონიულია თუ, პირიქით, კონფლიქტური, დეზინტეგრირებული, იმპულსური, შინაგან ლოგიკას მოკლებული (2-4).

ფსიქოლოგიურ მეცნიერებაში კვლევის გზით მოპოვებულია მდიდარი ცოდნა ადამიანის ხასიათის ბუნებისა და ტიპების შესახებ. აგრეთვე, საყოველთაოდ ცნობილია, რომ ხელოვნებაში, მწერლობაში იმარჯვებს ის ნაწარმოები, რომელიც ფსიქოლოგიურ სიმართლეს შეიცავს.

არსებობს ხელოვნებაში და ფსიქოლოგიაში ხასიათის ასახვის გზებისა და მიზნების განსხვავების მაჩვენებელი მნიშვნელოვანი მხარეები, მაგრამ უდავოა, რომ ადამიანის კულტურის ორივე სფეროს: ხელოვნებასა და პიროვნების ფსიქოლოგიას, აახლოებს ერთი ძირითადი მიზანი — ორივე ეძებს ადამიანის, როგორც პიროვნების, ძირითად არსს, მისი ბუნების კანონზომიერებას, ორივე ისწრაფვის ხასიათის ტიპის ან ხასიათის ცალკეული თვისებების აღწერას, მათი წარმოქმნის სუბიექტური და ობიექტური მიზეზების დადგენას, ე. ი. ორივე ცდილობს ერთიდაიგივე მოვლენის შემეცნებას. მაგრამ ერთი მოვლენის არსი შეიძლება იყოს მხოლოდ ერთი რამ, შეუძლებელია ერთ მოვლენას მრავალი განსხვავებული არსი გააჩნდეს (2), ამიტომ სრულიად კანონზომიერია ეთნიკური ფსიქოლოგიური ასპექტში, ეროვნული ხასიათის ამსახველი მოდალური ტენდენციების კვლევის პროცესში, მაქსიმალურად გამოყენებული მხატვრულ ლიტერატურაში მოცემული პერსონაჟები, მათი ფსიქოლოგიური ანალიზის გზით გამოყოფილი მნიშვნელოვანი პიროვნული თვისებები, რომელიც მოდალურია იმ პერიოდისათვის, როდესაც დაიწერა ეს ნაწარმოები.

ლიტერატურული პერსონაჟების ანალიზის დროს პიროვნების თვისებების განხილვა უნდა ემყარებოდეს ამ პერსონაჟების წამყვანი განწყობების — თემების გამოყოფის პრინციპს. დ. უზნაძის მიერ დაფუძნებულ განწყობის ფსიქოლოგიის მიხედვით, თემაში შეიძლება ვიგულისხმოთ შემოქმედის პოზიცია (განწყობა) სამყაროში მიმდინარე მოვლენებისადმი. თემა არის ცხოვრების მანძილზე პიროვნების მოთხოვნილებებისა და სიტუაციების (გარემოს მოთხოვნების) ერთიანობის ნიადაგზე ფორმირებული დიდი პიროვნული წონის ფიქსირებული (განმტკიცებული) განწყობები — პიროვნების მტკიცე შინაგანი პოზიციები, მისი დამოკიდებულებები საკუთარი თავისა და გარე სამყაროსადმი. იგი გამოიხატება პიროვნების თვისებებში კერძოდ, იმ ღირებულებებში, რომელთა სამსახური პიროვნების არსებას შეადგენს. მხატვრული ნაწარმოების (რომელიც შემოქმედებითი ფანტაზიის ნაყოფია) თემების მიხედვით განხილვა ნიშნავს სამყაროს მოვლენებისადმი შემოქმედის ცნობიერი და არაცნობიერი დამოკიდებულების — მისი პიროვნული თვისებების (ფიქსირებული განწყობების) ფანტაზიის ხატებში რეალიზაციის ანალიზს. იგულისხმება, რომ შემოქმედი თავის ნაწარმოებში აყენებს ისეთ პრობლემებს რომლებიც ყველაზე ინტიმური და ცენტრალური ღირებულებისაა (4). თემის ფსიქოლოგიური გაგება არ ეწინააღმდეგება ლიტერატურისმცოდნეობაში არსებულ მნიშვნელობას, რომლის მიხედვითაც თემა არის ლიტერატურული ნაწარმოების ძირითადი აზრი, ძირითადი პრობლემა, დაყენებული ავტორის მიერ; თემა არის იდეა, რომელიც დაიბადა ავტორის გამოცდილების შედეგად, იგი ნაკარნახევია ცხოვრებით, ჯერ კიდევ გაუფორმებელი სახით ჩანერგილია მისი შთაბეჭდილებების სიღრმეში და ითხოვს მხატვრულ სახეებში განსახიერებას და შემოქმედში მისი გაფორმებისათვის მოქმედების იმპულსს აღძრავს.

ფსიქოლოგიური ანალიზით გამოყოფილი თემები უნდა ასახავდნენ პიროვნების ხასიათის იმ სამ ძირითად კომპონენტს, რომლებიც ჩვენ ჩავთვალეთ მისი მთლიანი სტრუქტურის მხარეებად (1. „მე"-ს ღირებულებები, ამ ღირებულებების რეალიზაციისათვის აუცილებელი პიროვნული თვისებები, „მე"-ს კონცეფცია; 2. ნებელობის დინამიკა — თვითრეგულაციისა და სოციალური რეგულაციის თავისებურება; 3. ძირითადი თვისებების ინტეგრაცია.

მოვიყვანოთ ამ მეთოდის გამოყენების ნიმუში: „ვეფხისტყაოსნის“ გმირის ავთანდილის, როგორც მოდალური პიროვნების, შესწავლის მიზნით, გარჩეული იყო პოემის ყველა სტროფი, რომელიც ეხება მის ქცევასა და განცდებს. ამგვარი ანალიზის შედეგად გამოიყო შემდეგი თემები: 1. ავთანდილის დამოკიდებულება მეფისა და მისი კარისადმი, 2. მეტაფიზიკურისადმი — აბსოლუტისადმი დამოკიდებულება, 3. ქვეშევრდომებისადმი დამოკიდებულება, 4. ქალისადმი დამოკიდებულება (მიჯნურობა-სიძვა), 5. აფილაცია (სხვა ადამიანებისადმი დამოკიდებულება — მეგობრობა და სხვ.), 6. ღირებულებები, როგორც ქცევის მოტივები (სამშობლო, რელიგია, მეგობარი და სხვ.), 7. საკუთარი თავისადმი დამოკიდებულება — პიროვნების იდეალი და „მე“-ს კონცეფცია (თვითხატი — საკუთარ თავზე წარმოდგენა).

მხატვრული ნაწარმოების ძირითადი თემების მიხედვით მოდალური პიროვნების სტრუქტურისა და მისი ცალკეული კომპონენტების დახასიათების საილუსტრაციოდ მოკლედ მოვიყვანოთ „ვეფხისტყაოსნის“ პერსონაჟის ავთანდილის ხასიათის ერთერთი კომპონენტის — „მე“-ს კონცეფციის ანალიზის შედეგი.

ფილოსოფიაში, აგრეთვე, ფსიქოლოგიაშიც, აღიარებულია, რომ ყოველ ჩვენს საქციელში ასახულია ჩვენი პიროვნების ერთიანობა. ის ნოვლენაც, რომ ჩვენ განვიცდით შინაგან კონფლიქტს „მე“-ს ერთიანობაზე მიუთითებს, შეუძლებელია კონფლიქტის გაგება, თუ არ ვიცით პიროვნების წარსული და მისი ცხოვრების მიზნები. პიროვნების დეზინტეგრაციის შემთხვევაშიც აუცილებელია ვიგულისხმოთ, რომ იგი მთელი თავისი ცხოვრების მანძილზე ხასიათდებოდა როგორც უწყვეტი ერთიანობა; „მე“-ს ერთიანობის განმსაზღვრელი ფაქტორის შესახებ განსხვავებული შეხედულებებია გამოთქმული; განწყობის ფსიქოლოგიური თვალსაზრისით თუ განვიხილავთ ამ საკითხს, მაშინ ავთანდილის პიროვნების ერთიანობის საფუძველს უთუოდ წარმოადგენს მისი ყველაზე ინტიმური, დიდი პიროვნული წონის განწყობები, გათავისებული მაღალი ღირებულებები, რომლებიც წარმოადგენენ მისი ქცევის მოტივაციის საფუძველს, განაპირობებენ მაღალი მიზნებისათვის ბრძოლის მტკიცე ნებულობას. თანამედროვე პერსონალისტურ ფსიქოლოგიაში ხაზგასმულია, რომ პიროვნება, რომელიც ცენტრირებულია გარკვეულ მიზანზე, უფრო მთლიანია, ვიდრე ის, რომელსაც არა აქვს ცხოვრების მაინტეგრირებული მიზნები; რაც უფრო ძნელად მისაღწევია მიზანი, მით უფრო შემოქმედებითია პიროვნება. ადამიანი აღწევს უდიდეს ერთიანობას, როცა იგი თანამიმდევრულია მიზნის მიღწევაში, რაც უფრო ძნელად მისაწვდომია იგი, მით უფრო დიადია პიროვნება. გენიალური შემოქმედი ადამიანების ცხოვრება გვიჩვენებს, რომ პიროვნების არსი მიზნისაკენ სწრაფვაში ჩანს თავს. გოეთეს ფაუსტს რომ დაუჯერებინა მეფისტოფელის რჩევა — თითქოს მან უკვე მიაღწია მიზანს — იპოვა, რასაც ეძებდა (თავისუფალი ადამიანი თავისუფალ სამყაროში), იგი დაკარგავდა ზოგად საკაცობრიო მნიშვნელობას.

პიროვნების „მე“-ს ერთიანობა კარგად ჩანს მის „მე“-ს კონცეფციაში (თვითხატში), რომელიც ცნობიერებაში იჩენს თავს, როგორც თავისთავისადმი დამოკიდებულების (განწყობის) შედეგი. ასეთი განწყობიდან აღმოცენდება საკუთარი პიროვნული თვისებების (უნარების, გრძნობებისა, სოციალური ღირებულებების) ცნობიერება, მისდამი ემოციური და ნებელობითი დამოკიდებულება — რას წარმოადგენს იგი ამჟამად, როგორი უნდა გახდეს იგი მომავალში. პოემაში გვხვდება სტროფები, სადაც ავთანდილი ნათლად ავლენს თავის „მე“-ს კონცეფციას. იგი ფრიდონს, მასთან პირველად შეხვედრის დროს, ეტყვის:

> ისწრაფვი, ვიცი, ამბისა თხრობასა,
> გიამბობ, ვინ ვარ, სით მოვალ, ვინათგან
> ჰლამი ცნობასა,
> ანუ სით ვიცნობ ტარიელს, ანუ რად ვიტყვი
> ძმობასა,
> იგი ძმად მიხმობს, ხმა ხარო, თუცა ძლივ
> ღირს ვარ ყმობასა. (1000).
> მე ვარ ყმა როსტან მეფისა, მოყმე არაბეთს
> ზრდილობით,
> დიდი სპასპეტი, სახელად მიხმობენ
> ავთანდილობით,
> მე დიდებულთა-დიდ გვართა, ზრდილი
> მეფეთა შვილობით,
> საკრძალავე და უკადრი, მყოფი არვისგან
> ცილობით. (1001).

აქ ნათლადაა ნათქვამი ფეოდალურ საზოგადოებაში ავთანდილის პიროვნების სოციალური სტატუსის შესახებ, რომელიც გაზრდილია მეფის კარზე, დიდი სპასპეტია, დიდგვაროვანთა ძეა, მეფის ნაშვილებია, ეს ტაეპები (რაოდენ საეჭვოც არ უნდა იყოს მათი რუსთველურობა) კარგად გამოხატავენ ავთანდილის დადებით დამოკიდებულებას თავისი სოციალურ მდგომარეობისადმი, რომ იგი რიდით, პატივით სახსენებელი და ღირსეული პიროვნებაა. თავის სოციალურ სტატუსზე ასეთი მაღალი წარმოდგენა და ურთიერთობაში ამით ხელმძღვანელობა — ამგვარ კონცეფციასთან დაკავშირებული პიროვნული თვისებების გამოვლენა სრულიად ბუნებრივია და რეალური ფეოდალურ საზოგადოებაში თვითმპყრობელი მეფის სპასპეტისათვის. ეს სტროფები გამოხატავენ პოემის გმირებს შორის ავთანდილის რეპუტაციასაც. თავისთავის ამგვარი დახასიათება სიტუაციის მიხედვითაც ადექვატურია, მან წარუდგინა მეფე ფრიდონს თავისი თავი როგორც ის ნამდვი-

ლად იყო. ამასთან, ამავე სტროფებში ჩართულია ტაეპი, რომელიც ამჟღავნებს მის თავისებურ მორალურ სახესაც, რომელიც წინააღმდეგობაშია მის სიამაყესთან, რომ იგი ძმადნაფიცია ტარიელისა („იგი ძმად მიხმობს, ძმა ხარო, თუცა ძლივ ღირს ვარ ყმობასა"), რომლის ყმობის (აქ ყმობა პირდაპირი მნიშვნელობით შეიძლება იყოს ნახმარი), მონად ყოფნის ღირსიც არა ვარო, აქ ხაზგასმულია, რომ მისი დიდკაცობა, მეფური წარმოშობა, მკრთალია, არარაა იმ დიდი მიზნებისა და მაღალი სულის ადამიანის გვერდით, როგორიცაა ტარიელი. ავთანდილს, თავისი — მე-ს კონცეფცია, რომელიც ეხება მისი პიროვნების ზნეობრივ მხარეს, ღირებულებებს, მათდამი დამოკიდებულებას, ნათლად აქვს გამოთქმული პოემის შემდეგ თავებში: „ავთანდილისაგან შერმადინის საუბარი" და „ანდერძი ავთანდილისა როსტევან მეფის წინაშე, ოდეს გაიპარა". მოვიყვანოთ ის სტროფი, სადაც ავთანდილი თავისთავს ახასიათებს:

„თუ მიჯნური ვარ, ერთი ვხამ ხელი
მიჯნურთა მე რებად;
არა მარტო უნდა გაჭრილი ცრემლისა
სისხლისა ფერებად?
გაჭრა ხელია მიჯნურთა, რად სცალს
თავისა ბერებად!
ასრეა ესე სოფელი, შეხჯერდი ქვლა
შეჯერებად?
(792).
მე იგი ვარ, ვინ სოფელსა არ მოვჭკრეფ
კიტრად ბერად,
ვის სიკვდილი მოყვრისათვის თამაშად და
მიჩანს მღერად;
ჩემსა მზესა დავეთხოვე, გაუშვივარ,
დავდგე მე რად?
მას თუ დავსთმობ, სახლსა ჩემსა ველარ
დავსთმობ ვისსა ვერად?
(794).

ავთანდილს თავისი „მე"-ს შესახებ შემუშავებულ კონცეფციაში ყველაზე მნიშვნელოვნად მიაჩნია, რომ იგი მიჯნურია, ეკუთვნის მიჯნურის იმ კატეგორიას, რომელსაც აქვს „სალმრრო სიახლე", რომ მას გააჩნია შინაგანი მზაობა, როცა ეს აუცილებელია, გაიჭრას ველად და მარტოობაში, მიჯნურობით შეპყრობილმა, განიცადოს უზენაესთან სიახლოვე. მიჯნურს არ სჭირია დიდი კომფორტი, მხლებლები, რაც საჭიროა ბერიკაცისათვის, მან მარტოობაში უნდა განიცადოს მიჯნურობის სევდა და სიხარული, მიჯნურთან შერთვის სიძნელის შემთხვევაში სულიერი ტანჯვა. ამ მხრივ ავთანდილის „მე"-ს ხატის შინაარსი ემთხვევა მიჯნურობის იმ კონცეფციას, რომელიც პოემის დასაწყისში გამოთქვა რუსთაველმა.

ავთანდილი თავისი თავის დახასიათებისას ხაზს უსვამს, რომ იგი არის არა მხოლოდ მიჯნური, რითაც იგი ამაყობს, არამედ უფრო აღჭურვილია სოციალური დამოკიდებულების გამომხატველი სიმპატიის უნარით, რომლის მკვეთრი გამოხატულებაა მეგობრობა; იგი აღვსილია მისწრაფებით, რომელიც ადამიანთა ურთიერთობის უმაღლეს ზნეობრივ დონეზე პიროვნების შინაგანი ძალების და, მთლიანობაში, სოციალური ინტეგრაციის საფუძველია. თუ მიჯნურობა პირადი სისრულისაკენ სწრაფვის გამომხატველია, მეგობრობა სიმპატიის გამოვლენის უმაღლესი ფორმაა, რომელიც ადამიანებს აკავშირებს არა უმთავრესად ჰედონისტური პრინციპით — გრძნობების, მოთხოვნილების აქტივაციის გზით, არამედ მოვალეობის მიხედვით — უმაღლესი ზნეობრივი ცნობიერების, შეიძლება ითქვას, კატეგორიული იმპერატივის საფუძველზე. თავისი „მე"-ს კონცეფციის ამ მხარეს იგი გამოთქვამს შემდეგი ფრაზით: „მე იგი ვარ ვინ სოფელსა არ ამოვჭკრეფ კიტრად ბერად, ვის სიკვდილი მოყვრისათვის თამაშად და მიჩანს მღერად". ასეთი უშუალობით გამოთქმული თვითშეფასება, რომ მეგობრისათვის სიკვდილი მისთვის ლხინია, ამ ქვეყნად უმეგობროდ სიცოცხლე ბებერ კიტრადაც არ უღირს, ემყარება ნებისყოფას — ადამიანის განზრახვად ქცეულ გადაწყვეტილებას, იცხოვროს მაღალი მიზნის — ადამიანობის იდეის, სიყვარულისა და მეგობრობის — ამ ქვეყნად ადამიანთა ურთიერთობაში დამკვიდრების მიღწევისათვის. „მე"-ს შესახებ ეს კონცეფცია და იდეალი დასაბუთებულია პოემის ზემოთ აღნიშნულ თავებში. პოემის ამ ნაწილის, აღნიშნულ ასპექტში, ანალიზი ადასტურებს, რომ ავთანდილს ნათლად აქვს გაცნობიერებული თავის „მე"-ს ხატი, მან იცის რას აკეთებს, რა უნდა გააკეთოს, იცის თავისი პიროვნების მაინტეგრირებელი პრინციპი — ეს პრინციპი იმდენად გათავისებულია, ფიქსირებულ განწყობადაა ქცეული, რომ იგი მისი მთელი სიცოცხლის მანძილზე შეგნებული გადაწყვეტილების, მოვალეობის ნიადაგზე მოქმედების წარმართვის საფუძველია. იგი არაბეთის დიდი სამეფოს სპასპეტია, არაბეთის ერთი ნაწილის მთავარი (თუ მეფე), დიდად აფასებს თავის სოციალურ მდგომარეობას, ეამაყება თავისი სოციალური სტატუსი, სავსეა ენერგიით, სიცოცხლის სიყვარულით, უყვარს ლხინი, დროსტარება, ნადირობა, მეფის ფეოდალთა შორის უპირველესია, თავისი ცხოვრების კრიტიკულ პირობებშიც მას არ ავიწყდება თავისი სამშობლო მხარე, იგი შერმადინს გულისტკივილით აბარებს თავის სამეფოს და ავალებს, როგორ მოექცეს არაბეთის მეფეს და ქვეყნის მტრებს — იზიარებს თავის ეპოქის და დიდი ფეოდალის კონცეფციას სახელმწიფოს მართვისა და საზოგადოებრივი ცხოვრების საკითხებში. ამავე დროს, ანტიკური ფილოსოფიის გავლენით შემუშავებული ქრისტიანული თეოლოგიის, ფილოსოფიის, კერძოდ, არეოპაგისტული შეხედუ-

ლებების, იოანე პეტრიწის ფილოსოფიური შრომების ცოდნისა და გავლენის, მთლიანობაში, საქართველოს მაღალი სულიერი კულტურის ატმოსფეროში. ავთანდილის სახით იბადება ახალი, ქართული რენესანსის სულისკვეთების პიროვნება, ურთიერთობაში იდეალური ადამიანური თვისებების ღრმა სიმპათიის უნარით დაჯილდოებული, მთლიანი, უმაღლეს ზნეობრივ საიდუმლოებას ზიარებული ადამიანი, რომლის მიზანია მიწიერი ცხოვრების „კოსმოლოგიურ კანონებთან" შეთანხმება, „ციური კანონების" — უმაღლესი სიკეთის — ადამიანთა შორის დამკვიდრება. ეს მიზანი სავსებით გაცნობიერებული აქვს ავთანდილს. ავთანდილის პიროვნების მთლიანობას, ამ კონცეფციის საქმედ, რეალობად ქცევის მიზანი განაპირობებს. მისი „მე"-ს კონცეფცია, ობიექტივაციის დონეზე შექმნილი განწყობითაა განპირობებული. უოველივე ეს იმის მაჩვენებელია, რომ ავთანდილი მთლიანად ფლობს თავის თავს, აღვსილია პირადი დამოუკიდებლობის ცნობიერებით, იგი თავისთავის მეუფეა — თვითმართვის ძალის უმაღლესი გამოხატულებაა.

ფეოდალურ გარემოში განცხრომით ცხოვრებას მიჩვეული ფეოდალი მთელი რიგი სუბიექტური და ობიექტური ფაქტორების გავლენით, უნდა იქცეს ბედს მინდობილ, ველად გაჭრილ რაინდად. ასეთ პირობებში იგი მიმართავს თავისი მამოძრავებელი იმპულსების ობიექტივაციას, თავისი მე-ს კონცეფციის, „მე"-ს იდეალის, ცხოვრების საზრისის ფილოსოფიურად გააზრებას, თავისი ცხოვრების ახლებურად, შემოქმედებითად წარმართვის მიზეზების დახასიათებას და საკუთარი ქცევის მიზანშეწონილობის დასაბუთებას, რაც პოეტის გენიალური მხატვრული ქმედითი ძალით ასახულია ავთანდილის ანდერძში მეფისადმი.

ავთანდილის მე-ს კონფეცფია გამოხატავს საკუთარი მიზნების მაღალ ღირებულებაში მძლავრ დარწმუნებულობას, საკუთარი ადამიანური ღირსების პატივისცემას, ოპტიმიზმს. მის პიროვნებაში შეწყობილია ორი საწინააღმდეგო მძლავრად განვითარებული, დომინანტობის და აფილაციის თვისება, რაც განაპირობებს მისი მე-ს კონცეფციის უნიკალობას.

ავთანდილის წარმოდგენა თავისთავზე, მისი „მე"-ს ხატი, მხოლოდ მაშინ შეიძლება განვაზოგადოთ, ე. ი. მივილოთ ქართული ეროვნული ხასიათის ერთერთ მნიშვნელოვან კომპონენტად, თუ მსგავსი სურათი დადასტურდება, არა მხოლოდ პოემის სხვა მთავარ გმირებში, არამედ ძველი და ახალი მწერლობის პერსონაჟებში (ფსიქოლოგიურად ანალოგიურ სიტუაციებში, რომლებიც გაიშალა ავთანდილის შინაგანი სამყარო).

აქ მოყვანილი მაგალითი იმის მაუწყებელია, რომ ქართული ძველი და ახალი კლასიკური მწერლობის შინაარსის თემების გენეტიკურ ასპექტში განხილვის — ქართული ფოლკლორის, მითოლოგიის, მუსიკის, საერთოდ, კულტურის სფეროების შინაარსის, ამავე თვალსაზრისით შესწავლილის, შედეგების, თანამედროვე ადამიანის ხასიათთან შედარების გზით, შესაძლებელია ქართული მოდალური პიროვნების (ეროვნული ხასიათის) სტაბილური ბირთვის დადგენა ამ საკითხებზე, ეთნიკური ფსიქოლოგიის ასპექტში კვლევითი მუშაობა დაწყებულია დ. უზნაძის სახელობის ფსიქოლოგიის ინსტიტუტში. ამ მიმართულებით კვლევაში წარმატების მიღწევა შესაძლებელია მხოლოდ ქართულ ჰუმანისტურ მეცნიერებათა (ეთნიკური ფსიქოლოგია, ისტორია, ეთნოგრაფია, ლიტერატურათმცოდნეობა, ხელოვნებათმცოდნეობა) და შემოქმედ მწერალთა მჭიდრო თანამშრომლობით.

## გამოყენებული ლიტერატურა


1. დ. უზნაძე, ზოგადი ფსიქოლოგია, თბილისი, 1944.

2. ვლ. ნორაკიძე, ხასიათის ფსიქოლოგია, და ხელოვნება, თბილისი, 1964 წ.

3. ე. კასირერი, რა არის ადამიანი? თარგმანი გერმანულიდან ლ. რამიშვილის, თბილისი, 1988 წ.

4. ვლ. ნორაკიძე, პიროვნების ხასიათის კვლევის მეთოდები, თბილისი, 1975 წ. (რუსულად)

5. ა. დუშკოვი, ეთნიკური ფსიქოლოგიის აქტუალური პრობლემები, ფსიქოლოგიური ჟურნალი. 1987 წელი, № 5, მოსკოვი (რუსულად).

6. ა. მინკელსი, დ. დევინსონი, ნაციონალური ხასიათი, „სოციალური ფსიქოლოგიის სახელმძღვანელო", ტ. III, 1968 წ., ტექასის უნივერსიტეტი (ინგლისურად).

7. ა. მაზელი და დ. დევინსონი, კულტურათა შედარებითი კვლევის პერსპექტივები, ნიუ-იორკი, 1967 წ. (ინგლისურად).

8. გ. ოლპორტი, პიროვნების ფსიქოლოგიური ინტერპრეტაცია, 1987 წ., ნიუ-იორკი (ინგლისურად).

9. ა. ჰარდინგი, წინასწარშეგონება და ეთნიკური ურთიერთობანი, „სოციალური ფსიქოლოგიის სახელმძღვანელო", ტ. IV, 1968 წ., ტექასის უნივერსიტეტი (ინგლისურად).

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ალ. ფოცხიშვილი

# საიათნოვა — ლეგენდები და სინამდვილე

საქართველოში რუსეთის მმართველობის დამყარების შემდეგ ერთ-ერთი პირველი მეცნიერი, რომელმაც 1805 წელს ჩვენში იმოგზაურა, იყო წარმოშობით შვედი, პეტერბურგის სამხედრო-სამედიცინო აკადემიადამთავრებული, უფრო გვიან პეტერბურგის აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ქრისტიან ქრისტიანის ძე სტევენი.

იგი იმ დროისათვის ამიერკავკასიის მეაბრეშუმეობის ინსპექტორის თანამდებობაზე მუშაობდა და ამ დარგის მდგომარეობისა და განვითარების პერსპექტივების შესწავლის მიზნით მთელი აღმოსავლეთ საქართველო შემოიარა. მოგზაურობის შთაბეჭდილებებზე აღფრთოვანებული წერილი გამოაქვეყნა 1811 წელს გაზ. „ჩრდილოეთის ფოსტაში".

როგორც ყველა იმდროინდელი ბუნებისმეტყველი, სტევენი მარტო პროფესიული საკითხების შესწავლით არ შემოფარგლულა, დაინტერესდა ქართული ენითა და საქართველოს ისტორიით, ქართველი ხალხის სულიერი კულტურითა და ეთნოგრაფიით. თბილისში მან კორესპონდენტიც გაიჩინა — წარმოშობით ავსტრიელი — კაპიტანი იოსებ გეტიკი.

ეს უკანასკნელი თავის დროზე ერეკლე მეფეს მოუწვევია შვილიშვილების აღმზრდელად. გეტიკს, როგორც გადმოგვცემენ, მონაწილეობა მიუღია კრწანისის ბრძოლებში არტილერისტად და კაპიტნის ჩინიც უბოძებია ერეკლეს მამაცობის გამოჩენისთვის. სტევენი პენსიაზე გასვლის შემდეგ სიმფეროპოლში დასახლდა, სადაც მას 1887 წელს ეწვია თანამემამულე, იმ დროისთვის პეტერბურგის აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, 1844 წლიდან ფინურ-კავკასიური ფილოლოგიის დარგში ორდინარული აკადემიკოსი ანდრიას შეგრენი.

შეგრენი 1885 წელს გამოემგზავრა კავკასიაში აქაური ენების უკეთ შესწავლის მიზნით. როგორც ირკვევა, ქართული მას ჯერ კიდევ პეტერბურგში შეუსწავლია.

სიმფეროპოლში ყოფნის დროს სტევენმა შეგრენს გადასცა მთელი თავისი არქივი, რომელშიაც მრავლად არის საქართველოსთან დაკავშირებული მასალები: ქართლ-კახეთის მაზრების კამერალური აღწერები, ქართული ენის მასალები (რუსული და გერმანული ტრანსკრიპციითა და თარგმანებით); ქართული ფოლკლორის რამდენიმე ნიმუში და საიათნოვას სიმღერების ერთ-ერთი ყველაზე უადრესი და, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, საუკეთესო ვარიანტული ჩანაწერები. გეტიკის ბარათებიდან ირკვევა, რომ ტექსტები ჩაუწერია ვიღაც ახალგაზრდა ქართველ მასწავლებელს, რომელსაც, როგორც ჩანს, გერმანული ენაც სცოდნია (ტექსტებს ახლავს გერმანული პწკარედი).

საიათნოვას სიმღერათაგან ორი მანამდე უცნობი იყო.

ტექსტების გამოქვეყნების საჭიროებამ, რაც ვარიანტების დადგენასაც გულისხმობს, მგოსნის მოღვაწეობასთან მიგვიყვანა. საიათნოვაზე არსებული უზარმაზარი ლიტერატურის ამომწურავად გათვალისწინება თითქმის შეუძლებელია. ეს ლიტერატურა არის სომხურ, აზერბაიჯანულ, ქართულ, რუსულ ენებზე — საკმაო რაოდენობით უცხოურ ენებზეც.

ლ. მელიქსეთ-ბეგის, გ. შაყულაშვილის, ბ. არველაძისა და სხვათა შრომების მეშვეობით სომხურ-აზერბაიჯანულ ლიტერატურას გავეცანით და, როცა ამას ქართულ და რუსულ ენებზე გამოქვეყნებულ შრომებიდან მომდინარე ინფორმაცია დაემატა, აღმოჩნდა:

საიათნოვას ბიოგრაფიისა და მემკვიდრეობის კვლევის საქმეში გამონაგონი ბევრად ჭარბობს სინამდვილეს. რაც დრო გადის, ლეგენდები საოცარი სისწრაფითა და მოცულობით იბადება და ვრცელდება.

აკ. შანიძის იუბილესთან დაკავშირებით გამართულ სამეცნიერო სიმპოზიუმზე მკვლევარი გ. ბახჩინიანი საიათნოვას სიმღერების ენისად-

მი მიძღვნილ მოხსენებაში ახალი ლეგენდების ავტორად მოგვევლინა.

აუცილებელია არა მხოლოდ შეჩერება, არამედ უკან მოხედვა და გადასინჯვა ყველაფერი იმისა, რაც უსაფუძვლოდ და დაუმსახურებლად ითქვა. ასეთ ცდას თითქოს შარშან კიდეც ჰქონდა ადგილი „ლიტერატურული საქართველოს" ფურცლებზე გამოქვეყნებულ სტატიაში „ჭეშმარიტების დასადგენად". ავტორები ალექსანდრე ბარამიძე და ბონდო არველაძე მიუთითებდნენ, რომ: „საუკუნეზე მეტია საიათნოვას ბიოგრაფია და პოეზია კვლევა-ძიების საგანია, მაგრამ დღემდე აშუღის დაბადება-გარდაცვალების ზუსტი თარიღიც ვერ დადგინდა. ამჯერად არ შევეხებით ყველა იმ საკითხს, რაც საიათნოვას ირგვლივ დაგროვდა, ზოგი მათგანის გვერდის ავლა კი არ შეიძლება, რადგან საქმე ეხება საიათნოვას პოეზიის როლის გაზვიადებას ქართული მწერლობის ისტორიაში".

ისინი განიხილავენ აწ განსვენებული მეცნიერის პარუირ სევაკის მოსაზრებებს, მაგრამ არას ამბობენ მსგავსი მოსაზრებების შესახებ, რომლებიც ქართველ მეცნიერებს ეკუთვნით. — ჩვენ უნდა გვიყოს მეცნიერული რაინდობა, ვაღიაროთ საკუთარი შეცდომები. მაშინ გვექნება უფლებამოსილება გავაკრიტიკოთ სხვები.

წინამდებარე სტატიაში რამდენიმე ლეგენდის ფონზე ვცადეთ წარმოგვედგინა ჩვენი დამოკიდებულება საიათნოვასადმი მიძღვნილ სამეცნიერო ლიტერატურის მიმართ.

ლეგენდა პირველი — საიათნოვა მოწამეობრივი სიკვდილით დაეცა ალა-მაჰმად-ხანის შემოსევის დროს, 1795 წელს, თბილისში.

ამ ლეგენდას სათავე საიათნოვას სომხური სიმღერების პირველმა შემკრებმა და გამომცემელმა ექიმმა გ. ახვერდოვმა დაუდო: „როგორც გ. ახვერდოვი წერს, საიათნოვა ბერად შემდგარა ახპატის მონასტერში. საიათნოვამ გაიგო თუ არა ალა-მაჰმად-ხანის საქართველოსთან მიახლოება, მაშინვე შვილები გაახსენდა (მას ჰყავდა ორი ვაჟი და ორი ქალი: მელიქსედეგი, ოჰანა, სარა და მარიამი) და თბილისს მოაშურა. იგი შვილებს მოზდოკში აგზავნის, სადაც ისინი საცხოვრებლად რჩებიან. საიათნოვამ გაისტუმრა თუ არა შვილები, თბილისში შემოიჭრნენ სპარსელები — ახპატის მეტოქის ციხის დიდი ეკლესიის ეზოშიც შევიდა მტერი და ხოცვა-ჟლეტა და ძარცვა დაიწყო. მათ საიათნოვამდეც მიაღწიეს, რომელიც ლოცვად იდგა ეკლესიაში, სპარსელებმა მას გარეთ გამოსვლა და სარწმუნოების გმობა მოსთხოვეს, მაგრამ ბერმა უპასუხა:

„ეკლესიიდან არ გამოვალ,
არ გადაუდგები იესოსო".

სპარსელებმა მახვილით მოკლეს.

ამგვარად, ხალხის ნოქარი სარწმუნოებისთვის მოკლეს, ვითარცა მონა ღვთისა — ეს მოხდა 1795 წელს, სექტემბრის თვეს.

სპარსელების თბილისიდან წასვლის რამდენიმე დღის შემდეგ აიღეს მისი გვამი და დაასაფლავეს ციხის დიდი ეკლესიის ჩრდილოეთ კარიბჭის წინ. საიათნოვას საფლავს თუმცა ქვა არ ადევს, მაგრამ ასე მოგვითხრობენ მისი დასაფლავების დამსწრენი" (1. 47).

მკვლევარი ბონდო არველაძე ასახელებს ავტორებს, რომლებიც იმეორებენ ამ თქმულებას ზოგიერთი გარკვეული შინაარსობრივი ცვლილებით. ესენია — ი. პოლონსკი, ზ. მთაწმინდელი, ს. ქიშმიშევი, პოტტო, ოვ. თუმანიანი, ალ. ხახანაშვილი, ვ. ბრიუსოვი, ი. გრიშაშვილი, პ. სევაკი, ს. არუთინიანი, ვ. ნალბანდიანი და სხვები (1. 47).

ჯერ კიდევ 1980 წელს, გამოკვლევაში „საიათნოვას ვინაობა" სომხეთის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა, პროფ. ლ. მელიქსეთ-ბეგმა სრულიად დამაჯერებლად დაამტკიცა, რომ „ალა-მაჰმად-ხანის მიერ 1795 წელს ტფილისის აოხრების არც ერთ აღმწერელს, არც ქართველს და არც სომეხს, საიათნოვაზე არაფერი აქვს ნათქვამი, ეს ხომ ცნობილი ამბავია, ქართულ წყაროებს რომ თავი დავანებოთ, მხოლოდ სომხურ ენაზე ამის შესახებ დღემდე სულ ცოტა სამი წყარო მაინც არის" (2. 126).

მიუხედავად ამისა, ივ. ენიკოლოპოვი 1968 წელს ჟურნალ „დროშაში" წერდა: „საიათნოვას გარდაცვალების თარიღი დღემდე ზუსტად არ არის დადგენილი, აქაც წლების მანძილზე ბევრი სადაო და საეჭვო მოსაზრება გამოითქვა. ასე, მაგალითად, ცნობილი ქართველი ისტორიკოსი პლატონ იოსელიანი თავის მონოგრაფიაში მეფე გიორგი მეთორმეტის შესახებ აღნიშნავდა, რომ: „გამოჩენილი მოლექსე, ჰაზრთა — მკვეთრთა მექონი" საიათნოვა რომლის „თქმათა დღესაც იგავად იტყვიან ქართველნი", მოკუდა 1801 წელსა" (ავტორი ეყრდნობა თავის მამის — ქართველი მეფეთა კარის მოძღვრის, ეგნატეს ნათქვამს).

„სხვათა შორის — განაგრძობს ე. ენკილოპოვი — როგორც ხალხური გადმოცემის, ისე მწიგნობრული წყაროების მიხედვით, საიათნოვა მოკლეს თბილისში წმინდა გიორგის საყდრის ზღურბლზე. სპარსეთის შაჰის — ალა-მაჰხანმად-ხანის ურდოების შემოსევის დროს.

ოვანეს თუმანიანმა ამ ადგილას 1914 წელს ააგებინა ძეგლი საიათნოვას სახელის უკვდავსაყოფად.

ყველაზე ადრე, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ფართოდ გავრცელებულ გადმოცემას, ცნობები იმაზე, თუ სად, როგორ და რა ვითარებაში მოჰკლეს საიათნოვა — შეკრება და

გამოაქვეყნა დიდი აშუღის ბიოგრაფიის პირველმა მკვლევარმა — ექიმმა იური ახვერდოვმა, რომელმაც 1852 წელს მოსკოვში გამოსცა საიათნოვას სომხური ლექსების კრებული და სათანადო წინასიტყვაობაც დაურთო.

იური ახვერდოვი თბილისის ახლოს მდებარე სოფელ თელეთიდან იყო. 1818 წელს დაბადებულს, თავის სიჭაბუკის წლებში შესაძლებლობა ჰქონდა ბევრი რამ გაეგო საიათნოვას ბედზე თავისი მამისაგან, რომელიც იმ დროისათვის საკმაოდ განათლებული კაცი ყოფილა (ჰქონდა პროპორშჩიკის ჩინი). ამის გარდა, იმავე წლებში მას შეეძლო საამისოდ საჭირო ცნობები შეეკრიბა თბილისის იმ მცხოვრებთა შორის, რომელნიც 1795 წლის საშინელი ტრაგედიის პირადი მომსწრენი იყვნენ. ახვერდოვი აღნიშნავს კიდეც, რომ ყველა ცნობა მან ამ ადამიანებისგან(!) ჩაიწერა.

ამრიგად, ჩვენ საფუძველი გვაქვს ახვერდოვის ცნობებს მეტი ნდობით მოვეპყროთ.

ახვერდოვის ცნობებს მთელი თავისი დეტალებით ადასტურებს გენერალი ს. ქიშმიშევი თავის წიგნში „ნადირ-შაჰის ლაშქრობანი“, სადაც დიდი ადგილი აქვს დათმობილი თბილისის აღებას სპარსეთის ჯარების მიერ 1795 წელს. უაღრესად ავტორიტეტული წყარო „დიდი საბჭოთა ენციკლოპედია“ აღნიშნავს, რომ „საიათნოვა მხეცურად მოკლეს აღა-მაჰმად-ხანის ჯარისკაცებმა თბილისის აღების დროს“ — დაასკვნის ენიკოლოპოვი (8, 6).

როგორც ვხედავთ, ავტორმა ჯერ იყო და, ყოველგვარი მტკიცების გარეშე, განაცხადა, „მწიგნობრული წყაროების მიხედვით საიათნოვა მოკლეს... აღა-მაჰმად-ხანის ურდოების შემოსევის დროსო“, თუმცა, როგორც უკვე ითქვა, არც ერთი „მწიგნობრული წყარო“ მსგავს ფაქტს არ ადასტურებს.

მერე, „დიდი საბჭოთა ენციკლოპედია“ ძირითადად ავტორიტეტად დაგვისახა.

უფრო საინტერესო ენიკოლოპოვის მსჯელობის სხვა მხარეა: მან იცის, რომ ისტორიკოს პ. იოსელიანის ცნობით, საიათნოვა მოკვდა ბუნებრივი სიკვდილით 1801 წელს. ისიც იცის, რომ პ. იოსელიანის მამა, ეგნატე, გიორგი მეთორმეტის კარის მოძღვარი იყო და კრწანისის ტრაგედიის თვითმხილველი (პ. იოსელიანის ცნობები კი საკუთარი მამის მონათხრობს ეყრდნობა). მეორე მხრით, ენიკოლოპოვმა იცის, ი. ახვერდოვი (იგივე გ. ახვერდოვი, ა. ფ.) თელეთელია, დაიბადა 1818 წელს და მას შეეძლო თბილისში ენახა ის ადამიანები, რომლებიც თავად იყვნენ მომსწრენი აღა-მაჰმად-ხანის შემოსევისა. ამიტომ უფრო მეტი ნდობით გ. ახვერდოვის ცნობებს უნდა მოვეპყროთო.

კი მაგრამ, ეგნატეს მონათხრობსაც რომ თავი დავანებოთ, ახვერდოვზე ოთხი წლით უფროსს, თბილისში დაბადებულ და გაზრდილ ისტორიკოს პ. იოსელიანს, გაცილებით მეტი შესაძლებლობა არა ჰქონია აგრეთვე თავისი თვალით ეხილა 1795 წლის უბედურების მომსწრენი და დაედასტურებინა საიათნოვას სიცოცხლის ტრაგიკული ბოლო, ასეთს მართლაც რომ ჰქონდა სინამდვილეში ადგილი?

ახლა ისიც გავსინჯოთ თუ როგორი „დეტალებით ადასტურებს“ ახვერდოვის ცნობას გენერალი ს. ქიშმიშევი და ბარემ ისიც მოვიგონოთ, რომ, ილ. ჭავჭავაძის თქმით, ამ ქიშმიშევმაც „დაგვაზილა ერთი ზალაყინი“ („ქვათა ღაღადი“).

ქიშმიშევი წერს: „პირველი დარტყმა მიიღო სომხურმა ეკლესიამ (1), რომელიც ციხე-სიმაგრის შიგნით მდებარეობდა. შიგ შესვლისას სალდათებს შეეგებათ სახალხო მომღერალი საიათნოვა და ტაძარში თავშეფარებულ მლოცველთა ლიანგი. ვერც ჩონგურის მელოდიურმა მუსიკამ და ტკბილმა სიმღერამ, ვერც ადამიანთა გმინვამ ვერ შეაჩერეს ბარბაროსები. ყველა მლოცველი მოკლული იქნა, ტაძარი შეგინებული და ძვირფასეულობა გატაცებული (4, 276).

როგორც ვხედავთ, ეს ცნობები არათუ „დეტალურად“ არ ემთხვევა ახვერდიანის ლეგენდას, არამედ აქედან საერთოდ არც ჩანს, მოკლეს თუ არა საიათნოვა.

რადგან თხრობის დასაწყისში, დამხვდურთა შორის, ერთი მხრით, დასახელებული იყო სახალხო მომღერალი საიათნოვა, ბოლო, მეორე მხრით, მლოცველი ხალხი, ლოგიკა მოითხოვდა, მლოცველი ხალხის გაწყვეტის გვერდით აგრეთვე ცალკე თქმულიყო საიათნოვას ბედზეც.

ამის გარდა, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ისიც, რომ ქიშმიშევის მიერ აღწერილი საიათნოვა სამოქალაქო პირია, მას ხელში ჩონგური უჭირავს და დამპყრობლებს სიმღერით აბრალებს თავს. ჩვენ კი ვიცით, ამ დროს იგი ბერად იყო შემდგარი ახპატის მონასტერში — აკი ახვერდოვის ვერსიით იგი მომხდურთ ჯვრით ხელში შეეგება, თანაც უთხრა: „ეკლესიიდან არ გამოვალ, არ გავუდგები იესოსო“.

აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ საიათნოვას ქართველ მკვლევართა შორის ეს ლეგენდა ჭეშმარიტად არავის უცვნია. მასში ეჭვი ეპარებოდა ი. გრიშაშვილსაც. აკად. კ. კეკელიძე „ქართული ლიტერატურის ისტორიის“ II ტომის მეორე გამოცემაში კი წერდა: საიათნოვას მოწამებრივი სიკვდილის ამბავი ლეგენდაა, „საიათნოვა გიორგის მეფობაშიც (1798-1800) ცოცხალია. ამ მეფობაში მას ახპატის მონასტერში ხვდება იონა ხელაშვილი. უნდა გარდაცვლილიყო ის ბუნებრივი სიკვდილით 1801 წელს, როგორც პ. იოსელიანი აღნიშნავს“ (5, 680).

რაც შეეხება აკად. ალ. ბარამიძეს, იგი ყო-

ველთვის იმ მოსაზრებაზე იდგა, რომ საიათნოვა გარდაიცვალა ბუნებრივი სიკვდილით 1801 წელს (6, 104; 7, 458).

ძირითადად ამ საკითხს ეძღვნება ბონდო არველაძის ზემოთ ნახსენები წერილი, რომელშიც მართლაც რომ დოკუმენტურადაა დადასტურებული იოანე ბაგრატიონის „კალმასობაში" მოცემული ცნობა იმის თაობაზე, რომ საიათნოვა ჯერ კიდევ 1800 წელს ცოცხალია.

ლეგენდა მეორე — საიათნოვა გლეხი იყო. გლეხთა გაჭირვებული მდგომარეობით შეწუხებული. დაუნდობლად იბრძოდა თავადაზნაურთა ბატონობის წინააღმდეგ, რაც გახდა მიზეზი მისი სასახლიდან გაძევებისა.

ვინც საიათნოვას ქართულ სიმღერებს იცნობს, მისთვის აშკარაა, რომ ამ სიმღერებში საიათნოვას ბიოგრაფიის ერთი პერიოდი მეტად აშკარად და ნათლადაა გადმოცემული: მგოსანი ცხოვრების გარკვეულ მონაკვეთში ერეკლე მეფის საზანდარდასტის ერთ-ერთი უპირველესი წევრია, ლხინისა და მეჯლისის აუცილებელი მონაწილე. მერე კი — სასახლიდან გაგდებული და მოძულებული.

არც ისტორიული წყაროები და არც სიმღერების ტექსტები არავითარ ცნობებს არ გვაწვდიან მომღერლის ცხოვრებაში ასეთი მკვეთრი ცვლილების ნამდვილ მიზეზებზე. ამიტომ ის კი არ არის გასაკვირი, რომ მკვლევარები ამ მიზეზის სათავის ძიების გზაზე ზოგჯერ სრულიად ურთიერთსაწინააღმდეგო მოსაზრებებს გამოსთქვამდნენ, საკვირველი ისაა, რომ ერთი და იგივე მკვლევარი ერთსა და იმავე ნაშრომის ბოლოში გამოთქვამს იმის სრულ ანტითეზას, რაც შრომის დასაწყისში თავგამოდებით ამტკიცა და, პირუკუ.

სტატიაში „საიათნოვა და ერეკლე" (გაზ. „კომუნისტი", 26. X. 1968 წ.) ალ. ბარამიძე წერს: „ქალაქის მდაბიოთა სოციალური წრიდან გამოსულმა საიათნოვამ დიდ წარმატებას მიაღწია. ერეკლემ იგი თავისთან მიიწვია და კარის მგოსნის საპატიო თანამდებობა უბოძა".

იმავე სტატიაში, ცოტა ქვემოთ, ავტორი აცხადებს: „საიათნოვა, როგორც გლეხი, ერთგულებაში ეფიცება მეფეს და თავადების ორგულობის ამბავს აგონებს".

ვფიქრობთ, საკამათო არ უნდა იყოს, რომ „ქალაქელი მდაბიო" სხვაა და „გლეხი" — სხვა.

საიათნოვას სიმღერების კრებულის ბოლოსიტყვაობაში პატივცემული ალ. ბარამიძე კვლავ დაჟინებით იმეორებს დებულებას, რომ მგოსანმა ერეკლეს კარზე ბრწყინვალე კარიერას მიაღწია, მას ეკავა მაღალი საზოგადოებრივი მდგომარეობა, კერძოდ, სასახლის კარის პოეტის თანამდებობა. ასეთ შემთხვევაში, იგულისხმება, საიათნოვა მეფის ოჯახის წევრების, სამეფო კართან დაახლოებულ[illegible]-ში ტრიალებს და მათთან, [illegible] ხორც" არის — სხვანაირად წარმოუდგენელია. ალ. ბარამიძე კი გვეუბნება: „საიათნოვა, როგორც გლეხი ერთგულებაში ეფიცება მეფეს და თავადების ორგულობის ამბავს აგებინებს (მხედველობაში აქვს საზანდრის სიტყვები: „მე გლეხი ვარ, თავადობა არ მინდა, ერთგული ვარ, ორგულობა არ მინდა")... საიათნოვამ დაუზოგავად გააშიშვლა თავადური წრეების სოციალური უკეთურების ბუნება. ამხილა ამ წრეების მოღალატეობა და ორგულობა. სხვაგვარად რომ ვთქვათ, საიათნოვამ პოეტური ხმა აღიმაღლა თავადაზნაურული საზოგადოების რეაქციული ანტისახელმწიფოებრივი მიდრეკილების წინააღმდეგ. თავადაზნაურობის რეაქციულ მიდრეკილებას მან დაუპირისპირა გლეხობის ჯანსაღი ეროვნულ-საზოგადოებრივი მისწრაფებანი (6. 100). უფრო ქვემოთ მეცნიერი განაგრძობს: „საიათნოვა გლეხური მოდგმის პირველი მომღერალია საქართველოში. იგი კარგად გრძნობდა გლეხობის მდგომარეობის უმწეობას, ჩიოდა „არ მყავს მეულლე, არცა მზახალი. მე გლეხი ვარ მიწაზე დასახალი". დიდი აშუღი სრულიადაც არ თაკილობდა თავის სოციალურ წარმოშობას, ერთგვარად თავი მოჰქონდა კიდეც"... „საიათნოვამ დაუმსახურებელი დევნა განიცადა, როგორც საზოგადოების დემოკრატიული ფენის წარმომადგენელმა"... საიათნოვა არ ინდობდა თავადაზნაურული საზოგადოების ავზნიან მოდგმას: „ავ კაცს რაში უნდა გვარიშვილობა? შეავინებენ კაი მამასა". საიათნოვას მძაფრი საბრძოლო განწყობილებანი მისმა საზოგადოებრივმა შეგნებამ შეაპირობა.

აშუღის ერთ სომხურ ლექსში ვკითხულობთ: „ღარიბი და მდიდარიც არსებობს, სხვადასხვაა მათი სუფრა-მაგიდა". საიათნოვა თვითონ, რასაკვირველია, ღარიბთა ბანაკს ეკუთვნოდა. იგი ღარიბთა მძიმე სოციალური ცხოვრების ტვირთს ეზიდებოდა. მგოსანი დიდ თანაგრძნობას უცხადებს თავის კლასობრივ თანამოძმეთ" (6, 106-07).

ესეც ცოტაა, თურმე. საიათნოვა საბრძოლოდ ყოფილა შემართული: საიათნოვას საბრძოლო განწყობილებას, — განაგრძობს ავტორი, — შემთხვევითი გარემოებით ვერ ავხსნით. საფიქრელი ხდება, რომ სახელოვანი აშუღი უნდა გამხდარიყო საკარო დიდკაცური წრეების სოციალური შურის(!) სიძულვილისა და ცილისწამების უდანაშაულო მსხვერპლი. საიათნოვას

ეროვნული ბიბლიოთეკა

თვითმოწმობით იგი იყო „მეფეთაგან მეჯლისში მოწოდებული, თავადებთან პატივცემით შვებული, ალისფერი კაბით გამშვენებული“. ეტყობა მაღალი არისტოკრატიული საზოგადოება პირფერულად ანგარიშს უწევდა სამეფო კარის ნიჭიერ მგოსანს, მაგრამ ეს საზოგადოება ნამდვილად ვერ შეითვისებდა და ვერ შეიწყნარებდა მდაბიოთა მოდგმის პოეტ-მომღერალს, რომელსაც თავისებური სურნელება შემქონდა სასახლის დახუთულ წრეში“ (ხაზი ჩვენია, ა. ფ., გ. 100-01).

ახლა ვიკითხოთ, ვინ შეადგენს სასახლის წრეს? — ერეკლე და მისი ოჯახი: შვილები და მეცნიერი შვილიშვილები — ლევან ერეკლეს-ძე, დავით, იოანე და თეიმურაზ გიორგისძენი და სხვანი და სხვანი.

დავიჯეროთ, რომ ამ „დახუთულ წრეში“ გამაცოცხლებელი სურნელება ერთადერთ კაცს, ქართველთა სამეფო კარის მესიად მოვლენილ საითანოვას შემქონდა?

ალ. ბარამიძე სრულიად სერიოზულად განაგრძობს: საიათნოვა ცხადლივ ახახავდა მე-18 საუკუნის ქართველთა და სომეხთა პროგრესული წრეების პოლიტიკურ გუნება-განწყობილებას, იმათ სახელმწიფოებრივ-პატრიოტულ იდეალებს“ (ხაზი ჩვენია, ა. ფ.) (7. 452).

რადგან მე-18 საუკუნეში ჩვენში არსებული რაიმე „პროგრესული“ წრეები არც ისტორიულად და არც ლიტერატურულად და არც ზეპირი გადმოცემებით დადასტურებული არ არის, უნდა ვივარაუდოთ, რომ ქრისტიანული ღვთაების მსგავსად, სწორედ საიათნოვა შეიცავდა ყველა იპოსტაზს — წრეების სახით მის არსებაში შენივთებულს და არა მარტო სასახლის, არამედ მთელი საქართველოს მასშტაბით ერთადერთ საიმედო ნიშანსვეტს წარმოადგენდა.

სასახლის წრე ხომ დახუთულ გარემოდ წარმოგვიდგინა, ახლა ვნახოთ, რანი იყვნენ მეფის კარის მოხელე თავად-აზნაურები: „საიათნოვა მოურიდებელი ყოფილა ყოყოჩა და ბრიყვი არისტოკრატიული საზოგადოების მიმართ“, — წერს ავტორი და მხედველობაში ჰყავს ცნობილი სახელმწიფო მოღვაწე, დიპლომატი ჭაბუა ორბელიანი და სახელგანთქმული ენციკლოპედისტი-მეცნიერი, ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის ერთი უბრწყინვალესი წარმომადგენელი ანტონ ბაგრატიონი (ანტონ I. კათალიკოსი).

თუმცა მარტო ალ. ბარამიძე არ ფიქრობს ასე: „ირაკლის არა ყველგან და არა ყველაფერში ჰქონდა თავისუფალი მოქმედების საშუალება. იგი გარსშემორტყმული იყო თავნება და გონებაშეზღუდული დიდებულებით[illegible] გაისარიანი (6, 102).

როგორც ვნახეთ, ალ. ბარამიძეს ჩვენი სომეხი კოლეგებისგან ს. გაისანიანი ეხმიანებოდა, რომ საქმე მხოლოდ ამ ორ მეცნიერის მოსაზრებებთან გვქონდეს, იქნებ ყოველივე ამის შესახებ ასე მკაცრად ლაპარაკი არც ღირდა, მაგრამ, სამწუხაროდ, ალ. ბარამიძე და ს. გაისანიანი მარტონი არ არიან.

უფრო შორს მიდის პ. სევაკი: „საიათნოვა თუმცა ხალხის სახელით ლაპარაკობდა, მაგრამ იგი ამით თავს არ იდებდა. იგი იყო ხალხის მსახური, მისი ტკივილისა და იმედის, ტანჯვისა და ოცნების მატარებელი. მისი სიტყვები მიმართული იყო იმათ წინააღმდეგ, ვინც ტანჯავდა და აწამებდა ხალხს.

საიათნოვა თავის თავს ღარიბს, მიუსაფარს უწოდებს და არა იმიტომ, რომ ცხოვრობს მეზობლის სახლში... იგი თავს ღარიბად სთვლის იმ პირობებში, რომელშიც იმყოფებოდა თვითონ საქართველო, კლასობრივი უთანასწორობის პირობებში. იგი თავს ღარიბად თვლიდა განსაკუთრებით მეფის კარზე, სადაც კიდევ უფრო მძაფრად უჭერდა უსამართლობის სალტეები. მე ღარიბი ბულბული ვარ, იმეორებს საიათნოვა და არ შეუძლია არ გაიმეოროს, რადგან ყოველ დღე და ყოველ საათს ხედავს, რომ მისებრი კაცი სრულიად უცხოა ამ გარემოში, გარემოში, სადაც სიმართლეს დღისითაც ვერ იპოვით, თუნდაც სანთლით ეძებოთ, სადაც ყველაფერი ტყუილს მოუცავს“ (9. 58).

როგორც ვხედავთ პარუირ სევაკის აზრები ძალიან ჰგავს ალ. ბარამიძისას; ერეკლეს კარზე მხოლოდ ტყუილი და გაუტანლობაა, ამ გარემოში ერთადერთი სინათლის წყარო საიათნოვაა და ამიტომაცაა, რომ იგი თავს ღარიბად, მიუსაფრად გრძნობს. თუმცა სევაკს არ უნდა დავუკარგოთ სიმართლე, იგი სრულიად კატეგორიულად აცხადებს, რომ საიათნოვა გლეხი (ყმა-გლეხი) არ იყო, რასაც ასე დაჟინებით ამტკიცებს ქართველ მკვლევართა უმრავლესობა.

ჩვენ გავეცანით მკვლევარების — ალ. ბარამიძის, ს. გაისარიანისა და პ. სევაკის მოსაზრებებს და ვნახეთ, რომ ერეკლე მეორის კარი ავსილია უვიცებითა და მატყუარებით, რის გამოც აქ გამეფებულია უსამართლობა და გაუტანლობა, ერთადერთი შუქურვარსკვლავი ამ შეხუთულ გარემოში არის კლასთა ბრძოლის პროპაგანდისტი და დემოკრატიული იდეების მატარებელი საიათნოვა და, რა გასაკვირია, რომ იგი თავს ეულად გრძნობდეს.

მაგრამ, ჩვენი აზრით, საიათნოვას აპოლოგიაში ვერავინ შეედრება: მოვუსმინოთ განსვენებულ კრიტიკოსს ბესო ჟღენტს. „ჩვენ თ-

ვის ძვირფასი და მშობლიურია საიათნოვას დემოკრატიზმი, ჰუმანიზმი და ინტერნაციონალიზმი, რომელთა მეოხებითაც იგი ამაღლდა თავისი ბნელი და პირქუში ეპოქის დონეზე ზევით და სიყვარულით ხელი გაუწოდა ნათელი მომავლის, ხალხთა ძმობის, სიკეთისა და თავისუფლების დიადი იდეალებით გამსჭვალულ ჩვენს თანამედროვეობას" (10, 8).

ამ ციტატიდან რომ საიათნოვა ამოვიღოთ და მის ადგილზე მე-19 საუკუნის რევოლუციურ-დემოკრატიული მოძრაობის რომელიც გნებავთ წარმომადგენელი ჩავსვათ, გარწმუნებთ, არცერთი სიტყვის შეცვლა არ დაგვჭირდება.

თუმცა ჩვენ მაინც ის საიათნოვა გვაინტერესებს, რომელიც სოციალური უსამართლობის წინააღმდეგ იბრძვის. პატივცემულ კრიტიკოსს პასუხი აქაც მზადა აქვს: „ფეოდალური ტირანიისა და აღვირახსნილი ძალმომრეობის ბნელ საუკუნეში უზომოდ ჩაგრული მშრომელი ხალხის წიაღში წარმოშობილი აშუღი დაუფარავად ამაყობდა თავისი გლეხური წარმოშობით: „მე გლეხი ვარ, თავადობა არ მინდა" — ამბობდა იგი და ამით ზურგს აქცევდა, გმობდა, ჰკიცხავდა გაბატონებულ პარაზიტულ სოციალურ ძალებს" (10, 8).

როცა ასეთ სტრიქონებს კითხულობ, ძნელია თავი შეიკავო და ავტორს ეთიკური ნორმების დაცვით ეკამათო, მაგრამ განსვენებული კრიტიკოსის ხსოვნა გვაიძულებს არ გადავცილდეთ საზღვარს და ვიკითხოთ მხოლოდ: რა საბუთი ჰქონდა, როცა ერეკლე მეორის ხანას „ფეოდალური ტირანიისა და აღვირახსნილი ძალმომრეობის ბნელ საუკუნეებს" უწოდებდა? განა ასეთი ყოფისათვის შეიუვარა ეგზომ ნაზად და გულწრფელად ქართველმა ხალხმა ერეკლე II, რომელსაც საალერსოდ და მოსაფერებლად პატარა კახი უწოდა?

თუმცა კიდევ კარგი, რომ ასეთ ჯოჯოხეთში კრიტიკოსმა ქართველი ხალხი მთლად უპატრონოდ არ დააგდო და მას შემწე და ქომაგი მოუვლინა. რასაკვირველია, ეს კაცი საიათნოვა იყო, რომელიც „...ზურგს აქცევდა, ჰგმობდა, ჰკიცხავდა გაბატონებულ პარაზიტულ სოციალურ ძალებს".

მადლობის მეტი რა გვეთქმის, მაგრამ, ახლა ნამდვილ საიათნოვას მოვუსმინოთ და ვნახოთ, რას ფიქრობდა და როგორ იქცეოდა იგი: მართლა ხმალამოღებული ებრძოდა ერეკლეს სასახლის ტირანიას, თუ მას შემდეგ, რაც სასახლიდან დაითხოვეს, ყველაფერს აკეთებდა მეფისთვის ერთგულება დაემტკიცებინა, რათა ამ უკანასკნელს იგი საზანდარ[illegible]რუნებინა?

ბიბლიოთეკა

ლექსში „სამართალი მიყავ" არაჩვეულებრივი სიცხადითაა გადმოცემული სასახლიდან დათხოვნილი საიათნოვას ფიქრები და გულისწადილი:

„სამართალი მიყავ ხელმწიფე ხარო...
მთელი საქართველოს გულისა ხარო...
ზოგიერთი მეუბნება: შენ მაჩა ხარო...
ზოგიც უმატებს: მყრალი ჭა ხარო!
შეგიძლიან, გამიწყრე თუ მახარო!
არ მყავს მეუღლე, არცა მზახალი,
მე გლეხი ვარ, მიწაზე დასახალი!
მეჯლისს ზმა მოუნდა ახალ-ახალი,
ვის წინაც გავაცარე გულის ხახალი,
ყველამ მითხრა: ურგებელი მთა ხარო..
ნათქვამია: ერთხელ მთა მთას ეცემა,
ღვთის ნებაა წყალობისა გაცემა!
შენის ხელით იყოს ჩემი გაცემა...
ნეტა არ გაგეგდე, კარგად გეცემა —
ჩემი სულიერი ღედ-მამა ხარო!
თუ გინდ დამამტვრიონ წიბო-გვერდები —
ცოცხალი თავით ვერ მოგშორდები!
თუ მტკვარი ვერ მომსპობს, ზღვას
ჩავარდები,
საიათნოვავ, ნაღველისთვის მზა ხარო!

აი, ასე ემუდარება საიათნოვა მეფეს და სთხოვს სასახლეში დააბრუნონ. „ოღონდ არ გაგეგდე და კარგად გეცემო" — ეუბნება მას. ბოლო ტაეპი ხომ სასიკვდილოდ განწირული კაცის ვედრებაა და მერე როგორი?! ზუსტად ისე, როგორც უასაკო ყმაწვილი, ონავრობისათვის მკაცრად დასჯილი, ჩამოეკიდება ხოლმე დედას კალთაზე და ცრემლების ღვრით პატიებას სთხოვს (სხვაგან წერს კიდეც: „შენი კალთა ჩემი დასაჭერი იყოს") და ამ სიტყვების ავტორი სასახლის კარის წინააღმდეგ მებრძოლად გამოჰყავთ!

შეცდომა ვის არ მოსდის, მაგრამ ყოველნაირ შეცდომას რაღაც წინამძღვრები აქვს, რაღაცის გამო მოსდით ხოლმე: ან უცოდინარობით, ან გამოუცდელობით, ან ნაკლები პროფესიონალიზმით. ჩვენს ავტორებს ხომ ვერც ერთ ამ ნაკლს ვერ დასწამებთ. ამიტომ აშკარაა, საიათნოვას პიროვნება და მგოსნური ნიჭი, რაც ჩვენმა მეცნიერებმა პოეტობად მონათლეს საგანგებოდაა გაზვიადებული და ელამ სარკეშია დანახული.

მაგრამ, საკითხავია, რატომ?

ვის და რისთვის სჭირდება მე-18 საუკუნეში მცხოვრებ აშუღ-ყარაჩოღელს, მეფის საზანდარდასტის წევრს, კაცს, რომელიც ამ ხელობით თავსაც ირჩენს და ოჯახსაც არჩენს, მეფის ხაზინიდან ფულსა და სარჩოს ღებულობს, თანაც ისეთ პერიოდში, როცა არავითარი ისტორიული პირობები არაა, უცებ ვიღებთ და

კლასთა ბრძოლის და სოციალური რევოლუციის მებაირახტრედ ვხდით? უფრო საკვირველი ისაა, რომ იგი სავსებით მარტოა ამ ბრძოლაში.

გვეუბნებიან საიათნოვა გლეხი იყოო, მაგრამ მის გვერდით ჩვენ დაბალი ფენების ვერც ერთ წარმომადგენელს ვერ ვხედავთ. ჩვენ სავსებით გვწამს, რომ საიათნოვას არავითარი კარიერა არ მიუღია მეფის კარზე, მაგრამ ისიც გვჯერა, რომ თავისი პროფესიის და ნიჭის წყალობით სამეფო კარის მოხელეთა წრეში, ტრიალებდა. და დასაჯერებელია, რომ იგი უცებ გვერდზე გადგა, ხელში საყვირი აიღო და ქვეყანას ამცნო თავადების ბოროტება და მეფის სასახლის კარის „ჯოჯოხეთური ატმოსფერო?!“

საკითხავია, ვის სჭირდება ასეთი ტყუილი და რა მიზანს ემსახურება იგი?

იქნებ საიათნოვას სიმღერები იძლევა ამის საბაბს?

როგორც ვნახეთ, ალ. ბარამიძის აზრით, „საიათნოვას საბრძოლო განწყობილების საფუძველი“ მგოსნის გლეხური წარმოშობა და ისიც იყო, რომ მას გლეხები ერთგულად, ხოლო თავადები ორგულად მიაჩნდა.

ალ. ბარამიძე წერს: „...მოვიგონოთ საიათნოვას სარჩელის ერთი ნაწყვეტი:

ერთგული ვარ, ორგულობა არ მინდა,
მე გლეხი ვარ, თავადობა არ მინდა.

ერთი შეხედვით, ისე გამოდის თითქოს საიათნოვას თავი თავისი გლეხური მდგომარეობით მოჰქონდა და უარს ამბობდა თავადობაზე. რა თქმა უნდა, საქმე ასე არ არის. არა გვგონია მაშინდელ დროში ვინმეს უარი ეთქვა თავადობის მაღალ პატივზე“ (6. 99), და, თითქო აქ არაფერიაო, შვიდიოდე გვერდის შემდეგ ავტორი წერს: — „დიდი აშუღი სრულიადაც არ თაკილობდა თავის სოციალურ წარმოშობას, ერთგვარად თავი მოჰქონდა კიდეც“.

რომელ ერთს დავუჯეროთ, ძნელი გასაგებია?

მაგრამ ამჯერად ჩვენ უფრო სხვა გვაინტერესებს, კერძოდ ზემოთ მოტანილი ორტაეპედის ინტერპრეტაცია:

„თუ კარგად დავუკვირდებით — განაგრძობს ავტორი — დამოწმებულ სტრიქონებს, უთუოდ შევნიშნავთ სიტყვიერი და ფრაზეოლოგიური წყობის თავისებურებას: ე რ თ გ უ ლ ი ვ ა რ, მ ე გ ლ ე ხ ი ვ ა რ: ო რ გ უ ლ ო ბ ა ა რ მ ი ნ დ ა, თ ა ვ ა დ ო ბ ა ა რ მ ი ნ დ ა. ერთგულება აქ გლეხობის ნიშანდობლივ თვისებადაა მიჩნეული, ხოლო ორგულობა თავადობის ბუნებადაა აღიარებული. ამ შეპირისპირებით საიათნოვა ისტორიულ სინამდვილეს გვიდასტურებს და დაუფარავად ამხილებს ცნობილ სოციალურ ბოროტებას“ (6, 100).

საინტერესოა, რას გულისხმობს თვითონ მგოსანი ამ სტრიქონებში და როდისაა იგი დაწერილი?

მკვლევარის მოსაზრებით საიათნოვას სასახლიდან გაძევების, უფრო სწორედ მის წინააღმდეგ თავად-აზნაურთა ამხედრების მთავარი მიზეზი სწორედ ეს სტრიქონები უნდა ყოფილიყო. სინამდვილეში კი სიმღერა სწორედ სასახლიდან გაძევების შემდეგაა დაწერილი.

„დამეხსენი, ავკაცობა არ მინდა,
ქვეყანაზე გამფენობა არ მინდა,
ავი სიტყვის შენთან მბობა, არ მინდა,
ერთგული ვარ, ორგულობა არ მინდა,
მე გლეხი ვარ, თავადობა არ მინდა!
მოდი, სისხლსა ნუ დამიღვრი თასითა,
ნასყიდი ვარ შენის ძვირის ფასითა!
გეახლები ერანელთა წესითა!
შემინახე ატლასითა ხასითა,
შავი კაბა, შავი ქობა, არ მინდა!
„...ჩემი სიტყვა შენი დასაჭერი იყოს,
შენი კალთა ჩემი დასაჭერი იყოს!
ჩემი თავი შენი მიწა-მტვერი იყოს,
შენი ბალი ჩემი ბალის გვერდით იყოს,
შუაში გადაღობა არ მინდა!
გავიდა შენი დრო, საიათნოვა!
რაღა გინდა „ოხო-ხო“, საიათნოვა.
ყველა მეუბნება: ჰო, საიათნოვა!
საით მიხვალ, ჩემკენ მო, საიათნოვა,
შენი პურ-მარილის ძმობა არ მინდა!

სიმღერის ბოლო სტროფის პირველი ტაეპიდან („გავიდა შენი დრო, საიათნოვა!“ აშკარაა, რომ მგოსანი სასახლიდან გაძევებულია, ხოლო ბოლოს წინა სტროფში ჩაქსოვილი აზრის მიხედვით პატრონს შერიგებას სთხოვს და უანგარო სამსახურს პირდება.

ამიტომ, თუნდაც ერთი წუთით დავიჯეროთ, რომ საიათნოვას ყველა თავადი ორგულად მიაჩნდა და თვითონაც თავადობაზე უარს ამბობდა, რაც მას თითქო ასე ხმამაღლა უთქვამს, მკვლევარს საბუთად ვერ გამოადგება, რადგან მგოსანი სასახლიდან მაინც დათხოვნილია და აწი მუშტების ქნევას აზრი არა აქვს.

მთავარი მაინც ისაა, რომ, როგორც არა ერთხელ ითქვა და დოკუმენტურად დაადასტურა ლ. მელიქსეთ-ბეგმა, საიათნოვა გლეხი, მით უფრო, ყმა-გლეხი არ ყოფილა. როცა მგოსანი ამბობს „საიათნოვას გურგენ-ხანის ყმას ამბობენ მართალიაო“, ყმა იგულისხმება იმ მნიშვნელობით, რა მნიშვნელობაც მას სულხან-საბასთან აქვს: „მ ი ს ს ა ლ ა გ შ ი მ ო ს ა ხ ლ ე“. ამას ადასტურებს თეიმურაზ ბაგრატიონის ცნობაც: „საიათნოვა გიორგის საბატონიშვილო ყმა იყოო“, ე. ი. საბატონიშვილო მამულის მოსახლე, თორემ ყმა გლეხი, როდის იყო ქალაქში თავისუფალ ხელოსნობას ეწეოდა, საიათნოვამ კი, როგორც ცნობილია, საქმიანობა ხელოსნობით დაიწყო.

რაც შეეხება ალ. ბარამიძის განცხადებას: „შესაძლებელია ერეკლე მეფემ გამოიხსნა კი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დევაც საიათნოვა ყმობიდან, თუ პირდაპირი მნიშვნელობით გავიგებთ ერეკლესადმი მიმართულ მის ცნობილ სიტყვებს: „ნასყიდი ვარ შენის ძვირის ფასითაო“ — ჩვენი აზრით, უბრალოდ გაუგებრობაა. ერეკლე თავის შვილს გიორგის ხომ არ გადაუხდიდა გამოხსნის საფასურს?

როგორც ვთქვით, ალ. ბარამიძემ თავად განაცხადა, რომ საიათნოვას სიტყვები — თავადობა არ მინდა — პირდაპირ არ უნდა გავიგოთ, თავადობაზე უარს ვინ იტყოდაო.

და თუ მის მიერ შედგენილი ტოლობის ერთი შემადგენელი პირდაპირი მნიშვნელობით არ უნდა გავიგოთ, რატომ არ უნდა გავიგოთ მეორე შემადგენელიც არაპირდაპირი მნიშვნელობით?

ამიტომ, იმის გამო, რომ საიათნოვა გლეხი არ ყოფილა და იმის გამოც, რომ იმ დროს თავადობაზე უარს არავინ იტყოდა, გამოთქმა „მე გლეხი ვარ, თავადობა არ მინდა“, ნიშნავს იმას, რომ „მე პატარა კაცი ვარ, დიდკაცობა არ მინდა, არაფრის პრეტენზიები არა მაქვსო... ხოლო ტაეპი — „ერთგული ვარ, ორგულობა არ მინდაო“, რა თქმა უნდა, პირდაპირი მნიშვნელობით უნდა გავიგოთ. მთელი სიმღერაც ხომ ისეთი შინაარსისაა, რომლითაც მგოსანს თავისი ხელმწიფე ერთგულებაში სურს დაარწმუნოს, რათა იქნებ ამ უკანასკნელმა თანხმობა გამოთქვას მისი სასახლეში დაბრუნებაზე.

სიტყვა „გლეხი“ მგოსანს სხვაგანაც აქვს ნახმარი: „არ მყავს მეუღლე, არცა მზახალი, მე გლეხი ვარ მიწაზე დასახალი“, რაც, აგრეთვე, იმის დასტურად მიაჩნიათ, რომ მგოსანი გლეხთა წოდების წარმომადგენელი იყო.

რა თქმა უნდა, „გლეხში“ აქაც ნამდვილი გლეხი არ იგულისხმება:

აშუღი ჩივის, რომ იგი უბედურია, საცოდავია, არც მეუღლე ჰყავს და არც მზახალი; გაჭირვებული კაცია, რომელსაც მიწაზე დაანარცხებენ, თუ მოინდომებენ. სხვანაირად წარმოუდგენელია, რას უნდა ნიშნავდეს... „მე გლეხი ვარ, მიწაზე დასახალიო“. განა „მიწაზე დახლა“, მიწასთან კავშირი, მიწასთან ერთიანობა დასაძრახი და გასაკილავი იქნებოდა? მთელი სიცოცხლე ყმა-გლეხი ხომ სწორედ მიწაზე დახლისა და გოჯი მიწის ქონებაზე ოცნებობდა?

ისიც საგულისხმოა, როგორ კონტექსტშია ნახმარი „მიწაზე დასახალი გლეხობა“ — მეუღლისა და მზახლის უყოლობის გვერდით, ე. ი. საერთო უბედობისა და მიუსაფარობის გვერდით. თორემ, თუ აქ ნახმარ „გლეხში“ ნამდვილ გლეხს ვიგულისხმებთ, ლოგიკურია, ისიც ვიგულისხმოთ, რომ არც ერთ გლეხს არა ჰყავს მეუღლე და არცა მზახალი.

ერთი სიტყვით, სამ ათეულზე მეტი სიმღერის ტექსტიდან ორად ორი ამოგლეჯილი ტაეპის ცალკეულად პირდაპირი მნიშვნელობით გაგების შემდეგ ვადგენთ, რომ ქალაქელი აშუღი-ყარაჩოღელი გლეხი იყო და გლეხთა განთავისუფლებისათვის იბრძოდა, რაც მიუტევებელი შეცდომაა.

საიათნოვა არც გლეხი იყო და არც გლეხთა განთავისუფლებისათვის მებრძოლი. იგი, რა თქმა უნდა, როგორც ყველა თვალხილული ადამიანი, ხედავდა იმ ქვეყანაზე მდიდრები და ღარიბები რომ იყვნენ, მაგრამ სოციალური უსამართლობისა და, მით უფრო, ამ უსამართლობის წინააღმდეგ ბრძოლის არც მომწოდებელი ყოფილა და არც პრაქტიკულად წამომწყები.

საიათნოვა, მართალია, დაბალი წრის წარმომადგენელი იყო, მაგრამ ცხოვრების ასპარეზზე გამოსვლა ხელოსნობით დაიწყო და ეს ხელობა მას დაჩაგრულ-დამჩაგვრელ კლასებად დაყოფილი საზოგადოებიდან თითქოს გამოაცალკევებდა კიდეც: ხელოსნები ერთნაირად სჭირდებოდათ მდიდრებსაც და ღარიბებსაც. ხოლო, რაც შეეხება მის მოღვაწეობას მეფის კარის საზანდარდასტაში, იგი აქაც თითქო კლასთა ინტერესების გარეთ მდგომი უნდა ყოფილიყო. მას შემდეგ კი, რაც შეამჩნიეს და ხშირად დაჰყავდათ ლხინსა და მეჯლისებში, საიათნოვა მდიდართა კლასს უფრო უკავშირდება — თავადაც აღნიშნავს ამას. უფრო მეტიც, პროფესიონალი საზანდარი განსაკუთრებით იმ დროს აუცილებლობით გულისხმობდა მდიდართა არსებობას. სწორედ მდიდრების მაგიდას ესაჭიროებოდა საგანგებოდ დაქირავებული მემუსიკე-მომღერალი, რომელიც მათი ან მუდმივად მოსამსახურე იყო, ან მხოლოდ იმ კონკრეტული ქეიფის დასამშვენებლად წაყვანილი.

გლეხთა ანუ უმდაბლესი წრის წარმომადგენელთა მაგიდები, დარწმუნებული უნდა ვიყოთ, პროფესიონალ საზანდარებს არც ითხოვდა და ვერც ეღირსებოდა. ეს შესანიშნავად აქვს გადმოცემული გრ. ორბელიანს ლექსში „მუშა ბოქულაძე“, რომელშიც ნათქვამია:

> ...ბალით მესმის ჭიანურის, ლხენის ხმა,
> საიათნოვას გულ-დამწველი სიტყვები.
> გულით მინდა მეც აქედან ხმა ვიჰსცე,
> მაგრამ მრცხვენის: მე მათი რა ტოლი ვარ.

ღიახ, იქ, სადაც საიათნოვა, თუ საიათნოვას ამქრის წევრი მღეროდა, დაბალი წრის წარმომადგენელს არაფერი ესაქმებოდა. ეს კარგად იცის გ. ორბელიანის მუშამ (ანუ საიათნოვას დროინდელმა გლეხმა), ჩვენ კი საზანდარი ამ უკანასკნელთა, ე. ი. დაჩაგრულთა გამათავისუფლებელ ჭვარცმულად დაგვისახავს — სრულიად უსაფუძვლოდ და ისტორიული სინამდვილის საწინააღმდეგოდ.

ახლა რამდენიმე სიტყვა გ. ბახჩინიანის მოსაზრებებზეც გვინდა ვთქვათ და საკითხის არსში უკეთ გარკვევის მიზნით მოვიტანთ მისი მოხსენების ანოტაციის სრულ თარგმანს:

„საიათნოვას ქართული სიმღერების ენა".

ცხოვრობდა რა საქართველოს დედაქალაქ ტფილისში, საიათნოვამ ჯერ კიდევ ბავშვობიდან იცოდა ქართული, რომელსაც იყენებდა, როგორც მეორე მშობლიურს. საიათნოვას საგანგებო სასკოლო განათლება არ მიუღია. იგი პრაქტიკულად ფლობდა თავისდროინდელ ცოცხალ სამეტყველო ენას, რომელზედაც შექმნა რამდენიმე ათეული მაღალმხატვრული სიმღერა.

საიათნოვამ, ქართულ სინამდვილეში პირველმა, დაწერა ქართულად აშუღური სიმღერები, მან პირველმა გახადა ლირიკა ფართო მასების საკუთრებად.

იყო რა დიდი პოეტური ინდივიდუალობის მქონე მგოსანი, საიათნოვამ სასაუბრო ქართული ენა გადაამუშავა და შექმნა გამორჩეული, განსაკუთრებული სალიტერატურო ქართული. ამ უკანასკნელის თავისებურება შესამჩნევია უპირველესად ყოვლისა ლექსიკის დონეზე, სადაც გვხვდება აღმოსავლური ენებიდან რიგი ნასესხობანი.

გამოხატავდა რა ღრმა გრძნობებსა და მაღალ იდეებს, საიათნოვამ შესძლო, ჩვეულებრივი სიტყვებისა და გამოთქმებისათვის მიეცა დიდი ტევადობა, მომხიბვლელობა და ზემოქმედების ძალა. თავისი სიმღერების ენა მან გაპოხა და გაამდიდრა ხალხური სიტყვებითა და გამოთქმებით, რითაც ხელი შეუწყო ქართული ნაციონალურ-დემოკრატიული პოეზიის განვითარებას".

საქმეში ჩაუხედავი კაცისათვის ანოტაციის ბევრი დებულება გამოიწვევს გაკვირვებას და გამოიწვია კიდეც. მეორე და მესამე აბზაცის გამო კითხულობდა სწორედ აპ. სილაგაძე: „ჩვენ არ მოვიტანთ და არ განვიხილავთ სხვა თეზისებს. დავსვამთ მხოლოდ რამდენსამე კითხვას: რამდენად კორექტურულია მოცემული გამონათქვამები ისტორიულ ლიტერატურული პოზიციებიდან? შეესაბამება თუ არა ასეთი დებულებების ჩამოყალიბება (ან დებულების ასე ჩამოყალიბება) ლინგვისტიკისა და ლიტერატურათმცოდნეობის მეცნიერულ დონეს? შეიძლება თუ არა საიათნოვასათვის ისეთი მისიის მიწერა, რომელზედაც არც უფიქრია დიდ აშუღს?" („ლიტ. საქართ." 1987, III, 20).

ვინც საიათნოვას შესახებ არსებულ სამეცნიერო ლიტერატურას კარგად არ იცნობს, ანოტაციაში წარმოდგენილი სადავო დებულებების ავტორობა და დაცვა შეიძლება მხოლოდ გ. ბახჩინიანს მიაწერონ, თუმცა, როგორც ვნახეთ, მათი უმეტესობა დაწერილია და არა [illegible] გამეორებულა სწორედ ქართველი მეცნიერების მიერ და ამიტომ კითხვები, რომლებიც აპ. სილაგაძემ დასვა, თანაბარწილად შეეხება ქართველ მეცნიერებსაც და ანოტაციის ავტორსაც, რომელმაც მთელი ანოტაცია დაუსაბუთებელ დებულებებზეააგო:

1. „საიათნოვასათვის ქართული იყო მეორე მშობლიური ენა".

ანოტაციის ეს დებულება ი. გრიშაშვილიდან იღებს სათავეს. აი რას წერს იგი: „თბილისელი — კინტო იქნება იგი თუ აშუღი, ბაყალი თუ სოვდაგარი, — არ ეკუთვნის რომელსამე ტომს: მას დედა სომეხი ჰყავს, მამა კი ქართველი, ხანდახან, პირიქით, ზოგის მოდგმა არაბისტანიდან არის გადმოსული (აქ ალბათ საიათნოვა იგულისხმება, ა. ფ.), ზოგის დიდი პაპა მამმადიანი ყოფილა და სხვა. ერთი სიტყვით, თბილელი ყარაჩოღელი ნამდვილი თბილისელია, რომელშიაც ყველა ერის სისხლი შერეულა და ვერ დაარწმუნებ, რომ ის გრიგორიანელია, ან მართლმადიდებელი და სხვ. ის ყველაფერია (ინტერნაციონალი), მაგრამ ამასთანავე უნდა გვახსოვდეს, რომ თბილელი მცოვარები, რომელიც თბილისშია შექმნილი და „ქიპმოჭრილი", უმთავრესად ქართველია ცხოვრებით, ენით, სულით, ვულითა და ტრადიციებით" (11, 90, ხაზი ჩვენია — ა. ფ.).

ამ ციტატაში იმდენი წინააღმდეგობა და დაუსაბუთებელი აზრია (სხვათა შორის, როგორც ავტორის ორსავე ნაშრომში — „საიათნოვასა" და „ძველი თბილისის ლიტერატურულ ბოჰემაში"), რომ მათი განხილვა-კრიტიკა ძალიან შორს წაგვიყვანდა, ვიტყვი მხოლოდ იმას, რომ ამ მცდარმა აზრმა საფუძველი დაუდო შემდგომში ჩვენში ასე ფეხმოკიდებულ მოსაზრებას, რომლის მიხედვითაც საიათნოვა გამოცხადებულია ქართველ მწერლად, ერეკლეს კარის პოეტად, და რომელმაც, როგორც ზემოთ ვნახეთ, „ქართველი თავადაზნაურობის რეაქციულ მიდრეკილებას დაუპირისპირა გლეხობის ჯანსაღი ეროვნულ-საზოგადოებრივი მისწრაფებანი".

ი. გრიშაშვილი „საიათნოვაში" ჩამოთვლის თბილისელ აშუღებს ასეთი თანმიმდევრობით: „სტეფანოსი, დოსტი, საიათნოვა, ყალოანთ ბალდასარა, თუჯაი, შამჩიმელიქო, ლეონ, თურინჯ, იქსუზ-ოღლან, ქეშიშნოვა, გურჯი-ოღლი, ქობაჩი, ჯამილ-ოღლან, ნურალი, ნარინჯ-ოღლან, ჩახმახჩი-იალუბ, სეფილ-ოღლან, ნალბანდოღლან, ყარიბ-ოღლან, ქიჩიკნოვა, იალლუზ, ჭონ-ოღლან, არუთინ-ბეგუმ, ალავვერდა, ლაზათ-ოღლანი, მისკინ-ბურჯი. იალუფ-

ოლლი, არაზლუ-სარქის, ადამ-აზმარ, გურჯინაკე, ნარგიზ, ქობაჩი-ოღლან, ბანგი, შირინ, ნირან, ალვან-ოღლან, სეით, ყაზაზ-ოღლან, დალაქმურადა, ოპანეზა, ქინაქინა, აკოფა, ქიმია".

დავუშვათ, რომ ესენი დედით ან მამით ქართველები იყვნენ (თუმცა ასეთი დაშვება სრულიად შეუძლებელია), რა ვუყოთ თვითონ საიათნოვას, რომლის შესახებაც ნამდვილად ვიცით, რომ იგი არც დედით, არც მამით ქართველი არ ყოფილა. შეიძლება ვირწმუნოთ, რომ სომეხი დედისა და მამის შვილი, სომხურ უბანში, ავლაბარში, გაზრდილი საიათნოვა „სულით, გულით და ენით ქართველი იყო?" — ეს ხომ სინამდვილის თავდაყირა დაყენება იქნება და არის?

უნდა ვირწმუნოთ, რომ ნიჭიერი მომღერალი და ვირტუოზი საზანდარი სალაპარაკო ქართულს ფლობდა. მაგრამ იგი მისთვის არ იყო „მეორე მშობლიური" ენა, თუნდაც იმიტომ, რომ „მეორე მშობლიური" ენა ისევე არ არსებობს, როგორც არ არსებობს მეორე მშობელი. თანაც აქვე უნდა დავსძინოთ, ეს სალაპარაკო ქართული იყო არა მე-18 საუკუნის თბილისელ ქართველთა სასაუბრო ენა, არამედ იგი იყო თბილისელ არაქართველთა ქართული ენა, ენა იმ ვაჭარ-ხელოსანთა, რომლებიც თბილისში ცხოვრობდნენ და, ამდენად, ყოველდღიური ურთიერთობა ჰქონდათ ქართველებთან. ეს იყო, როგორც მას სავსებით სამართლიანად უწოდა ვახტანგ ორბელიანმა: „კინტოს ენა, ენა შეუბაზრისა", რომელიც სავსე იყო არაბულ-სპარსულ-თურქულ-სომხური სიტყვებითა და გამოთქმებით. ამიტომაცაა, რომ საიათნოვას სიმღერების ენა ჩვენთვის ბევრისაგან ბევრ შემთხვევაში სრულიად გაუგებარია, ან აშკარად ჩანს, რომ ქართველი კაცის ნათქვამი არაა.

აი, მაგალითები „ფეხლის ფანჯის ოინბაზებიანო", „მარდი მოკლა და ნამარდი გახწიო", „ლეილუმის ქამანჩისა დოულ-ყავალისთვინა", „მარანისა ტუმბო სავსე უდენოთაც არ იქნება" (ალბათ, დამერწმუნებით, ელექტროდენზე არაა ლაპარაკი); „ტურფა ტანი ლერწამს გიგავს, მორთულხარ ქირმან შალშია; კბილები მარგალიტში გაქვს, ინდის პილპილი ხალშია, ფალევანთა მომრევი ხარ, ნაქები როსტომ-ზალშია..." ამ სიმღერას ჩვენი მკვლევარები ერეკლესადმი მიძღვნილ ხოტბად მიიჩნევენ და არად დაგიდევენ იმ შედარებებს, რომლის მიხედვითაც ერეკლეს თურმე „კბილები მარგალიტში" ჰქონია და „ინდის პილპილი ხალშია".

როგორც ვხედავთ, არც ერთი ეს შედარება და მეტაფორა ქართული არაა და აშკარაა მისი ავტორი ქართულად არ აზროვნებს, რაც აუცილებელი იყო, თუ საიათნოვასათვის ქართული ენა „მეორე მშობლიური" იქნებოდა.

ანდა ეს სტროფი:

„კოკობი ძუძუთ გაზრდილო, ცურისგან
ლამაზი ხარ,
სითეთრით ვერვინ გაჯობებს, ჰურისაგან
ლამაზი ხარ,
შავი შირაზის, შამახის, სურისაგან ლამაზი
ხარ"...

თავი დავანებოთ იმ სიტყვებს, რომლებიც სრულიად გაუგებარია, ვიკითხოთ: ქართველი კაცი, რომლისთვისაც ქართული მშობლიურია, იტყოდა: „ცურისაგან ლამაზი ხარო, ან „ჰურისაგან ლამაზი ხარო" (რაც საერთოდ გაუგებარია). ეს გამოთქმები ხომ (როგორც ეს არმენოლოგმა მ. რაფავამ დაამტკიცა) სომხურიდანაა კალკირებული და, ესეც რომ არ იყოს, ქართულად მოაზროვნე პოეტი ვინმეს ეტყვის „ცურზე ლამაზი ხარო"?

რა თქმა უნდა, მაგალითის მოტანა კიდევ შეიძლებოდა, მაგრამ, ვფიქრობ, ესეც კმარა იმის დასამტკიცებლად, რომ საიანთოვას „ქართული" ქართულია არაქართველთა, რომლითაც ეს ენა სჭირდებოდათ ქუჩებსა და ბაზრებში ქართველებთან ურთიერთობისას.

2. არც ისაა სწორი, თითქოს: „საიათნოვამ ქართულ სინამდვილეში პირველმა დაწერა ქართული აშუღური სიმღერები, თუმცა ამასვე წერს ალ. ბარამიძეც: „ქართული ლიტერატურის ისტორიაში საიათნოვას უჭირავს დიდად საპატიო ადგილი. იგი მამამთავარია, ამავე დროს სწორუპოვარი წარმომადგენელია აშუღური პოეზიისა".

ქართული აშუღური პოეზია არ არსებობს. არსებობს თბილისელ არაქართველ მოქალაქეთა ქართულენოვანი აშუღური სიმღერები. ამ სიმღერების არც ჰანგი, არც იდეა, ფორმა და, რაც მთავარია, სული ქართული არაა.

8. „საიათნოვამ პირველმა გახადა ლირიკა, ფართე მასების საკუთრებად" (დოსტოიანიემ შიროკიხ მას), ნათქვამია ანოტაციაში და სრულიად გაუგებარია, რისი თქმა გვსურს, ვინაა ეს „ფართე მასები", თუმცა აქაც ჩვენა ვართ ყოველივეს სათავე. აი, რას წერს ლ. მენაბდე: „ხალხის წიაღიდან გამოსულმა მგოსანმა ქართული პოეზია მეფედიდებულთა სასახლიდან გამოიყვანა და უშუალოდ ხალხს დაუკავშირა", ე. ი. თურმე ხალხისთვის დაუკავშირებია არა მხოლოდ ლირიკა, არამედ მთელი ქართული პოეზია. როგორ?, რანაირად? — ძნელი სათქმელია, რადგან თუ საიათნოვას ყველაზე დიდ აპოლოგეტ გრ. ორ-

ბელიანს დავუჯერებთ, საიათნოვა არ ყოფილა „ხალხის“ მომღერალი, თუ „ხალხში“ დაბალ ფენებს ვიგულისხმებთ, ხოლო თუ „ხალხში“ მთელი ქართველობა იგულისხმება, შეიძლება, საიათნოვას ასეთი მისია დავაკისროთ?

4. უფრო დიდი მისია ეკისრება საიათნოვას იმ დებულების თანახმად, რომლის მიხედვითაც მან: ხელი შეუწყო ქართული ნაციონალური დემოკრატიული პოეზიის განვითარებას“, თუმცა პირველობის გვირგვინს ამ შემთხვევაშიც ვერ დავთმობთ. როგორც ზემოთაც ვნახეთ, ალ. ბარამიძე წერს: „თავადაზნაურობის რეაქციულ მიდრეკილებას (მან) დაუპირისპირა გლეხობის ჯანსაღი ეროვნულ-საზოგადოებრივი მისწრაფებანი“, ხოლო ბ. ჟღენტის აზრით: „ჩვენთვის ძვირფასია და მშობლიურია საიათნოვას დემოკრატიზმი, ჰუმანიზმი და ინტერნაციონალიზმი, რომელთა მეოხებითაც იგი ამაღლდა თავისი ბნელი და პირქუში ეპოქის დონეზე ზევით და სიყვარულით ხელი გაუწოდა ნათელ მომავალს, ხალხთა ძმობის, სიკეთისა და თავისუფლების დიადი იდეებით გამსჭვალულ ჩვენს თანამედროვეობას“.

ყოველივე ამას საიათნოვას ერთი სიმღერის გ. ჭიბლაძისეულ შეფასებას დავუმატებთ: „სიყვარულში უფრო შორს წასვლა, მგონი, ძნელია, მარტოოდენ გენიოსები თუ მოახერხებენ მსგავსად რუსთაველისა, დანტე ალიგიერისა, პეტრარკასი, ნიზამი განჯელისა ან კიდევ განთქმული ალექსანდრიელი პოეტების სატრფიალო ლირიკისა“ (12-104).

ხომ არ დადგა დრო, ახლებური (რაც რეალურს, ნამდვილს, მეცნიერულს ნიშნავს) აზროვნება ლიტერატურათმცოდნეობაშიც დავამკვიდროთ?

საიათნოვა დიდი სომეხი აშუღია. მან დიდი როლი ითამაშა სომხური ლიტერატურის განვითარებაში. ამის დასამტკიცებლად მარტო იმ ფაქტის დასახელება იკმარებდა, რომ საიათნოვამ ჩაუყარა საფუძველი ახალ სომხურ-სალიტერატურო ენას — აშხარაბარს და სწორედ საიათნოვასაგან იწყება ამ ენის გამოყენება სალიტერატურო ენად. ეს ენა წინააღმდეგ მანამდე ხმარებული ძველი სომხურის (გრაბარისა), რომელსაც საგანგებო შესწ[illegible]ოდა, ემყარებოდა სასაუბრო, ს[illegible]ს. ვფიქრობთ, ამის ანალოგიითა ანოტაციაში ნათქვამი, თითქოს საიათნოვამ სასაუბრო ქართული გადააქცია განსაკუთრებულ სალიტერატურო ქართულად, ე. ი. ის, რაც სომხურისთვის, გააქეთა მექანიკურად გადმოტანილია ქართულზე.

სწორია ისიც, რომ საიათნოვას თბილისელ არაქართველ მომღერლებს შორის ბევრი მიმდევარი და ეპიგონი ჰყავდა, რომლებიც მე-19 საუკუნისათვის ვაჭრობა-ხელოსნობასთან ერთად ორთაჭალის ბაღების მოქეიფეთა დამკვრელ-შემაქცევარნი იყვნენ. იმ ბაღებისა, რომლის ხშირი სტუმარი იყო ოჯახურ სითბოს მოკლებული გრ. ორბელიანი და, რომლებთანაც უფრო გვიან მეგობრობდა მათსავე უბანში დაბადებული და გაზრდილი ი. გრიშაშვილი.

მაგრამ ისიც აშკარაა, რომ მთელი ეს თბილელ არაქართველთა ქართულენოვანი მუსიკალური ფოლკლორი არც გაგრძელება იყო მრავალსაუკუნოვანი უმდიდრესი ქართული ლიტერატურის ტრადიციებისა და არც მის გაგრძელებას (ათასი ჯურის დამკვრელ-საზანდრებს, რომელთა სიმღერების ტექსტები წიგნაკებადაც კი გამოდიოდა მე-19 საუკუნის ბოლოსა და მე-20 საუკუნის დასაწყისში თბილისში) მოუხდენია იოტის ოდენა გავლენა ქართული ლიტერატურის განვითარებაზე, რომელმაც მე-20 საუკუნის ბუმბერაზი გალაკტიონი შვა — სრული ანტიპოდი ყოველგვარი აშუღურისა — აკი თვითონაც ამბობს: „...ასე რეკავს საზანდარი, უქმი შემაქცევარი... რომ ისმოდეს საიათნოვას დაყანგული ჰანგები“.

ერთი სიტყვით, ე. წ. ქართული აშუღური პოეზია, სხვა არა იყო რა, თუ არა თბილისელ არაქართველ მოქალაქეთა ქართულენოვანი მუსიკალური ფოლკლორი. ამიტომ იგი ქართული ლიტერატურის შემადგენელ ნაწილად ვერ ჩაითვლება; რაც შეეხება თვად საიათნოვას, რომელიც ქართულს გარდა, და ძირითადად, აზერბაიჯანულ, სომხურ და სპარსულ ენებზეც მღეროდა, წარმოშობით თბილისელი იყო, ოღონდ არც მისი სიმღერის ჰანგები, არც მოტივი და იდეა სიმღერისა ქართული არ ყოფილა.

# მოგონებები, ფაქტები

ელექტრონული ბიბლიოთეკა

ლეო გაბუნია

## ელენე ბებია

### უცნობი მუსიკოსი

შარშან ჩვენი სასიქადულო მხატვრის ელენე ახვლედიანის ხსოვნისადმი მიძღვნილ მუსიკალურ საღამოზე ცნობილმა თეატრალურმა მოღვაწემ ნათელა ურუშაძემ მომმართა თხოვნით, ორიოდე სიტყვა მუსიკაზე მეც მეთქვა. მიესიყვარულეთ მუსიკასო, მირჩია მან. სიყვარულის ახსნა, ისიც საჯაროდ, არ არის იოლი საქმე. მაშინ თავი შევიკავე ესტრადაზე გამოსვლისაგან, მაგრამ მოგონებებს ველარ გავექეცი და, ბოლოს, გადავწყვიტე მკითხველისათვის მაინც მომეთხრო ერთი ძველი ამბავი, რომელიც, სხვათა შორის, ელენე ახვლედიანის სახელთან არის დაკავშირებული, მხოლოდ სხვა ელენესი და სხვა ახვლედიანისა.

ომი ახალი დამთავრებული იყო. ჩვენი ქვეყანა ის-ის იყო იწყებდა მძიმე ჭრილობების მოშუშებას. ამ დროს მე, პირველი კურსის ასპირანტი, მიმავლინეს ყაზახეთში, სირ-დარიის აუზის გვიანი მესამეული ნალექების ფაუნის გასაცნობად. მაგრამ ჩემს გამგზავრებას სხვა მიზანიც ჰქონდა: იმხანად იქ იმყოფებოდა უკვე ღრმად მოხუცი და ავადმყოფი ბებია ელენე, რომელიც საქართველოში უნდა ჩამომეყვანა. სამუშაოს დამთავრების შემდეგ მივაკვლიე არალისპირეთში მიკარგულ ერთ სოფელს, სადაც ელენე ახვლედიანი დაბინავებულიყო, და სულ მალე ბებია და შვილიშვილი შინისაკენ მომავალ გზას დავადექით. სოფლიდან უახლოეს რკინიგზის სადგურამდე კარგა დიდი გზა იყო ფეხით გასავლელი. როდესაც დაღლილ-დაქანცული მივუახლოვდით განმარტოებით მდგომ ვაგზლის პატარა შენობას და შევიტყვეთ, რომ მოსკოვის მატარებელმა გაგვასწრო, ხოლო ღამისთევა მტვრიან ქუჩაში მოგვიხდებოდა, სასოწარკვეთილება დაგვეუფლა.

აუტანელი სიცხე იდგა და ვაგზლის შენობაში არათუ დასაჯდომი, დასადგომი ადგილიც არ ჩანდა. არ ვიცოდით, სად შეგვეფარებინა ჩრდილისათვის თავი. სხვადასხვა ეროვნების ხალხი, კვირაობით რომ გამგზავრებას ელოდა, ირეოდა ერთმანეთში და რუზრუზებდა. რა თქმა უნდა, ვერ წარმოგვედგინა, რომ ამ მრავალეროვან და მრავალხმიან ქოროში ვინმე ჩემ ხმასაც გაიგონებდა. და გავვოცდი, როდესაც ერთი ქერათმიანი და ცისფერთვალება ქალიშვილი მოგვიახლოვდა და ქართულად გამოგველაპარაკა. მერე მამაც გაგვაცნო — მაღალი, ძალიან გამხდარი, წელში მოხრილი შეხნიერებული კაცი. თბილისში ნაცხოვრები გერმანელები ყოფილიყვნენ. მამა თურმე ვაგზლის სასადილოში ფორტეპიანოზე უკრავდა, ხოლო ქალიშვილი იქვე მუშაობდა დამლაგებლად. ამ ღვთისნიერმა მამა-შვილმა ჩვენი მფარველობა იკისრა. მოგვიძებნეს ერთი თავისუფალი კუნჭული სასადილოში, და როდესაც ბებიას სკამიც გამოუნახეს, შვებით ამოვისუნთქე — ჩვენზე ბედნიერი არავინ მეგულებოდა.

მალე შებინდდა და სასადილოში, სადაც ქაშაყისა და არყის გარდა არაფერი იყო, გერმანელი მუსიკოსის სამუშაო დღე დაიწყო. საკვირველი წარმოდგენის მოწმენი გავხდით. სასადილო ერთბაშად აივსო ხალხით, ახალგაზრდა ჩეჩნები და ინგუშები არ ეშვებოდნენ მუსიკოსს, გაუთავებლად აკვრევინებდნენ ლეკურს დანჯღრეულ ფორტეპიანოზე და ერთმანეთს საცეკვაოდ იწვევდნენ. ცეკვავდნენ თვგამოდებით, გაშმაგებით, თითქოს მშობლიური მიწა-წყლის სიყვარულის ჟინს ცეკვაში იკლავდნენო, ხოლო გარსშემორტყმული ყაზახები, რუსები, კორეელები, გერმანელები გაოცებული შეჰყურებდნენ მათ. ზოგნი თავიანთი შეძახილებით და ტაშით ამხნევებდნენ და ცეცხლს უნთებდნენ მოცეკვავეთ. კარგა ხანს გაგრძელდა ეს თავბრუდამხვევი ლხინი. ბოლოს, დაიღალა ხალხი და თანდათან დაშლა დაიწყო. როდესაც სტუმართაგან აღარავინ დარჩა და მებუფეტეც გამოგვემშვიდობა, საკვირველი სიჩუმე ჩამოვარდა. სასადილოში ოთხნილა დავრჩით: გერმანე-

ლი მუსიკოსი, მისი ქალიშვილი, მე და ბებია.

სწორედ მაშინ დაიწყო ის სასწაულთქმედება, რომელიც მე სამუდამოდ ჩამრჩა მეხსიერებაში. გერმანელი მუსიკოსი უსიტყვოდ მიუბრუნდა ფორტეპიანოს და მოგვესმა არაჩვეულებრივად ლამაზი, სევდიანი და ნათელი, გულში ჩამწვდომი მუსიკა. ფორტეპიანო აღარ მეჩვენებოდა მოშლილი, აღარ მაწუხებდა სიცხე, წყურვილი და მდგომარეობის გამოუვალობაც. თითქოს საოცნებო წალკოტი გადამეშალა თვალწინ და იმ უბადრუკ სასადილოში იმედის შუქმა შემოანათა. ზუსტად ვერ ვიტყვი, რას უკრავდა გერმანელი მუსიკოსი. უთუოდ, ეს იყო თავისებური იმპროვიზაცია შუბერტის სიმღერების თემებზე. მაგრამ მთავარი ისაა, რომ ყაზახეთის იმ მიყრუებულ სოფელში ბედმა შემახვედრა ჭეშმარიტ ხელოვანს, რომელიც გუმანით მიხვდა, რომ მას უსმენდნენ მუსიკის მგრძნობიარე დამფასებლები; მიხვდა და თავისი სათქმელი ბოლომდე გაგვიზიარა.

დიდხანს უკრავდა, რომ დაასრულა, მაშინ შევნიშნე მხოლოდ, როგორ იღვრებოდა ცრემლად ქალიშვილი. „ჩვენთან არს დიდი ღმერთი“, ჩაილაპარაკა ბებიამ (მხოლოდ განსაუთრებულ შემთხვევებში იხსენებდა ღმერთს ელენე ახვლედიანი). იმ დროს ჩვენთან იყო დიდი ღმერთი და მას მუსიკა ეწოდებოდა.

## დაუვიწყარი საღამო

1939 წლის ზაფხული არაჩვეულებრივ ცხელი იყო არალისპირეთში. გავარვარებულ მატარებელში მგზავრებს სული ეხუთებოდათ. ხალხი ყოველ გაჩერებაზე ჩარბოდა გასაგრილებლად, ხოლო მატარებელი რომ ერთ დიდ გუბესთან შეჩერდა, ბევრნი ტანსაცმლიანად ჩაცვივდნენ წყალში. ჯერ კიდევ დიდი დრო აკლდა მზის ჩასვლას ,როდესაც ყიზილკაკს მივუახლოვდით. ჩამოხტომა ვერ მოვასწარი, მატარებელი რომ დაიძრა და თითქოს უკაცრიელ ადგილას მარტო აღმოვჩნდი. ადამიანის ჭაჭანება არ იყო, რადგან ვაგზლის მომსახურე პერსონალი თურმე მზეს გარიდებოდა: დარაბებგამოხურულ შენობაში შეყუჟულიყო.

აქეთ-იქით დავიწყე ყურება, თუმცა დამხვედრს არავის ველოდი. ბედად გამოჩნდა ერთი მოხუცი ყაზახი, რომელმაც სოფლის გზაზე გამიყვანა, აქედან დაახლოებით 15 ვერსიაო, განმიმარტა. ამ გზის გავლა, ვგონებ, ისე არ გამჭირვებია, როგორც მერე — სოფლის ერთადერთი ქუჩისა, რომელსაც ბოლო აღარ უჩანდა. აი, სტალინის 128 ც!.. ამ მისამართს რა დამავიწყებს. ყოველი თვის ბოლოს გაჭირვებით დაგროვებულ ფულს სწორედ ამ მისამართით ვუგზავნიდით ბებიას. ან იმ განცდებს რა დამავიწყებს, როდესაც ფულის გაგზავნას ვუგვიანებდით.

შუახნის ქალი გაღიმებული შემომეგება. თქვენ ელენ-ხანუმის შვილიშვილი ხართ? დილით გელოდით. დილუ და მანსური თქვენ დასახვედრად წამოვიდნენ, მაგრამ უთხრეს, მატარებელი გაურკვეველი დროით იგვიანებსო, და შინ მობრუნდნენ. დილუ! — შესძახა მან ვიღაცას და რამდენიმე სიტყვა ჩემთვის გაუგებარ ენაზე დაუმატა. მყისვე გამოვარდა თიხა შეტკეპნილი სახლიდან ერთი შავნაწნავიანი ქალიშვილი და იქვე ფიცრულისაკენ გაემართა. მაგრამ შესვლა აღარ დასჭირდა, კარიბჭეს უკვე მოდგომოდა ბებია: მაღალი, კვლავინდებურად წელში გამართული და მკაცრი. უცნაურად მომჩერებოდა და არ იძვროდა. თექვსმეტი წლისა არ ვიყავ ჯერ, როდესაც წაიყვანეს, და ახლა, უთუოდ, იმანაც აალელვა, რომ ძლიერ გამოცვლილი მოვეჩვენე. დავყარე ჩემი ბარგი, მივირბინე და მოვეხვიე.

— ლეონიკა (ასე მეძახდა ბავშვობაში), ცოტა ხანს შევჩერდეთ აქ, ახლო მეზობლებს უნდა გავაცნო შენი თავი. — მითხრა ისე ჩუმად ბებიამ, რომ ძლივს გავიგონე მისი სიტყვები.

ჩემი ბებიასთან ჩამოსვლის ამბავი ელვის სისწრაფით მოედო იქაურობას. ეზოს გარს შემოერტყა ხალხი. ვიღაცა ხელს მართმევდა, ზოგი შორიდან მესალმებოდა. „მოგილოცავთ, გრაფინია შვილიშვილის ჩამოსვლას!“ — მომესმა ერთი მოხუცი კაცის წამოძახილი და, ალბათ, ცოტა არ იყოს გაკვირვებულმა გავხედე ბებიას. „აქ მე და სოფია ალექსეევნას გრაფინიებს გვეძახიან, სოფიო გრაფინიაა, გვარად ვორონცოვა“, გამომიცხადა მან ისეთი ტონით, რომ მივხვდი: ერთი წამითაც არ უნდა დავეჭვებულიყავი თვით ელენე ახვლედიანის გრაფინობაშიც.

ამასობაში მზე მიიმალა და ერთბაშად ჩამოწვა მწუხრი. ჩვენი სახლის ირგვლივ ჟრიამული ნელ-ნელა მიწყდა. შევედით ბებიას პატარა, დაბალჭერიან ოთახში და, მარტონი რომ დავრჩით, მხოლოდ მაშინ ატირდა. პირველად ვხედავდი ამ მკაცრ და ამპარტავან ქალს თვალცრემლიანს. მაგრამ სწრაფად მოვიდა გონს. ახლა ჩაის დაგალევინებ და რამეს გაჭმევ, მერე დალაგებით მომიყვები ყველაფერს, რაც ამ ორი წლის განმავლობაში გადაგხდათო, მითხრა მან და ნავთქურისაკენ გაემართა.

— შეიძლებ, ელენე ალექსანდროვნა? — მომესმა ამ დროს ქალის ხმა.

— რა თქმა, უნდა, სოფია ალექსეევნა. გაიცანით ჩემი შვილიშვილი. — ხელზე აკოცე, გადმომილაპარაკა ბებიამ ქართულად და მის მომართვაში კვლავინდებური მბრძანებლური კილო მომესმა.

18 წლის კომკავშირელს გალანტურობის არავითარი ჩვევა არ გამაჩნდა, მაგრამ ბებიას რო-

გორ გავაწბილებდი. უხერხულად ვემთხვიე ვორონცოვას დამჭკნარ ხელს. მან ალერსიანად გამიღიმა და კვლავ ბებიას მიმართა:

— განა არ ვიცოდი, რომ შვილიშვილი გეწვიათ? ვფიქრობდი დამერღვია კიდეც ჩვენი ყოველდღიური რიტუალი, მაგრამ ამ ყმაწვილის (მე გადმომხედა) გაცნობის სურვილმა გადამძლია და ისევ მოვაშურე თქვენს სტუმართმოყვარე სახლს. ელენ, გზად მერკური პეტროვიჩს შევატყობინე თქვენი შვილიშვილის ჩამოსვლის სასიხარულო ამბავი და სადაცაა ისიც შემოგვიერთდება.

— იცით, ახალგაზრდავ, — მომმართა ვორონცოვამ — მე თუ დღეს ცოცხალი ვარ, მერკური პეტროვიჩს უნდა ვუმადლოდე. აკადემიკოსი ადამენკო ჩვენი მეუღლის ანგელოზია. ასეთ ექიმზე კიევში ვერც ვიოცნებებდით. წოდება კი წაართვეს, მაგრამ ამით მის გამოცდილებასა და უდიდეს ცოდნას ხომ არაფერი დაკლებია.

სოფია ვორონცოვა ბებიასავით მოვლილი და მოწესრიგებული ქალი ჩანდა, მხოლოდ უფრო სუსტი აღნაგობისა და ხნიერი. მოშავო-მონაცრისფრო კაბა ეცვა, ბაბთებიანი საყელოთი და მანჟეტებით. ძველებურად დავარცხნილი სრულიად თეთრი ხშირი თმა ოდნავ დაგრძელებულ გაფითრებულ სახეს უმშვენებდა. მორცხვად გაუწოდა ბებიას პატარა პაკეტი — ეს ჩემი ჩვეულებრივი ულუფააო. ბებიამ არ გამოართვა: დღეს ჩემი შვილიშვილი გაგვიმასპინძლდება, ეს ხვალისთვის შეინახეთო.

ამ დროს ღია კარზე დააკაკუნეს და ბებია მიეგება პენსნეიან მოხუცს.

— მობრძანდით, მერკური პეტროვიჩ, იცნობდეთ ჩემ შვილიშვილს.

აკურატულად ჩაცმულმა ჩია ტანის წვეროსანმა კაცმა ენერგიულად ჩამომართვა ხელი.

— თქვენ პირველი მერცხალი ხართ ჩვენი ოცნების ქვეყნიდან შემოფრენილი — მითხრა მან და გაუწოდა ბებიას პაკეტი, რომელიც მასაც ისევე დაუბრუნეს, როგორც ვორონცოვას.

— ქალბატონო, — მიმართა მან ბებიას — ჯერ მეც იმ აზრისა ვიყავი, რომ ამ საღამოს შვილიშვილთან განმარტოვების საშუალება მოგვეცა თქვენთვის, მაგრამ შეიძლებოდა განა, რომ დღესვე არ გაგვეზიარებინა ეს ბედნიერება? დიდხანს არ შევაწყენთ თავს, არა სოფი?

— რა თქმა უნდა, — სასწრაფოდ დაემოწმა ვორონცოვა.

ბებია უკვე სუფრას შლიდა. ქართულად გადმომილაპარაკა: ეჭვი არ მეპარებოდა, რომ ესენი ვერ მოითმენდნენ და დღესვე გვესტუმრებოდნენო.

— უთუოდ, თქვენ ეჭვიც არ შეგპარვიათ, რომ დღესვე გესტუმრებოდით — უთხრა ნიშნის მოგებით ადამენკომ ბებიას.

— კუდიანია — გადმომილაპარაკა ქართულად ბებიამ.

Елена Александровна, что я волшебник— უთხრა დამენკომ ვორონცოვას და ორივემ გულიანად გაიცინა.

— მართლა კუდიანია, სიტყვა არ იცის ქართული — მშვიდად შენიშნა ბებიამ და არომატული ჩაი დაგვისხა.

— ვიდრე ამ სიმპატიურ ყმაწვილს შეკითხვებს დავაყრიდეთ, ნება მიბოძეთ, ქალბატონებო, ჩვეულებისამებრ თქვენი ჯანმრთელობის ამბავი ვიკითხო — მიმართა ადამენკომ ბებიასა და ვორონცოვას — კარგად გძინავთ? სიცხეს ხომ არ შეუწუხებიხართ?

თავი თეატრალურ წარმოდგენაზე მეგონა. მბჟუტავი სანთლის შუქზე პირველი მსოფლიო ომის წინადროინდელი სამი პერსონაჟი მკვდრეთით აღდგენილს ჰგავდა. დინჯად მიირთმევდნენ ჩაის და თავს არისტოკრატიული დარდიმანდობით იქცევდნენ. ჯერ ცერემონიულად მოიკითხეს ერთმანეთი, მერე ახლო მეზობლები და ბოლოს განყენებულ თემებზე განაგრძეს საუბარი. ვისღა ვახსოვდი და ან ვინ აპირებდა ჩემთვის შეკითხვის მოცემას?... თუმცა აკადემიკოსმა ადამენკომ მოულოდნელად მაინც დამისვა ერთი რიტორიკული შეკითხვა, რომელსაც თვითონვე გასცა პასუხი.

— იცით თუ არა, ყმაწვილო, რისთვის მოვხვდი მე აქ? თავის დროზე გავილაშქრე ჯანმრთელობის დაცვის სისტემაში პასუხისმგებელ მუშაკთათვის საგანგებო სამკურნალო განყოფილების შექმნის წინააღმდეგ. წამალი, თუნდაც მეტად იშვიათი და ძვირფასი, ყველასათვის უნდა იყოს-მეთქი, ვამტკიცებდი საჯაროდ. ასეთი განყოფილების ჩამოყალიბებას დემოკრატიულობის პრინციპების შებღალვად მივიჩნევდი. ეს გამიხსენეს.

— მერკური პეტროვიჩი იდეალისტია, იგი მყოფადის, ანუ უკეთ რომ ვთქვათ, კომუნიზმის ეპოქის მოქალაქეა და ამიტომაც ვერ ეგუება მშვენიერ სოციალიზმის შეუსაბამობებს, — ადრეა დაბადებული — დასძინა ოდნავ დამცინავად ვორონცოვამ.

— ვერ დაგეთანხმებით, სოფი. ჩემი მოთხოვნა არ იყო დროისათვის შეუფერებელი, თუმცა უნდა გამოგიტყდეთ, რომ დღეს უკვე მეც მეპარება ეჭვი მის სამართლიანობაში. საქმე ის არის, რომ დემოკრატიულობის პრინციპებს თვითონვე ვღალატობდი.

— ეს კაცი გამაგიჟებს — ჩაილაპარაკა ქართულად ბებიამ.

— Да, да, Елена Александровна, я не преувеличиваю. — ისევ სცადა ქართულის გაშიფვრა ადამენკომ. — ნებისმიერი კატეგორიული განაცხადით თუ მოთხოვნა საკუთარი აზრის სხვისთვის მოხვევის ცდაა და, მაშასადამე, დემოკრატიულობის საფუძვლების შერყევა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენ თუ ასე ფიქრობ, იფიქრე შენთვის ვინ გიშლის?.. დღეს უკვე მოვერიდებოდი ჩემი აზრის საჯაროდ და უაპელაციოდ მტკიცებას.

— თქვენ დემოკრატიულობის საფუძვლების შერყევა მაინც გიცდიათ, — უთხრა მას დაცინვით ვორონცოვამ — ჩვენ კი, მე და ელენა ალექსანდროვნამ, რა ვქნათ საწყლებმა, რომ არაფერი გვაქვს სანუგეშო?

— თქვენ პლებეების მსხვერპლნი ბრძანდებით, — უპასუხა სერიოზულად ადამენკომ, — პლებეებისა, რომლებიც გულწრფელად ფიქრობდნენ, რომ ყოველგვარი კავშირი კაპიტალისტურ სამყაროსთან — დიდი დანაშაულია.

— არც მთლად ასეა საქმე, — გააპროტესტა ბებიამ — მე არასოდეს ვმალავდი, რომ არ მომწონდა ეს წყობილება და, ვფიქრობ, ამისათვის დავისაჯე კიდეც.

— ღმერთი არ გწამთ, ელენ, რას ამბობთ? თქვენ ხომ არაფერი მოგიმოქმედნიათ ამ წყობილების წინააღმდეგ? — აღშფოთდა ვორონცოვა.

— რა თქმა უნდა, არაფერი, მაგრამ წყევლა-კრულვაც არ დამიკლია მისთვის — განაცხადა მედიდურად ბებიამ.

— ცუდი გულში მეც ბევრი გამივლია, მაგრამ ჩვენ ხომ შუა მოედანზე არ გამოვსულვართ საქადაგოდ — უსაყვედურა ბებიას ვორონცოვამ.

— აი, თქვენ ორივემ აღიარეთ თქვენი დანაშაული, — დაასაკვნა თითქო ხუმრობით ადამენკომ. —მაგრამ არ გეგონოთ, რომ პლებეები, რომლებზედაც მოგახსენებდით, თქვენს განწყობილებას ვერ ამჩნევდნენ. მათი პლებეურობაც ის არის,რომ მეტად მკაცრად სჯიდნენ; არ სურდათ იმის დანახვა, რომ თქვენისთანანი არავითარ საშიშროებას არ წარმოადგენდნენ მათთვის.

— სულ ავუბნიეთ ამ ბავშვს გონება —გავახსენდი ერთბაშად ვორონცოვას.

— რასაც დღეს აქ ისმენთ, უმჯობესია დაივიწყოთ, — მითხრა ერთგვარი მობოდიშების კილოთი ადამენკომ — ჩვენი აქ ყოფნის ერთადერთი პრივილეგია სწორედ ის არის, ყმაწვილო, რომ ამ ვიწრო წრეში არ ვერიდებით დაუფიქრებელ ლაპარაკს და ხშირ შემთხვევაში ფრიად საკამათო აზრის გამოთქმის უფლებასაც ვაძლევთ თავს...

ეს შორეული საღამო დღეს სიზმარივით მაგონდება, როგორც რაღაც არარეალური ან სადღაც წაკითხული, — ამბავი, რომლის მონაწილე სხვა იყო და არა მე.

როდესაც ექვსი წლის შემდეგ ისევ ვესტუმრე ბებიას არალისპირეთში, აღარც ვორონცოვა დამხვდა ცოცხალი და არც ადამენკო.

იმ ღამეს კი თითქმის არ გვეძინა. ბებია, ხარბად უსმენდა ჩემს მონაყოლს და ხშირად ერთხა და იმავეს მამეორებინებდა. ხოლო იმის შესახებ, თუ მას რა გადახდა, სიტყვა არ დასცდენია.

დილით ადრე გავუარეთ ვორონცოვას (თურმე ესეც რიტუალის ნაწილს შეადგენდა) და პურის საყიდლად წავედით. დიდი რიგი იდგა. ყველა გვესალმებოდა და გზას გვითმობდა. ძალიან უხერხულად ვგრძნობდი თავს, მაგრამ ბებიამ დამამშვიდა, უცხო სტუმარი ხარ, ჩვენ კი, „გრაფინიებს“, ამათთან რიგში დგომა რომ არ შეგვეფერება, ეს შენც უნდა გესმოდეს. დიახ, მართლაც კარგად მესმოდა, რომ ბებიას ვერავითარი სასჯელი ვერ გამოასწორებდა.

## დაბრუნება

ჩემი ყაზახეთში ყოფნის ვადა იწურებოდა, როდესაც ლეიტენანტ ტიმჩენკოს მეხუთედ თუ მეექვსედ მივადექი მილიციაში. მან კვლავ უარით გამომისტუმრა: ბებიას სამშობლოში გამომგზავრების ნებართვა კიდევ არ იყო. თვენახევარი გავიდა მას შემდეგ, რაც დედამ საქართველოში დაბრუნების უფლება მოუპოვა, მაგრამ საბუთი არსად ჩანდა. ამასობაში ბებია გაცხარებული ემზადებოდა გამოსამგზავრებლად. ისე აგულიანებულიყო და ისე საქმიანად აწყობდა ბარგს, თითქოს ეს ნებართვა უკვე ხელთ ეპყრა. ცოტა არ იყოს მანერვიულებდა კიდეც მისი ასეთი გულდაჯერებულობა.

რა მექნა, როგორ მოვქცეულიყავი? შემეძლო განა მარტო დამეტოვებია ყაზახეთში უკვე ძლიერ მოხუცებული ბებია? გამწარებული ვეძებდი, რა გზას დავდგომოდი: იქნებ როგორმე გამეგრძელებია კიდევ აქ ყოფნა? სამწუხაროდ, ეს თითქმის გამორიცხული იყო. პურის ტალონებიც რომ მითავდებოდა? ეგ არაფერი, გავძლებთ კიდევ რამდენიმე დღეს უპუროდ... მაგრამ რა ვიცი, რომ რამდენიმე დღეს?

ასე ვემსჯელებოდი თავს, როდესაც ჩვენ სახლს მივუახლოვდი, ის იყო ჭიშკარი უნდა შემეღო, ხმამაღალი ძახილი შემომესმა: გაბუნია! ამხანაგო გაბუნია! მოვიხედე და დავინახე ლეიტენანტი ტიმჩენკო, რომელიც სწრაფად მოაბიჯებდა ჩემსკენ და ხელში პატარა ქაღალდს აფრიალებდა.

— გახვედით თუ არა, მაშინვე შემომიტანეს პაკეტი, რომელშიც ეს თქვენი ნებართვა აღმოჩნდა! — მომაძახა მან.

შეეძლო არც ეთქვა. მის გაბადრულ სახეზე ყოველივე მყისვე ამოვიკითხე. მადლიერებით ამევსო გული: თურმე როგორ უთანაგრძნობდა ბებიას ეს ერთი შეხედვით ცივი და უკერება მილიციის ლეიტენანტი!

მეორე დღესვე დავადექით გზას.

— რა მიგაქვს, ბებია, ამდენი? — შევიცხადე, როდესაც მისი ბარგი-ბარხანით დატვირთული მეზობლის ვირი დავინახე.

— მაგ არ არის შენი საქმე — მომიჭრა მკაცრად ბებიამ.

— ეს ძველი ჩაიდანი რაღად გინდოდა? — არ ვეშვებოდი.

პასუხის ღირსადაც არა ჩამთვალა. ჯოხი მოიმარჯვა, ერთი შეავლო თვალი მღვრიე სირდარიის ნაპირებს და უკან აღარ მოუხედია, ისე გაემართა გზატქეცილისაკენ. მის პატარა ყავისფერ ჩაიდანს კი დღესაც ვინახავთ როგორც საოჯახო რელიქვიას.

დიასახლისის მთელმა ოჯახმა და რამდენიმე ახლო მეზობელმა სოფლის ბოლომდე გამოგვაცილეს. დამშვიდობების ჟამს რაღაც უცნაური სიჩუმე ჩამოვარდა. ყველამ სათითაოდ მოწიწებით ჩამოართვა ბებიას ხელი, ხოლო ატირებული დილუ (დიასახლისის ქალიშვილი) მოეხვია და ხელები დაუკოცნა.

მოსკოვის მატარებელზე ბილეთები სადგურში არ იყიდებოდა. დიდი ბრძოლით შევაღწიეთ მგზავრებით დახუნძლულ მატარებელში. ბარგი უკვე დაძრულ მატარებელში შემოგვიგდეს. ჩიატანის უწვერულვაშო გამყოლმა ლანძღვა დაგვიწყო: ხომ ხედავთ, ფეხზე დასადგომი ადგილი არ არის, თქვენ კი უსინდისოდ ამოდიხართ უბილეთოდ, უახლოეს გაჩერებაზე ჩაგსვამთო. ეს მუქარა ვეღარ აიტანა ბებიამ და ერთბაშად ისეთი რიხზვა დაატეხა თავს, ისე აათამაშა ჯოხი ხელში, რომ სასწრაფოდ ჩავუვარდი შუაში, არაფერი მოხდეს-მეთქი.

— რვა წელიწადს ველოდი ამ დაწყევლილ უდაბნოდან წამოსვლის დღეს, — მიაძახა გამყოლს, — შენ კი აქ რაღაც ბილეთებზე მელაყბები! და შეურაცხყოფასაც მაყენებ კიდევ? მე თვითონ ჩამოგსვამ უახლოეს გაჩერებაზე, შე ლაწირაკო!

სიჩუმე ჩამოვარდა. ცოტა არ იყოს ნირწამხდარმა გამყოლმა გაკვირვებით შემომხედა და, ალბათ, ისეთი ტანჯვა და მუდარა ამოიკითხა ჩემ სახეზე, რომ მყის ზურგი შეგვაქცია. ვის არ გადაეყრები ამ დასაწვავ მატარებელშიო — ჩაილაპარაკა თავისთვის. მერე ხმამაღლა დაუმატა: სამ საათში ჩავალთ დიდ სადგურში, სადაც კარგა ხნით გავჩერდებით და ბილეთების შეძენესაც შესძლებთო.

ასე დაიწყო ჩვენი მატარებლით მგზავრობა. მეგონა, სული მოვითქვი-მეთქი. რა ვიცოდი, რომ პირველ ინციდენტს მალე მეორეც მოჰყვებოდა. ნელა მივიწევდით წინ ხალხით გატენილ ვაგონში. დასაჯდომ ადგილზე ოცნებაც კი ზედმეტი იყო. ვეძებდი ისეთ კუნჭულს, სადაც ბარგის თავმოყრას შევძლებდი. მოულოდნელად ბებიამ მაგრად დაარტყა ჯოხი იატაკს.

— აბრძანდით, ყმაწვილო! — უთხრა მან ვიღაცას მბრძანებლური ტონით — ვერ ხედავთ, რომ მოხუცი ქალი თავს დაგდგომიათ?!

ნეტავ დამალვა შემეძლოს სადმე — გავიფიქრე გულში. ამ დროს იმ კაცს შევავლე თვალი, ვისაც ბებია მიმართავდა [illegible] პყრო: ნამდვილი რეციდივისტი [illegible]. მაგრამ ჩვენდა საბედნიეროდ ამ ინციდენტმაც უკონფლიქტოდ ჩაიარა. „რეციდივისტი" უხმოდ წამოდგა და იქაურობას გაეცალა. ბებიამ ამაყად გადახედა კუპეში ჩაჭუჭყულ მგზავრებს და უკვე ჩემზე დაიწყო ზრუნვა. ერთი დიდი ფუთა, რომელსაც განსაკუთრებით უფრთხილდებოდა, ფეხებთან მიიწია და ზედ დამსვა. უახლოეს დიდ სადგურზე მართლაც მოვახერხე ბილეთების შეძენა და იქიდანვე გავუგზავნე დეპეშა მოსკოვში სამუილ რუჟანსკის, მამას სტუდენტობის დროინდელ მეგობარს.

მერვე დღეს სრულიად ღონემიხდილებმა ჩავაღწიეთ მოსკოვს. რუჟანსკების ოჯახი სრული შემადგენლობით დაგვხვდა ბაქანზე. შინ მიგვიყვანეს, მოგვიარეს, მოგვასვენეს. თითქმის 24 საათი ვიძინეთ თურმე ბებიამაც და შვილიშვილმაც.

არასოდეს არ დამავიწყდება ის სიმყუდროვე და არაჩვეულებრივი თბილი გარემო, რუჟანსკებმა რომ შეგვიქმნეს. თავს გვევლებოდნენ და ცდილობდნენ ბებიას ყოველი სურვილის გამოცნობას და ასრულებას. როგორღაც მოლბა ბებიაც. მის ძალიან გამხდარ და მკაცრ სახეზე დრო და დრო ღიმილი გამოკრთოდა. ეტყობოდა, რომ უკვე შეგვირიგდა და აღარ გვეგონა „ზურგში" დარჩენილებს.

მოახლოვდა ჩვენი მოსკოვიდან გამგზავრების დღეც. როდესაც ბებიას განვუცხადე, რომ მხოლოდ თვითმფრინავის ბილეთების შეძენა მოვახერხე (მატარებელზე სამი კვირით ადრე ეწერებოდნენ თურმე რიგში), მან მკაცრად შემომიტია: ამდენ დავიდარაბას გადავრჩი, რა უბედურება არ გადამხდა ამ ცოდვილ მიწაზე, და ახლა ცაში გინდა სიცოცხლეს გამოვესალმოო? მას ახლოც არ ენახა თვითმფრინავი და საკვირველი არ იყო, რომ ასე გაცხარდა. დიდ ხანს ვამშვიდე (რუჟანსკებმაც ამიბეს მხარი) და, როგორც იქნა, დავიყოლიე.

დიდი ამბით გამოგვაცილეს მასპინძლებმა აეროპორტში. ზუსტად დანიშნულ დროს ჩავსხედით თვითმფრინავში, რომელიც თითქოს გასრიალდა მწვანე მინდორზე და ერთბაშად მოწყდა მოსკოვის მიწას. ბებია ჯერ დაძაბული სახით იჯდა, მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ დამშვიდდა და ინტერესით დაუწყო თვალიერება თვითმფრინავის ინტერიერს, ხოლო როდესაც მე შემომხედა და შენიშნა, რომ ფერი მიმდიოდა (ძალიან ცუდად ვიტანდი ფრენას), თითქოს გახალისდა კიდეც. ეს არის, ბიჭო, შენი ვაჟკაცობა! — ფიქრობდა, ალბათ, ბებია და თავგამოდებით მივლიდა.

ღამის გათევა კრასნოდარში მოგვიხდა, მეორე დღეს კი დაუბრკოლებლად ვიფრინეთ თბილისამდე. დედამ მეფური შეხვედრა მოგვიწყო აეროდრომზე. ცეცხლის ფასად დაექირა-

ვებია ქალაქში მსუბუქი მანქანა, რომელიც გაურკვეველი ეროვნების პირქუშმა შოფერმა ლამის თვითმფრინავის კიბეზე შემოაგდო. ბებიას დანახვაზე ჩემი დეიდაშვილი ლენა მწარედ აქვითინდა. ბებიამაც ვერ შეიკავა თავი. დადუმებულ დედას კი მკვდრის ფერი დაედო, და რომ არ მივშველებოდი, ალბათ ფეხს ვერ გადმოდგამდა.

როგორც იქნა, დავიძარით. შინ ოთხი შვილიშვილი ელოდა ბებიას. სულხან-საბას ქუჩაზე რომ შემოვუხვიეთ, შორიდან შევნიშნეთ, სადარბაზოსთან გამოსულიყვნენ. მანქანა გაჩერდა თუ არა, ხმაურით შემოგვეგებნენ და შვილისშვილებით გარშემორტყმულმა აცრემლებულმა ბებიამ პირველმა შეაბიჯა ბინაში, სადაც რვა წელზე მეტი იყო უკვე, ფეხი არ შემოედგა.

— სად არის მეხუთე ფუთა? — გაისმა მოულოდნელად ბებიას შეშფოთებული ხმა.

მეხუთე ფუთა, სწორედ ის, რომელსაც ბებია ყველაზე მეტად უფრთხილდებოდა, არსად ჩანდა. მანქანა კი უკვე წასულიყო. განრისხებული ბებია ადგილს ვერ პოულობდა, ველარავის ხედავდა. თითქო დაავიწყდა კიდეც, რომ რამდენიმე წუთის წინ რვა წლის ,უნახავ შვილსა და შვილისშვილებს შეხვდა. როგორ არ ვეცადეთ მის დამშვიდებას, როგორ არ ვანუგეშეთ... სუფრას რომ ვუსხდებოდით, კიდევ ბობოქრობდა. მაგრამ სწორედ ამ დროს მოგვესმა მანქანის საყვირის ხმა. თითქმის ყველანი გავცვივდით ქუჩაში. ჩვენს პირქუშ მძღოლს საბარგულში ჩარჩენილი ფუთა ენახა და მობრუნებულიყო.

როგორც კი შემოვიტანეთ ფუთა ოთახში, ბებიამ საკუთარი ხელით გახსნა იგი და შვილისშვილებისათვის წლების მანძილზე დაგროვილი ნაირ-ნაირი საჩუქრები ამოალაგა: უზბეკური ქუდები, ყაზახური ქამარი, ქოშები.

ელენე აბვლედიანი ხელდამშვენებული დაბრუნდა გადასახლებიდან.

მომდევნო დღეებში დიდი სტუმრიანობა იყო ჩვენს ოჯახში. ბებიას სანახავად მოდიოდნენ სადღაც სასწაულებრივ გადარჩენილი მრავლის მნახველი მოხუცები, ულოცავდნენ შინ დაბრუნებას, იგონებდნენ ძველისძველ ამბებს და ჩუმად, უხმაუროდ მიდიოდნენ. განსაკუთრებით ჩამრჩა მეხსიერებაში ბებიას სიყრმის მეგობარი სერგი ერისთავის ვიზიტი.

— შენი ჭირიმე, ელენე!—მიეგება იგი ბებიას. — კი ვიცოდი, ქვეყნის დამქცევი რომ იყავი, მარა რავა ვიფიქრებდი მაინც, თუ ეს მთავრობაც ვერაფერს დაგაკლებდა!

არც ბებია ჩამორჩა სიტყვა-პასუხში.

ძველი დროის იმერელი თავად-აზნაურობის ეს ორი კოლორიტული წარმომადგენელი ერთმანეთს ეჭიბრებოდა მახვილსიტყვაობაში და ორივე ერთად მწარედ, თუმცა მოხდენილად დასცინოდა საკუთარ ბედს. ეროვნული

გავიდა კიდევ ხუთი თუ ექვსი წელი. ბებიამ მოუხშირა ავადმყოფობას, მაგრამ სიბერეს მაინც ვერ ურიგდებოდა და კვლავინდებურად უფროსობდა ოჯახში.

იმ დღესაც საკმაოდ მხნედ იყო, როდესაც მოულოდნელად გვესტუმრა ერთი ახალგაზრდა ლეიტენანტი და ელენე აბვლედიანი იკითხა.

— მე გახლავართ — უპასუხა ცოტა არ იყოს გაკვირვებულმა ბებიამ:

— სასიამოვნო ამბავი მოგიტანეთ — თქვა გაღიმებულმა ლეიტენანტმა და გაუწოდა სავლე ჩანთიდან ამოღებული ორად გაკეცილი ქაღალდი.

— რა არის ეს? — იკითხა ბებიამ.

— რეაბილიტაცია! — უპასუხა სახეგაბადრულმა ლეიტენანტმა.

— რა რეაბილიტაცია?! — ბებიას უკვე უკმაყოფილება დაეტყო — აბა, წამიკითხე, ყმაწვილო.

— სპეციალურმა გამოძიებამ დაადგინა, რომ ელენე ალექსანდრეს ასულ აბვლედიანს არავითარი დანაშაული არ ჩაუდენია და მას სრული რეაბილიტაცია ეძლევა — გააცნო წერილის შინაარსი ლეიტენანტმა.

— რას მქვია, დანაშაული არ ჩამიდენია? — აინთო უცბად - ბებია და იმდენად აღელდა, რომ იძულებული გახდა იქვე სკამზე ჩამომჯდარიყო. — რვა წელიწადი იმ ჯოჯოხეთში ტყუილა გავატარე? გესმის ყმაწვილო, რას ამბობ? არა, გაიგონეთ, რა თქვა? უდანაშაულო ვყოფილვარ თურმე!

გაოცებული და დაბნეული ლეიტენანტი ჩვენ შემოგვჩერებოდა.

— ამ კაცს რას ერჩი? — შევბედე ბებიას.

— როგორ რას ვერჩი, გასახარებელი ამბავი მოგიტანეო, რომ მეუბნება, მაგდენი არ უნდა ესმოდეს? რა გვარი ხარ, ყმაწვილო? — მიმართა მოულოდნელად სტუმარს.

შეწუხებულმა ლეიტენანტმა რაღაც გაურკვევლად წაილუღლუღა.

— მითხარი, კაცო, შენი გვარი — ჩააცივდა ბებია.

— დასწყევლოს ეშმაკმა ეს ჩემი გვარი! — წამოცდა მოთმინება-გამოლეულ და ნირწამხდარ ლეიტენანტს — ტრანკაძე ვარ, ბატონო...

ერთბაშად მოლბა ბებია.

— ჰო და, ჩემო ტრანკაძე, — უკვე თანაგრძნობით მიმართა მან ლეიტენანტს — დაჯექი აქ, ახლა ერთად ვივახშმოთ და საუბარიც განვაგრძოთ.

დიპლომატების ენით რომ ვთქვათ, ლეიტენანტ ტრანკაძესთან შეხვედრის მეორე ნახევარმა გულთბილ და მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა.

რამდენიმე დღის შემდეგ ცნობა რეაბილი-

ტაციის შესახებ ბებიამ მე გადმომცა: გქონდეს ჩემ მოსაგონრადო.

## სამი დასავიწყებელი ამბავი

ვერ იქნა და ვერ დაგვეძინა გამომგზავრების წინა ღამეს. ბებია ვერ ისვენებდა და მისი ღელვა მეც გადმომედო.

— არ გძინავს, ხომ? — მკითხა მან და ჩემ პასუხს აღარ დაელოდა — იცი, შენ, რომ იმ დასაქცევი დღის შემდეგ ორჯერ შევხვდი ბაბუაშენს?

ამ სიტყვებმა სულ გამომაფხიზლა. მაშინ, „იმ დასაქცევ დღეს" მამა ახალი გარდაცვლილი იყო და ბებია ჩვენთან ათევდა ღამეს. ჩვენგანვე წაიყვანეს. ბაბუას, რომელიც იმავე ღამეს თავის სახლში დააპატიმრეს, არ გაუგია ბებიას ამბავი. რომ მიყავდათ, მეზობლებს გადასძახა: ელენეს გადაეცით, არ შეშინდეს. რაღაც წარმოუდგენელი გაუგებრობაა! უთუოდ, და ხვალ თუ ზეგ შინ დავბრუნდებით.

— პირველად, — განაგრძო ბებიამ, — ერთი კვირის შემდეგ შევხვდით ერთმანეთს ციხის ეზოში. ქალები უკვე შევყავდით შენობაში, კაცები რომ გამოიყვანეს. არაჩვეულებრივ შეცვლილიყო ბაბუაშენი იმ ერთი კვირის განმავლობაში. მხოლოდ თვალებმა მიმახვედრა, რომ ეს უზომოდ დაბერებული და განწირული სახის კაცი ჩემი ქმარი იყო.

— იულონ! — შევძახე მე. მეხნაკრავივით გაშეშდა, გაოცებული მომაშტერდა. ელენეო, — წაილუღლუღა მერე და იქვე კედელს მიეყრდნო. მახსოვს, ვიღაც მელობებოდა, მაგრამ მე მაინც მივვარდი. პატიმრებმა ორმაგი ალყა შემოგვარტყეს, რომ რამდენიმე წამს მაინც დავრჩენილიყავით მარტო. შენც? შენც? იმეორებდა იულონი და ბავშვივით ქვითინებდა. უსიტყვოდ ვეფერებოდით ერთმანეთს და ვემშვიდობებოდით, სანამ „სალდათებმა" ალყა არ გაარღვიეს და ერთმანეთს არ დაგვაშორეს. მერე ქალები და კაცები ერთად აღარ გამოვუყვანივართ ეზოში...

მეორე შეხვედრა, მტერს არ ვუსურვებ, ისეთი იყო. მე და ბაბუაშენი თურმე ერთი მატარებლით გავუმგზავრებივართ: კაცები წინა, ქალები კი უკანა ვაგონებში ჩაჭუჭყულნი. არ ვიცი, რა გზით გვატარეს, რა სადგურები გამოვიარეთ, და ერთი კვირის შემდეგ თოვლიან ველებს მივადექით.

ყინვამ იმატა. აუტანელი სიცივისაგან ერთმანეთს ვეკროდით და ლაპარაკის თავიც აღარავის ჰქონდა. ამ დროს რაღაც ჩოჩქოლი ატყდა ვაგონში. აღელდნენ ქალებიი... იულონიო, იულონიო, — მომესმა. იულონ დუმბაძე გარდაიცვლილაო, მოაღწია ბოლოს ჩემამდე ხმამ. სწრაფად ვრცელდებოდა მატარებელში უბედურების მაუწყებელი ცნობები. ჯერ კიდევ გონს ვერ მოვსულიყავ, მატარებელი რომ შეჩერდა. ახლა გადმოასვენებენ, ალბათ, — ჩალაპარაკა ვიღაცამ. ვაგონის კედლის ღრეჩოს მივვარდი.

ისევ თოვლით დაფარული ტრიალი მინდორი გადამეშალა თვალწინ. მატარებელი დაიძრა და უკაცრიელ პლატფორმას რომ ჩავუარეთ, დავინახე სკამლოგინაზე გაშოტილი საცვლების ამარა პატარა წვერიანი მოხუცი... იულონი იყო, ბაბუაშენი.. იულონი...

ცოტა ხნის დუმილის შემდეგ კვლავ მომესმა ბებიას ჩუმი ხმა.

— ზამთრის პირი იყო. აქ ახლო-მახლო ადგილებში ჩეჩნები დაასახლეს. ძალიან უჭირდათ საცოდავებს. სხვებს კი არ გვიჭირდა განა? ომის დრო იყო. ერთ ნაჭერ პურს სამად ვყოფდი და დიდი ხნის წინათ შემონახულ თევზის ქონს ვუწებდი. ზოგჯერ წყალწყალა ჩაისაც ვაყოლებდი. სწორედ ამგვარ საუზმეს შევექცეოდი ერთ წვიმიან დღეს, როდესაც ფანჯარაში შევნიშნე, რომ ორი დიდი თვალი შემომჩერებოდა, ლუკმა გამიჩერდა ყელში და წამოვდექი. ორი თვალი მყისვე გაეცალა ფანჯარას. გავედი გარეთ და დავინახე, რომ ძონძებში გახვეული პატარა გოგო ჩვენს სახლს შორდებოდა.

მეორე დღეს დილით ისევ მოადგა ფანჯარას ორი დიდი თვალი. გავულიმე, რომ არ დამეფრთხო, მაგრამ გარეთ რომ გავედი, შორს მოვკარი თვალი ჩქარი ნაბიჯით მიმავალ გოგონას. მესამე დღეს რომ ისევ მომაშტერდა ორი თვალი, სწრაფად გავვარდი ეზოში, მაგრამ... შემეძლო არ ავჩქარებულიყავი: ძონძებში გახვეული გოგო შუბლით მიყრდნობოდა ფანჯარას და არ იძვროდა. მორჩილად შემომყვა ოთახში. მოსვა ჩაი და ორიოდე ლუკმა პურიც შეჭამა, ხოლო როდესაც ნახევარი ნატეხი შაქარი მივაწოდე, დიდრონი თვალები ცრემლით აევსო და რაღაც წაილუღლუღა ჩემთვის გაუგებარ ენაზე, ალბათ ჩეჩნურად. რა გინდა-მეთქი, ვკითხე ქართულად. ნატეხი შაქარი პატარა ჯიბისაკენ წაიღო და მუდარით შემომხედა. წაიღე, წაიღე! — შევძახე ისევ ქართულად და გული შემეკუმშა მისი საცოდაობით. უთუოდ, შინ პატარა ძმა ან და ელოდება-მეთქი, გავიფიქრე ჩემთვის.

ხატიჯე (ასე ერქვა ამ დიდთვალა გოგოს) მეოთხე დღესაც მოადგა ფანჯარას და, ბოლოს, მეც ისე შევეჩვიე მისთვის ჩემი მცირე ულუფის გაყოფას, რომ ყოველ დილას მოუთმენლად ველოდი ფანჯარაში მისი დიდრონი შავი თვალების გამოჩენას. ველოდი მასთან „საუბარსაც". ყურადღებით უსმენდა ჩემს ქართულს და სულ მავიწყდებოდა, რომ მას ისევე არ ესმოდა ჩემი, როგორც მე მისი. არაჩვეულებრივ ლამაზი გოგო იყო ხატიჯე. გული მიკვდებოდა, რომ ვერას ვშველოდი ვერც მის სიგამხდრეს

და ვერც მშრალ ხველას. ჩემი ულუფის ნახევარზე მეტს ვუთმობდი უკვე, მაგრამ მაინც მადნებოდა ხელში. როდესაც იანვრის მიწურულს აღარ გამოჩნდა, ძალიან შევშფოთდი. არ ვიცოდი, სად მომეკითხა, სად მეძებნა, მაგრამ ორიოდე დღის შემდეგ კვლავ შემოანათა ჩემს ფანჯარაში მისმა თვალებმა. ის დღე ნამდვილად დღესასწაული იყო ჩემთვის. მოვეფერე, თევზის ქონზე შემწვარი პური ძალად შევაჭამე (სულ დაკარგოდა საცოდავს მადა), ჩავაცვი რაღაც შემორჩენილი თბილი ტანსაცმელი და პატარა დასთან შაქრის მთელი ჩემი მარაგი გავატანე. თურმე ეს ბოლო შეხვედრა იყო ჩვენი...

ათიოდე დღის შემდეგ ერთი თავშალმოხვეული უცნობი ქალი შემოვიდა ჩემთან, მუხლებზე დაემხო და მწარედ აქვითინდა. ხატიჯეს დედა იყო იგი.

— გძინავს? — შემეკითხა ბებია. — ამ ორ ამბავს აქ დავტოვებ, თბილისში აღარ მინდა ამის გახსენება.

— მეც მინდა, ბებია ერთი ამბის დატოვება აქ. მოგიყვე?

— თქვი.

— ორი თვე არ იყო გასული თქვენი დაპატიმრების შემდეგ. ზარმა დარეკა. უცნობმა ახალგაზრდა ქალმა თითქო ყოყმანით გადმოლახა კარის ზღურბლი.

— ნამდვილად ნადეჟდა იულონის ასულ გაბუნიას ოჯახში მოვხვდი, მისი დისწული ლენაც აქ ცხოვრობს? — იკითხა სტუმარმა.

რომ დავსდასტურე, უფრო თამამად შემოაბიჯა სასტუმრო ოთახში. თავი ვალენტინა ბაევად გაგვაცნო და მრავალმნიშვნელოვნად დასძინა — იქიდან მოვდივარო...

დაბნეული შევყურებდით. საკმაოდ მიმზიდველი გარეგნობის ქალი იყო. მკერდს უმშვენებდა მეტრომშენის დამკვრელის ნიშანი და მარცხენა ხელი შეხვეული ჰქონდა.

— ციხიდან მოვდივარ, — დააზუსტა სტუმარმა და საფულედან ამოღებული ორად გაკეცილი ქაღალდი ლენას გადასცა — ეს დედათქვენის წერილია.

დეიდა და დისშვილი ერთმანეთს არ აცლიდნენ წერილის წაკითხვას. ქაღალდის ნაგლეჯზე ფანქრით ნაწერი ორი წინადადება იყო მხოლოდ: „შორი გზა მელის. თბილი ტანსაცმელი გამოატანეთ წერილის მომტანს. ლოლა“. ხან დედა აკვირდებოდა ამ ტრაგიზმით სავსე ძუნწ წინადადებებს, იქნებ კიდევ ამოვიკითხო რამეო, ხან ცრემლმორეული ჩემი დეიდაშვილი. ორივემ შეიცნო დეიდა ლოლას ნაწერი. აი, შეხედე, მიმტკიცებდა ლენა, დედა სწორედ ასე წერდა ამ ასოსო. ეჭვს აღარ იწვევდა ის, რომ ეს დეიდაჩემის ნაწერი იყო.

როგორ მოხვდა ეს წერილი ჩვენი სტუმრის ხელში? ბუნებრივია, ამ შეკითხვას ელოდა ვალენტინა ბაევა. სრულიად [illegible] დამაკავეს და შემთხვევით ი[illegible]ვჩნდი, სადაც თქვენი და იმყოფებოდაო, უთხრა მან დედას. წერილი რომ მისია, ამაში, ვფიქრობ დარწმუნდით, ხოლო ახლა საშუალება მაქვს ამანათიც შევუგზავნო. თქვენი დის თხოვნას სიამოვნებით შევასრულებ, რადგან მთელი ჩემი არსებით ვუთანაგრძნობო.

საგონებელში ჩავვარდით. ხომ იცი, დედას არავინ ჰყავდა მრჩეველი, ჩემსა და ლენას გარდა. ჩვენ კი სულ ვუბრუნდებოდით დეიდას წერილს და რაც უფრო ვაკვირდებოდით, მით უფრო ვრწუნდებოდით მის ნამდვილობაში. ჩვენი სტუმრის მონაყოლი იმის თაობაზე, რომ ის შემთხვევით მოხვდა დეიდას საკანში, რა თქმა უნდა, ეჭვს იწვევდა, მაგრამ ვალენტინა სულ არ ახდენდა ბოროტი ადამიანის შთაბეჭდილებას. იქნებ შეეცოდა დეიდა (ჯერ კიდევ ახალგაზრდა და მომხიბვლელი გარეგნობის ქალი) და მართლაც განიზრახა როგორმე დახმარებოდა მას?

— ძალიან ნუ დააყოვნებთ, რამდენიმე დღეში მოსკოვში უნდა დავბრუნდე. — უთხრა მან დედას — ზეგ ნაშუადღევს გამოვივლი თქვენთან, მანამდე მოიფიქრეთ, რა შეგიძლიათ ან რა გინდათ გამატანოთ, თუ დამახვედრებთ ტანსაცმელს, იმავ საღამოს მივაწვდენ თქვენს დას.

ჩაით გავუმასპინძლდით სტუმარს, რომელმაც დაწვრილებით მოგვითხრო მოსკოვის მეტროს მშენებლობაზე; იმის შესახებ, თუ რა ძნელ პირობებში უხდებოდა მუშაობა და ხელი როგორ დაიზიანა. აღარ მახსოვს, კიდევ რაზე გვესაუბრა, მაგრამ დიდხანს აღარ დარჩენილა. კვლავ დაგვპირდა გამოვლას და გამოგვემშვიდობა.

შეშფოთებული და [illegible]ყეული ლენა თვალს ვერ აშორებდა დედამისის უკუნეთიდან მოსულ ბარათს. იმ საღამოს არ შეგვიწყვეტია ბჭობა. ცხადი იყო, რომ ნაწერი დეიდა ლოლას ეკუთვნოდა და რომ ვალენტინა უშუალოდ თუ არა, ვისმეს მეშვეობით მაინც უნდა ყოფილიყო დაკავშირებული დეიდაჩემთან. მიუხედავად ამისა, არცერთ ჩვენგანს ბოლომდე არ სჯეროდა, რომ ჩვენი სტუმარი დაპირებას ნამდვილად შეასრულებდა. ფრიად საეჭვო ჩანდა მისი უეცარი გამოცხადებაც და მონაყოლიც. ჩვენ ხომ მარტო გვარი და სახელი ვიცოდით სტუმრის და არც ამაში ვიყავით დარწმუნებული. გამოწვდილ პირადობის მოწმობაში წესიერად არც კი ჩავგვიხედია. ანდა რა აზრი ჰქონდა პირადობის მოწმობის წაკითხვას? ეჭვი არ შემპარვია, რომ ვალენტინა ბაევას სახელზე იქნებოდა გაცემული. მაგრამ არ შეიძლებოდა განა სხვისი ყოფილიყო, მართლა ტუსაღის? ბევრი ვიმსჯელეთ და ბოლოს მაინც იმ დასკვნამდე მივედით, რომ არ შეგვეძლო თუნდაც სრულიად უმნიშვნელო შანსის უგულე-

ბელყოფა. სულ მცირე იმედი გვინდოდა მაინც დაგვრჩენოდა და ამ რაღაც ეფემერულსაც ვებღაუჭებოდით.

— საცოდავო ჩემო შვილო... — ჩაილაპარაკა ბებიამ.

— მეორე დღეს დედამ შეაგროვა ცოტა რამ, რაც შინ დაგვრჩა, რაც კონფისკაციას გადაურჩა, ხოლო მესამე დღეს ვალენტინაც გვეწვია, უკვე როგორც ჩვენი კარგი ნაცნობი, რომელიც განგებამ კეთილი მისიით მოგვივლინა. გულთბილად შევხვდით, ვცდილობდით ეჭვი არ გაგვემჟღავნებინა. ვცადეთ ისევ ჩაით გამასპინძლება, მაგრამ ამჯერად აღარ მოინდომა დარჩენა, ძალიან მეჩქარებაო. როდესაც დედამ ტანსაცმლით გატენილი ჩანთა გამოუტანა, დაგვარწმუნა, რომ დღესვე დანიშნულებისამებრ გადასცემდა მას, ხოლო იმავ საღამოს ან ხვალ დილით კიდევ გამოივლიდა ჩვენთან ამბის სათქმელად. სტუმარი კარებამდე მივაცილეთ.

რომ შემოვბრუნდით, ჩემდა უნებურად ქუჩის მხრის ფანჯარას მივაშურე და მაშინვე მძიმე წინათგრძნობა დამეუფლა: თვალი მოვკარი ორ კარგად ჩაცმულ ახალგაზრდას, რომელთაგან ერთი მოხდენილი გარეგნობით გამოირჩეოდა (ამერიკელ კინომსახიობ დუგლას ფერბენქსს მივამსგავსე), მეორე კი ტანმორჩილი იყო და თითქმის არაფრით იქცევდა ყურადღებას, თუ არ ჩავთვლით იმას, რომ ცოტა მეცნო მისი სახე (ალბათ, ჩვენი უბნელი იყო). ეს უკანასკნელი საქმიანად მიეგება ვალენტინას და ჩანთა გამოართვა. სამივემ უხმოდ, სწრაფი ნაბიჯით განაგრძო გზა. აღარაფერი ვუთხარი დედას და ლენას. ისედაც დადუმებულიყვნენ და ეტყობოდათ, მწარე ფიქრებს მისცემოდნენ.

საღამო რომ მოახლოვდა, დედამ უეცრად გამოგვიცხადა — ცოტა ხნით უნდა დაგტოვოთ, ერთ საათში დავბრუნდებით. ხომ იცი, არ უყვარს, როდესაც ჩავეკითხებით, სად მიდიხარო. მუდამ მოკლედ მოგვიჭრის: საქმეზე! არც ამჯერად ვკითხეთ, სად დააპირა წასვლა, მით უფრო, რომ აშკარად ემჩნეოდა უგუნებობა და რაღაც მღელვარება. მართლაც, დიდად არ დაგვიანებია შინ დაბრუნება. რომ შემოვიდა, მიწისფერი ედო და ერთხანს ხმას ვერ იღებდა. ბოლოს, როგორც იქნა, ძალა მოიკრიბა და ყოველივე გაგვანდო.

თურმე აეკვიატა აზრი, რომ ჩვენი და, ვინ იცის, კიდევ ვისი ტანსაცმლით დატვირთული ვალენტინა ბაევა შეიძლებოდა დღესვე გაჰყოლოდა მოსკოვის მატარებელს. გადაწყვიტა ამ ეჭვის შემოწმება და მოსკოვის მატარებლის გასვლას რომ თხუთმეტიოდე წუთი აკლდა, უკვე ბაქანზე იყო და ვაგონების მწკრივს გაჰყვა. ბოლოს რომ მიუახლოვდა და გამობრუნება დააპირა, სწორედ ბოლო ვაგონთან დაინახა დედა ლოლას ქურქში გამოწყობილი ვალენტინა ბაევა, რომელსაც ორი ახალგაზრდა კაცი აცილებდა. გარშემო მხიარულება სუფევდა და მატარებლის დაძვრისწინა ჟრიამული. დედა ჯერ კიდევ ბოლომდე ვერ გამორკვეულიყო, რომ გამწარებული მიეჭრა ახალგაზრდა ქალს:

— როგორ გაბედე ლოლას ტანსაცმლის ჩაცმა, დაუყოვნებლივ გაიხადე! — შეძახა თურმე ვიღაც სხვისი, მისთვის უცხო ადამიანის ხმით.

— ვინ არის ეს ქალი, გიჟია ვიღაც, პირველად ვხედავ! — მოესმა მას ვალენტინას ყვირილი.

მოესმა მხოლოდ, რადგან ამ დროს ორი ახალგაზრდა კაცი უკვე გადალობებოდა დედას. ერთ-ერთმა, ალბათ, „დუგლას ფერბენსკმა" (მაღალი იყოო, გვითხრა დედამ) ერთი ხელი ვაგონისკენ გაიშვირა (ვალენტინას ანიშნა, ვაგონში შედიო), ხოლო მეორე მაგრად ჩასჭიდა დედას და ხმადაბლა, თუმცა მუქარით სავსე ტონით უთხრა: გაფრთხილებთ, ხმა არ ამოიღო, თქვენთვისვე უმჯობესი იქნება, თუ ახლავე დატოვებთ ბაქანსო.

— ქალბატონო, შინ დაბრუნება ხომ გინდათ?! — ასევე ჩუმად დაუმატა თურმე მეორემ, ტანმორჩილმა ახალგაზრდამ, რომელსაც ამასობაში მეორე მხრიდან ჩაევლო ხელი დედისათვის.

დედა უხმოდ გაეცალა იქაურობას. აღარც ახსოვდა, შინ როგორ მოაღწია.

არ უყვარს ამ ამბის გახსენება დედას. ერთხელ გამომიტყდა მხოლოდ, რომ ვალენტინა არა და ის ორი ბნელეთის მოციქული, მას რომ აცილებდა, ზოგჯერ მაგონდებაო. მათ ხომ შვილებიც ეყოლებოდათ, შვილიშვილებიც, ბავშვებს თვალს როგორ უსწორებდნენო.

— არ უნდა მოსვლოდა მაგი ნადიას, — ჩახლეჩილი ხმით თქვა ბებიამ.

ელენე ბებია დიდი ხნის გარდაცვლილი იყო უკვე, როდესაც ერთ-ერთ იმ „თბილისელ ბიჭთაგანს", ტანმორჩილს, ჩვენს უბანში მოვკარი თვალი. დაბერებულიყო, წელში მოხრილიყო, მაგრამ მაინც მტკიცე ნაბიჯით მიემართებოდა, ვგონებ, დაწესებულების მანქანისაკენ, რომელიც იქვე ქუჩის მოსახვევში ელოდებოდა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ალბერ კამიუ

# ნუშის ხეები

„იცით, ამქვეყნად რა მაოცებს ყველაზე მეტად? — ეკითხება ნაპოლეონს ფონტანისთვის, — ის, რომ რაც უნდა ეცადო, ძალმომრეობით ვერაფერს შექმნი და ვერც ვერას დაამტკიცებ. სამყაროში ორად ორი ძალა მეგულება: მახვილი და გონება. საბოლოო ჯამში, გონება მუდამ ჯაბნის მახვილს".

როგორც ჩანს, ჟამიჟამ დამპყრობლებსაც ეძალებათ კაეშანი. თუმცა, რა გასაკვირია, — ფუჭი დიდების საზღაურიც ხომ ესაა? მაგრამ ის, რაც ამ ასიოდე წლის წინ, სამართლიანად ითქვა მახვილის თაობაზე, დღეს, ტანკისთვის, აღარ გამოდგება. დამპყრობლებმა თავისი ქნეს და სულმიხდილი ევროპის ნასახლარებზე წლობით გამეფდა კუშტი დუმილი. ფლანდრიის ომების დროს, ჰოლანდიელ მხატვრებს, ეგების, შეეძლოთ კიდეც ეხატათ საკუთარი ეზო-კარის მამლები. ასწლიანი ომიც დავიწყებას მიეცა, თუმცა სილიზიელ მისტიკოსთა სამგლოვიარო ჰიმნები ახლაც ბევრს უთრთოლებს გულს. დღეს კი საქმე სხვაგვარადაა: ხელოვანიც და ბერიც, ორთავე მობილიზებულია — ადამიანები სოლიდარობას უცხადებენ სამყაროს. გონებამ დაკარგა საკუთარი თავის მეფური რწმენა, რომელიც, ერთ დროს, დამპყრობელმა განჰგმირა მახვილი. ახლა იგი ძალის წყევლა-კრულვით იოხებს გულს, რამეთუ მისი დაურვება აღარ ხელეწიფება.

„ეს ბოროტის ნიშანია" — გაიძახიან გულუბრყვილო ადამიანები. ჩვენ არ ვუწყით, რა რისი ნიშანია, მაგრამ, სასიკეთო რომ არაფერია, ამაში ეჭვს ვერ შევიტანთ. მაშ, რაღა დაგვრჩენია, თუ არა ის, რომ გავითავისოთ ეს ჭეშმარიტება ამისთვის კი საკმარისია შევნიშნოთ, რა გვსურს, ან რას ვესწრაფვით. სურვილით კი ერთი უნდა გვქონდეს: ქედი არ მოვუდრიკოთ მახვილს და აროდეს გავამართლოთ ძალა, რომელიც გონებას აღარ მორჩილებს.

ამ მცდელობას ბოლო არ უჩანს; ჩვენი ვალიც ის არის, რომ ერთხელ არჩეულ გზას არ გადავუხვიოთ. მე არც იმდენად ვენდობი გონებას, რომ უყოყმანოდ ვიწამო პროგრესი ან ისტორიის ნებისმიერი ფილოსოფია. ერთი ეს კი მწამს: რაც დრო გადის, ადამიანები მით უფრო ღრმად უკვირდებიან საკუთარ ბედს. ჩვენ ვერ დავძლიეთ ადამიანური არსებობის პირობების სიდუხჭირე, მაგრამ, დროთა განმავლობაში, უფრო ნათლად გავიაზრეთ იგი. დღესაც წინააღმდეგობათა ტყვეობაში ვართ, მაგრამ, ისიც კარგად ვიცით, რომ ჩვენი ღვაწლი ამ წინააღმდეგობის დაძლევას, ან, თუ გნებავთ, მის შემცირებას მაინც უნდა მოვახმაროთ. ჩვენი მიზანია, აღმოვაჩინოთ ისეთი ცხოვრებისეული ჭეშმარიტებანი, რომლებიც დაგვიწყლულებს თავისუფლებას დანატრებული სულის უსაზღვრო კაეშანს; აღვადგინოთ ის, რაც ერთხელ იავარვყავით, დავაბრუნოთ ამ უსამართლო სამყაროში სამართლიანობის რწმენა და საუკუნის უბედურებით დაგეხლილი ადამიანებისათვის ბედნიერების ცნებას ღირსეული შინაარსი შევძინოთ. დიახ, მართლაც რომ ზეადამიანური ამოცანაა. ზეადამიანური მიზნის განხორციელებას კი მეტი დრო და ძალა უნდა — ეს არის და ეს.

მაშ, მოდით გავიაზროთ, რა გვსურს და მხარი ავუბათ გონებას, მიუხედავად იმისა, რომ ძალა, ჩვენდა საცდუნებლად, ხშირად რაიმე მომხიბვლელი იდეის ან კომფორტის ნიღბით გვევლინება. თავი და თავი ისაა, რომ იმედი არ გადავიწუროთ. ნუ მივუგდებთ ყურს იმათ, ვინც წამდაუწუმ სამყაროს დასასრულის სიახლოვით გვაშინებს. ცივილიზაციები ხელის ერთი მოსმით როდი ილუპებიან და თუ კი ჩვენს სამყაროს გადაშენება უწერია, უმალ ყველა სხვა სამყაროს უნდა მოეღოს ბოლო. ისიც ჭეშმარიტება გახლავთ, რომ ტრაგიკულ ეპოქაში ვცხოვრობთ. მაგრამ ბევრი ერთმანეთში ურევს ტრაგიზმსა და უბედურებას. „ტრაგიზ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მი უბედურებისთვის ამორტყმული წიხლია“, — წერდა ლოტრეამონი. ჯანსაღი აზრი თუ გინდა, სწორედ ეს არის. დღესაც, ბევრი რამ იმსახურებს ლაზათიან პიტლაყს!

ალჟირში ცხოვრებისას ზამთარს იმის იმედი მაძლებინებდა, რომ ერთ ღამეს, თებერვლის სუსხიან და კამკამა ღამეს, „კონსულთა ხეობაში“ ნუშის ხეები თეთრად იფეთქებდნენ. მერე უკვე გულისფანცქალით შევცქეროდი ამ სათუთ ფიფქებს, ესოდენ სიჯიუტით რომ უმკლავდებოდნენ, ვინ იცის საიდან მოვარდნილი კოკისპირული წვიმებისა და ქარბორბალას შემოტევას. წლიდან წლამდე ასე მეორდებოდა: ყვავილი მედგრად იბრძოდა და ნაყოფის გამოსაღებად ემზადებოდა.

ეს სიმბოლო არ გეგონოთ. სიმბოლოებით ფონს ვერ გახვალ და ბედნიერების ნაპირებს ვერ მიეახლები. ამისათვის მეტი სერიოზულობაა საჭირო. ერთს ამას ვიტყვით: როს გაპარტახებულ ევროპაში ცხოვრების მძიმე ტვირთი წელში მწყვეტს, მე მზით გასხივოსნებულ იმ ქვეყნებს ვიხსენებ, რომელთაც ჯერ კიდევ შეარბად შემორჩათ მაცოცხლებელი ძალები. ამ ქვეყნებს კარგად ვიცნობ და ისიც ვიცი, რომ სანატრელ მიწაზე, მედიტაცია და ადამიანური შემართება ერთურთს აწონასწორებს. ამ ქვეყნების მაგალითი თვალწინ მიდგას და მიმტკიცებს, რომ თუ კი გონების გადარჩენა დავისახეთ მიზნად, კიდეც უნდა უარვყოთ მისი სუსტძალოვანი ლმობიერება და კიდევ მეტად მივენდოთ მის ძალისხმევასა და [illegible] შემართებას. ქვეყნიერება უბედურებით მოიწამლა და როგორც ჩანს, ეგემრიელა კიდეც საწამლავი. იგი უსიტყვოდ ემონა იმ ბოროტ ძალას, რომელსაც ნიცშემ „სიმძიმის შეგრძნება“ უწოდა. ამაოა გონების უძლურებაზე ცრემლთა ღვრა, უნდა ვიმოქმედოთ.

მაგრამ სად ვეძებოთ გონების ყოვლისმძლე სიკეთენი? მოდით, კიდევ ერთხელ ჩავუკვირდეთ ნიცშეს შეგონებას, რომელმაც ეს სიკეთენი „სიმძიმის“ მოსისხლე მტრებად დასახა: ხასიათის სიმტკიცე, გემოვნება, საქაო სამყარო, ბედნიერება (ამ ცნების კლასიკური გაგებით), უტეხი სიამაყე, ბრძენკაცის ზომიერება. ეს სიქველენი დღეს კიდევ მეტად საჭიროა, ვინემ ოდესმე და თითოეულმა ჩვენგანმა, დაე, ის აირჩიოს, რომლისკენაც უფრო მიუწევს გული. მაგრამ, რაც არ უნდა იყოს, ხასიათის სიმტკიცეს გვერდს ნუ ავუვლით: მის გარეშე ჩვენს ამოცანას ადვილად ვერ მოვერევით. მე იმ სიმტკიცეზე როდი მოგახსენებთ, საარჩევნო ტრიბუნაზე შემდგარი კაცის თვალებსა და მუქარაში რომ გამოკრთის, არამედ იმაზე, რომლის მაცოცხლებელ წვენს და სპეტაკ სათნოებას ზღვიდან მოდენილი ქარიშხალი ვერას ვნებს. ქვეყნიერების სუსხის წიაღში, სწორედ ამ სათნოებიდან აღმოცენდება ტკბილი ნაყოფი.

1940 წელი.

ფრანგულიდან თარგმნა **გიორგი ეკიზაშვილმა**

# წიგნების მიმოხილვა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## საყურადღებო გამოკვლევა

სარეცენზიო წიგნი ტიპოლოგიურ ასპექტში განიხილავს გოეთესა და ვაჟა-ფშაველას შემოქმედების პრობლემატიკას, ბუნება-ღმერთისა და „მიმეზის“ პრობლემები კონკრეტულადაა განხილული ვაჟასა და ახალგაზრდა გოეთეს ფილოსოფიური ლირიკის, ვაჟას პოემებისა და გოეთეს „ფაუსტისა“ და ვაჟას პროზის მიხედვით.

გოეთესა და ვაჟას პოეტურ აზროვნებაში ბუნება-ღმერთისა და „მიმეზისის“ ცნებები უძირითადესია. ამიტომაც ქცეულა იგი გამოკვლევის მაგისტრალურ ხაზად. წიგნის ავტორის მიზანია ვაჟა-ფშაველასა და გოეთეს არა იმდენად ფილოსოფიური, რამდენადაც პოეტური მსოფლხედვის წინა პლანზე წამოწევა, ამ ორი მწერლის შემოქმედების ტიპოლოგიური კვლევა.

ნაშრომში ე. წ. გოეთესებური ანუ ფიზიონომისტური პანთეიზმის პრინციპი — ბუნება-ღმერთის ერთდაიგივეობა ადამიანისა და ღვთაების სწორფრობად (ინდენტიფიკაციად) კონკრეტდება. ღვთისმრწმენობა გოეთოლოგიის ყველაზე მწვავე და კარდინალური პრობლემაა, რასაც წიგნის ავტორი საგანგებოდ და ღრმად იკვლევს[1]

მკვლევარის არგუმენტირებული შეხედულებისამებრ, „ერეტიკული“ პანთეიზმის პირველი ძირითადი პუნქტია ბუნებისა და ღმერთის იდენტურობა, რისი შემოქმედებითი ფერისცვალებაც ადამიანისა და ღვთაების სწორფრობაა, რაც აგრეთვე „ერეტიკული“ პანთეიზმის მეორე პუნქტსაც წარმოადგენს. ბუნება-ღმერთის იდენტურობა კი ორგანული ნაწილია როგორც ვაჟას, ასევე გოეთეს შემოქმედებისა, რომლის კონკრეტულ მხატვრულ დადასტურებასაც წარმოადგენს გოეთესა და ვაჟას ფილოსოფიური ლირიკა, გოეთეს „ფაუსტი“ და ვაჟას პროზის შედევრები, პოემები, მეტადრე „გველისმჭამელი“.

ქართველოლოგთა ერთი ნაწილი ვაჟას პანთეისტობას უარყოფს, ამის მიზეზი, ვაჟას ქართველ სპეციალისტთა მიხედვით, არის პიროვნული ღმერთისა და ინდივიდუალური სახის არარსებობა პანთეიზმში, აგრეთვე ეთიკური პრობლემების უარყოფა პანთეიზმის მიერ. ეს კი, მეცნიერის აზრით, პანთეიზმის მხოლოდ ერთი კუთხით გაგებას ნიშნავს. ჩვენში პირველად მ. კვესელავამ აღნიშნა გოეთესა და ვაჟას შემოქმედება-მსოფლგაგებაში რელიგიური შინაარსისაგან თავისუფალი ანუ სპინოზისტური პანთეიზმის არსებობა. ლ. თეთრუაშვილმა კი სარეცენზიო წიგნში საკითხი ასე დააყენა: „ვფიქრობ — წერს წიგნის ავტორი — ერთგვარად იმასაც სჭირდება დაზუსტება თუ თვით „რელიგიური შინაარსისაგან განთავისუფლებულ პანთეიზმსაც კი (ვთქვათ, სპინოზიზმს), რით განუსხვავა გოეთესა და მისი შემოქმედებითი თანამოაზრის — ვაჟას — პანთეიზმი“. ამ მიმართებით არის დაწერილი მთელი ნაშრომი და მკვლევარის დებულებათა სიახლეც ამ ასპექტში იღებს სათავეს. პანთეიზმი, რაც ავტორს გოეთესა და ვაჟასათვის ორგანულად ესახება, გულისხმობს წარმართულ-ბერძნულ, შუასაუკუნეების ერეტიკოს-მისტიკოსთა, სპინოზა-ლაიბნიცის ნააზრევთა ევროპულ-განმანათლებლური პოზიციების გათვალისწინებას. რასაკვირველია, „წარმართობა“ არავითარ შემთხვევაში არ ნიშნავს პირველყოფილობას (ჰაინემ გოეთეს „დიდი წარმართი“ უწოდა!), პანთეიზმის — ზნეობრივი „მე“-ს ანუ ინდივიდუალობის იგნორირებას, მისტიკა-მისტიციზმს ანდა მხოლოდ სულის გამოცხადებას ღვთაებრივად (მატერიის საპირისპიროდ), მათ შორის შეურიგებელ დუალიზმს.

წიგნის ავტორს სავსებით მართებულად მიაჩნია, რომ ვაჟა-ფშაველას შესახებ იგივე ითქმის, რაც ქართულ გერმანისტიკაში ითქვა გოეთესთან დაკავშირებით: „გოეთე უბრწყინვალესი წარმომადგენელია ე. წ. ფიზიონომისტური პანთეიზმის, რომელიც თეომონისტურის საწინააღმდეგოდ ღმერთში კი არ აქრობს სამყაროს თვითარსობას, არამედ პირიქით, ბუნებაში „ხსნის“ ღმერთს, ღმერთად წოდებული ბუნების შემოქმედებით უნარსა და სასიცოცხლო ძალას აღიარებს როგორც მატერიალურ, ისე სულიერ მოვლენათა ერთიან სუბსტანციად (ოთ. ჯინორია. კომენტარი ი. ვ. გოეთეს ფილოსოფიური ლირიკის საკუთარ თარგმანზე. ჟურნ. „ცისკარი“, 1974, № 9, გვ. 85).

---

[1] ლ. თ ე თ რ უ ა შ ვ ი ლ ი. ვაჟა-ფშაველასა და იოჰან ვოლფგანგ გოეთეს იდეურ-მსოფლმხედველობრივი ურთიერთობისათვის. „მეცნიერება“, 1982, თბილისი.

იგივე შეიძლება ითქვას ვაჟა-ფშაველასთან, სახელდობრ, მის ლირიკასთან დაკავშირებითაც („ქებათა ქება“, „ერთი რამ მინდა სათქმელად“, „შემოდგომა“, „რატომ მალედვე არ მოვკვდი“, „ვიცანი ღმერთო, სამყარო“). გოეთეს მსგავსად, აქაც „ღმერთი“ არა ერთხელ იხსენიება „(უზენაესი“ „განგება“, „ქვეყანა“), მაგრამ ბუნება-სამყაროა მისი არსი, „ბუნების ზნე“ მიაჩნია მას „ღვთაების“ „უცვლელ-უბრალებელ“ წესად, განგების ნებად. ნაშრომის მიხედვით, ვაჟასა და გოეთეს ღმერთი „რელიგიური ხატი“ კი არ არის, არამედ მორალური იდეა, ზნეობრივი პრინციპია და, მაშასადამე, ეთიკის, ფილოსოფიის საგანი. გოეთე ეკერმანთან საუბარში (1832 წ, 11 მარტი) ამბობს, რომ ქრისტე პოეტის „მოწიწებული თაყვანების“ საგანია, რამდენადაც მისთვის იგი წარმოადგენს „ზნეობრიობის უმაღლეს პრინციპს“, ღვთაებრივ გაცხადებას.

ამნაირ თაყვანებას ამჟღავნებს გოეთე მზისადმიც, რაც სავსებით არ ეთანხმება რელიგიის ქრისტიანულ-ორთოდოქსულ გაგებას.

რაც შეეხება ზნეობრივი პრინციპების თითქოსდა არარსებობას პანთეიზმში, მკვლევარი ამ თვალსაზრისით ყურადღებას ამახვილებს ერთ უმნიშვნელოვანეს საკითხზე. თუკი რამ მოსწონდა გოეთეს სპინოზას „ეთიკაში“, ეს იყო „უანგარობის“ მკაცრად ზნეობრივი პრინციპი, რამაც თავი იჩინა „ღმერთისადმი ინტელექტუალური სიყვარულის“ თეზაში და რაც, კანტის კატეგორიულ იმპერატივაზე მაღლაც დგას. ვაჟას პანთეიზმს უარყოფენ ვაჟას ქართველი სპეციალისტები აგრეთვე იმდენად, რამდენადაც, მათი აზრით, პანთეიზმისთვის არ არსებობს კეთილისა და ბოროტის ცნებები. შუასაუკუნეების ერეტიკული პანთეიზმის ერთ-ერთი მთავარი წარმომადგენლის — იაკობ ბოემეს ფილოსოფიურ მოძღვრებაში კი აშკარად აღინიშნება კეთილ-ბოროტის ცნებათა არსებობა თუ ურთიერთდაპირისპირება. ბოემეს აზრით, ყოველი საგანი შედგება „კი“ და „არა“-საგან: „კი“ — წმინდა ძალაა და სიცოცხლე, თავად ღმერთი. მისი შემეცნება „არას“ გარეშე არ იქნება. ამ „არას“ კი განასახიერებს „ეშმაკი“, რომელიც „ბუნების მარილია, ურომლისოდაც ყველაფერი უგემურ ფაფას დაემსგავსებოდა“. ბოემის მიხედვით, ღმერთსა თუ ბუნებაში ბოროტების პრინციპი სიკეთის პრინციპად იქცევა, რადგან სიცოცხლესა და სინათლის მიზეზი არის ბოროტება. ვაჟას შემოქმედება — მსოფლგაგებაში, კეთილისა და ბოროტის დაპირისპირება აღიქმება სამყაროს „ღვთიურ წესად“ („ღამე მთაში“, „სოფლისა წესი ასეა“). გოეთე წერს: „სიკვდილი ფანდია ბუნებისა, რათა სიცოცხლე ამრავლოს“. სწორედ გოეთესებურად ამბობს ვაჟაც: „სიცოცხლეს სიცოცხლე უყვარს, ეს იმიტომ დადგა წესადა, სიკვდილი გაუჩენია მას თავ[illegible] კვებადა“. ან კიდევ: „ღმერთმა [illegible] კვდილო, სიცოცხლე ჰშვენობს [illegible] სიკვდილო, ფასი გძე, სიცოცხლის ნაწყენობითა“.

ახალგაზრდა გოეთეს მიხედვითაც, ბუნება მტკიცეა, უცვლელი, კანონზომიერი, გამტანი, სანდო, მბრძანებელი. აგრეთვე ვაჟას გაგებით: „ბუნება მბრძანებელია, იგივ მონაა თავისა, ზოგჯერ სიკეთეს იხვეჭავს, ზოგჯერ მქნელია ავისა, ერთფერად მტვირთველი არის, საქმის თეთრის და შავისა, მაინც კი ლამაზი არი, მაინც სიტურფით ჰყვავისა“.

„გოეთესათვის ბუნება-ღვთაება დაუსაბამოა და „მარად აღმოცენებადი“. არც ვაჟას ღვთაებას აქვს ბოლო, არც დასასრული, მთების უსაზღვრო ლოდინის დარად“ — წერს წიგნის ავტორი.

„სიტკბოს რა დალევს ქვეყნადა, მანამა სუფევს მწარია“ („ქებათაქება“) გოეთეს აზრითაც, ბუნება ვერაგია, მაგრამ მისი ვერაგობა კეთილი მიზნისკენაა მიმართული. „მონა ვარ, მონა ბუნების თავი არა მაქვს დავისა“, — ამბობს ვაჟა.

ნაშრომში საინტერესო პოეტურ-ეთიკურ ცნებადაა წარმოდგენილი ვაჟასეული „კაი ყმა“ და გოეთესეული „მშვენიერი ადამიანი“. წიგნის ავტორი წერს, რომ ვაჟას ლირიკული გმირის ხასიათში გაცხადებულია ერეტიკული სულის თვისება — ბუნება-ღმერთისადმი თუ კაი-ყმისადმი რწმენისა და სიყვარულის შეგრძნება. ვაჟასთვის დამახასიათებელია „ვარმის მორევნის“, ღვთაებრივი გამძლეობის ძალა და უნარი, სიკეთისადმი თავგადადების დაუძინებელი სურვილი.

ვაჟას ლირიკაში, მკვლევარის მტკიცებისამებრ ე. წ. „ინდივიდუალობა“ ზნეობრივ პრინციპს უკავშირდება და კონკრეტულად პანთეიზმის მთავარ პუნქტს — ადამიანისა და ღვთაების ტოლსწორობას თუ სწორფერობას გულისხმობს. ვაჟას ლირიკული გმირი ზოგჯერ მეტოქეობასაც უწევს ბუნებას, ეჭიბრება მას. ეს მომენტი კი ძალზე ჰგავს გოეთეს ახალგაზრდობისდროინდელი ლირიკისათვის (და საერთოდ, მისი მთელი შემოქმედებისათვის) გმირის ფრიად ნიშნეულ დაპირისპირებას (Polarität) ბუნებასთან და ამგვარად ზეასვლას. (Steigerung).

ბუნება-ღმერთის იდენტობის ტენდენცია ნათლად მოჩანს ვაჟას „გველისმჭამელსა“ და გოეთეს „ფაუსტში“. ადამიანისა და ღვთაების სწორფრობა (იდენტურობა) მხატვრულად წარმოჩინდა ფაუსტისა და მინდიას სახეებში. ამ თვალსაზრისით სიმბოლური ხატებია ვაჟას „კაი ხმა“ და გოეთეს „მშვენიერი ადამიანი“.

ვაჟას კონცეფციით, „კაი ყმა“ ღვთის სწორფერი, ბუნების ყმა და მეტოქეა, ასეთად

გვესახება ვაჟას პოემის გმირები: მინდია, ჯოყოლა, ზვიადაური, მუცალი, ალუდა ქეთელაური... მკვლევარი ადგენს, რაში მდგომარეობს „კაი ყმის“ არსი, რაც პროგრამულადაა მოცემული ვაჟას ამავე სახელწოდების ლექსში. ვაჟას პოეზიაში ბუნება და ადამიანი ერთმანეთში მყოფობს და არ არსებობს, ურთიერთის სიყვარულით სუნთქავს.

გოეთეს მიხედვითაც, ბუნება ღმერთია, უთვალავ სახელსა და ტერმინშია „გაფანტული“ და მუდამ ერთი და იგივეა. მკვლევარი არ ეთანხმება პროფ. ს. დანელიასეულ ინტერპრეტაციას მინდიას დამარცხების შესახებ. ს. დანელიას აზრით, მინდიას დამარცხება იმას ნიშნავს, რომ ვაჟა თითქოს ამით ინდივიდუალობას უარყოფდეს. ს. დანელიასთან ის აქვს საკამათო წიგნის ავტორს, რომ მან ვაჟას შემოქმედება-მსოფლშეგძნება აბსოლუტურად სპინოზას ფილოსოფიის იდენტურად მიიჩნია (აქ საჭიროდ მიმაჩნია, საგანგებოდ აღვნიშნო წიგნის ავტორის კამათის კულტურა, ფაქიზი დამოკიდებულება იმ მკვლევარებისადმი, რომლებსაც არ ეთანხმება); წიგნის ავტორი ნათლად და დამაჯერებლად ახდენს ვაჟას პანთეიზმში ინდივიდუალობის არსის გახსნას. იგი გამოკვეთილად აღნიშნავს: „ვაჟას პანთეისტურ სამყაროში ინდივიდუალობის არსის თაობაზე უკვე მერამდენეჯერ აღვნიშნეთ, რომ ვაჟა მხოლოდ ბუნება-ღმერთის ერთიდაიგივეობის ტენდენციით კი არ კმაყოფილდება, არამედ მისი „ერესი“ კიდევ უფრო შორს მიდის: გოეთეს მსგავსად, ქართველი გენიოსი კაი-ყმისა და ბუნება-ღმერთის სწორფრობის იდეის მომხრედაც გვევლინება, ხოლო ეს უკანასკნელი მკვეთრად გამოხატული ინდივიდუალობის გარეშე ისევეა შეუძლებელი, როგორც ამაღლებული ეთიკის გარეშე“.

წიგნის ავტორის აზრით, ვაჟასა და გოეთეს შემოქმედებაში მკვეთრად ვლინდება ერთისა და ყოვლადობის დიალექტიკურ-პანთეისტური განწყობილებები. აქაც, გოეთეს მსგავსად, მოქმედებს ერთი პრინციპი ინდივიდუალობათა თანაარსებობისა, მაგრამ არც ერთ შემთხვევაში — ერთი რომელიმე ინდივიდუუმის უზურპაციის პრინციპი. წიგნში ამ საინტერესო არგუმენტაციას ადასტურებს ვაჟას არც თუ ისე გახმაურებული პოემა „მთათა ერთობა“.

გოეთემ ლესინგისაგან იმემკვიდრა „საკუთარი ინდივიდუალობის სრულყოფილების თანახმად“ ქცევა და თავისი შემოქმედების მრწამსად აქცია; ტიპოლოგიურად მსგავსი განწყობილებაა ვაჟასთანაც; „თავის ბუნების ყმა რო ხარ, არაგვო, იდღეგრძელია“. ლექსშიც „ღამე მთაში“ დომინირებს ერთისა და ყოვლადობის პანთეისტური პრინციპი: „ხევი მთას მონებს, მთა ხევსა, წყალნი ტყეს, ტყენი — მდინარეს, ყვავილნი მიწას და მიწაც თავის აღზრდილთა ძცინარეთ და მეც ხომ ყველას მიწის ზურგზე იფლგადამდინარე“. მკვლევარის მართებული აზრით, ამ ლექსში სრულად ვლინდება ერთისა და ყოვლადობის თანაარსებობის პანთეისტური პრინციპი, თანაც ისე, რომ გოეთეს ბადლად, არც ვაჟასთან იკარგება „ცალკეული“ ადათი.

„დაპირისპირებისა და ზეაღსვლის“ გოეთესებური პრინციპი ფაუსტისა და მეფისტოფელის ანუ სიკეთისა და ბოროტების ალეგორიითაა გამჟღავნებული, რაც ნაშრომში სწორადაა არგუმენტირებული. (აქ იჩენს თავს ე. წ. „ფაუსტურისადმი“ როგორც გოეთეს, ასევე ვაჟა-ფშაველას დამოკიდებულება). იგივე შეიძლება ითქვას მთელი წიგნის დანარჩენ მონაკვეთებზეც.

ფაუსტ-მეფისტოფელის ურთიერთდაპირისპირების უძნელეს გზაზე მკვეთრად ჩამოყალიბდა გოეთეს მსოფლმხედველობრივი მრწამსი: „მთელს შეეთვისე, ვითარც მისი მარგი ნაწილი“.

საგანგებოა გოეთეს დამოკიდებულება ღვთაების მიმართ. გოეთე უარყოფს ღმერთის დოგმატურ-ორთოდოქსულ გაგებას. იგი ეუბნება ეკერმანს: „სასულიერო პირების ხელში ღმერთი მხოლოდ ფრაზად, ცარიელი სიტყვად ქცეულა და ეს სიტყვა მათ დღენიადაგ პირზე აკერიათ. ისინი რომ მართლაც ამ დიადით ანუ ღმერთით იყვნენ აღვსილნი, დადუმდებოდნენ, მოწიწებისაგან სიტყვასაც კი ვერ დასძრავდნენ“. ამ პოზიციის გასამტკიცებლად წიგნის ავტორს მოხმობილი აქვს თვალსაჩინო გერმანული გოეთოლოგების გამოკვლევები, გოეთეს თანამედროვეთა შეხედულებები. მაგალითად ო. ვალცელი ამბობს, რომ გოეთეს არ შეეძლო ჰქონოდა დოგმატურად გაგებული ქრისტეს რწმენა. კესტნერი, გოეთეს თანამედროვე და მეგობარი, ახალგაზრდა გოეთეზე წერს, რომ იგი „არც ეკლესიაში დადის და არც წირვაზე, იშვიათად ლოცულობს, თან ამბობს, რომ საამისოდ ვერა ვარ ჯეროვნად მატყუარაო. ქრისტიანული რელიგიის მიმართ ღრმა მოწიწებას იჩენს, მაგრამ არა ისეთს, ჩვენს თეოლოგებს რომ წარმოუდგენიათ“.

ვაჟა და გოეთე ლამის ერთნაირად ავლენენ თავიანთ დამოკიდებულებას ბუნება-ღვთაებისადმი. საპროგრამო ეტიუდში „ბუნება“ გოეთე ამბობს, რომ ყოველი ადამიანი ბუნებაშია და ბუნება ყველაფერშია.

ასევე ამბობს ვაჟაც: „ჩვენ ბუნებაში ვართ — იგი ჩვენშია. საით, როგორ შეგვიძლია იგი თავიდან ავიშოროთ, იმას გავექცნეთ, დავემალნეთ. ცოცხალნიც მისნი ვართ, მკვდარნიცა“.

სარეცენზიო წიგნში საინტერესოა გოეთეს უმნიშვნელოვანესი პრობლემის «Stirb und verde»-ს (მოკვდი და იქმენ!) ტიპოლოგიური მიმართება ვაჟა-ფშაველას შემოქმედებასთან.

აქ მხოლოდ ერთ მომენტს შემოგთავაზებთ: გოეთეს ლირიკულ შედევრში „ნეტარი ლტოლვა“ გამოხატულია მაღალი სულის მიერ „ცეცხლში კვდომისაკენ“ სწრაფვა, რაც საყვარელ საქმეზე უანგაროდ გადაგების ტოლფასია, სიკვდილისაკენ ნეტარი ლტოლვა, თავგანწირვით ახალი ქმნადობის წარმოშობაა; ლამის გოეთესებურად წერს ვაჟა: „სანთელიც მითაა კარგი, რომ თვით იწვება და სხვას კი გზას უნათებს, წყვდიადს აქარწყლებს, ნათელს გვფენს,... ერთი სიტყვით, კარგს რასაც ვხედავთ ბუნებაში ყოფილა თავისთვის უსარგებლო, ხოლო სხვისთვის სასარგებლო“. ვაჟას შემოქმედება-მსოფლშეგრძნებაში „სულის გაზაფხულობა“ ფილოსოფიური ადექვატია „ქმნისა“. „მოკვდა და იქმენ“ არის ვიწრო, შეზღუდულ ემპირიულ „მე“-ზე ამაღლება, უანგარო თავგადადების წილ ახალი ინდივიდუალობის, ახალი სიცოცხლის წარმოშობა.

ნაშრომის მეორე ძირითადი თავი ეძღვნება „მიმეზისის“ პრობლემას გოეთესა და ვაჟას შემოქმედებაში. წიგნის ავტორს „მემეზისი“ „ერეთტიკული პანთეიზმის“ მოსაზღვრე პრობლემად მიაჩნია, „ერეტიკული პანთეიზმის“ მეორე პუნქტი — ადამიანისა და ღვთაების იდენტურობა უშუალოდ უკავშირდება მიმეზისს, პიროვნების განღმრთობის იდეა თავის ემანაციას ყველაზე სრულად ხელოვნებასა და ხელოვანში აღწევს. როგორც ჰ. კორფი აღნიშნავს „პრომეთევსის“ განხილვისას.

წიგნის ავტორი სავსებით მართებულად ფიქრობს: არისტოტელესეული „მიმეზისის“ რეალისტურ-ობიექტური არსის კვალზედ, გოეთე ღვთაების სწორფრად მიიჩნევს ჭეშმარიტ შემოქმედ-დიდოსტატს ანუ ხელოვანს, რომელსაც ძალუძს შემოქმედებითი უნარი შეითვისოს ბუნებისაგან და ამით კიდეც „გაეჯიბროს“ მას. მაგრამ, გოეთეს აზრით, ხელოვანს ბუნების ზუსტი „მიბაძვა“ კი არ მართებს არამედ საკუთარ სუბიექტურ-პირობითი აღქმის პრიზმაში მისი გარდათქმა-გარდასახვა ანუ ახალი მხატვრული სინამდვილის წარმოქმნა, მეორე, პოტენციური ბუნების კონსტრუირება.

მონოგრაფიის ავტორის ლოგიკური არგუმენტაციის თანახმად, ბუნებაზე ხელოვნების ზეალმატების უამრავი ეპიზოდ[illegible] „გოეთეს ფაუსტში“. ფაუსტის [illegible] მეტამორფოზა (გაყმაწვილება ქაჯების სამზარეულოში და ტრაგედიის 11 ნაწილის დასაწყისი: ღეთას მდინარეში განბანვისა და არიელის სიმღერის შემდეგ), ელენეს გამოხმობა „დედათა სავანიდან“ და ფაუსტთან მისი შეუღლება, ელენესა და პარისის აჩრდილთა ხილვა და სპექტაკლი იმპერატორის სასახლეში, ეუფორიონის ეპიზოდი. ვაჟასთანაც — მინდიას „გამეცნიერება“, ქაჯებისაგან თავის დახსნა, კაცებივით ატირებული ხეების მდურვა და მუდარა (მინდია ერთხელ სცოდავს და ხეს მოჭრის ან ნადირს კლავს, რის გამოც ბუნება გულის კარს უხურავს მას და მისნობის უნარს აკარგვინებს.). მსგავსი მოვლენები, როგორც გოეთე იტყოდა, ამაოდ საძებარია ბუნებაში, ისინი ბუნებას ეწინააღმდეგებიან, მაგრამ ამავე დროს მასზე აღმატებულიც არიან. ეს ფიქციაა, ოღონდ იმნაირი ფიქცია, რომელშიც სულაც არ არის მოხსნილი რეალისტურ-ობიექტური სინამდვილის ბუნება. საამისოდ უხვ მასალას იძლევა ვაჟას ნაწარმოებები: „ხმელი წიფელი“, „ქუჩი“, „კლდე მტირალი“, „მთანი მაღალნი“, „სტუმარ-მასპინძელი“, „სისხლის ძიება“, „გველის მჭამელი“, „ალუდა ქეთელაური“.

პოეტი ქმნის „მეორე ბუნებას“, ახდენს „სამყაროს რეპროდუქციას“, გარდათქმას — არისტოტელეს კვალზედ; გოეთე და ვაჟა ბუნების სრულ მიბაძვას, მისადმი მონურ ერთგულებას სულაც არ მოითხოვენ. ასე რომ, მიმეზისი ბუნების ხელოვნებად გარდათქმა, მისი „რეპროდუქციაა“.

ამრიგად, წიგნი „ვაჟა-ფშაველასა და გოეთეს იდეურ-მსოფლმხედველობრივი ურთიერთობისათვის“ — ლიტერატურული კომპარატივისტიკის ღრმა და საინტერესო ნიმუშია. ურთულეს საკითხთა ახლებურად და პრობლემურად დაყენებითა და გაანალიზებით ეს ნაშრომი გერმანული და ქართული ლიტერატურისმცოდნეობის საყურადღებო გამოკვლევად შეიძლება მივიჩნიოთ.

ლია თაქთაქიშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი, № 12.

ტელეფონები: მთ. რედაქტორის — 93-55-11, მთ. რედაქტორის მოადგილის 93-55-15, პ/მგ მდივნის — 93-55-13 და განყოფილებების — 93-55-15; 93-55-17, 93-55-20.

გადაეცა ასაწყობად 23. V. 83 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 11. 07. 88 წ. ანაწყობის ზომა $7^1/_4$X12, ქაღალდის ფორმატი 70X108, ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 11, პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 15,5. სააღრ.-საგამომცემლო თაბახი 16,58.

უე 09388. ტირაჟი 30.000. შეკვ. 1101. საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა.

ЭКЗЕМПЛЯРЫ

37031

ფასი 80 კაპ.

ინდექსი
76128

ეროვნული
ბიბლიოთეკა

«М Н А Т О Б И»

ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ
И ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ

ИЗДАТЕЛЬСТВО ЦК КП ГРУЗИИ